

K 7.063
4

თელი სახიკია

ქართული
ხატოვანი
სიტყვა-თქმანი

ტომი

III

სახელზამი

თბილისი

1955

თერო სახტკია



ქართული საგოვეანი სიფყვა-თქგანი

ტოგი III

ქ—ჯ

პროფესორ გიორგი ნიჭიანი სიფყვითა და გოლოსიტყვარობით

სახელგანი
19 თბილისი 55

ქადაგად დაცემა ჰრ. წინასწარმეტყველებდა. სტვ. ბოდვა, გაუგებარი სიტყვების წამოსროლა; ბევრი და დაუსრულებელი ლაპარაკი. მგლ. ტეტუანთ სოფო უსანეთობას ქადაგად დაეცა.

წინათ ქადაგად დაეცემოდნენ ხოლმე რომელისამე ეკლესიის კარს, მეტწილად ქალები: თვალებს ოცობოცოდ ატრიალებდნენ, იკრუნჩხებოდნენ, პირიდან დუქი გადმოსდიოდათ; ჯერ გაუგებარ სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოისროდნენ ხოლმე და მერე ვითომ გარკვეულად დაინახავდნენ იმას, რაც უნდა დაენახათ. და გულუბრყვილო დედაცა, იმასთან რჩევის სათხოვნელად მისულს, ეუბნებოდნენ: ამა და ამ ხატის მიზეზითა გყავს ავად შენი ავადმყოფიო.

იგივე ქადაგი ისე გაკადნიერდებოდა, რომ ხალხს წინდაწინვე ეტყოდა ქვეყნის მომავალ უბედურებას საერთოდ ხეობის დაცემის გამო: ხატი და ჯვარი გაიწყრომეთ და ახია თქვენზედა! მალე მოესწრებით ამ ქვეყნის დასასრულსო!..

დღეს, როცა ვინმე ბევრსა და გაუგებარ სიტყვებს ერთმანეთს უთავბოლოდ გადააბამს, ვიტყვით ხოლმე: მავანი ქადაგად დაეცაო! ან ისე ბევრის მოლაპარაკეს ვეტყვით ხოლმე: რა ქადაგად დაეცაო, ან ქადაგად ნუ დაეცაო!

ქადაგად დაცემა — ერთი ნაწილია მავიისა და საერთოდ მკითხაობისა.

ქათმების შესხდომის დრო ჰრ. ის დრო, როცა ქათმები ქანდარებზე ხსდებიან დასაძინებლად. სტვ. საღამო ხანი, დაბინდება. «ყველა-ყველა და ამოაშა ვახშმად რა გვაქვს?» — ერთს საღამოს ლუარსაშმა თავის მფუღლე-სა ჰკითხა, როცა ქათმების შესხდომის დრომ. მოაღწია» (ილ. ჭეჭავჭავი).

ქათმის თავის ნახარში ჰრ. ხარშვით

ქათმის თავისაგან გამონადენი წვეწა. სტვ. არავითარი ნათესაობა. შორეულობა ვისთანმე. იხ. ყვაევი ჩხიკვის მამილაო.

ეს დაცინვით თქმა დარჩენილია კახეთში და იზმარება, როცა ქალი დაკაცი, ერთმანეთისათვის სულ შორეულები, ერთმანეთს უნდა დაუნათესაონ და დაამტკიცონ, რომ ისინი ერთმანეთის მახლობელნი არიან, ერთმანეთს ცოლად და ქმრად არ ერგებიან, მათ შორის ნათესაური სისხლის აღრევა მოხდებოდა. ნამდვილად კი მათი ნათესაური ძალა დაედრება იმ უუთს, როგორცა აქვს ქათმის თავის ხარშვისაგან მიღებულ წვეწს, ე. ი. არავითარი ქალამანი ჩააცვეს ჰრ. მოუქნელ ტყვისაგან ასხმული ფეხსაცმელი ჩააცვეს ფეხებზე. სტვ. მოატყუეს, თვალები დაუბრმავეს, შეაცდინეს. მგლ. ჩარჩებმა ამ დღეს სოდლიდან ჩამოსულ გლეხს, რომელსაც ქალაქში ფური ჩამოეყვანა ვასაყიდად, ქალამანი ჩააცვეს.

ქალაქში რისამე ვასაყიდად ჩამოსულ გლეხის საქონელს ქალაქელი ჩარჩები ვახგებ ფასს აუწვევდნენ, სხვა მათი ამხანაგები კიდევ დაუწვევდნენ. ასე აწვალებდნენ გლეხს, რომელმაც არ იცოდა, რა ფასში ვაყიდა და ბოლოს, დატანჯული, რჩეობდა ვაკილებით ნაკლებ ფასად ვაყიდა საქონელი, ვიდრე ნამდვილია ჰღირდა.

და სწორედ ასე მოტყუებულ გლეხზე იტყოდნენ: ქალამანი ჩააცვესო, ესე იგი, ვახაზბულეს, ვაამასხარავეს, მოატყუესო. ქალამნის ჩაცმა გლეხისათვის, რომელიც მეტწილად უქალამნოდ დადიოდა და ენატრებოდა მისი ჩაცმა, ოღონდაც კარგი იყო, როცა თავის ფეხების სისწიშვლეს დაითარავდა. მაგრამ აქ სწორედ ნიშნის მოგებით, და ცინვით არის ნახმარი მისი ჩაცმა. დიდაც ვაგუხარდებოდა მისი ჩაცმა, მაგრამ ვერ მოვაროვესო!..

ქალამნის მიცემა ანუ ჰმევა (მეგრ. ჩაფულა, ჩაფულაშ ჩამა; სვანურად: ჩულიჩფული) პრე. ქალამნის ვაბოძება, ქალამნის გაღება. სვ. ქრთამის მიცემა, მოსყიდვა, დაქრთამვა. „სწამებენ ჩაჩხარაულსა ქრთამს, ქალაბანს, ინასა“ (შ. უმიკაშვილი).

ჩაფულა საბა ორბელიანს უჭვია ფეხის საცმელისათვის, ხოლო მეგრულად ჩაფულას ეძახიან ტყავის ამოსხმულ ქალამნებს. არც ისე შორეულ წარსულში ფეხსაცმელი, საქონლის, თუნდაც გამოუქნელ ტყავისგან, ყველასათვის არ იყო ხელმისაწვდომი. ხალხი, განსაკუთრებით მდაბიო (ჯერ ისე ჩვენს მასოვრობაში) ფეხშიშველა დადიოდა და ქალამანი ანუ ჩაფულა (სამალავი, იგულისხმება — ფეხისა) უმრავლესობისათვის ნატურის სავანს შეადგენდა. არც ის უნდა ვაკვივრდეს, თუ ასეთს, ჩვენი სხეულის კიდურის საფარველს მიმართავდნენ როგორც საშუალებას ვისიმე გულის მოსაგებად, ვისიმე წყალობის გამოსაღონებლად, ვისიმე წყრომისა და რისხვის გადასაქცევად — ალერსად და სიტკბოებად.

როცა „ქალამნის მიცემას ანუ ჰმევას“ პირველადი მნიშვნელობა დაეკარგა და შემორჩა მხოლოდ მისი ვადატანილი მნიშვნელობა — დაქრთამვა, მოსყიდვა, სამართლის სასწორის გადახრევილება ქრთამის გამღების სასარებლოდ, სასაცილო ამბავსაც ჰქონდა ადგილი სიტყვა „ჩაფულასთან“ დაკავშირებით. ერთ მეგრულ გლეხს მოსამართლესთან საქმე ჰქონია. ცდილობდა ფონს ვასულიყო ასე თუ ისე იოლად. ერთ მოკეთეს ურჩევია: მეტი გზა არ არის, მოსამართლეს „ჩაფულა უნდა აჭამოვო“. გლეხს პირდაპირი მნიშვნელობით გაუგია ეს რჩევა, მიუტანიი მოსამართლისათვის და უთქვამს: „აჰა, საჩაფულე, სქამე და საქმე განიკეთო“.

ქალაქია დღე პრე. ქალაქის ოღენა დღე. სვ. დაუსრულებელი, გრძელი, დიდი დღე. „ღმერთთა შენი თავდები, რო ეგოგო უფრო მეტოდება. — სთქვა მეორემ, ამ ქალაქ დღე სულ ეგრე უხის, კაცო, გვერდზე და განუწყვეტლად დასტირის ზედა“... (წ. დომოიტი).

ქალაქი გვიქვია ერთად და ბლომად შეგროვილ და ქუჩების წესზე განრიგებულ სახლებისათვის, ისევე, როგორც მტკვარი გვიქვია მრავალწყლიან

მდინარესათვის. აქედან, სიტყვა ქალაქი იქცა ყოველ სიმრავლისა და სიდიდის გამოხმატველ ცნებად.

ქალაქია ღამე იხ. ქალაქია დღე.

ქალაქი დიდა პრე. ქალაქს დიდი სივრცე უჭირავს. სვ. ქალაქში მარტო ჩვენ არა ვართ, სხვანიც ბევრნი არიან; ბევრი ხალხი დღეცევა. „რას მამბრეყვებ, გამიშვით! — სად მიხვალ? — წავალ, ქალაქი დიდა“ (ლ. არდახიანი).

ქალები მუსუხია პრე. ქალების ხარბი. სვ. მექალთანია, ქალების მოყვარული, ქალები-ღა ავონდება, გაუმადლარია. „ყველაფერი ძალიან ღამაში და მოხდენილი იყო. მაგრამ ერთი ავი სენი სჭირდა, — და ამ სენმა ისე იმას არ ავნო, როგორც მე. ქალების მუსუხია იყო და იმისთანებში ნამუსგაქნილიცა“ (ილ. გავაშვი).

ქალთამზე პრე. ქალების მზე. სვ. ყველაზე უმშვენიერესი, მწვედ ღამაში. „— ცოლდაც იქნება ჯერ აჩარება. ბევრი ქალთამზე შემოჰმზერის შენსა სახეს, ნატრობს შენს განცდას, — სთქვა ისევე ქვენათლაველმა“ (ფ. ბარნოვი).

ქალთა ტალავრის ჩაცმა ვაჟებისათვის პრე. ვაჟები რომ საქალო ტანისამოსით შეჰმოსონ. სვ. ვადედაქაცემა ვაჟებისა, შერცხვენა, თავდაუის დასხმა, სახელის ვატეხა. „თუ შემოვლენ უსურმაგები, მოახდიან მანდილს ჩვენთა დიაცთ, ქალთ ტალავარს ვაჟთ ჩაგვაცმევენ“ (ფ. ბარნოვი).

ქალის ტანისამოსის ჩაცმა ვაჟისათვის აუგია, რადგან ამ შემთხვევაში ვაჟი ემსგავსის ქალს, როგორც, ჩვენის ხალხის ძველი წარმოდგენით, ვაჟთან შედარებით, სოციალურ კიბის დაბალ საფეხურზე მდგარ არსებას.

ქალთხელმწიფე პრე. ქალების ხელმწიფე. სვ. მეტად ღამაში.

ქალი პრე. აღამიანი მღვდრობითის სქესისა, გასათხოვარი გინა გათხოვილი. სვ. ყველასაგან პატრივმული, ნამუსიანი, საზოგადოების სასარგებლო, ყოველი საქალო ღირსებით შემკული. „— მაშ ისე?! მე ქალი არა ყოფილვარ და ეს მანდილი არა მსურბია თავზე, თუ შენივე ქაბილებით არ დავაგლეჯინე შენივე ხორცები, დიდო ბატონო აშოტ!“ (ფ. ბარნოვი).

ქალი თუ ვაჟი? პრ. შეილი მდღერო ზითის სქესისა თუ მამრობითისა? სჯ. ვაცულები რამე საქმეში თუ გამარჯვება, უარი თუ თანხმობა. — აბა, ჩემო ღვიძლ დახედ უფრო უკეთეს დამო! ქალია თუ ვაჟი? — ჰკითხა მოსე გრძელადემ.

— ვაი რომ ქალია, — უპასუხა შეწუხებულსავეთ სუტკენინამ (ილ. ჰაფ-ჰაფი). „გაბრო. (შამოდის, ხელში ქალადღები უტირავს და კანონის წიგნები და შამოტრიილდება ცალ ფეხზე) ვაჟი გვყავს ვაჟი!..“ (რ. გრისთავი).

ქალი ქართველებში ოჯახის ბურჯად, გვარის გამგრძელებლად არ ითვლებოდა. თანახმად ერთი ანდაზისა, ქალი სხვათა საქონელიაო, ე. ი. რო ვახოვდება, დედ-მამის ოჯახს თავს ანებებს, სხვაგან იკეთებს ბუღესაო.

ოჯახის იმედად, ბურჯად, გვარის განმგრობად ვაჟი მიაჩნდათ. ამიტომ ბუნებრივია, რომ ქალის დაბადებას სულმუდამ უკმაყოფილოდ ხედებოდნენ. საარაკოდაცაა გადაქცეული ეს უკმაყოფილება. როცა რამე წამოწყება, საქმე, სათხოვარი უცდებოდათ, იტყოდნენ ხოლმე: ქალიაო! იმ შემთხვევაში-კი, როცა უმარჯვდებოდათ, ხელი მოემართებოდათ, იტყოდნენ ვაჟიაო...

ქალის მანდილის დახურვა პრ. ქალის თავსახურავეს დახურვა თავზე (მამაკაცის მიერ). სჯ. ვაჟაკობის უქონლობა, დედაკაცს დამსგავსება, შერცხვენა, სააუგო საქმის ჩადენა. „ქალის მანდილი და მხურეთ, თუნდა ჩამავდეთ წყალშია, აღარ მწაილიან, გაიგეთ, აღარ, გარევა ჯარშია“ (ვაჟ-ფშაველი).

ძველად, ქართველებს შეხედულებით. მამაკაცი, როგორც ფიზიკურად ღონიერი, დედაკაცთან შედარებით, ამ უკანასკნელზე მაღლა იდგა, მასთან უპირატესი იყო. ხოლო ქალის მანდილის დახურვა მამაკაცისათვის უდრიდა: მამაკაცურ თვისებებზე ხელის აღებას, ქალის დონეზე ჩამოსვლას, ქალის სადარად ვახლომას, შერცხვენას, თავს ლათის დასხმას. მეგრელები უფრო შორს მიდიოდნენ: კაცი კაცს რო ვა-აჯავრებდა, უკიდურეს შემთხვევაში ერთი მეორეს ეტყოდა: „შენი ცოლის ნიფხავი დაჯხურე თავზეო!..“ ასეთი ლანძღვა მოწინააღმდეგის განადგურებას, საქვეყნოდ თავის მოჭრას უდრიდა.

ქალს თვალი დაადგა (კაცმა) პრ. თვალი გააჩერა ქალზე. სჯ. თვალში მოუვიდა, მოეწონა, იმის დაბატრონებასა ცდილობს.

ქამანდის გდება ანუ კვრა. პრ. მარყუებიან თოკის ან ღვედის მოხვედრება ვისთვისმე. სჯ. განზრახვა ვისივე დაქერისა, ხელში ჩავლებსა მიპარვით, მოხერხებით. „გმირისეული მიუხვდა ეშმაკობას, მაგრამ თითონაც ქამანდი აჭკრა“ (ს. შავლობიშვილი). „თუ ამ უარყოფას თავის თავად შეუძლია რამე, ხომ ამ გაპოვებულ არასაც თავისი ქამანდი უნდა უგდოს და ტახტიდამ გადმოაბრძინოს“ (ილ. ჰაფჰაფი).

ქამანდი საქართველოში, განსაკუთრებით სამეგრელოში, იხმარებოდა ცხენების დასაქერად, რომლებიც, ჩვეულებრივ ზამთარ-ზაფხულ-მინდვრათა ჰყავდათ ხოლმე და ამიტომ ნახევრად გარეულები იყვნენ.

ქამარის დაკარგვა პრ. ქამარის გაუჩინარება. სჯ. ძალზე მოწიფება. „ცხრად არის მოკეცილი (დიაკვანი), ლამის ქამარი დაეკარგოს“ (მელანია). როცა კაცი დიდი ხნის უქმელია, მუცელი, რომელზედაც ქამარი არტყია, ხერხემლის ძვლისაკენ შეიწვეს, ასე რომ, მისი ქამარიც გაუჩინარდება, იკარგვის.

ქამხა-ატლახი პრ. ძვირფასი აბრეშუმის ნაქსოვი. სჯ. ძვირფასი რამე. „ახ! საწყალი ჩემი თველები ალბათ შიგნით ჩაბრუნდნენ, შინისაკენ მიიქცნენ და იქ ანათებენ, ძველის-ძველ ამბებს, ქამხა-ატლახივით შიმშილ დაკეცილ ძვირფას სათქმელებს“.

ქანცის გაწყლომა პრ. მოქანცვა. სჯ. დაღალვა, დასუსტება, ძალ-ღონის გამოცლა, შეუძლებლობა. „ერი ამით (მღვდლის შენახვით) ძალიან შეწუხებული და მომდღურავი. ამას უსათულო წამალი რამ უნდა დაედოს, თორემ ერს, ლამის, ქანცი გააუწყდეს“ (ილ. ჰაფჰაფი).

ქარ-ბორიოს! პრ. ქარისა და ბორიოსათვისამც ვამიტანებია, ქარბორიოსამც წაუღია. სჯ. ნუმც იქნების, ცუდი აგვზორდეს თავიდან, ავი და ბოროტი აგვცდეს. მკლ. ცეცხლი — ქარ-ბორიოს!.. რო გაგვიჩნდეს, ხომ დავილუშენით!.. სანამ მეზობლები მოგ-



ვეშველებოდნენ, დედიან-ბუდიანად გადვებუგებთ.

შელოცვის ფორმულაა. ხმარობდნენ, როგორც შემოღებულ წინადადებას, როცა რომელიმე უბედურობის (სიკვდილი, ცეცხლი, წყალდიდობა, სეტყვა, მეხი და სხვ.) შესატყვისს ცნებას ახსენებდნენ. ასეთის სიტყვის ხსენებაზე ამ ფორმულას დაატანდნენ და სწამდათ, რომ რაქი სიავეს ქარსა და ბორიოს ვაატანენ, მოხდება მისი ნეიტრალიზაცია, ადამიანის დამაზიანებელი ძალა წაერთმევა, და მსმენელნი გადარჩებიან განსაცდელსო.

თვით სიტყვა ბორიო ბერძნულად (ბორეა) უჭევით ჩრდილოეთის ცივი ქარისათვის, რომელიც რასაც-კი მოხვდება, გაუყინავს არ გაუშვებს. მეგრულში ეს თქმა ხშირად ისმის, ხოლო თანამედროვე ქართულ ლაპარაკში აღარც-კი ხმარობენ, ლექსიკონებში თუ-ღაა.

ქართულად გეუბნები ჰრდ. ქართველებს ენით გელაპარაკები. სვგ. ვასალებად, ნათლად, სწორედ გელაპარაკები.

ქართული ჰრდ. ქართველი ერის სალაპარაკო ენა. სვგ. საერთოდ ლაპარაკი, უბნობა, მეტყველება. „მაშინ-ღა პნახეთ მოლოქსე და მისი მოშაირობა, რა ველარ მიჰხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა, არ შეამოკლოს ქართული, არა ჰქმნას სიტყვა-მცირობა“ (წ. რუსთაველი). „აქ ძიძის ქართულით ხელნწიფემ თავისი შვილი სისიკვდილოდ მისცა ჯალათებსა“ (თიმსარხანი).

სიტყვა „ქართული“ მეტყველების შესატყვისად ათასში ერთხელ ახ. უკეთ, სულაც არ იხმარება. თუ ვხმარობთ, მხოლოდ სააუგო სიტყვის გამოსახატავად ვხმარობთ. მაგ., როცა ვინმე უხანს სიტყვებსა ჰხარჯავს, ვეტყვით ხოლმე: ესეთი „ქართული“ შენთვის შეინახეო.

ქარი ჰრდ. ატმოსფერული ჰაერი, რომელიც ადგილს იცვლის განსაზღვრული მიმართულებით. სვგ. ძალი, შრო, უნარი, გამჭრიახობა; სიკეთე, სიკეთე, შერევილობა; სწრაფი. „მადაო, ჩემო კარგო, რომ ბერკაცს თვალიც ატყუებს და ხელიც ჰლატობს, ის ქარი აღარა აქვს, რაც ახალგაზრდას. შენს ხანში ხელს არ მოეიტეხები, რომ ეს ამბავი მომსელოდა?!“ (ილ. ჭავჭავაძე).

ბავაძე). „არავინ დამიჭერს ქალს, რომელი მოქალაქე გამიბედავს, ქალი არ მომცეს! მაგრამ ვაი თუ ვინმე ქარი შემომიფარდეს სახლში“ (გ. ბარცხვი).

ქარი გვიქვია აგრეთვე მეტად სწრაფ მორბენალ ცხენისათვის, რომელიც თავის სიმარლით ქარსაც კი გაუსწრებს ხოლმე.

ქარიანი ჰრდ. ქარის მქონელი. სვგ. დაუდევარი, უშეკუო, ბრიყვი.

ქარიანობა ჰრდ. ქარის ქროლა. სვგ. სიცხე; ქუჩის ნაკლებობა, სიმსუბუქე ქუჩისა, დაუდგრომლობა.

ქარისა და მზის მეტი არავინ მივიდეს (სადმე) ჰრდ. მხოლოდ ქარსა და მზეს შეეძლოს მისვლა სადმე. სვგ. ადამიანს არავის შეეძლოს მისვლა. „მე არაფერი მინდა, ბატონო, გიმანთავისუფლე, რომ ქარისა და მზის მეტი ჩემს კარებზე არავინ მოვიდესო“ (თ. რაზიკაშვილი).

ქარის ამოღება მუხლებისა ან ხელფეხისათვის ჰრდ. ქარის ამოცლა მუხლებისა ან ხელფეხისაგან. სვგ. სიარულისა ან ფიზიკური მუშაობის შეწყვეტა, შესვენება, გაჩერება, დადგომა. „ველარ მომიბინა გულმა, ესთქვი, რაც უნდა იყოს, მივალ, იქნება, ვთქმევინო რამე: მაინც ცოტა დაღლილი ვარ, ნათლიმამის სახლამდინაც კი მანძილი იყო კიდევ. სხვა არა იყოს რა, ქარი მაინც ამოვადებინებდი დაღლილს მუხლებსა“ (ილ. ჭავჭავაძე). „იქნება თითონაც არ იცოდა, რათ მოდიოდა ასე სისწრაფით, რათ მოფორთხამდა ციხის კიბეზედ. ციხის კარს რომ მოაღვა, შეჩერდა, ქარი ამოიღო“ (ლ. მგალობლიშვილი).

ჩვენი ხალხის აზრით, ბევრი სიარულისა ან ხელით მუშაობის დროს მუხლებში ქარი გვიგროვდება ხოლმე, რომელიც სიარულის უშლის კაცს. გამოიწვევს დაღლილობას, რაც ამოღებულ უნდა იქნეს დასვენებითა.

ქარის გატარება ჰრდ. ქარისათვის ზღის მიცემა, ქარის შემეება; სვგ. მიწას აცილება მიმე საგნისა. — ბიჭო, მე თითონ იქ ვიყავი და ვნახე, როგორც იყო ეგ ამბავი: რომ დისწვდა (ქიქიკა) საპაღლით სავსე ურემს ღერძში, ქარი გაუტარა ურმის თვალს, ააციმციმა“ (გ. ბარსოვი).

ქარის მონაბერი (ან მოტანილი) ჰრდ.



რაც ქარის ბერვეთაა მოღებული. ს.ჯვ. არასერიოზული, არასაიმედო, „ბევრი ვეძახე (შეაგრძენს), ბევრი ვუქნიე ხელსახოცი, ხან ხორცის დიდი ნაჭერი, მაგრამ იმას ეს ყველა ქარის მონაბერ საქმეს მიაჩნდა. (ვაუ-ფაფელა). „ქარისა არც შემოტანილი ვარგა და აღარც გატანილი“ (ხალხური ანდახა).

ქარიც არ მოვადინოთ ჰრდ. ქარი არ მოვიდეს თქვენთან. ს.ჯვ. ერთი ბეწო არა გავნოთ რა. ზიანი რამ არ მოგადგესთ. „ვაი ავკაცს, რომ თქვენი ცოდვა აუღია, თორემ თქვენ რა გიქრით?! ასე ჩავიყვანთ ქალაქში, რომ ქარიც არ მოვადინოთ“ (ილ. ჰაჭავაძე).

ქარი წაიღებს (რასმე) ჰრდ. ქარი ერთ ილაგას არ დააყენებს, მოიტაცებს. ს.ჯვ. არ დამახსოვრდებათ, დაივიწყებენ, სიტყვები სიტყვებად დარჩება. „მაგრამ ქეთინოს ეკვი არ შორდებოდა, დარწმუნებული იყო, რომ ის (პალიკო) ვერ შესძლებდა აღთქმის შესრულებას, ამ სიტყვებსაც ჩვეულებრივად ქარი წაიღებდა“ (ან. ურისთავ-ხომტარი).

ამ თქმას უფრო დაცინვითად და უნდობლობის გამოსახატავადა ჰხმარობენ. მიჰმართავთ ამ თქმას უფროს ერთ იმ შემთხვევაში, როცა ვისიმე დაპირებისა და ნათქვამის ასრულებისა აღარა გჯერათ, მის სიტყვასა და საქმეს შუადიდს ზღვარსა სდებთ, ერთის სიტყვით, როცა წინდაწინვე დარწმუნებული ბრძანდებით და გამოცდილებით მოგეხსენებათ, რომ მის ნათქვამისაგან არსებითი არა გამოვა რა, მისი სიტყვები ქარს იქნება გატანებული.

ქარსგატანება ჰრდ. ქარისათვის წაღებინება. ს.ჯვ. გადაგდება, მოშორება, მოსპობა. „ეს ბოლმა იოსებმა მალე ქარს გაატანა: შენი ჰირიმი, შეილი კოლა, — უთხრა ერთხელ იოსებმა, როდესაც კოლა იმთხით მივიდა ანიჩკას სანახავად, — ოღონდ შენ ერთი მღვდლად ეკურთხე და რაც ქრთამ-მზითვეს დაგპირდი, ერთ იმდენს სხვასაც მოაკტე“ (ფნ. მენთუ-შაშვილი).

ქარფხე ჰრდ. ქარის მსგავს ფეხებიანი სიარულში. ს.ჯვ. მეტად სწრაფმავა-

ლი. „ცხენი არაბეთს გაზდილი, სხვათა ქარფეხთა მსწრფეთა“ (ფეშანგი).

სისწრაფის მაჩვენებელია: ქროლა ქარისა, ფრენა ჩიტისა, ელვა, თვალის დახამხამება...

ქარქაშიდან ხმლის ამოღება ჰრდ. ხმლის გაშეშვლება. ქარქაშით ამოწვდენა. ს.ჯვ. ომის დაწყება, ბრძოლა. „ქვეყანა მოსვენებული იყო, კახეთის ცა — მოწმენდილი; სამტროდ არაეცნა ემზირებოდა კახთ, არც თითონ კახს ამოელო ამქაშიდ ხმალი ქარქაშიდან და გულსამსე იყო მზირულება, უხვი, წრფელი, მოციხარე“ (ც. ბარნოვი).

ქარქაშში ხმლის ჩაგება ჰრდ. ხმლის შენახვა ქარქაშში. ს.ჯვ. ბრძოლის, ნხუბის შეწყვეტა, მშვიდობიანობის და სიყვარულის ჩამოგდება. „მას აქეთა, ქართლი, შენს შეილსა არ ჩაუგია ქარქაშში ხმალი... შენენ მოიქცა ძველის ქვეყნისა გაუმამლარი და ხარბი თვალი“ (ილ. ჰაჭავაძე). „და ნეტა რისთვის, ვიცოდე, ეს მაინც გამაგებინა, ნუთუ მან ხმალი ქარქაშში ამისთვის ჩამაგებინა?!“ (ნ. მღვიმელი).

ქარქვეტა ჰრდ. ეკლიანი ბალახია, რომელსაც გახმობის შემდეგ ქარი იქით-აქით დააგორებს. ს.ჯვ. უგზო-უკვლოდ მავალი, მოხეტიალე. ზგლ. ქარქვეტასებრ რას დაპგორავ აღმა-დაღმა?!

ქარქვეტას ნაყოფი აგვისტოში მწიფდება. ამავე დროს ბალახი სრულიად გახმება, ქარისაგან თავის ღეროს მოსწყდება ძირში. ქარი გაიტაცებს და აგორავებს ყველგან. გორაობაში მცენარე თესლსა ჰმახტავს და ეს არის მისი გამრავლების ხერხიცა. ხატკვანად ამ აგორებულ ქარქვეტას აღარებენ მოხეტიალე აღმაიანს, რომელმაც თვითონ არ იცის, სად დადის და სად არა.

ქარქვეტას აგორებულ ეკალსაც ეძახიან. **ქარ-ციცხლში გამოვლილი** ჰრდ. ქარსა და ციციხლში ნამყოფი და იქიდან უვნებლად გამოსული. ს.ჯვ. ბევრი ქირ-ვარამის მნახველი, გამოცდილი. ზგლ. ბიჭიან ისე ნუ უყურებ, — ათას ქარ-ციცხლშია გამოვლილი!..

ქახურების გაწევა ახ. მოქასურება. **ქახუს ვადენა** რაიმე საქმისათვის ჰრდ. რაიმე ისე აამოძრავოს, რომ ქათვი

გედინოს. სკვ. დიდი შრომის გაწევა, თავის დაუზოგველობა.

ქაფისტი *ახ. აქათვა.*

ქაჯეთის ციხე *პრდ.* ქაჯების საცხოვრებელი ადგილის ციხე. სკვ. მიუვალი, ადამიანისაგან შეუვალი ადგილი; უძლეველი ხალხის საცხოვრებელი ადგილი. „და რა მიუვალი ქაჯეთის ციხე ყოფილა ეს ჩვენი ახალი თაობა, თუ რომ ვერც თერგ-დალეულების მაგალითმა და მოღვაწეობამ გასწმინდა და გაათაქიხა იმისი გრძობა და გონება, სული და გული, ზნე და ხასიათი და ვერც მდიდარმა უცხო მწერლობამ მოხიზლა იმისი თვალი“ (ილ. პაპავაძე). „ქაჯეთს ერთხელ კვლაც ვყოფილვარ, მხახვით, თქვეცა გგნებდნენ; ყოველგვით კლდეა გარემომო მტერი ვერა მოადგებინა“ (ზ. რუსთაველი).

ქაჯეთის ციხე-ციხე-სიმაგრე *ზღაპრულ არსებათა, საცა ფარსადან ნეფის დის დავარის შიერ იყო დამწყვედებული „ვეფხისტყაოსნის“ გმირი ქალი—ნესტან-დარეჯანი, და საიდანაც ის გამოიხსნეს ტარიელმა, ავთანდილმა და ფრიდონმა.*

(ვისსამე) ქება-დიდებაში მოიღალა *პრდ.* იმდენი აქო და აღიდა, რომ ძალღონე გამოეღია, ძალიან დაშვრა. სკვ. დიდი ძალა დაატანა თავის თავს, ბევრს ეცადა, სულ ბევრი აქო. „საქმე ის არის, რომ მინამ კუტული ტფილისის იყო, სომხების ქება-დიდებაში მოიღალა“ (ილ. პაპავაძე).

ქებათა-ქება *პრდ.* საქებათა ქება. სკვ. უსაზღვრო ქება. „დიახ, მარტო პირადმა შრომამა და ენერგიამ შეჭქმნა ის სიმდიდრე, რომელსაც გუნდრუქს უკმევენ და მოწიწებით, კრძალვით ქებათა-ქებას უგალობენ“ (ნ. ურბნელი).

ქებათა-ქება *ერთ-ერთი ნაწილია ძველი აღთქმისა. ეს მიეწერება ისრაელთა მეფე სოლომონს და შიგ ჩაქაოვილია აღმოსავლეთის პოეზია და ფანტაზია.*

ქედადრეკილი *პრდ.* კისერდახრილი. სკვ. მორჩილი, მონამოსანსახურე.

ქედის მოდრეკა *პრდ.* კისრის მოხრა უკანდან წინად და დაბლა, სკვ. მორჩილება, თავის დამდაბლება, თავის დაქინება. „ქრისტეს წინ წარესდგი ქედდრეკით, თავი ვერ მალ-

ლა ავილო“ (დ. ზურაბიშვილი). *ახ. ქედ-მოუდრეკელი.*

ქედის მოხრა *პრდ.* თავის მოდრეკა, მოღუნვა ვისამე წინაშე. სკვ. თავის დამტირება, თავის სისაწყლის გამოჩენა, თავის შებრალებინება, დამარცხებულად და მორეულად აღიარება თავისა, დამორჩილება, თავმდაბლობა, თავდაპერილობა, თავაზიანობა. „სხვა ყველა დავემორჩილე: მალცა მებიახადა. შენ არ მიხრიდი მხოლოდ ქედს, მოგეკე ხერხიანადა?“ (ფაქ-ფსევლა). „ან თქვე ბრძანეთ განაჩენი, ქედს მოვუხრი ჩემს სასჯელსა!“ (რ. ერისთავი).

როცა კაცი ბრძოლის დროს ძლეულია, ან რამე საქმეში გამტყუნებულა და თავის უძლეურობის თუ სიმტყუნის გამოხატვის მეტი არა დარჩენია, თავს დაღუნავს, ქედს მოხრის, თავისს კისერს შეუშვერს მძლეველს, რაც ჰეულისხმობს: ძლეულის ხსრივ მზადყოფნის მძლეველის მიერ მისთვის კისრის მოჭრად (ახ. „შენი ხმალი, ჩემი — კისერი“).

ქედმადლობა *პრდ.* მაღალი კისრიანობა. სკვ. ყიფიანობა, ამპარტაუნობა, ზეიანობა. „ეს დამარცხება სწორედ მაშინ დაატყდა თავს ხალხი იზიდის ძეს, როცა მეტად ქედმადლობდა გამარჯვებული და ზეიმობდა“ (ფ. ბარნოვი).

ქედმოუდრეკელი *პრდ.* ვინც კისერს არ ხრის, სულ გამართული აქვს. სკვ. ზეაფი, ყიფიანი; ამპარტაუნია, ამაყი, ზეიანი. *მკლ.* შენი მეგობარი, ჩემო ძმაო, ერთი ქედმოუდრეკელი ვინმეა, მისთან რჩევა-დარიცება არ გადის.

ქელეხი *პრდ.* მიცვალებულთა მოსახსენებლად გამართული პურიობა. სკვ. მუჭით, უსასყიდლო, იოლი მოსაპოვებელი, სიკვდილის დღე. „ლურსაბა, მე გახლავარ!.. ქაიხა!.. დიახ!.. (ჩაიციენებს ოხუნჯურათ, მერე გამობრუნდება და ვაშლილ სუფრაზე ჰკითხავს ცოლს). ეს რაღა არი? ვისთვის არი?... შაპიშენის ქელეხი აა?.. (რ. ერისთავი). „ხუცესმა უთხრა ხუცესსა: ქელეხი არის რუსეთსა.— შორი არ არის, თუ ჭორი არ არისო“ (ხალხური ანდაზა).

ქელეხი *გვიქვია პურობისათვის, მიცვალებულის დასაულავების დღეს რომ მართავენ გასვენებაზე დამსწრეთა*



პატესსაცემად, რა თქმა უნდა, მუქთად და ამიტომ „მუქთი ქელეხიცა“ ჰქვია. ქელეხს განსაკუთრებით ეტანებიან ისეთები, ვისაც შრომა ეზარებათ და მუქთად ნამოვნი პურის ქამა ემარჯვენათ.

დიდი წყევლაა, როცა ვაგავრებული მეზობელი მეზობელს ეტყვის: 'მეხი ქელეხი მეჭამოსო!.. ესა ნიშნავს: შენს სიკვდილს მოგსწრებოდე, რომ შენს გასვენებაზე გამართული ქელეხი ვჭამოვო. ყოველისავე უსასყიდლოს, გაურჯელად ნამოვნის მოყვარულობას „მუქთი ქელეხი“ ჰქვია.

ქელვა პრ. ფეხით სრესა, ქყლტა. ზგ. შემუსერა, მოსპობა. „ბიძა შენი უქემოთ ირთავს!.. იპ, იპ! ნეტავი ხანუშის თიებსა! ფოშტის ცხენითი ქალაქის ქუჩები მაქელვინა, ორმოცი წლის ქამი ამაცუნტრუქებინა და ახლა სხვას ირთავს!“ (აქვ. ცაგარული). ის. თელვა.

ქერის ორმოში ჩავარდნა პრ. საცა ქერი ინახება, იმ ორმოში მოთავსება. ზგ. გაკეთება, რამე სიკეთე მოულოდნელად კარზე რომ მიაღდგება ელსზე, დიდს ბედს რომ ეწვია. „შენ ჰწორო ხარ ქუნიანზე, ბაყბაყო, მაგრამ ეს კი დაგავიწყდა, სოფლიქამია მოხელეები და ნიკორა-კარტუნიანებიც კი ჩაკვივიან, ბიჭო, წლეულ ქერი ის ორმოში“ (დ. მანანუი). „ჰოდა, მაგიტომ ჩავცვივით ხოლმე ქერის ორმოში! რის ფლავი, რის ბოზბაში! ვინ არის ხოლმე?“ (ია. წინამძღვრიშვილი).

ქერის ფხანა პრ. თითის ფრჩხილებით ფხეკა თავის უკანა ნაწილისა. ზგ. დაფიქრება, ორჭოფობა, გადაუწყვეტლობა რისანზე, ზოზინი. „ჩვენ ერთმანეთს ვაწბილებული თვლით გადავხედეთ; თავები ჩავლუნეთ და ქეჩოში ფხანას მიეყუევით“ (ფაქ. ფშველა).

როცა რამე საქმე დაგვაფიქრებს, გვიჭირს რისანზე გამოჯივება და გადაწყვეტა, ვყოყმანობთ, არ ვიცით, რა გზას დავადგეთ, მაშინ თავებს ჩაქვინდრავთ და ქერის ანუ თავის უკანა ნაწილის ფხანას მოყუევებით, თითქო თავის ტვინი უნდა ვაგაღიზიანოთ და ვაკარნახებინოთ, თუ რა გარკვეულ გზას უნდა დავადგეთ, როგორ სჯობია, რომ მოვიქცეთ.

ქვა პრ. ქვას ემსგავსის სიმეგრითა.

ზგ. უღმობელია, შეუბრალებელი, უგრძობელი, მის გულს სიბრაღული არ ვაეპარება. „ჩვენში ვგ მკვდარი, უსულო, უგულო და უენო მოწმენიციკი (ქვევი) მოგვეთხრობენ ათისის წლების ამბებსა, მაგრამ პირმეტყველი, სულოვანი და გულოვანი „KABKAS“ ქვაზედ უფრო ქვა ყოფილა“ (ილ. ჰავ. ქავ. 40). ის. ქვასავით მაგარი ია.

აქ აქვთ და კბილი ეწყალვით პრ. ქმეა უშოვნით და კბილებზე ნერწყვა ოსვლიათ მის საქმელად. ზგ. არაფერი აბადიათ, სრულებით უსაქმლოდ არიან, შიმშილით იხოცებიან. „განა არ ვიცით, რა სამშობლოს პატრონიც არის! ქვა აქვთ და კბილი ეწყალვით! ნეტა-რა აფალით მოაქვს ახლა თავი?!“ (ან. ვრის-თავ-ხომტარია).

ქვა, როგორც არაორგანული ნივთიერება, ქართულ ლაპარაკში, სხვათა შორის, ინმარება უქონლობის, უარაობის, უკიდურეს ყოფის სინონიმად. მოტანილ მაგალითშიაც დადებითი წინადადება კიდევ იმიტომია დაცინვით გამომთქმელი უქუთქმისა, უარყოფისა, სულ მეტოქე აზრისა.

ქვაბიძირა პრ. ქვაბის ძირის მსგავსი. ზგ. მეტად შავი, შავტუნა. ზგლ. ე გოგო ნამდვილი ქვაბიძირაა. ქვაბის ძირი ჩვენებურს სამზარეულოში, როგორც მოგვესწენებათ, მუდამ მურიაინა, ძალზე შავი. ქვაბიძირას ქართლში ეძახიან განსაკუთრებულის, არმოსაწონის სიშავის ქალს, მისი დაწუნების გამოსახატავად.

ქვაბში ხელის ჩაყოფა პრ. ქვაბში (საქმლიან) ხელის მოთავსება. ზგ. საშოვარის დასაკუთრება, რისანზე მთვისება. „ადიდი ხანია, იცის სურტკენინაბა, რომ შეიძლება, მაგრამ კარგა მსუქანის ლუქნის ამოვლება უყვარდა, რაკი ქვაბში ხელს ჩაჰყოფდ ახოლმე“ (ილ. ქავ. 40). ის. ქვა და გუნდის მიყრა. ქვის მიგდება.

ქვად ქიფა პრ. ქვის თვისებათა მიღება. ზგ. გაკერება, შეუსმენლობა, უგრძობლობა, ვაუგონრობა. „დაჩუმდა დიასახლისი, ხმა აღორ გასცა, ეშინოდა, ყველა არ განრისხებულ: იყო და არ დაეფიცა. თორემ ვადა-ათქმევივინებდნენ, ველარ დასძრავდნენ, გაჯიქდებოდა. ქვად იქცეოდა“ (ფ. ბარბაქაძე). ის. გაქვავება.



ქვა ეშმაკსა ჰრდ. ეშმაკს ქვა მოხედეს. სჭვ. ეშმაკი ძლეულ იქნეს, რომ ჩვენ ვერაფერი გვავენოს. — ჯვარი აქა-ურობას!.. ქვა ეშმაკსა!.. — წა-იზუტბუტა მათემ, პირჯვარი დაღა-იწერა, უფრო ახლო მივიდა და მი-წაზე გამხლართულს კაცს წააწყდა“ (ტყის კაცი).

ქვა ზედაც საზრდოს იშოვის ჰრდ. ქვა-ზედაც აღმოაჩენს საროს. სჭვ. მო-ხერხებულია, არ დაეკარგება ცხოვ-რებაში, გაუჩენელს გააჩენს, იქაც კი იშოვის რასმე (მაგ. ქვაზე), საცა არა-ფერია. „ღიად, ღიად, შენ არ მო-მიკვდე, უშენოდ მშვიერი მოგვედგო-დი!.. მე ისეთი ბიჭი ვიყავ, რომ ქვაზედაც საზრდოს ვიშო-ვიდი“ (ფ. ვაბაშვილი). „მართალს იტყოდა: ღრმა განათლება, გაკვლე-ული ხასიათი განმტკიცებული, ქვა-ზე დაგესვა, თავის რჩენას მოახერხებდა“ (ფ. ბარნოვი).

ქვაკუთხედი ჰრდ. საფუძველი, რომელ-ზედაც ეშყარება რამე შენობა. სჭვ. დასაყრდნობი რისამე. ჩვენ-კი იმ აზრისანი ვართ, რომ ერთისა და მე-ორის შესწავლა ჩვენთვის აუცილებ-ლად საჭიროა; მხოლოდ იმ პირო-ბით-კი, რომ, რაც შეიძლება, მეტი ძალდონე მოვახმაროთ ჩვენს მწერ-ლობას და საქუთარის ვითარების შესწავლა გავიხადოთ ქვაკუთხე-თად ყოველისავე ცოდნისა“ (ილ. ჰე-ვაძე).

ქვანაკრავი ჰრდ. ქვამოხვედრილი, ქვით ნაცემი. სჭვ. ტანჯული, შეწუხებული დაკოდილი. „ამ სიტყვებით გიომ ჩა-იარა ბოსლის ბოლოში (საქონლის ასაშვებად), მე-კი ქვანაკრავი ვით გამოვედი დაღონებული“ (ელ. ჩერქე-შივილი).

ქვას აცივებს ჰრდ. ქვას ცივად ხდის სჭვ. საშინელი ბოროტია, ავაზაკია. იგულისხმება საშინელი ბოროტება ადამიანისა, რომელსაც შეუძლია ქვა, ისედაც ცივი, უარესად გააცივოს.

ქვასაც კი გააღვიძებდა ჰრდ. ქვასაც კი გამოაუხიზლებდა. სჭვ. უმოქმედოს აამოქმედებდა, აამუშავებდა. „მისსა (თევდორესი) მუშაობა რომ ენახა

კაცს, — თუნდა მარტო ყოფილიყო, — ქორწილი ეგონებოდა. ქვასაც კი გააღვიძებდა და ხელს გაანძ-რეინებდა“ (ილ. ჰევაძე).

ქვასაც კი წყალს გამოადენს ჰრდ. ქვი-დანაც წყალს გამოიყვანს. სჭვ. მე-ტის-მეტი მოხერხებულია, ყველაფ-რის გაკეთების შნო და უნარი აქვს, არაფრისაგან საქმეს შექმნის, ხელი ყველგან მიუწვდება, ღონიერია. „მცოდნე კაცი კი ქვასაც წყალს გამოადენს, სიმდიდრის წყაროს იქ ამოახეთქებს, საცა უცოდინარს სინამარხიც არ მოეჩვენება“ (ილ. ჰე-ვაძე).

ქვა საკმელად ენატრება ჰრდ. ნატრობს საკმელად ქვა ექნეს. სჭვ. საკმელი ჰური არა აქვს, სრულებით უსაკმე-ლოდაა დარჩენილი. „საკმელათ პური არა აქვს (გლახას), ქვა საკმელათ ენატრება“ (ბ. შმიგაშვილი). ის. ქვა ქადა ჰგონია.

ქვასა მშეთქავს ჰრდ. ქვასა სტეხავს. სჭვ. მეტად დასაბუთებულია, მტკი-ცეა, დაურღვეველია არზა რაიმე, მოხსენება, წერილობით გამოთქმული რაიმე მოსაზრება. „აი თუნდა 1859 წ. ოქტომბრის თუ ნოემბრის ქრტილ-ში — ეს ოხერი, მონდოდა ქრტიკის მნიშვნელობა ისე ამეხსნა, რომ ქვა გავმეხეთქნა“ (ილ. ავაძე). „ოპ. რა არზა დავსწერდი!.. ქვას გა-ხეთქამს, ქვასა!..“ (რ. ერისთავი).

პირველყოფილი მდგომარეობიდან მოკიდებული ქვა აღამიანს ზუმაგრეს ნივთიერებად მიაჩნდა. ასეთმა წარმოდ-გენამ ქვაზე მეგვიდრეობით თანამედ-როვე აღამიანამდეც მოაღწია. და რო-ცა ვისმე უნდა ამა თუ იმ საგნის სიმ-ტკიცის ამბავი გვითხრას, ამ საგანს ქვას იღარებს, რომლის გახეთქვა. ნა-ტეხებად ქცევა მისგან მოითხოვს დიდ-სა და დიდ ენერჯიას.

ქვას ახსენებდნენ ძველად ამა თუ იმ მაღალხარისხოვან გვამისათვის, გინა დაწესებულებაში მისართმევე თხოვნი, გინა სარჩიელის დაწერის დროს. როცა უნდოდათ ექით თხოვნაში გამოთქმული აზრის საბუთიანობა, მისი ურყევლობა, როცა უნდოდათ გაეთვალისწინებინათ ის ეფექტი, რომელსაც გამოიწვევდა წამკითხველში ეს თხოვნა, იტყობდნენ: ქვასაც გახეთქავსო! ე. ი. ძნე-ლად დასამტვრევ. მაგარი ქვის სიმტკი-ცე აქვსო და ქვას რომ მიაყნო, გა-



ხეტქავსო, ქვაზე მეტი ძალი აქვსო, წამკითხველს ხომ მოულობს და მოულობს გულს და ვადაძხრის არზის მიმართმევის სასარგებლოდაო.

ქვა სდებია მკერდში ჰრდ. გულის მაგიერ ქვა აქვს. ზვ. ულმობელია, შეუბრალებელია. „წყვეთი მარიკოც რომ შორს გაუხტა! გული კი არა, ქვა სდებია მკერდში გულმკვდარს! ეხლა ჯაშაიანთ სოლომონას ეარშიყება“ (ფ. ბარნოვი). „ოთარაინთკერის გულის მაგიერ ქვა უდევსო, — ამბობდნენ სოფელში“ (ილ. ჰაქვაძე).

ქვას ქვაზე დავადნობ და ჩემს სიტყვას არ გავტენ ჰრდ. იმდენს ვილონისიებ, რომ ქვა ქვაზე დავადნო, ოღონდ ჩემს ნათქვამზე უარი არა ვსთქვებ. ზვ. შეუძლებელსაც კი შევიძლებ, ოღონდ უპირული არ გამოვიდე ვისთანმე. ჰგლ. ქვას ქვაზე დავადნობ და რასაც დავპირდი, შეგისრულებ.

ქვა შეიძლება დაიფშენას. ქვიშიად იქცეს, მაგრამ მისი დადნობა, როგორც მადნისა რისამე, შეუძლებელია.

აი, ამ შეუძლებელის შესაძლებლობას ჰპირდება უცნობი ავტორი ამ თქმისა იმას, ვისაც რისამე ვაკეთებას დაპირებია, პატიოსანი სიტყვა მიუცია, — ამ სიტყვას არ გავტეხო.

ქვას ქვეშ (შენი ან ვისიმე თავი) ჰრდ.

ქვა დაგფეაროს ზევიდან. ზვ. მოკვდი, სამარე გავეთხაროს, ქვას ქვეშამც მოქცეულხარ. „ქვას ქვეშ მაგისთანა ქალები! ქვა-მეხი დევცათ. ჩემი რომ იყვნენ, ზედ შუაზე გავგლეჯდი!“ (ახიანი).

წყველის ფორმულაა, რომელსაც მიზნად ამოღებული აქვს სიკვდილი, ცოცხლებში გამოწყდომა იმისი. ვისაც ამ წყევლით მიმართავენ.

ქვას ქვეშ არ დაყენება ჰრდ. ქვასაც კი არ უშეგდნენ ვადაუბრუნებელს, იქნებ მის ქვეშ იყოს რამეო. ზვ. ყველგან ძებნა, არსად დატოვება. „გაფრცელდა სოფლად საშინელი ქურდობა, გააწყეს სოფლად ქათამი, ბატი, ინდოური, გოკი, ქვას ქვეშ აღარ აყენებდნენ“ (ს. მგალოლიშვილი).

ქვა წარმოდგენილია, როგორც, გაქირვების დროს, საუკეთესო დასამალავი ადგილი. მას ქვეშ მოთავსებულს, მას შეფარებულს იმედი და შანსი აქვს მტრის თვალებს ვადაურჩეს, მტრის დევნულებას გარემე დარჩეს. მეტიად გამძვინვებული უნდა იყოს მტერი, რომ ქვას ქვეშაც კი დაუწყოს ძებნა ვისმე ან რასმე.

ქვას წვენს გამოადენს იქ. ქვასაც კი წყალს გამოადენს.

ქვა ტყვრება სიცივისაგან ჰრდ. ქვა სკდება სიცივისაგან. ზვ. ძალიან ცივა. „გარეთ ქარი ღმუის, ცივა, ქვა ტყვრება სიცივისაგან, ნამქერს ისერის ქარი“ (ვაფ. ფშაველა).

ქვა ქადა ჰგონია ჰრდ. როცა ქვასა ნახავს, ქადას ამსგავსებს. ზვ. არაფერი აბადია, მშვირია, მეტიად ღარიბია. „ღარიბადა ცხოვრობენ (ცოლქმარი), არაფერი არ ებადებათ, ქვა ქადა ჰგონიათ“ (თ. რაზიკაშვილი). იხ. ქვა საქმელად ენატრება.

ქვა ქვაზედ ნულარ დარჩება ჰრდ. ქვაც კი მოისპოს. ზვ. ყველაფერი შეიმუხროს, განადგურდეს, დაიმსვრეს საესებით დაინგრეს. „თუ მე არ ვიქნები, ქიყყანა თუნდ ძირიანად ამოვარდნილა, თუნდ, ბოდბელისა არ იყოს, ქვა ქვაზედ ნულარ იქნება, — სთქვა ლუარსაბმა“ (ილ. ჰაქვაძე). „ბევრი ცეცხლი და მახვილი შეუტანია დაღესტანს თუშეთში, ბერის სოფლის ქვა ქვაზედ აღა დაუენარჩუნებია, ამ ხალხს სიმტკიცე კი ვერა და ვერ დაუჩაგრია“ (ივ. ბუჭრაული).

ამ საშინელი წყველის ფორმულას ჯერ ისევ სახარებაში ვხვდებით. ქართულ მეტყველებაში ეს წყველა განსაკუთრებით პოპულარული ვახდა მას შემდეგ, რაც ბოდბელმა (ქიზიყში) მიტროპოლიტმა იოანემ (მაყაშვილმა) იხმარა სიკვდილს წინ, XIX საუკუნის დასაწყისში. რომ კვდებოდა, მისულან და უთხოვნიათ: მეუფეო, სიკვდილს წინ დალოცე საქართველო და შენი სულიერი საწყისოვო, ბოდბელს კიდევ ასე უპასუხნია: თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედ ნულარ ჩენილაო...

ამის თქმას გაზეთი „სახალხო ფურცელი“ (1915, № 284, 19/V) თავის კორესპონდენტის პირით შეცდომით მიაკუთვნებს ანტონ კათოლიკოსს.



ხალხში-კი ეს უთოოდ ბოდბელის ნათქვამად მიაჩნიათ.

ქვა ქვაზედ დგას ჰრე. ქვა ქვაზედ დაწყობილია, ქვისაგან ქვა მოშორებულნი არ არის. სჯე. შენობა რამ დაუნგრევლად, ხელუხლებლად სდგას; არაფერია გაფუჭებული; წეს-რიგი დაურღვევილია. „დღეს თუ ისევ ქვა ქვაზე დგას (ჩვენს ოჯახში), შენის კაცობით არის“ (გრ. ორბელიანი). ის. ქვა ქვაზედ ნულარ დარჩება.

როცა ქვეთკირის შენობას რასმე აშენებენ, ქვას ქვაზე აწყობენ. ასე რომ ქვის დება ქვაზე ჰგულისხმობს შენობის მთლიანობას, დაუნგრევლობას. ხოლო გადატანითად იმავე თქმით აღინიშნება სრულყოფა საქმისა რისამე, ურყვევლობა მისი, სუფევა წესრიგისა.

ქვა ჩაგვარდეს მუცელში ჰრე. ქვა მოჭოლოდეს შენს კუჭში. სჯე. მოპყვდი. სიცოცხლესაც გამოთხოვებიხარ. მგლ. მუცელში ქვაშიც ჩაგვარდნია, შე სასიკვდილე, უღანაშაულო კაცს აბა რას მერჩი?

ეს წყევლის ერთ-ერთი ფორმულათაგანია. ქვა, როგორც მოუნელებელი ნიუთიერება, ადამიანის მუცელში (კუჭში) რომ ჩავიდეს, მის მონელებას კუჭი ვეღარ შესძლებს და გამოიწვევს ადამიანის სიკვდილს.

ქვაც კი ატირდებოდა ჰრე. ქვასაც კი კრემლი წამოღვიდოდა. სჯე. მეტად საცოდავი, გულისმომწყვლევი საქმე და საქციელი. „ე! ამ ზამთარ, საწყალ გაბეგრლიძის ქვრივ-ობლებს რო დღე დააყენეს, რა ვიცო, ძმაო, ქვაც-კი ატირდებოდა“ (მარ. წინამძღვრიშვილი). „ახლა მთაში წამოსულხარ, გინდა იქაურობაც აიკლო?! ასე გვაიხდი საქმეს, შენი ცოდვით სულ ქვა იწვოდეს“ (ფიჯი-წაფლა).

ქვაც კი დაწვა მისმა ხაცოდაობამ ის. ქვაც კი ატირდებოდა.

ქვაწვა ჰრე. ვინც ქვას სწვავს ცეცხლით. სჯე. უსომოთ მუწწი, მავარი, სხვისათვის რომ არაფერი ემეტება, უწყალო, გაუკითხველი, შეუბრალებელი, გულქვა.

ქვებიც კი ლაღადენი ჰრე. ქვებიც კი ლაბარაკს დაიწყებენ. ისინიც კი ამეცუველდებიან. სჯე. დათრგუნვილი სიმართლის გამოქონაგება, საშინელი უსამართლობის შესახებ დაუდუმებლობა. „ჩვენში ხომ ისე ფხისაც არ გადისდგამთ, რომ ამისთანა უტყუ-

არნი მოწმენი თვალწინ არ აღგემართონ თავისის ღიღებითა და საბელოვნებთთა! ჩვენში ქვები ც-კი ჰლაღადებენ, რომ საქმე ისე არ არის, როგორც „Кавказ“-ს მოსწყურებია“ (ილ. ჰავეაფი).

ქვებუღანობა ჰრე. ქვეშ, დაფარულად ბუღის გაკეთება, დაბუღება, დაბინავენება. სჯე. ვერაგობა, ჩუმჩუმობა, ლაღატი, ქვეშეშეშობა, მოტყუება, გაიმყვრობა, აღიდაში გამოყვანა, თვალდაშეკობა, გაქნელობა. „პოლიციამ ქვებუღანობით დაუწყო წინააღმდეგობა“ (ლ. არდახანი). „ციგმა ნიავემა დაპბერა, თოვლმაც შრი-ალით მისცა პასუხი, მავრამ მალე გატრუნა სული და ქვებუღანად მგზავნიდა სიცივის ნამერწყლებს ჰაერში“. (ირ. ველოშვილი).

ქვევრში თავის ჩახჩჩობა (სმით) ჰრე. გაგუღვით თავის მოკვლა ქვევრში. სჯე. ღვინის უხომოდ სმა.

იგულისხმება ქვევრი ღვინით სავსე. ხოლო ვინც ქვევრთან მივიდა და იქ უხომოდ სვა ღვინო, იმაზე იტყვიან: ქვევრში თავი ჩახჩჩო სმითაო.

ქვეითი ჰრე. რაც ქვეითი არის, რაც ძირს იმყოფება. სჯე. ფეხით მიმაგალი. „გამოჩნდეს ორნი ქვეითნი, მე მივეგებე წინარე“ (მ. რუსთაველი).

აქ ქვეითი უპირდაპირდებოდა ცხენოსანს ანუ ცხენის ზურგზე მომჯდარს და ისე ცხენის საშუალებით მიმაგალს.

ქვეყანა ჰრე. დედა-მიწა, ყოველგვარ არსთა სამყოფელი. სჯე. საზოგადოება, კრებული ადამიანთა. „აი, გაგიხმეს ეგ ხელები! რისთვის გასხია ეგენი მაგ მუტრუჯ ტანზედ, თუ ვერ მოგიხმარებია? ქვეყანას თავის თავი კი შეუხახავს, რომ ეგ შენი ბრიყვი თავი ინახოს?“ (ილ. ჰავეაფი).

ქვეყანა დიღია ჰრე. ქვეყანას დიდი სივრცე უქირავს. სჯე. გული არ უნდა გაიტროს, გეშველება რამე გაკირვების დროს. „კაცო, — ურჩია ცოლმა, — დარდით და ვარმით რა ეშველება დაცარულ საქმეს? მიდექ-მოდიქ: ქვეყანა დიღია, ხელს გაგიმართავს ვინმე“ (გ. ბარნოვი).

ქვეყანა ზედ შევხიხედა ჰრე. ყველა მე მიყურებდა. სჯე. ყველა გავაკვირე, ყველას ჩემზე ეჭირა თვალი. „შემოდგომაზედვე წავეყვანთ ყველას და ისეთ დროებას გავატარებთ და ვა-



ვატარებინებთ იმის კარს, რომ ქვეყანა ანუ დევიო! (მელანია).
ქვეყანა იმაზე ღაპარაკობს ჰრდ. ისია ქვეყნის სალაპარაკო საგანი. ზღვ. ჰკიცხავენ. ცუდად იხსენებს ყველა, ყველა იმის ძვირს ამბობს. „(ანა ხანუში) აგრე აღვილად გავაწვეინო? რას მეუბნები, გენაცვა, ხინო? ილაპარაკებს ჩემზედ ქვეყანა, მგვგავიო საქმე იქნება განა? (გ. ვრისთავი). ის. ყბად აღება. ქვეყნის ყბაში თავის თავს ავადებს.“
 იგავად დადება ქვეყანაზე. თავის მოქრა. ქვეყანა შეიყარა.

ქვეყანას ვერაფერ შეაბრდება ჰრდ. ქვეყნის ოდენად ვერაფერ დაბრდება. ზღვ. საუკუნოდ ვერაფერ გაძლებს, ყველანი უნდა დაეხიბუნეთ; ქვეყნის ოდენას ვერაფერ გაძლებს. „ერთი ბეწვიც თმისა არ მოგაკლდება, თუ ღვთის ნება არ არის, და თუ მისი ნებაა — წინ ვერაფერ დაუდგება. თუნდ იგვეც არ იყოს, ქვეყანას ვერაფერ შეაბრდება. წესია ქვეყნისა დედ-მამა...“ (ლ. ჰავაძე).

ქვეყანას პირს ვერ გაუკერავს ჰრდ. ჯველას ნემსით და ძაფით პირს ვერ გაუკერავს. ზღვ. ყველას ვერ დაუშლი სთქვას რამე, ილაპარაკოს, რაც უნდა. „ქვეყანას ხომ პირს ვერ გაუკერავდა ან სათითაოდ ხომ ვერ დაუვლიდა და არ დაარწმუნებდა, რომ რასაც ღაპარაკობთ (ჩემზედ), ტყუილიაო“ (ფ. მგზავაძე).

ქვეყანას ღერძი გამოუყრება ის. ქვეყანა ღერძზე ტრიალებს.

ქვეყანა ღერძზე ტრიალებს ჰრდ. ქვეყანას შუაგულში ღერძი უყრია და იმის გარშემო ტრიალებს. ზღვ. ყველაფერი კანონიერებას ემორჩილება, საბოლოოდ სიმართლე გაიმარჯვებს. „ამდენ აღმართს არ შეიძლება ერთხელ თავდაღმართიც არ შეხვდეს. ქვეყანა ღერძზე ტრიალებს, ძმაო“ (ან. ვრისთავი-ხოშტარია).

ღერძი გვიჭვია ურმის თვალთა შუა გაყრილ ხისა ან რკინის ნაჭრისათვის, რომლის აქეთ-იქით ბოლოებზე თვლები ან თვითონ ეს ღერძი ტრიალებს ამ თვლებთან ერთად.

გონების თვალთ წარმოგვიდგენია, რომ ანაირივე ღერძი ანუ ხაზი უვლია დედამიწის შუაგულში და იმაზე ტრიალებს მიწა, ჩვენს ხალხს ეს გონებით წარმოდგენილი ღერძი მიუჩნევია

იმ კანონად, რომელიც დედამიწას ერთს ფარგალში აჩერებს, უმორჩილებს მას, მუდამ ერთი მიმართულებით ატარებს, აქეთ-იქით უგზო-უკვლოდ სიარულის ნებას არ აძლევს და ერთგვარ კანონზომიერების ჩარჩოში ათავსებს.

და თუკი დედამიწისათვის, ამ სიმსხო სამყაროსათვის, არსებობს წესიერება, კანონი, სისწორე, მით უფრო მასზე მცხოვრებ ადამიანისათვის უნდა იყოს საბოლოო ეს კანონი, ეს სამართლიანობა, რომელიც უნდა იფარადეს დაჩაგრულს, უკანონობისა და უსამართლობის მსხვერპლს, პასუხს აგებინებდეს მოძალეს, მომრგებს, მჩაგვრელს, საერთოდ ყველას, ვინც სამართლიანობასა სთრგუნავს ან განიზრახავს მის დათრგუნვას.

და აბა სწორედ ამ საფუძველზეა აღმოცენებული თქმა ჩვენი გლეხის მიერ წარსულში თავის საწუგავებლად და მწარე ხვედრის დასაამბობად გამოგონილი: ქვეყანა ღერძზე ტრიალებსო!.. ამ თქმას იგივე გლეხი ამასაც უმატებს: ამდენ აღმართს არ შეიძლება ერთხელ თავდაღმართიც არ შეხვდესო. ე. ი. შეუძლებელია ნიადაგ სიბნელე იყოს, — ერთხელაც არი, განათლებიო; შეუძლებელია ნიადაგ გაჭირება იყოს, — როდისმე შევბა-ღხენაც გვხვებო; შეუძლებელია მხოლოდ უსამართლობამ იფარფაშოს, — ერთხელ სამართლიანობაც დაჯდება მორჭმით ტახტზედაო.

ხოლო როცა ეს ქვეყნის ნამოძრავებელი კანონი დაირღვეოდა, როცა ქვეყანას გამოეცლებოდა ღერძი, რომელზედაც იგი ტრიალებდა და აირევიდა ამ ქვეყანაზე მცხოვრებთა ცხოვრების წესი, იგივე ქართველი გლეხი იტყვოდა: ქვეყანას ღერძი გამოეყარაო.

ქვეყანა ღონიერია ჰრდ. ქვეყანას ბევრი რამ შეუძლია. ზღვ. ხალხი გაჭირვებულს მიეშველება, უმწეოდ არ დაავდებს. „მე-კი თითებიდან ზეთი და ერბო მწვეთდა თუ! ვიარჯებოდი და უტკივარს ლუკმას ვჭამდიო, ქვეყანა ღონიერია, ნუ გეზისო, ოღონდ პირს ნუ გაუტყვები, ნუ გელახებინებო...“ (ლ. ჰავაძე).

ქვეყანაში გამოგვასხაღმა ჰრდ. ქვეყანას, საზოგადოებას, ჩამოგვაშორა. ზღვ. ყოველივე პატივი აგვეყარა, საჯაროდ



შეგვარცხენია, თავლაფი დაგვასხა, ქვეყანაში თავი არ გამოგვეყოფა, ქვეყნის ყბადასალები გავგხადი; სა-აქაოს დაგვაშორა, მოგვეკლათ. «ქვეყანაში გამოგვასაღმა და ახლა ვაპა-ციოთ?! რალა მიქნია?!» (რ. ერისთავი).
 «სულ ოცდაათის წლის დედაკაცია (ბაბაღე), მაგრამ ბედმა ლამის გა-მოსალმოს წუთის ოფელს» (ილ. ჰაქვაძე).

ქვეყანაში თავი არ გამომეყოფა ჰრდ. თავის ჩვენება არ შემძლია ხალხისათვის. სჭვ. სასირცხვილო საქმე მჭირს, ვერავის დავენახვები, ვერავის ვეჩვენები. «ერთი წუთი მოსვენება არა მაქვს, ქვეყანაში თავი არ გამომეყოფაო. იმის ჯავრმა და ვარამმა გამათეთრა და მომხარა წელშიო» (თ. რაზმაშვილი).

ქვეყანა ჩაღით ხომ არ არის დახურული! ჰრდ. სახურავად სახლებს ჩალა ხომ არა აქეთ! სჭვ. უპატრონოდ ხომ არ არის დატოვებული ხალხი, ნუთუ პასუხისმგებლობა არ არის რაიმე დანამაულისათვის; ნუთუ გაქირებულთ ქომავი არა ჰყავსთ?!.. ჩალას, მიწის შემდეგ, პირველყოფილ სახურავად ხმარობდნენ ღარიბნი, რადგან ვაფარზე უფრო ადვილი საშო-ვარი იყო. აქედან გამოთქმა — ქვეყანა ხომ ჩაღით არ არის დახურული — გულისხმობს ქვეყანას, საცა ღარიბებისა და უპატრონო ხალხისათვის და-კარგულია სამართალი, შევლა და დახ-მარობა.

ქვეყნის აყაყანება ჰრდ. ქვეყნის (ყველა-სი) ალაპარაკება, ახმაურება. სჭვ. დაცინება, ნიშნის მოგება, ვაკილვა, შერაცხვნა. «დღდა-ჩემი იყო აქ, ვიქ-ტორ, სად წავიდა, თუ იცი?» — ეს არის. ახლა გავიდა, მკვდარია ხალი!.. აბესალო, კარგია, თუ ძმა ბარ, ამ შენს სახელში მაინც ნუ იზამ იმისთანა საქმეს, რომ შემდეგ ქვეყ-ნის სალაპარაკო გახტეს, თუ კაცი ხარ, ქვეყანას ნუ აყაყანებ!» (დ. კლდიაშვილი).

ქვეყნის ბარგი ჰრდ. ქვეყნის, სხვათა საზრუნავი, სხვათა საქირო სატვირ-თავი. «განსვენებული (ი. დავითა-შვილი) ხელოსანი იყო და ჩუქურ-თმის ჭრა იცოდა, და თუმცა ლუქვა-პურს ვშოულობ ამ ხელობითა, მაგ-რამ უსწავლელი რომ ვარ, ქვეყნის ბარგი ვარო» (ილ. ჰაქვაძე).

ქვეყნის გაღება ჰრდ. ქვეყნის გათავება, დასრულება. სჭვ. ქვეყნის მოვლა, ბევრი სიარული. «იარა ამ საწყალმა კაცმა, იარა, გაღება ქვეყანა, მაგრამ ღმერთს სად შეხედებოდა?!» (თ. რაზმაშვილი).

ქვეყნის გაღმა მაყურებელი თვალები ჰრდ. ქვეყნის იქით მიტეხილი თვა-ლები. სჭვ. მეოცნებე, გატაცებული, დაფიქრებული. «თავისებური ბავშვი იყო მიხა. სუფთა სახე, გამხდარი, ფერმკრთალი; გატაცებული, ქვეყ-ნის გაღმა მაყურებელი თვა-ლები. როცა რამე საგანზე ლაპა-რაკობდა, ვისმე ესაუბრებოდა, თითქო ვერა ჰხედავდა საგანს, ვერც მოსაუბრეს: შორს იყურებოდა, სივრ-ცეში» (ე. ბარნოვი).

ქვეყნის გზა-კვალი ჰრდ. ქვეყნის გზა, რომლითაც უნდა იაროს ადამიანი. სჭვ. ქვეყნის ავ-კარგი, ცხოვრების პირობები.

ქვეყნის მამიდა ჰრდ. მთელი ხალხის მამის დაი. სჭვ. ყველა პატრონი, ყველასათვის ძმარუხელი, ყველას გულშემოტკივარი. «იარა, ჭირშიაც ყველას მამიდა იყო (მიხა) და ყველას კირისუფალი» (ირ. ფედოშვი-ლი).

ამბობენ აგრეთვე: ყველას მამიდაო, ცნობილია, რომ დაი თავის იმისწუ-ლებისათვის განსაკუთრებით ზრუნავს, მათი პატრონობა თავის წმიდა მოვა-ლეობად აქვს მიჩნეული. შემდეგში ასე-თი ზრუნვა მამიდას სურათხატოვანად მიკუთვნებულია ყველა გულკეთილ ადა-მიანისათვის, ვინცა ცდილობს ყველას გაჭირება დაუამოს, ყველას სიკეთე უყოს, ყველას ხელი შეაშველოს.

ქვეყნის სალაპარაკო ახ. ქვეყნის აყაყანება.

ქვეყნის ღერძს ხელი ჩავკიდეთ ჰრდ. ღერძს, რომელზედაც ტრიალებს ქვეყანა, დავებლაუქეთ. სჭვ. კაცობ-რიობას ჩვენ ვწინამძღვრობთ, ჩვენს ნებაზე მიგვყავს, ჩვენს სურვილზე ვატრიალებთ. — ის, ჩემო კარგო, რაც თომელოწონებულს არცოდნას მოსდის ხოლმე ყოველთვის ამოვი-კითხავთ წიგნებიდან რალაცას და გვგონია, — ეს-ეს არის, ქვეყნის ღერძს ხელი ჩავკიდეთო» (ილ. ჰაქვაძე).

ქვეყნის ყბა ჰრდ. ხალხის ყბა ანუ ძვა-ლი, რომელშიაც სხედს კბილები.



ს.ც. ქვეყნის სალაპარაკო, მიტქმამოთქმა. „მიია, არა, მაგრამ... რა ვიცი... გასათხოვარი ქალი... ახლა კიდევ ქვეყნის ყბა...“ (რ. ერისთავი). „ყბადღებულნი — წყალწოდებულნი“ (ხალხური ანდახა).

ქვეყნის ყბადღებები პრ. ქვეყნის ყბებში ჩასაფარდნი. ს.ც. ქვეყნის მიერ გასაქილავი, გასაქირდავი, გასალანძლავი.

ქვეყნის ყბადღება პრ. ქვეყნის ყბებში ჩაფარდნა. ს.ც. ქვეყნის მიერ გაქილვა, გაქირდვა, გალანძლვა. „რამდენიც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ხშირად ვხედავდი ერთმანეთს მე და იმ ჩემი „ვილაცას“ ერთგული მეგობარი და რომ ქვეყანას ყბადღარ ავეღღეთ, მქირდავების თვლის ასაშორებლად, გამოვყებინდი ხოლმე სადმე მიყრუებულ ადგილს, იქ ვისხედით და ტკბილად ვსაუბრობდით“ (აკაკი).

ქვეყნის ყბაში ჩავარდნა პრ. მთელი ხალხის ყბებ შორის ჩავარდნა დასალეჭავად. ს.ც. ყველას სალაპარაკოდ გახდომა, ყველას დასაცინ საგნად გადაქცევა. „სიკვდილი ბევრად სჯობია ჩავარდნას ქვეყნის ყბაში“ (ვაჩა-ფშაველა). „დაიბარა (მეფემ) გიორგი აბაშიძე და გაენდო: წაიღ, ნახე როგორვე ის ქალი და თუ ვიყვარდე, კარგად დაათვალიერეო! აბაშიძემ ასრულა მეფის ბრძანება. ქალი ჩინებული გმირდგა, მაგრამ კარისკაცმა ქვეყნის ყბაში თავის ჩავადგება ვეღარ ვაბედა და მოატყუა მეფე: სხვების ნათქვამი იმანაც დაამოწმა“ (აკაკი). იხ. ქვეყანა იმაზედ ლაპარაკობს. ყბადღება. ქვეყანა შეიყარა. თავის მოჭრა. იგავად დადბა ქვეყანაზე.

ქვეყნის შეყრა პრ. ქვეყნის შეგროვება ერთად. ს.ც. დიდძალი ხალხის მოყვანა, ყველამ ლაპარაკი შექმნა რაზედმე, ყველამ გაიგო. — ქექქე, ნუ, შენი ჭირიმე!.. რა ხუმრობთ! ყვირილი რომ დაიწყონ და ქვეყანა აქ შეყარონ“ (რ. ერისთავი). „— არაფერი, — დედის ხმაზე მალე გული შეინაგრა თაფლომა, — ქვეყანა არ შეიყაროსო“ (დ. მუხომეშვილი). „დარეჯან: მე-ქი ქვეყანა შეეყარე, ქმარი გამოვიტყდამეთქი! უი ჩემს თავს!“ (ავტ. უცნობი). იხ. იგავად დადბა ქვეყანაზე.

ზედ. ქვეყნის ყბაში თავის ჩავადგება. ქვეყანა იმაზედ ლაპარაკობს. ყბადღება. თავის მოჭრა.

ქვეშაგებად ჩავარდნა პრ. ქვეშაგებში ჩაწოლი. ს.ც. მძიმედ ავედ გახდომა, დიდხანს ავედმყოფობა: „ამ ბოლო წელიწადს წყალმანკი გამიჩნდა და ფეხები დამისივდა. სიარული გამიძინელდა, მუშაობისათვის ვეღარ გამოვდეგ, ქვეშაგებად დამიგდო ავედმყოფობამ“ (ილ. ჰავეაძე). იხ. ლოკების ლესეა.

ქვეშაგებად ჩავარდნილი პრ. ქვეშაგებში მოქცეული. ს.ც. დაავადებული, დიდხანს მწოლიარე ავედმყოფობისაგან. „ეს ერთი წელიწადია, რაც ანტონ მწყურაშვილის ჯალაბი ბაბაღე. ქვეშაგებად არის ჩავარდნილი“ (ილ. ჰავეაძე).

ქვეშიდან ხალხის გამოცლა ვისთვისმე პრ. ჩუხუძე, მოულოდნელად უხალიჩოდ დატოვება ვისიმე. ს.ც. მუშუმჩნეულად ხელის აღებინება ქონებაზე, მოტყუება, წართმევა ყველაფრისა, ხელცარიელად დასმა. შგლ. „გვიგას ნურც ეგრე ენდობი, ჩემო კარგო! ისე გამოგაცლის ქვეშიდან ხალიჩას, ვერც-ქი ვაიგო, ისეთი გამოქნილი ვინმეა, ვაი არა მაქვს!“.

წინათ საქართველოში, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში, ქართლ-კახეთში, როგორც საერთოდ აღმოსავლეთის ხალხთა შორის, სახლებში სკამები როდეს ჰქონდათ. სკამების მაგივრად ისხდნენ ხალიჩაგადაფარებულ ტახტებზე, მუხლმოკეცილად, როგორც პურისკამის დროს, ისე მისლაათსა და დარბაზობის დროსა. და უნდა ვივულისხმეთ, რომ მთელის სიმძიმითავე უნდა მსხდარიყვნენ. ასე მაგრიად მოკალათებულისათვის ქვეშიდან ვისმე ხალიჩა რომ გამოეცალა, დიდის სიმარჯვის, თვალთმაქობის პატრონის სახელი უნდა ჰქონოდა!..

გადატანილია ხალიჩის გამოცლა ნიშნავს მოხერხებულად მოტყუებას მოყვანისას, სარჩოსაბადლებელზე მის ხელცარიელად დასმას, ისე, რომ დაზარალებულს აზრადაც არ ჰქონოდა, თუ რა ბოროტად იყო ანხედრებული მის წინააღმდეგ ან რა სიავეს უშვრებოდა მისივე მსგავსი აღაშინი, რომლისაგან ასეთს სივერაგეს აღარც კი მოელოდა.



ქვეშ-ქვეშა პრ. ქვეშიდან, ნამალევად მოქმედი. ზვ. ვერაგი, მოხერხებულად მომტყუებელი, გაიძვერა, მოლაღატე.

ქვის გამცივებელია პრ. ვისაც შეუძლია ქვა გააცივოს უარესად. ზვ. გაიძვერაა, ქურდია, მომტყუებელია, საშინელი ბოროტა, ავტყევა, ძვირის მოქმედი, ავაზაკი, სათოკე. იხ. ქვას აცივებს.

ქვის გადაბრუნება პრ. ზევით მოქცევა ქვის ქვედა ნაწილისა. ზვ. დაზარალების აწორება თავიდან, მოსალოდნელ სიავის აცდენა. შეე, აბა უყურეთ იმის (მღვდლის) ღიას, როგორ დასრულებია! წელში არ ჩაუზნეკია საცოდავი ბირუტყვი! — გაოცებითა სთქვა მიხანმ, გადახტა ძირს, ტალახიანი ქვა გადააბრუნა და ისევ მარდად შეახტა ცხენს“ (ა. ზერუაშვილი).

ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, მღვდელი, სულიერი მამაა თვისი მრევლისა, წარმომადგენელი სიკეთისა, სათნოებისა; იმასა აქვს დეველებული იზრუნოს სულიერ შეილთა ზნეობისათვის სააქაო ცხოვრებაში; იგივე ზრუნავს საიქიო ცხოვრებაში მათი კეთილად მოწყობისა და საუკუნო ნეტარების დამკვიდრებისათვის.

მაგრამ ხალხი იმავე მღვდელს, ზემოდახელებულ დადებითს ღირსების მხარდამხარ, მიაკუთვნებს უარყოფითს თვისებებსაც. მაგ.: მღვდლის შეხვედრა დილით, სახლიდან ახლად გამოსულზე, ქართველ ხალხს ცუდადა მქონდა დაცდილი; მოელიან მღვდლის მიერ დანაცხვას, ვნებას, მატერიალურ დაზარალებას.

ეს კი ჩვენთვის ადვილი მისახვედრი უნდა იყოს, თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ თანამედროვე მღვდელი პირდაპირი შთამომავალია პირველდელი ქურუმისა, რომელსაც კავშირი მქონდა როგორც კეთილ, ისე ბოროტ სულერთან. მის მოქმედებაში მაგია, თვალთმაქცობა სქარბობდა და უმთავრესად ამ თვალთმაქცობით ვადიოდნენ ფონს.

მღვდელ შეხვედრილმა მგზავრმა პირველი ხელში მოხვედრილი ქვა ცალმხრიდან შეორე მხარეზე უნდა გადაადრუნოს, რომ ხიფათი თავიდან ასცდეს, ნავსი, მღვდლისაგან წამოსული, სანამ ადამიანს მოხედნობდეს და ავნებდეს, მოხედება ქვის ზედაპირს; ხოლო

რაკი ეს ზედაპირი ქვისა ქვეშ მოექცევა და დაიფარება, ქვის ზედაპირთან ერთად ქვეშ მოექცევა „ცუდი თვალი“, ნავსი მღვდლისა, და ამნაირად გზაკვასი აერევა, ქვის ზეგავლენით ჰგარგავს მავნებლობის ყოველსავე ძალას და მიზანს ვერ მიაღწევს.

რა თქმა უნდა, აქ როლს თამაშობს საზოგადოდ ძალი, პიროველყოფილი ადამიანის მიერ ქვას რომ მქონდა მინიჭებული ჯერ ისევ იმ უხსოვარ დროიდან, როცა ყოველი მტერთან საბრძოლველი და ცსოვრების სახსრის მოსაპოვებელი იარაღი ქვისაგან კეთდებოდა და ამიტომ ადამიანმა ბუნებრივად თვით ქვა თავყვანისცემის, კულტის საგნად გახადა (ლითოლატრია).

ქართლშივე, იმავე მღვდლის შეხვედრისას, ცდილობენ გასტეხონ ნემსი და გადაყარონ მღვდლის მიმართულეებით. ეს არის სიმბოლო ამ აზრისა: როგორც ეს ნემსი გატყდა და უხმარი გახდა, ისე გატყდეს შენს მიერ გამოსროლილი ნავსი და დაიფარება ყოველი ძალით. თან დაატანენ: „შენიანი მოკითხეთ! ვითომ და, რაც სიავე ჩემთვის გემეტება, შენიანს მიერაზუნოსო. ქვის გამხვერეტი პრ. ვინც ქვას ხერელს გაუზნენს. ზვ. ეშმაკი, გაიძვერა, მიხვედრილი.

თქმა იმდროინდელი უნდა იყოს, რომ ქვის გახვერეტი ადამიანისაგან დიდს მოხერხებას და სიმარჯვეს მოითხოვდა და როს ამ საქმისათვის ყველას კი არ მიუწვდებოდა ხელი.

ქვის კოლა პრ. ჭდეების კეთება ქვაზე. ზვ. უნაყოფო შრომა. „საკუთარს ან სხვათა საქმეში ქიზიყელს გლეხს ქვა აკოლინეთ“ (დ. მანანელი).

ქვის მიგდება პრ. ერთის მიერ ქვის სროლა მეორის მიმართულეებით. ზვ. ზურგის შექცევა, მძულვარების გაზოხატვა, დამნაშაველ ცნობა. ჩაქვების ღირსად აღიარება, შემოწყობა, მტრად გადაკიდება. „ბიჭო, არა გრცხვენთან, რომ მიგდენი ამაგი შენიცა და ჩემიც გააცრუვე, შე ოჯახ-ამენებულო? რა დავიმავე ივითი, რომ ენაგერ ქვა მომაგდევ“ (შელანია). „ქენინამ „მდგომარეობა“ კონას ავადყოფობას გადააბრალა და როგორც უნუგეშოს, ქვა მიიგდო“ (ვ. ვაბაშვილი).

პირველყოფილი იარაღი ჩვენის სულს შორეულ წინაპრისა, როცა ამან ვერ-

ტიკალური (ორ ფეხზე) ანუ წელგამართული სიარული ისწავლა, მტრის (ნადირის ან ადამიანისავე) წინააღმდეგ ჯოხი და ქვა იყო. შემდეგში ქვით საჯარო დაპქვევებდნენ საზოგადოების წინაშე ჩამნაშავეს. სახარებაში მკათი-ოდაა მოხსენებული ეგეთი დანიშნულება ქვისა. ჩვენს დროში მარტო ამ ნართაულ თქმაშია („ქვის მიგდება“-ში) დარჩენილი პირუანდელი დანიშნულება ქვისა („ჩემს თავს ქვა ვგსროლე!“, „თავში ქვა იხალე!“). ქვის მიგდება ნიშნავს ხაქოლვით (—ჩაქვევებით) ადამიანის საჯარო დასჯის დროს მისთვის ქვების სროლას. დღეს ამ თქმით გამოვხატავთ ჩვენს მშუღვარებას ვისადმი ან რისადმი, ვისაც ან რისაც ქვის დაკრების ღირსადა ვცნობთ.

ქვის ნატეხი ჰრდ. ჩამოშორებული ნაწილი მთლიანი ქვისა. სტვ. გაუგონარი. შეუსვენელი.

ქვის ქონა ჰრდ. ქვის პატრონობა. სტვ. არაფრის ქონა, სიღარიბე საშინელი. „აი ჩვენა ვართ ყველაფრით უბედურები: ქვა გვაქვს და კბილები გვეწყობება“ (მკვრი).

ქვის შემა ყელზე ჰრდ. ქვის ჩამოკიდება კისერზე. სტვ. დასჯა, დამორჩილება. „არ იქნა! ჩემს ქმარს დროზე ვერ-რა შევაგონეო.. აწ შევიბამ ქვას ყელზე, სხვა ალაბა მაქვს ღონეო“ (აფა).

ქვა პირველყოფილი ადამიანის იარაღი იყო, ბუნებასთან სპარძოლველი და ამავე დროს ქვა იყო სიმძიმის გამომხატველი. მეგროლში დღევანდლამდე დარჩენილია ამის მაჩვენებელი თქმა, როცა უნდათ გამოხატონ რომელისამე საგნის სიმძიმე, ამბობენ: ქვის სიმძიმეო. ქვა სასჯელადაც იხმარება: დამნაშავეს თუ მოხას კისერზე შეაბამდნენ ქვას და ისე ატარებდნენ განსაზღვრულ დროის განმავლობაში. სამეგრელოში, როცა ვინმე მოუკვდებოდათ, ქვას შეიბამდნენ კისერზე და ისე აღდიოდნენ მგლოვიარობის გამოსახატავად.

ქვიშაზე აგება ახ. ქვიშაზე აშენება.

ქვიშაზე აშენება ჰრდ. შენობის კვლევების ამოყვანა ქვიშაიან ნიადაგზე. სტვ. დამყარება რაიმე წამოწყებისა, გინა იმედისა სუსტ რაზედმე, უსაფუძველობა. „სხვახედ მინდობა — ქვიშაზე და აშენებული შენობა ყოფილა და იქნება კიდევ ამ ქვეყნიერებაში“ (ილ. ჭავჭავაძე).

ქვიშაზე აშენების კვლევები უმკველად უნდა იმყარებოდეს ქვეშის საფუძველს, თორემ ისე მკვიდრი არ იქნება, მით უფრო, თუ ნიადაგი ქვიშაირია.

ქვიშაზე უმრავლესი ჰრდ. ქვიშაზე მეტი. სტვ. მეტად ბევრი, უფვალაგი. „ნეტაეი მაქამა (ხე ბოროტისა და კეთილის ხილი), აბა გემო იმაში იქნება. — ძალიან კი მიგიშვებენ: ქვიშაზე უმრავლესი ჯარი ახვევია თურმე“ (ილ. ჭავჭავაძე). „ქვიშის უმრავლესი ლაშქარი იახლოს მეტად ზუაფითა“ (ფეშინჯი).

ზღუდაში ქვიშისა და ცაზე ვარსკვლავთა სიმრავლე — სინონიმებია აღურაცხელი სიმრავლისა.

ქვიშის თოკად დასება ჰრდ. ქვიშის თოკა თხოვლობს რისამე საფასურად. სტვ. მეტად ძვირად აფასებს რასმე, ბევრსა თხოვლობს რაიმე საქონლის ფასად. ახ. ქვიშის თოკის გრება.

ქვიშისაგან, როგორც ვიცით, თოკის დაგრება შეუძლებელია, მაშასადამე, ქვიშის თოკის ფასი უნდა შეეუდაროთ ათობრებს, წარმოუდგენელ ფასს, რაობის გაღება, რა თქმა უნდა, არავის შეუძლია.

ქვიშის თოკის გრება ჰრდ. ქვიშისაგან თოკის გაკეთება. სტვ. ამაოდ ცდა შეუძლებლის გასაკეთებლად. მგლ. შენ, ჩემო ძმეო, აბა ასეთ ტყუილებს მთქმელზე ნათქვამი — ქვიშის თოკსა გრებავსო.

ქვიშა — ერთგვარი მინერალური ფენილია, ზოგიერთი ჯიშის კვდების დაცენა-დაფშენისაგან გაჩენილი. მშრალ მდგომარეობაში ქვიშის ცალკეული მარცვლების შეერთება, ერთმანეთს გადაკოწყობა ადამიანის ძალღონეს აღემატება.

კიდევ ამიტომაც დაცინვით შექმნილი, ყბადსაღები თქმა — ქვიშის თოკის გრება ისეთის საქმის შესახებ, რომლის გაკეთება, რომლისათვის იმა თუ იმ ერთიანის, დასრულებულის სახის მიცემა შეუძლებელი იყოს და ვინმე მოცლილი მაინც იახლეს — გაეკეთებო! ანდა იგივე მოცლილი ტყუილს რასმე, უფრო რასმე იგონებდეს. მიკიბულ-მოკიბულის ქართულით მსწენელის დარწმუნებას ცდილობდეს — რასაც ვამბობ, ქვიშაზე აგება, სწორედ ასე გახლდათო...

საქმის მართლმართლობის
პარლამენტი
ეროვნული
კვლევის ცენტრი

2. თ. სახოკია, ქართული ხატულავანი სიტყვა-თქმანი. III.



ქვიშის საბელსა ქსოვს ჰრღ. ქვიშის მარცვლებსა ხმარობს საბლის ძაჟად. ზგვ. მიკიბულ-მოკიბული, უაზრო, უთავბოლო ლაბარაკი, მგლ. რაღა ზენი მიკიბულ-მოკიბული ლაბარაკი და რაღა ქვიშის საბლის ქსოვა! ახ. ქვიშის თოკის გრეხა.

როცა კაცი თავის ნათქვამს არ უყვირდებდა და რაც ენაზე მოადგებდა, პირიდან უხაჟოდ ისვრის, მისი ნათქვამის სიტყვები ერთიმეორეს არ უდგება ისევე, როგორც ქვიშის მარცვლები, რომელთაგან შეუძლებელია მოქსოვა საბლისა.

ქვიშის საბლის ქსოვა ახ. ქვიშის თოკის გრეხა.

ქიმი ვერ მოვტებე (საქმესა) ჰრღ. ერთი ბეწო ვერ დავაკელი. ზგვ. სრულმბოთ ეგრაფერი გავაკეთე.

ქისების დაბერტყვა (თავზედა) ჰრღ. ქისების დაცარიელება თავს ზემოდან. ზგვ. ბევრის ფულის ჩუქება, გამდიდრება. „სოლოღას უყვეს წყალობა, ქისებს აბერტყვენ თავზედა“ (ბ. უშიავაშვილი)

ძველად საჩუქარს ან შესაწევარს (ქორწილში) ფულს შესაწევარს თავზე გადააყრიდნენ ხოლმე; როცა საჩუქარი უხეი იყო, მაშინ ქისაში რაც ფული იდო, მთლად დააბერტყდნენ თავზე.

ქისებს პირი მოხსენი ჰრღ. ქისების პირი შეკრული ნულარ გეჭენება. ზგვ. მობოლიშებათი თქმა: ფული გამიშრე, მომეცი. „პასუხად უთბორეს აბა ჯიბეს ხელი გაიკარითო. ქისებს პირი მოხსენითო და მერე ვიფიქრებთო“ (ილ. ჭავჭავაძე).

ძველად ჩითისაგან შეკერილ პატარა პარკში ანუ ქისაში ინახავდნენ ხოლმე ფულს.

ქისის მოპერა ჰრღ. ქისის ჩაბლუჯვა ხელში, ქისის გაუხსნელობა. ზგვ. სიძუნწე. ხელგაუშლელობა, დაუხმარებლობა. ხელის გაუმართაობა, არგამეტება (ფულისა), სიღამწერე, სიძვირე. „სანამ ვეზირი ფულს აძლევდა და აქმევდა, მეგობარსაც ძალიან მოსწონდა და უყვარდა, მეგრამ როდესაც ვეზირმა ქისას მოუჭირა, ძმობილიც ჩამოვიდა სხვა ბაქანზე“ (თ. რახიავაშვილი).

ძველად ფულს ქსოვილისაგან შეკერილ პარკში ინახავდნენ. საფულედ ქისა ჰქონდათ ქისის გახსნა ნიშნავდა ფულის ამოღებას ქისიდან ვისთვისმე

მისაცემად, ხოლო მისი გაუხსნელობა თუ მოჭერა ნიშნავდა დასახარჯავად ფულის არგამეტებას, სხვისთვის მიუტეველობას, სხვის შევლა-დახმარებაზე უარის თქმას, სიძუნწეს, სიღამწერეს, ხელგაუშლელობას.

ქნა ფრიალი: შედგა ქვაზე ჰრღ უდიდესი რამ გააკეთა: ქვას მოექცა ზემოდან. ზგვ. ვაჯიუტდა, ვაჯიქდა; საშინელი მიდევობა გამოიჩინა. „შევითხოვე, მომე ჩემი ძროხა-მეთქი, თავით შარშან ათი სული გამიწყვიტა იმ ხებერმა პირმა-მეთქი. მაინც ირა ქნა. არ შეხედა თავისს ღმერთსა, ქნა ფრიალი: შედგა ქვაზე!“ (ან. ერისთავ-აბაშარიანი).

ქვა, როგორც ცნობილია, გამომხატველია უგრძობლობისა, გულგრილობისა, სისასტიკისა. ხოლო ამ თქმაში გამოყვანილია კაცი, რომელსაც გამოუჩენია უძლიერესი მიდევობა: შემდგარა ქვაზე და ამით ამ უკანასკნელის ყველა უარყოფითი თვისება იმაზე გადასულა. მას მისთვისება.

ქოთნის საკეთებლად წავიდა ჰრღ. იქ წავიდა, საცა ქოთანი უნდა ავეთოს, მიწაში უნდა იქექოს. ზგვ. მოკვდა, სამარეშია. მგლ. გოგიტას ამბავს ნულარ მკითხავ: ეს საში თევა, რაც ქოთნის საკეთებლად წავიდა და დაგვაობლა ყველანი.

კაცი რომ მოკვდება, მიწაში ჩაფლავენ და იფულისნდება, რომ მიწის ქვეშ იქექება ანალოგიურად მექოთნისა, რომელიც მიწის გულში იქექება და იქიდან გამოაქვს ქოთნის გასაკეთებლად საჭირო მასალა თიხისა. ეს თქმა ნახევრად ხუმრობითია.

ქონდრისკაცობა ჰრღ. ქონდრის მსგავსი აღამიანობა. საშუალო ტანის აღამიანისაზე ნაკლებობა. ზგვ. სიკნინე აღამიანის გონებრივისა და ხორციელის ღირსებათა, სიმცირე აღამიანის ხელგამომავლობისა. „კრიტიკის უქონლობა ჩვენის ლიტერატურის უმინარსობას კი არ უნდა დარალდეს, არამედ ჩვენს ქონდრისკაცობას“ (ილ. ჭავჭავაძე).

ქონება ბანში ამოსდის ჰრღ. ქონება შინ არ ეტევა და სახლის საბურავიდან ამოდის. ზგვ. ძალზე მდიდარია. უთვალავი ქონება აქვს. „ერთ ამბარტავენ ახნაურს შიმშილით თურმე ცოლ-შვილი ეხოცებოდა, ხალხში კი გამოდიოდა და ლაბარაკობდა: სახლი



და კარი პურითა და ღვინითა
მაქვს საესეო, ქონება ბანში
ამომდისო...“ (ნ. ლომოურა).

ქონების ფიტი მოიკრა პრ. სიმდიდრის
სისხელე შეისევა. სვე. ქონება შეიძინა,
გამდიდრდა. შკლ. იმდენი უყარათ-
ნია, იმდენი ხელმოკერით უყავო-
ნია, რომ, ბოლოს, ქონების
ფიტი მოიკრა.

ფიტი დ. ჩუბინაშვილის ლექსიკო-
ნის თანახმად, ჰქვიან ხის ქერქსა, აგ-
რეთვე თაფლის ჩენჩოს, მესამენიარო
მნიშვნელობა ფიტისა ვახლავსთ სისო-
ველი, სინესტე ურომოლოდ ამა თუ იმ
ოროგანული არსების სიტოცხლე წარმო-
უდგენელია. აქედან წარმოებულა და-
სართავი სახელი გამოფიტული,
როცა ნიშნავს გამომშრალობას, სისო-
ველე-გამოლებულობას იმ საგნისას,
რომელსაც ეს გამოფიტული მიე-
მისებთ.

იმის გამო, რომ სისოველე ისეთის
არსებობის მნიშვნელობის ნივთიერებაა,
ანუ, უკეთ რომ ვთქვათ. ყველაფერია
ცხოვრობისა თუ მიკენარებობისათვის, მი-
ცეცა ამ სისოველეს ანუ ფიტს ვადატა-
ნითად, ხატოვანად ქონების, სიმდიდ-
რის, ძლიერების მნიშვნელობა, ხოლო
ქონება, სიმდიდრე, შეძლება, როგორც
მოგვხსენებთ, მეტოქეა სიღარიბისა,
უქონლობისა, უძლურებისა.

ქონის მოკვრა პრ. გასუქება. სვე. შეძ-
ლების მოპოვება, ქონებრივად მო-
ღონიერება. „და როცა მოვლანიერ-
დი, ცოტად მივიქარ ქონია,
მაშინ ხომ ცოლის სურვილებს საზ-
ღვარი არა ჰქონია“ (ვ. შა-ფშაველა).
„ღარიბ-ღატაკს ხომ უნდა ჰქონდეს
რამ, რომ ვაქარმა გამოსციეროს
ქონის მოსაცხობლად, უამი-
სოდ ღარიბი რა მუშტარი“ (ილ. პავლე-
ვაძე).

ქონი პრ. მტაცებელი ფრინველი, სვე.
წამალეჯი, მტაცებელი, სწრაფი.
„შიგან (ჯარში) ასრე გავერიე, გნო-
ლის ჯოგსა ვითა ქორი“ (მ. რუს-
თველი). „მუციელს აქორებ ქორია,
აღორებ — ღორია“ (ხალხური ანდჷა).

ქოქვით აღება პრ. ქოქის გაწყვეტის
სურვილი. სვე. წყველა, მოსპობის
სურვილი. „მაგრამ სამკედროც მო-
ვიშორე და კოდ პურსაც ვაძლევდი
ჩემი ქერივ ოხრობით და ბიქი-კი არ
დავუყენე. ეხლა რომ სხვას დავუყე-
ნო, ხო წყველითა და ქოქვით

ამილო მღვდელმა“ (მუღანია). იხ. ქო-
ქის გაწყვეტა.

ქოქის გაწყვეტა პრ. ძირ-ფესვის მოს-
პობა. სვე. დილუბება, გადაშენება,
გაწყვეტა შთამომავლობისა, ძე-მო-
მავლის მოსპობა. შკლ. მომდგა და
მთელი დღე პირი არ დააყენა, მწყვე-
ლიდა; შენი ქოქი გაწყდესო!

ქოქი — თურქულია და ნიშნავს მიცე-
ნარის ძირ-ფესვსა. ქართულში დიდი
ხანია შემოსულია. ანალოგიით ვადატა-
ნითად გვიქვია აღმზიანის შთამომავ-
ლობისა, გინა მოდგმისათვის.

ქოქოლას მიყრა პრ. ქვევის მიყრა.
სვე. წყველა, სასიკვდილოდ გამეტე-
ბა, საქოლაგის აგება. „აი, მჭიბი კი
დავაყარე იმისთანა კვიანსა! — მი-
აყარა ქოქოლა დარეჯანმა“.
(ილ. პავლევაძე). იხ. ჩაქვაყება.

როცა სოფლად მებობელი გამეტებით
სწყველის მებობელს, ორსავე ხელს გა-
შლის, ცერებით ერთმანეთს მიადებს და
გაიშვერს დასაწყველისაკენ. ამით უნდა
გამოსთქვას: ამ ხელებით ქვებიცი მომი-
ყრია შენთვის და საქოლაგი ამიგიაო...

ქოშების დაწყობა პრ. ქონების დალა-
გება ძირს ჩაქვის მიზნით. სვე. გაგ-
დება, დათხოვნა სახლიდან.

ეს თქმა იხმარებოდა განსაკუთრე-
ბით რძალ-ღვინამთილის ურთიერთო-
ბის გამოსახატავად. როცა მათი და-
მოკიდებულება გამწვავებულია და
რძალს უნდა თავიდან მოიშოროს უსი-
ამოვნო ღვინამთილი, იტყვიან: მავანმა
რძალმა თავისს ღვინამთილს ქოშები
დაუწყოვო, ე. ი. ეუბნება. აქ მე
ვარ და შენ ნულარ იქნები. აი, ქოშები,
ჩაიცი და მიბრძანდი ამ სახლიდან,
საცა გენბოსო, თავიდან მოწყვიდო.

აქედან, ხატოვანად, ეს თქმა მიუდ-
გება ყველას როცა ერთს მეორესთან
თანხმობა არა აქვს. მასთან საერთო
არაფერი უნდა. ცდილობს მის მოშო-
რებას თავიდან. მოცილებას. მასთან
კავშირის შეწყვეტას, მოცილეს დათ-
ხოვნას. ასეთ შემთხვევაში იტყვიან:
მავანმა მავანს ქოშები დაუწყოვო.

ქრთილის წონა პრ. ქერის მარცვლის
წონა. სვე. სულ მკიარედი წონისა. მე-
ტად მსუბუქი. „ეს ღვინამთილი (იღვი-
თი) მსჯელად და მტუქსეველად და-
დიოდა მთელ სავანეში. სასტიკი და-
რაჯად ედაღ ის სამონასტრო წესს,
რომ არ დარღვეულიყო ის არსად,
არცროდეს ქრთილის წონაც



არ მოჰკლებოდა მის არასგზით“ (ვ. ბარნოვი).

ქსელვა ქუჩისა ჰრღ. ქსელის გაბმა ქუჩაზე. სჭვ. აღმა-დაღმა სიარული ქუჩაზე, უსაქმოდ ხეტიალი. მკლ. მთელი დღე არას აკეთებს, ქუჩისა ქსელავს.

ქუღბედდაკარგული ჰრღ. ვისაც ქუღბედი დაჰკარგვია. სჭვ. უიღბლო, უბედური, საცოდავი. ის. ქუღბედი აქვს დაყოლილი.

ქუღბედი აქვს დაყოლილი ჰრღ. დედის მუცლიდან თავი ბედის ქუდიით დახურული გამოჰყვა. სჭვ. იღბლიანია, ბედნიერ ვარსკვლავზედაა დაბადებული, ვისაც ყოველთვის და ყველაფერში უმარჯვდება, ხელი აქვს მონართული თავის ცხოვრებაში. „ქუღბედი დაჰყოლიდა სელიმ-ხანს: ყოველთვის და ყოველგან გამარჯვებულნი რჩებოდა, ყსმითისაგან დაჯილდოვებული“ (ვ. ბარნოვი).

ზოგი ბავშვი დედის მუცლიდან დაბადების დროს განხეულია სანაყოფო გარსში. ამ გარსშია: თვით ნაყოფს გარდა, სანაყოფო წყალი და ჰემოლარი. ნაყოფი სანაყოფიდან გამოვა თუ არა, მერანემ მაშინათვე უნდა გახიოს, თორემ უპაერობით ბავშვი გაიგუდება.

მდაბიურათ ამ გარსისათვის უჭევით ქუღბედი და სწამდათ, რომ ვისაც ეს ქუღბედი გამოჰყვება, თავის ცხოვრებაში იღბლიანობა დაჰყვება, ყველგან, ყოველთვის და ყველაფერში გამარჯვებული იქნება, ყოველგვარ საქმიანობაში სელი მოემართებაო.

ერთის სიტყვით, ქუღბედი ყველასათვის სანატრელია და ვისაც დაჰყვება, სხვებისათვის შურის საგანდა ხდებაო.

ქუღბების დახვევა ჰრღ. ქუღბების დაგლეჯა, ნაჭერ-ნაჭერ ქცევა. სჭვ. დიდი ქეთი, ღრეობა, მზიარულება, დროსტარება, სიხარული, „ნაყოლია: აბა ეხლა-კი კაცებმა ქუღბედი დახიეთ და დედაკაცებმა კიდევ... ჩიქილები! ვიქეთოთ რაღა!..“ (აშ. ცაგარელი).

დიდის ღრეობის, ქორწილის დროს დიდის მზიარულების ნიშნად ქუღბებს ქერში ისერიან ხოლმე მანამდე, სანამ ქუღბედი არ დაიხვევა. ქუღბის დახვევა — აუცილებელი ნიშანი ვახდა მზიარულებისა. იტყვიან ხოლმე: „შენს ქორწილში ქუღბედი უნდა დახვიოვო“, ე. ი. ძალიან უხდა ვიქეთოთ, მეტის-მეტად ვიმზიარულეთი!..

ქუღზე კაცის გამოსვლა (საომრად) ჰრღ. გამოსვლა ყველასი. ვისაც კი ქუდი ხურავს. სჭვ. ყველა მამაკაცის გამოსვლა საბრძოლველად. ეს ერთი მუქა ხალხი (ქართველთა) თითქმის ქუღზედ კაცად უნდა მღვდარიყო იბრადით ხელში, რომ მტრისაგან მტერად არ აღგვილიყო“ (ილ. ჰაგაშვილი). იგულისხმება, რომ ქუღს ატარებს მამაკაცი, ვისაც ხელში თოფის დაჭერა და მტერთან ბრძოლა შეუძლია. როცა საქმე გაჭირდება და მტერი მეტად მიძალბებულია, ვინც მამაკაცია და იარაღის ასხმა შეუძლია, ყველა უნდა გავიდეს ბრძოლის ველზე და შეეცადოს სამშობლოს მტერი ააჩრდოს.

ქუღზე ძახლი ჰრღ. დახმარება ყველასი, ვისაც ქუდი ჰხურავს. სჭვ. საბრძოლველად გამოძახება ყველასი, ვისაც ქუდი ჰხურავს. ე. ი. ვინც მამაკაცია და ბრძოლა შეუძლია. „თავლაფიანი რაჯაბა შეიყრის ღუკის ჯარსაო, ქუღზედ ეძახის თათარსა, დიდსა და პატარასაო“ (მ. უმიკა-შვილი).

ქუღიანი და უქუღო ჰრღ. ვისაც ქუდი ხურავს და არა ხურავს ქუდი. სჭვ. ყველა, ქალი და კაცი. „წინედ ქუდიანი და უქუღო სკოლის გამრავლებას უქადაგებდა ხალხს. და რადგანაც დარწმუნდნენ, ხალხს საინისო შეძლება არა ჰქონდა, დღეს ხალხის მიუტრეობის გაუმჯობესებას ჰქადაგებენ“ (დ. მაჩაბელი). ის. ქუდი არა გვხურვია, თუ...

ქუდი არა გვხურვია, თუ... ჰრღ. თავი ქუღმა არ დაგვიფაროს, ჩვენს თავზე ქუღები ნულარ იქნება, უქუღებოდ დავრჩეთ, თავი შიშველი გვქონდეს, თუ... სჭვ. შერცხევილი ვიყუეთ, კაცები არა ყოფილვართ, არაფერი შეგვეძლება, კაცური ღირსება გვეკლებია, თუ... სიმართლეს არ მოვასხუნებთ. „ნაძღვევიცა გააჩინეს (როსტე-ვანმა და ავთანდილმა), ამა პირსა დაასკენიდეს: „ვინცა იყოს უარესი, თავი შიშველი სამ დღეს ვლიდეს“ (მ. რუსთაფლი). „მამ გებრიელს თავზედ ქუდი არ ეხუროს, თუ შენ წადილი შეისრულო“ (ილ. ჰაგაშვილი). „ძალიან კარგი, მობრძანდი! საქვეყნიოდ ქუდი მოვიბადლოთ. ვინც წადილს უხდა“ (აშ. ცაგარელი). „მებრძოლებმა შალვა, კაი ვაჟკაცია, ცოლვავა, რომ ეგ უნაშუსო (ცოლი) იმას ქუღ-



სა ხ ღ ი დ ე ს^ა (ვაჟა ფშაველა). „(თუში) ვიდრე სისხლს არ აიღებდა, ვერ მოსცენებდა. ქუდს ვერ დაიხურა აქ და და ხალხში არ გამოვიდოდა“ (ივ. ბუჭურაული). იხ. თავშიშველი. ძველად ქართველებში მამაკაცობის ემბლემა, გარეგნული ნიშანი — ქუდი იყო ისევე, როგორც დედაკაცობისა — ლეჩაქი ანუ მანდილი ითვლებოდა. ქუდიცა და ლეჩაქიც როგორც მამაკაცის, ისე დედაკაცის ნამუსიანობის ნიშნად მიიჩნდათ. მამაკაცისათვის, ნორმალურ პირობებში, უჭუდოდ, თავშიშველი სიარული არ ეგებოდა, როგორც არ უგებოდა დედაკაცისათვის უღერაქობა, უშინდილობა, ლეჩაქმობდილობა. თავშიშველობა როგორც ერთისა, ისე მეორისათვის დიდის შერაცხვნის საფარო იყო, თავშიშველს არც ერთსა და აღარც მეორეს ხალხში თავი არ გამოეყოფოდა.

მთაში (ხევისურეთში, თუშეთში) ძველად, როცა ვისმე მოჰკლავდნენ, მოკლულის ძმა, მამა, ბიძა ან სხვა ვინმე ახლო ნათესავი მამრობითის სქესისა იმის ცდაში იყო — სისხლი აეღო, საზაგიერო გადაეხადნა მკვლელისათვის და მანამდე ქუდმობილია, თავშიშველი დადიოდა, როგორც უღირსი ვაჟაკის სახელის ტარებისა, კაცურად, ქუდი ანაღ სიარულისა. და ქუდს მამინაღ დაიხურავდა, როცა მიცვალებულის წინაშე თავის მოვალეობას მოიხდიდა... ხევისურეთში წინათ, ერთს კრებაზედ, ერთ გულმოსულ ხევისურს მეორისათვის ძალათი ქუდი მოუვლევჯია თავიდან. ქუდმოგლეჯილს ისე მწარედ შეურაცხუფილად უცენია თავისი თავი, რომ ხელად სატყვერით გამოუწელავს შეურაცხმყოფელი...

ხევისურეთშივე როცა სისხლის ამლეში შეხვდებოდა იმას, ვისაც სისხლი მშართებდა, უნდა მოეკლა. სისხლის გოვლე შეეცდებოდა საჩქაროზე ქუდი მოეხადნა, სისხლის ამლებსაკენ ესროლნა და თვითონ მოპრიდებოდა იჭაურობას. სისხლის ამლები ხმალს უკანვე ჩაავებდა ქარქაშში, ქუდს გააბერტყავდა და იქვე გზის პირას დასდებდა.

სისხლის ამლებ ხევისურის მხრივ ასეთის საქციელის საბუთი უნდა ვეძიოთ იმ ფაქტებში, რომ რაჯი მოსაკლავმა ქუდი მოიხადა და მტრისაკენ ისროტა, ამით დაამტკიცა თავისი ქუდმობილობა, ე. ი. დამტკიცება,

კაცურ ღირსებაზე ხელის აღება, დიაცობა... უიარაღობა. და ასეთს მოპირდაპირზე კი ქუდის პატივისმცემელი და რაინდი იარაღს არ იხმარს. ასეთს პირობებში, როცა მოსისხლე მოწინააღმდეგე იარაღი დაჰყარა, სირცხვილად და აუფად მიიჩნია მისი მოსაკლავად გამეტება.

დიდს პატივსა სცემდნენ ხევისურები ქუდის საშუალებით თხოვნას. მაგალითად, შესარიგებელია ორი მტერი ერთმანეთთან. თუ გაქირდა საქმე, შერჩეული მამაკაცი ქუდს გაიშვერს ერთერთ მოპირდაპირისაკენ, ვინც უფრო უარზედაა შერიგებაზე, და ესეც, რაჯი „ქუდითა სთხოვენ“, უარის თქმას ვერლარ ახერხებს და, მეტი რა გზაა, მტერს უნდა შეურვიდეს.

როცა წვეულებაა რამ ან მიცვალებულის დასაფლავება, წვეულების გამმართველი ხევისური მწვეველს თავისს ქუდს ვაატანს და „ქუდითა სთხოვენ“ მოსაწვევს მოსვლას. მოწვეულს რაც უნდა ესაქმებოდეს, „ქუდს უარს ვერეტყვის“ და დაესწრება უბრალო წვეულებას თუ ქელები.

საქართველოს მეორე განაპირა მხარეში. სამეგრელოში, ქუდს. საერთოდ, ორისაგ სქესის თავსახურაქს, სულ ბოლო ხანამდე (XIX საუკუნის სამოციდათიან წლამდე) შერჩენია თავისი პირვანდელი მნიშვნელობა. ქუდსა ხმარობდა მამაკაცი თავის საცოლეს დასაინაწნავად. თუ ესა თუ ის ქალი კაცს თვალში მოუვიდოდა, საქმარისი იყო, რომ შეთვალეირებული ქალისათვის ვისიმე თანდასწრებელი ქუდი ესროლნა და მოეხვედრებინა, რომ იმ წუთიდან ქალი ქუდის მსროლელის დანიშნულად გამოცხადებულყო, და საქმროსაც სხვა არავინ შესცილებოდა მის თავს.

მოგვიტობრობენ ერთს ასეთის დანიშნის ამბავს, რომელიც მომხდარა XIX საუკუნის სამოციან წლებში სამეგრელოს სოფ. კიტინაობორიში, ხობთან. უთუთია იოსავე, 23 — 24 წლის საცოლვე ვაჟაკი, გამოვიღის ამ სოფლის წყაროსთან, სადაც შეღვრებული გოგოები სოფლისა წყლის წასაღებად ჩამოსულიყვნენ. ვაჟაკს ქალებისათვის წყლის დაღვივებება უთხოვინა. ერთს მათგანს, ირინე ლატარაის ქელს, შემდეგში უთუთიას თანამეცხედრეს, ხირკათი წყალი მიუწოდებია. სმის დროს თავი უკან გადაუწვივა უთუთიას. ამა-

სობაში ქული გადავარდნია და სწორედ წყლის მიმწოდებელს მოხვედრია. სხვა ქალებს სიცილი აეტეხნათ, ხოლო „დაინიშნულს“ ტირილი დაუწყია და გაქცეულა თავის ნათესაეისას. ვისთანაც სტუმრად ყოფილა ჩამოსული, და უამბინია — მავანმა „ქული მესროლაო“...

უთუთიას როგორღაც დაჰკვიანებოდა თავის „დანიშნულს“ ქალის წაყვანა, მიშინ ქალის ნათესაეებს უთუთიას უფროს ძმა გიორგისათვის მოცაქეულები მიუგზავნიათ: შენს ძმას ჩვენი ქალისათვის „ქული უსროლნია“ და წაყვანას რად აგვიანებსო? ძმა მოლაპარაკებია უთუთიას და ქორწილიც დაუყოვნებლივ გადაუხდიათ, ორისავე მხარის გასახარებლად.

სამეგრელოშივე იცოდნენ: ვაცს რომ ცოლი მოუკვდებოდა, მიცვალბულის დასაფლავებამდე არც ქულს დაიხურავდა თავზე და იარაღ ქალამნებს ჩაიცვამდა ფეხებზე.

ოღონდაც რომ დასაჯერებელი არ იქნებოდა. მამაკაცის ქული იმგვარივე პატივცემული და მნიშვნელოვანი არ ყოფილიყო საქართველოს მესამე ვანაპირა კუთხეში — სვანეთში! აი ამის ნიმუშიცა.

მტერს რომ მოჰკლავდა სვანი, თუ მისი სიკვდილი ეცოტავებოდა, მოკლულის ქულს თან წამოიღებდა, რომ მოკლულს ვაეკაცობის მაჩვენებელი არაფერი შერჩებოდა. სახელოვან ვაეკაცზე იტყოდნენ სვანები: თეთრი, სახელი მქული ხურავსო, ხოლო აუგანის წევრი საზოგადოებისა ასე ხასიათდებოდა: შავი (უსახელო) ქული ჰხურავსო. როცა რაიმე უნდა დაემტკიცებინათ და მოწმის საშუალებით ამას ვერ შესძლებდნენ. მიჰმართავდნენ ლეთის სამართალსა და განჩინებას, ანუ ფიცს: მოიხდიდნენ ქულს, ძირს დაახუთქებდნენ და იტყოდნენ: ასე დამამხოს ღმერთმა და ქვეყნის გამჩენმა უფალმა. თუ ვტყუოდო!.. ან როცა შორსმყოფი მტრის დაწყევლა უნდოდათ, ამავე ქულს ისევ დაახუთქებდნენ და დასვენდნენ: ასე დაამხოს ღმერთმა ჩემის დაზარალებისათვისაო...

სვანისათვის დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა, თუ ვინმე ქულს გადაუგდებდა თავიდან: შეურაცხყოფილს მოუკვლევად არ გადაურჩებოდა შეურაცხყოფელი ასეთის გალანძღვისათვის.

ეს კულტი ქულისა, ეს მოწიწება,

რომლითაც ქართველები ეპყრობოდნენ ორისავე სქესის თავსაბურავს, ეს მნიშვნელობა, მამაკაცის ქულსა და დღეაკაცის მანდილს რომ ჰქონდა ჩვერის წინაპრების ცხოვრებაში, საქართველოს გულში — ქართლ-კახეთში — სულ უკანასკნელ ხანამდე იყო შემინახული. მოგვხსენებთ, რა პატივი ჰქონდა ქალის მანდილს... საკმაო ვახლდათ (ისევე როგორც სვესურეთში) ქალს ორ მოჩხუბარს შორის მანდილი დაეგდო, რომ მოჩხუბართ კნინი სურვილი ჩხუბისა და უსიამოვნებისა მყისვე დაჰკარგვოდათ და მოპირდაპირის გასაგმირავდ ამოწვდილი ხმალი თუ სატევაო, ხმის ამოუღებლად, ქარქაშშივე ჩაგებულიყო...

იმავე ქართლ-კახეთში ჯერ ისევე ამ ორმოც, ორმოცდაათ წელს წინათ, როცა რაიმე დანაშაულისათვის (ქურდობა, მრუშობა, ცოლ-ჰმრუდი ღალატი) თვით სოფელი სჯიდა და მნაშავე კაცსა თუ ქალს. ვინც უპატიურად მოეპყრობოდა წინაპართა ძეგრ დაღვნილ ზნე-ჩვეულებას, მოინდომებდა მის გადალახვას. სოფლის მეთაურები ასეთს დამნაშავეს შეიპყრობდნენ, გამოიყვანდნენ სოფლის შუაგულ ადგილას, მოწმე მისის დანაშაულისა თუ მსხვერპლი მისის უკანონო საქციელისა ხმამაღლა, ყველას გასაგონად აღიარებდა ამა თუ იმ სააუგო საქმის ჩამდენელის საქციელს, რასაც მოჰყვებოდა ფიცხელის, შაპელაციო განაჩენის გამოტანა მამაკაცისათვის — ქულს მონდა, ხოლო დღეაკაცისათვის — მანდილი სა. ამას მოჰყვებოდა პირუტყულმა სახელარზე შესმა, კარ-და-კარ ჩამოტარება, თავზე ლეთის დასხმა (იხ. „ლეთის დასხმა“); ყველანი ჰმერწყვიდნენ. არცხვენდნენ, ქულ ან მანდილმოხდილს ეახლდნენ, რაიცა უღრიდა საზოგადოებიდან გამოირიცხვას, ყოველი აღმძიანური ღირსების ჩამოცლას; ყველას სათაკილოდ მიაჩნდა მათთან ურთიერთობა, ერთის სიტყვით, ახლიც ჰქონდა ელემენტარული საზოგადოებრივი უფლება-უპირატესობა.

გვახსოვს, რომ იმავე ქართლსა და კახეთში თავადსა თუ გლეხს ქული ერთავად თავზე ჰქონდა: ეხურა პურისქამის დროს, ეხურა შინყოფნის დროს, ეხურა, რა თქმა უნდა, ვხაში და თქვენ წარმოიდგინეთ, ღამე ლოგინშიაც, თავიდან არ იშორებდნენ. ქალებისას ხომ

ნულარა ბრძანებთ!.. შეუძლებელი იყო, რომ ქალი თავშიშველი სჩვენებოდა ვისმე; თავზე მანდილი არა ჰხურვოდა!.. შორს თქვენგან!.. მაშინ რაღას მანდილოსანი იქნებოდა!.. ისევე როგორც უქულო — მამაკაცი არ იქნებოდა ქულოანი, ე. ი. ვაჟაკი, ვაჭურ-კაციობის, ადამიანობის, გულადობის, სინდისიანობის, სიქველის, რაინდობის განმსახიერებელი!..

უნდა ვიცოდეთ ძველებური მნიშვნელობა ქულისა ქართველისათვის, რომ ძველად ყოველ ფეხის გადადგმაზე სახმარებელი და იმ დროისათვის დიდი მნიშვნელოვანი თქმა: „ქაცი ის არის და ქუდიც იმასა ხურავს“, იხმარებოდა კარგის, ყველაფრით სრულის, უყვედროდ ადამიანის წარმოსადგენად! როგორც მსველელობაში დროებამ და ადამიანის შეხედულებამ ცხოვრებასა და საგანზე იმდენად იცვალა ფერი, რომ ქულოსნობას თუ უქულობას, მანდილოსნობას თუ უმანდილოსნობას სრულებით გულგრილად ვუცქერთ; უკეთეს შემთხვევაში, ქულს ჩვეთვის იმდენად აქვს ფასი და იმდენადვე სასურველი მისი ტარება, რამდენადაც ეს ნაწილი თანამედროვე სამოსელის მზის სხივების სიმცხინვარისაგან იფარავს ჩვენი თავის კანს ან ზამთრის სუსის ადვილად გასაძლისად ხდის.

თუ „ქულის მოხდის“ ძველებური მნიშვნელობა ვიცით, მაშინ-ღა მივხედვებით, თუ რატომ უღრის უღიდეს შერცხვენას მამაკაცისათვის თქმა ორ-გულ და მოღალატე ცოლის შესახებ: „თავის ქმარს ქუდი მოჰხადაო“...

თანამედროვე ქართულში სულ ახლახან გადავიარდა ხმარება თქმისა, რომელიც გამოხატავდა უმძიმეს ლანძღვას. შერცხვენას, ვაწილებას იმისას, ვისაც გულმოსული ველაპარაკებოდი და იმისი დამცირება, განადგურება გეწაღდა: „ქული არა გხურავსო!“ მართლაც და რა უნდა ყოფილიყო ის ადამიანი, რომელსაც თავის უადამიანო საქციელისათვის თავიდან ქული მოჰხდოდა საჯაროდ და ასე გაეშვით თავშიშველად სასიარულოდ ყველას დასაცინად, საჭირდევლად, საჭიჭელად!.. ასეთს თქმას კაცს აკადრებდნენ უკიდურეს შემთხვევაში, როცა ყოველი საშუალება მის გულისხმაში ჩასაღდებად შემოლული იქნებოდა: ამას ვეტყუდით და ისიც უნდა მიხვედრილიყო, რომ ჩვენ

მიგვაჩნდა ხელალებულად ყოველგვარ კაცურ ღირსებაზე, სინიღისზე, ვაჟაკობაზე, რომ ჩვენა ვთვლიდით უკანასკნელად, პირუტყვის სადარად, რომელსაც არ უნდა გაეებდნა ადამიანებში გარეულიყო, ხალხში თავი გამოეყო...

ახ კიდევ, რომ ეტყოდნენ ვისმე: ქული შეგიტყვევოს, ამით გამოჰხატავდნენ მის საბოლოოდ ზნეობრივ დაქინებას. განადგურებას, როცა უნდოდით მავანი მამაკაცის სილაჩრე, სიძაბუნე საცნაურ ექმნათ ყველასათვის, ეტყოდნენ: შენ ქული კი არა, ქალის მანდილი უნდა გეხუროს თავსედაო...

ქულის მოხდა უფროსთან — ახლა პატივისცემის, შორიდების, კრძალვის ნიშნად გადაიქცა (პირდაპირ: თავის უღრისების ჩვენება უმეტესად ღირსებულის წინაშე). უწინ კი ასე არ გახლდათ. ქულის მოხდა, ვისთანაც უნდა ყოფილიყო, არ ეგებოდა, ძველად უმცროსი უფროსს რომ შეხედვებოდა, ქულის მოუხდელად მძიმედ თავს დაუქრავდა, სალამსა ჰკადრებდა.

ფრანგებსა და რუსებსაც სცოდნით: უპირულ მოვალეს შესარცხვენად, დასასჯელად ქულს მოხდენენ ხოლმე საჯაროდ.

ქულოსანი დღეს გვიქვია იმისათვის, ვისაც ქული ჰხურავს. წინად კი სიტყვა „ქულოსანი“ უღრიდა მამაკაცს. როცა ჩვენი მოპირდაპირე მამაკაცისათვის უფერო და სძრახ საქმეს ჩაიდინდა, გვითხავდით: ქული გხურავსო! ე. ი. არ კი ვეტყობა ვაჟაკობა, შენს ქტევას ვაჟაკურის გარდა ყველაფერი დაერქმისო...

ქულის ამ მნიშვნელობასთან უნდა ყოფილიყო დაცემირებული წინათ ჩვენი დროის მოწაფეთა შორის გავრცელებული ჩვეულება უფროს მოწაფეების მიერ უმცროს კლასელების ქულების მოგლეჯა თავიდან და ძირს დახეთქება...

იხმარებოდა აგრეთვე ასეთი თქმა: თავსლაფის ქული ჰხურავსო. ამის წარმოშობა უნდა ვეძებოთ იმ სასჯელში, რომელსაც საჯაროდ მიაყენებდნენ დამნაშავეს და რომელსაც ერქვა: „ლაფის დასხმა თავზე“. სიმინლაციის ძალით, თავზე სქლად დარჩენილი ლაფი წარმოადგენდა ერთგვარ სარქველს თავისას ანუ ლაფის ქულს.

დასასრულ, ანდაზადაა გადაქცეული ასეთი თქმა: ქული დასდე და სამართალი ისე ჰქენიო. საქმე ის გახლავსთ, რომ რახედმე ფიცის მოცემის, გინა სიმართლის დანახვესათვის იტოდნენ ქულის მოხდა და ძირს დამხობა და დატანება: ასე დამამხოს ღმერთმა, თუ ეტყოდყო. მაშასადამე, იგულისხმებოდა: ქულის ძირს დადებით სიმართლეს ყველასათვის აშკარა ვხდით.

ყოველდღიურ ცხოვრებაში აღსანიშნავია მეუღლის ნამუსიანობა, ოჯახის ერთგულად ქმრისათვის ძვირად ჰფასობს. და კიდევ ამიტომ ამბობენ ხოლმე ასეთ ქალზე: ქმარს ქული და მახურაო, ხოლო ამის საწინააღმდეგო საქციელის მეუღლეზე იტყვიან: ქმარს ქული მოჰხადაო, ე. ი. შეარცხვინა, სახელი გაუტეხა, თავი არსად გამოეყოფაო.

სამეგრელოში შიშაქციის ქულის ქალი ვერ დაიხურავდა: ქულისათვის ქალის მხრივ ეს დიდ შეურაცხყოფად და ქალისათვის დასაგმომ აქტად ითვლებოდა.

საინტერესოა, რომ ძველად ქართველები ქულებს ეკლესიაშიაც არ იხდიდნენ. ეს გარემოება აღნიშნულია განსვენებულ მ. პოლიევკოვის მიერ გამოცემულ წიგნში („სტოლიკი ტოლხანოვის და დიაკი იევლივის ელჩობა იმერეთში 1650 — 1652 წწ. ტფ. გვ. 69). უნდა ვიფიქროთ, რომ ეკლესიაში უქულოთ დგომა ქართველებმა დაიწყეს, ალბათ, XIX საუკუნის დამდეგიდან.

ქული გვახურავს ახ. ქული არ გვხურია. ქული დავლოთ და სამართალი ისე ვქნათ ახ. ქული არა გვხურვია, თუ... ქული დახურა ახ. ქული არ გვხურვია. ქულითა ხვეწნა ჰრე. ქულის გაშვებით თხოვნა რისამე, ჭკვ. სულითა და გულით თხოვნა რისამე, ჰირის მოქმა, მეტად ძლიერი შეხვეწნა. „არსაბექ გამოქცეული ღმერთს ეხვეწების ქულითა“ (ავ. შინიძე, ხალხური პოეზია). „აპარეკა წინ დაუდვა ქეთევანსა — პატარაძალსა, ეხვეწება ქულდ მოხდილი“ (ე. ხორაჯული).

ქულის ქართველებში, როგორც მამაკაცობისა და ფაქტაციობის ემბლემას, მამაკაცის სამოსელთა შორის საპატრო და უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა. როცა ვისმე დიდი თხოვნითა სთხოვდნენ რასმე, როცა ძალიან შეეხვეწებოდნენ,

ისე, რომ არ გავეცულებინათ, მოიხდიდნენ ქულს, წინ გაიშვერდნენ და ეტყოდნენ: აი. ამ ქულით გეხვეწებითო, რაც სიმბოლო იყო ვაჟკაცური თხოვნისა, რომლის გადაცულება არ ეგებოდა და ქულის უპატივესელობად და შეურაცხყოფად ითვლებოდა იმის მხრივ, ვისაც რასმე სთხოვდნენ. მაშასადამე, ასეთი თხოვნა, სიმბოლოურად ასრულებული. უეჭველად უნდა ყოფილიყო შეწყნარებული.

როგორც ნამოწმებ ამონაწერიდან ჩანს, ეს ქულის კულტის გამოხატეული საინტერესო ჩვეულება არსებულია ხევსურეთში. მაგრამ ისიც საინტერესოა, რომ იგივე ჩვეულება არსებობდა, ჯერ კიდევ ამ ნახევარ საუკუნეს წინათ, საქართველოს მეორე განაპირა მხარეში — სამეგრელოში. ამ ჩვეულებას, სხვათა შორის, მიმართავდნენ ქორწილის დროს. ქორწილში მოსაპატივებელთ რომ შემოუვლიდა დამპატივებელი საცი, ჰიშკართან გაჩერდებოდა. ქულის მოხსნიდა, გაიშვერდა დასაპატივებლისაკენ და ეტყოდა: მავანს ამა და ამ დღეს ქორწილი აქვს და ქულითა გთხოვს ეწვიოთ და თქვენის მობრძანებით გაახაროთ მისი ოჯახიო. ქულით თხოვნაზე უარი, გაცულება არამც და არამც არ ეგებოდა, სალაპარაკოდ არ გახდებოდა.

ქული რომ შეუდგო (სადმე, სადაც შესვლა არ უნდა), გამოხატანად არ შევა ჰრე. და ჭკვ. არაფრის გული-სათვის არ შევა ისეთ ალაგას, სადაც შესვლა არ უნდა. „ეხლანდელ დედამიწეავასახეთქ ადამიანს ქული რო შეუდგო საყდარში, გამოსატანადაც არ შეჭა“ (დ. მახანელი).

ირჩიეს ქული დავარგოს, ვიდრე იქ შევა, უქულობა კი ქართველისათვის ძველად დიდად სასირცხვილო იყო.

ქულის გადმობრუნება ჰრე. ქულის სარჩულის გამოჩენა. ქულის პირის დამალვა და ისე დახურვა ვისსამე თავზე. ჭკვ. შერცხვენა, აუფიანობა, ვაწბილენია, მასხარად ავდებმა. ვაკილვა, უპატიოდ გახლობა, კბილქვეშ მოტანა. „ჩემი (მსაჯულის) აზრი ეს არის, იმ აზნაურს ქული გადმობრუნოთ და თავზე ისე დაეხუროთ, მერე პირუკულმა შეგვვით ვირზედა და კული ხელში მივცეთ, ჯერ ქალაქი შემოვატაროთ, რომ



ყველამ გავიგოს იმის დანაშაული, მერე გავიყვანოთ ქალაქს გარეთა და ჩავაქვავოთ“ (ხ. ანტონოვი). ახ. ქუღი არა გვხურვია, თუ...

საქართველოში დამნაშავეის დასჯის ერთ სახედ ითვლებოდა მისთვის ქუღის მოხდა, უქუღოდ დატოვება. მაგრამ იყო ხოლმე შემთხვევა, როცა ქუღს უნარჩუნებდნენ თავზე, მხოლოდ გამასხარავებულის სახით, რაიცა უღრიდა იმავე ქუღის სრულად მოხდას.

ქუღს, რომელსაც საერთოდ ცხერის ტყვისა იყო და გარედან, პირზე, ცხერის მატყული შერჩენილი ჰქონდა, გადმოაბრუნებდნენ, უმატყულო სარჩულს ვარეთ მოუქცევდნენ და ისე დაპზურავდნენ გასამასხარავებელს, საჯაროდ შესარცხვენს დამნაშავეს. ამნაირად, თვით გამასხარავებულის ქუღის დახურვა სრულს უქუღობას უღრიდა და შერცხვენის პროცესი სავსებით ეფექტურად ითვლებოდა.

ქუღის დახურვა ჰრ. ქუღის დარქმა თავზე, თავის დაფარვა ქუღითა. ზვ. ვაეცაობის ვამოჩენა, მხნობა, სიჩაუქე, სიმამაცე. „ახლა უფრო შემოიყვარდნენ ეგენი ძმასავეთ, მაგათ მამაცობისათვის. დღეს და ახსურეს მაგათ ქუღი“ (ზრ. ობოლეთი). ახ. ქუღი არ გვხურვია, თუ...

ქუღის დახურვა გვერდზედა ჰრ. ცალ ყურისაკენ დაწეულად დახურვა ქუღისა, გვერდელა ტარება მისი. ზვ. თავმომწონებობა, მხიარულად ყოფნა, უღარდებობა. „აწნაურობა მიყვარდა, გვერდზედ დახურვა ქუღისა“ (პ. უმათაშვილი).

საერთოდ ჩვეულებრივს დგომარეობაში მყოფი ადამიანი ქუღს თავზე სწორედ იხურავს, ხოლო როცა იგივე კაცი მთვრალია, იმას თავი არა აქვს: თავისს ტანისამოსს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და საზოგადოებაში მიღებულ წესებს არ გადავიდეს და უყუროს—ქუღს სწორედ ხურავს თუ არა.

სულ სხვაა, როცა ადამიანი კობტაობს, მაყურობელს თავი უნდა მოაწონოს, თავისი უპირატესობა დაანახვოს! ამ შემთხვევაში ის განზე, ყურისაკენ, მიიტკეპს ქუღს, ყენივით მიდის ცხვირაწეული და თან გულში ამბობს: გზა მიტეით, შემომხედეთ, რა ბიჭი მოვლივარ, უბრალო ვინმე კი არ გვგონოთ!..

ქუღის მაღლა სროლა ახ. ქუღის ჰკრა ქერში.

ქუღის კვრა ქერში ჰრ. ქუღის გასროლა ქერისაკენ. ზვ. უზომო მხიარულება, დროს ტარება. „დასხდნენ ემობილები და ქუღი ქერში ჰკრეს! სხედან ეხლაც იქა და ქენილობენ“... (თ. რაზივაშვილი). „მაწაწინა ნიგვზის ტოტი! ჩუპრი-ჩუპარ, ჩუპრი-ჩუპარ, ჩუპრი დარეჯანასა! ურაა!.. აი გიდი!.. ქუღი ქერში!..“ (ილ. პავლევი). „გახალდა ქორწილი, გამხიარულდა ბუხარი და აღარც ვინ იყო სახლში გულჩათხრობილი გარდა ხუცესისა. პურობა იყო დიდად უხვი და ისიც უთუოდ გამხიარულდებოდა, ქუღს ქერსა ჰკრავდა, რომ წარებოცა ცუდი შთაბეჭდილება“ (ე. ბარნოვი).

ღიღის მხიარულების დროს ქართლ-კახეთში მოქვიფენი, უზომო სიამოვნების ნიშნად, ქუღს ქერში ისერიან ხოლმე, და ქუღის აგდება მაღლა სიმბოლოა მაღლა აწვივისა, განდიდებისა, ბედნიერებისა, ზოგიც ქუღს რომ ცაში (ქვერში) ისვრის. ტანისამოსს ცეცხლში ჰყრის ხოლმე, თავბრუდახვეული მენტისმეტ სიხარულისაგან.

ქუღის მოხდა ჰრ. თავის გაშიშვლება, უქუღოდ დატოვება. ზვ. საჯაროდ შერცხვენა, აუგვიანისა და სირცხვილუფის სახელის ტარებინება დამნაშავეისათვის. „ჩენი მზე ტყვედ ჩაუყვარდებოდათ უსჯულოებს და სირცხვილუფი თავს ქუღნი მოგვეხდებოდა“ (ე. ბარნოვი).

ქუღმობილ ღვინის სმა ჰრ. უქუღო ღვინის სმა. ზვ. დაწმენილი ღვინის სმა. მგლ. მთელი ღამე სულ ქუღმობილ ღვინოსა ვსვამდით, იმის სმას არათერის სჯობდა...

რთველში თეთრსა და შავ ყურძენს ცალ-ცალკე ჰკრეფენ ქართლ-კახეთში. ერთსაც და მეორესაც ცალ-ცალკე სწორედ და ასხამენ ქვევრებში. ღვინის კარგად ასადულებლად აგროთეფერისა და სიმავრის მისაცემად ქვევრში ჩაყრიან ჰუპას: თეთრ ღვინიან ქვევრში—თეთრსა და წითელ ღვინიანში—წითელსა. ეს ჰუპა ღვინოს რომ აადულებს, ღვინოს ზევიდან დაეხურება ქუღივით, ქვევრში ჩასხმულ ღვინოს ხარჯვის დრო რომ მოუვა, ქვევრს თავს მოხდიან, ღვინოს ქუღად დახურულ ჰუპას მოხდიან ისე, რომ ღვინო ქუღ-



მოხდილად, უქულოდ დარჩეს და მერე შეუდგებიან დაწმენდილ, ანკარა ღვინის სმას. და იტყვიან ხოლმე: სულ ქულმოხდილი ღვინო ვსვითო. ქართლ-კახეთში დღესაც ასეთი წესით იციან ღვინის დაყვება.

ქული ყავარზე აქვს შესაგდება ჰრდ. მისი ქული სახლის სახურავის ყავარს ზემოდან უნდა მოექცეს. ზვ. მხიარულება ჰმართებს, გამარჯვებულია, დიალაც რომ ბედი უღიმის! „ხელსაყრელი დრო ჩაუვარდა ხელში და ქული ყავარზე ვვაქვს შესაგდება“ (ან. ერისთავ-იოსებარია).

ყავარი თხელი ნაჭერია ფიცრისა, რომლითაც დახურულია ხოლმე სახლი, მაშასადამე, თავს დაცქერის ზენობას და მისი სულ ზემოთა ნაწილია. ყავარზე შეგდება ქულისა გამობატავს უსახლგრო სიხარულს, რასაც განიცდის ამა თუ იმ წუთში ესა თუ ის ადამიანი და ამ სიხარულის აღმწერელია მისი სულ მალა, ყავარზე შესროლილი ქული.

ქული ცაში (ქერში) და ტანისამოსი ცეცხლში გადადიოდა ჰრდ. ქულის სროლა ცაში, ტანისამოსის—ცეცხლში. ზვ. დიდი, უხომო, თავდავიწყებით მხიარულება. „ნუთუ ყველა ეს სიმშობის ბრალია? თავად სიმშობილი ისეთ ბუქნაში ამოდიოდა, რომ ქული ცაში და ტანისამოსი ცეცხლში გადადიოდა“ (ფაფავლა). იხ. ქულის ქერა ქერში.

ქულმოგლეჯილი ჰრდ. განგებისად ქულმოგლეჯილი, უქულო. ზვ. მოჩქარი, გამალეხული, მოსწრაფე, მასურებელი. „ამ სახელის გავონებაზე მაშინვე მოქულისაღდა თურმე ქულმოგლეჯილი“ (ს. მგალობლიძე).

ქულმოგლეჯილის შესატყვისია— ძალზე მოსწრაფე ადამიანი, რომელსაც ქულის დახურვის დროც-კი არა ჰქონია და ისე გაქუტულა რაიმე საქმისათვის. უქულობა-კი, როგორც მოგლეხებათ, ძველად ვაქვაციისათვის დიდ სააუგო საქმედ ითვლებოდა. მაგრამ სასწრაფო საქმე—ცოტაოდნად არის, ბოდინსა ხდილად უქულოდ, თავშიშველად გაქუტულს.

ქულმოხდილი ჰრდ. უქულო, თავშიშველი. ზვ. შერცხევილი, აუგებანი, უნამუსო. „ქულმოხდილს ქვეყნიდ ნუ მავლებ, პირში ნუ მიმცემ გმობასა“ (ფაფავლა). იხ. ქული არ გვხურვია. ქულის მოხდა.

ქულმოხდილი სმა ჰრდ. როცა სმის დროს ქულები მოხდილი აქეთ მოსუფრალთ (ან მოსუფრალს). ზვ. გაჭიანურებული სმა ღვინისა. „დაჯდება შენი პატრონი, ქულმოხდილი იწყებს სმასა“ (ბ. უმიკაშვილი).

კამა-სმის დროს ძველად მოსუფრალთ ყველას ქულები ეხურათ. მაგრამ რომ შეტყებოდნენ სმას, ვახურდებოდნენ და თავები გაუოფლიანდებოდათ, ოფლის მოსაწმენდათ და თავების გასაგრილებლად, იძულებულნი ვახდებოდნენ ქულები მოეხადნათ. გარდა ამისა, ქართულ სუფრახე სმა დაცლაზე იყო, ე. ი. მსმელს სასმისი უქობოდ (იხ. უქობოდ დაცლა ჭიქისა) უნდა დაეცალა, ამისთვის თავი უკან გადაეწია და ამასობაში ქულიც უნდა გადაეარდნოდა. ამის ასაცილებლად, ქულებს მოხდიდნენ და ისე განაგრძობდნენ სმას და აქედან ასეთ სმას ქულმოხდილი სმა დაერქვა.

ქულოსანი ჰრდ. ვისაც ქული მხურია— ზვ. ვაქვაცი, მამაკაცი, შემშართებელი, გულადი, მანაცი. „დათაივე რაისა იტყვი მაგას! კაც ვარ ქულოსანი, განა ძაღლი!“ (ბ. ანტონოვი).

ქულოსნობა ჰრდ. თავზე ქულის დახურვა— ზვ. ვაქვაცობა, მამაკაცობა, შემშართებლობა, გულადობა, სიამაყე— აბა შენ იცოდე და შენმა ქულოსნობამაო, როგორადაც არ ირცხენი თავსაო, აბა ვუბოძოთ ქულები კომბლებზედაო“ (ბ. ანტონოვი).

ქულდა ხდის (ცოლი ქმარს) ჰრდ. თავიდან ქულს აცლის. ზვ. არცხენს, საქვეყნოდ თავსა ქრის, ღალატობს. „მებრალება შალვა, კაი ვაქვაცია, ცოდვია, რომ ეგ უნამუსო (ცოლი) იმას ქულდა ხდიდეს“ (ფაფავლა). იხ. ქული არ გვხურვია.

ქუე ჰზი, ზე ადეგ, და ზე ხდგა— ნულარ დაჯდება ჰრდ. და ზვ. ისწრაფე, ნულარ დაყოვნებ. „თუ ჩემი მოსწრაფება გუადიან, ნულარ დაყოვნებ წამსაცა: ქუე ჰზი, ზე ადეგ, და ზე ხდგა, ნულარ დასჯდება, წამსაცა ნულარ მოიხვენებ (ფისრამიანი).“

ქულარულად ჰრდ. ქურდის მსგავსად. ზვ. ჩუხად, მალულად, მიმარვით, იღუწილად, ფარულად.

ქულდახეთქილი გლეხი ჰრდ. ვისაც ქუსლის ხორცი დახეთქილი აქვს

(უქალმნობით სიარულისაგან) სკვ. მეტად ღაობი, უქონელი.

ქუსლებიდან მოცვეთილი პრე. მხოლოდ ქუსლების ამარა დარჩენილი. სკვ. დაბალი. გაეშმაკებული კაცი, გინა ქალი.

ქუსლები უჯანა ჩნებათ პრე. ქუსლები შორდება ფეხებს. სკვ. საშინელის სისწრაფით შიობიანი.

როცა სწრაფად მირბის ვინმე. ფეხის ქუსლები უჯან იწევა იმ ზომამდე, რომ გვერვინება თითქო ქუსლები ფეხებს შორდებაო.

ქუჩა-ქუჩა მავალი პრე. ვინც სულ ქუჩებზე დადის. სკვ. ვინც ბევრს დადის. „ჭერი, ჭერი? სხვებსაც ეგ აკერიით პირზედა, შუროთ შემოგვეტყერიან. გაიგე, ყურებიდან ბამბის ჩულა გამოილე, გაიგონე. რომ დღეს არა, ხვალ ეს ჭერიც გამოგვეცლება ხელიდან და მაწანწალანი შევიქნებით, ქუჩა-ქუჩა მავალინი“ (ე. ბარნოვი).

ქუჩის ბიჭი პრე. ბიჭი, ვინც ქუჩა-ქუჩა დადის. სკვ. ნაწანწალევი, ნათრევი, ბრბოში ნახარდი.

ქუჩუკ-ყარამანობა პრე. ქუჩუკყარამანის მსგავსად მოქცევა. სკვ. ფრიად მოსაწონი, სანატრელი გმირობა, ვაეკაცობა. „ერთს სალამოს ამგვარი ქუჩუკ-ყარამანობა ფრიად ძვირად დაუჯდა (ფშატაძეს), ისე ძვირად, რომ კინიამ თავისი გმირი თავი არ დასდო“ (ვაფ-ფშაველა).

ქუჩუკ-ყარამანი მთავარი გმირია სპარსელი პოეტი აბუ ტაჰირის ნაწარმოებთა. რომელიც ქართულად თარგმნილია XVIII საუკუნეში დავით ორბელიანის მიერ. მდამბო ხალხისათვის ერთსაუკეთესო საკითხავ წიგნად ითვლებოდა. შიგ მოთხრობილია ვაეკაცობის ამბავი გმირებისა, რომელთათვის რამე დაბრკოლების უძლეველობა არა თქმულა.

ღ

ღამე პრე. იმ დროის განმავლობა, როცა მზე ჩვენი სპირიტის ქვეშაა; სიბნელე, რომელიც გამეფებულია ამ ხნის განმავლობაში; სიბნელე საერთოდ. სკვ. უცოდინარობა, გაურკვეველობა, უბედურება, სივდილი. „თქვენის შვიდის წლის ღვაწლი უნაყოფოდ არ დაიკარგა მკითხველთათვის; იმათ ისე ჰგონიათ. რომ რაც სხვისათვის დღეა, ის ჩვენთვის — ღამეა, თეთრი — შავი, შავი — თეთრი“ (ილ. ჰაფიზაძე). „მე ნუ გამყრი საყვირელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა“ (შ. რუსთაველი).

ღამეა გულისა პრე. სიბნელით მოცვა გულისა. სკვ. წუხილი, ქმუნვა, დაღარდინება, დამწუხარება. „მერე ავდეგ სვედიანი, მიღამებდა გულსა მურე“ (შ. რუსთაველი).

ღამე — სინონიმი სიბნელისა; სიბნელე კიდევ, თავის მხრივ, სინონიმი დაღარდინებისა, მწუხარებისა, კეშინისა, შიშისა. უნეტესად სინონიმი შიშისა, რადგან. პირველყოფილი ადამიანის წარმოდგენით, სწორედ ღამით, ბნელაში გამოჰყოფენ თავს თავიანთის სამალავიდან ათას ჯიარის და ათასის რჯულის სულები,

ბნელებთის ძალი, ადამიანის სამტროდ და მის საგნებლად გაჩენილები, რომლებიც დღისით. მზის სინათლეზე, ეყრა ჰმედევნ ნავარდს, ადამიანზე ნადირობას.

რამდენად დღე, დღის სინათლე გეხარებს და გულს გეინათლებს, იმდენად ღამე, სიბნელე გეაშინებს, გულს გეიხურავს, ათასგვარ დარდებს ავგიშლის.

აქედან შეგვჩა თქმა: ღამეა გულისა, რაც ლიტერატურაში ნახმარია პირველად რუსთველის მიერ და რაც იგივეა, რაც დიდი მწუხარება, დიდი დარდი, დიდი ნალველი...

ღამე გამითენდა პრე. ღამე გათავდა, სინათლე მოჰყვა. სკვ. სასიბარულო ამბავი შემემთხვა, ჩემს გაჭირვებას ბოლო მოეღო. „ხალხმა მაშინათვე იცნო თედე, საბარლო ხალხს დანე გაუთენდა, მზე ამოუფიდა“ (ვაფ-ფშაველა).

ღამე ერთად და ათახანიო ხიზმარი... პრე. ერთი ღამის განმავლობაში ათახანიო ხიზმარის ნახვა. სკვ. მოუსვენრად ძლიო, გაწვალბულად, შუთთანად მოსვენება. „სიხმრებმა წამიღეს! რომ ამ შეიძლება! ღამე ერთად“



თია და ათასნაირი სიზმარი!"
(ავტ. ცაგარელი).

ლამის გატყდომა ჰრღ. ლამის დამსხვრევა. ზვ. ლამის დასრულება, გათენებისაკენ მიმართვა ლამისა, გათენება. „მეცხედღე, ხარბპარიამ ლამაზად გამოანათა... მერე აღარა მიჰირს-რა, გატყდება ლამე და ძილი“ (ჩ. ვრისთავი).

ღართიანად დავიღებ ჰრღ. ჩემთან ერთად ღართიც დამეღებ. ზვ. სულ მთლად დავიღებ. სულს აქეთ არაფერი შემჩრა. ზგლ. დავიღებ და როგორ!.. რომ იტყვიან, ღართიანად დავიღებო, სწორედ ისე დამემართა.

ღართი — მეგრულად იგივეა, რაც ქართულში სპარსულიდან შემოსული სიტყვა ჩოხაა, ე. ი. ახალუხს ზემოდან ჩასაცემელი სამამაკაცო სამოსი შალისა. ძველად, უნდა ვიფიქროთ, ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იყო ღართი და, მაშასადამე, ძვირფასად და ნატკრის სახნად ითვლებოდა. მისი დაკარგვა მეგრელისათვის უდრიდა უღატორდ დარჩენას ანუ სამამაკაცო სამოსელს მოკლენას და ტოლთა შორის შერცხვენას. და ეს თქმაც სწორედ ამიტომ გამოხატავდა მატერიალურად დაზარალებულ მეგრელის განუზომელს, აუნაზღაურებელ ბედწელობას.

ღარბი კაცის ვალის მზღველი — ღმერთია ჰრღ. ძველ. სწამდით, რომ ღარბი კაცის ვალის გადამხდელი — ღმერთია. ზვ. ღმერთია ღარბი კაცის მფარველი, შემწე, მშველელი. „დაილოცა ღვთის სამართალი, რომ მე და შენისთანა თავმინებებულ კაცს მაგისთანა ბატრონს გაუჩენს ხოლმე!.. მე თუ კაცი ვარ, ეგ იმისი უნარია, ღმერთმა გადაუხადოს! ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ჩვენი ის თანა (ვაჭირებულის) კაცის ვალისა ღმერთია მზღველიო“ (ილ. ჰავაძე).

ღარბი მარგალიტი ჰრღ. და ზვ. იშვიათი, მსხვილი მარგალიტი, უცხო, საკვირველი, საოცარი. „ოქროც რამე წაიჭანეს, მარგალიტი ღარბი ბები“ (მ. რუსთაველი).

ღარბი არაბულია და ნიშნავს ერთსა და იმავე დროს უპოვარს, უქონელს და იშვიათს, საუცხოვოს, მსხვილს.

ღარბს დასმა ჰრღ. ღარბს გაცელება ცხენის გავაზე. ზვ. გამარჯვება, წარმატება, გამდიდრება, ხელის მო-

მართვა, წინსვლა, ქონების შექმნა. ზგლ. წრეულ ისე კარგად წავიდა იმისი საქმე, რომ სულ ღარი და ისეა.

როცა რაიმე საქმეში გაუმარჯვდებით ან მოიგებენ ფულს, ან გამდიდრდებიან, იმერეთში იტყვიან: მავანმა ღარი და ისეაო. წარმომდგარია ეს თქმა იმ სურათისაგან, რომელსაც ჩვენა ვხედავთ მეტად გასუქებულ ცხენის გავაზე: გავის იქითა და აქეთა ნაწილი სიმსუქნისაგან ამობურცულია და შუაში ღარის მსგავსდაა ჩაწეული. ისე გასუქებულ ცხენზე იტყვიან ხოლმე: ღარი და ისეაო.

ღღინის გაგდებინება ჰრღ. ურჯულოდ დატოვება, ხელიდან გამოცლა სჯულითა. ზვ. საშინელს სასჯელის მიყენება, მეტის-მეტად ძიება შეურისა. უზომოდ დატანჯვა. „ეჰ, დედი, შენ კიდევ მოჰყვები ყუ ლაპარაკს! მე იმ სულში წასვლა შეზარება. თავი დღემე ამოტოლა ვარ, ჯერ არა ვყოფილვარ, თორე, რაკი ექმივად, გავამტკუნებ კი არა, ოღინსაც გავაგდებინებ“ (მელანია).

იხ. რჯული ს გაგდებინება. ოღინი — არაბული სიტყვაა, ნიშნავს — რჯულს. სარწმუნოებას. **ღერძის გაბრუნდება** ჰრღ. სისწორის დაკარგვა ღერძის მიერ, რომელზედაც თვლები ტრიალებს ურმისა. ზვ. დაბრუნდება, ხელის შემლა საქმიანობაში. „ჩვენ ადრევეც ვვითქვამს, რომ ეხლანდელს დროს რაღაც ხიფათი შეემთხვა და აღამიანის ლოდკამ გზა შეიშალა, თითქო ან მართლები მოეშალა ან ღერძი გაუბრუნდდაო“ (ილ. ჰავაძე).

ღერძის გამოყრა ჰრღ. ურმის თვლებიდან ღერძის გამოცლა. ზვ. ურმის თვლების ტრიალის შეჩერება, დაბრუნება, დაღუპვა, საქმის გაფუჭება, ხელის მოცარვა. „ჩვენ ერთ დღეს ხარჯი რომ არ გავიღოთ, ამ წუთქვეყანას ღერძი გამოეყრება; ჩაინგრევა ის ტახტი, რომელზედაც განისვენებს დიდკაცობა“ (ი. ბაგობ-ლიშვილი).

ღერძი — ნაქერია ხისა ან რკინისა, გაელებულია ურმის ბორბლებ შუა, უმისოდ ბორბლები ვერ იტრიალებს, ღერძის გამოყრა უდრის ურმის ვაჩერებას, ერთი ადგილიდან დაუძქროლბას. ხატოვანად ლაპარაკში იგული-

სხმება, რომ ყოველ საქმეს აქვს ღერძი, რომელიც საშუალებას აძლევს საქმესა თუ წყობილებას იტრიალოს, იმობრაციოს, და იმ ტრიალით გაკეთდეს ესა თუ ის ვასაკეთებელი. მაშასადამე, მისი განაცოცლა უდრის ყველაფრის შეჩერებას. საქმის მსვლელობის შეფერხებას.

ღერძის გატეხვა ჰრდ. გატეხვა იმ ხის ნაჭრისა, რახედაც ტრიალებს ურმის თვლები. ხვტ. საქმის დიბროკლები, ხელის შეშლა, დაიღუბოს. „ქეყყანის ღერძი გასტეხია და სასულ უკუღმა დატრიალებულა, თუ რა დაემართა ამ ისეც უბედურს საქართველოს!“ (ილ. ჰეპტავაი).

ღეტვა ჰრდ. ებილებით დაფუნა, დანაყვა საქნელისა. ხვტ. უხალისოდ, მოუნდობლივ, უგულოდ ლაპარაკი, გინა კეთება საქმისა „იგი (ნარღონი) უფრო მშვესა და უფრო დღვეანდელ საჭირბოროტო საქმეზედ თავდადებული, როგორც, მაგალითებრ, ბაქოს ნავთი და ბაქობათომის რკინისგზაა, და ხავსმოკიდებული წარსული საქართველოსი კი, რომელიც ხსენებულ წერილებს საგანადა აქვს, მიუხედავად საღმკმელად და საცოხნელად იმისთანა გახეთისათვის, როგორც ჩვენი უბადრუკი. უფხო და მკვლარი „ივერიაა“ (ილ. ჰეპტავაი).

ღვარძლი ჰრდ. სარეველა ბალახი, რომელიც საშინლადა ვნებს ჰურფულს. ხვტ. ცუდი საქმე, რომელიც კარგ საქმეში გაერვა და აფუჭებს; ბოროტი, უკეთურობა. „ვინ არის პატრონი? ვინ არის გამხრეკი? ერთი შიგ ჩახელო აქაურს პედაგოგებს გულში გამჭრიახის თვალით და ნახონ, რა ღვარძლი აქვსთ იმისთანა, რომ ესე ხანგრძლივ და შეუბრალებლად გესლავენ ჩვენს სწავლა-განათლების საქმეს“ (ილ. ჰეპტავაი).

ღვინის მიერ თავის მოტაცება (მსმელისათვის) ჰრდ. ღვინის მიერ თავის წართმევა მსმელისათვის. ხვტ. ვისაც ცნობა დაკარგული აქვს ღვინისაგან, ვინც უგონოდ მთვრალია. „ვის ღვინომ თავი მოსტაცა, შეექმნა გარეთ გასხმანა“ (ი. ტფილალი).

ღვინის შეჯდომა თავში ჰრდ. თავში ასვლა ღვინისა. ხვტ. სიმთვრალის მოკიდება, დათრობის დაწყება. „აღექი ბიჭებო, წავიღეთ, თავში

ღვინო შემიმომიჯდა“ (ბ. უმიკაშვილი).

ღვინო ახარებს გულსა კაცისას ჰრდ. ღვინო გამახიარლებელია კაცისა. ხვტ. ღვინო უნდა ვსვათ, გვარგებს. „ღვინო — წამალი უძლურებისა, ღვინო ახარებს გულსა კაცისას, გულს აფუნდრუტებს ის ხარმეცისას!“ (ი. ერისთავი).

ღვინო ისეთია, რომ კაჭკაცს დაანახვლებს ჰრდ. კაჭკაცმა რომ დალიოს ღვინო, დაიხხავლებს. ხვტ. მეტად მთავია.

ღვინომ თავი დაიჭირა ჰრდ. ღვინომ თავი შეინარჩუნა. ხვტ. კარგის ღირსების დაღვა, კარგი ღვინო დიდვა. **ღვინომ მოეკიდა ჰრდ.** მსმელს ღვინომ ხელები ჩასქიდა, ღვინო დაებღუტა. ხვტ. ბევრი დალია, დაითვრა. შგლ. ვახშმად აღრე დავსხედლით და იმღვინი ვსვით, რომ ყველას მოგვეკიდა ღვინო.

ღვინო ალკოგოლიანი სასმელია და მისი ზედმეტად დაღვევა ადამიანს ათრობს ხოლმე. ამ დროს ისე გვეყავს ჩვენი თავი წარმოდგენილი, თითქო ჩვენ კი არა ვსვამდით ღვინოსა, არამედ თვითონ ღვინო გვებლაუჭებოდეს, ჩვენს დამორჩილებასა პლამობდეს, გვეკიდებოდეს, ძალა მოჭქონდეს ჩვენზე, და ისიც, მართლაც, გვიმორჩილებს, გვაცლის ყოველსავე ნებისყოფას, ჩვენის თავის პატრონი აღარა ვართ, ჩვენის თავს აღარ ვეკუთვნით: ვითვრებით. და აბა, სწორედ, ამას ეწოდება ხატოვანად „ღვინის მოკიდება“.

ღვინო მტკვრის ტოტად გადმოშვებული ჰრდ. მტკვრის ტოტის რაოდენობის ღვინო. ხვტ. სულ ბევრი, ულუველი, ქვეყნის სამყოფი და კიდევ მოსარჩენი. „სალაყბოზედ ხალხს აპურებდნენ. მტკვრის ტოტად თუ გადმოეშვათ ღვინო წითელი“ (ფ. ბარნოვი).

საქართველოს ყველაზე დიდ მღინარე მტკვართან ქართულ მტკველებში შეერთებულია წარმოდგენა მეტად დიდის ოდენობის წყლისა, ასე რომ თვით სიტუვა მტკვარი სინონიშია მეტად დიდის სივრცის წყლისა. ძველად, როცა უნდოდათ წარმოდგენა დიდის რაოდენობის სითხისა, მაგ., ღვინისა, როგორც ეს ვ. ბარნოვის მიერ მოტანილ ფრაზაშია, იტყოდნენ: მტკვრისა ან მის ტოტის რაოდენობის ღვინოვო



და თვალწინ დაუდგებოდათ უსაზღვრო სივრცე, დაფარული ღვინით, რომელიც სამყოფი და მეტიც იქნებოდა მთელის ქვეყნის მსმელ ხალხისათვის.

ღვინოში სული ამოხდის პრე. მის სხეულს სული ეცლება, თუ ღვინო არ დალია. ზვე. ღვინის სმას გადაყოლილია, ლოთია, ერთეად სვამს. **„ღიზა: თავადი იყოს, რა!.. თუკი უსწავლელი იქნება, ისევე მუთქი არ არის... მერე კიდენ, იმ ციბრუტაშვილს თურმე ღვინოში ამოსდის სული და არიალალო-თარიალალოს“** მეტი არ იცის რა...“ (რ. ერისთავი).

ღვინო ჩაცეცხლა პრე. ღვინო ცეცხლივით ჩაუვიდა. ზვე. არ უნდა დაეღვივნა და შაინც დაჰლია.

ყვედრებითი თქმაა. ეტყვიან ისეთს, ვინც ბევრსა სვამს, ვინც ზომაზე გადაციტებს ხოლმე.

ლილახსმული პრე. დილშეკრული. ზვე. გლოვებადასრულებული. მოგლოვილი, მოტირებაგათავებული. **„თუმცნათესაუნი, და-ძმანი აღარ აისხმენ დილებსა“** (ხალხური პოეზია). **ის, დილჩახსნილი.**

როცა მიცელებულს ჰგლოვობდნენ, ტანისამოსის დილები ჩახსნილები ჰქონდათ, რათა უფრო ადვილად ეგვემნათ თავიანთი თავი თავიანთის ხელებით, თანისუფლად დეკაწრათ გულშეკრდი ფარჩილებითა, სისხლი ედინათ. ხოლო გლოვის გათავების შემდეგ დილები ისევე აისხმება და დილახსმულები იწყებდნენ სიარულს.

დილჩახსნილი ის. დილახსმული.

ლობე პრე. გარშემო შემოვლებული ზღუდე ეკლებისა, ერთმანეთში ჩაწნული ტოტებისა, ზვე. დაბრკოლება, საფარველი, წინააღმდეგობა. **„სამოციან წლებმა ამ ვიწროდ შემოლობილს საბრბელს ზეწვის პოეზიასს თავისი ტალღა გაჰკრეს და შემომეტყვიეს ლობეები“** (ილ ჰეკვიძე).

ლობეზე ფეხი არ დაადგა! პრე. ლობეზე არ გადახვიდე. ზვე. მისახვედრებელს არ მიხვდე. ჰკლ. ქურდს ვუთხარი... მავან ადგილას ბალია, გარემო ლობე უვლია და ამ ლობეს ფეხი არ დააიდგა მეთქი.

ერთის ბალის პატრონი ელაპარაკებოდა ერთს კაცს, რომელმაც ბალის არსებობისა არ იცის რა და თუოპე ასე ეუბნება: **„მავან ადგილას რომ ბა-**

ლია, ლობე უვლია და (ბალში შესასვლელად) ლობეზე ფეხი არ დაადგაო. ეს თქმა იხმარება გულშეკრული კაცის შესახებ, როცა ეს დასამაღვს რასმე, დამალვის მიავიერ ამქლავნის და მტერს თავის საიდუმლოებს თავის-და უნებურად ხელის გულზე გადაუშლის.

ლობეს გარეთ დარჩომა პრე. ლობეს გადაღმა ამყოფა თავისა. ზვე. უპატრონოდ, უსაშველოდ დარჩომა მოკლება დამხარისა და მშველმისა, გაქირებაში ჩაყარდნა, დაღუპვა. **„ეს თხუთმეტი წელიწადია, რაც თათრებისაგან დიანებვად ვიყავი. ცოლიც იქ მომიკვდა და ახალი სსამართლოები რომ გაიხსნა, ამ მიზეზით მე ლობეს გარეთ დავრჩი“**... (რ. ერისთავი). **„სხვა ჯვარისსამა რომ მოვა, სხვა მოურავს მოინდომებს და ლობეს გარეთ დავრჩები“** (ს. მაკობლიშვილი).

ლობე-ყორეს მოდება პრე. (სწორე გზით სიარულის მიავიერ) ლობე-ყორეს მიდგომა (და გასაჯალი გზის ძებნა). ზვე. უპატრონო ლაპარაკით, უსაბუთო საბუთებით თავის მართლება. მიქარვა, ტყუილად დროს კარგვა, სხვადასხვა მიზეზების გაჩენა. **„ნეტა, დიერთმა-კი შემაძლებინოს და, მე მგონა, გოგო უარზედ არ დადგება... აქ თედომ დიდ მნიშველობით ჩაიკინა და ერთი კიდევ გადაჰკრა თავისს „დადაბრას“... მაგრამ რითი ტყუილად ვედები ლობე-ყორეს. სახლი რა არის, ისიც კი არ მახალია მე უბედურს“** (მ. ვაბაშვილი). **„რა ედები უბრალოდ რაღაც ლობე-ყორესო? ეგ ერთი დაგიკარგავს, უფრთხილდი მეორესო!“** (ა. აკი).

ლობეს იქით გადახროლა პრე. ეზოდან მოშორება, შიგ არ დატოვება. ზვე. თავიდან მოშორება უხმარ და უვარგისისა რისამე, შეუწახობა. **„ნუთო რუსულ ლიტერატურას მართო სხენებული ორი ძირეული წესი მიუღია და მესამე-კი, რომელიც მართლის თქმის ევლად სდებს მწერალსა, ლობეს იქით გადაუხროლია. როგორც უხმარი რამ საგანი?..“** (ილ ჰეკვიძე).

ლობურად ხმა პრე. ლობის მსაკასად. ზვე. ერთმეორეს მყოფობა. უხვდება სუყოას ნადირი, ვინ ამიღეს გამოდარე ა, თეთრი ჯამეისა, რი-

ალი, ღობურად ჩამოტარება.
(გ. ლეონიძე).

ეს სიტყვა იხმარება სუფრახე, საღ-
ღებგრძელელების სმის დროს. როცა
უძეცროს-უფროსობის კვალობახე კი არა
სვამენ საღღებგრძელოს, არამედ ერთი-
მეორეს მიყოლით. იტყვიან ხოლმე:
ღობურად დაველიოთ საღღებ-
რძელეობიო!

ღონე გაუწყდა ჰრღ. უღონოდ დარჩა.
ხეც. დაუძღურდა, ყოველი საშუალე-
ბა მოესპო, სხვა გზა არა ჰქონდა.
„ღონე გაუწყდა (მდიდარ კაცს),
შესვა ცხენს ცოლი და გაუგზავნა.“
(ს. ორბელიანი).

ღონემოდებული ჰრღ. ღონე წართმე-
ული, ღონე გამოცლილი. ხეც. და-
სუსტებული, დაღლილი. „შემამულე-
მაც, ღონემოდებულიმა, ბევრი
დაუკლო წინანდელ დაფასებაზედ“
(რ. ერისთავი).

ღონის დადება ჰრღ. ღონის მოკრეფა.
ხეც. საშუალების ხმარება, შეძლება.
„შემომადგა ცოლი: „თუცა შენ ძმათ
გაეყრები, წაჯე-უყუჯეჭის ცეცხლს
აგინათებ ღონე ვეღარ დაგი-
დები, გავეყარე ძმათა“ (ს. ორბელი-
ანი).

ღონის მოშვება ჰრღ. ღონის მოფოლხ-
ვება, ღონის მოდუნება. ხეც. უმოქ-
მედობა, გაუნძირველობა, გულის გა-
ტეხა. „ბევრი ვიზრუნვე, მაგრამ
ღონის მოშვება არას მარგებდა,
მას ქალს სხვა საუბარი დავუწყე“
(ს. ორბელიანი).

ღორი ჰრღ. ძუძუმწოვარა, სქელტყავა
ზინაური ცხოველი. ხეც. ბინაური,
ყველაფრის მჭამელი, გაუმაძღარი
კაცი.

ღორიღვეჯითაო ჰრღ. ღორის მსგავსად
რომ გამოგლიჯოს ვინმემ რამე. ხეც.
ძალათი რისამე წართმევა ვისთვისმე.

ღორის ქონით მოქნა ყბებისა ჰრღ. ღო-
რის ქონით დარბილება ყბებისა. ხეც.
ბევრ ლაპარაკი, ყბების დაუყენებ-
ლობა, ლაქლაქი. „კარგი, დედაკაცო,
ღორის ქონით ხომ არა გაქვს მგ
ყბები მოქნილი!“ (ახანი)

ღორმუცელა (კაცი) ჰრღ. ღორისმუც-
ლიანი კაცი. ხეც. გაუმაძღარი, ბევ-
რის მჭამელი. „კარგს რომ ვსვამ და
კარგსა ვკამ, ვანა საქმარისია? ღორ-
მუცლობა ამგვარი, ვისი საკად-
რისია?“ (აპკო).

ღრეჯა ჰრღ. სახის დანაოკება. ხეც.
ხეცა. თხოვნა, მუდარა, თავის გა-
საწყლება, თავის შეპრალეზინება. „ვი-
რემ უნდა ერთმანერთი, იხახდიან
პირთა ბღნეჯით, იგი ნახოს დაღრე-
ჯილი, მზე დაღრეჯს მისის ღრეჯ-
ვით!“ (მ. რუსთაველი).

როცა უძეცროსი უფროსს, უქო-
ნელი — ქონიერს, გაკვირვებული —
დაღსინებულს, ავადმყოფი — კარგა-
მყოფს, უძღურე — ძღიერს რასმე
სუხოეს, წელში იხრება, სახეს იხახინ-
ჯებს; ინაოკებს, სისაწყლის მიმიკით
თავს ივინებს, ისაცოდავებს და შება-
რალებს; მიკირს, მიშეღე. „შემიწყალე,
ხელთ აღმიპყარი, გამიკითხეო...“

ასე რომ ღრეჯა სინონიზია სვე-
კრულობისა, თხოვნისა, მაგრამ ისე-
თის თხოვნისა, რომელშიაც ნატამა-
ლი თავმოყვარეობისა არ არის, რო-
მელშიაც თავის დამცირება უკიდურე-
სობამდეა მიღწეული.

ღრუბელი ჰრღ. ნისლის გროვა. ცოტად
თუ ბევრად სქელი, ატმოსფეროში
დაკიდებული. ხეც. ყოველივე, რაც
გვიშლის, ნათლად დავინახოთ რამე;
მწუხარება, დარდი, ფიჭრი, სახეზე
აღბეჭდილი; ყოველივე განცდა, და-
მაბნელებელი გონებისა, ცხოვრებისა.
„რეფორმის წინა დრომ, იმ კირისა
არ იყოს, რომელიც ზოგჯერ მარგე-
ბელია ხოლმე. მოიტანა თან სხვა
ნიაფი, გასწმინდა ცოტად თუ ბევ-
რად ადრინდელი ბურუსი, გადაჭყა-
რა ღრუბლები და ჩვენი ცხოვ-
რება გამოათხიზლა“ (ილ. ჭავჭავაძე).

ღრუბელიცა ვერ მიხვდების ჰრღ.
ღრუბელიც ვერ მივა. ხეც. დამინი-
სათვის მიუსვლელი, მიუწვდომელი
აღგლი. მეტად შორი. „ღრუბე-
ლიცა ვერ მიხვდების, მე მივ-
სრულვარ სად იმისად“ (მ. რუსთავე-
ლი).



ყ

ყაბლუ-ფლავს აჭმევს ჰრ. ყაბლუ-ფლავის კმეეით ინახავს. ზტვ. ნეტის-მეტად უღლის, ფუფუნებაში, აზიზად ინახავს, საუკეთესო საქმელს სთავაზობს, მდიდრულად აცხოვრებს. „ქნიაზის მზემ, ასე აზიზი შეგინახამ, რომ სულ ყაბლუ-ფლავს გაქმევ“ (ს. ერისთავი).

ყაბლუ-ფლავი საუკეთესო ფლავად ითვლება. მისი მასალაა: ბრინჯი, ბატკნის ხორცი ან ვარიები, ერბო, ქიშმიშ-ლაბლაბო, თაფლი. ყაბლუ — პროცენტია უნდა იყოს სპარსეთისა, სადაც თავის ღირსებით განთქმული ბრინჯი მოდის და იმ ბრინჯისაგან დამზადებულ ფლავს — ყაბლუ-ფლავს ეძახიან.

ყვარზე კუდიხ გაღება ჰრ. კუდიხ გატანა სახურავის ყვარზე. ზტვ. ამპარტავენობა, მედიდურობა, ქედმაღლობა, უკადრობობა, გაზვიადება, გამწვანება საქმისა.

ეს თქმა აღნიშნული აქვს პ. მირიანაშვილს თავის ლექსიკონში („ივერია“, 1900, № 79, 80, 104), ისმის იმერეთში, დანიშნავს მედიდურობას. ამპარტავენობას. მავანს კუდი ყვარზე აქვს გაღებული იტყვიან ისეთზე, ვინც გაზვიადებულის წარმოდგენისაა თავის თავზე, ვისაც თავისი კუდი სხვებივით დაბლა, მიწაზე ახლო ვერ უტარებია, არამედ მაღლა, სახურავზე. აუტანია და იქ დაუდევს; ვისაც თავის ტოლად და სადარად არავინ მიაჩნია; ვინც ყველას ზემოდან დასცქერის; ვინც ჩვეულებრივის სიკვდილის შვილის საქმეს არა კადრულობს და ამავე დროს ავიწყდება, რომ არც თვითონ შესწევს შნო და უნარი ამა თუ იმ საქმის გაკეთებისა, თუ მოგვარებისა.

ყაზბეგთან სალამო, ონბეშ თუმან ზარალიო ჰრ. ყაზბეგების სალამის ფასი ხუთმეტრი თუმანი ზარალიო. ზტვ. ვისსამე მიერ თავის თავის განდიდება, ცუდმედიდობა.

ქართველი რომანისტის, ალექსანდრე ყაზბეგის, მამას. მიხეილ ყაზბეგს. ერთ ბერძენ კალატოზისათვის თავის სიციოცხლშივე თავის სოფელ ყაზბეგში გაუკეთებინებია საფლავი და ზედაც გუმბათიანი მატური დაუდგმევინებია. სულ ზევიდან მხოლოდ ქვა და ჯვარი აკლდა თურმე დასადგმულიდ. ოსტატს

ფული ეთხოვნა თავის შრომისათვის. მიხეილს ფულის მიცემაზე უარი ეთქოთურმე და თან დაემუნათებინა: ის კი არ გეყოფა, ჩემისთანა კაცი სალამს გაძღვესო? პირჩალაგამოვლებულ ოსტატს ამ ორ სტრიქონიან ლექსის თქმა-ლა მოეხერხებინა, რომელიც მას შემდეგ ხალხში დარჩენილა ვისიმე ცუდმედიდობის გასაქირდავად და გასაფასებლად.

ყალყზე დაღგომა ჰრ. უკანა ფეხებზე დაღგომა (ცხენზე ითქმის). ზტვ. უსაზომო აღმფოთება, გულის მოსვლა, განრისხება, გაწყრომა, გაჯავრება. „ჩვენებურს ნწყრომას არც ისეთი ძალა და გავლენა აქვს, რომ თავის თავად, განჯეც და განზრახ წესიერი და რიგიანი ურთიერთობა უსიამოვნებისა და უკმაყოფილების საგნად გარდაქმნის, ამის გამო ბუკი და ნალა დააჭრას და მთელი საზოგადოება ყალყზე დააყენოს“ (ნ. ურბნელი).

ყალყზე შედგომა თმისა ჰრ. აბსურდგენა, სწორად, პირდაპირ გაჩერება თმისა. ზტვ. შეშინება, თავზარის დაცემა, შეშფოთება, უსაზომო ზიზი. „ბ-ნ შაუშოვის „სეღღების“ და ბ-ნ არუთინოვის „ტრიბინიან“ ლორების და ლორების საქმე ისეთი თავზარდასაცემი ამბებია, რომ მართო ამ ამბის თბობა საქმეა, კაცმა იცოდეს და თავზე თმა ყალხზე აუღდეს“ (ილ. პაპავაძე). „თუ ერთი რამ დაიძრა იმ შენობისა, რომელსაც აღმოსავლეთის საქმეს ეძახიან, არამც-თუ თმა ყალხზე შეუდგებთ ევროპის პოლიტიკას, არამედ ყველახმაღვდ ხელს წაივლებს“ (ილ. პაპავაძე).

ყანყატოში ხელის ტაცება იხ. ყელში წაქერა (ვისთვისმე).

ყარამანი ჰრ. სახელი სპარსულ ხალხურ ზღაპრების გმირისა. ზტვ. კაცი, მეტად ღონიერი, ყველაფრის შემძლე, ყოველგვარ დაბრკოლების ამცილებელი. „ამ ორ გრინობათაგან წარმოსდგება ის ძლიერმოსილი მნიშვნელობა, ის დიადი წარმატება, რომელიც ყარამანი სახელით ყაფის მთას მხრებზედ დაიყენებს, რომ ქვეშ ჯარ-

მა მწვინობით და უწყინარად გაიაროს“ (ილ. ჰეგვაძე).

ყარანგოზიანთ ქორი პრე. ყარანგოზი-შვილებს რომ ჰყავდათ, ის ქორი, წვკ შინაურებზე, თავისიანებზე გამაჯვებული, სუსტების მჯობი. უძლურებისა და მოკრძალებულების მომრევი.

ყარანგოზიშვილები—ინაურები იყენენ დუშეთის მხარაში. ერთს მათგანს მოწინაურებული ქორი ჰყოლია სანადიროდ. რომ აღუშვებდნენ ხოლმე გარეულის ფრინველს რისამე დასაქერად, შურდულივით საქათმისკენ გამოსწევდა და შინაურ ფრინველთ დაეროდა. მას აქეთ ეს სახელი დაერქვა ყველას, ვისაც დიდი გული აქვს მსოლოდ შინაურებთან, სუსტებთან, საზოგადოდ ისეთებთან, ვისაც წინააღმდეგობას ვერ შეძებდავენ ან არა ჰკადრებენ. **ყასაბი** პრე. საქონლის მოვლელი და მისი ხორცის გაყიდვლი. სვკ. უწყალო, გულქვა, გუშობალებელი, სასტიკი. მკლ. პეტრე, არც იქით, არც აქეთ — ნამდვილი ყასაბია, მისმა დაბავსებულმა გულმა მოყვასის შებრალება არ იცის.

ყასაბი არაბული სიტყვაა და ნიშნავს საქონლის დამკვლელს. ყასაბს ხატავანად ისეთი ცუდი სახელი იმითმღერქვა, რომ მთელი დღე სისხლში ურევს ხელს. შეჩვეულია სისხლის ყურებას და სხვათა ქიორ მისთვის ღობეს ჩხირია. დაცინვით და აგდებულად ყასაბს უხმობენ აკრთვეთ თავის საქმის უცოდინარ დოსტაქარს.

ყბადალება პრე. ყბის ხშირი მოხვედრება (რისთვისნე ან ვისთვისნე). სვკ. დაცინვა, სახელის გატება, ცუდად სხენება, გაკილება. „ჩვენში ლიბერალომის ნიშნად აღიარებულია ჩვენის საადგილ-მამული ბანკების ყბადალება“ (ილ. ჰეგვაძე). „რომდენად ცუდო ვადიოდა, უფრო და უფრო ხშირად ვხედავდი ერთმანეთს და მე ჩემი „ვილაცას“ ერთგული მეგობარი და რომ ქვეყანას „ყბადარ ავეღეთ.“ შქიორდავების თავიარ ასაშორებლად, გამოვყენიდი ხოლმე სადნე მიყურებულ ადგილს. იქ ვისხედიო და ტკილად ვმუსაიფობდი“ (ვაკი). ის. ქვეყანა იმაზე ლამაზ აკობს. ქვეყნის ყბაში თავის ჩავდება. ქვეყანა შეიყარა.

ყბადალება გვიქვია იმისათვის, რომ საზოგადოების ვისმე უკეთურს და საძრახ წვევრს ან ვისსამე სააუგო მოქმედებას სალაპარაოდ (ცულის აზრით), საქირდავად, საგომად განდიან ანუ, სურათოვანად რომ ვთქვათ, ასეთი წვევრის მაყურებელი ყბებს აამოარავენ მისდა გასაკილაოდ, გასაკიცხავად.

ყბადალებული პრე. ყბის მოსახვედრად განმხარი. სვკ. გამახარავევული, დასაცინავი, სახელგატეხილი, გაქირდული. „ველასაგან ყბადალებული კატკოვი, რომელსაც თვით ეს „ახალის დროის“ წყურალი ჰკიცხავს, სწორედ მაგ სისტემასა ხმარობს მხილებისათვის თავის მოწინააღმდეგეთა წინააღმდეგ“ (ილ. ჰეგვაძე). „ხან თავის ყბადალებული წისკვილში ასკარტუნებს (ჩაღხო) და ისმენს მიზიარის გამიხარის საყვედურს: „შე უკლოვ, შე უკეთურო, შენა“ (ვაკი). ის. ყბადალება.

ყბადალებული—წყალწალებული ამბავი პრე. ვისდა ყბად აულით ვინმე (ან რამე) და ვინდა წყალს წაუთია! სვკ. სასაცილოდ აგდებული, გამახარული, გაბახებული, გაქირდული. შერცხევილი. გაკიცხული, გაწბილებული, მახარად აგდებული. მკლ. შენი ნათქვამი, ჩერ ძმაო. არასფერსა ჰგავს, სწორედ რომ ყბადადალება და ყბადალებული ხომ, აბა რა გაგიკვირდება, იგვე წყალწალებული იყო! ის. ყბადალება.

ამ სათაურით ერთ დროს ილ. ჰეგვაძის გაზეთ „იფერიაში“ სახუმარო ფელეტონები იბეჭდებოდა ჩვენის მიმდინარე ცხოვრების დღიურ საქირბოროტო კითხვებზე და მკაცხელთა შორის დიდი გასავალიცა ჰქონდა.

ყბაზედ წვერი არ ახხია პრე. ყბა წვერით შემოსილი არა აქვს. სვკ. ვაქაკი არ არის, ყოველსავე ვაქაკურს ღირსებას მოკლებული, ქალია. დაბალ არსება. „რად უნდა მესხას ყბაზედ წვერი, რას უნდა ამტკიცებდეს უღვაში, თუ სიკვდილის შიშით თავი დაეხებე ჩემს ნახას“ (ივ. ბუჭუაძე).

წვერ-ულვაში მამაკაცის მეორიდი სისქესო ნიშანია. ქალი მოკლებულია ამ ნიშანს. წვერ-ულვას მოკლებულია საქურისი და ვინც სქესობრივად საქმიად მომწიფებული არ არის,



ასე რომ, თქმა: ყბაზედ წვერი არ ასხიო ხატოვანად ნიშნავს: ქალიაო. ყბასა და პირში გაიგდეს ჰრღ. ყბებსა და პირს შუა მოქცევის. სჭვ. სულ იმის სახელის ხსენებაში არიან, ავად, რა თქმა უნდა; ქვეყნის სილაპარაკოდ გახადეს, ყველანი დასცინაბ, ჰქილავენ, აუგად იხსენიებენ. „ჯავარი სისაუბროდა ყბასა და პირში გაიგდეს“ (ზანანა).

ყბალია ჰრღ. ვისაც ყბა სულმუდამ ღია აქვს. სჭვ. პირზე რომ არათფერი დაადგება, დამალვა რომ არათფრისა შეუძლია, სათქმელსა და უთქმელს ყველაფერს რომ ლაპარაკობს. „ვინმე ყბალიამ რომ დაიყვიროს: მავანი ციმბირს გადავასახლოთო, ჩვენ მაშინვე ცხვრებივით ნუ გადავყვებით. იქნება, ერთს და ორს რა მტრობა აქვს ვისთანმე, და იმისთვის ჩვენ რათ უნდა ჩავდგეთ ალაღ-მართლის ცოდვაში“ (დ. შანანელი).

ყბა ყბაში გახდის ჰრღ. ცალი ყბა მეორე ყბაში უნდა გამოვიდეს. სჭვ. ძალიან გამხდარია.

იტყვიან ავადმყოფისა ან შიმშილისაგან ყბებჩაცვიხულ კაცზე.

ყბაში (ვისსამე) ჩავარდნა ჰრღ. ვისსამე ყბებ შუა მოქცევა. სჭვ. ვისიმე სილაპარაკოდ გახდომია, ანა თუ იმ ადამიანის სალანძღავ საგნად გადაქცევა. შგლ. „შენს ყბაში არ ჩავვარდეთ, თორემ მირჩენია თავი მოვეკლა“.

როცა ადამიანი ლაპარაკობს ან სქვამს რასმე, ყბები ჯერ ერთი-მეორეს შორიდება, მერე ზედა ყბა ქვედაზე ეშვება. ეს ხდება მაშინაც, როცა ვინმე ვისმე უჯავრდება, ვისსამე აუგსა და ძვირს ლაპარაკობს, ვინმე ვისმე საქვეყნოდ მიწასთან ასწორებს, ანუ, ხატოვანად რომ ვსთქვათ: ყბაში ჩაუვარდება ვინმე ვისმე.

ყბების ამოვადება ჰრღ. ყბების დაძვრა თავის ადგალიდან. სჭვ. ბევრი ლაპარაკი, ყბედობა. „შენ ციმბირით შეაშინე და მაშინ ნახავ, როგორ დიციით ყბები ააცივდებიან ოს, რომ შენი დათუასა ჰმართებს“ (შ. არაგვისპირელი).

ყბების ჩამოცევა ჰრღ. თავის საკუთარ სიმძიმით ხევიდან ქვევით დაშვება ყბებისა. სჭვ. ბევრი ლაპარაკისაგან ყბების გაჩერება უმოძრაოდ. „მეწვერილმანის ბებერი მიუვარდა (დედაჩემს) კეტითა, წყველით და უშვერის

ლექსით დაუწყო, სულის მტერმა, ლაძლვა და აღარ გაათავა. სანამ ყბები არ ჩამოსცივიდა“ (ლ. არდახანი).

ყბედად გადაიქცა ჰრღ. ყბედი შეიქმნა. სჭვ. ბევრს ლაპარაკობს, ლაპარაკისაგან არ იღლება.

ყბის დაღვმა სჭვ. ხელის შეშლა, დაბრკოლება, აკრძალვა; დაყვედობა, დანახვია. „ჩემი ბიჭი ეხლა პირდაპირ მთავარდიაკვნად შეიღლება ეაკურთხებიანო, თუნდ ნაბიჯიც ვეღარ წადგას სწავლაში. შეიქნება სრულწლოვანი, იქორწინებს და...“

— ყბას ნუ ადგამ, კაცო! დარუებული მიდის და უთუოდ დაათავებს სწავლას“ (ც. ბარნოვი). „მაშინ შექნა ბებერმა ღრიალი და მოთქმით ტირილი: „შე საწყალო გაიანე! ქორთვა გაი-ანე! წუთი სოფელში გაუხარელო! რა კარგი რამ იყავ! ყბა ვინ დაგადგა, თქალი ვინა გკრა“ (ლ. არდახანი).

დაყვედობა თუ აკრძალვა დადარებულია ყბის დაქერასთან რაზედმე, რაცა გულისხმობს ქმედობის შეჩერებას, მოძრაობის უნარის წართმევას იმის მხრივ, ვისაც ეს ყბა დაედგმის, დაქვირების.

ყბის დაღება ჰრღ. ყბების ერთიმეორეს დაშორება. გახსნა. სჭვ. ზედმეტი ლაპარაკის დაწყება. „დააღეს ყბა ახლა შენზე, — მიუბრუნდა (ცოლი) აილოს. — დაგოწყეს საჩივარი და ენამ როგორ უნდა გამოსთქვას. რაც ტანჯვა და შეურაცხყოფა შენ მოგაყენეს...“ (ბელანია).

ყბის მოქნევა ჰრღ. ყბის ამოძრავება. სჭვ. რისამე დაღეკვა შესაქმელად, ცოტა რისამე ქვამა. „როდესაც ცოტა ყბას მოიქნევდა თუ არა, მუცელს რამეს მიადევდა და ორს მათარა ღვიზოს დაღევდა“ (ს. მაგლობლიშვილი).

ყენი ორშაბათისა ჰრღ. მეფე. სჭვ. მასხარა, ბერიკა, ჯამბაზი. „მოროტი ენები ამბობენ, რომ უსათუოდ ამ აშენაროდნი-ებსა და quasi-патриотებს იზ თუземლეს ტირაცუა ვანუა და მის ტოლ-ამხანაგი ყენი ორილი იმ ნაზუქამდე არ მიუშვიათო“ (ილ ჰავაჟუ). „ერთის სიტყვით, ხმლის პირი ზედწამოცმულ ვაშლით რომ ამოლებული სქეოდა (ლუარსახს), თავიდან ფეხამდინ ორშაბათ-



ყელგადაგდებული ჰრ. ვისაც ყელი გან-
ზე აქვს გადაწეული. სჭვ. ღარიბი,
გაპირებული, უსასრო, მშიერი, და-
სუსტებული. უსასო. „ერთხელ ყე-
ნითან მოვიდა მოხუცი ოხვრა-ტირი-
ლით და შევიდრა მეფესა ყელ გა-
დაგდებით. ჩივილით“ (ვა-
ჟა-ფშაველა). „როგორ თუ საქმე გამომ-
ლევია? ცოლ-შვილი ყელგადაგ-
დებული დაყვარე, იმოდენა მოსა-
ვალთ თავგამოუბმელი დარჩა და საქ-
მე გამომლევია?“ (მელანია). „მკაღმა
სთქვა: მეც ვარ ქებული, სუფრისა
ბოლოს გდებულნი! მდიდარი კაცი
არა მკაპს, თუ არ ყელგადაგდე-
ბული“ (ხალხური ლექსი).

როცა ადამიანი შიმშილისაგან გა-
პირებულია, ავადმყოფობისაგან დასუს-
ტებულია, ძალი გამოჰლევია და თავი
უნდა შეაბრალოს ვისმე, ღაპარავს
დროს კისერი სწორეთ ვერ დაუჭერია
და განზე აქვს მოღებული, გადაგდე-
ბული. ყელი მოტეხილივით უჭი-
რავს.

ყელგადაყრილი ის. ყელგადაგდე-
ბული.

ყელგამოწევი ხეწენა ჰრ. ცერითა და
სალოკი თითით გამოწევა ყელისა და
ვისთვისმე ისე თხოვნა რასამე. სჭვ.
დიდის თხოვნი თხოვნა, ქორის
მოქმა. „ყელგამოწევი გეხვე-
წებით. გამაბედიერეთ, თითო ყან-
წი ღვინო დამიღიეთ და დაგვლო-
ცეთ მე და ჩემი ღოღონა“ (რ. ვიოსიავი).

ძველად, როცა ვისმე ძალიან ეხვე-
წებოდნენ და სთხოვდნენ რასმე, ცერსა
და სალოკ თითს ყელზე მოიკიდებდნენ
და წინ გამოსწევდნენ და თანაც ეხვე-
წებოდნენ — განიკეთეთ გასაკეთებე-
ლიო. მნიშვნელობა ამ ყელის გამოწე-
ვისა ის იყო, რომ ვისაცა სთხოვდნენ
რასმე, ამით ეუბნებოდნენ: მზად ვარ
ყელიც კი გამოგაჭრევინოთ, ოღონდ
ყურად იღეთ ჩემი თხოვნაო, ანუ. უკეთ:
ამაგიეროდ მე მზადა ვარ თქვენთვის
ყველაფერი გავაყეთო, აბა სიცოცხლე
რა არის, ისიც კი არ მებოგებო...

დღეს ჩვენის ქვეყნის განაპირებში,
საღმე მივარდნილ სოფლად თუ-ღა შეხ-
ვდება კაცი, რომ მახვეწარმა თითე-
ბით ყელი გამოიწიოს და თხოვოს სა-
თხოვნელი. საერთოდ კი ვისაც ვხვე-
წებით, სიტყვიერათ ეუბნებით ყე-
ლის გამოწევიტ გეხვეწებით
თო, თვითონ ყელს კი არ გამო-

უწევიტ, ყელის გამოწევა იგულის-
ხნება.

ყელგამოჭრილი ჰრ. ვისაც კისრის
წინა ნაწილი აქვს მჭრელის იარაღით
გადაჭრილი. სჭვ. შერცხენილი, და-
ღუბული. „რითი ვანუგემო, საღ
მოვიებნო წამალი, როგორ გავკურნო
ჩემი საყვარელი მეგობარი, ძმა, მე-
გობრის ხელით ყელგამოჭრი-
ლი?“ (მ. ბა-შვილი). „აი, არ დაული-
ოს იმის ცოლ-შვილის ცოდო, რო-
გორც ისინი ყელგამოჭრილები
დარჩნენ“ (მელანია).

ყელზე დაღომა საქმლისა ჰრ. საქმ-
ლის გახირვა ყელში. მისი გადაუყ-
ლაპეობა. სჭვ. ვერ მორევნა, საქმის
გაპირება, მოუსწვენებლობა, დასო-
ბა; ყვედრება, ხელის შეშლა. „ამის-
თანა სკოლა (საცა ქართულადაა
სწავლება საგნებისა) არ მოსწონს
განთ „კავკას“-ის რედაქციის. მაგ-
რამ რაც უნდა ფხასავით ყელზე და-
დაღგეს „კავკასს“ ეს სახელისონ
სკოლა. მაინც მკურნალს ვერ იშოვ-
ნის“ (ილ. ჰაჭავაძე). „ეს გეგენას ბიჭი
რომ ძილს ღიფრთხობს და მოსვენე-
ბას არ მადღევს. — ყელზე მადგა,
როგორც თევზის ფხა“ (მელანია).

ყელზე თოკი აბია ჰრ. კისერზე თოკი
აქვს შემოხვეული. სჭვ. უკიდურესად
გაპირებულია, უკანასკნელს დღენია,
მეტის-მეტად უმძყო. „კიმიერო, აქ
(ხევისურეთში) სამწოდლოება ძალიან
გაპირებულია ვინ მოდის აქეთ სამ-
სახურისათვის? ვინა და ის, ვისაც
ყელზე თოკი აბია“ (ბარისაბო-
შლი). „მოდი, შენ თვითონ გადაწევი-
ტ ჩვენი ბედი. ორივეს თოკი
ყელში გვაქვს წაბმული და
ელა შენ იცი, რომელიც ვინდა,
აიციხლე; რომელიც ვინდა, დაახ-
რე“ (მ. ხალხური ლექსი).

როცა უნდა ჩამოეხრათ დამნაშავე
ან როცა ტყვედ დაიჭიდნენ ვისმე,
ყელზე თოკს მოაბამდნენ და ისე მიჰ-
ყავდათ გაუქცევლობისათვის. ორსავე
შემთხვევაში ყელზე თოკმობულის
მღგომარეობა უსასოო იყო. განწირუ-
ლი, იყოდა იმან თავისი უბედო ბედი
და ხსნას არსით და არავისაგან მო-
ელოდა.

და ყელზე თოკის მობმა ზოგ-
ჯერ სიკვდილისა და ზოგჯერაც ამ
სიკვდილის საღარ, მეტად გაპირე-



ბელ მდგომარეობის სინონიმიდაა გა-
ბეჭეცული.

ყელზე წნელის მოხმა ჰრ. დაგარეხილი
წნელის შემოვლება კისერზე, სტვ.
დამორჩილება, თავის მონობის აღი-
არება; განწირულება, უსახსრობა.
„წინაარი გამოგვიღე, მით გვაბია
ყელსა წნელი“ (შ. რუსთაველი).
„თავისის ნებით, მისის ხელით გარ-
დაიცივა ყელზე წნელი“ (დ. გუ-
რამიშვილი). იხ. ყელის საბელი.

ძველად მონებს, დამორჩილების ნიშ-
ნად, ყელზე წნელს (პირველყოფილი
თოკი) შეაბამდნენ ხოლმე, ასე რომ
თქმა ყელზე წნელის მოხმა გა-
დაიქცა მონობის, მორჩილების გამომ-
ხატველ თქმად. ამავლე წინაარისაა
ყელის საბელი (იხ. საბელი ყე-
ლისა). აგრეთვე დასახრობ კაცს თოკს
მოაბამდნენ ხოლმე კისერზე.

ყელთამდე აგხილი ჰრ. ვისაც საკმელი
ყელამდე აქვს მომდგარი, სტვ ბევრის
მქონე, ძალზე მდიდარი. „შორს წას-
ვლა რათ გინდა, თვითონ როტმილ-
დი, თვით ამერიკის მილიონერები,
ყელთამდე ოქრო-ვერცხლით აგ-
სილები, არა სჯერდებიან იმას,
რაცა აქვსთ და დღე მუდამ იბრძვი-
ან და იღწვიან მეტი შეიძინონ“
(ილ. ჰაჭავაძე).

ყელთამდე გავსება ჰრ. კუჭში ჩაშვება
საქმლისა ისე, რომ არ ეტეოდეს
შიგ და უკანვე ყელს მოადგეს. სტვ.
ძალზე გაძლომა, სავსეობა. გამდიდ-
რება; სულ ბევრი. „ამბობენ: თავიე
აჩუქა (ერეკლემ) დაოქროილი წვე-
რამდე, სხვადასხვა საჩუქრებითა იგი
აავსო ყელამდე“ (ფა. ფშაველა).

ეს თქმა წარმომდგარია საქმიით
ძალზე გაძლომის მიმსგავსებით: როცა
კუჭი გაივსება საქმიით, მეტს ველარ
ჩაიტევს და ჩაყლაპული საქმილი ისევ
ყულოთან მოგვადგება. და თუ მასპინ-
ძელიც გვაძლებს — უნდა კიდევ მიირ-
თვათო, ვეუბნებით ხოლმე — ყელ-
თამდე მაძღარი გახლავართო!..
ყოველი სავსება და ნაძებნობა, სა-
ზოგადოდ, ამ თქმით გამოიხატვის.

ყელიდან ამოსლის ჰრ. ყელში ჩასული
ისევ უკან ბრუნდება. სტვ. ყელში
აღარ ეტევა, უსზომოთა სქემა. „თუმ-
ცა ლევან ასე მაძღარი იყო პურითა
და ლეინითა, რომ ხორაგი თითქმის
ყელიდან ამოსდიოდა, მიგრამ

წინუტამ მაინც უცხო ვახშამი მოამ-
ზადებინა და მიართო“ (რ. ერისთავი).

ყელის ვაღაგდება ჰრ. ყელის ვაღაწვევა
განზე. სტვ. დაღონება, დასუსტება,
ულონობა, დაუძლურება, ვასაცოდა-
ვება, საბრალოსობა, შიმშილი. „დე-
დივარი დალონებული, ვადამი გ-
დია ყელია“ (თ. რაზიშვილი).

როცა სამწუხარო რაიმე ამბის გამო
დალონებული ვართ ან შრომისა და უჭ-
მელობისაგან ძალზე დაუძლურდებით,
ჩვენი ყოფა ისეთია, რომ ჩვენსე შესაბ-
რალოსი არავინაა.

გარეგნულად ჩვენი მდგომარეობა
ასე გამოიხატება: თავი და კისერი ვერ-
ტიკალურად ვერა ჩერდება და ორივე
ცალმხარეზეა გადაწეული, თითქო სხე-
ულს უნდა მოსწყდესო, თვალები თით-
ქმის მოხუჭულია, პირი მოკუმულია,
სახეზე კრული უსასოზაა აღბეჭდილი.
ასეთზე იტყვიან: შიმშილისაგან (ან
სხვა რისაგანმე) ყელი გადაუგდია
საცოდავსაო.

ყელის გამოწვევა ჰრ. თითებით წინ ვა-
მოშვება ყელისა, სტვ. ხვეწნა, თხოვ-
ნა, აჯა. „ნუ გარბი, შენი კენესამე! —
ვუთხარი მე და გამოვუწვიე ყე-
ლი, — შენ ხელთ მომიცია ჩემი სა-
ბელი ყელისა“ (ილ. ჰაჭავაძე). „თქვენ
და თქვენს მუხას მოგინდათ ჩემი
ძალ-ლოხე, ჩემი ამაგიო, — ბევრჯელ
უთქვამს ჩვენთვის დედა-მიწას; მა-
გრამ ჩვენ მაინც ყელის წვევით
მუხლმოცარეკილი გამოვსთხოვდით
ხოლმე საზრდოს ჩვენი საყვარელის
შვილისათვის“ (ფა. ფშაველა). იხ. ყელ-
გამოწვევით ხვეწნა.

ყელის გამოჭრა ჰრ. მჭრელი იარაღით
კისრის წინა ნ წილის გამოლოდრვა,
სტვ. გაუბედურება; დაღუპვა. ქონე-
ბის წართმევა, ვასაცოდავება, დაქ-
ცივა, მოსპობა, უსაბეულოდ დატო-
ვება, უსახსროდ დაგდება, შერცხვე-
ნა, სახელის გატეხა. მოკლა. „მარ-
თალია, კრედიტი ორპირი მახვილია.
ვინც კრედიტით მოპოვებულ ფულს
საქმეს მოაზნარებს და მით საქმეს
შემოსავლისათვის გააძლიერებს, მის-
თვის კრედიტი მისწრებაა, და ვინც
გაუფლანგვს და ჰერში ქუდის სრო-
ლით ლხინს მოაზნდომებს, მისთვის
ყელის გამოსაჭრელია და
საფლავის მთხრელია“ (ილ. ჰაჭავაძე).
„ძაღლო, რად გამომჭერ ყელი?..
მე რა რიგად შეგვიდრე... სახლი



როგორ დამხებდნენ?!" (რ. ერისთავი).
„აბა, რაღა მეხველება, შე დედა-
მკვდარო, რაზე დამოღუპე და დამაქ-
ციო! რაზე შემაშიგდე წყალი? რაზე
გამომჭერ ყელი?“ (ვაჩა-ფშაველა).

საქართველოში და საერთოდ აღ-
მოსავლეთის ხალხებში, როცა საქონ-
ლის თუ შინაურ ფრინველის დაკვლა
უნდათ, მჭრელი იარაღით ყელს გამოს-
ჭრიან ხალხმე, რომ მთავარი სისხლის
ძილენის გადაჭრით სისხლიდან მალე
დაიკალოს და მოკვდეს სულდგმული.
აქედან — მიმსგავსებით ადამიანისათვის
ყელის გამოჭრა უდრის: დაღუპ-
ვას, საჯაროდ შერცხვენას, სიკვდილს.
ყელის მოტეხა ის. ყელგადაგდმ-
ბული.

ყელის მოღერება პრ. ყელის მაღლა
ახილდა. სტვ. თავის მოწონება, თავის
თავის მიჩნევა გამარჯვებულად; სი-
ამაყი, ქედმაღლობა. „ყაფლანც სულ-
დგმული ამიკობით დაიღლინებს გუ-
ლის საკვდავად და თან-და-თან ყელს
მოიღერებს“ (ნ. ბარათაშვილი).
„მითხრა თავმომწონედ და ყელი
მოიღერა, მთლად ვაიშემა კისე-
რი, თითქო ბალით საესე თაბახი
უღგაო თავზედ“ (ვ. ბარათაშვილი).

ყელის საბელი პრ. ყელზე მოსაბმელი
თოკი. სტვ. გასაჩერებელი, დასაბო-
რილებელი, თავის ნებაზე გასატარე-
ბელი იარაღი. „ეს თათქმის დიდსა
და პატარას ენაზე აკერია დღეს საფ-
რანგეთში, მაგრამ ამას ეურჩება
დიდი უმსგავსოება ბურჯუაზიისა,
რომლის ხელიდან დღეს აქომამდე
მმართველობა საფრანგეთისა ვერ გა-
მოსულა და რომელსაც მუშა-
კაცის ყელის საბელი სახელიდან
გაშვება ზარალის მომასწავლებლად
მიაჩნია“ (ილ. ჰაჯაძე). „შენ გაქვს
შეკვრად და გამოსნად ყელთა
საბელითა წერისა“ (ქაიხარაძე).
„მით მის გამსყიდველს ნებთა ხვდა
ყელთ საბელის მოღება“ (დ. გუ-
რამიშვილი).

როცა ძველად დატყვევებული ვინმე
მიჰყავდათ სადმე ან უხდა გაეჩერებინ-
ათ სადმე, ყელზე საბე-ს მოაბამდნენ,
რომელსაც სურვილსამებრ მოუჭერდ-
ნენ, გინა მოუფოლხოვებდნენ.

ყელის ჩასველება პრ. მშრალს ყელში
სითხის ჩაშვება სტვ. ცოტა-მეტას
ღვინის დაღუვა. „თევდორე (მაიას).
პაი, პაი, რომ დაღუვე, ქალბატონო!

აი დაილოცა შენი ძირი, ეაზო!..
იფი!.. საზუა. ვადუშვი მოუუპარავ-
ში?!. ზახილა. მოიტა ე ყელი ჩა-
ვისე ელო!“ (რ. ერისთავი).

ყელისჭრა მუშაობა პრ. ყელის გამოჭ-
რის სადარი მუშაობა. სტვ. სისწრა-
ფო მუშაობა, გადაუღებელი, უტბად
შესასრულებელი მუშაობა. „გაიბდა
გამოძიება, ჩვეულებისამებრ, მოუს-
ვენარი და მოუსვენებელი, რომელიც
მთელ ხალხს აცდენდა ამისთანა ყე-
ლი ისჭრა მუშაობის დროს“
(ალ. ყაზბეგი). ის. ქვერზე დგომა.

სასოფლო მეურნეობაში ზოგ, სანუ-
შაო ისეთია, რომ შექველად სწრაფად,
გავედარებადმდე უნდა შესრულდეს, მაგ.:
ბარში „სალო“ კრეფა, მთაში — თიბვა,
თორემ თუ ავდარი შეესწრო ან ერთსა
და ან მეორეს, კირნაჯულს გაუფუჭებს
და მუშაკს ხელს დააბახინებს მთელის
წლის საჩოხზე, და ხალხმაც ასე გადა-
უღებელ, სისწრაფო საბუშაოს უწოდო
ყელისჭრა სამუშაო, რომლის გა-
დადება გლეხისათვის მართლა რომ
ყელის გამოჭრას, სიკვდილს უდრდა.

ყელმოტეხით თხოვნა ის. ყელგადაგ-
დებული.

ყელმოტეხილი ის. ყელგადაგდებულ-
ყელმოღერებული პრ. თავამართული
ესე, რომ ცალი მხარი იხრისა აწე-
ული იყოს, ხოლო მეორე ოდნავ დახ-
რილი — გვერდზე. სტვ. თავაწონე-
ბული, ვისაც თავისთავი გამარჯვე-
ბულად მიიჩნია, ამაყი, ქედმაღლის.
ამპარტავანი. „ჩამოღდა წინ დარის-
პანის დანიშნული მაიკო და დაადგა
სურათს ყუავილთაგან შეთხზული
გვირგვინი. თაღებში იყო, მაგრამ
მართული. ამაყი, თელმშრალი;
ყელმოღერებული“ (ვ. ბარათაშვილი).
„ამ ნიშნებზე მკითხაობდა ჩენი მკით-
ხავი. სამიოდე მანდილოსანი მისუ-
ლიყო და ყელმოღერებულეობის
ისხდნენ ოღაში“ (დ. ჩერცხიშვილი).
„ქალო, ეგ რა შემოგაკრავს, ყელი
მოგიღერებია. ჩემი გული შენ
მოგიკლავს. სხვისა ვაგინათობია“
(ალ. ლუთი ლუქი).

როცა ვისმე თავი მოსწონს, წელში
გაიშართება, ყელს მაღლა წაიჭრებლებს.
მოიღერებებს. თითქო ამით სურს:
სხვებზე მაღალი გამოჩნდეს, სხვებს ზე-
ვიდნი დასცქეროდეს და ამბობდეს: მე
ვარ, რაცა ვარ, თქვენ ჩემთან ვერ
მხოვალთ, გზიდან ჩამომეცალენით!

ყელყელაობა პრ. ყელის ამოწვევა ზე-
ვითკენ, ყელის მოღერება. ზევიდნი
გადმოხედვა. ზ.ყ. თავის მოწონება,
სიამაყე, ზეაობა, ამპარტაენობა. ქედ-
მაღლობა, გორაზობა, მღვდიღურობა.
„ვით მარნაილო, შორს თეთრად
მოჩანან მთისა თავები, და უფს-
კრულს ჩამოსაწოლად ყელყელა-
ობენ ზეავები“ (მ. შ. მღვდიღვილი).
„სდგას აქა (სატრფო) კრძალვით,
ვით ქურციკი ვეფხვთა შორისა,
ყელი ყელყელობს, აღმგზნებელი
გულთა კირისა“ (ნ. ბაიათაშვილი).
„ჩევის (ფეხების) ოფლით, ჩევის
ღვაწლით მუხა თავმოწონედ ყელ-
ყელობდა“ (ვაჟა-ფშაველა).

ყელში ამოგვდის პრ. მუცელში არ
გვეტევა (საქმელი) და უკან ყელის
სამუალეებით უნდა ამოგვივიდეს. ზ.ყ.
მეტად გამძაღრები ვართ, სულ ბევ-
რი გვაძეით, საქმლით მეტად სავსენი
ვართ. „უსმელ-უჭმელად დავძეხით,
ყელში ია ც ამოგვდიოდა“
(თ. რაზიკაილი). „ბევრჯელ დაუბი-
რეს ამ მოქიფე კრებულისათვის კუ-
ლით ქვა ესროლინებინათ სასწავლე-
ბლიდან. მაგრამ კიაზოს პატივისცემა
ყელში ამოპყვიყვიტებდათ“
(ფ. მენთეშაშვილი).

ყელში ამოპყვიტებენ ახ. ყელში ამოგ-
ვდის.

ყელში არ დაადგება პრ. ყელში არ
გაჩერდება. ზ.ყ. შევმა შეუძლია,
მოკრევა. „...თორემ ნაზუქი ყელში
არც იმით დაადგებოდათ, რად-
განაც, ღვთის წყალობა თქვენა ვაქვსთ,
იმითაც კარგად უჭირთ კბილი და
პირშიაც ნერწყვი ბლომად მოსდით
სიმსუნაგისაგანაო“ (ილ. ჰაშვაძე).

ყელში არ ჩადის (საქმელი) პრ. ყელში
გაიხირობა. ზ.ყ. ჭამა არ შეუძლია,
აგებულობა საქმელს არა ღებულობს.
„მოიტანეს ვახშაში, ახლინეს პური,
გაცონხეს. მწარე იყო ის დალოცვი-
ლი და მშრალი, ყელში არ ჩადი-
ოდა“ (ვ. ბარნოვი).

ყელში ბაწრის მოკერა პრ. ყელზე მობ-
მულ ბაწრის დავიწროება. ზ.ყ. დახრ-
ჩობა, შეწყუხება. გავიკრება „ჩილამ-
კალამი არ მოიჭანე? — დაეკითხა
ცოლის მოხუცი, — ბეჩა, რათ დაგაგ-
ვიანდა! ამ შენმა ვაჟებმა კინალა
ყელში ბაწარი მომიჭიარეს!
ყმაწვილები არიან, დროზე ჭამა უნ-

დათ, — ხუმრობით ამბობდა მოხუ-
ცი“... (თაბაღა — გ. თათარიშვილი).

ყელში დანის გაყრა ახ. ყელის გა-
მოკრა.

ყელში წაპერა (ვისთვისმე) პრ. ხელის
მოკერა ყელის გარშემო. ზ.ყ. დასახრ-
ჩობად გაშეტება, გაკვირებაში ჩაგ-
დება; დაუზოგველობა, ძალის დატა-
ნება. „ათი თუშანი თავნი ვალი ხუ-
თი წლის განმავლობაში სამოც თუმ-
ნად გაგვიხალა. დაგვაწერინა სამოცი
თუმნის ახალი თამაშუქი და შემდეგ
წაგვიჭირა ყელში ხელი: —
გინდათ თუ არა, მალე უნდა მომ-
ცეთ ეს ფულიო“ (ნ. ლომოური). „არა
ვაქვს ხელი და იმისთვის არ მამ-
ლეკ ვახწესებას? კეთილი! ბოროტი
მოვალე ხომ არა ვარ ყელში წა-
გვიჭირა; დარჩეს შენზე, სიანამ შე-
იძლებდე“ (ვ. ბარნოვი).

ყელში წვდა პრ. ხელი ყელში დააგ-
ლო. ზ.ყ. დაიჭირა, გააჩერა, არ ალა-
პარაქა.

ყვავები შავს ჩაიცვამენ პრ. ყვავები
სამგლოვიარო ტანისამოსს ჩაიცვა-
მენ. ზ.ყ. იმის (ან შენს) უბედურებას
თუ მარცხს არაფერს იღარდებს, არ
შეწყუხდება.

ეს თქმა დაციენითა. ხმარობენ
მაშინ, როცა ვინმე თავის უბედურებას
ძალიანა სწყუხს. მაგრამ სხვებისათვის
ყურადღების მისაქცევი აღარც კია.

ყვავთან მწყრალად არის პრ. ყვავზე
გაჯავრებულია. ზ.ყ. მომთავრა (ღვი-
ნო). „ხირაჯი (სარდიონს): პური
არ მინდა და ღვინოს კი ვიყიდი, თუ
ყვავთან მწყრალად არ
არის“ (რ. ერისთავი). ახ. ყვავს და-
აჩხავლებს.

ამას იტყვიან, როცა უნდათ ირო-
ნიულად გამოხატონ ღვინის ნაკლულე-
ვანება. მისი ღირსება დაამცირონ,
განსაკუთრებით — თუ ნაქებნია, დაქან-
გებულა.

ყვავის ბუდეს დამხგავსება (თმისა)
პრ. ყვავის ბუდის სახისად გახდომა.
ზ.ყ. უწესრიგოდ აბურძგვნა თმისა,
დაუვარცხნელობა. „ჯალჯავით თმას
უარესად აბურძგვნიდა (შოის ცოლი
გოგოს) და ყვავის ბუდეს და-
უმსგავსებდა“ (ილი მღვდიღვილი).

ყვავმა მალალ ხეებზე იცის ბუდის
კეთება. ეკლიანი ხის წერილ ტოტებს
ძირს გაუშლის მრგვლად და სქლად
და მერე ამში ჩაუთუნს ბალახბუ-

ლახისა და საქონლის ბანლისაგან გაცემულ ბუღდეს, რომელშიაც კვერცხები უნდა ჩასდოს ბახალგების გამოსაჩეყად. ასეთ ბუღდეს ქვეყიდან რომ უყურებთ, მხოლოდ ფიხის გროვის შთაბეჭდილებასა სტოვებს თქვენზე.

ყვაის დანახვლება თავზე ჰრდ. ყვაის ხშიანობა ვისსამე თავს ზემოდან. ზვე. უბედურობის მომასწავებელი ნიშანი. „სახლი ჩემ ხელთ არის... მაგრამ დასწყველა ღმერთმა, წუხელი სინამარში თავზე ყვაევი დამჩხაო დ!“ (ავჰს. ცაგარელი).

ჩვენის ხალხის ცრუმორწმუნეობათა შორის ერთია — ყვაის დანახვლება თავზე. ვსთქვათ, გამოხვლით სახლიდან და გზაზე რომელსაზე ხეზე ჩამოხდარმა ყვაემა თავზე დაგჩხავლაო. ეს, ჩვენის ხალხის რწმენით, იმის ნიშანი, რომ საქმეს სასიკეთოდ ვერ დაასრულებთ, ხელი მოგცარებათ. ვერას ვახდებით. ზოგი კაცე უკან დაბრუნებას არჩევედა, ვიდრე გზის გაგრძობას და ბრუნდებოდა კედეც.

ყვაე ჩხიკვის მამიდაო ჰრდ. ის ყვაევი, ჩხიკეს მამიდად რომ მოხვედებდა. ზვე. მეტად შორეული ნათესაური კავშირი. უნათესაობა.

ამას ხმარობენ ლაპარაკში, როცა ვისიმე ვისთანმე სულ შორეული ნათესაობა უნდათ აღნიშნონ. თვით თქმა დაცინეითია და გამოხატავს იმას, რომ იმათ შორის, ვისზედაც ლაპარაკია, ისეთივე უნათესაობა არსებობს, როგორც შეიძლება არსებობდეს ყვაესა და ჩხიკეს შორის, ე. ი. ორივე ფრინველია, სულ სხვადასხვა ნათესაობისა. იხმარება ქართლში.

ყვავს დანახვლებს ღვინო ჰრდ. ყვავს რო დაალევიწო. ისიც კი ვერ მოითმენს და დაიხხავლებს. ზვე. მეტად ცუდია, სასმელად შეგვეია. „თუ ყვაეს არ აჩხავლებს (ღვინო) რალა...“ (რ. ერისთავი).

დაცინეითი თქმაა. როცა ბირდაპირ არ უნდათ ღვინის სიკუდე სთქვან, მიმართვენ ხატოვანად გამოთქმას იმავე აზრისას. თან ნაგულისხმევეია, რომ ყვაევი ისეთი ფრინველია, რომ ყველაფერს უძლებს, ყველაფერს ითმენს. მაგრამ ასეთი ცუდი ღვინო იმასაც არ მოეწონება და დანახვლებით გამოხატავს თავის უმყოფილებასაო.

ყველა, ვისაც არ ეზარება ჰრდ. ყველა, ვისაც სიზნატე არ მოერევეა. ზვე.

ვისაც მოუნდება, ვისაც მოეგონებება. ზგლ. ვისაც არ ეზარება, ყველა იმას სჩაგრავს და იბრეყეებს.

ყველა თავისს ცეცხლს უკეთებს ჰრდ. ყველა ცდილობს თავისს ცეცხლს შეშა დაიყაროს. ზვე ყველა ცდილობს თავისი საქმე წინ წასწიოს, თავის თავისთვის იზრუნოს, სხვის დარდით თავი არ შეიწუხოს. „ხშირად ნახვდით იმას ყრილობაში და გაიგონებდით მის საყვარელ სიტყვებს: „თქვენ, ჩემო ძმაო, ყველა თავისს ცეცხლს უკეთებთ, სხვა ფეხებზე გვიდიათო“ (დაფ. ფშაველა).

კერაზე ცეცხლი რომ უნთიათ, ისიც ზამთარში, სიცივეში, ყველა ცდილობს შეშა არ მოაკლდეს ცეცხლს და რაც შეიძლება, უკეთებს. და იმავე დროს ნაკლებათ ფიქრობს იმაზე, თუ სხვის, მესობელს, როგორა აქვს საქმე, შეშა ხომ არ აკლბა, კერაზე ცეცხლი ხომ არ უჭრება, სიცივე ხომ არ აწუხებს. თანახმად ანდაზისა: ვერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოცო!

ყველამ შამფური გამითალა ჰრდ. დანით ხის შამფურს მოაშორა უსწორმასწორობა. ზვე. მიმტრო. გაჭირების დროს არ მიშველა, დანმარების ხელი არ გამოიწყოდა.

ეს თქმა ნიშნავს: ყველამ შამფური იმერტომ გამითალა, რომ ზედ შესაწევად როგორც ხორცი წამოვეგო, დაეზარადღო.

ყველამ ჩემზე მოიცალა ჰრდ. ყველამ ჩემს სამტროდ იშოვა დრო. ზვე. ყველა მე მიბრეყეებს, ყველა მე მჩაგროავს. ყველა მე დაციწინს. „აი უსაქმურ ხალხს რომ იტყვიან, ეს ქალაქელები არიან: დასწყველით ღმერთმა, ყველამ ჩემზე დარ მოიცილა!“ (ილ. ჭავჭავაძე).

ყველას ვინ მოსთვლის! ჰრდ არავის შეუძლია ყველა გაიგოს, რამდენია. ზვე. ძალიან ბევრია, უთვალავია. „რა გამოიტანა იქიდან (სკოლიდან). აზრი, რომ სამართალი არ არის ქვეყანაში, რომ ძლიერი უნდა სრესდეს უძლურსა, როგორც ოსტატები, რომ სიდაც ძალაა, იქაც კანონია, რომ... და სხვანი და სხვანი, ყველას ვინ მოსთვლის!“ (ილ. ჭავჭავაძე).

ყველას თავისი ქორი გამოუჩნდება (ან ჩამოუქროლებს) ჰრდ. თავისს ქორს



ვერავინ გადაურჩება. ზვ. კაცი არ იქნება, მტერი და მავნე არა ჰყავდეს, მტრობას არავისგან მოვლოდეს.

უღალესად მტაცებელი ფრინველი — ქორი სინონიზია წამლეუჯობისა, მავნებლობისა, მტრობისა, დაზარალებისა. მველების წარმოდგენით შეუძლებელია კაცს თავისი ქორი ანუ მტერი არა ჰყავდეს და თუ არა ჰყავს, არ ეულოს. ამიტომ სულ მუდამ უნდა ფრთხილობდეს, მოელოდეს გაჭირებას, ტრინიგან ვნებას, მზად უნდა იყოს დასახვედრად და გასამკლავებლად. ყველას მაშიდას ჰვ. ქვეყნის მამიდა. ყველას ჩემია ჰრ. ყველაფერზე ჩემიაო, რომ იძახის. ზვ. თავი კერძო, ცხოლოდ თავისათვის მოყვარე.

ყველა ყველაო! ჰრ. ყველაფერი ყველაფერი არისო. ზვ. ყველაფერი შეიძლება იყოს, მხოლოდ... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ. — ყველაყველა და ამაღმ ვახშმად რა გვაქვს? — ერთს საღამოს ლუარსაშმა თავის მეუღლესა ჰკითხა. როცა ქათმების შესღომის დრომ მოაღწია (იღ კაქვაჯე).

ყველა ჯოხი იმაზე უნდა გატადეს! ჰრ. ყველა ჯოხი ემას უნდა მოხვდეს და გატადეს. ყველამ იმას უნდა სცემოს, არავის უნდა გადაურჩეს გაუჯოხავი. ზვ. ყველას დასაჩაგრავი და დამალი ლობი ის არის. უბედურია, ყველამ ის უნდა შეიწიროს მსხვერპლად.

ყველის გუდასებ გატენა ჰრ. ყველის გუდას მსგავსად გავსება. პირთამდე მოყრა. ზვ. ზომამე მერის ჰამა.

ყველის გუდაში, ახალს ყველსა სდებენ, რომელიც ღრუბელივითაა და ბევრიც ჩადის. როცა ვინმე საქმელსა სჭამს და ჩეორე აძალბეს — მერი სჭაჩეო, მჭამელი პროტესტის ნიშნად მოჰალეს ეუბნება: ყველის გუდა ხომ არა ვარ, გავიტენოვო!..

ყველას ვაჭარივით იციანს ჰრ. ყველის ვაჭრის მსგავსად ეციხება. ზვ. ერთავად სიცილი, უმიზეზოდ სიცილი.

ყველის ვაჭარი ერთავად იჭრიკება თავის ყველის ქებაში, რომ აყიდველს იოლად მიაჩენოს ხოლმე.

ყიამყრალი ჰრ. ვისაც ყელი უყარს. ზვ. მავნებელი, ლანძღვის მოყარე, უწმინწურად მოლაპარაკე. ცუდი, უხამსი სიტყვების მოქმელი, ავენა, ენაჭარტალა. „ზურგი შეგაქციათ (ტარიელმა) — მაშინაც სიტყვებს ეძებს

და ვერ უპოვნია, რომ აცყაროს ყოველივე ღირსება აღამიანური. ქვეყნის ცოლად თქვენ უნდა მოგკიდოს ზურგზე და გახილვისოსო. კიდევ ამიტომ დაარქვენ მტრსახედ ყიამყრალი“ (მთაბე).

ყიამყრალი ჰრ. ყანყაროდან ცუდი სუნის გამომავლობა. ზვ. ავენობა, ცუდის ლაპარაკი, ბინძურ სიტყვების ამოშვება პირიდან. „ყაცმან პოქვა, ყითხოვ შემინდო, რაც მე ვქენ ყიამყრალია“ (დ. გურამიშვილი).

ყინულზე გაცურება ჰრ. ყინულზე ცურვით გაცურება ვისიმე. ზვ. ოსტატურად მოტყუება, თავიდან მოსხებება. შეცდენა. — არა, თქვე ვაი აღამიანებო, გალანძღვას რაღას შენართლებდი? არ მიცეთ ქალი, ძალიან კარგი ჰქენით, მაგრამ გერ იტყოლით, თუ შეფენჯან, თითონ შენ იცი, რა შეუფერებელია მიღუა ჩვენი თინანოსთვის; მოდი, ერთი ყინულზე გააცურე ქოთავი, რომ არც მწვადი დასწო, არც შაფურია“ (დ. ბარნოვი).

ყირაზე გადატარება ჰრ. ძალათი თავდაყირა წაქცევა. ზვ. ჯოხნი, მორევა. „ეჭვე, დიდი ძალა აქვს რთველსა; თუ მოინდობა, მალე ყირაზე გადატარებს!“ (ვაჟა-ფშაველა).

ყირანი აყენია საქმლისა ჰრ. თავდაღმა ჰყრია საქმელი. ზვ. ბევრია საქმელი, სულრა პირთამდე საესეა. ერთიმეორეზე ჰყრია.

ყირანი — მრავლობითი რიცხვია სიტყვა ყირა-სი, რაიცა ნიშნავს ერთიმეორეზე დახორილს, თავდაღმა დაყრილს.

ყმა ჰრ. მოსამსახურე, სხვისი მორჩილი. ზვ. ვისაც უფლებმა არა აქვს იტონოს: საკუთარი ნებისყოფა, აზრი, თავისუფლება მოქმედებისა.

ამ სიტყვასთანაა დაკავშირებული თქმა ყმად არ გამხადო, რომელიც იხმარება ცხარე ლაპარაკის დროს და რომლითაც მიმართავენ ერთიმეორეს იმის გამოსახატავად, რომ ვერას დამაკლებ, ვერ მომეჩევი, ჩუგან ვერას წაიღებო.

ყმაწვილების კალო-ლეწა ჰრ. ყმაწვილები კალოზე გამოაყვანიან და ქვერით აღწეინა პურივით. ზვ. შეუბრალებლობა, უღმობელოება, მტარვალა. „ყეინი რომ მოგვერია, ისიც ლმერთმა მოვანახა, ყმაწვილე-



ბის კალღეწა, ჰოროველა შე-
მომძახა“ (პ. უმიკაშვილი).

ეს გულშემზარავი თქმა გვიხატავს
ულწონობას, გულჭკვაობას ძველებურ
მტარველებსას, როგორებიც იყვნენ,
მაგალითად, სპარსეთის ყენები საქარ-
თველოსათვის. მათთვის დიდების მუსრ-
ვა-ველეა, ქალაქ-სოფლების განად-
გურება, დედამიწასთან გასწორება,
ტყვედ წაყვანა ქართველ ქალებისა,
ივარყოფა ქართელთა სარჩო-საბა-
დებელისა არა კმაროდა, მათს უკან
ძუძუთა ბავშვებიც კი არ უნდა გადარ-
ჩენილიყვნენ მათს რისხევის ცოცხლები,
ისინიც-კი უნდა მოესპათ. ერთხელ,
როცა განრისხებულ და ქართველის
სისხლით გაუმძღარ ყენი, რომელიც
საქართველოს ასაკლებად მოზღვავებულ
სპარსთა ჯარს მოუძღოდა და საქარ-
თველოში რომ შემ-სულა, ებრძანები-
ნა: საცა ბავშვები მოახელოთ, თავი
მოუყარეთ, კალღზე დააყრვიენეთ და
დედების თვალწინ კვირით აღეწვიეთ,
სანამ უკანასკნელს სული არ ამოხ-
დებოა.

ასეთი სენა დასდებია სარჩულად
ერთ-ერთ ხალხურ ლექსს და შიგ მოყო-
ლილ თქმას. მისხით მისხამდე მოსაყო-
ნარს, რომელიც ქართულში დარჩა
ძველი დესპოტების და ძმათა მათთა
თავგასულობის, ბოროტების, გულჭკ-
ვაობის გამოსახატავად, იმ დესპოტების,
რომელთაც ადამიანობის ნასახიც-კი
დაკარგული ჰქონდათ.

ეს თქმა თვით ყოველად აღუშფო-
თებელ ადამიანს შეზარავს გულს და
შეაზიზლებს, ვისზედაც ეს სიტყვები გა-
მოითქვა. საუკუნოდ წყველა-კრულვით
მოსახსენებლად გაუხდის ხალხის იმ
სისხლსწრველთა და მტარველთა,
რომელთაც ყენები ერქვათ და რომელ-
ნიც ადამის ტომს მხეცებად მოვლენო-
დათ, ადამიანის სახისად.

ყოველივე მოცემული კეთილი პრ.
რასაც ვინც მო ცემს, კარგია. ზვ.
რაღ უნდა მცირედ დახმარება იყოს,
დასაწუნი არ არის.

ყორანთა დახაყივარად გახდომა პრ.
ლეშის საჭქელად ყორანები ყორანებს
რომ უხმობენ. ზვ. უმატრონოდ დარ-
ჩენა, დალუბვა. „შენთვის მოკვედები,
გავხდები ყორანთა დახაყივარად“
(მ. რუსთაველი).

ყორანის ჩხავილი ის. ყორანმა თავ-
ზე დამაყრანტალა.

ყორანმა თავზე დამაყრანტალა პრ.
ყორანმა ჩემს თავს ზემოდან იხმი-
ანა. ზვ. უბედურება მიქადა, სიკე-
დილიც კი მოსალოდნელია. „ჩამოჯ-
და (ყორანი) არხენად კიღობანზე,
ღაიმწყაზრა მხრები... დაგვაცქერდა,
წამოიძაბა ჩვენსკენ კისერი და დღდა-
შვილს ორივეს თავზე დამაყრან-
ტალა“ (ვაჟა-ფშაველა). „არხოტის
გადმოსავალში საწყინარს ეტყვის
მხარა. ჩამასჩხაოდა მიმავალს
თავზე ყორანი შვიამ“ (მთხვეფრი
ლექსები).

ჩვენი ხალხის ცრუმორწმუნეობის
თანხმად, თუ კაცს, ზნად მიმავალს,
ხარმა შემობღავლა, ან ყვაე-ყოჩანმა
ზევიდან თავზე დამაყრანტალა, უბედუ-
რების ქაღილად ჩაითვლება. და ამ უბე-
დურობის ასეცდენად, ხარო, რომელმაც
შემობღავლა, და ყვაევი, რომელმაც თავის
დამაყრანტალა უნდა მოიკლას, ცოცხლის
არკერითი არ უნდა გაუშვას კაცმა. მა-
შინ მათს ქაღილს ძალა ეკარგვისთ.

ყოფის დაწევა პრ. ამბის შემთხვევა.
ზვ. გაწყრომა, გაჯავრება. გაბორო-
ტება, საყვედურის თქმა, ჩხუბი. „ვის
არ ახსოვს, რა ყოფა დააწია
გერმანიამ ინგლისს ტრანსვალის
რეესპუბლიკის გამო“ (ილ. ჭავჭავაძე).
ის. საქმის დაწევა.

ყოფნა თუ არყოფნა პრ. სიციცხლე ან
სიკვდილი. ზვ. იძულებულყოფნა,
ორშიერთი იიჩიოს კაცმა. „ყოფნა
თუ არყოფნა“. წარმოსთქვა ერთ-
ხელ შექსპირის ჰამლეტმა, როცა სა-
ქმის ვითარებამ ორშიერთი დაუყენა
წინ ამოსარჩევად“ (ილ. ჭავჭავაძე).

ყრონტი მივარდნა (ვისთვისმე) პრ.
ყელში ტაკება ხელებისა. ზვ. ავკე-
ცობის შეურჩენლობა, პასუხის მოთ-
ხოვნა რამე დანაშაულისათვის. „ცუ-
დი საქმე, ცუდი ვისიმე საქციელს
იმას (მინას) ეოთს წილის მოთმინები-
დან გამოიყვანდა ხოლმე, მაშინათვე
ყრონტი მივარდებოდა კაცს“
(ს. მგალობლიშვილი).

ყრუ პრ. სმენის გრძობას სავსებით
მოკლებული. ზვ. უგრძობილი, ულ-
მობელი, გულჭკა, უვიცი, რეგენია.

ყუაზედ გახვლა (ტკივილი, გინა ცხოვ-
რება). პრ. რომელისამე რკინის იარა-
ღის ზურგაზედ მისვლა. ზვ. მორცენა,
უკანასკნელ ზომამდე მიყვანა, და-
ლევნა. „რომელმა ერმაც ეს მიწის
თანასწორად დაყოფა) ვერ მოახერხა,



ამ ყუაზედ გასულს ტკივილს ყოველის საზოგადოებისას წამალი ვერ დასდვა — მიწასთან გასწორდა, გაქარწყლდა და მტერად აიგავა“ (ილ. ჰავეჯიძე).

ამ იგულისხმება ყუა, გინდა ზურგი რომელისაზე რკინის იარაღისა, რომელსა ცუდ ბევრის ხმარებისაგან პირი გაუცვდებია იმდენად, რომ ჩლუნგი ყუა-ლა შეიჩება, გამოუსადეგარი რისანზე საჭრელად.

ყუაზე მიყენება პრ. მკრელი იარაღის ზურგამდე მიყენა. ზვ. საქმის გაფუჭება საბოლოოდ, ცხოვრების ჩავლება უკანასკნელ დღეში. მკლ. ჩემმა მტერმა ჩემი ცხოვრება ყუაზე მიყენა.

ყუა იგივე ზურგია ხმლისა ანუ სხვა საქრელ იარაღისა. შეიძლება ხმარებით, გინა ლესებით ისე დიდლოს პირი მახლისა, რომ ყუა-ლა დარჩეს, ე. ი. ისეთი ნაწილი იარაღისა, რომელიც არა სჭირს, უხმარია და პატრონისათვის გამოიუსადეგარი შეიქმნეს, ვაჭირების დროს ვერ უშველოს, მორთულ მტერს მასზე გაამარჯვებინოს.

ყურად მიხვლა პრ. ყურებამდე მიხლოვება. ზვ. გავიგება, მოსმენა, შეტყობა. „ხევისურების ყველა საქმეები რომ ახალ კანონს ჩავგდო ხელში, იქამდის ხევისურეთი კამბატკაში დაარსდებოდა. ყველა ხევისურთა ეს კარგად იცის და კიდევ იმითომ ფრთხილობს, რომ დაჭრილობის ამბავი „კანონის“ ყურად არ მივიდეს“ (ვაკა-ფშაველა).

ყურაცქვტილი პრ. ყურებმალაშეგრილი. ზვ. გულისყურისანი, მოსამზინლად მომზადებული, ფრთხილდამყოფი, სმენა დამახვილებული. „დაღამდა, მაგრამ მე მაინც სტანციის გარეთა ვარ და დაეჩიებით ყურაცქვტილი გონებას ვადევნებ თერგის თავზეხლებლალბულის დენის ხუილსა“ (ილ. ჰავეჯიძე). ახ. ყურების დაცქვტილი.

ყურდავერილი პრ. ყურით დაჭერილი, როცა ვისიმე დასაჭერად მის ყურზე გვიკიდია ხელი. ზვ. მომხბრე, ვერსად რომ წამივთა, უჩემობა რომ არ შეუძლია. „გარდა ამისა, აგრე ყურდაჭერილი მუშები ყოველთვის საფრთხილად იყობება სახელმწიფოს, თუ ვინიცობა ოდესმე რომელიმე წო-

ლებამ ერისამ კანდიერის ხმით გალობამ დაიწყო“ (ილ. ჰავეჯიძე).

ყურთამდე გალება კარებისა პრ. გალება კარებისა ისე, რომ მისი ყურები გამოჩნდეს. ზვ. ფართედ, სულ გალება კარებისა. „ბევრი ლოდინის შემდეგ ვაჭირალეს კარებმა და გაელენენ ყურებამდის“ (მელანიძე). „— მერე ბიჭებო-და... დაიწყო სოლომი. მაგრამ ამ დროს ბოსლის კარები ვაჭირილდა და ყურთამდის გაიღო“ (შ. არაგვისპიოლო).

ძველად კარებს რკინის ანჯამები არა ჰქონია. ერთიანი კარი ჩარჩოში მაგრდებოდა ზევით და ქვევით წაბლილ რიკების საშუალებით, რომელთაც ყურები ერქვათ. კარი რომ სრულიად გაიღებოდა, ეს ყურები გამოჩნდებოდა. მაშასადამე, თქმა: „კარები ყურებამდე გაიღო“ ნიშნავს: კარის ყურების გამოჩენას, ე. ი. სულ, ფართედ გაიღბას კარისას.

ყურებზე ხახვი არ დამაქრა პრ. დაჭრილი ხახვი არ დამაყარი ყურებზე... ზვ. ვერას დამაკლებ, ვერ მომერვევი, შენი მუჭარა შენთვის შეინახე; ყმად ვერ გაიხიდი. „ქვრივი (წამობტება და კარებიდან მისძახის): შენ იცი! მე ვიცი, ყურებზედ ხახვს დამაქრი, ბაიყუშის ბაიყუშო! (ილ. ჰავეჯიძე). „სახელა: უი შენ თიასა!.. ყურებზე ხახვი არ გადამაქრა!.. მაშ დავაჩაგვრინებ რაღა ჩემ დისწულს!..“ (რ. ერისთავი).

ძველად გაბატონებული იყო ფიზიკური ძალა, მორევება, კანონი დამორჩილებისა, ერთი-მეორის ალაგმვისა. ადამიანს იმდენად ჰქონდა ფისი და გავლენა სხვათა თვალში, რამდენად ეს ადამიანი ღონიერი და ხელის უფალი იყო ფიზიკურად. სუსტი და უძლური ამ ძლიერსა და ხელჯობიანს ეწირებოდა მსხვერპლად, მისი მონა იყო სულით ხორცადღე. და აი ასეთ წყუელთ დროის მოსაგონრად გვაქვს დარჩენილი თქმა: ყურებზე ხახვი არ დამაქრა!

ჩვენი წინაპარნი ამ თქმით მიმართავდნენ ხოლმე გულმოსულ და მათზე კბილებალესილ მოპირდაპირეს, როცა ის ემუქრებოდა და დაჩაგვრას დაუპირებდა. ამით ჩვენთა წინაპართ უნდოდათ გაეგებინებინათ მოწინააღმდეგისათვის: თუ რასმე მოგვიინდომებთ, დავიხედებთ, საკადრისს პასუხს გავცემთ, ჩვენგან ვერაფერს წაიღებო!..



ჩვენმა წინაპრებმა ჩვენ დაგვიტოვეს ეს თქმა ლაპარაკში სასმარად. დღესაც ვხმარობთ, თუმცა კანტი-კუნტად, ათასში ერთხელ; ამავე აზრით, დღესაც ვახერხებთ მობირდაპირს პირი დაეყუთ, გაეაჩუმოთ.

მაგრამ არ იკითხავთ, გვესმის თუ არა მნიშვნელობა აქ ნახმარ სიტყვებისა? არ იკითხავთ: რა შუაშია ხახვი, ისიც ყურზედ დაჭრილი, ან სახელდობრ ყურზე და არა სხეულის სხვა რომელსამე ასოზე, ან კიდევ რა დანიშნულებისათვის დაჭრილი?!

დღეს ჩვენ ექვიც არა ჭკაქვს, თუ რა ტრაგედიაა ამ სამად-სამ სიტყვაში ჩამაბული, თუ რა სამწუხარო მოვლენას გვიხატავენ ეს სიტყვები ჩვენის წარსულის უკუღმართ ცხოვრებისას!..

ძველად, ოდეს ერთი ტომი მეორო ტონს ეომებოდა და ბოლოს სძლევდა, მომრევი მორეულის მეომრებს ტყვეებად წამოასახმდა და თავის მოწებად გაიხდიდა. ხოლო მაშინდელი მოზობის გარეგანი და წაუშლელი ნიშანი იყო — სხეულის საჩინო ადგილას ისეთი ასოს მოჭრა, რომელსაც ორგანიზმის ფუნქციებისათვის შესამეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა და ფიზიკურ მუშაობას ხელს არ უშლიდა. ასეთი ასრ იყო ყური. ამიტომ მოწებად გადასაქცივე ტყვეებს ყურებს დააჭოდნენ ხოლმე. ხოლო წამოსული სისხლის შესაჩერებლად, დეზინფექციის და ნარჩევის შესახორციებლად კრილობაზე ხახვს წმინდად დააჭოდნენ. ხახვის ეთეროვანი წვენი ეს თვისება კ-ილობის საწამლებლად საქართველოს მთიელთა შორის ცნობილია. ეს აღნიშნული აქვს ექიმ ნოვიკოვსაც (იხ. „საბჭოთა სამკურნალო ჟურნალი (რუსულად), 1936 წ., № 16). ხახვის თვისება მდლურად წყლით ან ცეცხლით დაშვარის კურნებისა ჩვენს ცნობილია. ისიც ვიცი, რომ მეუწყეს, დამწიფების დასაჩქარებლად, შემწვარი ხახვი უნდა დაეადოთ ხოლმე.

ასე რომ, თქმა: „ყურებზე ხახვის დაჭრა“ გადატანითაჲ, სურათ-ხატოვანად ნიშნავს: მონად გახდომაჲს. ხოლო ვისმე რომ ვეტყვი: ყურებზე ხახვი არ დამაჭრაო, ამით ვუუხებთ: უჟაკრაოდ, არ დამიმორჩილოთ, არ მომერიოთ, ყმად არ გამიხადოთო!..

ყურებსა სჭრიდნენ ნაყიდ ტყვეებსაც, რომლებიც მოწებად უნდა გაეხადნათ. ყურმოჭრილი მონა თავის ბატონს

ვერ გაექცეოდა, და თუ გაიქცეოდა, მეორე ბატონი არ მიიღებდა, სხვა ბატონი, თინიერ ნამდვილისა, ასეთის ყურმოჭრილის მონის შეკედლებას არ ისურვებდა.

ბტონისათვის ყურების მოჭრის ჩვეულებისაგან უნდა იყოს დარჩენილი ჩვენში ატირებულ ბავშვის შესაძინებლად ასეთი მუქარა: არ იტიოო, თორემ მავანი მოვა და ყურებს დაგაჭრისო!..

ჩვენამდე მოუღწევია ყურების დაჭრის ერთ ამბავს, აფხაზეთში რომ მომხდარა. XIX საუკუნის დამდეგს, როცა აღი-ბეი შარვაშიძემ, მამა 1900 წელს სოხუმში ვადარცვლილ გენერალ გრიგოლ შარვაშიძისა, მომკვდარა, მის მიძაშვილებს ცალ-ცალი ყური დაუჭრიათ და სადღავეში ჩაუყოლებიათ მიცვალებულისათვის ნიშნად იმისა, რომ საიქიოში ყმებად და მოსამსახურებებად ეახლებოდნენ თავიანთს გაზრდილს. აფხაზეთშივე კაცი (ხიბურის შვილმა) მარლანიამ საჩუქებლად 800 ტყვე მოასხა, ყველას ყურები დააჭრა და მერე ოსმალეთში გაჰყიდაო.

ერთი ამბავი სამეგრელოს ცხოვრებიდანაცაა დარჩენილი. 1853 წ. გარდაცვალებულ სამეგრელოს უკანასკნელ მთავარს დავით დადიანს მარტვილის მონასტერში რომ ასაფლავებდნენ, ერთი სამურზაყანოელი გლეხი საფლავთან მისულა. ს-ტეიარი ამოულია, ცალი ყური მოუთლია და თან ჩაუყოლებია მთავრისათვის იმ აზრით, რომ საიქიოში მისი (მთავრის) ყურმოჭრილი ყმა იქნებოდა. დედოფალს, ეკატერინეს, პოეტ ალექსანდრე ჰევეჯაძის ასულს, ამ სცენის მხახველს კინაღამ გული შესწყუხებოდა და მერე, პეტერბურგში ყოფნის დროს, პროფესორო ალექსანდრე ცაგარელისათვის უამბინა და თან უქითხინა ამ ჩვეულების მნიშვნელობა. ხოლო ცაგარელს, როცა ის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ზუბალაშვილის სახელობის თავშესაფარში იმყოფებოდა, უამბინა ცნობილ ქართველ ფოლკლორისტი გ. ლომთაძესათვის, რომელმაც ჩვენ ჩავაწერინა.

აქედანაა ჩვენს მეტყველებებაში შემოსული და დარჩენილი სიტყვა ყურმოჭრილი ყმა. როცა ვისმე ვეტყვი: მე შენი ყურმოჭრილი ყმა ვარო, ამით ვუუხებთ, რომ მისი ერთგული და უსაზღვროდ მოჩრდილი ვართ. ყურმოჭრილი

მონაზონის პატრონს ეკუთვნის, როგორც უსულო რამ სივანი, ძაგ., ჯიხი. თავისი ყმა პატრონს შეუძლია მოჰკლას და ამისათვის ვისსამე წინაშე არავითარს პასუხს აგებს, შეუძლია აჩუქოს ვისმე, მიჰყიდოს, ერთის სიტყვით როგორც მოეგუებება, ისე მოიხმაროს.

ყურები გამოიჩინებენ! ჰრ. ყურები გამოიჩინებენ. ზღვ. ყური დაგვიგდე, კარგად მოგვისმინე. „კარგა გაიგე, ყურები კარგა გამოიჩინებენ, რო შენ არ ეყოფი სოფელსა, არა!“ (ს. მგალობლიშვილი).

ამ თქმასა ხმარობენ, როცა ვინმე გაჯიჭრება და სხვისი ნათქვამი არ უნდა შეისმინოს. ნახევრად დაცივნილი ხასიათი აქვს: ვითომ ყურში დაგროვილი აქვს ქუქუი და უნდა მოიშოროს, რომ კარგად გაიგონოს, რასაც ეუბნებიან, ყველაფერი აღამიანურად მოისმინოს.

ყურებიდან ბამბის გამოღება ჰრ. ყურებში ჩადებული ბამბის გამოცლა გარეთ. ზღვ. განგებ არგაგონების შემდეგ გასაგონარის გაგონება, ყურის არმოყრუება, შესენა. „ერთხელ და ერთხელ საჭიროა ყურებიდან ბამბა გამოვიღოთ. ერთხელ და ერთხელ საჭიროა ვიცოდეთ, რომ შვილის გაზრდა, შვილის კაცად გააწყვანა უწყინდესი და უდიდესი ვალია მშობლებისა“ (ილ. ბაგვაძე). „ლითქოს ამ გარემოებამ გამოაყრევინა ყურებიდან ბამბა და მის მხედველობასაც ვადუხადო: ამ ჩხუბის შემდეგ შენოესმა ის, რასაც წინად მას ხალხი აგონებდა და კი არ ისმენდა, და მოეჩვენა ის, რასაც უყურებდა და კი ვერ ხედავდა“ (ფლანია). „ჭერი, ჭერი! სხვებსაც ევ აჭერიათ პირზე და შურით შემოგვცემრიან. გაიგე, ყურებიდან ბამბის ძველად გამოიღე და გაიგონე, რომ დღეს არა, ხელ ეს ჭერიც გამოგვეცლება ხელიდან და მაწანწალანი შევიქმნებით, ქუჩა-ქუჩა მავალნი“ (ფ. ბარბოვი).

ყურებიდან ბამბის გამოღება ის. ყურებიდან ბამბის გამოღება.

ყურებიდან ბამბის ძველად გამოღება ის. ყურებიდან ბამბის გამოღება.

ყურებით ვერ გაძღები ჰრ. სულ გინდა უყურო. ზღვ. ძალიან ლამაზია, ნეტად საამო საყურებელია. „პატრონო, ერთ

ისთა ქალ იყე, რო ყურებით ვერ გასიღები“ (ს. მიალათია).

ყურების აწევა ჰრ. სხვის ყურზე ხელის მოკიდება და ძალზე ხეითკენ აზიდვა. ზღვ. სხვის ყურის გაწევა-მოწევა და ტკეპა, დისაჯა. „ჩაუუვარდათ ხელში ჩვენი ამბახავი, აუ წიეს ყურები“ (ს. მგალობლიშვილი).

ყურის აწევა — ერთგვარი სასჯელია. ამგვარის სასჯელით უფრო სჯიან პატარებს, როცა ესენი დიდების გასაჯავრებელ რასზე ჩაიდენენ. დიზიკურ სასჯელებში ყველაზე მცირე და იოლ სასჯელად ითვლება.

ყურების გამოქვდა ჰრ. მუდღის მიერ ყურების დაქვდა. ზღვ. ყურებისათვის ბევრის ლამაზის მოსმენება, თავის მობეზრება ზედმეტის ლამაზაკითა, სულ ერთისა და იმისავე მოსმენილება; ყურების დახშობა, ყურების დაცემა, სმენის წართმევა.

ყურების ცქვება ის. ყურების დაცქვება.

ყურების წაღება ჰრ. ყურების წართმევა, ყურების მითვისება, ერთ ადგილიდან მეორეში გადატანა ყურებისა. ზღვ. დაყრუება, ვაღიზიანება, ნერვების აშლა. გულს გაწყალება, უსიაროვნო ხშიანობის გაგონება. „როგორ შეგიძლიანო, მე ნაჩაღნიკმა მიბრძანა, ასე უნდა გაყუროთო!.. ერთი ბარუსკობს ის ინერელი, ერთი ბარუსკობს, რომ ყურები წაიღო!“ (აქმა ცაგარელი).

როცა ვინმე ყურთან ახლოს გვიყვირის, არაადამიანურის ხმით ჩაგძახის შიგ ყურში, ნერვებს აგვიშლის ხოლმე, გულს გაგვიწყალებს, თითქოს ყური ვინმემ ჩვენს თავს უნდა მოგლიჯოსო.

ყურებს არ უჯერებდა ჰრ. ყურებით რაც ესმოდა, არა სჯეროდა. ზღვ. მეტად სასიამოვნო ამბავი ესმოდა, თავის თავი გაგონილისათვის არ ეღიერებოდა. „ყურებს არ უჯერებდა, არ ეგონა, თუ იმის გარდა, რასაც ის ხმარობდა (მანუღსა), კიდევ წყალობა გამოუვიდოდა“ (ს. მგალობლიშვილი).

ყურებში ბამბის დაცემა ჰრ. ბამბით გამოჩურთვა ყურებისა. ზღვ. განგებ არმოსმენა რისაზე, სიყრუვის მოგონება. „თვითონ (ეროეს) განგებ თვალზე ხელი აუთარებია, განგებ ყურებში ბამბა დაუტყმია და

შვონია, რომ სხვა ყველანიც დაბრ-
მავდებიან, დაყრუვდებიან და ეშმა-
კობას, კუდიანობას ვერ მიუხედე-
ბიან* (ილ. ჭავჭავაძე). „შე ოჯახდასან-
გრობა, შენა, ქვეყანა შეინძრა, შენ კი
ბაძბა და გვიჩურთხის ყურებში-
ში?“ (ეფ. ჩენტეშაშვილი). „მე მიაგისად
მოსპენამდის რად არ ყურნი შე-
მეკედნეს! (მ. რუსთაველი). „ყვე-
ლას გამოგვიქედა (კოლალი)
ყურები წივილითა, ნისკარტის რა-
კუნითა, გადაახნო მთელი ქალა, ერ-
თი ხელად არის, რომ მავის ნაჩირქნი
და ნაჯიჯგნი არ იყოს!“ (ვაჟა-ფშაველა).

ყურების დახრება (ვისთავისმე) ჰრდ. ხე-
ლით დახელა ყურებისა. ზვ. ცემა,
გალახება.

ყურების დაქვევა ჰრდ. ყურების მალ-
ლა აშვერა. ზვ. ყურის დასაგდებად,
რისამე მოსასწენად მომზადება, მახ-
ვილად, მონღომებით მოსწენა რისა-
მე, სმენის დამახვილება. „ის კი არ
იკლდა, რომ ცოდოს ხსენებაზე დე-
დას ელდა ეცა. ოთარაახთ ქვირევა
ყურები აქვეიტა. ცოდო რად
ახსენაო“ (ილ. ჭავჭავაძე). „სთქვა რა
ეს ციხელმა, ცრენლები მოიწმინდა,
ალი რომ ახსნა, ჩვენ ყველამ ყურები
გექვეტეთ“ (ვაჟა-ფშაველა).

როცა პიროუტყვის (განსაკუთრებით
ნადირს) მოულოდნელად ხმაურობა მო-
ვისის, დაბლა დაშვებულ ყურებს ერთ-
ბაზად მალა აიშვერს და იქითკენ მიჰ-
მართავს, საიდანაც ხმაურობა მოესმა,
რომ უფრო მეათიოდ შემოიკრიფოს
ყურის ნიჟარაში ხმაურობის ტალღები
და გაარჩიოს ამ ხმაურობის წყარო და
ხასიათი. ცხოველის ყურის ამ თვისების
აღამიანზე გადატანა დაედო საფუძვლად
ზემოთ მოტანილ ხატოვან თქმას.

ყურების დაჭრა ჰრდ. მახვილი იარაღით
ყურების მოშორება თავისგან. ზვ.
მონად, ყმად გახდომა, დაშორჩილება.
იხ. ყურმოჭრილი ყმა.

ყურების ჩამოყრა ჰრდ. ძირს დაწვეა
ყურებისა. ზვ. დაღცხვება, დაღონე-
ბა, დასუსტება, დაბლა, გულგატეხი-
ლობა, სასოს მიხდა. „მეგრამ დე-
მეტრეს სოფლად ყოფნას დიდი დღე
არა ქქონდა: დიდხანს არ შერჩა
კობტა ტანისამოსი, მალე შემოაცვდა
და ყურები ჩამოყრა“ (მ. ძე-
ლიაზიშვილი). „ეგრეთ (ვაჭრებს), ან
ახლა გადაიქცევა (ბაჭარაზეგ) ჩვენ
გასახარად ან ახლავ, და როცა ხა-

ხეს, რომ იგი ისევე აიგოს სავაჭროთი,
ყურები ჩამოყარეს“ (ვ. ბარბაქაძე)
ცხოველის ყურების ჩამოყრა ხატო-
ვანად ითქმის აღნიშნულად.
ყურების ჩამოშვება იხ. ყურების ჩა-
მოყრა.

ყურებში ბამბის ძველას დაცობა იხ.
ყურებში ბამბის დაცობა.

ყურებში გაუჯდა ჰრდ. ყურები გაუქლენ-
თა რითინე. ზვ. ხშირად მოსასმენი
კარგად შერჩა სმენაში.

ყურებში თითებდასაცობი საქმე ჰრდ.
საქმე, რომლის მოსმენა ყურებით არ
შეიძლება. ზვ. საშინელება რამე, სა-
ზარელი გასაგონი ამბავი. „სწო-
რედ აწუხებდ არის ჩამოსაცმელი
(აიბე, აიბე, აიბე!.. სწორედ ყუ-
რებში თითებდასაცობი
საქმეა“ (ბ. ანტონოვი).

ყურებში თითის დაცობა ჰრდ. ყურების
დახშვა თითით. ზვ. ვანგებ არმოს-
მენა რისამე, სიყრუეის მოგონება.
„ჩვენ-კი ყურებში თითის დაც-
ვიცვია ამ სიდიდე ტყუილის წი-
ნაზე და აეტორმა (ნარძმა) ნონ
თავისი იცის: ის მოატაუსოს, ვინც
მოუტყუებია, და ამისთანები ხომ
ყველგან არიან“ (ილ. ჭავჭავაძე). „კა-
ინის ამბის სმენასა სჯობს ყურში
თითის დაცობა“ (დ. გუგუშვილი).

ყურებში მძიმედ მისვლა ჰრდ. ყურე-
ბამდე ადივლად მიუღწევლობა რაიმე
ხშიანობისა. ზვ. ყურთა სმენის კლე-
ბა. „არ ჰკავს წინანდელ ყურშასა,
მძიმედ-ლა მისდის ყურებ-
ში“ (ვაჟა-ფშაველა). „რაც არ უნდო-
დეს მინდისა, ყურებში მძიმედ
მისდისა“ (ბაქუზი ანდახ).

ყურებჩამოყრილი ჰრდ. ვისაც ყურები
აქვეტილი არა აქვს, ყურები ძირსა
აქვს დაშვებული. ზვ. დაღონებული,
დასუსტებული, დაღლილი, გულგა-
ტეხილი. დავარდნილი, სასომხ-
დილი, უიმედო. „კარგი, ქალო, რა-
ღას დადგები ხოლმე დავარდნილ სა-
ხედარივით ყურებჩამოყრილი,
თქვი და დამთავრე“ (დ. შაჩაბაძე).
იხ. ყურების ჩამოყრა.

ყურზე ძილი ჰრდ. ყურზე წოლა და ისე
ძილი. ზვ. სრულებით უდარდელად
ყოფნა რისამე შესახებ, არაფრის
მოგონება, უზრუნველობა. „ნურც
ახლა გამოვიფიხლებთ, ქრისტეანე-
ბო? ანგე, ის წაბალი, რომელსაც
აცრა ჰქვიან, დაბერდა კიდევ, რომ-



ლითაც დობტორები ყველილხდელს მშვიდობიანად ახდევინებენ ყვეილს, მაგრამ ჩვენ-ქი დღესაც ყურზე გვიძინამ“ (დ. მაზაიელი).

„გაფუსოთ ყაზახები და მწყერებივით გვიტოვოთ ლამაზ-ლამაზი გოგოები. — სად გახლავან მერე? — ჩაერთა ლაპარაკში კენისა. — თქვენ ყურზე გვიძინავთ, მთელი სოფლის ქალი სულ გახიზნულია თურმე“ (ს. მგალობლიშვილი).

„შაშინ, როდესაც (ხორცელობის დროს) მთელი საქართველო შიშისაგან შეძრწუნებული ფაქაფუციტ რეცხდა, ჰგვიდა, ხეივანი თა-ოჯახის უსუფთოობას, ახალშენს ყურზე ეძინა და, როცა ეძინა, მზიარულად მღეროდა“ (ფ. გაბაშვილი).

როცა ყური ბალიშზე ან სასთუმალზე რაზედმე დაგვიდგია და ისე გვიძინავს, ყური დაცობილივითა გვაქვს; ხმაურადის ტალღები ჩვენს სმენამდე ვეღარ აღწევს, არ ვიცით, ჩვენს გარშემო რა ხდება. მაშასადამე, დარდი არაფრისა გვაწუხებს. თუ რამ უბედურება ტრიალებს, უზრუნველად ვართ იქ, სადაც ჩვენი ხელის განაჩრება და შევლა-დახმარებაა საჭირო. ერთის სიტყვით — ყურზე და გვიძინავს.

ყურზე ხელის მოკიდება ჰრდ. ყურზე ხელის წაღება. ზვ. სხვის ნათქვამის მოსამზენად მომზადება, ყურადღების მიქცევა. „მოფუყვე აქეთურ-იქითურს, თუ რამდენი შრომა გაეწიე ძალზე, გამოგვკვებე, მწყემსმა ყურზე ხელი არ მოიკიდა“ (ფა-ფაშაელი).

„ვისაც არ ეწარება, ყველა ზედ მისეგია, ყურში ხელსა ჰკიდებს და ბავშვსავით ციკრუტივით ატრი-ალებს“ (ილ. ჰაბაშაი).

ყურთა გლეჯა ჰრდ. ყურების მოწყვეტა თავისაგან. ზვ. წყვეტება, ძალაობა, ერთიმეორის გასწრება, ჩქარა. „მახლას, ნეტო რა ჩარაა, ჰუსურში უნდა გაიხრათ და ისეთ რამესაც გატყვობ, მაშიჩემის ნათელმა, რომ სულ ყურთა გლეჯით აკრიფოთ“ (დ. მაზაიელი).

ყურთახმენა აღარ არის ჰრდ. არაფერი ისმის. ზვ. დიდი ხმაურობაა, აურზაურია. „როგორც იყო, მიიღწიეს ტბას, აუარებელი ფრინველი ირეოდა. იხებებისა, ბატებისა და წეროვნების ქრამულისაგან ყურთა სმენა აღარ იყო“ (ფა-ფაშაელი).

„ხალხი, ძაღლები, ეტლები, ტრამვაის ვა-

გონები ისე იყო ერთმანეთში არეული, რომ აღამიანს თვალს უჭრებდა. ფეხების ჩლატუნია, ხმაურობა, სიცილ-ქასკასია... ყურთა სმენა აღარ იყო“ (მჭობი).

ყურთახმენის დამძიმება ჰრდ. მიძიმდ ვახდომას ს'ენისა. ზვ. სმენის დაცლება, ყურთდაკლება, დაყრუვება.

ყურთახმენის წამლები ყვირილი ჰრდ. კაცს ყურებში არაფერი ესმოდეს, ისეთი ყვირილი. ზვ. გაუსაძლისი, საშინელი ყვირილი.

ყური გახევრიტა ჰრდ. დაცობილ ყურში ნახევრეტი გაუჩნდა. ზვ. გაიგო, მიხვდა, ყურში შეუვიდა, შეისმინა. „ის აღბათ, როგორც გულუბრყვილი დედაკაცი, ყოველისფერს უამბობდა და რაქი ერთხელ ყური დაეხევრიტა მენცარს (ემშაქს), მერე ხომ არ მოგვეგა“ (ფიარლო — კ. თათარიშვილი).

ყურით მოთრეული ჰრდ. ყურზე ხელის-მოკიდებით წამოყვანილი. ზვ. ძალით მოყვანილი, მოგონილი, უსაფუძვლო.

ყური იყო და თვალი (ვისიმე) ჰრდ. სასმენელი და სახილავი ორგანოა ვისიმე. ზვ. ყველაფერს თვალყურს უნდა აღევნებდეს, უნდა ფრთხილობდეს, მომავალი მტერი თუ გაჭირება წინდაწინ დაინახოს და მხალ იყოს მათს ასაცილებლად. „ბეერსა ჰქონდა სახეწარბი ხონთქრის წინაშე — ყური იყო დიდის სულთანისა და თვალი მისი. მის დიდებულ სასახლეში მისდევდა მულამ ნადიმს მეჯლიში“ (ფ. ბარნოვი).

ყური მატყუებს ჰრდ. ყურში შემცდარი ხმინობა შემდის. ზვ. ისე არ მესმის, როგორც უნდა მესმოდეს, ეტყუებდები.

ყურისათვის ყურის მიბმა იხრით ჰრდ. ორისავ ყურის ერთად შეერთება ისრით. ზვ. ორსავ ყურში გატარება ისრისა, მოკვლა. „რომ მიუხა ყური ყურსა მწოლს კანჯარსა ერთის ისრით“ (მ. ციციშვილი).

ყურის აშორება ჰრდ. შორს დაჭერა ყურისა. ზვ. მოლაპარაკის ნათქვამის არგაგონების სურვილი. „დღეს იმაზეა თურმე შემდგარი სიტყვა, რომ სომხური ვახეთი ქართველების გამოსარჩლებას ჰთაკილობს, სამართლიან განკითხვას. **Норме отнесения** — სას ყურს აშორებს და რა-



ლებსაც ჰპობდავს თავშიდაკრულ-საიეთ* (ილ. ჰაჭავაძე)

ყურის გამოჩინება ჰრდ ყურიდან ქუქყის გამოღება. სჯვ. კარგად გაგონება რისამე, ზედმიწევნით შესმენა სხვის ნათქვამისა. „კიდობანს კლიბეღ და-აღო (კოლმა), არაგის აქაან პური.— ჩემი ქმრის მონაგარიცა, გამოჩინებნეთ ეგ ყური!“ (ბ. უმიკაშვილი).

ყურის გამანტურება ჰრდ. ყურის შერბევა. სჯვ. ზრუნვა, მონდომება რისამე, უმოძრაო მდგომარეობაზე ხელის აღება. „რა ვეცი, რაგებს ამბობს შენზედ: აღარც წიგნი მოიწერა, ამას წინათ გაგუგზავნე, მაგრამ ყურიც არ გააპანტურა...“ (თ. რაზიკაშვილი).

ყურის დაგდება ჰრდ. ყურის ძირს დამეგება. სჯვ. არაფრის კეთება, სიზარბაცე. „ეს კაცი სულ კერის წინ იჯდა და ხაყარს ურგებდა. ცოლი ეხსენებოდა: კაცო, ან იქით წადი, ან აქეთ, რა ყური დაგეგდიაო!“ (თ. რაზიკაშვილი).

ყურის თხოვება ჰრდ. ყურის დათმობა დროებით. სჯვ. ზრუნვა, მოსმენა, ყურადღების მიქცევა. „არის კიდევ ერთი საზრუნავი საქმე, რომელსაც, თუ ამ საზოგადოებამ ყური ათხოვა, საუკუნოდ მალღობანს მიიღებს, როგორც მთელის საქართველოსაგან, ისე ახლად საქართველოსთან შემოერთებულ ქვეყნებისაგან (აქარაქობულეთი)“ (ილ. ჰაჭავაძე). „ჩვენ თავს არ გაუფადრებთ და ყურს არ ვათხოვებთ იმ ყოვლად უზრდელობას და უწმაწურობას, რომლითაც თავდაუქერელმა აგტორმა აივსო თავისი უღირსი ფელეტონი“ (ილ. ჰაჭავაძე).

ყურის მიპყრობა ჰრდ. ყურის მიშვება. სჯვ. მოსმენა მოლაპარაკის ნათქვამისა. „ამა მამისა სწავლასა ქალი (თინათინ) ბრძნად მოისმინებდა, ყურსა აპყრობდა, ისმენდა, წყრთასა არ მოიწყინებდა“ (მ. რუსთაველი). „მან მიუღღო ბრძენსა ყური, მოისვენა, დასტება ძილი“ (ნ. ციციშვილი).

როცა კარგა გაგონება გვინდა ვისიმე ნალაპარაკევისა, ყურს ახლო მივუშვებთ ხოლმე მოლაპარაკეს.

ყურის მოკვრა ჰრდ. ყურის მიხლა, შეხება (რამიე ხმისათვის). სჯვ. სუსტად, უცაბედად გაგონება. „ამ თოდის

ხმას ყველა იქ მყოფმა ქართველებმა ყური მოჰკრეს, თითქმის ყველამ ერთად გადაიწერა პირჯვარი და ერთმანეთს შესძახეს:—ბატონმა დასცალა თოფი, ბატონმა“... (ნ. ლომოვარი). „თორემ ხომ იცი ჩვენი ეხლანდელი ანაბანიანი დედ-მამა: აქაოდა ყური რალაკისათვის ალაღბებდად მოუკრავთ, თავის უთავბოლო სიბრძნით ყველგან წამოეჩხირებია“ (ილ. ჰაჭავაძე).

ყურის მოყრევა ჰრდ. არგაგონება რისამე. სჯვ. თავის მოჩვენება, თითქო არ ესმისო, განგებ არგაგონება გასაგონისა. „მთავრობამ საფრანგეთისამ ამისთანა საქმეზედ მანინ ყური მოიყრუვა და გაზეთს საყუდურიც არ მისცა, და ეხლა კი თეთლაეროვი და ზასულიჩი გამომეკას საფრანგეთიდან,— თქვენი ფეხი ჩემს ქვეყანაში აღარ იყოსო“ (ილ. ჰაჭავაძე). „აი, აქ, ამ ოთახს ქვეშ, მარანში, კარბელ ალაგზე, სიკვდილს ებრძოდნენ ისინი. მეტახდნენ, მთხოვდნენ შეგლას და მეკი ყური მოვიყრუვე“ (სვ. გაბაშვილი).

ყურის მოწევა ჰრდ. ვისსამე ყურზე ხელის მოკიდება და თავისკენ მოზიდვა. სჯვ. რისამე სათქმელად თავისკენ მოახლოება მსმენელისა, ამზის რისამე მოსასმენად მომზადება ვისიმე. „არა, ღმერთმანი, არ გეხუმრები. მოიტა, ყური მოგწიო, უნდა გახარო რამე“... (ნ. ახანაი).

ყურის მოხრება ჰრდ. ხერხით ყურის მოშორება თავისაგან სჯვ. მოტყუება, გამარყვება, შეცდენა. მგლ.. რამ გამოგასულელა, ადამიანო! ვერა ხელავ რომ ვატყუებენ, ყურსა გხერხავენ?!

ადამიანისათვის თავისაგან ხერხით მოშორება ყურისა უფრო გასაძროა, ვიდრე ამ ყურის ერთბაშად ჩამოთლა მკრელი რამ იარაღითა, ხოლო მოხრება ყურისა მანც ჰგულისხმობს ადამიანის მოტყუებას, შეცდენას და ამ მოტყუების დროს ხერხითაც კი შესაძლებლად სთვლიან მოაშორება ყური მისს თავს.

ყურის შებერტყვა ჰრდ. ძლიერად შენძრევა, შექანება ყურისა. სჯვ. გამოფხიზლება, შესმენა ნათქვამისა, შეცდომის გამოსწორებისათვის ზრუნვა, თადარიგის დაჭერა, ზრუნვა რისამე გასაკეთებლად. „მე არ მოგატყდვ-



იმან (დამნაშავე ცოლმა) ყური ც არ შეიბერტყა! ბოლოს, რომ ვაეპირე საქმე, გადმომყრა მითრახი და მაქცია ძალად“ (თ. რახიკაშვილი).

საქონელი (ცხენი, მავ.), აღმართში შედგომის ან რაიმე საქმის დაწყების წინ თავს დაიჭრებს და ყურებს შეიბერტყავს ხოლმე.

ყურის წაგდება პრ. ყურის გამოვება განზე. სვ. დაუდევრობა, ყურადღების მიუქცევლობა, უღარიღლობა. „ამას სიჩუმი არ მოუხდება, არა! ყურის წაგდება არ ვარგა: ღორის ტილი ფეხზე რომ დაისვა, თავზე ავაცოცდებოდა“ (ა. შალაბლიშვილი).

ყური შეახურე პრ. ისე მოიქეც, ყური გიხურდეს. სვ. ბევრი დალიე.

ამას ხმარობენ ღვინის სმის დროს და ეტყვიან ისეთს, რომელიც გულიანად არა სვამს. ნიშნავს: ისე დალიე, რომ ყური გაგიწითლდეს, შეგიხურდესო.

ყურიძირში პრ. სასმენელ ორგანოს გვერდით. სვ. სულ ახლოს, იქავე. გვერდით. „პირუტყვები (სამეგრელოში) უფრო მეტად ფასობენ, ვიდრე ადამიანები. აქავე, ყური ძირში, ცხენის წყალსა და რიონს ვალმა ადამიანებს ასე როდი ეპყრობიან“ (ფ. ბოროღინი). „ჩემი მიწური ფეფენას აქვს ჩაბარებული, იქვე, ყურის ძირში, გვისახლია და იქნება პირდაპირ იმასთანაც მივიდეთ“ (ა. ერისთავ-ხოშტარია).

ყურმახვილი პრ. ყურგალისილი. სვ. ძლიერი, სწრაფი სმენა, ფიზიკური. „ნანაის სულთამდგემლი ბირჯაა. ბირჯა კიდევ მეტად ყურმახვილია და მგრძნობიერი“ (ილ. ჰაბაშაძე).

ყურმოჭრილი ყმა პრ. ყმა, რომელსაც ყური აქვს მოჭრილი. სვ. მორჩილი უსაზღვროდ, სიტყვაშეუბრუნებლად, მონა-მოსამსახურე; საკუთარ აზრს მოკლებული, სხვის ჩვენებით მოქმედი. „აი, ახლაც, შენი ჯენებაზე, ერთი გაბმა აბრეშუმი მოგართვი, ღმერთი და თქვენი წყალობა თუ კიდევ შეგავძლებინებ, კიდევაც თქვენი ყურმოჭრილინი ყმანი ვართ“ (ილ. ჰაბაშაძე). „ჩემთვის ორნივე ტურტანი, ორნივე მოსაწონია, მათი ყურმოჭრილი ყმა ორსავე ვემონია“ (რ. ერისთავი). ან. ყურებზე ხახვის დაჭრა.

დღეს ხმარებული თქმა: შენი ყურმოჭრილი ყმა ვარ გამოხატავს ჩვენი განუსაზღვრელ ერთგულებას იმისადმი, ვისაც ამ სიტყვებით მივმართავთ; ამით ვარწმუნებთ, რომ მზადა ვართ მისთვის თავი დავსდოთ, სიკვდილი არაფრად მივიჩნითო.

ყურმძიმე პრ. მძიმეყურიანი. სვ. ცოტათი მოყრუვე, უგრძობელი, უღმობელი, შეუბრალებელი, გულტკია. „ამგვარმა მიწათმფლობელობამ მთელი მიწათმომჭმედი ისლანდა უნიწოდ დაავდო და დღეს ეს უმიწობა პლაიოდებს იმ საშინელის ხმითა, რომელსაც ისლანდიისავე ასეთის ზრუხვით და ფიჭრით მოახედა აქომამდე ყურმძიმე პარლამენტი ინგლისისა და თვით ინგლისის ერი“ (ილ. ჰაბაშაძე).

ყურს უკან ის. ყური ძირში.

ყურს ჩამოსწია პრ. ხელით ყური ძირს დახარა. სვ. დამორჩილდა, ყნობა გამაოუცხადა.

ძველად ყნობისა და მორჩილების ნიშანი — უყნობა იყო. ლაპარაკის დროს როცა ერთს უნდოდა მეორესათვის ხატოვანად ენიხნებინა თავისი მორჩილებითი გრძობა, ხელს მოივლებდა ყურზე და ძირს დასწევდა. ამ მოქმედებით გამოსთქვამდა შემდეგს აზრს: მზათა ვარ ყური მოვიზორო, ე. ი. უყურო ყმა, შენი მორჩილი ვიქნეო.

ყურში თქმა პრ. ყურში ჩალაპარაკება, ყურთან ტუჩების ახლო მიტანით თქმა რისამე, ჩურჩული. სვ. საიდუმლოს რისამე თქმა. „იმანაც აიღო და, სხვამ არ გაიგონოს, ყურში მითხრა სულაფერი“.

ყურში მიღვას პრ. ყურში გაჩერებულია. სვ. ახლაც მესმის. „ხომ ვახსოვს სხვ. ძლიერია თქვენი სიყვარული, ვარნა ტანჯვით უფრო განასპეტაკებთ მას და იგი სიყვარული შეგავართებს საუკუნოდ. — ესა ყურში მიღვა იგი ხმა ციუთი! — ნიუგო ვაგმა“ (ფ. ბარნოვი).

ითქმის ისეთ ხმაზე, რომელიც ლაპარაკის მომენტის დიდი ხნით აღრევა გავონიერ, მაგრამ ისეთი სასიამოვნო მოსასმენი იყო, რომ ახლაც განავრძობს სმენას, „ყურში დგომას“.

ყურში შეშვება პრ. ყურში შეშვება ხმისა რისამე. სვ. სურვილი გავონებისა, მოსმენისა. „ბოლოს, ზაფხულში,

დედოფალი ჩამოვიდა. მაგრამ რა გამოვიდა?! არამცთუ მკარველობა არ გავგიწვია, ყურ შიშიც არ უნდა შეეშვა ჩვენი გაქირვება“ (ფ. ბარნოვი). „და ვინმე ნასწავლმა კაცმა როდგვარიგოს ათას რამ საკეთილო საქმეზე, იმის დარიგებას კი ყურ ში არ შეაუშვებთ“ (დ. მანახელი).

ყურში ჩაძახება ჰრდ. ყურთან ახლოს მიტანა ტუჩებისა და ხმამაღლა დალაპარაკება. ზვ. ხშირად დალაპარაკი, დარიგება, სწავლება კარგისა; ცდა გავონებისა. „მინც ჩემი სიტყვის გატება, ნუცაზე ხელის აღება ძიპაკლავდა ბებიას და დეე პატიოსნურად მოვედღე და ისიც თან გამომყვეს. თუ ეს ატცილებელია! უპატიოსნო სიკოცხე სიკვილზე უარესიაო“, ამას ამბობდა ბებიანემი და ამას ჩამძახოდა ყურ ში, რაც კი თავი შემისწავლია“ (ფ. გაბაშვილი).

ყურში წყალი ჩამახხა ჰრდ. ყურში წყალი ჩამიყენა. ზვ. დამაყრუა, მომატყუა, რისამე გავონების ან მიხვედრის უნარი წამართვა.

ყურში ხელის მოკიდება ჰრდ. ყურში ხელის ჩაღება. ზვ. დამორჩილება,

თავის ნებაზედ ტარება. „ვისაც-კი არ ენარება, ყველა ხელ მიჰსევია (ჩინეთსა), ყურ ში ბელსა ჰკიდებს და ბავშვსავით ციბრუტყით ატრიალებს“ (ილ. ჰაჭავაძე).

ყურწაგდებული (იგივე ყურმიგდებული) ჰრდ. ვისაც ყურები რისამე მოსასმენად არა აქვს გავმერილი, ვისაც ყურები გამახელიდებული არა აქვს. ზვ. უსრუნველი, უდარდელი, დაუდეგარი, უყურადღებო. „ჩამითვალე კიდევ საკეთი! ვიცით შენი აზრი, გავიგებო და შეგვიტყვი! საქმე გავინა გათავებული, ამისთვის თუ ხარ ყურწაგდებული?“ (ფ. ბარნოვი). „ყველამ იცის თემში ეს ამბავი (ცოლიანისა და ქმრიანის წაწლობა); ორივე მხარის მშობლებმა და ნათესავებმაც იციან ქალ-გაყის ურთიერთობა და ერთგულება, მაგრამ ყურწაგდებით არიან“ (ფაფაშვილი).

როცა ვინმე გულდასმით არ ისმენს რასმე ვისასმენს, მოსმენის ცალყურში შეუშვებს და მეორეში გამოუშვებს. ასეთზე ვიტყვით ხოლმე ყურწაგდებული ანუ ყურმიგდებულიო.

შ

შაბათის გლახა ჰრდ. ვინც შაბათობით თხოულობს შესაწევარსა. ზვ. მათხოვარა, უქონელი, გაქირვებული. მგლ. რა შაბათის გლახასებ თხოულობ, შე კაი კაცო, რა გაგიქირდა ისეთი?!

სადაც დღეებში შაბათი უკანასკნელი დღეა კვირაში და წინათ მორწმუნე და ცოდვა-მადლის მიმდევარი კაცისათვის სათნო იყო შეტგებებოდა კვირას სამადლო და „სულის საცხოვნებელ“ საქმის ვაკეთებით. ასეთ საქმედ, სხვათა შორის, ითვლებოდა მათხოვრისა და გაქირვებულის გაკითხვაც. ამიტომ წინათ კარის-კარ მავალი მათხოვარი და გლახა ცდილობდა შაბათობით მისდგომოდა მოყვასს მოწყალეებისათვის. სხვა დღეს მოსულ მათხოვარს, როცა მისთვის არაფერი ემეტებოდათ, უნდოდათ მისი ხელცარიელად ვასტუმრება, ეტყოდნენ ხოლმე: შაბათს მოდი, მათხოვრობა შაბათს უნდაო! გლახაც ერთგვარის სითამამით, ჩვეულების მიერ

დაკანონებულ უფლებით მოდიოდა დანიშნულ შაბათს სამათხოვროდ. აქედან დაერქვა გაქირვებულს აღამიანს, რომელიც მათხოვრობით ცდილობდა თავის რჩენას, — შაბათის გლახა.

„შაბათის გლახა“, უფროს ერთ შემთხვევაში, ლანძღვითი თქმა და გამოძახტავს დაკინებებს იმისას, ვისაც ის მიემისება. როცა რისამე მათხოველის თავიდან მოშორება უნდათ, და ისიც უბოდიშოდ, პირში ეტყვიან: რა შაბათის გლახასებ ჩამოგვეკიდეთო! ან კიდევ ასეთსავე აღამიანს ასეთის ლექსით შეამკობენ: ნამდვილი შაბათის გლახა გამიხიდა, ვამიჭირა საქმე ღრეჯითა და თხოვნითა, თითქო ჩემს იქით გზა არა ჰქონდეს!..

შაბათის ყანა ჰრდ. რაც შაბათს დღეს მოიხენება, იმდენი მიწა. ზვ. სახნავსათვის მიწის სულ მცირე ფართობი, დღიურზე ნაჭლები. „თვითვეულს კაცს ორ-ორ შაბათის ყანა არ ექნესო“ (ილ. ჰაჭავაძე).



მთხვევებში ისევე, როგორც საერთოდ მთა ადგილებში ცხოვრება შორის, სახნავი მიწის სიმცირეა. მიწის ფართობის ერთეულად იქაც, როგორც სხვაგან საქართველოში, დღიური, ე. ი. იმდენი, რაც ერთ დღეში მოიხებება. მაგრამ კვირიაკის ექვსი დღიდან შაბათობით ყველა დღეებზე ნაკლები იხებებოდა, რადგან შაბათი კვირაძალი იყო, კვირისათვის მოსამზადებელი დღე და ამიტომ მუშაობაზე საღამოს ლოცვის ჩამორეკვის დროს, ე. ი. საღამოს 5 საათამდე (და ზოგან აღრეც) იღებდნენ ხელს. ასე რომ, შაბათის მუშაობა ერთის სხვა დღის მუშაობის 3/4-ან ნახევარს თუ-ღა უდრიდა. ამიტომაც მოხეუერი შაბათის ყანა გამოხატეულია სახნავ-სათვის ფართობის, სხვა დღეებში მოხსულთან შედარებით, სულ მცირედის ნაწილისა და აღმნიშვნელი ამ ფართობის პატრონის დიდის გაჭირებისა და ეკონომიურ ჩამორჩენილობისა.

შაბზე წავიდა ჰრ. შაბის მოსატანად გაემგზავრა. ზტ. მოკვდა. შკლ. შენი მძაორო თვის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ შაბზე წავიდა.

ძველად თბილისის დაბახანებში ტყვეულობის გამოსაქნელად საქირო შაბი, რადგან საქართველოში არ მოიპოვებოდა შაბის მადანი, განჯიდან მოჰქონდათ, სადაც, 12 კილომეტრის მანძილზე, დღესაც არის შაბის საბადოები და მისი გადასამუშავებელი ქარხანა. მაგრამ იმ დროს რკინიგზა ჯერ კიდევ არ იყო გაყვანილი და შაბი იქიდან საქართველოში ურმებით უნდა ეზიდნათ. ქართლიდან იყრებოდა მთელი ქარავენი ურმებისა, ზოგჯერ სამოცოთსმოცი კაცი მოიყრიდა თავს. ყველანი შეიარაღებულნი იყვნენ, საბრძოლველად გამოადებულნი, რადგან აზერბაიჯანში უხედებოდნენ ყაჩაღები, რომლებიც შაბზე წამოსულთ სძარცვებდნენ და ხშირად ჰხოცავდნენ კიდევ. ამიტომ ვინც განჯისაკენ მიდიოდა შაბზე, უფროს ერთ შემთხვევაში, წინაღონებე უნდა გამოსთხოვებოდა სიცოცხლეს. ასე რომ, „შაბზე წასვლა“ სიკვდილის სინონიმად გადაიქცა. ხოლო როცა ვინმე მოჰქვებოდა, თუნდაც თავის დღითაც, სურათ-ხატოვანად იტყოდნენ: „შაბზე წავიდაო“. ან თქმა „შაბზე მიღის“ გამოხატავდა სიკვდი-

ლის მოახლოვებას. ეს თქმები თბილისში დღესაც გაისმის კანტი-კუნტად.

შავარდენი ბიჭია ჰრ. შავარდენის მსგავსი ბიჭია. ზტვ. მარჯვე, კისკასი. უეს კოჭუია ერთბა კისკასად, ერთბა სწრაფად უვლიდა ჩალიჩის წრესა. შავარდენი ბიჭია“ (ს. მაგლობლიშვილი).

შავარდენი მტაცებელ ფრინველებში ყველაზე მალიადა. შავარდენთან შედარება ვისიმე ჰკულისსმობს შესაღარებელის არაჩვეულებრივს სიკისკასეს, სიმარჯვეს, სისწრაფეს მიხვრა-მოხვრაში.

შავების ჩაცმა ჰრ. შავეის ფერის სამოსის ჩაცმა. ზტვ. მგლოვიარება, დარდი, ნაღველი, მწუხარება. „ამ სფეროშიაც (მომქეთათვის გარჯა) მჯობის მჯობი არ დაეგევა, მაგრამ იქაც გულს ადამიანისას შავეები არ შეუშმოსია გლოვის ნიშნად ასე საერთოდ და საყოველთაოდ“ (ილ. ჰაქვაძე).

ქართველთა შორის ძველად (ზოგჯერ დღესაც) როცა მახლობელი (დედა, მამა, შვილი, ცოლი, ქმარი და სხვ.) მოუყვებოდნათ, შავე სამოსელს აკერებებდნენ და, როგორც მწუხარების გარეგნულად გამოხატვის ნიშანს, ერთ წელიწადს მიინც ატარებდნენ. შავეები ხეგას რომ დაიწყებდა, გაეკრა არ ეგებოდა: შავეები დაეკვებება ოჯახს და არ გამოეგევა მიცვალებული, რომლის გულისათვის შავეები უნდა ატარონო.

დღეს, ყოველდღიურ ცხოვრებაში, როცა ერთი მეორეს ემუქრება და მუქარა კი ცარიელ სიტყვებს შეიცავს, მეორე დამმუქრებელს უტყვის: დამემუქრე, თორემ, შენმა მხემ, შავეებს ჩამაცემევი ნიშნო!

შავეთი ჰრ. ადგილი, სადაც ყველაფერი და ნიადაგ შავიადა. ზტვ. ჯოჯოხეთი, წაწმედილთა სტოგენის სამარადისო საწვალელები ადგილი. „დავაკლათ მტერნი ჩვენს ნათელ მკვდრებს! — სიხარული ჩაუფლობო ბეჩავთ შავეთ ში! — ხმა შეუფრთეს სხვა თანამებრძოლო“ (ე. ბაიშვილი).

შავი დედალიგით გაკეთდა ჰრ. შავი დედალიგით გასუქდაო. ზტვ. ძალიან კარგად ვახდაო, ფერ-ბორცი მომავა, ძალიან გასუქდაო. შკლ. იმას რა უშავს, ვერ უხურობ, როგორ შავი დედალიგით გაკეთდაო!

ეს თქმა იმერეთში ისმის. ყველა იქაურმა დაკვირვებულმა მეოჯახე ქალმა იცის, რომ შავი დედლის ყოლა სახეიროა, ხორცს თეთრ დედალზე უკეთ იკიდებს, გასუქება მალე იცის, ფეოვანი, ყვითელი ხორცი აქვს. შავი დედლის ნათქვამადეე ხალხებენ შემდეგს დალოცვის სიტყვებს: ჩემს მებრ შავით ნურავინ შესულა ოჯახშიო, ე. ი. შავმა (ე. ი. სიკვდილმა) აქ ფეხი არ შემოსდგას, აქ უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ მხიარულება და ბედნიერებაო.

შავი დლე პრე. მეტად ბნელი, უსინათლო დლე. სჯვ. უბედურება, მწუხარება, დიდი ტანჯვა, სიმწარე, მოწყენილობა, დარდიანობა, ვაჭირება, ურვია, წვალება, ქმუნვა. «კერაზე ცეცხლი დავანთე, კალოში დავდგი ხვავი, მშვიერი მამუშავებდი, ბევრი დლე ვინახე შავიო» (ვაჟა-ფშაველა). «ამ ვაჭირების დროს გამოხსნეს ქალებმა თუ სადმე ჰქონდათ ფარა გამოკრული და შავ დღისათვის მივადებული» (ვ. ბაჩოყვი).

შავი დღის დაყენება პრე. ბნელი დღის ქვეშ ყოფინება. სჯვ. დატანჯვა, გაწვალება, გვება, დასჯა, სულის აღფრთობა, ვნება, პატივი, დაჩაგრა. «იფონო, ბატონო (ჩიტმა), ჩემი ახალგაზრდა, ხორჩი ფოთლები და ისეთი შავი დლე დამაყენა, ისე დამიცხავა გვერდები, რომ დღესაც აღარ ვვარგევიარ»... (ტატიკ).

შავი კაბით დაჯდომა (ქალისათვის) პრე. შავი კანის ჩაცმა და ტარება. სჯვ. გლოვა, მწუხარება მიცვალებულზე. «რამდენი ოჯახია მისგან (სოსიკასაგან) შავი კაბით დამჯდარი, ვინ მოსთვლის! წამოიძახეს აქეთ-იქიდან» (ს. მაღალბლიწვილი).

შავი კაბის კალთით გამოზრდა (შვილისა) პრე. შავი კაბის კალთაში გამოზარდოს დედამ შვილი. სჯვ. ქვრივობით, ვაჭირებით გამოზრდა. «შენი ქირიმე, მამასახლისო, მიშველდე რამე, ლამის არი. ი ბიჭი ხელიდან გამომეცალოს! იგეთი გახდა ბოღმისაგან, როგორც ყვითელი ფოთლო. შავის კაბის კალთით ძლივს გამიოჯარდე» (მულანია).

შავი მიწის შესაქმელი პრე. ვინც შავმა მიწამ უნდა შესქამოს. სჯვ. წყევლა: სასიკვდილე. «ეამე. აღიარის მიწველა, ძალუაო, — ქვითინებდა ანუკა, —

რო ჩემი მიწაში და კულ-ბეჭედი ვალში წაუსხამ არუთინას, იმ გმირის კოპალის ლახტაკრავსა, იმ შავი მიწის შესაქმელსა!» (ვაჟა-ფშაველა).

სიკვდილს შემდეგ აღამიანის გვამს რომ დამარხავენ, სხეული გაიხრწება, რასაც ჩვენ ხალხი «მიწის მიერ შექმას» ეძახის.

შავის გათეთრება პრე. ბნელის ფერის გადაქცევა ნათელ ფერად. სჯვ. თავის გამათოლება, ბრალის აყრა თივიდან, დანაშაულის გაბათილება. «შავს იმით ათეთრებდნენ, რომ თავის გაუფრთხილებლობით ამა დე იმ მიზნის გამო მოსწყდა მსუკელი და ვერ აიტანა» (დ. მახხანელი).

შავი ქვა პრე. მარგანიცი ანუ მონაცრისფრო ლითონი, მეტად მავალი და მეტრევიანი, რომლისაგან კეთდება ფოლადი. სჯვ. დაწყევლა: უბედურება, სიკვდილი. «აი შავი ქვა და ნაიარი ცხელი თქვენი თავს, ვაი ქალები თქვენს ხართ!» (ილ. ჭავჭავაძე). «მერე, ეგ არა გიშველის? ფლიდია, ცრუა, ძეგობარო! წერილი კი არა, შავი ქვა გამოატახეს, თავში დაირტყას!» (ვაჟა-ფშაველა).

შავი ქვა ამ სახელით მონათლა ჩვენმა ხალხმა ის ძვირფასი ლითონი, რომელიც აღმოჩნდა კიათურაში. ყურადღებას არ აქცევდა პირველში, უსარგებლო რამე ქვა მიაჩნდა, იმ განსხვავებით, რომ უზრალო ქვა ადამიანს არა სერის და ეს კი უიღრესად გამშავებელია. ვინც მიეკარება და ხელში მის ალებას განიხრახავს, აღბათ, აქედან იქცა საწყვეარ სიტყვადაც: ვაი შენა და შავი ქვაო! ზოგიც უმატებს: და ნაიარი-ცეცხლიო, ალბათ, ის ნაიარი, რომელიც ვულკანის ლავის ამოჰყვება ხოლმე!

ჩვენში შავი ქვს, როგორც სასარგებლო ლითონის და კომერციაში სასარფო საგნის აღმოჩენად ითვლება ჩვენი პოეტი ავაკი წერეთელი. რომლის სამშობლო სოფელი სხვიტორი სწორედ შავი ქვის რაიონშია. შავი ქვის დამუშავებას ს კომერციო აზრით ჩვენებმა ხელი მოჰკიდეს 1879 — 80 წლებში. მის წარმოების ცენტრად იქცა კიათურა. კიათურიდან ქვა ცხენებთან და ურმებით ჩამოჰქონდათ ზესტაუონში და იქიდან — ფოთში რკინიგზით და

ფოთიდან ზღვით — საზღვარგარეთ გაპქონდათ ნედლეულის სახით. დღეს თვით სესტაფონშია ქარხანა ფერო-მარგანეცისა. ქიათურის მარგანეცი ლითონის შემადგენლობით ერთ-ერთ პირველ ხარისხოვანად ითვლება მსოფლიოში.

შავი ყორნის დაჩხავლება პრ. სმიონობა შავის ყორნისა, სტვ. შავებეღობის მომასწავებელი, უბედურობის ნიშანია. „ეს რა შავი ყორანია, რომ თავს დაგვეტრიალებს, ზედ დაგვეყდეს და დაგვეჩხავის?“ (ილ. ჰე-ჰე-ჰე). „მირბის, მიმატრენს ზეზო-უჯელოდ ჩემი მერნა, უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანია“ (ნ. ბარათაშვილი).

ზოგიერთ ცხოველსა და ფრინველს, ჩვენი ხალხის ცრუმორწმუნეობის თანახმად, შეუძლიათ სიკვდილის მოახლოება შეგვეტყობინონ ხოლმე. მაგალითად: თუ ხარმა შემოგვლავლით, სიკვდილი აუცილებელია; თუ შავმა ყორანმა დაგჩხავილთ, ასეთივე ბოლო მოგელისთ; სიკვდილისავე მომასწავებელია: მამლის დაყიდება დღისით, უსროთ, ძაღლის ყმუილი, ასეთს შემთხვევებში სიკვდილის აცდენა შესაძლებელია მოკვლით, მოსპობით იმ მომბეთა, რომელნიც სიკვდილს წინასწარ გამოგვიგზავნიან.

შავი კირივით გადაიდება პრ. შავის კირის მსგავსად შეყრა. სტვ. ჩაუციება, არმოშეება. „აჲ ვეგით ცეცხლი იქნება, შავი კირივით გადაიდებენ და აღარ მესხნებიან!“ (ილ. მახანელი).

შავმა მიწამ წაიღო პრ. შავმა მიწამ წაიტანა. სტვ. მოკვდა. „წაიღო შავმა მიწამ ჩემი თვედორე... წამოგვეტა, ფაჯხო, დედაბოძი, დავიმიწდათ, თოფო და ხმალო, თქვენი ფანდი ვაეკაცია...“ (ილ. ჰე-ჰე-ჰე).

შავტარა დანა პრ. შეატარიანიდანის თვისებისაა. სტვ. ნაამაჯდარი. ხშირად სახმარია, გამოსაყენებელია, სარგებლობის მომცემია, მშველელია. „— ჯამით წმინდა წყალი მომიტანე, ერთი შავტარა დანა, ნახშირი და ახალი ხორბალი“. (ილ. ჰე-ჰე-ჰე).

განუზომელი იყო ადამიანის ცხოვრებაში წარმატება, როცა ხისა, ძვლისა და ქვისაგან გაკეთებულ იარაღის ხმარების შემდეგ, ვაიცირო ლითონის თვისება, ხოლო ვანსაკუთრებით როცა

დიწყო რკინისაგან გაკეთებული იარაღის ხმარება! ამ წუთიდან ძალზე გაფართოვდა ჩვენი შორეულ წინაპრის მსოფლმხედველობა, უდავოდ მოგმატა საშუალება ბუნებასთან ბრძოლისა, იმდენად არ იყო ამ ბუნების მონა-მორჩილო.

იგივე რკინა, რომელიც პირველყოფილ ადამიანის თვალში ამდევს საიდუმლო ძალას შეიცავდა, ადამიანის ხელის აღმპყრობელად, თავუანისცემის საგნად გადაიქცა და ამას შესთაბუნებრივს ძალას მიაწერდა.

ქართველებში დღევანდლამდე მოუღწევია რკინის თავუანისცემის, მის ზეარსებად აღიარების კვალს. ჩვენს ხალხსა სწამდა, რომ აენი სულნი ემტერებიან ქუმწყოვარ ყრმებს და ცდილობენ ავნონ, ავად გახადონ, მოჰკლან კიდევ. ამიტომ დედა შვილის აკვანში რამე რკინეულსა სდებდა ან თუ სადმე მიჰყავდა სახლს გარეთ, ტანზე რაშიმე გახეიულს რკინეულს მიაკრავდა და დარწმუნებული იყო, რომ მაგზე სული (ან სულნი), რკინის შიშით, ბავშვს ახლოს ვერ მიეკარებოდა, მაშასადამე, ვერცა რას ავნებდა. გზაზე ცხენის ნალს რომ იპოვნიდნენ, სიხარულით აიღებდნენ და სახლის კარს ზღრუბლზე მიაჭედებდნენ, რომ ავ სულს ვერ გაებედნია ამ სახლში შესვლა და შიგმყოფთა ვენება-დაზიანება. აღმოსავლეთ საქართველოში ცოდედ მიანჩიათ პურს გასაქრელად დანა მიაკარონ, არამედ ხელით უნდა გასტეხონ ხოლმე ისევე, როგორც ეს უქნიათ მათს შორეულს წინაპრებს. მშობიარე ქალს სასთუმალს ქვეშ ცულს ან სხვა რამ რკინეულს უდებდნენ, რომ ავ სულს არა ევნო რა და მშვიდობით მოელოვინებინა და სხვ. და სხვ.

ყველაზე მეტად საიდუმლო, მისწურ ძალის მეტონად ქართლ-კახეთში ითვლებოდა შავტარა დანა. ჯერ თითონ სიშავე ტარისა შეიცავს ბნელეთის ძალის წინააღმდეგ მებრძოლის თვისებას და ახლა ისიც დანაზე — ყველაფრის მჭრელზე აგებული უმეტესად ასლი-ერედად ავსტლებს წინააღმდეგ მოქმედების უნარს.

და ამიტომ შავტარა დანის ამ მისწურ თვისებითა ახსნა უნდა ეეძიოთ, ჯერ ეს ერთი — იმ გარემოებაში, რომ დანა ბრინჯაოსი თუ რკინისა, თავის თავად, როგორც პირველი მოგონილი



ლითონის საქრელი იარაღი, ადვილად დასამალი და სატარებელი იყო და, ამასთან, უფრო ეფექტურიცა, ვიდრე მისი პროტოტიპი — ქვის დანა.

ზევით აღნიშნულ მნიშვნელობა შავის ფერისა, ანუ დანის შავის ტარისა. ამას ემატება ნახშირიც (იხივ შავი) და ორივე ერთად დიდს როლს თამაშობს ყოველგვარ შელოცვის დროს, აესულთა ალაგმვის საქმეში.

პრიმიტიულად მოახსოვრებ ადამიანის თვალში შავტარა დანა და ნახშირი — ეფექტური და ნაცადი იარაღები სანელებლის წარმომადგენლებთან საბრძოლველად, მათის მანქანების დასათურგნავად.

ამიტომ, ვიხედნე რომ იტყვიან — შავტარა დანააო, ივლენსხმება, ყოველ ამ ადამიანის სარგებელიანობა, რომელს ექვს გაკრეშვა, ასეთს კაცს ოლონდაც რომ ხელიდან გამოუვა მოყვისის შევლა, გაჭირებისაგან ხსნა, სნეულებისა და ავადყოფნისაგან მორჩენა.

შავ-შავება პრე. შავად ყოფნა. სკვ. უკიდურეს გაჭირებაში ყოფნა, დიდის წვალებით ცხოვრება, უსახომო უსახსრობა, შიმშილ-წყურვილი, ტანჯვა, სიმწარე. „შესაფრის (კაცს) რომ ვერ მივსციტე (ჩვენი ქალი), მერე რაღა ვქნათ?! ხომ ჩვენი დღეები უნდა ვიშავე ვაეოთ და თავში ვიციკთ“. (ან. ზრისთავ-ხოშტარი). „სანამ ცოცხალი იყო ტიტო, დღე-ღლიურად შავ-შავობდნენ“ (ან. ზენთეშვილი). ახ. და შავება.

სიტყვა შავი ორმაგად ნახშირია მისთვის მტრის სიძლიერის მოცემისათვის, მოქმედი პირის უფრო მეტის ტანჯვისა და უბედურ დღეში ყოფნის აღსანიშნავად.

შამანი გადმოღვნა პრე. ქვაპზე დაყენებული ღვინის გადმოქცევა. სკვ. სისხლის გადმოსვლა, მწარედ დარტყმა, ცემა. „ვაი, რომ არ მოგხვდა, ერთი შამანი გადმოგხვლიყო“... (ან. ცაჯარული). „ვიღანძღები?! სულ თავპირს დაგამტვრეე, შამანს გადმოგადენ!“ (ან. ცაჯარული). „მერე გამიყენა მოურავმა ცალკე... ვაჰ, დედას დაველე, ერთი ჯოხი მქეროდა, რომ თავზე შამანი გადმოგედინა“... (ს. შვალაბლიშვილი).

შამანი ჰქვია ქვაპზე წყალდასხმულ და ისე გაკეთებულ ღვინოს, სისხლის ფერს. შამანი მიმსგავსებულია სისხლს,

რომელიც წამოუვა კაცს პირისახიდან მაგრად დარტყმისა, თუ ცემისაგან.

შამფურა პრე. შამფურის მსგავსი. სკვ. მწვანე, გულის გამაწვრილებელი. მწარე, ფიცხელი. „ოსანა ვაიგოვებს ჩემს ძახილს და გამოვარდება. ნეტა ავცდებოდე! რა შავია, რა წვეტია, რა შამფურაა! აფსუსი არ არის, ი ბეგვიით ქმარი ადგა თავს ყურთ-მაჯშემოყრილი!“ (ვ. ბარნოვი).

შამფურზე აგება პრე. რკინის ან ხის წვრილ ჯოხზე ასხმა ხორცის ნაჭერებისა შესაწვავად. სკვ. წვლებმა. ტანჯვა, გაწამება. „ხოლო ნუთუ გმობა ვისიმე საერთოდ და გლეხისა ცალკე საბუთია, რომ შეუწოწმებლად კაცმა კაცი გასწოროს, ხნობითად ჯვარს აცვას ან შამფურზე ააგოს და სირცხვილის ნაღვერდალზედ შესწვას“ (ილ. ბაგვაძე).

შამფურივითა ტრიალებს პრე. შამფურის მსგავსად თავის გარშემო პბრუნავს. სკვ. მოუსვენრად არის, იტანჯება, სწუხს, მოუსვენრობს, წვალობს. „წვიდა ბოჭოკინა, შეძვრა დევის ლოკის ქვეშ და სჩველტაცს გვერდებში. ასეთია ეს დევი, სულ შამფურივითა ტრიალებს“ (თ. რაზიშვილი). „ის (დათუა) აგერ რამდენი ხანია, დერეფანში თავის ცოლ-შვილის გვერდით შამფურივითა ტრიალებს და ბოლმა აწეება გულზედ“ (მ. არაგვისპირელი). „მზღებელი შებრუნდა და დაეგლო იატაკე გადელიოდ, მაგრამ სიგრილეს ნაჩვევი მანც ოლში ცურავდა, შამფურივითა ტრიალებდა“ (ვ. ბარნოვი).

როცა შამფურით ცეცხლა პირას ხორცი იწვის, შამფური გაუწვრებლიე ტრიალებს, რომ ზედწამოგებულ ხორცის ნაჭრებს ყველა მხრიდან მოხედეს ცეცხლი. მღვობარეობა გაჭირებული კაცისა, რომელიც იქით-აქით ეწვეტება და განუწყვეტელ ფაიკ-ფუტშია, სწორედ ამ შამფურს ედრება.

შანთს ავიღებ ხელში პრე. გახურებულ რკინის ჯოხს ხელს მოვავლებ. სკვ. დაფიციცავ, მართალი და უდანაშაულო ვარ, მორთვიარ ჩამიდენია. ახ. ცხელ წყალში ხელს ჩავყოფ. ეს თქმა უდრის მეორე ამისავე მსგავს თქმას: „ცხელ წყალში ხელს ჩავყოფ“, და გამოხატავს



შეადგოფნას დაფიცებისათვის. ცხელი შანთის დაქერა ხელში, ისე როგორც ეს ცხელ წყალში ხელის ჩაყრა, ძველად შეოდგენდა ორდაღის ანუ ღვთის სამართლის ერთ ნაწილთაგანს. თუ გახურებულ შანთზე ხელის მოკიდებით ბრალდებულს ხელი არ დაეწვოდა, უდანაშაულოდ იქნებოდა აღიარებული. წინააღმდეგ შემთხვევაში — მისი დანაშაული ყველასათვის აშკარა იქნებოდა და დანაშაულის საფერი სასჯელიც მიეზღებოდა.

დღეს ეს თქმა მითინეთში ჯერ კიდევია დარჩენილი.

შარაზე ფენა პრე. დიდ გზაზე გაშლა, დაწყობარისამე, ზვგ ვაგრცელება, გახმურება, გახიხება, საჯაროდ თქმა რაიმე სათქმელისა, სააშკაროდ გამოტანა საკრძალავის რისამე, ყველასათვის შეტყობინება, დანაშალავის გაჩელავენება. — ძალიან კარგად გინებებიან, მობრძანებულხართ. ამგვარი საქმის შარაზე ფენა ზიანს მოუტანს ორივე მხარეს* (გ. ბარნოვი).
 ან. სანახირო ზე დადგომა.

შარახვეტა პრე. ვისაც შარის ხვეტა ხელობად გაუხდია. ზვგ. უსაქმური, ცუდაობაში გამტარებული ღროისა. „არ იზრდება სხვა ბიჭვით უსაქმო და შარახვეტა“ (გ. ლეონიძე).

შარზე სიარული პრე. შარისთვის ელა. ზვგ. მიზეზის ძებნა ბოროტის საქმელად. „ისინი სულ შარზე დადიან, თვალი ვაკვრა-ვამოკვრაზე უპირაფთ და ერთი თუ წამოსცდა ვისმე: „ბატონო, თვალი შევი გაქვსო!“ მაშინათვე ან დაჩეხენ ან თავებრს აღუთებენ“ (ბენიშვილი).

შარშანდელი თოფი პრე. თოფი წინა წელიწადს მოსული და უკვე რომ აღარ არის. ზვგ. გარდასული ამბავი, დავიწყებული. არმოსავონარი, წასული, გამჭრალი უკუაოდ, მისი ხსენება რომ აღარ არის. „ახალი ნათესაობა არ იშლებოდა და მასპინძელიც, რა მეტი გზა ჰქონდა, ასი სულისათვის სუფრა იშლებოდა და ამ სუფრაზე ასი თუმანი ისე გაქრა, როგორც შარშანდელი თოფი“ (გ. გაბაშვილი). — ერთსაც (პოლანდიას) და მეორესაც (ბელგიას) გვერდით დიდი დევები უწყვანან. მეორე ისე, რომ შეუბანი არც ზღვა უდევთ, არც უზარმაზარი მთები, ერთის ლაზათიანად პირის დაღების

მეტი არ არის საქირო: ერთიცა და მეორეც შარშანდელ თოფს სავით აზრებიან“ (ილ. ჰეგაჰაძე).

შარშანდელიც დავიწყებს, არამცთუ წლეული ეშოვნათ პრე. შარშან ნაშოვნი აღარ მოავგონებინეს, არამცთუ წლეული შეაძლებინეს რამე ეშოვნათ. ზვგ. ვერაფერი იშოვნეს, ხელცარიელნი დარჩნენ, პირში ჩალო გამოავლეს. — მგელმა რა თხის შეუმა მოინდომა, მივიდა და ზედ ძალეებს შეადგა. წამოხტნენ ძალეები, მელი და მისი მოწივე ასე გახადეს, შარშანდელიც და დავიწყეს, არამც თუ წლეული ეშოვნათ“ (საბა ორბელიანი).

შაურიე?! პრე. შეზაფე, ერთმანეთში აურიე? ზვგ. გაგიფი, ქკუაზე ხომ არ შეირაფე? „სოლომონ (გაბოს): შაურიე?.. მოვიარეს ბიძებმა“ (რ. ერისთავი).

ივლისსმება აღამიანის ტვირის დალაგებული მდგომარეობის მოსპობა და მისი არევა, აღუფხება. ოდეს ამ ტვირის ფუნქცია ანორმალური ხდება და აღამიანის გონება სწორსწონაობისა ჰკარგავს.

შაქარი ამოსდის პირიდან პრე. პირიდან შაქარს უშვებს გარეთ. ზვგ. ტკბილი ლაპარაკი რცის.

შაქარით კაცია პრე. შაქრის მსგავსი კაცია. ზვგ. ტკბილია, კეთილია, პირიდან მხოლოდ თავიანთი და სააღერსო სიტყვები ამოსდის, ყველას ეფერება, აბავის უწყობება. ზღლ. ჩვენი მეგობარი სწორედ რომ შაქარივით კაცია, იმის პირიდან შეუძლებელია წყრომის სიტყვები გაიფონოს აღამიანმა. *ჰ. შაქარი ამოსდის პირიდან.

შაქარი, როგორც თაფლი, გართულში სინონიმია სიტკბოსი. მეტოქე მწარისა.

შაქარხავით გაუტკბილდა პრე. შაქარივით ტკბილად მოაწვენა თავი. ზვგ. ძალიან მოუაღერსა, მიესიყვარულა. — სთქვა და გაცრუებული ლუარსაბი შაქარსავით გაუტკბილდა თავის ამჟამად გამარჯვებულს მეუღლესა“ (ილ. ჰეგაჰაძე).

შაქზე დგომა პრე. ეკალზე დგომა. ზვგ. გაჯაერება, გაბრაზება, განრისხება. — რომ ქალი შაქზე იდგა და მზად იყო ქმრისათვის ყანურატი გამოეღადრა, ამას ქივიკაც და სტუმარ-



რიც ცხადათა გრძნობდნენ“ (ვ. ბარ-
ნოვი).

შაქი — არაბულია, ნიშნავს ეკალს.

შაქრის გატეხა ჰრღ. შაქრის დამსხვრევა.
სჯე. მზიარულბა, ლხინი. „გატეხ-
ხეს შაქარი და გამართეს ლხინი
და წვეულება“ (თ. რახაიათელი).

ქალის დანიშვნის დროს ძველად
თავშაქარს ვასტეხდნენ და დამსწრე-
ნიღაღირებდნენ პირის ჩასატყბარუ-
ნებად. ეს ერთგვარი სიმბოლო იყო
ცოლ-ქმრის მომავლის ტკბილის ცხოვ-
რებისა. შაქრის გატეხას მოჰყვებოდა
ლხინი და დროსტარება — ერთგვარი
საჯაროდ აღნიშვნა, დამოწმება და
ფექსაცია ნიშნობის აქტისა.

შაშვის ცრემლია ჰრღ. შაშვის თვალ-
თავან წამისული ცრემლია. სჯე. მე-
ტად საბრალოა, საცოდავია.

შაშვს და საერთოდ ფრინველს,
როცა მძიმედ დაჭრილია ან მოტეხილი
აქვს რამე და ზომაზე მეტად გამწარე-
ბულია, თვალზე, ცრემლის მსგავსად
წამოასხდება სისოულე. ხოლო ადამი-
ანის მდგომარეობის მიმსგავსება ცრემ-
ლიან შაშვის მდგომარეობას უდრის სა-
შინელს, უკიდურეს ყოფას, რომელზე
მეტი გაჭიროება წარმოუდგენელია.

შახად ყოფნა ჰრღ. შახის მსგავსად
ყოფნა. სჯე. ძალიან კარგად, უკეთესი
რომ არ შეაძლება, ისე. ახ. შახს არ
იტეხს.

შახისა და ფახის პატრონი ჰრღ. შახის
თვითგანდიდების მიმჩემებელი. სჯე.
ვისაც თავისიქება და ფახა უყვარს,
ტრახახა. „ნუ გეშინიან, მეგობარო,
ჩხიკვი იყო, ჩაიკვი. — უთხრა კოდა-
ლამ და თან სიცილი აუტყდა, რომ
ასეთ შახის და ფახის პატრო-
ნი მისი მეგობარი ისე მხდალი და
მფრთხალი გამოდგა“ (თეა-ფშაველა).

შახს არ იტეხავს სჯე. გულს არ იტე-
ხავს. გაქარებას თავს არ უხრის.
„შახს არ იტეხსა. თუმც ტვი-
ვილს კარგად ვატყობდი ხმაშია“
(თეა-ფშაველა). ახ. შახად ყოფნა.

სპარსეთის შახის სახელი ძველად,
სპარსეთის ძლეურების დროს, მთელს
აღმოსავლეთში სიონიში იყო ძლევა-
მოსილაობა, საძლეურისა, სიმშვეთე-
რისა, კეთილდღეობისა, სვე-სუიანობისა,
გულშაჯარობისა, შემპართებლობისა,
თავმოყვარეობისა.

ამიტომ იყო, რომ ქართულში „შახს
არ იტეხს“ იქცა გამომხატველად ადა-
მიანის მიერ გულმაგრად ყოფნისა, გუ-
ლის გაუტეხებლობისა, ხათქვამზე
მტკიცედ დგომისა, მტრისათვის და-
უთმობლობისა. როცა ამბო თუ იმ ბა-
ნოვანს შახს ვუწოდებთ, ამით გვი-
ნდა მისი უაღრესი სიმშვენიერე საც-
ნაურ ვქნათ ყველასათვის.

შახტია ჰრღ. წარა-მარა მოხტუნავე. სჯე.
მსუბუქი ტყუის პატრონი, ცეტკვი-
რივე, თავქეთა, თავქარიანი, და-
უდგრომელი.

შამა-აბაზობა ჰრღ. შამა-აბაზის დრო. სჯე.
დიდი, საქვეყნო უბედურება, ქვეყნის
აყვება, აწიოკება.

XVII საუკუნის დამდეგს საქართვე-
ლო აიკლო სპარსეთის შამაშა აბას-
შა. კახეთიდან 100.000 ქართველი აპ-
ყარა და სპარსეთში დაიხსლა.

შამ გელდი ჰრღ. შახი მოდის. სჯე. და-
უსრულებელი რამ, ტყუილი მოლო-
დინი რისამე, მგლ. შენც ერთი! მოს-
ელას დამპირდი და არ მოხვედი.
მე-კი იმედი მქონდა... შამ გელდი
გახდი რალა!..

სპარსელები და მათი შამები წარ-
სულში ქართველთათვის მარად წყვეი-
თა და კრულვით სახსენებელი იყვნენ.
სიმწარის მეტი არა ახსოვთ რა მგაით-
გან. განუწყვეტელ დარბევას, განუწყ-
ვეტელ აკლებას და ივიარყოფას მო-
ელოდა მათგან საქართველო. სულმუ-
დამ შიშში იყო, სულმუდამ სული კბი-
ლით ეჭირა ერთ მუტა ქართველობის
სპარსთა თავდასხმის მოლოდინში. ამ
საშინელს დროს არის გამოსროლილი
და მერე ჩვენამდე მოღწეული თქმა:
„შამ გელდი, რაც ქართულია ნიშ-
ნავს: შამა მოდის (და მზად ვიყ-
ვნეთ დასახვედრათაო!), ერთხელ თბი-
ლისში ხმა დაუბრხევიათ — სპარსეთის
ჯარი მოდის თვითონ შამის უშუალო
მეთაურობით, თბილისის ასაკლებადაო.
მცხოვრებნი მზადებაში იყვნენ და
დიდხანსაც იძახდნენ თურმე: შამ გელ-
დი, შამ გელდიო! მაგრამ როგორღაც
შამს დაუგვიანებია მოსვლა. როდის-
როდის გამოჩინილა...“

დღეს იმ შემთხვევაში, როცა ვისმე
მოვლიან და მისასვლელი კი უზომოდ
ალოდინებთ ხოლმე, იტყვიან: რა შამ-
გელდი გახდაო!.. — ამას თბილისში
სამოცდათთან და ოთხმოციან წლებში



ხშირად ხმარობდნენ და დღეს აქა-იქ თუ-ღა ახსოვს ვისმე (ვასილ ბარნოვის-გან გაგონილი).

შეაგლო ქვა და შეუშვირა თავი ჰრღ. მაღლა ასროლილ ქვას თავი შეუშვირა. ზვ. გაჯიშტდა, გაქერპდა, თავის ნათქვამზე ფეხს მაგარად აქერს. „მთელი სოფელი დაეთრაქე, საცა და ვიზებაც კი გული მეგულებოდა, ითისი ჭირი მოვსებაჲ, თავს შემოვევლე, წინწკალი არაიენ გააგდო, შეაგდეს ქვა და შეუშვირეს თავი!“ (ენ. მენთეშაშვილი).

ქაცი ვინმე ყოფილა, კერპი და თავის ნათქვამი. ერთხელ აუხიერებია: აბა მიყურეთ, ქვას ავისერი, თავს შევუშვირე და რომ მომხედეს კიდევცა, არას დამაქლებსო. ბევრი უშაღეს, მაგრამ იმან მაინც თავისი არ დაიშალა. მართლაც, შეაგდო ქვა და შეუშვირა თავი. დავცა ქვა და გაუტეხა თავი.

დღეს ეს თქმა გამომხატველია ადამიანის ჯიუტობისა, თავის ნათქვამის გადაუხვევლობისა, სიკერპისა.

შე ასეთ, ისეთო ჰრღ. ასეთიც ხარ და ისეთიცა. ზვ. ცუდი, სავინებელი, სააუგო. „ვანმომის დროს გამოჩნდა შავი მხედარი, დაპკრა ბერი სამარეს და სთქვა: იი შე ასეთ-ისეთო, სანამ ცოცხალი იყუ, ვერაფერი გიყუად და ეხლა მკვდარი ხომ ჩემ ხელში ხარო!“ (თ. რახივაშვილი).

ეს თქმა ზრდილობიანი თქმა საგინებელი სიტყვისა, ამ უკანასკნელების ზღაღად სახმარა. იგულისხმება: ასეთ ცუდო, ისეთ საზიზღარო, ან ამაზე უარესი საგინებელი სიტყვები.

შეაფურთხა ეშმაკს ჰრღ. ეშმაკისაკენ ნერწყვი ისროლა პირით. ზვ. გაღასწყვიტა რამე; ცუდს რასმე განერიჩინა, ზურგი შეაქცია. ბორკისაგან თავი გაითავისუფლა; სიზარმაცებზე ხელი აიღო. „შეაფურთხა ეშმაკს და გადიწერა კიდევ სამჯერ პირჯვარი შეშინებულმა დედამ. ფიჭრი კი მაინც ერჩოდა, ეკიდებოდა“ (ილ. ჰავაშაჲ). „მოდი, იამა, რაც ვახდეს და ვახდეს, შეაფურთხე იმ შენს სამებას, მოშორდი იმ მყარალ ჭოობს, რომელსაც შენი დასრჩობა, აშმორება და მოწამულა სურს“ (ს. მგალობლიშვილი). „შეაფურთხე, შეილო, ეშმაკს და აღარ გაივლო გონებაში ის გომბიო“ (ენ. მენთეშაშვილი). „— სუ, სუ, სუ! ვერ მიმატ-

ყუბ! ეხლავე შეაფურთხე ეშმაკს! გააგდე შენი გულიდგან სატანა“ (ლ. არდახიანი).

ჩვენი ხალხის ძველი რწმენით, ადამიანს სულმულამ თან სდევს ეშმაკი, ბორკოტი სული, რომელიც ცდომილს ყველაფერში ხელი შეუშალოს. კარგი საქმე არ გააკეთებინოს, ადვილი — გაუძნელოს. ამიტომ როცა კაცი შიშვე რასმე საქმეს იწყებს და გაჭირება აქვს დასაძლევნი, სამჯერ გადიწერს პირჯვარს, სამჯერვე გადააფურთხებს და იტყვის ხოლმე: ფუ, ფუ, ფუ ეშმაკსაო!

შებორკილება ჰრღ. ფეხებზე ბორკილის შებმა, ბორკილით შეკვრა. ბორკილის დადგება. ზვ. დაპატიმრება, თავისუფლების წართმევა, დაბრკოლება, დატყვევება, შეუძლებლობა ვაქცევისა. „ეს არის უკანასკნელი სიტყვა მეცნიერებისა და ლიტერატურისაო, მაშინ როდესაც უკანასკნელი სიტყვა დღეს სულ სხვაა, უჯიათობა და ჭირვეულობა იქნება ერთხელ და ერთხელ შებორკილებულ და დატყვევებულ გონებისა“ (ილ. ჰავაშაჲ).

შეიქილება საქმეს ჰრღ. საქმეს ერკინება. ზვ. შეუღდება საქმეს, საქმიანობს. „ის ცხოვრებული (თვედორე) ისე შეექიდებოდა საქმეს, თითქო ღრებობასა და ლხინშიათ“ (ილ. ჰავაშაჲ).

შებრუნება სიტყვისა ჰრღ. უკანვე მიტრიალება სიტყვისა. ზვ. შეკამათება, შეცილება, პირში შებმა, მკვახედ პასუხის მიცემა.

ხმარობენ, როცა უფროსი უმცროსს გაუჯავრდება და ეტყვის რასმე, ხოლო უმცროსი იმის მაგიერ, რომ უფროსის ნათქვამი მოისმინოს, და მომხილებით ყურად იღოს და გააწუმდეს (იგულისხმება, რომ უფროსი სულმულამ მართალია, და უმცროსი — მტყუანი), პირში შეებმის, მკვახედ პასუხს მისცემს, თითქოს ეუბნება — შენი ნათქვამი მართალი არ არისო, მტყუანი მე-კი არა, შენა ხარო.

შებრუნება ხელისა ჰრღ. ხელის მოტრიალება, ხელის უკან მიღება. ზვ. სამაგიეროს დარტყმა; ცემაზე ცემით-ვე პასუხის მიცემა.

შევაბათ ვახშამი (გინა სადილი) ჰრღ. უღელში შევაბათ ვახშამი. ზვ. ვი-ეახშმოთ.



შეთრთვილული თმა პრდ. რთვილმობ-
ვედრილი თმა. სტვ. კალარაშერთული
თეთრგამორეული თმა. „რომელსაც
(შუბლს) შარავანდელათ შემოპხვე-
ფიერ თავისუფლოდ აკრული უქმნი
შეთრთვილული ხშირი თმა,
თავისებურ მიმხილველობასა სქენდ-
ნენ ბეჩავს“ (ფ. ბარბოვი).

შეთთამაშა ფახმა პრდ. თამაშობა და-
იწყო რისამე ფახმა. სტვ. რისამ ფახმა
დაბლიდან მალა აიწია, გაძვირდა.
„კოდმა (რვა ჩანახი) პურმა რვა
აბაზამ დე შეთთამაშა“ (ს. მვა-
ლობლიშვილი).

აღებ-მიცემობაში რისმე საგანზე
უტბად ფახის აწევას, ამ საგნის გაძვი-
რებას, გაყიდვას, ჯერ არ გაგონილა,
ისეთ ფახში, — ხატოვანად ფახის შე-
თთამაშებას ეძახდნენ ძველად ქართლ-
ში, მიმსგავსებით მოცუვაკვის ფეხე-
ბისა, რომლებიც დაბლიდან მალა
ხტებიან და მალედიან დაბლა. ქართ-
ლელი გლეხი განსაკუთრებით მაშინა
სწუხდა, როცა შეთთამაშება ფახისა
ანუ გაძვირება შეეხებოდა სულიდას.
ერთხელ — მოვეთხრობს ჩვენი საყუ-
ოელი მწერალი-ხალხოსანი ს. მვა-
ლობლიშვილი „თავის მოგონება-
ში“: „რვა აბაში გახდა კოდი (პური)
ანუ ჩანახი აბაზად,“ დიდ უბედურებად
მიანდათ ეს მოვლენა, სწორედ ღვთის
რისხვად.

შე კაი კაცო და შე უკეთესო პრდ. შენ
კარგი ხარ, მაგრამ შენზე უკეთესი
შე ვარ. სტვ. არ ვარგებარ, ცული
ვინმე ხარ. „შე კაი კაცო და შე
უკეთესო“ (ქიზაული).

ეს თქმა ზრდილობითი-ყვედრე-
ბითია. ეტყვიან კაცს, როცა არ უნ-
დათ უთხრან — ცული, კაი კაცის უფე-
რი საქმე ჩავიდენიარ. სწომბ კაი-
კაცობას, მაგრამ. უკაცაროდ, ჩემთან
ვერ მოხვალ კაიკაცობაშიო!..

შეკერვა პრდ. ნემსისა და ძაფის საშუ-
ალეობით შეერთება. სტვ. მოტყუება,
ეშმაკობით წართმევა ფულით, მო-
ფერებით ჭკუის წაგებინება.

შეკვრა პრდ. შეშარტვა, დაშმა საბლითა
გინა სხვა რითიმე საკერელითა. სტვ.
მოსპობის, განადგურების სურვილი,
წართმევა მოძაობის სახსრისა.
„(ხალხის დამწყალობინების) შენდევ
რივი მოვიდა იმით შეკვრისა, ვინც
მოლაღატე გამოვიდოდა და ვინც
ამ მოლაღატეს ან დაიფარავდა, ან

დაინდობდა და რომელსამე შემწე-
ობას მისცემდა“ (ალ. ყაზბეგი).

პირველყოფილურად მოაზროენე
ადამიანისათვის მტერთან ბრძოლის,
ბუნების მავნებელ მოვლენის, ადა-
მიანის სხეულში შესულ ათისგვარ სნე-
ულების დამარცხების, მორცენის, სა-
ხოვადოების მავნე წვერის დათურგენის
საშუალებათა ერთი სახეთაგანია შეკ-
ვრა (იგივე წყველა). ე. ი. მაგია ანუ
იარაღად გამოყენება ამა თუ იმ სიტ-
ყვიერ ფორმულითა. შეკვრას საგანდა
აქვს: თვალში ამოღებული, ათვალწუ-
ნებული ობიექტი შეიკრას, ე. ი. თით-
ქო თოკით შეიკვრანოს, წაერთვას ყო-
ველი საშუალება მოძრაობისა, თავის
სასარგებლოდ ვისმე აგნოს, ვინმე და-
ხარალოს.

შეკვრა ძველად გავრცელებული იყო
მთელი აღმოსავლეთ ქვეყნებში.

საქართველოში. არსებობისათვის
ბრძოლის დროს, სახმარ საშუალებად
შეკვრა ამ ახლო წარსულში არსებობ-
და, სახელდობრ მოხვევთა შორის.
როგორც ამას ვხედავთ ალ. ყაზბეგის
ნაწერში. შეკვრას ნიშმართადენენ
დალოცვისთან პარალელურად.

ხეგში შეკვრისა თუ დალოცვის გა-
მომტყმელები იყენენ აქაური დეკანო-
ზები, რომელნიც სწყველიდნენ ხალხის
მტერსა თუ მოლაღატეს. და ამას, ხალ-
ხის აზრით, იმდენად მჭონდა ძალა,
დენად იყო ეფექტური. რამდენად იგი
საჯაროდ, გამოჩინებით, მრავალი
ხალხის თანდასწრებით, ყველას გასა-
გონად წარმოითქმოდა ხალხის მიერ ამ
დეკანოზების პირით.

შეკურთხება პრდ. დალოცვა. სტვ. ირო-
ნიულად: გალანძლეა, შეგინება.

„— აბა, — ეტყოდა ძამა (შვილს). —
ერთი შეგებურად შეუკურთხე
შენ ბიძისს!.. ვათამამებელი შამი-
საგან კოლა მართლადაც შეუკურთ-
ხამდა, მერე ისე-რივად, რომ აქ არ
იქმნის, ჩემო მკითხველო“ (ილ. ჰა-
ბაევი). „ძმა პეპლებს პერას გამო-
უდგა; თამროც ამას წესცქეროდა და
არავრთხელ შეუკურთხა“ (ს. მვა-
ლობლიშვილი).

კურთხევა, შეკურთხება: საეკლეს-
იის ენით დალოცვისა ნიშნავს. ხოლო
იგივე სიტყვა ირონიულად გამოხატავს
გალანძლვას, ვისისამე მისამართით
ძვირის თქმას.



მე მგლის მუცელში გასაძვრენო! ჰრღ. მგლის მუცელში მოსათავსებელი. ზტვ. მგლის შესაქმელი, სასიკვდილე-ქიზიყური წყველა.

მე მიწადასაყრელი ჰრღ. ზევიდან მიწამ უნდა დაგფაროს. ზტვ. სასიკვდილე-შემოგველე ის. თავს შემოგვევლე-შემოღერება ღვიწო ის. საბანე ლეინო. შენამც დამსულრაფ ის. გიცხონდებთან მკეღარნი.

შენამც შარჩები დედასა ჰრღ. არ მო-უხანდე დედასა. ზტვ. გაიხარდე. დიდს თავისი სიოცხლე. „გიორგი ბახტარისშვილო, შენამც შარჩები დედასა“ (ვა-ვა-შა-შა).

შენახული ჰრღ. დაცული კარგს მდგო-მარეობაში, ვისაც დაფარული აქვს თავისი სიოცხლე, ჯანი. ზტვ. პკვი-ანი, წინდახედული, ფრთხილი. „აბა ერთი მოფუთაროვით, ეღობო შენ-ახული კაცია, შესასუსნი ექნება რამ“ (შ. არავფისპირელი).

შენ გაიკმარე-და! ჰრღ. გეყოფა, იკმა-რე, თავი დამანებე ერთი! ზტვ. ხმა ჩიოყვიტი, ბევრს ნუ ლამაზაკობ. „შენ გაიკმარე-და! ის უბედ-ღური კაცი ვაი თავადიშვილი!“ (რ. ერისთავი).

შენგან არ მიკვირს! ჰრღ. შენის მხრით საკვირვლად რჩება. ზტვ. საკვირველს, უცნაურს რომც ამბობ, შენგან არ მოველოდი. „—რას ამბობ, ქალო?! მე კი მეგონა, ბოლოს და ბოლოს ბედს შეურიგდა, ბეჩაეი. — შენგან არ მიკვირს?! ქალი ეხლა პასაქში, ეხლა უნდა დაჰქროდეს მას ერხის ხიჯა და როგორ შეურიგდებოდა თავის უიღბლობას!“ (ვ. ბარათი). „შენგან არ მიკვირს! რომ არ დამეთვალა, სოლომონ ბრძენი ხომ არ ვიყავი, რომ ისე გამომენო!“ (ილ. პიჭავაძე).

შენ გულიხადაც ჩამოგადნები ჰრღ. შენთვის სითხედ ვიქცევი. ზტვ. შენ-თვის გაუქრები, დაველიე, მოცინპობი, მოვკვდები. შენთვის სიოცხლე არა მშურს, შენთვის თავს შეგსწირავ. „ახლაიდ ავიკაზმი, შენ გული სა-დაც ჩამოგადნებიო“ (ხ. ან-ტონოვი).

ჩამოდნობა ვისთვისმე — სააღერსო, სახეეწარი ფორმულაა ხევისურეთში დარჩენილი. მისი ფარდი და ტოლებია: გენაცვალე, გემაგიერე, შენი ჰირიმე,

წამლად დაგენაყე, გეყურბანე, მტლად დაგედე და სხვ. და სხვ.

შენ ვინა გდიხარ? ჰრღ. ვინა ხარ, ძირს დაუდენელოდ რომ ჰგორობ? ზტვ. შენ ვინა გკითხავს რასმე, ჩვენს საქ-მეში რას ერევი?!. ვგლო. ვინა გდიხარ, შენთან რა გვაქვს სა-ერთო?!.

ეს თქმა აგდებული კილოა ლამა-რაქისა.

შენ ვინა გკითხავს! ჰრღ. შენ ვინ და-გეკითხება. ზტვ. შენ ვინ მოგთხოვს. შენ პასუხს ვინ გაგვებინებს, შენგან რა საქირო იქნება, ძალას ვინ ვა-ტანს.

შენ ვინა გკითხავს, ბაირამა დაჩულე-ხო ჰრღ. შენი საქმე არ არის იმის გაგება. ბაირამას (კამეჩს) გასათბო-ბად ჩული გადაათარეს თუ არაო. ზტვ. არამეითებობა, რაც შენი საქმე არ არის. იმაში — რად ერევიო.

„—რაო, სერო გულში აქვს ჩავარ-დნილიო (სიყვარული?) — ისე გაი-კვირვა ნატალომ, თითქოს დაუჯე-რებელი რამ უთხარესო. — სერო ვინა ჰკითხავს, ბაირამა და-ჩულესო. ქალისა იმან რა იცის?“ (ე. ყარამანიძე).

ბაირამა ქიზიყში. სადაურიც ეს თქმაა, კამეჩენისათვის უქვეით ხოლმე სახელად. ერთი კაცი ზანთარში თავის ვამენს, რომლისათვისაც ბაირამა ერ-ქვა, ჩულს ანუ ძველ ქეჩას აფარებდა, რომ არ შესცივროდა. მეობელი, ვისაც არაფერი ესაქმებოდა ამ კამეჩთან, ეკითხება პირველს: ბაირამა ხომ და-ჩულეთო? მაშინ პირველმა ამ არამეით-ხეს ისე უპასუხა. ამახ შემდეგ ეს თქმა გადაიქცა პასუხად ისეთ აღმე-ანისათვის, ვინც სხვათა საქმეში ერევა ხოლმე და უდრის მეორე ქართულ ფიგურალურ თქმას: შენ ვინა გკითხავს. ბაიო ათ შაურადააო!.

შენ ვინ საცოლედ. ეგ ხადო? ჰრღ. შენ სულ სხვა ვინმე ხარ და ეგ შენ-თან სად მოვა?! ზტვ. ეგ შენი ღირსი არ არის, ბევრი უკლია შენ დაგე-ტოლოს. „შემოკრბეს. უთხარეს მე-ფესა: „საცოლედ შენ ვინ, ეგ სადო?“ (ი. ბთაღალი).

შენზედ მიწა არ მენახოს! ჰრღ. შენს სხეულზე მიწა არ დამენახოს დაყ-რილი. ზტვ. ფიცია: იცოცხლე. სიკე-დილმა არაფერი გიყოს, შენ არ მომივდედ. „მომილოცავეს შვილის



ბედნიერება. დიდი ჯაფა კი გავწიე. სულ ვიწურებოდი — შენზე დიდი მიწა არ მენახოს — სულ ვიწურებოდი, რომ ან აი ეხლა შეიტყობენ-მეთქი“ (ილ. ჰაქვაძე).

შენზე ორი პერანგი მეტი აღარ გამიცვითა? ის. რამდენი პერანგი მაქვს შენზე (ან თქვენზე) მეტი დაცვეთილი?

შენთან მარილის ხათხოვნებად არავინ მოვია პრე. მარილის გამოტომევის არავინ მოვიწოდებ. ზღ. უკანასკნელი კაცი ხარ, ხელიდან არაფერი გამოვივა, კაცი ვერაფერს ჩამოგრიება.

საქმელი უმარილოდ არ ეგების, უმარილობა წარმოუდგენელია. პირის გემოს საქმეში, როგორც მოგვსენებთ, მარილი მეტად საჭირო ელემენტია. როცა ოჯახში მარილი შემოვლევით, მიღებ-მოღებებიან და მარილს ან ერთს მეზობელს გამოართმევენ და ან მეორეს, მაგრამ მეზობელიც არის და მეზობელიც! ზოგა — მეტად ცუდი, უცხვირაპირი. ასეთი მეზობელი უმალ უმარილოდ დარჩენას იჩივებს, ვიდრე თავი დაიმდაბლოს და ასეთს უმეზობლო მეზობელს მარილი სთხოვოს!..

და აი სწორედ ასეთს მეზობელზეა ზემოთმოტანილი თქმა ზედგამოჭრილი.

შენთან პური არ იჭმების პრე. შენთან ერთად აღამიანს პურის ჭამა არ შეუძლიან. ზღ. უსიტყვილო ხარ, ცუდი, ავი, საძრახავი ხარ, უპატიოსნო. „გვარი მოსთხარე და ნათესავი; სიტყვილით დასკერ სუყველას თავი; საქმე ჰქენ კახპური. შენ თანა ქალთ პური აღარ ეჭმების“ (დ. ზუაზი-შვილი).

შენთვისაც მოვიცლი პრე. შენთვისაც ვიპოვინ თავისუფალ დროს. ზღ. რა საჭიროა, უცემელს არ გაგვიშვებ, ჩემს შეურაცხყოფას არ შეგაოჩენ, შენს ჯავრს უშველად ამოვიყარი, იცოდე, ვერ გადაშირჩები. „აკოფა: კაცო! რო გვიქრობ... ეს რა ქენი, შე ჩასაკირავო, შენა! (მუშტებით) ოხ, ხანუში! შენთვისაც მოვიცლი“ (ავსტ. ცაგარელი).

ერთგვარი ფორმულაა მუქარისა, როცა შემდეგისათვის, განუსაზღვრელ დროისათვის უნდათ (ან იძულებული არიან) გადასდონ ვისთანმე ანგარიშის

გასწორება უსიამოვნებისა თუ შეურაცხყოფისათვის.

შენთვის არა მცხელა პრე. შენთვის არ გავხურდები. ზღ. შენთვის საქმეს არ გავიქირა, ვერას გიშველი, შენს თავს შენვე უპატრონე. მგლ. ერთი თავი დამახებე, თუ ძმა ხარ, შენთვის არა მცხელა. ის. შენი თავი არა მაქვს. შენთვის დაცეტიე. შენს ქერქში იყავ!

შენთვის თმაგაშლილადამც დამჯღარვარ პრე. შენი გულისათვის თავზე თმა გამეშალოს და ისე დამჯღარვარ ძირს. ზღ. შენი სიკვდილი მენახოს, შენთვის მეტიროს. მგლ. მიცვალებულის კუბოსთან თმაგაშლილ ქალებზე ისხდნენ, სატირლად გამზადებულნი.

სამეგრელოში განსაკუთრებით და საერთოდ დასავლეთ საქართველოში, მიცვალებულის დატირების დროს მთავარ როლს თამაშობდნენ როგორც მიცვალებულის ნათესავი, ისე მოტირალი ქალები, რომლებიც, შავად ჩაცმულნი, კუბოს გარშემო ესხდნენ. ქალებს თმა, ჩვეულებრივ, დაწნული და ნაწნავები წელზე ჩამოშვებული ჰქონდათ. მაგრამ მიცვალებულის დატირების დროს ნაწნავები უნდა გაეშალნათ, რომ შესძლებოდათ ხელების მოსმა და შიგ თითების გატარება თმის დასავლელად.

ისე რომ, სიტყვები თმაგაშლილად დაჯდომა სიმბოლოა მიცვალებულს წინ ჯლომისა და მის დატირებისა. თვითონ თქმა — დიდი წყველა და ვისაც ამ სიტყვებით მიმართავენ, უსურვებენ სიკვდილს, ცოცხლად არგადარჩენას.

შენთვის თეთრი შაშვია! პრე. როგორც თეთრ შაშვს ვერ იშოვნი, ისე ამას (რახელა) ან ვიზედაც ლაპარაკია). ზღ. შეუძლებელი, მიუწვდომელი.

როცა უნდა კაცი მეტად ლამაზ ქალს ეტრფის და ცდილობს მის გულის მოგებას, მაშინ იტყვიან: ტყუილად ცდილი, ის (ქალი) შენთვის თეთრი შაშვია, ე. ი. როგორც შაშვი არ იქნება თეთრი, ისე ეს ქალი შენი არ იქნებაო.

შენთვის მგლოვიარედ დამჯღარვარ პრე. შენთვის მეგლოვის, შენი პირისუფლობა გამეწიოს. ზღ. შენი სიკვდილი მენახოს, სიკვდილი შენა! მგლ. არ გაავაბაროს ჩემმა გამჩენმა! რაკი ჩემი უგებური. ხარ, მგლოვიარე

**რემც დამჯდარ ვარ შენ-
თვის!**

ეს საშინელი წყევლის ფორმულა გამოჰხატავს ერთისაგან მეორის სასიკვდილოდ გამეტების სურვილს, რათგან ჩვენში როცა მიცვალებული ასენია, მისი ქირისუფალი, შავებანი, მისტირის და გლოვობს ამ მიცვალებულს. გარდა ამისა, ამ სიტყვებით გამოთქმული წყევლა, მსმენელისათვის, ვისდამიც ვის წყევლა მიმართულია, უფრო ხატოვანია, უფრო კონკრეტული, უმეტესად ძლიერი, მისახვედრი და საშიშაა, ვიდრე ცარიელი სხარტული სიტყვა მოკვდე ან სიყვდილი შენა!..

ეს სიტყვები გამოუდის პირიდან უფრო გამორთებულ ნათესავს თავის გამბროტებულ ნათესავის მიმართ, რადგან, ჩვეულებრივ, ნათესავს უფრო მისი ნათესავი იგლოვებს.

შენთვის სული არა მშურს ჰრ. შენთვის სულსაც ვივიმეტებ. ჰვ. თავდავიწყებით, ვატყვებით მიყვარხარ.

შენთვის შეინახე! ჰრ. შენა გქონდეს. ჰვ. მე არა მჭირია, ჩემთვის საჭირო არ ვახლავს შენი დახმარება, წყალობა. „პირში ქებას ჭკუადაქვდარ კაცის თვალში დამძალ კიტრის ფასიც არა აქვს; პირში მაქებარს თავისათვის პატვიისმცემელი კაცი აი რას ეტყვის ხოლმე: ეგ ქება შენთვის შეინახე, სხვავან გამოგადგება“ (ილ. პაპუაძე). „დედაკაცო, ამისთანების ჩვეული, მინც მადლობას ეტყოდა ხოლმე. — მადლობა!.. შენთვის მაგორად შეინახე, ძონქმში გამოვიარ, არ დაგვიკარგოს... დიდი ვანძია ეგ შენი მქლე მადლობა ოთარაანთ ქერივისათვის, ო შენმა მზემ!“ (ილ. პაპუაძე).

შენი აღთქმა-დაპირება თვალს ვერ წამიგორებს ჰრ. შენის დაპირებით თვლი არ გამომივარდება ბუდიდან. ჰვ. ვერაფრით დამახარებებ, ვერ შენიცდებ, ვერ მომიტყუებ.

შენი ბოსტანი მოსძებნე ჰრ. შენს ბოსტანს უპატრონე. ჰვ. შენსას დასაჯვრდი, სხვისას ნუ ეპოტინები. ერთი კაკბთაგანი, უფრო მოხრდილი, რომელიც გულის ჩობანივით გვერდზე მისდევდა, მოუბრუნდა და უთხრა (მამალს): — საით, ძმობილო, საით?! შენი ბოსტანი მოსძებნე, აქ შენ ბინა არა გაქვს. შენებს უპატრონე“... (იფა-შაშვილი).

შენი გზისაკენ ვიყურებით ჰრ. სულ იქითკენ ვიყურებით, საიდანაც უნდა მოხვიდე. ჰვ. მოუთმენლად მოგვლით. „შენი ამბავი აღარა გაგვიგია რა, ყველანი შენი გზისაკენ ვიყურებით“ (დ. შახნაველი).

შენი გულისას! ჰრ. როგორც შენს გულს უნდა. ჰვ. გეთაყვა, გთხოვთ.

შენი დარია დღეს ჰრ. სამუშაოდ დღეს დარი ხელს ვიწყობს. ჰვ. შენი საქმე სამარჯულოზეა, კარგად მივიდის ყველაფერი. „ძაღლებო, ფშაველის შვილებო, დღეს თქვენი არის დარიო“ (პ. შმიგაშვილი).

სოფლის მეურნეობაში წარმატებით მუშაობა და ნაყოფიერი საქმიანობა კარგ ტაროსზე იყო დამოკიდებული უამინდობით, წვიმიანი დღეებით ხვანთესვა გინდათ, თიბვა გინდათ, თუ პურის მკა, რთველი, თუ მგზავრობა, რაც ცის ქვეშ, გადაუხურავი უნდა გაკეთებულყო, ყველაფერი, თუ სულ შეუიღებელი არა, ისე მაინც ძალზე შეფერხებული და მოცარული იყო ხოლმე. მუშაობას, გლეხების მარჯვენით გასაკეთებელს მაშინ-ღა ჰქონდა გემო, ხვავი და ხალისი, როცა დარი უდარებდა მშრომელს, როცა ცხრათავილა მზე ქვეყანას დათბათბებდა, მუშაკს თუ მუშა საქონელს გულს სხარტულით უფესებდა, სამოძრაოდ აქვებდა და მწთ მიერ გაკეთებულს მადლიცა ჰქონდა. ხოლო, როცა ცას ცხვირპირი ჩანოსტიროდა, გლეხსაც ნაღვლით ევსებოდა გული, ცხვირი ჩამოეშო და გულხელდაკრეფილს უნდა ეტქირნა. — აცა, როდის გადაიღებდა, ცა ღრუბლებს გადაიყრიდა და თავს გამოჰყოფდა ყოველის ორგანული არსის მაცოცხლებელი და მახალისებელი მზე!

როცა მუშაობდნენ კარგ დარში და მეზობელი მომუშავეს გამარჯვებას ეტყოდა, თან დასძენდა: რა გიშავს, ბედი გწყალობს — კვამ დარი გიღვას, სირცხვილიცა, საქმე არ გააკეთავო!..

დღეს ხატოვანად ეს თქმა ვადმოტანილია ყოველ საქმიანობაზე, რომელიც ნორმალურ პირობებში და გარემოებაში კეთდება და ხელს არაფერი უშლის და ვამბობთ ხოლმე: დღეს დარი მიდარებს, იმედი მაქვს დავყუბული საქმე სასურველად დაეასრულოვო!



ამასვე ვამბობთ, როცა საქმიანობაში ვაეინარჯებთ, მოწინააღმდეგეს დაეპარცხებთ.

შენი და ჩემი ვის გაუყვია ის. ჩემი და შენი ქონება ვის გაუყვია!

შენი თავი ამოიჭამე პრ. მე კი არა, შენი თავი მოისპე. სტვ. შენ განადგურდი, მოისპე, ამოწყდი, ცოცხალი არ დარჩენილიყავ! «აგერ კიდევ შეპყმუელა (ბროლიამ)... — აი, შე ვერანავ, შენი თავი ამოიჭამე!.. — დაუტატანა ღვთისომ ბროლიას».

(შ. არაგვისპირელი).

ზნა ამოქმია პირდაპირ ნიშნავს — ქურბულ რაშიმე დებული ან მდგარი საქმიანის საესებით შექმას, ამოკლას, შიგ არაფრის ჩატოვებას. იგივე ზნა ხატოვანად გვიჩვენებს ვისგანმე ვისსამე ამოწყვეტას, განადგურებას, მოსპობას, სიკვდილს. და ამოქმე უღგება წინამდებარე თქმას, რომელსაც მიმართავენ ძალის უღროვრდ და უმიზნოდ ყმუილის დროს.

ჩვენს ხალხს ძველად სწამდა, რომ ცხოველებში: ხარი, ძაღლი, კატა; ფრინველებში: ყვავი, მამალი თავიანთ უჩვეულო და უღროვო დროის ნაღვლიან კილოზე ხშიანობით აღაშინასა სწყველობან, უსურებენ ამოწყდომას, მოსპობას, სიკვდილს... მავალითად, თუ ეზოში ან მიწდვრად შემობრავლა ვისმე ხარმა, ეს იმისი ნიშანი იქნება, რომ ვისაც შებრავლა, უწინასწარმეტყველა სიკვდილი; თუ ვისზე ყვავმა დასჩაგვლა, იმავე სიკვდილს უხდა ელოდებოდეს; თუ მამალმა, რომელიც ღამით უხდა ჰყოიდეს, დღისით დაიყიელა თქვეს ეზოში, ამას ასეთს განმარტებას აძლევდნენ მდაბო ხალხში: ერთი მამალი მგზობლისას გასძახის: აი, ჩვენთან ვინმე უხდა მოკვდეს, და ქელის გვექნება და ვინძლო არ მოსცდენ ნამუსრევის აკენკვასა და გადობასო. კატამ შემოკჩაგვლათ, გუუნებათ — უხდა მოკვდეთო. ყველაზე მეტად დაძაღისტურებლად მიაჩნდათ — ძაღლის ყმუილით ხამწუხარო მომავლის გამოკნობა. როცა ტირილის კილოზე დაიწყებდნენ ძაღლი ვაბმით ყმუილს, გუუნებათ — უმაქვალად უხდა ამოგვიპათო.

აღამიანმა, რომელმაც «გაიგო» და «ახსნა» ეს საიდუმლო «ლაპარაკი» პირუტყვისა, მოიგონა ანგვარი წყველისათვის ძალის წამრთმევი საშუალება, სახელდობრ: მაწყვილის წყველით-

ვე უხდა უპასუხოთ და უთხრათ: შენი თავი ამოიჭამე, შე ვერანავო!

მაგრამ თუ სახლში მძიმე აედმყოფი გყავსო, რომელიც შეიძლება ნიშანში ჰყავდეს ამოღებული კოფაკსა და სწორედ მაშინ დაიწყებულა ან მამალმა დაიყიელა, უფროს ერთს შემთხვევაში, ეს სამაგიერო წყველა უძლურია თავიდან კარზე მომდგარ უბედურობის ასაცდენად.

შენი თავი არა მაქვს პრ. სხეულზე შენთვის არა მაქვს თავი ვამონბული. სტვ. შენთვის ვერას ვავაკეთებ, შენთვის ვერ ვიხრუნებ, ჩემი იმედი ნუღარა გაქვს. შჯლ, ათასი რამ უხდა ვავაკეთო, ახლა შენი თავი არა მაქვს.

შენი თავი მთხოვს ღმერთმა! პრ. შენი თავის დათმობა მთხოვს ღმერთმა. სტვ. ცოცხალი არ ვადარჩენილიყო, სიკვდილის პირშიამც ჩავარდნილხარ.

როცა გაჯავრდებიან და ვითომ ნახევრად მოზოდიშებით და ნახევრად ნამდვილად რომ უხდათ დასწყველობა გაჯავრების მიზეზი, ერთმანეთს ამ სიტყვებით მიჰმართავენ და ამით ისე განზოდის, ვითომ მე შემძლია შენ გიპატრონო, მაგრამ ღმერთმა თუ ინება შენი სიკვდილი და მთხოვა შენი თავი, აბა მე რა მეთქმის, უარს როგორ ვაგუბებდავო! მაგრამ თუ უარი ვუთხარი შენს დათმობაზე, ინებოს ღმერთმა და ძალით წამართვას შენი თავიო, მე იმის გულისითარა არ ვინადგელოვო, — დასძენს ზოგიერთი.

შენი თავმდები ვიყვე პრ. მზადა ვარ შენთვის თავი დავსდვა. სტვ. შენს მაგიერ პასუხისმგებელი მე ვიქნები.

აქ იგულისხმება, რომ აღამიანი, ვინც სხვას თავმდებლად უღგება, პირობას იძლევა, ვინცობაა, ემპა სათავადლებში თავისი მოვალეობა არ ასარულა. მე თავს დავსდებ მოსაპურელად, ალბათ ასეთი იყო ძველად როლი მოთავადებისა.

შენი კბილით შენი შეიღები დავაქამო პრ. თულებულჯყო შენვე შევაქამო შენი შეიღების ხორცი. სტვ. დიდი უბედურება შეგამთხვიო, საშინელი სატანჯველი მივაყვირო. ვავაწამო, გაგამწაო. «ვარ შენთა შვილითა შენითა კბილითა დამამკმეველი» (მ. რუსთაველი). «შამაბაშებმა ჩვენის კბილით გვაგლქე-

ჯინეს ჩვენი წვრილ-შვილი და მინც გამოვარდნით, მოვსულერდით* (ილ. ჰაჯაფაძე).

დღეს ადამიანის ხორცი და ისიც საკუთარ შვილის რომ შეაკვირებო, დილაღე დიდ სატანჯველად და გულშემაზრავ ამბად უნდა ჩაითვალოს იმისათვის.

შენი კენესამე ჰრდ. შენი კენესა მე მკონდეს. ზვ. შენს მაგივრად მე ვიტანჯო, მე ვწველო, მე გამიჭირდეს, საკენესი საქმე გამიჩნდეს. ანუ ვარბი, შენი კენესამე! — ვეთხარბი მე და გამოვუწიე ყელი, — შენ ხელთ მიმიცია ჩემი საბელი ყელისა* (ილ. ჰაჯაფაძე). „არ დაივიწყო, თუ გწამს უფალი, არ დაივიწყო, შენი კენესამე!“ (ფაი-შაჰაველი).

შორეულ წარსულში ჩვენს ხალხსა სწამდა, რომ ჭირი ყოველი, სატყვიარი, რომელიც სიმწვავისაგან აკენესებს ადამიანს, თუ მოვისურვებთ, შეიძლება სხვისგან ჩვენზე გადმოვიდეს. ხალხისავე აზრით, სენისა და სატყვიარისათვის სულერთია, ვის სხეულში იქნება, ოღონდ-კი იყოს ვისსამე სხეულში, როცა ვისმე ვეხვეწებით და ამ ხვეწნის ფორმულით მიემართავთ, სენი თხოვნას ვეისრულებს: სტოვებს ავადმყოფის სხეულს და გადმოიღის ჩვენსაში. იქ ბინადვება. ასე რომ, როცა ამ ფორმულით მიემართავთ ვისმე, ჩვენს თხოვბას ანუ ითარგმნება: ოღონდ ამისრულე თხოვნა და მზადა ვარ შენი სატყვიარი ვიკისრო და შენს მაგივრად მე ვიკენესოვო, მე ვიტანჯოვო.

ამავე შინაარსისა და მნიშვნელობისა სხვა ხვეწნის ფორმულები: შენი ჭირიმე, გეთაყვანე. შენ გემაგიეროს ჩემი თავი, გეპურბანე, თავს შემოგეფე, გენაცვალე. შენ გულისდაღე ჩამოგადნები და სხვ. და სხვ. (იხ. თავთავის ალიგას).

შენი კი არ ვიცი და მე კი... ჰრდ. შენი ამბავი არ ვიცი, არ ვიცი, რა გინდა, მე-კი. ზვ. არ ვიცი, შენ როგორა ხარ, ან რა გინდა, მე-კი. „შენი კი არ ვიცი და მე-კი, სწორედ გითხრა, ჩემო თათიავ, გული თავის ალაგას აღარ მიდგება სინარულისაგან. — უთხრა თათიას თამარმა“ (ილ. ჰაჯაფაძე).

შენი კუბო შენახოს! ჰრდ. შენი სიკვდილის შემდეგ ჩასასვენებელი კუბო შენახოს. ზვ. შენი თავი მკვლარი მე-

ნახოს, შენი სიკვდილი გამეგონოს, ცოცხალი არ გადარჩენილიყო.

კუბო — სინონიმი ადამიანის სიკვდილისა. ასე რომ, წყველის ფორმულა — „შენი კუბო შენახოს!“ უდრის სიკვდილს, სიციცხლეს გამოსალმებას იმისთვის, ვისაც ამით მიემართავთ და ვწვევლით ხოლმე.

შენი კუჭისა! ჰრდ. შენი კუჭისათვის. ზვ. შენი ჭირიმე, გენაცვალე. — მინც, შენი კუჭისა, ალექსანდრა, შენი სურვილი როგორი არის: — გინდა ქმარის შერთვა, თუ არა? — (ლ. არდახანი). იხ. შენი სულისა.

შენი ლავაში ღაფხვი! ჰრდ. შენს ქელებში ლავაში დამეხიოს (საქმელად). ზვ. შენი სიკვდილს მოგსწრებოდე, ცოცხალი არ გადაგარჩინოს. მგლ. ჩემს ცოდვით კი აივსე, შენის ლავაში ს დახევეას მოგსწრებოდე.*

როცა ვინმე მოჰკედებოდა, მის ქელებში, სოფლად, ჩვეულებრივ, ლავაშებს აცხობდნენ თორნენი და მიცვალებულს გასვენებაზე დამსწრეთ სთავაზობდნენ. ლავაში შესაქმელად ხელით უნდა დახეულიყო.

ამ თქმას უტოლდება თქმა: შენი ქელები მეჭამოს. და ორისავე წყველის ფორმულად გადაქცეული თქმით მიემართავდნენ იმას, ვისთვისაც სიციცხლე არ ემეტებოდათ და ვისთვისაც სიკვდილს ჰმართობდნენ.

შენი ლეჩაქი დამხურე ჰრდ. შენი (ქალის) ლეჩაქი დამხურე თავზედ (მამაკაცს). ზვ. მუქარა: შე ვაქციე ნუ ვიქნები! ეალად, სუსტ არხებდ მაქციე! — შენი ლეჩაქი დამხურე თავზედ. — ამ მუქარაზედ მშვიდობიანად უნასუხა მოსემ (სურ-ქენიას) — შენი ლეჩაქი! თუ ეხლავ გომურში არ დაგამწყვდილო, მინამ ქორწილი არ გათავდება* (ილ. ჰაჯაფაძე).

ვაქციეს ქუდი უნდა ეხუროს. — თუ ქალის ლეჩაქი დაიხურა, ეს მისთვის ქალად ქცევას, დამკირებას ნიშნავს საშინელს.

შენი (თქვენი) მოწონებული ჰრდ. რაც შენც მოგწონებოდა, რაც შენც კარგად გეჩვენებოდა. ზვ. კარგი, მოსაწონებელი. „ერთს ასეთს ლავაშ ქალბატონს ამოუყვამ გვერდით, რომ შენი მოწონებული...“ (რ. ერასთავი). — ასეთი ალალი ლენის სმაცის დიაკანმა, რომ შენი მოწონებუ-

ლი; ერთი — კი გადისგანს უღვაშზე ხელსა და ის არის, ისე გამოწიფანს, თითქო თავისდღეში შიგ არა მღვარა რაო“ (ს. მგალობლიშვილი).

ეს თქმა ზრდილობის, თავაზიანობის გამოხმატველი თქმაა. ურისმგდებელს როცა რაიმე საგნის ღირსებაზე ველაპარაკებით და ამას დიუჟრთავთ, ამით გვინდა გამოვხატოთ ჩვენი და მისი გემოვნებაც. უფრო კი მისი: მართალია, მე მომწონს, მაგრამ უფრო თქვენი მოსაწონარი გახლდათ.

შენი მტერი.. ჰრდ. საშიშია როგორც შენი მტერი. ჰკვ. უნდა ვერადოთ, თავიდან ავიცილოთ!.. „(მოსამსახურეს) შიში და კრძალვა (უნდა) ჰქონდეს, თორემ შენი მტერი“ (ილ. ჰამვაძე).

შენი ნათქვამი არ გატყდება ჰრდ. შენი ნათქვამის ვატეხვა ძეგლდებელია. ჰკვ. ყოველი შენი სიტყვა მართალია, ქვეყნურია, წუნი არ დაედება. მგლ. შენს რჩევას რო დავუჯერე, კიდევ იმიტომ წამოვიდა საქმე კარად: რაც მართალია, მართალია — შენი ნათქვამი არ გატყდება!

შენი რა გადასახალია? შენ რად უნდა გადაგახდევინონ! ჰკვ. შენ პასუხისმგებელი არა ხარ, შენი არ საქმეა, შენ რა გესაქმება? — არ მაყარა ულებ რა, ჩემი ფეხები? შენი რა გადასახალია? (ივლიანი).

შენი თავისა თქმა! ჰრდ. შენი თავი იკითხე. ჰკვ. სხვას რასა ჰკიცხავ. როცა თვითონ საკიცხავი ხარ! „შენ ვინც არა გკითხავს — შენთვის უნდა ეგლო!..“ შე დურაკო, შენის თავისა თქვა! რაჟომ შენ არ მოგდის „ცისკარი?“ (რ. ვრისთავი).

შენის კისრიდან ამოვიღებ ჰრდ. შენს კისერს ვეალებ. ჰკვ. ვახლვევინებ, პასუხისმგებელი ხარ. მგლ. თუ ტყუილს ამბობ, იცოდე, შენის კისრიდან ამოვიღებ. ის ჩემ კისრზე იყოს.

ეს მუქარის ფორმულაა. ეფარდება კისრის მოჭრას, სიკვდილს.

შენი გულიხა! ის შენი სულიხა! შენი რისხვა არა მაქვს ჰრდ. შენ გამწყრალი ნუ მეყოლები! ჰკვ. მულამ მწყალბელი და ჩემდამი კეთილგანწყობილი მყავდე! მგლ. რაც მოგახსენე, სრული ჰემოარიტება გახლავს, შენი რისხვა არა მაქვს!

ფიცის ფორმულაა. ამ ფიცით ეფიცებოდა უმცროსი უფროსს, როცა პირველს ეწადა დაემტკიცებინა თავისი ნათქვამის უტყუარობა და სისწორე.

შენი სულიხა ჰრდ. შენი სულისთავის. ჰკვ. გენაცვალე, შენი კირიმე. „— გახარო?“ — ჰკითხა მარკომ ხელმეორედ როსტომსა. — აბა, მარკოჯან, მახარე, შენი სულიხა!“ (ლ. არდახანი).

შენი ფეხი აქ აღარ იყოს! ჰრდ. აქ ფეხი აღარ დაადგა. ჰკვ. მუქარა: აქ აღარ გაბედო მოსვლა, თორემ... აქ აღარ გაიარო. ახლა კი თვით ლავროვი და ზასულხისი გაემარტვა (მთავრობამ) საფრანგეთიდან, — თქვენი ფეხი ჩვენს ქვეყანაში აღარ იყოსო“ (ილ. ჰამვაძე).

შენი ფეხი დამკარ თავში ჰრდ. შენი ფეხი თავში მომხვედეს. ჰკვ. შენ მიერ ვიყო ჯონილი, დამარცხებული, მორევნული, ნაცემი. „მაშ თუ აგრე, — დიუჟირა გაკაპსებულმა სუტ-ენინამ, — შენი ფეხი დამკარ თავში, შენი ფეხი, თუ ეგ საქმე არ დაგიხლართო!“ (ილ. ჰამვაძე). „ხახე, ხვალინდელ ღრეს გადაგიყრიან კარში რაოდე ხორტალ-ხურტალი გაქვს და გაგიძახებენ გარედ ცის ქვეშ შენცა და შენ შეილსაც, თუ არა!.. თუ ასე არ გიყონ, შენი ფეხი დამკარო!“

შენი ფხის კირიმე! ჰრდ. შენის ფხიანობის კირი შეიცუაროს! ჰკვ. უშნო ხარ, უნარს მოკლებული, უმაქნისი. „თალალა (ღვარდლით): შენი ფხის კირიმე!..“ „ადამიანურათ!“ ფუქსავატო, სალახანავ!“ (ავტ. ცაგარელი).

შენის ფეხების მხანელი ვიქნები ჰრდ. შენს ფეხებს წყლით ტალახს მე მოვზორებ ჩემი ხელით. ჰკვ. შენი მოსამსახურე, შენი ერთგული, შენის ბრძანების ამსრულებელი ვიქნები. მგლ. ოლონდ ეს თხოვნა ამისრულე და შენის ფეხების მხანელი ვიქნები.

ძველად ჩვენში, მაგ. სამეგრელო-აფხაზეთში, სტუმრისათვის დაწოლის წინ ფეხები უფეხვალ უნდა დაებანთ, რადგან ნამგზავს (იგულისხმება — ფეხშიშველს) ფეხები მტერიოთა და ტალახით გასერილი ეგნებოდა და ასეთის ჩაწვევა ქვეშაგებში არ ეგებოდა.

თვითონ ფეხების დაბანა დამბანე-
ლის ძხრივ ნიშნავდა თავის დამღაბ-
ლებას და უზომო მორჩილებას იმის
წინაშე, ვისი ფეხებიც უნდა დაებანა.
შემდგენი იმიტომაც უნდა ეტყა და
რისაზე თხოვნისა და ამავე დროს უზო-
მო მორჩილების, მსახურების გამომ-
ხატველ ფორმულად.

შენი ქალები მეჭამოს! პრ. შენის
სიკვდილის გამო გამართულ ქელებს
დაგსწრებოდე! ზ.გ. წყველა: მოკვდი,
ცოცხალი ნულარ იქნები.

შენი ყველაყისამ, მელა არ დაიპრო!
პრ. ეგ არის, მელა შეგიპრო! ზ.გ.
სატატურად არ მოაგვარო შენი
საქმე, ვერას ვახდები, შენი საქმე
წასულა! ახ. კაი მელა და იქი რა

შენ იცი და შენმა ხულმა ახ. შენმა
სულმა ზღოს.

შენ იცი და შენმა წუთისოფელმაო!
პრ. და ზ.გ. როგორც შეილო, ისე
იცხოვრეო. „იმას, ჩემო კარგო, რომ
ღმერთმა (რო) აღამიანი გააჩინა,
უბრძანა: წადი, შენს თავს შენვე მო-
უბარეო; შენ იცი და შენმა წუ-
თისოფელმაო; რაც წაგეკიდოს,
შენი ბრალი იქნება, მე ნურას და-
მბრალებო; მე ხელი დამბანიო“
(ილ. ვაჟა-ფშაველას).

შენი ციცხვი და ჯამიც კი ვიცო! პრ.
შენს სახლში როგორი ციცხვი და
ჯამიცა გაქვს, ისიც კი ვიცო. ზ.გ.
დაწვრილებით, ძალიან დაახლოვე-
ბით გიცნობ, შინაური ვარ. „და ახ-
ლაც ხუმრობით ჩაგარტყი, გული
რაცე მოგივიდა? განა არ გიცნობ,
ვიცნე ხარ და ხარ ხარ! შენი
ციცხვი და ჯამიც კი ვიცო!“
(ლ. არღანიანი).

ცხადია, ვისიმე ციცხვისა და ჯამის
რარღენობის თუ ვითარების ცოდნა შე-
ნძლია ამ ოჯახის მეტად შინაური, და-
ახლოვებულს აღამიანს, რომელიც მი-
სას თუ ყოველდღე არა, ძალიან ხშირად
მიიწვ აარის. ძველად ციცხვი და ჯამი
ქართვლის ოჯახის უმთავრეს ქურკ-
ლად ითვლებოდა.

შენი წონა ჰკუა ნეკში მაქვს პრ. ნეკში
მეტვე ის ჰკუა, რასაც შენ აიწონი.
ზ.გ. სულ მცირე ჰკუა გაქვს, უკუა
ხარ, გონებრივად არაფერს იწონი.
„ნეტავე კი ჰქეყანას, რო შენც მე
მარტივებდე!.. ავლამ თავისი თავი
დაარბიოს, შენი წონა ჰკუა
ნეკში მაქვს“ (დ. მანანელი).

ნეკი — თითებში ყველაზე მცირე
მოცულობისაა. მაშასადამე, შიგ მცირე
რადიონობა ჩაეტყვა რისაზე, ასე რომ,
ამ თქმით იგულისხმება უკუა აღამი-
ანის მცირე ჰკუა (ტუბინი), რომელიც
შეიძლება შექმნიდ მოთავსდეს.

**შენი კირი და ლხინი კალთით მიტა-
რებია პრ.** შენი გაჭირება თუ დალ-
ხინება კალთით დამქონდა ყოველგან
და ყოველთვის. ზ.გ. მოზიარე ვი-
ყავ შენი გაჭირება-დალხინების;
შენი კირი — ჩემი კირი იყო; შენი
ლხინი — ჩემი ლხინი; შენს ერთგუ-
ლებასში სული ამომდიოდა, შენთვის
თავი არ მეზოგებოდა. „ნუ თუ ისე-
თი გასამეტებელი ვარ სოფლისაგან,
რომლის კირი და ლხინი კალ-
თით მიიტარებიაო!“ (რ. ფაღვლი-
შვილი).

როცა ჩვენმა სულ შორეულმა წი-
ნაპარმა ისწავლა თავისი ტანის და-
ფარვა დურა, მოუჭენელი ტყავით თუ
პირველყოფილ ქსოვილით რითიმე, ამ
სამოსელის კალთები თუ უბე, ბუნებ-
რივად, გადაიტყა ერთ ადგილიდან მე-
ორე ადგილას პნევიდის თუ ცენადის
რისაზე გადასატანად ან თან სატარებ-
ლად და საჭიროებისდა კვალად მო-
სახმარად.

„კალთით ტარება რისამე“ ერთ
დროს პირდაპირი მნიშვნელობით ხმა-
რებული, დღეს უკვე ხატოვან თქმად
გადაიტყულა. და როცა ვინმე გვეუბ-
ნება — შენი კირი და ლხინი კალთით
მიტარებიაო, მიხვდებით, რომ ამის
მთქმელი ჩვენი ერთგული ყოფილი
ცხოვრების ყოველგვარ პირობებში,
როგორც ლხინსა, ისე კირში, ერთ-
გული ყოფილა და ჩვენთვის ხმალო-
ლებული მდგარა როგორც მაშინ, როცა
ცხრათვალა მზე აღურსიანად გვიღიმო-
და, ისე მაშინ, როცა სიკვდილს თვა-
ლებში ვუყურებდით.

შენი პირიშე პრ. და ზ.გ. რაც კირი
და სატკივარი გაქვს, მე შემეყაროს.
შენს მაგიერ მე მოკვდე. მგლ. შენი
კირიშე, როგორმე ხელი მომიმართე
და გაჭირებისაგან მიხსენი. ახ. შენი
კენესამე.

შენი კირის ხანაცვლო ვიყუ პრ. და
ზ.გ. მზადა ვარ შენს მაგიერ მოკვ-
დე. „შენ დალევა შეიძელი და ჩაბრა-
ნუ მოგვისუცდები, თორემ ლეინოც
და ჩვენც შენი კირის ხანაც-
ვლო ვართ; ლეინოს რამდენი გენ-

5. თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, III.



ბავს, მოგართმევ. ოღონდ შენ არ მოგვიხუციდე!" (მელანია). ის შენი ჭირიმე.

შენი ჭირი შემყვაროს ჰრღ. შენი სწე-
ულება მე გადამედოს. სკვ. თხოვნა,
ვედრება: შენს მაგიერ მე მოგვედღე.
-ჩამოთუგდე სიტყვა, შენებურად მო-
ელაპარაკე... შეაჯერე... შენი ჭი-
რი შემეყრება!... შენ შეგვეწიე...
(დ. კლდიაშვილი) ის შენი ჭირიმე.

ეს თქმა უდრის, ანუ, უყუთ, იკი-
ვია, რაცაა შენი ჭირიმე. გამოხე-
ტავს იმ აზრს, რომ მზადა ვარ შე-
ვიყარო შენი სწეულება, მზადა ვარ გე-
მაგიერო სიკვდილის დროს, ოღონდ
თხოვია ამისრულეო.

შენი ჭკუთხაგან არც-კი გამიყვარდება
ჰრღ. შენი ჭკუის ამბავი რომ ვიცო,
ჩემთვის გასაკვირველი არ არის შენი
ქცევა. სკვ. ბევრი არაფერი მოგეთხო-
ვება, ჭკუასთან მწყურალათა ბრძან-
დები, ჭკუაგამოლეული ხარ.

ითქმის, როცა მოკლე ჭკუის ადამი-
ანი მეორეს ცუდს რასმე დაეშუქრება.
მაშინ უფვან მოქმედების გასაშარულელ-
ლად ავტორის უქუთაბას შოატანენ,
ე ი. შენის ჭკუისაგან სწოლედ ასეთ
საქციელს უნდა ელოდეს კაციო!

შენი ხმალი — ჩემი კისერი ჰრღ. შენი
ხმლით კისერი მომჭერი. სკვ. მზადა
ვარ შენთვის სასიკვდილოდ. ყველა-
ფერი გავაკეთო, ყოველი შენი სწრ-
ვილი ავასრულეო. შენ რომ მაგი
სათვის არ მოხვიდოდი ჩვენთან,
საქმე რომ გექნება. — უთხრა (ოა-
რანათ ქვრივის) ხელახლა არჩილმა.
— მართალია, უსაქმოდ არ მოვსულ-
ვარ. — ბრძანე: შენი ხმალი და
ჩემი კისერი" (ილ. ჰეგეაძე).
-დარჩა ერთად-ერთი პოპკია. ამ პოპ-
კას ხმალი ჩემ კისერზე
იყოს" (ს. მგალობლიშვილი). — ბაბალეს
ხმალი ჩემს კისერზე იყოს. —
უთხრა სალომემ ხელის" (ფან. მუთუშაშვი-
ლი). — დავეშარიტებით მოვახსენებთ!
თუ ტყუილი აღმოჩნდეს ჩემი ნათქ-
ვაში, ამა ჩემი კისერი და შენი
ხმალი. — უთხრა თედორემ და
გამოლი ხელის ყუა დაიდო წაწვდილ
კისერზე" (ვ. ბარბოვი).

შენი ხორცი შემაჭამა ჰრღ. იმას მოვეს-
წრებოდღე. შენი ხორცი შევკვამო სა-
ქონლის ხორცივით. სკვ. ცოცხალი
არ გადაშიარჩე, შენი სიკვდილი

მენახოს. მკლ. სხვა არა მინდა-რა,
შენი ხორცი შემაჭამა...
ეს წყველა სულ იველის-ძველი უნდა
იყოს, იმ დროისა, როცა ადამიანს
თავის შტრის, თუნდაც თავის მსგავსის,
ხორცის ჭამა სათაქლოდ არ მიაჩნდა
და არ ერიდებოდა.

იგულისხმება, რაკი ხორცი შეიჭმება
ვისიმე, ამ ხორცის პატრონი ცოცხალი
არ იქნება დარჩენილი, ესე იგი —
წარმოდგენილია სიკვდილი იმისა, ვინც
ამ წყველით ნიშანია ამოღებული.

ანთროპოფაგია ანუ ადამიანის
ხორცის ჭამას ჩვენში, დიდი ხანია არ
ეწყობიან, მაგრამ დარჩენილია მხოლოდ
მისი მოკონება, ოდესღაც ადამიანის
ხორცის ჭამის შესაძლებლობა ადამი-
ანის მიერ. და ამ წყველით გამოიხე-
ტება სავსება ბოროტებისა, რაც მოყ-
ვასმა მოყვანს უნდა მთაყენოს უაღრ-
სად გაბოროტების ჟამს.

შენ კარგად იყავ! ჰრღ. შენ არაფერი
დაგიზავდეს, ცული არაფერი შეგემ-
თხვის, შენის გუნებისად იყავ. სკვ.
ნუ შესწუხდები, არა უშავს რა.

ეტყვიან კაცს, როცა რასმე სთხო-
ვენ და ეს თხოვნას ვერ შეასრულებს
და ინაფლებს თხოვნის შესრულებ-
ლობას.

შენკენ მოიკითხე (უნამუსობა ან სხვა
რამე ცუდი). ჰრღ. შენის თავისი
იკითხე, უნამუსო ხარ თუ არა. სკვ.
ტყუილად უთარო უნამუსობას, უნა-
მუსო ხარ. უნამუსობა თქვენკენ
მოიკითხე! ზოგი ვზარის ძაღლსა
ჭკითხეთ!" (რ. ერისთავი).

შენ კი რა გითხრა! ჰრღ. არ ვიცო, რა
უნდა გითხრა! სკვ. სალანძღავი სიტყ-
ვების უნდა უნდასი ხარ, უნდა გავინოს
კაცმა, უნდა გისაყვედურო! "ხან მინ-
დოდა მიმეცა (ჩემის გვიარისათვის)
რუსული დაბოლოება, ესრეთ: მეკლან-
ნუეე, მეკლანუი, მეკლანუეეკი,
მაგრამ სიტყვა — კლანი" არ ამო-
ვიარდა. ხან მინდოდა გადამეთარგ-
მან რუსულად, მაგრამ ვერც მე გა-
დავთარგმნე, ვერც სხვამ. შემოჩა
ისევ ეს გვარი. რა გუთხრა ჩემ
მამა-პაპას!.." (ლ. არდანიანი).

ეს თქმა თავშეკავებული საყვედუ-
რია და ხმარობენ უსამოგენების, უცმა-
ყოფილების, წყენის, ბრაზის გამოსახე-
ტავად მაშინ, როცა დამნაშავეს უნდა
უსაყვედურონ თავისი დანაშაული და
არ კი ეუმნებინ ყველაფერს, რის

ლირსიც არის დამნაშავე; ერთკლებით სილანაოვი სიტყვების დახარჯვა და თან კი აგრანობინებები, რომ ცუდი სიტყვების ღირსი ხარ, მაგრამ მეცოდები, აბა როგორ ვითხრაო!

შენმა კისერმა ზღოს! ჰრ. შენი კისერი იყოს მსლვეველი, შენს კისერს მოხედდეს მოსახვედრელი. ზღვ. შენ იყვე პასუხისმგებელი. ზღვ. მე თუ რამე დამიშავდა, შენმა კისერმა ზღოს.

ერთი სახე დანაშაულისათვის პასუხისგების — კისრის მოჭრა იყო დანაშავისათვის, კისერს უნდა ეხლო დანაშაული. კისრად ლება ნინაწეს: თუ დანაშავედა ვინმე რასმე, პასუხს აგებდა კისრას მოჭრით.

შენმა სულმა ზღ-ს! შენს სულს გარდახდეს. ზღვ. შენი სული იყოს პასუხისმგებელი, შენს სულს მოეთხოვოს. ზღვ. აი ძმაო, რასაცა თხოვ, ფულს გაძლევ. მხოლოდ შენმა სულმა ზღოს მისი დროზე დაბრუნება.

ამ შემთხვევაში ერთგვარი მუქარა გამოდის: თუ ძირნათლად არ მომეკეცი, შენს სულზე მიმიგდია, შენს სულს ცოდვა აეცილება და საიჭიოში მოეკითხებო, შენს სულს დაამიშვებო. ე. ი. ზნეობრივად იყავ პასუხისმგებელი ჩემს წინაშეო.

სული იხმარება აგრეთვე ნამუსის, სინდისის სინონიმად, ე. ი. მე არ ვიჩივლებ, იურიდიულად არ მოვთხოვ, მხოლოდ ზნეობრივად უნდა ვალდებულად ჩასთვალო თავი ცუდი და ბოროტი არაფერი შეამთხვიოვო.

შენს გადაწყვიდე ჰრ. ვინმეც შენ დაბლაუქებულს ხარ. ზღვ. ვისაც შენ აწუხებ, ვისაც შენ არ ეშვები. ზღვ. შენს გადაწყვიდე მტრად ცუდი დღე დამადგა, ლამისა სული ამომხდეს.

შენს ერდოზე ბალახიმც ამოსულა! ჰრ. შენის სახლის ბანზე ბალახი დამენახოს! ზღვ. შენი ოჯახი დაქცეულიყოს. ამოწყვეტილიყო, ცოცხალი არაიენ დაგრიხორდეს, ყველანი დახოცილიყვეთ.

ძველად აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ქართლში, გლეხები მიწურებში ცხოვრობდნენ, რომელთაც სახურავად ერდო ანუ ბანი დაზეილი მიწისა ჰქონდათ. მცენარეს ზედ სადმე ყური რომ ამოეყო, მაშინვე მოჰკლეჯდნენ, ამიტომ რომ ბალახს რო დასკოლოდა და ძირი გაედგა, წვი-

მა ადვილად გაატანდა ერდოში. ასეთი ამბავი კი შეიძლებოდა მომხდარიყო იმ შემთხვევაში, როცა სახლში არაიენ არ იქნებოდა, რომ ერდოსთვის ყური ეგდო; ე. ი. როცა ოჯახი ამოწყვეტილი იყო და კერაზე ცეცხლი გაიჭრა. ასე რომ, ეს თქმა წყველის ფორმულაა და დიდი წყევლისა!

შენს თონეში ქინქარიმც ამოსულა! ჰრ. შენი თონე იქ უმატრონოდ და უხმარად დარჩენილიყო, რომ შიგ ქინქარს დაეხმებოდეს ამოსვლა. ზღვ. შენი ოჯახი ამოწყვეტილიყო. შიგ ცოცხალი არაიენ დარჩენილიყო.

ეს უუდიდესი წყველაა ქართლში და გულისხმობს ოჯახის ამოწყვეტას დედიან ბუდიანად, რადგან ქინქარი ძაშინდა შეიძლება ამოვიდეს თონეში, როცა მას აღარ ახურებენ, შიგ პურს აღარ აცხობენ. ხოლო მისი გაუხურებლობა მაშინხა შესაძლებელი, როცა პატრონი, გამხურებელი აღარ ეყოლებას.

შენს იქითაც ვიპოვნი საელს! ჰრ. შენს იქითაც არ გამიპირდება გზის პოვნა. ზღვ. უშენოდაც შემძლება ვიცხოვრო, შენი შველა არა მქირია. უშენოდაც კარგად ვიცხოვრებთ! შენს იქითაც ვიპოვით საელს. შეგსძლება, გადაესურით ჯადოსნურად შემოხაზულ გზას! (ე. ბარნოვი).

იგულისხმება გზა, რომელზედაც ვისმე მოყვასი მიჰყავს, უჩვენებს გზის მიმართულებას, ცდილობს სახიფათო ადგილებს აცილოს და ამასთანავე ამუწინათებს — სიყვითეს გიშვრებო! მაშინ გაბეზრებული საპატრონებელი მოყვასი ეტყვის მოამაგეს: რას მიამუნათებ, უშენოდაც გავაგნებ გზასაო, ძალიან საჭიროა შენი შველა, მე თვითონ მოვუყვია ჩემს თავსაო!

რა თქმა უნდა, ნაგულისხმევი ძველებური უცნობი გზა, საცა მგზავრს ათასი მოულოდნელი გაპირება და ხიფათი მოულოდა, ათასი დავიდარება ჰქონდა გასათვალისწინებელი და გადასალახავი.

შენს იქით გზა აღარა გვაქვს ჰრ. უშენოთ სვლა აღარ შეგვიძლია. ზღვ. შენი შველა-დახმარება ჩვენთვის აუცილებელია. შენს იქით გზა აღარა გვაქვს. ვისაცა ვთხოვეთ, ყველამ უარი გვითხრა. (ე. ხურაშვილი). ის შენს იქითაც ვიპოვნის საელს.



შენს კალთას შემოვაფარეთ თავი პრდ. შენს კალთას ქვეშ მოვთავსდით. ზღვ. ჩვენს მუარველად და მეოხად თქვენ მიგიჩინეთ. ჩვენ ერთი საწყალი ხალხი გახლავართ, ვეღარ ვაუწყებლთ და შენს კალთას შემოვაფარეთ თავი პრ. (ალ. ყაზბეგი). ახ. კალთის გადაფარება.

შენს მზეხა ვფიცავარ! პრდ. საფიცარი შენი მზე მაქვს, თუ შენი მზე მეფიცება. ზღვ. შენი სიცოცხლის საფასური არათუ ვი მაქვს. აქვირფასად ყიდულობის (ცუდ ნივთებს), შენ მზეხა ვფიცავარ, ესტატე. სხვა საქმე არა აქვს რა, ამ დღით დაეთრევა და ამისთანაებს ეძებს და დიდ ფულს აძლევს* (ლ. არაბაძე).

ეს თქმა იმდროინდელია, როცა ჩვენი წინაპრები ასტროლოგები ანუ მნათობთა თავიანთსმცემელი იყვნენ. მათ შორის მთავარი, როგორც სითბოსი და სინათლის, საერთოდ სიცოცხლის მომნიჭებელი იყო მზე და სწორედ მზე გახდა მთავარი საფიცარი მისთა თავიანთსმცემელთა. მაშინ შეიქმნა ფიცის ასეთი ფორმულები: შენს მზეხა ვფიცავ, შენმა მზემ. სამეგრელოში ამ ნახევარ საუკუნის წინათ ხშირად გემსობადთ ისეთი ფიცები: მზის მადლმა („ბეაშ მარდიმე“), თვითონ ამ სტრიქონების დამწერს არაერთხელ უხმარია ეს სიტყვები, როცა დანაშაულობაში დამკურდა ძიძა და თავი უნდა ემართლებინა მაგარის საფიცარის სიტყვებით. იმავე მზისათვის, განსაკუთრებით ზამთრის სიცივეებში, ბევრჯელ გვითხობენია ამოსკლა და სასყიდლად ყველსა და ღომს დავპირებივართ („ჩხანა, მორთია, ჩხანა, მორთია. — ყვალი დო ღუმუს რჩანქია“ — მზეო, ამოდი, მზეო, ამოდი, — ყველსა და ღომს გაქმეო!)

შენს მტერს (მისცხვ) პრდ. შენს მტერსა პქონდეს, იმას ერგოს, იმის უფრო შესაფერია. ზღვ. მტერს (ცუდი, ბოროტი, ყოველს ღირსებას მოკლებული, უსსენებელი (მაგ. ცუდი სიტყვა-პასუხი); საქმე ცუდადაა, სიფრთხილე გემართებს, დავხარაღდით. „თუ მუზღუნდ ეს სამი რიგი ნაკეცი ერთად იყო, ვაი შენს მტერს, ცუდი ნიშანია: ჩანს დიამბეგს ხელიდან გახსლტომია კაი ნაჭერი“ (ილ. ჰაბაძე) „უფეომა და მაშომ მოგიკითხეს; ამით შენი ხანობა არად ეპიტ-

ნავებათ; გამდიდრდო თუ არაო. ესენი ამას მკითხავენ. — შენ მაგივრად მე ვეტყვი, ვაი შენს მტერსა მეთქი“ (ნ. ბარათაშვილი).

შენს მუცელში ქორწილია, ჩემს მუცელში — ნიშნობაც არა პრდ. შენს მუცელში დიდი ლხინია, ჩემსაში მცირე ლხინი ნიშნობისა. ზღვ. შენ ყელამდე მძღარი ხარ, მე-კი ნახევრად ვშეირიო. მგლ. რა გასაკვირველია, გემქორებოდეს: შენს მუცელში ქორწილია, ჩემს მუცელში — ნიშნობაც არაო... ახ. მუცელი ვალაღას მაყრის. ფერი ფერიდს მიკრულია. კუჭი უცხევა შიმშილით. ქორწილი გვიქვია სარძლოს მოყვანის დროს მოწვეულ დიდძალი ხალხის უზომო ქმეულობა-სმეულობასთვის, როცა ყველა ყელამდე მძღარია. ნიშნობაში ანუ ქალის საცოლედ დანიშნის დროს ქალსა თუ ვაჟს რამდენიმე მახლობელი იყრის თავს. სმა-ქამა და ღრეობა, ქორწილთან შედარებით, მცირე სახისა იქიან. ასე რომ, ამ თქმაში ქორწილი ნიშნავს ბევრის ქამას, ძალზე მძღრობას, ხოლო ნიშნობა — მცირე ლხინს, ქორწილთან შედარებით, სანახევროდ უქმელობას.

შენს პირს ნაცარი! პრდ. პირი გაგვესოს ნაცრითა, პირში ნაცარი ჩაგვეყაროს. ზღვ. ლაბარაკის უნარი წავეერთვას, მოკვდი.

შენს პირს შექარი! პრდ. პირში ჩავეარდეს შექარი. ზღვ. ყოველი სიკეთე დაგემართოს, ბედს ვწვი, სიხარულითა და სიტკბობებით აივსე, ნეტავი კი ეგრე იყოს! — „შენს პირს შექარი, ჩემო ლამაზისეულო, შენს პირს შექარი, — წამოიძახა გაბარებულმა დარეჯანმა, — წადი და ეხლავ აქ მოიყვანი, ფულს გაჩუქებენქო“ (ილ. ჰაბაძე). „ი გადღერებულა ღმერთმა, ღიმილით დაიძახა ანდრიაშ. — შენს პირს შექარი, თუ ეგ მართლა ეგრეა“. (ნ. ლომოური).

ქართულ საქორწილო ჩვეულებებში საპატიო როლი აქვს მახარობელს. ნეფედედოფალი და მაყრიონი ნეფის სახლს რომ მოუახლოვდებიან, ერთ-ერთი მაყრიონთაგანი გამოერჩევა და ცხენის ჭენებით მორბის, რომ ნეფიონებს სასიამოვნო და გასახარელი ამბავი მოუტანოს: ახაროს პატარძლის წამოყვანის ამბავი, და აი, ასეთს მახარობელ-

საა, რომ პირში ჩაულღებენ შეპარს, რომელიც დასაწყისში, უნდა ვითქვროთ, ადვილი საწოვარი არ იყო და ყველასათვის სანატრელ საგანს შეადგენდა. მეტი აქედან ეს მოქმედება (პირში შეპარის ჩადება) ზემოთ ნათქვამში ჩაექსოვა, როგორც ვახარების გამომხატველი, და თვით თქმას სმარობენ სასიხარულო ამბის მოსმენის დროს, სასიამოვნო ამბის მოქმედისათვის პირში ნამდვილად შეპარის ჩადების მაგიერ.

შენს პირშიაც ნუ ჩავფარდე! პრ. ჩემი სხეული ნუ მოქცევა შენს პირს შიგნით ზკვ. შენ სალაპარაკო. შენი ვასაკიციხავი, შენი დასაციხი ნუ გავხდები!

შენს პირში მტერიც ჩავარდნილა პრ. შენს პირში ჩემი მტერიც მოქცეულა. ზკვ. შენი სალაპარაკო და სალანძღავი მტერიც გამხდარა, ყველა უნდა გაქვილო, კარგის თქმა არავისათვის გემეტება.

შენს ქერქში დაბეჭე ახ. შენს ქერქში იყავ!

შენს ქერქში იყავ! პრ. შენის ქერქიდან ნუ გამოხვალ. ზკვ. რაცა გაქვს, ამას დასჯერი, ბეგის ნუ ნდობულობ. განდიდება დაიშალე, ნუ ჰქადნიერდები. მოკრძალებული იყავ. ახელმწიფს დაბატარება ჩაიღვა გულში (გლუხმა). ცოლმა უშალა, შენს ქერქში იყავ, მიუწვდომელს ნუ ეწვდები. (თ. რახიკაშვილი).

შენს ქორწილში ცხრილით მოგოზიდავ წყალსა! პრ. ცხრილს ვინმარ წყლის მოსაზიდ ქურქლად. რიცა შენ ქორწილს გამართავო. ზკვ. არაფერს დავიზარებ წყალს უქურქლოდაც მოვიტან. მეუბლებელს შევიტლებ.

შენს ღმერთს დაამადდე პრ. ღვთის სათნო საქმე ჩაიდინე. ზკვ. სამადლო. კეთილი საქმე ჰქენ. დათიკო. შენი ქიორიმე, ხითათს ნუ შემამთხვევ, ცოდვაში ნუ გამხვევი! დამითიმ ის გოგო და შენს ღმერთს დაამადლე (ილ. ჰაჭავაძე).

შენს ღმერთს რაღას ეუბნები! პრ. რიცა ღმერთი მოგითხავს, რაღა უნდა უთხრა პასუხად? ზკვ. ავკაცობას ნულარ ჩაიდენ, ღვთისა გემინოდეს. აი, შე უნამუსო, აქაო და არაინა მხედავსო, ნამუსის ქული ავიხდია და ლაფში გადაგვადია! შენს ღმერთს რაღას ეუბნები! (ილ. ჰაჭავაძე).

შენს ღმერთს შეხედე! პრ. თვალები მიაპყარ ღმერთს! ზკვ. შემობრალე, გეოცდებოდე. გამიკითხე. ნუ მტანჯავ, შემიწყალე. ახ. შენს ღმერთს რაღას ეუბნები!

შენს ხელთა ჩემი სახელი ყელისა პრ. ჩემი ყელის სახელი შენ გეპირავს ხელში. ზკვ. სრულ შენს განკარგულებაში ვარ, უფლება გაქვს. რაც გინდა, ის მიყო. ნუ გარბი, შენი კენესამე! ვუთხარი მე და გამოგუწიე ყელი, — შენ ხელში მომიციე ჩემი სახელი ყელისა (ილ. ჰაჭავაძე).

ძველად ტყვეს რომ დაიჭერდნენ, კისერზე საბელს მოაბამდნენ, რომ არსად გაქცეულიყო და პატრონის ნებაზე გაეგვლო. ამ თქმის საფუძველიც აქ უნდა ვეძიოთ.

შენს ხელში ვარ პრ. ხელით გიპყრივარ. ზკვ. შენზე ვარ დამოკიდებული, რასაც გინდა, იმას მიზამ, შენს იქით სიცოცხლე არ მიწერიო. სენა ხარ ჩემი მთარველი. მგლ. შენ იცი, შეილო, რასაც მიზამ, შენ ხელში ვარ დღეის იქით, ბებერი, უილური, უქვეუო, ბებერი მამა!..

შენ შენთვის, მე ჩემთვის პრ. შენ შენთვის იყავ, მე — ჩემთვის ვიქნები. ზკვ. საერთო არაფერი გეპონდეს, ერთმანერთის არც ავი ვეკიფობო, არც კარგი; ჩემს თავს მე მოვეულო, შენს თავს შენ უბატონე. მაშ მწვიდობით, ჩემო კარგო! დღეის ამას იქით შენ — შენთვის, მე — ჩემთვის! (ილ. ჰაჭავაძე).

შენ შენი ღმერთი! პრ. ღმერთი, რომელიც შენ გწამს. ზკვ. შენის ღმერთის გულისათვის სიკეთე მიყავ. — შენა არა გაქვს? — კეთილ სტუმარმა: — მოიტა, ცეცხლი ავანთო ერთი, ხვალ თუნდა მოტელს ზურგს მე ამოვიტან, ოღონდ დღეს გავთბე. შენ შენი ღმერთი! (ილ. ჰაჭავაძე).

შენ ჩემი ბატონი ხარ პრ. აღვიარებ შენს ბატონობას. ზკვ. გემორჩილები, როგორც ბატონსა და უფროსს, შენი ყმა ვარ. მოვახსენო, შენ ხარ ჩემი ბატონი! (რ. ვრისთავი).

ძველად, საზოგადოების პრივილეგიური კლასების არსებობის დროს, ამ თქმას გამოუჩენდნენ, როგორც ჩართულს წინადადებას, ლაპარაკში, რიცა მიმართავდა უმცროსი უფროსს, დაბალის წოდებისა (გლეხი) — ახნა-



ურსა, თუ თავადს. ამის მთქმელნი იმით გამოხატავენ, ერთის მხრით, თავიანთს დაბალ მდგომარეობას იმით-თა შედარებით, ვისაც ჰკადრებდნენ ლაპარაკსა, მოახსენებდნენ მოსახსენებელსა, მეორეს მხრით, მზად ყოფნას მის-და, როგორც ბატონისა და მფარველის-და მსახურებლად.

ჩვენში ბტონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ ე თქმა დარჩა როგორც ფორმული ზრდილობიან მიმართვისა, როგორც გამოხატვა პატივისცემისა და კრძალვისა იმისადმი, ვისაც ველაპარაკებთ ან მოვახსენებთ რასმე.

შენჩემობა პლ. იენ რომ შენთვის იზრუნო და მე ჩემთვის. ჰყვ. მიკერძვა. პირადული ინტერესი. რომ ეს დიდი დანაშაულობა თან არ ჩაეყოფილით საფლავში და ქუაბრწყინვალე მომავალ თაობის ყბადასაღებად არ შევიქნათ, გემართებს ახლა მაინც დროებით უკა მივაყენოთ ზოგიერთი მაგოერივად არასაპირობებების კითხვებიც. კერძო პირობებული შენ-ჩემობაც* (დ. მახანელი).

შენც გეყოფა და მეც მეყოფა ბაწრად პლ. ეს შენც გაგიწევს ბაწრობას და მეც. ჰყვ. ორსავე გვიშველის ბაწრის მსგავსად გაპირებაში, გეყოფა რისამე შესაკერვლად თუ დასაქერად.

შე ოფოფო, შენა! პლ. შე ოფოფის მსგავსო, შენა! ჰყვ. ბინძურო, მყოფლო, ამოცრებულო. შგლ. სულ ოფოფს როგორ უნდა დაემსგავსო და აყროლდე, ცოტათი მიჰხედ შენს თავს!..

ოფოფის, ამ ლამაზ, კობტა, მოხდენილ ფრინველის სახელი ქართულ მეტყველებაში, სამაქიჭო, სალანძღვე, საჭირდავ სიტყვადაა გადაქცეული. ბინძურ ვისმე ვისი უსუფთაობა ზიზღსა გვეგვის ხოლმე და ვერ მოგვითმენია ჩვენი ზიზღი არ გამოვსტყვათ, პო, ასეთს ადამიანს ასე მიემართათ: შე ოფოფო!.. და ანით მივახვედრებთ. ცოტა მეტად იზრუნოს თავის სხეულის თუ სამოსელის სისუფთავისათვის. ცუდის, უკაცრულის და უფერი სიტყვების ტრფილსაც ოფოფის სახელით შევამკობთ ხოლმე ან ვეტყვით: რა პირი გიყარს ოფოფივითათო!..

თითქო ძნელი დასაჯერებელიაო, რომ ოფოფის, ამ ლამაზი ფრინველის სახელი სიმყარესთან იყოს დაკავში-

რებული! ლანძღვა ოფოფის სიმშენიერისა და კომპიაობასთან ყველას შეუფერებლად ეჩვენება. მაგრამ ნამდვილად კი ასე გახლავსთ! ვისაც სკერია ხელში ოფოფი, ყველა იტყვის — ოფოფი ჰყარსო! და ამ სიმყოლის სუნი დიდხანსაც არ მოშორდება.

საქმე ის გახლავსთ, რომ ოფოფი ისეთ ადგილებს ეტანება, საცა ჯოგებია ჩლიქოვან ძუძუმწოვართა და იკვებებიან იმ მწერებით, რომლებიც ამ ძუძუმწოვართა ნსხეში ფუსფუსებენ. გარდა ამისა, ზოოლოგთა დაკვირვებით ისიც ვიცით, რომ ოფოფს თვისებია აქვს თავის ბარტყების შინადაგომი ბუდიდან გარეთ არ გამოჰყაროს ხოლმე. მათი შინადაგომი ბუდეშივე გროვდება და აყროლებს როგორც ბუდესა, ისე შიგ მცხოვრებთა. ზოგჯერ კაცო ოფოფის ბუდეს ამ სუნითაც მიავსებს ხოლმე.

მაგრამ ჩვენს ხალხს, სურს სულ სხვანაირად მოუაროს ამ იმბავს და ოფოფის სიმყარის მიზეზი თავისებურად განევიმართოს.

ოფოფი, ქართველი ხალხის აზრით, მაშინ კა არ არის გაჩენილი, როცა სხვა ფრინველები გაიწდა დღემინაზე, არამედ გვიანდელი, ოდეს ადამიანმა შემოიღო ჯერ სიცივისაგან სამოსლის ხმარება, შემდეგში, როცა სისუფთავისათვის ზრუნვის საჭიროება დაგებადა და ბოლოს, როცა გაეღვიძა გრძობა ესთეტიკისა; სავარცხლის საშუალებით თავის თმის ლამაზად დაყენების სურვილი.

კახეთში ასეთი ლეგენდაა დარჩენილი ოფოფის გაჩენის შესახებ.

ერთი გასათხოვარი ქალი, ლამაზი და ახალგაზრდა, დღედიშობილა სახლში მარტო იჯდა ოფოფე და თმის ივარცხნიდა. იმ დროს კარი შემოაღო იმამ და თავზე წაადგა. ლამაზი ქალის ლამაზი სხეულის ნახვამ მძის დაუხშო ნათესაურთა გრძობა, უცბად უხამსმა და დამოხმაზე მეტად შორს მდგარმა აზრმა გაუარა გულში და ქალისაკენ მიიწია...

ქალმა მძის თვალეში ეს საშინელი განზრახვა რომ ამოიკითხა, თავზარი დაეცა და ღმერთს შეეკურა: ღმერთო, ქვეყნიერების გამჩუქელო, სანამ ამ საშინელებას მოვესწრებოდე, გადამაქციე ფრინველად და თან ისეთი სიმყარის სუნი მდიოდეს სხეულისაგან, რომ ადამიანს ვენიზღებოდე და



ახლოს ვერ შევარებოდნენ. ღმერთმა ქალს ვედრება უსმინა და გადააქცია ოფოფად. ოფოფი საღამაზით ლამაზია, მაგრამ ამავე დროს მურალ ფრინველად ითვლება.

რაც შეეხება ოფოფის სავარცხლი-სებურ ქოჩორს, იგივე ლეგენდა ამბობს, რომ ეს ის სავარცხელია, რომლითაც ქალი, ოფოფად გადაქცევამდე, თმის ივარცხნიდა და რომელი, ოფოფად ქცევის დროს თმაში ჩაჩა და ახლა ოფოფს უკეთიაო.

იმავე კახეთში მეორე ლეგენდაა ოფოფის შესახებ ამავე ხასიათისა. პატარძალი თმის ივარცხნიდა თურმე, ისე თავდაუხურავს მამამთილმა შემო-უსწრო. მოგეხსენებათ, ძველად ქალი-სათვის თავდაუხურავად ყოფნა და ისიც მამამთილის წინაშე დანაშაული იყო საიციხველი და აუგი შეუნდობელი! და სასოწარკვეთილმა ქალმაც ინატრა ფრინველად ქცევა. ნატვრა აუხდა და იქცა ღამაზ ოფოფად. სავარცხელი თმაში ჩაჩა და ის სავარცხელია, ახ-ლა ოფოფს რომ გამოაჩნდება ხოლმე ძირს მიწაზე დაფრენილს და იქით-აქეთ მიაღასაო...

ზოოლოგებს გარდა, ჩვენმა ხალხმა ისიც იცის, რომ ოფოფის ბუდე შეტად აყროლებულია და ვინმე სისუფთავის მოძულეს ეტყვიან ქახეთში: რა ოფო-ფის ბუდეებზე ჰყარხარო!..

ოფოფის ხორცი სამეგრელოში ერთ-ერთ სატკივრის წამლად იხმარება.

გურიაში-კი, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში კოტი, ოფოფი სიკვდი-ლის მომასწავლებელია. ეზოში რომ შემოფრინდება სადმე, უნდა მოსაკლავ-ედ გამოეიდინენ და ყოფისავე შემთ-ხვევაში, უქშიონ და გადააფრინონ მა-ინც ეზოდან. გურიის მცხოვრებთა სწამდათ: ვის ეზოშიაც შემოფრინდება ოფოფი, უამკვლად ვინმე მოკვდება ადრე თუ გვიანო.

აქ ისიც უნდა დასძინოთ, რომ ოფოფს ადამიანის ლეშის ძიძგაცა ჰყვარება. სადმე საფლავს მიადგება და მიწას ნისკარტით მინამღე სჩიჩხის თურმე, სანამ მიცვალებულის სხეუ-ლამდე მიატანდეს და მოახერხებდეს მის ქამს.

შე ოხერ-მუდრეგო, ვისაც არ გეყუ-რება ჰრე. ოხერ-მუდრეგო შენ კი არა ხარ ისაი, ვისაც არ ესმის (ეს სიტყვები). ზგე. ბოდიში შენთან, ცუდ

სიტყვებს შენ-კი არ მოგახსენებ. ბიჭო, შენ ოხერ-მუდრეგო, ვისაც არ გეყურება, თვალცი შენკენ და ორი ხელიც... (ან ერისთავ-მოშ-ტარია). ახ. სელი და პირი იმი-საკენ მიჭნია...

მობოდიშის ფორმულია. ამ ფორ-მულით მიმართავენ მეორე პირს. რო-ცა მას ელაპარაკებიან და იქ არ მყოფ მესამე პირის შესახებ უკაცრულ სიტყ-ვა-ბასუხსა ჰხარჯავენ, უდელირად იხსენიებენ. სიტყვები - ვისაც არ გეყურება - ჰგულისხმობს: ბოდიში შენთან, ეს სიტყ-ვები შენ კი არა, მავანს შეეცება. აქ არ არის, ჩვენი ლაპარაკი არ ეყურე-ბა და ისე კი ღირსია ყოველგვარი უხამსი სახელისა. დედიმიწას ამბობებს, ბარე კარგი იქნება, სულაც მოისპობოდეს... იმის წყალობით შენც უკადრისი და დილაიც უჯერო სიტყვები მოგახსენინე...

შეპერანგებულა ჰრე. პერანგი ჩაუტ-ვამს, შემოსილა. ზგე. დამთვრალა. ზგლ. ტატეს ქალაქში ბოსტნეული ჩა-უტანია, ვაუყიდინია და რაც ფული აუღია, ღვინოში დაუხარჯნია და ცოლშვილთან შეპერანგებულ ი დაბრუნებულა.

იგულისხმება ღარიბი კაცი, უფროს ერთ შემთხვევაში, უპერანგო, და როცა ეს ღარიბი პერანგს ჩაიცივას და მო-ყვასი დაუნახავს, ეს უკანასკნელი წა-მობიძახებს: ბიჭოს! შეპერანგებულაო და მიულოცავს. გადატანითაც იგივე ღარიბი კაცი ნუნუას იმეითად მოიხეურობს და ისიც სათრობად! ამი-ტომ. როცა ღვინოს იშოვის და ზომაზე მეტად დაღვეს და აქიკიკიდება, იტყ-ვიან: შეპერანგებულაო.

ეს სიტყვა ღვინის მოპარბებით და-ღვეის მნიშვნელობით გაისმის ქარლ-ში. ხოლო კახეთში იგივე შეპერანგე-ბა იხმარება ბუნების განახლების, მცე-ნარტა მერ ფოთლების შემოსვის აზ-რით. ზამთრის ძილის შემდეგ გატიტე-ლებული ტყისა თუ მინდორ-ვლის ამ-წვენება-შეფოთლებაზე იტყვიან შეპე-რანგებულა ტყე, გინა მინდორ-ველიო.

შენც ერთი ჰრე. შენც ერთი უღინაური ვინმე ხარ! ზგე. ახირებულს რაც მე ამბობ, საკვირველია შენი ნათქვამი! „განა თვითონ არ იცი. ჩემგან კულა არ გესწავლება, მაგრამ დამციინი რალა! ეპ, შენც ერთი!“ (ილ. ჰაჭუ-ვაძე).



ამ შემთხვევაში რაოდენობითი რიცხვითი სახელი ერთი უდრის ზმნის-ნება რაოსს, და მთელს წინადადებას რომ მიეწმინდოს ის, რაც აკლია, გამოგვიყვანო: შენცა ხარა, საქმის გაზიარება გიყვარს, განგებ ამბობ ტყუილს, თავს იკატუნებ.

შერაცხვა პრ. ჩათვლია. ჯვ. ჩაგდება რადმე, კარგად მიჩნევა, პატივისცემა.

შერცხვა პრ. სხვადასხვა ხასიათის ნივთიერებათა ერთმანეთში არევა. ჯვ. საქმის გაფუჭება, გადარევა. უჭკუოდ. უსწავლიდოდ გაკეთება. სილომონ (გაბროს). "შაურ იე". მოგვიარეს ბიძებმა?.. გაბრო (სილომონის): "შაურ იე კი არა, მოვიდე!" (რ. ვრისთავი).

შერეული პრ. მიმღეობა წარსულის დროისა ზმნა შერევა-საგან. იხ. "შაურ იე".

შერცხვენი ჩაყლაპვა პრ. სასირცხვილო საქმის ჩაშვება მუცელში საყლაპავის საშუალებით. ჯვ. შერჩენა, სამაგიეროს გადაუხდელი. "ანუ მომაკ და ანუ შეხი სიკვდილი მოიცილებო, ხვალ და ზგ დიდნი ხელმწიფენი ამას იტყვიანო, რომ შეილი ვერ გამოიმეტო და სახლის შერცხვენი ჩაყლაპავსო" (თამარაძე).

შერცხვეს იმასთან.. პრ. იმასთან შერეობით შერცხვება. ჯვ. იმას ვერ დაეტოლება, ისა სჯობია. იმანე ნაყლებია, სად შეუძლია იმას გაეჯიბროს! "გული (ქალისა) და რა გული! რას მივამსჯავსო!" შერცხვეს იმასთან. — რა ეთქო! — ყუბი, ხაერდი, სპილოს ძვალი". (ლ. არვაზიანი).

შესავლ კარს ვერ უპოვნიდა პრ. სადმე შესვლას ვერ მოახერხებდა. ჯვ. საქმეს ვერ გაუგებდა ასავალ-დასავალს, თავს ვერ გაართმევდა, ვერ გაუგებდა, როგორ ხელეყო რისამე კეთებისათვის.

შესულრვა პრ. მიცვალბულის შეხვევა თეთრ ტილოში ანუ სუდარაში. ჯვ. სიკვდილი. "ღარიბი მოკვდეს ღარიბად, ვერ დამიტროს შობილმან, ველორ შემსუდრონ დაზრდილობა და ვერცა მისანდობელმან" (შ. რუსთაველი).

მიცვალბულის "გაპატიონების" (კუთვნილი პატივის მიღების) პროცედურაში ერთი ნაწილი უპირავს მიცვა-

ლებულის დაბანვას, თეთრ ქსოვილში რაშიმე — სუდარაში გახვევას და ისე ჩასვენებას კუბოში. დიდ ცოდვად ითვლებოდა უსუდაროდ დასაფლავება მიცვალბულისა კუბოში. სუდარა მიცვალბულისათვის იხმარება და ერთგვარი სიმბოლოა სიკვდილისა. თვით სიკვდილი წარმოდგენილი გვაქვს როგორც ჩონჩხი ადამიანისა, სუდარა წამოსხმული. წყევლა: შენი სუდარა მენახოს, უდრის: შენი თავი მკვდარი მენახოს.

შეტოპვა პრ. სხეულის ნელ-ნელა შეწვევა თხელ (წყალს, ტლამა) რაშიმე. ჯვ. ცულ, სასირცხვილო საქმეში ჩათრევიანება. "მერე, რაკი თვითონვე მიჰხვდა (გ. წერეთელი). რომ ეს ძალიან შევსტოპეო, ვითომ გაისწორა შეცთომა" (ილ. პაჭავაძე).

შეუკინებელი საწოლი პრ. შეუცხვენილი სარეცელი. ჯვ. ცულ-ქმრის ერთგულება, როცა შეუღლებნი ერთიმეორეს არ ჰალაატობენ.

შეურაცხება პრ. ჩაუთვლელი. ჯვ. დაწუნება, არაფრად ჩაგდება, უგულუბელოება, უკადრისად მიღება, პატივის აყრა.

აქედანაა წარმოებული ზედშესრული სახელი — შეურაცხყოფილი, რაცა ნიშნავს: უგულუბელოებას, პატივაყრის, გალანძულს, აბუჩად აგდებულს, გაბიაბრუებულს.

შეურევა პრ. შეგნობა შელოლა. ჯვ. გიჟური რამეები წამოიხაბა. "მაშინ თითქოს მობრუნდით ჩვენკენ. მოვიდით ცნობაზედ, წარმოსტევა რამდენიმე ჰკვიანური აზრი. ვადმოყარო ცრემდელი და მოკრეს ხანს უკან ისევ შაურეკაი..". (რ. ვრისთავი).

შეურთხება პრ. ნერწყვის სროლა პირით ვისთვისმე ან რისთვისმე. ჯვ. ზიზლის ვისოცხადება, არაფრად ჩაგდება, სულ დამცირობულად მიჩნევა.

შელერებული პრ. ამოზიდული, ამოწეული ღეროდან, ღერებგაცელებული ძირგამაგრებული. ჯვ. მოზორილი. ტანაყრილი.

შელერებული ითქმის გაზრდილ, მაგრამ ჯერ კიდევ საყსებით ზრდაგაუთავებელ, ღერებგამოყრილ მცენარეზე. ჯვ. ხახვი შეღერებულია. ეგვიპთი ითქმის გაზრდილ, დასაკებულ ყმაწვილ ქალსა თუ ყმაწვილებზე. როცა იტყვიან — შელერებული ქალებია ან ყმაწვილებიაო, ეს იმას ნიშნავს, რომ ქალი გასათხოვრად



გამოსადეგია ან ყმაწვილი საცოლეო.
შეყურება პრ. ვისინმე ცქერა, ვის-
 თვისმე თვალბის მიჩეობა. სჯ. ვისინმე
 ამარა, ვისინმე იმედით ყოფ-
 ნია. „ამ ორ გარემოების გამო
 იგი კარგ ვხეზბე დამორებულნი
 ადგილები, საცა მარტო ხენა-თესვია,
 იგი მკვიდრნი, რომელნიც მარტო ამ
 ხენა-თესვის შე მჟუ რებენ, უნუგე-
 შოდ და უილაჯოდ დარჩენილნი
 არიან და ფულის შოვნის ვხა და
 კვალი დახშული აქვსთ“ (ილ. ჰევაძე-
 ვაჟი).

შეშამ მოიღბინა ბუხარში პრ. ბუხარში
 შეწყობილი შეშა მხიარულ გუნებაზე
 დადგა, გამხიარულდა. სჯ. ბუხარში
 შეშას კარგად მოეკიდა, ავინგინდა.
 როცა ბუხარში შეშას შეაწყობენ,
 ჯერ გაუქიორდება მისი მოკიდება,
 ხოლო ცეცხლი რომ გაჩაღდება, იტყ-
 ვიან: შეშამ მოიღბინა ბუხარშიო.

შეშინებულია პრ. შიში მოკიდებული
 აქვს. სჯ. ოღნავ გაბზარულია (ქურ-
 ძელზე ითქმის).

შეშეშვნა პრ. შენძრევა, მიწვე-მო-
 წვევა. სჯ. იბრუნებდა რისამე გაკე-
 თებამდ, სამოქმედოდ, თავს გამოი-
 ლებდა. „კარგად იცოდნენ, რომ როს-
 ტომი გონს მოუიდოდა, ძალუმად
 შე იშეშვნებოდა, ვეყავტურად
 შეებრძოლებოდა გასაქვირდა და მეხს
 დასცემდა ყველას ვინც კი მონაწილე
 აღმოჩნდებოდა ამ შეთქმულებაში“
 (ვ. ბარბოვი).

შედლებისადა კვალად პრ. შეძლების
 მიხედვით. სჯ. რის ნებასაც ძალა
 და ღონე მიძლევს, რაც შემიძლია.

შეწურვა პრ. შექედნება, გაქრობა.
 სჯ. მოსპობა საესებით. „თუმცა
 აუარებელმა მრეწველობამ, ფაბრი-
 კებმა და ქარხნებმა, როგორც დრუ-
 ბელმა შე იწურა ეს უბინაო ხალხი,
 მაგრამ საქაო იყო ერთს რომელსამე
 მრეწველობაში კრიზისი მოიხზარა იყო,
 რომ...“ (ილ. ჰევაძე-ვაჟი).

შეჭამანდ მოვხარშავ პრ. საქმელს
 დავეუხადებ. სჯ. ირონიულად -
 ვცემ, გავლახავ, დავემუქრები!
 (დაკინებით მეჭარბა: როგორც საქ-
 მელი შეეთვისოს სხეულს, ისე ჩემ-
 ნაცემი გაუჯდება სხეულშიო, ჩემის
 მუშტების გემოს ვაჩვენებ, ვინც მე
 მიუარებო).

მოპირდაპირ როცა იმუქრება, მი-
 სი პირის დასაყოფად მოპასუხე ეტყვის:

შეჭამანდი არ მომიხარშო
 ეო!..

შეჭივინებული ღვინითა პრ. ჭიჭინასა-
 ვით ახშიანებული ღვინისაგან. სჯ.
 შეჭივინებული, ღვინომოკიდე-
 ბული.

შეჭივინებული წარმოებულოა სიტყვა
 ჭიჭინა-საგან. ჭიჭინა მწერთა ჯიშია,
 სწორფრთებიანი, მროკავი, ყველგანა
 გვხვდება. მიწაში სოროებს იკეთებენ და
 იქა სცხოვრობენ. მამობითი სქესის
 ჭიჭინებს მეტად ძლიერი მოჭრიქინე ორ-
 განო აქვსთ. ღვინით შეჭივინებული
 ანუ „შეჭივინებული“ ადამიანი ენის
 წედმეტად ამოღებით და ერთს ალაგას
 გაუჩერებლობით და ცმუკვით ემსგავსის
 მარად მხტუნვ და მოჭრიქინე ჭიჭინას.

შეჭურვითა პრ. საქურველასმული
 მეტრთან შესაბამელად ან მის მოსა-
 ვერიებლად. სჯ. ყოველგვარის სა-
 მუალბის პატრონი ცვაოვრებაში გასა-
 მარჯველად. „შეცვირებთ, ხელოვნ-
 ნებით, ხელოსნობით შექურვილი-
 მია და ძლევაგამოსილა ევროპამ პირში
 ჩალაგამოაელო ამ მოხუცს ქვეყანას“
 (იხიას) (ილ. ჰევაძე-ვაჟი).

შეხილება პრ. ხიდად გამოყენება. სჯ.
 გამოყენება. სარგებლობა, გამოსადე-
 გობა, სარფიანობა. მგლ. ორი თუმანი,
 მართალია, ცოტაა, მაგრამ ამ უფუ-
 ლობაში ძალიან შემეხილება. ეს
 სიტყვა კახეთში ისმის. ახ ხიდი.

შეხტა და **შემოტრიალდა!** პრ. მიწის
 მოსწყდა ძალით და ტრიალი იწყო
 თავის გარშემო სხვადასხვა მიმარ-
 თულებით. სჯ. იტყვიცა, ეწყვიცა ძალ-
 ზე. გული მოიყვანა, იუკადრისა, თა-
 ვი შეურაცხყოფილად ჩასთვალა.
 „იფერიამ“ ამ ყოვლად საზიზზარს
 პირგახეულობას ბეზლობა დააოქცა
 და უსაყვედურა „Новое обоярние -ს:
 ე უბეში რომ გველი ჩაგჯდომია,
 რატომ ხმის არ იღებო. შეხტა და
 შემოტრიალდა ამახედ დმე-
 გმირი ზოილი“ (ილ. ჰევაძე-ვაჟი).

შვიდ მაისის წვიმა პრ. წვიმა, რომე-
 ლიც მაისის შვიდს წამოყა. სჯ. ძა-
 ლიან შემგო (განსაკუთრებით მო-
 საფლისათვის). მიმწველებელი, გაქო-
 რებისაგან მხსნელი, გამხარებელი.
 „ამა, თუ კარგი ჯველი ხარ, მიდი
 და გაახარე, გააღალანე, როგორც
 ვარდი ფურჩქნელი, ერთი შვიდ
 მაისის წვიმისავეით დაუნამე დამ-
 წვარი გული!“ (ვ. ბარბოვი). „წვიმიავ



შვიდ მაისისაო... წყნარად მონამე დილის ცისკრისაო“ (ხალხური). „შვიდ მაისის წვიმას, თმა კოქებადინაო“ (ხალხური). „შვიდ მაისის წვიმას, შეიდას თუნანდ ღირღაო, საწყალსა და არასმქონეს აღარ გუჟღირდაო“ (ხალხური). „შვიდ მაისამდე ერთი გოჯიო რომ არ იყოს ამოსული (ნათესობა), არ უნდა გემინოდესო“ (ხალხური დაკვირება).

„შვიდ ფეხი ყანა გქონდესო, შვიდ მაისის წვიმა მოხედესო, — იმედო გქონდესო!“ (ა. უმიაჟო ლი) „შვიდ მაისის წვიმით მთვრალი“ (ა. ლიონიძე).

მაისის ხაბაუნა წვიმა, ჩვენის ხალხის დაკვირვებით, კირნახულისათვის მეტად მარგებლად ითვლებოდა. იმავე დაკვირვებით ამ წვიმის მოსვლა თითქმის ერთხვერიდა მაისის შვიდს, როცა საქართველოში სხვადასხვა დღეობებით იცოდნენ. მაგალითად: თეთრი ვიორგობა, დიდგორობა, იოანე ზედაზნელობა (ზედაზნეში), შიომღვიმობა, თეთრი შვიდმაისობა (გორთან, სოფ. ხიდისთავსი) და სხვ.

მცხეთას ახლოს, ზედაზნეში. შვიდ მაისობას, როცა კირნახულს წვიმა სჭირდა, ზედაზნის ეკლესიაში დასვენებულ ლეთისმშობლის ხატს უწვიმობით გაქირებულ ხალხის სიბრალეულით თვალთავან ცრემლები წამოედინებოდაო. ამის ანალოგიით ცასაც უძველესად უნდა გადმოეშვა თავისი „ცრემლები“ — წვიმა. და მართლაც ნანინანატრი წვიმა საღამომდე წამოვიდოდა და დედამიწასა და ნათესობას გულს დაუანამავდაო.

შვიდ მაისის წვიმა ხელს უშობდა და შეელოდა ყოველსავე რაც დედამიწიდან აღმოცენდებოდა და იზრდებოდა. მცენარეთა გარდა, ეს წვიმა, ჩვენის ხალხის აზრით, თითქმის შეელოდა იდამიანის თმის ზრდასაო. ამიტომ ქალები, ვისაც გრძელი თმა ენატრებოდათ თავზე, შვიდ მაისის ზეცით წამოსულ წვიმას მიჰვართ თავს შეუწყურდნენ და სიანამსულ ერთთანად არ გაიწყურდნენ, არ მოეშებოდნენ, ამაზედაა გამოთქმული ზემომოტანილი ლექსი, რომლის თანახმად შვიდ მაისის წვიმას თვისება ჰქონდა, ვინც იმას მიჰმართავდა შემწყობისათვის, მთხვენელის თმა კოქებამდე გაეხარდნა.

თუ უნდოდათ, საუკეთესო სიტყხარის ძმარი ჰქონოდათ თჯახში, შვიდ

მაისის ნაწვიმარ წყალს აგროვებდნენ, შიგ ცოტა ღვინოს გაურევდნენ და დარწმუნებული იყვნენ, რომ საუკეთესო ღირებების ძმარი დაუდგებოდათ.

შვიდმაისობას სოფლის მეწამლე დედაკაცები დილაადრიანად მიხდნოდნენ ჯავლენ წამლების ბალახების მოსათხრელად. ამ დღეს მოთხრილს საექიმო ბალახს მეტი ძალა აქვსო და ავადმყოფის მოსარჩენად მისი ხმარება უტყუარიაო.

შვიდმაისობას, თანახმად ლეგენდისა, შიომღვიმის მონასტრის (მცხეთა-ახლოს) კლდეებში დამარხულ ადამიანს თა ჩონჩხის ხელებმა გარეთ გამოხვერა იცოდნენ თურმე. რა წელიწადსაც ხელი გამოჩნდებოდა, იმ წელიწადს კირნახული ზღვად უნდა გამსკვარიყო.

აი, ის თქმები, რაც დაკვირვებულთა შვიდ მაისის წვიმასთან. აღსანიშნავია, რომ ეს თქმები დარჩენილია ქართლ-კახეთში.

სამეგრელოში მაისის წვიმა მეტრონობაში მოსავლისათვის საჭიროდ და მარგებლად ითვლებოდა. ამას მოწმობს დარჩენილი თქმა: „მესიშ ნოტიო, კვირკვეში — სუფი“ ანუ მაისის ნოტიო (წვიმა) და კვირიკეობისთვის (მკათათვის) — ნამიო.

შვილი ჰრ. ბავშვი თავის დედ-მამის მიმართ. ზტვ. კაცი, განხილული თავის საშობლო ქვეყნის მიმართ, ჩამომავალი. „სიბრძენსთან ერთად ორი სიკეთე კიდევ ჰქონდა მიმადლებული ღვთისაგან. ერთი ისა, რომ იგი იყო შვილი, სისხლი და ხორცი ამა ერისა“ (ილ. კიკვაძე).

შვილის-შვილამდე ჰრ. შვილის-შვილსაც უწიოს. ზტვ. დიდხანს, დაუსრულებლად. „ღმერთმა ჰკითხოს და ნუ დაუღიოს ჩემი ცოლი შვილის-შვილამდე, ვინც მე მახე დამიგო, გამაბა შიგ და დამაქარგვინა ყველაფერი“ (მელანი).

შია შოშახაო ჰრ. შოშას საქმელი უნდაო. ზტვ. შოშას შია და მეცა მშიაო. „ამლე ვარეშები ზეოს აგვიქნევენ, გადავცდნენ (ჩვენს სამშობლოდან) და ჩვენ ჩვენი წინაპრების სამარეებზე უნდა ვვიხარეთ: „სია შოშასაო“ (ივანი).

შიგ რა ურია?! ჰრ. შიგ უწესრიგოდ რა არის მოთავსებული! ზტვ. არაფერია, არაფერადა ღირს!

ნათქვამი თუ საგანი ლაპარაკისა წარმოდგენილია როგორც ჭურჭელი რამ. რომელსაც არაფერი ფასი აქვს თავისთავად, ცარიელია, შიგ არაფერი აწყობია.

შიგ ცხენი გაქენდება ჰრ. შიგ ცხენს შეუძლია გაქენდეს. ზვ. დიდი, დიდის სიერცისაა.

ეს თქმა ჩხმარება სახლის ან ოთახის დიდის სიერცის გამოსახატავად.

შინ ჰრ. ბინა, ოჯახი ზვ. თავისიანები, შინაურები. -რა ღმერთი გაგაწყრა, რათ ვერ მიიხსი: რასაც შინ შენთან ვიტყვი, იმას განა ვარც სხვასთანაც ვიტყვი? (ილ. პაპავაძე).

შინშეკეტილი ჰრ. მარად შინმყოფი: ვარედგამოუსვლელი. ზვ. მუდამ ერთნაირი, მიძალული, უჩუმარი, არაფრის უნახავი, მოუწოდებელი რისამე ახლის ნახვისა. «სხოვერება ჩვენი მეტად შინშეკეტილია, მეტად მიძალულია თვალთაგან, საერთოდ უჩუმრად მოძრაობა, მეტად მლოვრად შილის. დღე დღესა ჰკავს ჩვენიში. თვე — თვესა და წელიწადი — წელიწადსა» (ილ. პაპავაძე).

შიოს მარანი ჰრ. შიო მღვიმელის მარანი. ზვ. სიმდიდრე უღვევლი. დიდი ქონება, უხეება, სავსება. «გოჩუნა ლეონოშ გაამხიარულა და თითქმის ღდაითრო, ხშირად გახედვად ბოთლს, შიოს მარანი ეგონა და გამოუთქმელ სიამოვნებასა გრინობდა» (ილ. ალდახანი). «სახლო, ღმერთმა ავაშენოს, როგორც შიოს მარანი, შვიდი ვაყიშვილი მოგცესთ, პირზედ ესხათ ბალანია» (პ. უზიაშვილი).

VI საუკუნეში საქართველოში ქრისტიანობის ვასაერტლებლად ასურეთიდან, იოანე ზედაზნელის მეთაურობით, ჩამოსულანათ. იამე ანი წმ. მიამინ. ერთს ათცამეტთაგანს, წმ. შიოს, მცხეთას ზემორე, აწინდელ ძეგვს პირდაპირ, მტკვრის მარცხენა მხარეს, ღვიმეში შიოს მონასტერი გაუშენებია, შემდეგში შიოს მღვიმელის სახელწოდება მიამისებია, ხოლო მონასტერს — შიო მღვიმისა. მონასტერთან შიოს მარანია აქონია. მისულ მლოცველებს თურმე უმასპინძლებოდა და ღვინოს ასმევდა, ქვევრები, თანახმად ღვეგნდისა, ისევე პირთამდე გაიგვებოდა თურმე. აქედან, თქმა «შიოს მარანი» გამხ-

დარა უღვევლის, უკლებ რისამე ქონების, უხეების სინონიმად.

შიშით სოროში შეძრომა ჰრ. შეშინებული ცხოველი. ბუნაგში რომ შეძვრება დასაძალადიდ. ზვ. დაძალდა, ცლა განსაცდელის ასაცდენად. «დახეთ, დახეთ, რა სოროში შეძვრა დაბადების უმალეს იფერია». თუშცა სოროში მიმალთ თავე კუდი კი ვარეთ დაგრჩათ» (ილ. პაპავაძე).

შიშით სული სცვივა ჰრ. შიშისაგან სული ძირს უვარდება. ზვ. ძალზე ეშინიან. «სიამბრმა მიუსვ-მოუსვა, მიჭამ-მოჭამა ყველაფერი, ღუჭმა აღარაფრისა გადარჩა, მერე უღვაშებზედ გადისო ხელი. შესცვივოს ეს კაცი, შიშით სული სცვივა, აქ მეც არ ჩამულაპოსო» (თ. რასიაშვილი).

(ცხიბე) შიშით ძირს პინჭველას ვერ გაუვლია და მაღლა ფრინველს ჰრ. დედამიწაზე პინჭველასაც კი ეშინიან და ზეცაში — ფრინველს. ზვ. ყველა სულიერს არსებას ეშინიან მავანისა, მეტად ძლიერია. «შენ ვინა ხარ, აქ ჩემის შიშით ძირს პინჭველას ვერ გაუვლია და მაღლა — ფრინველს» (თ. რასიაშვილი).

შიშის ქარია აიტანა იხ. შიშის ქარი ჩავუყენე.

შიშის ქარი ჩავუყენე ჰრ. შიშის ქარი სხეულში დაუუსადგურე. ზვ. ძალზე შევაშინე. გული გაუხეთქე. «ინის (მავსიმოვირის) სიფუნებე და გულქეობაზე ბევრ საარაკო რამეს ღაპარაკობდნენ. ყველა შიშის ქარმა აიტანა, მასწავლებელიცა და მოსწავლეებიც» (ავაკი).

შიშის კამა ჰრ. პირის საშუალებით შიშის ჩაშვება სხეულში. ზვ. წუხილის განცდა რაიმე სახიფათო ვარემოების გამო.

შიში - განყენებული ცნებაა, წარმოდგენილი როგორც კონკრეტული რამ. ეთქვით საშველი, რომელსაც შეუძლია სხეულში შესვლა მხოლოდ პირის საშუალებით.

შორეული ჰრ. დიდ მანძილს იქით მყოფი იმ ადგილიდან და იმ დროიდან, სადაც იმყოფებიან და რომლის შესახებაც ღაპარაკობენ. ზვ. არანათესავი, არამოკეთე. «აი, ამასა ჰქვია — ერთსა და იმავე დროს კაცმა თვალი უყოს მეზობელსაც და მოსარჩელსაც,



მჩერსაცა და მოყვარესაც, შორეულსაც და მახლობელსაც. ერთმანეთზე წასაქებებლად" (ილ. ჭავჭავაძე).

შორიდან უჩრება ჰრე. დიდი მანძილიდან ცქერა. ხვვ. გულგრილად მოქცევა ვისსამე გაქირებაში, მონაწილეობის მიუღებლობა რამე საქმეში, უდარდლობა, უზრუნველობა, რამგამობა, უგრძობლობა, გულგრილობა.

შორით მოვლა ჰრე. შორი გზის გავლა, ახლო გზის გავლის მაგიერ სადმე მისასვლელად. ხვვ. სანამ სათქმელს პირდაპირ მოკლედ იტყოდეს, კაცი, ორ იმდენს სულ სხვა რასმე რომ იტყვის; ახლოს გაუყარებლობა. „ამის შემდეგ ჰაბუჯი შორს უვლიდა ქალს, თუმცა გული უკედებოდა, სხვა გზა არ იყო“ (ვ. ბარბოვ).

შორი-შორ ჩავლა ჰრე. შორს მოვლარომლისამე საგანზე. გინა აღვიღწე-ხვვ. შორიდება, უნახველობა, გზის აქცევა. „მერე აგვავესენ მრავლითა ტურთა ფერითა მღვენითა; ვიცი, შორი-შორ არჩავლა ჩვენ თქვენი კარგად ვქმენითა“ (შ. რუსთაველი).

შორს აქაურობასი ჰრე. ამ აღვილიდან (საცა ამჟამად ჩვენა ვართ) შორს იყოს! ხვვ. ჩვენ (მოლაპარაკეთ) აგვაირიდოს ყოველი შორი და ბოროტი, დაგვიფაროს უბედურობისაგან! „მადლობა ღმერთს, ცოცხალს გებდავ, დაუშავებელს. ომის შემდეგ გაავრცელეს, მიიმედ დაჭრილი გაიტაცესო ამსახაგებმა, მერე ისიც თქვეს, — შორს აქაურობასი! — გარდაიცვალაო“ (ვ. ბარბოვ). ახ. შორს ჩვენ-გან.

ეს შორისდებული უდრის იმისსავე მსგავს თქმას შორს ჩვენგან! ს და იზმარება იმ შემთხვევაში, როცა ლაპარაკში სიკვდილს ან რაიმე თავის სიმძიმით სხვა, სიკვდილის სადარ, სიტყვას ახსენებენ. ჩვენი ხალხი დარწმუნებულია, რომ სიკვდილი მის ხსენებზე მოდის ჩვენთან და ჩვენ შეგვიძლია დავუშალოთ მოსვლა, თუ ასეთს, თავიდან მოშორების, სიტყვების ფორმულას მივაჯებებთ წინ.

შორს გადავდება სიტყვისა ჰრე. მოლაპარაკისაგან შორა სროლა სიტყვისა. ხვვ. სულ სხვა საგანზე ლაპარაკი, ვიდრე ამას ლაპარაკის თემა მოითხოვს, პირდაპირ თემამე ძალზე ახ-

ვევა. „მართლა-და ძილში ლაპარაკობდი, — შორს გადაუგდოს იტყვა ვიორგემ, — სულ ამას იძახობდი: ღმერთო, მიხსენ, ღმერთო, მიხსენო!“ (ილ. ჭავჭავაძე).

შორს დაქერა ჰრე. შორს გაჩერება, ახლოს არმიჯარება, დაუახლოვებლობა, ხვვ. უარის თქმა, დაუთანხმებლობა, შეურიგებლობა. „მათ თქვენი მოწერილობა დიდი შორს დაიქირესო“ (დ. გუზარაძე). „ლუარსაბ მეფემ შორს დაიქირა და უპასუხა: „უკეთუ ყოველი ქვეყანა ჩემდა იყოს, არა თავს ვიღვა სიყვავთა და ქადაგებათა მენდა მორჩილებანი“ (ილ. ჭავჭავაძე).

შორს დაქერა გულისხმობს ძალზე შორს დგომას ლაპარაკის საგანზე, ახლოს არმიჯარებას, ე. ი. უთანხმოებას, დაწუნებას. ცივის უარქს თქმას, მაგალითად, რაიმე საქონლის პატრონს მუშტარმა საქონლისათვის თავისი ფასი შეაძლია. საქონლის პატრონმა კი შორს დაიქირა ე. ი. შეძლებული ფასი არ მოეწონა, რადგან ეს ფასი ძალზე განსხვავდებოდა იმ ფასისაგან, რის აღებამას გულში ელო.

შორს რათ მივიღვართ? ახ. შორს წასვლა.

შორს წასვლა ჰრე. განშორება, დიდი მანძილის გავლა. ხვვ. ლაპარაკის საგანისათვის თავის არიდება, სულ სხვა რაზედმე ლაპარაკი; წარმატება, გამარჯვება, დაწინაურება. „მოითმინე, ყმაწვილო! შორს წახვეალ! წარმოსთქვა მოლაროვმა, თუ „სიბრძნე-სიცრუეში“ ის, რომელიც შენ ჩამოსთვალე, გაუგონარია, მაშინ ჩვენ ქართულს სულ ველარას გვივებთ“ (რ. ვრითაძე). „ადრევეც მითქვამს შენთვის, რომ შენი ადვოკატობით შორ ვერ წახვეალ! ერთი თასი თუმინი რომ დახარჯო, მილიონის საქმეს ჩავიგდებთ ხელში!“ (ავს. ცაგარელი). „შორს რათ მივიღვართ! აი თითონ რუსეთი ავილოთ მაგალითად. ჯერ, ჩვენს ხსოვნაშივე, თავის გამოჩენილთა კაცთა არავეთარს უჭრადლებას არ აქმედდა“ (ილ. ჭავჭავაძე).

შუა კედელი ჰრე. ორ რისამე ან ვისამე შორის მდებარე კედელი. ხვვ. გამყოფელი, ერთიმეორისაგან მოშორებული, შეერთებულის რისამე გამიცალკეებელი. „დიდსა სისხლსა



ვერ შეგაქნევ, ვერ ვიქნები შუა-
კედლია“ (შ. რუსთაველი); „სიესა
და ნატურისთელას ქორწინებას —
შუაში კედლსავით დამაბრკო-
ლებელ მიხეხად პატარა ნუტკა, ნატ-
ურისთელას ქალი, ვახლოვდა“ (ყვ-
ყარამანიძე).

შ. რუსთაველამდე სიტყვა შუა
კედელი, ორის რისამე ერთმანე-
თისაგან გამაშორებელის აზრით ნახ-
მარი, გვხვდება ახალ აღთქმაში:
„რამეთუ იგი (იესო ქრისტე) თაყვანი
არს მშვილობა ჩვენი, რომელმან შეჰ-
ქმნა ორივე ერთად და შუა კედე-
ლი ზღუდისა მის დაჰსნა“ (მფს-
სულია).

შუაში ყოფნა ჰრდ. ორ რისამე ან ეი-
სამე შორის მოთავსება. ზვ. ბრა-
ლიანება, დაშავება, დანაშაულიანო-
ბა. „გინდათ „მაჰა“ დაარქვით ამის-
თნა კაცს, გინდათ „შვილი“, აქ სა-
ხელწოდება არაფერს შუაშია,
ოღონდ კი ეს ვიცოდეთ, რომ მაგის-
თნა კაცი ჩვენი კაცი არ არის“
(ილ. ჭავჭავაძე).

შუბის ტარი ჰრდ. გრძელი ჯოხი, დაახ-
ლოებით ორის მეტრის სიგრძისა.
რომელზედაც რყინის შუბია გაკეთე-
ბული, მეტრის ვასავშირავად. ზვ.
სიგრძის საშობი. ზგლ. საღამოს ხანი
იყო. მზე შუბის ტარზედღა
იღვა.

შუბლვახსნილი ჰრდ. ვისაც შუბლი მო-
ღუშული არა აქვს ზვ. არამწყრა-
ლი, არამრისხანე; მხიარული. „იმ
დღეს, როცა გიორგიმ დააბირა არ-
ჩილიანთას წასვლა მოჯამაგირედ
დასადგომად, ისეთი მხიარული სახე
ქჷონდა, რომ ოთარაანთ ქერიემა სია-
მოვნიბითა სთქვა: — ძღვის შუბლ-
ვახსნილი არა ვნახე!“ (ილ. ჭავ-
ჭავაძე).

შუბლვაუხსნილი ჰრდ. ვისაც შუბლის
კუნთები შექმუხნილი აქვს. ზვ.
მწყრალი. განრისხებული, გულმოსუ-
ლი, დარდიანი, დაფიქრებული. „მა-
მაკი ცალკე ოთახში დაღრეჯილ-და-
ღონებული, შუბლვაუხსნილი,
ერთავად წერს რასღაც დაფიქრე-
ბული“ (შ. ბღემალი).

შუბლზე არაფინ აკოცებს ჰრდ. შუბლზე
ბაკეებით არაფინ მიეკარება, ან ემ-
თხევა. ზვ. არაფინ მოუღერესნს,
არაფინ დაუმაღერეს, ბარაქელას

არაფინ ეტყვის, არაფინ მოუწონებს
საქციელს.

შუბლზე აწერია (ღმერთისაგან) ჰრდ.
შუბლზე დაწერილი აქვს რამე. ზვ.
მომავალი ბედი, ის, რაც უნდა გა-
დახდეს (კაცს) ცხოვრებაში და რაც
არ აცდება, რის ბედიცა აქვს. „და
თუ მე ჩემი გადამხდა და იმას თა-
ვისი, ესეც ღვთის ხება იყო — რაც
კაცს შუბლზედ უწერი, იმას
ვერსად წაუვა“ (უღანია); „ხიფათი
რომ იქნება, იქნება, — ანუგება —
ვილაცამ პეტრე, — ალბად ეგ წერე-
ბული მაგის შუბლზე!.. შენი
რა ბრალია?!..“ (ილ. ჭავჭავაძე).

ცრუმორწმუნეთა რწმენით, ადამი-
ანი რომ იზადება, ზეციერის ხელით
მის შუბლზე იწერება ამ ადამი-
ანის ბედი, რაც უნდა გადახდეს აუცი-
ლებლივ მისს ცხოვრებაში. იტყვიან
კიდევ — ანაწერიაო.

შუბლზე მამალ ბუზსაც არ ისევამს! ჰრდ.
ბუზსუშლის შუბლზედ დააჯდეს. ზვ.
ამაყია; ქედმაღალია, უკადრისია. „ბ-ნი
მარი, რომელიც, ერთარცა დიდგუ-
ლა მეცნიერი, შუბლზე ბუზსაც
არ ისევამს, უბრალო სიკვდილის
შვილი ხომ არ არის?...“ (ილ. ჭავჭავაძე).
მამალი ბუზი, დედალ ბუზთან შე-
დარებით, უფრო მარჯვე და შემმარ-
თებელია. როცა ვისიმე ამპარტყუნობა
და ზეიარობა გვინდა გამოვხატოთ,
სხვათა შორის, ეამბობთ ხომოვ: მამალ
ბუზსაც არ ისევამს შუბლზეო. ე. ი. კაცი
იმდენად მოთაკილეა, რომ იბა ბუზი
რა არის, ბუზიც კი, თუნდაც მამალიც,
არ უნდა დაისვას შუბლზედო, დააჯ-
დება თუ არა, მაშინათვე უნდა ააფრი-
ნოსო.

შუბლზე თითის მიკვრა ჰრდ. მოგონება
რისამე, მიხედრია. „რა წამსაც წა-
ვიკითხე და შევეითვისე, როგორც
რიგია, ოჯახის ფილოსოფია ვამარ-
თელისა, მაშინათვე შუბლზე თითი
მივიკარ და ვსთქვი დიდის გულის-
ხმითა ჩემითა: ჰა!.. აი ქვეყანას რო-
დის ვაეხსნება-მეთქი გზა საზოგა-
დოებრივი იდეალისაკენ“ (ილ.
ჭავჭავაძე).

როცა უცბად რამე მოგვაგონდება
ან რამე ძნელ მისახვედრელს მიეუხე-
დებით, სალოკ თითის უკან შემობრუ-
ნებულს, შუბლზე ვივიდებთ და ვიტყ-
ვით: შენ, ჩემო თავო, ეს როგორ არ
მოვიფიქრეთ!..

შუბლზე ხელის გადახმა (სხვისათვის) პრ. შუბლზე ხელის მოვლება. სტვ. მოფერება, წაქეზება, მადლობის ოქმა, მოაღერება. „იხილეთ მისი სხვადასხვა ამბები, რომლებსაც სიზმარში ხედავს და თუ სიზმარმა უღალატა, თითონ მოაჯორებს დაენას მიუტანს“ (ციცკრისა რედაქციას, რომელიც ერთგულობისათვის შუბლზე ხელს გადაუხვამს ხოლმე“ (ილ. ჰავაჯაძე).

როცა უაღერებენ ვისმე ბავშვს ან პირუტყვს (ძალს, კატას, ჩიტს), შუბლზე ან თავზე ხელს გადაუხვამენ ხოლმე.

შუბლზე ხელის შემოკვრა პრ. შუბლისათვის სიბრტყით და სწრაფად ხელის ხლება. სტვ. მწუხარება, სასო-წარკვეთილება, უბედურება.

მიცვალებულის ტიროლის დროს მოტირალი შუბლს იტყუვს გაშლილის ორივე ხელით. აქედან მოულოდნელად სამაიმო ამბის გაგონებაზე შუბლზე ხელს შემოვირტყამთ ხოლმე ჩვენის სინანულის თუ მწუხარების გამოსახატავად.

შუბლის ვაშლა ან. შუბლის გახსნა.

შუბლის შეკრა პრ. შეკუმუნა შუბლისა, მისი დანაკება. სტვ. ვანრისხება, სახეზე დაჩენა წყრომისა და უკმაყოფილებისა დაფორება, გულმოსულობა. „მეფემ შუბლი შეიკრა ან იქ მყოფმა ნაზირ-ვეზირებმა კბილებს დაუწყეს ღრქნა, ხოლო მეფის წინ ხმის ამოღებას ვერა ბედადენინ“ (ვაჟა-ფშაველა; „ქალო, ეგეთი კანონია, და წესის შემოა არ შეიძლება. ეგ მხეველია ნასყიდი და ყური უნდა ჰქონდეს ბატონმა ამის ნიშნად. — ბრძანა ბატონმა და შუბლი შეიკრა“. (მ. ბაჩოვი).

წყრომისა, გაჯავრებისა, დარღ-ნალგელის, დაფორების დროს ადამიანის შუბლის კუნთები შეიკმუნება, დანაკლებება. წარბები ერთიმეორისაკენ მიიწვიან და შეიკვრის. პირისაზე მკახდება და ვამბობთ: კაცმა შუბლი შეიკრა.

შუბლის გახსნა პრ. შეუკვრელი მდგომარეობა შუბლისა. სტვ. გამხიარულება, წყრომის დასრულება, კმაყოფილება. „სხვა დროს ამისთანა (მშვენიერი) ცა. ამისთანა (საუცხოვო დილა ოთარაანთ ქერვისაც) კი გაუხსნიდა მკახე შუბლსა. ესლა

კი დარდი და ნაღველი არ აცლიდა“ (ილ. ჰავაჯაძე); „— ეგ ჯამი და ხონჩა რად-ლა გინდა? — მკითხა დედა, კაცმა და. ცოტა არ იყო, შუბლი გაახსნა“ (ვაჟა-ფშაველა).

როცა კი გუნებაზედ ვართ, განსაკუთრებით თუ რამე გვახარებს, წარბების კუნთები იქით-აქეთ გაწეულია, თვალები გვიცინის, სახეზე საერთო კმაყოფილება გადაგვეფენია. შუბლი გადაქიმულია, და ასეთვე ვამბობთ ხოლმე: შუბლი გაახსნილი აქვსო.

შუბლის შეხრა ან. შუბლის შეკვრა.

შუბლმა (მავანისამ) ღრუბელი დაიხსნა პრ. მავანის შუბლს ღრუბელი გადაეფარა. სტვ. მავანი უნდა გაწერეს, გული უნდა მოიყვანოს მგლ. ჩემს ძმას იმდენი ცუდი რამ აკადრეს, რომ მისმა შუბლმა ღრუბელი დაიხსნა.

გულის მოსვლისა და რაიმე საწყენისა თუ დაღონების დროს ადამიანის შუბლი და წარბები შეიკვრის, მთელი სახე მოაღუშება. რისთვისაა გამომეტყველებას ღებულობს, რაიცა გამომხატველია მის სულიერ აფორაქტულ მდგომარეობისა. და ასეთი სახე მისი დაღარებულია ღრუბელს, ცას რომ გადაეფარება წვიმის წინ, და მზის სინათლესა და სხვისობასა ჰჭარავს და თვით მზეს ჩვენთა თვალთათვის აუხიარებს.

შუბლმორეცხილი პრ. ვისაც შუბლი მოზანილი აქვს წყლითა. სტვ. უსირცხვილო, უპირული, უნამუსო, უტიფარი. მგლ. ისეთ შუბლმორეცხილისა ვან ნამუსიანობას აღარ უნდა ელოდეს ადამიანი.

ჩვენის ხალხის ძველებურის წარმოდგენით, ფსიქოლოგიური განცდანი: სირცხვილი, პირიანობა, ნამუსიანობა, პატიოსნება ადამიანს დაბადებითვე დაჰყვება და შუბლზე აქვს იბტექილი; შუბლია გამომხატველი ადამიანის ამა თუ იმ სულიერ მდგომარეობისა. მაგრამ ყველა ადამიანი თანაბრად ვერ განიცდის პატიოსნებისა და ნამუსიანობის ზეგავლენას. ადამიანი უსირცხვილობა სირცხვილიანობაზე უფრო ემარჯვება. პირის გატეხა ეადვილება, პატიოსნება მისთვის თითქო მეტი ბარჯიაო. ერთის სიტყვით, ასეთს ადამიანს შუბლიდან წამილი აქვს ეს გრძნობები ანუ, როგორც ჩვენი ხალხი

სურათხატოვანად ამბობს ხოლმე,
შუბლმორეცხილია.

შუბლადია ის. შუბლგახსნილი.

შუბლშეკრული პრე. ვისაც შუბლი
შექმუხენილი აქვ. სჯვ. განრისხებუ-
ლი, გამწყრალი, უქაყოვილი, გა-
ჯავრებული, გულმოსული, დაფიქრე-
ბული. ის. შუბლის შექცრა.

შურდულით ქვის სროლა პრე. შურ-
დულის საშუალებით ქვის ტყორცია.
სჯვ. განქიქება, ძაგება, საგიობელი
სიტყვების თქმა, დამცირება. „ვის
არ მოხვედრია, მაგალითებრ, ამის-
თანა შურდულის ქვა: ეს უბრა-
ლო, მარტივი საქმე არ ესმის ამასა
და ამასაო“ (ილ. ჰევეაჟი).

შურდული — სატყორცნი იარაღი
ტყავის ნაჭრისა და ორ ნაჭერ ბაწრის-
საგან შემდგარი, რომლის საშუალებით
ძველად ქვის და თვით ტყვიას ესროლ-
ნენ ბერს. 40 ნაბიჯზე კაცსა ჰკლავდ-
ნენ. ძველადვე განთქმული იყვნენ, რო-
გორც საუკეთესო მეშურდულენი, კუნ-
ძულ ბაღეარის (ხმელთა შუა ზღვის
დასავლ. ესპანიასთან) მცხოვრებნი.
დღეს შურდული, ბავშვების სათამაშო-
დაა ქცეული. იმავე დანიშნულებისა-
თვის (ქვის სასროლად).

შუქური პრე. შუქმუნარე ვარსკვლავ-
ის მსგავსი. სჯვ. მეტად ლამაზი.

„ჩემს გვერდზედ თურმე ბრწყინვა-
ლებდა ბედის ვარსკვლავი, მე სად
ვიქებდი?!“

— ბედის ვარსკვლავი, ბატონო მეფე...
— რა შუქური! ან ის ქალი ემ
წამსვე აქა, ან სიცოცხლე ჩალის
წონად შემთასებია“ (ვ. ბ. ოიათა); „თავ-
ზედ დამხურა შუქური“ (ვ. ლო-
ნიკი).

შუშუ პრე. და სჯვ. მოსულელო, ვისაც
ყველა მოატყუებს, უქყო.

შხამად ამოგვივით (სიხარული) პრე.
„შხამად გადაგვეტყვიათ და ისე ამო-
გვივით პირიდან. სჯვ. წაგმწარდებათ,
ინანებთ, საღარდებელი გაგხიდებათ.
„ქვრივი (გლეხებს). გიხარიათ განა!
დაიცადეთ, შხამად ამოგვივით
ეგ სიხარული“ (ილ. ჰევეაჟი).

შხამად შემერგოხ დედის რძე პრე.
დედის რძე შხამად გადამექცეს. სჯვ.
არაფრის ღირსი ვიყო, დავისაჯო.
„შხამად შემერგოხ დედის
ჩემის რძეო, არამი იყოს ჩემზედ
დედის ჩემის ამაო, თუ... და ვერ
გაათავა სიტყვა“ (ილ. ჰევეაჟი).

შხამასხალა მასვა პრე. შხამი და სამ-
სალა დამალენია. სჯვ. გამიმწარა
სიცოცხლე, დამტანჯა, მაწამა.

ჩ

ჩააცივდა საკირესა! პრე. არ მოეშვა
საკირესა. სჯვ. რამე აიხირა, ჩააცივ-
და რასმე, რამე აიჩნება ჯიუტურად-

დიდი, დაუსრულებელი დავიდარება,
დიდი სიფრთხილე სჭირია კირის გამო-
საწყევად საკირეში კირის ქვების ჩაწყ-
ობას და ჩალაგებას. ერთი ბეწოთი
რომელიმე ქვა თავის ალაგზე თუ არ
დაიღო, მთელი საკირე დაბრკოლდება,
ქვის ნორმალურად გამოწვას ხელი შე-
ეშლება. ამიტომაცაა, რამდენს უკირკი-
ტებენ, რამდენს „ჩააქივდებიან“ ხოლმე
საკირეს, სანამ კირის ქვის წვას შეუდ-
გებოდნენ.

ამიტომაცაა ზემომოტანილი თქმა
ღირჩენილი, როცა რაიმე საქმის ვაკე-
თებას ერთგულობენ, ჩააცივდებიან,
ზედ გადაეგებიან ხოლმე.

ჩაბარდა პატრონს პრე. ვისაც ეკუთ-
ვნოდა, ისევე იმას დაჩაბ. სჯვ. ავღლებუ-
ლი კილოთი: მოკვდა, დაიღუპა; მისი

საქმე მორჩა, გაქრა. „ცხოვრობდა
ეგოთ ჩვენი დათო, მადლიერი ღვთი-
საც და კაცისაც, ნანამ ამისი საწყა-
ლი ჯალაბი, შემდეგ რამთვენიმე
ხნის ციებისა და სოულის დალაქის
წარმატებულ აღმოშობისა, არ ჩაბარ-
და პატრონს“ (ილ. ჰევეაჟი).

„ჯავრისაგან იმ კალმას ლაზთთანად
მიამდა (ლუარსაბი), მოუვიდა კუქის
ანთება და ჩაბარდა პატრონსა“
(ილ. ჰევეაჟი).

ჩაბულბულეა პრე. ბუღბუღივით ჩა-
რაკრაკება. სჯვ. დაწერილის ან ნა-
ბეჭდის ჩქარა წაკითხვა, ზეპირად
თქმა რისიმე. „ეთონანს მარჯვედ იყ-
ვნენ მოწაფეები. საზეპირო როცა
ჰკითხეს, იმათაც ჩაბულბულეს“
(აქაჟ); „ამისთანა ქართული ვაწავლე
ანხატის ქუჩაში დიაცანთან ხუთ
მანეთად, რომ რაც უნდა წიგნი მო-
გეტანათ, ერთს წამს გადავი-

ბ-ო ლ ბ უ ლ ე ბ დ ი“ (ვაჟა-ფშაველა);
„არა, შე ოჯახქორო, მაგას რო მა-
წყვდი, გა და ვ ა ბ უ ლ ბ უ ლ ე ბ თუ?!“
(მ. არაგვისპირელი).

ჩაბუქნა პრე. ცეკვა მუსულების მოღრე-
კით. ზ.ჯვ. ცდა, მაჟოლებელს აამო,
მის გემოვნებაზე გაიარო. „აბა ერთი
სხვა ილაღმა გაქქროლოს ამ უარ-
მყოფელ ვაებატონებს, თუ სულ სხვა
პანგზედ არ დაიწყონ გალობა და
სულ სხვანაირად არ ჩაბუქნონ“
(ილ. პაპუაშვილ).

ჩაღის გემო აქვს (ღეინოს) პრე. ერთ-
გვარი მცენარის ფოთლის გემო აქვს.
ზ.ჯვ. ვითომ არ ვარგა!

ჩაღი — მცენარეა, რომლის ფო-
თოლს ყურძნის წურვის დროს ნაეში
უფენენ ყურამენს. ამ თქმაში სიტყვათა
თამაშია: ჩაღი — მცენარეა და იგივე
ჩაღი — ზმნა ჩასვლა-საგან, ე. ი. ჩაღის
(ღეინო) მუცელშიო. ხმარობენ ამ ფრა-
ზის ღეინის სმის დროს ირონიულად:
ღეინის სმა უნდათ, მაგრამ ვითომ სწუ-
ნობენო.

ჩაგოქეცა შენის პატვისცემით პრე.
მოვისპე, დაეღუბე შენის პატვის-
ცემით. ზ.ჯვ. შენგან უხომო პატვის-
ცემა მაქვს მიღებული, მეტის-მეტე
პატივი გიცია ჩემთვის.

ეს თქმა დაკნინებით და ყვედ-გები-
თია. ეტყვიან ისეთს, ვინც იკვების და
ვისმე ამუნათებს — პატივი გეცია და
ნამდვილად კი კნინი პატივი არ უცია
ვისთვისმე.

ჩათვლით კითხვა პრე. სიტყვის დანა-
წყევობა და მოყოლით ასოების სა-
ხელის თქმა. ზ.ჯვ. მიამედ კითხვა,
ვაგების დაწყება. „იმავე პროსემინა-
რიის პირველს განყოფილებაში თუმცა
ქართულს ასწავლიან თურმე, მაგრამ
ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ
ბავშვმა ჩათვლით კითხვისა
და ქართულის ასოების ჯღაბნის მე-
ტე არა ისწავლოს-რა“ (ილ. პაპუაშვილ).

ჩაილურის წყლის დაღვეა პრე. მდინა-
რე ჩაილურის წყლის შესმა. ზ.ჯვ.
უკვალოდ, უიმედოდ დაკარგვა რი-
სამე, მორჩობა. წასვლა, ვითაეება.
„ეგროპის უკეთესმა ლინგვისტებმა და,
იმათ შოიის, ჩენის აეტორის კლაპ-
როტმაც წინანდელ აეტორებს ჩაი-
ლურის წყალი დააღვეინეს და
ქართული ენა ყველა ამ ენებისა-
გან განაკუთრებულ ენად ჩასთვა-
ლეს“ (ილ. პაპუაშვილ). „ჩვე, მაღლობა

შენთვის, უფალო, რამდენი ღეთის
გამარისხეიელი უსამართლობა ტრი-
ალებს უსამართლო ხალხში და კვი-
ლის გამომჩნარეელი და მთქმელი
რომ აღარაიენ არის დღესაც ჩაი-
ლურის წყალსა მსგავსს“
(დ. მაჩხანელი). „თუმცა ჯვარის წერის
შემდეგ ზევრმა კვირამ, თვეებმა გა-
ირბინა, ჩაილურის წყალი და-
ლიცა, მაგრამ გარსეიანის გაპირის-
ტაეებას აღარა ეშვეო რა“ (ენ. მენ-
თეშაშვილი). „ჩახუბსა და ლანძღვა-გი-
ნებას ჩაილურის წყალი და-
ეციოა, მათ მიდამოს არ იბადებოდა
შხამი და ბოროტება“ (ვაჟა-ფშაველა).
ჩაილური — პატარა, უბრეტენიო

სოფელია ქიზიყში, სოფ. შატაანთან
(გარეკახეთი). ზედ ჩამოდის პატარავე
მდინარე — ჩაილურის წყალი, დროს
კალაპოტიანი, მაღალნაპირებიანი. სოფ-
ლები სარწყავად ვერ იყენებენ. თან
თითქმის მუდამ მღვრიცა და, თუ არ
გაპირების დროს, სასმელად ერიდებიან
მის ხმარებას. შენიშნულია, რომ ამ
წყლის სასმელად ჩასული საქონელი
პატრონს უკან აღარ უბრუნდება,
უკვალოდ იკარგვის.

ძვილად, შიდა-კახეთიდან მოპარულ
საქონელს ქიზიყში გასასაღებლად
რომ წამოასხამდნენ ქურდი ლეკები,
თუკი ჩაილურის წყალზე გამოატარებ-
დნენ („ჩაილურის წყალს დააღვეინებ-
დნენ“), უკვე სამშვიდობოს გულდებო-
დათ თავი: პატრონების ღვეინისა აღარ
ეშინოდათ. ლეკეთიდან წამოსულ ქურ-
დებს ამ უშიშროებრს პუნქტზე დახე-
დებოდნენ მათი აგენტები, რომლებიც
ნაქურდალს ჩამოართმევდნენ და სამა-
გიეროდ საქონელს მისცემდნენ ლეკეთ-
ში გასასაღებლად.

ასე, რომ საქიზიყოდ წამოყვანილი
ან აქედან წასაყვანი საქონელი, ერთი
და ერთი, ჩაილურის წყალზე რომ გა-
მოივლიდა, უკვე დაკარგულად ითვლე-
ბოდა, ანუ, როგორც ხალხმა სურათ-
ხატოვანად გამოსთქვა, „ჩაილურის
წყალს დააღვედა“.

შემდეგში, კერძო საკუთრებაზე
ილაგობრივის შეხედულებების აღნიშვნის
გარდა, „ჩაილურის წყალდაღვეინებუ-
ლად“ ითვლება ყველი-ფერაი, რაც ხე-
ლიდან წასულია, რაც დაკარგულია,
რის უკანდაბრუნების იმედი პატ-
რონს აღარ უნდა მქონდეს, რასაც სა-



მუდამით უნდა გამოეთხოვოს.

თითონ სიტყვა „ჩაილული“ თათრულია: ჩაი — წყალი და ლული — დენა. მდინარე წყალი ანუ მდინარე.

ჩაკარბილება პრდ. კასრში ჩაყრა. სკვ. შენახვა, დაცვა. ყოველივე ხილული ერთად ჩაეკასრბილოთ, კალათებში გამოეწყოთ, რაც კი რამე მოეახლოთ“ (მ. მღვიმელი).

კასრი — ხის ქურქულია, რისაზე შესანახად სახმარი ოჯახში.

ჩაკენვა პრდ. კენჭებივით ჩავდება რისამე. სკვ. დაწვრილებით მბობა ამბისა, დაბეზლება, იმისი თქმა, რაც არ უნდა ეთქვა. „სხვა არა იყოს რა, დიდმარხვია, ადამიანებო! შენი დედამთლი ჩემ კალთაში გაიზარდა და მე კი ჩემ წუთისოფელშიაც არ მიწახავს იმის სახლში ალი და შენ ვინ ჩაგვიკენჭაო“ (დ. მახანელი).

ჩაკირვა პრდ. კირით გამავრება რისამე. სკვ. გაღონიერება, გამავრება, კირკიტობა. „ამ ხეობაში ბობოლა ხომ არაფერ მომკვდარა? — შეეკითხა შამა მათი. — ისეც გაუწყრებათ ჩემი გამჩენი! თქვენმა მზემ, ისე ჩაკირულან, რომ იმათი სიკვდილი საფიქრებელი არ არის! — უპასუხა შამა იაკობმა“ (ან. ვახსთავ-ხოსტარია).

ჩაკირვას ანუ დულაბას ჩასხმას მიმართავენ ამა თუ იმ ნივთს რისაზე გასამავრებლად. მაგ., როცა უნდათ ქვევრი მიწაში ადვილად არ გატყდეს, არ ლახლახებდეს და მაგრად იყოს, დულაბს ანუ კეიშა და ღორღარევი კირს შემოუსხამენ ვარშემო და ამაზე იტყვიან: ჩაკირენ ქვევრიო, ძველად ჩაკირვა იყოდნენ აგრეთვე სააღდგომო კვერცხისა, რომ კირკიტა გამოსულიყო და გაეფლო კვერცხების დარტყმისათვის.

ჩაკრფა პრდ. ზევიდან ქვევით წამოსვლა. სკვ. ნალექისაგან, დარღისაგან მოკრბება, დაღონება, შეწუხება. „ამან უფრო ჩააფიქრა ქალი, იგი ჩაკრიფა, თვალთ ცრემლი მოედინა“ (ვ. ბარნოვი).

ჩალა და ბუჩია პრდ. მონაგავი ჩალის მსგავსი. სკვ. არაფერია, ყოველს

ღირსებასა და ფასს მოკლებულია. „როცა კი მომაგონდება ჩემი სოფელი ერეთი, ჩალა და ბუჩი მგონია იმასთან მთელი ხმელეთი“ (ვაჟა-ფშაველა).

ჩალადაც არა ღირს იმ. ჩალად მიჩნევა.

ჩალად მიჩნევა პრდ. ჩალის ფასად მიჩნევა. სკვ. არაფრად მიჩნევა, გაუფასურება, ყოველსავე ღირსების აცილება. „ჩალად უჩნს ყოველი ქვეყანა, მისივე ჩალისა წონითა“ (მ. რუსთაველი). „არაფრად ღირს ეს ქვეყანა უსხიარულოდ, არ ღირს ჩალად თვით სიცოცხლე უსიყვარულოდ“ (ვ. თარხელიანი). „ამ მცირე ძღვნით ისე კმაყოფილი დარჩა მეფე, რომ სხვების განძი ჩალადაც არ ჩაუვლია“ (ავაი).

ჩალა — მარცვლოვან მცენარის ღეროა, მარცვლებამოცლილი და მეტად მცირედის ფასისა, და გამომხატველია ამა თუ იმ საგნის უფასურობისა, სიმდარისა, უღირსებისა. როცა ამ საგანს ჩალას ვადარებთ ხოლმე.

ჩალაში შეკრავს პრდ. პურის ღერებში, რომელთაც მარცვალი გამოცლილი იქნეს, ჩაკერება ვისიმე. სკვ. არაფრად აგდებს, უბრალო ვინმედა მთელის, ყოველსავე ღირსებას მართმევს.

ჩალაში მახვევს იმ. ჩალაში მკერავს.

ჩალის ფახადა პრდ. საქონელი რამე ჩალად ფასობს. სკვ. ძალზე იაფია, ყველასათვის ხელმისაწვდომია. შკლ. დღეს ბაზარზე საშინელი იაფობა იყო, ყველაფერი ჩალით ფასად იყიდებოდა. „უინ ერთი, ვინ მეორეო? იკითხავთ. ერთია — ავტორი „ნარ-ღონი“, რომელსაც თავს უქონავს, რომ — აფსუს! — ტყუილ-უბრალოდ შეალიე შენი ძვირფასი ღონე და ძვირფასი დრო იმისთანა საქმეს, რომელიც ჩალის ფასადაც არა ღირსო“ (ილ. ჭავჭავაძე).

ჩალის წონა პრდ. ჩალა რომ იწონის, იმდენი. სკვ. ყოველსავე წონას მოკ-



ლებული, უფასური, უღირალი. „რა შუქური! ან ის ქალი ემომსევე აქა, ან სიცოცხლე ჩაღის წონად შემფასებია!“ (ფ. ბარნოვი).

ჩაღური პრ. მოწული და ჩალით დახურული ქობი. სტვ. კარავი. „ლანძღვა-თრევა გოგო-ბიჭების ჩაღური შიაც საზნღარია და გარეთ, მთელის ერის, მთელის ქვეყნის მოედანზედ რაღა თქმა უნდა!“ (ილ. ჰავაძე).

ჩაღხვიით დატრიალება პრ. ბორბალივით დაბრუნება. სტვ. მარდად მიდგომ-მოდგომა, სწრაფად საქმიანობა. „დემეტრემ რომ ნახა, ოჯახი სულ უკან უკან მიდისო, მოსავალი კარგია, მაგრამ ხელში-კი არა მრჩება-რაო, თავი მოიქექა, ჩაღხვიით დატრიალდა“ (ილ. ვლავიშვილი).

ჩაშახაშა პრ. შხამად მიქცევა. სტვ. სიკეთე მიყო. მაგრამ ვერ მოვასწარმევენა, წამამწარა.

ჩამდინარი წყალია პრ. ის წყალი, მარად რომ ეღინება ქვევითკენ. სტვ. მოუსვენარი, დაუღებარი, ნიადაგ მოძრავი. „იმახედ (მათე მღვდელზედ) აღრე ვერავინ გაიღვიძებს სოფელში. გუთანნი თვითონ უქრავს, ურმის თავზე თვითონ უჯდება, ეზიდება თივას, ძნას თუ შემას, ბარავს და სხლავს ვენახს, სთონისს სიმინდსა; ერთს წამს არ დადგება, არ დაისვენებს, „ჩამდინარი წყალია“, სწორედ“ (ვაფ. ფშაველა).

ჩამი-ჩუმი არ ისმის პრ. სიჩუმე; უხმაურობა. სტვ. სრული მყუდროება, სიწყნარე, უმოქმედობა. „მას აქეთ კარგა წყალმა ჩაიარა და ამ წერილის შედგენისათვის არამც თუ თითონ არავის შეუწმრევეია, არამედ ჩამი-ჩუმიც არ ისმის“ (ილ. ჰავაძე).

ჩამობერება პრ. სიბერემდე დარჩენა. სტვ. ბოლომდე შერჩენა ვისთანმე ან რასთანმე, გამუდმებით ცხოვრება საღე. „ამ ვაცივებულსა და გაწყალბულ სოფელს კი აღარ ჩამოვებერდებოდი, პირდაპირ ქალაქში ამოვყოფდი თავს“ (მელანი).

ჩამოღვეპ-ს ვერავინ ეტყვის პრ. ვერავინ ეტყვის; მე მოვდივარ და გზი-

დან ჩამომეცალე, როგორც ჩემზე ნაკლები! სტვ. ვერავინ ეტყვის; ჩემზე ნაკლები ხარ, მე გჯობივარო! ის, წინყოფნა (ვიზღემე).

ჩამოთხლება პრ. თესლის მსგავსად გაჩენა საღმე. სტვ. შესვლა ვისიმე იმ წრეში, საცა ის სასურველი არ არის. „ბურთაობასა და ჩილიკობას მე კი ვერ ვასწავლიდი (ბავშვებს) რა, ეგ (მასწავლებელი) რო არ ჩამოეთეს-ლებინათ აქა?“ (მელანი).

ჩამორჩენილი პრ. სხვებზე ნელა მოსიარულე, სხვებს უკან მოქცეული. სტვ. წინაღულ დონეზე დარჩენილი, წინაუხვლელი, წარუშტებელი. მგლ. არჩილი კლასში ყველაზე ჩამორჩენილ მოწაფედ ითვლება. ის უკან ჩამორჩენა.

ჩამოსახრჩობ თოკს არ ვანდობ (ვისმე) პრ. თავის ჩამოსახრჩობად რომ უნდოდეს, ისეთ თოკსაც ვერ ვათხოვებ სტვ. უბრალო რამეც არ შეიძლება კაცმა ანდოს, მგლ. მეტადა აქვს სახელი გატეხილი: ჩამოსახრჩობი თოკი რა არის. იმასაც კი ვერ ვანდობ.

ჩამოსტირის პირი პრ. სახე ატირებულ იქვს. სტვ. დაღონებულია, დამბარებულია, დადარდიანებულია. „ქრთამის გარდა ოჯახსაც მიეტანა: მწერიათან ძლიერ კერას დაემოყვრა, ზურგი მექნებო პირველ ხანებში. — სახლიკაცებს კიდევ იმისთვის ჩამოსტირით თავ-პირი“ (ფ. ბარნოვი).

ჩამოქვეითება პრ. ცხენიდან ჩამოსტომა და ქვეითად სიარული. სტვ. შესუსტება, კლება წარმატებისა, შემცირება წინსვლისა, ჩამორჩენა რისამე კეთებაში. „— სულ ფეხით დაუძლებდა წინ (ჯორს) და მინამ თვითონ წარგად არ მოიღობა, არ შეჯდება ზედა. შეჯდება და ვაი იმ შეჯდომას, უნაჯირზე კი არა. ეკლებზე ზის და წამდალწუმ დღუღუნებს: „მოეკალ ჯორიო, მოეკალ ამ უღმერთომ!“ და ჩამოუქვეითებს“ (ვაფ. ფშაველა).

ჩამოწყდომა ხალამისა (ვიზღემე) პრ. გაუსთადათ, შემოაკლათ ხალამი ვიზღემე. სტვ. მავანის მეტის არავის



დარჩენა, გაწყვეტა ხალხისა. მოსპობა ღირსეულისა, უღირსად აღიარება ვისიმე, სიკუდი; უღირსება. ჩანსწავლ ხალხს ეპოტიწებოდნენ და არატო მაგრე ხუნაანთ ბესოსე ჩამოუწყდათ სალამიოჲ (იგ. მენთეშაჲელი). „მადლობა ღმერთს, რო ჩემზე არ ჩამოწყვეტილა მართო სალამი და ბევრი სხეც ყოფილა აქა (ციხეში). (მელანია).

ჩანავლება ჰრდ. ნავლად, ფერფლად, ნაცრად ქცევა. სჯვ. მოსპობა, დაწვა, გაქრობა, სიკვდილი. „და ეს განუწყვეტელი მისი წამება ხან ლეივდებოდა, ეგზნებოდა, უკიდურეს სიმწვავეს აღწევდა; ხან დაეშეებოდა, მიმქრალდებოდა, ჩანავლდებოდა“ (ე. ბარნოვი).

ნავლი — წვის ნაშთი, ნაცარი, ფერფლი.

ჩანავლებული ჰრდ. ნავლად, ფერფლად ქცეული. სჯვ. დამწვარი, მოსპობილი, მკვდარი. „კვლავ აღსდგა მკვდრეთით საქართელო ჩანავლებული. რა მოსპობდა სამშობლოს უკვდავს!“ (ე. ბარნოვი).

ჩანებს მოუპირე ჰრდ. ყბებს ნუ ატოკება, უძრავად გააჩერე. სჯვ. ყბები დააყენე, ბევრს ნუ ლაპარაკობ.

ჩანა — აღამიანის ყბისათვის უქვიათ ქიზიყში. „ჩანებს მოუპირე“ — მტყვიან ბევრის მოლაპარაკეს, ყბედ კაცს. ჩანები უქვიათ აგრეთვე. აღამიანის ყბების მიმსგავსებით, კიბის იქით-აქეთ შემოვლბულ ძელებისათვის, რომელთაც სოლები აქეთ გარკობილი.

ჩარა გაწყდა ჰრდ. გზა შეიკრა. სჯვ. საშუალების მოსპობა, ცუდ დღეში ჩაფარდა, გაჭირვება. „ბოლოს, ჩარა რომ გაწყდა, სხვათა თვალქვეშ შეფურებამ გული გადაუღია ნატრისთვილას“ (ე. ყაჰანაძე).

ჩარაგაწყვეტილი ჰრდ. გზაშეკრული. სჯვ. გაჭირებული, ირსებობის ყოველსავე საშუალებას სოკლებული. ახ. ჩარა გაწყდა.

ჩარხი ჰრდ. ბორბალი მანქანისა რისამე. სჯვ. საქმეების მკეთებელი, მარჯვედ წამყვანი. „მთელი ოჯახის ჩარხი სულ გიგლას სიტყვაზე ტრიალებდა,

უმიხოდ ნემსს ვერ გადააბრუნებდნენ“ (ფნ. მენთეშაჲელი). „მოგახსენო, შენ ხარ ჩემი ბატონი: — დატრიალდა ჩარხი ჩემის ბედისა“ (ო. ვრისთავი).

ჩარხივით ტრიალი ჰრდ. ისე ტრიალი, როგორც ჩარხი. სჯვ. მარჯვედ ქვთება, გინა წაყვანა საქმისა. „ახ! (იციმს გულზე ხელს) ერთი ყველას ჩემი გული ჰქონდეს, მაშინ ნახავდი, როგორ ჩარხივით დატრიალდებოდი ჩვენი საქმე! მაგრამ სად არის! ტყუილად მეც ჩემ გულს ვიქლებე“ (ფნ. მენთეშაჲელი).

ჩარხი უკუღმა დატრიალდა ჰრდ. ჩარხმა სატრიალებელის მოწინააღმდეგე მხარეს იწყო ტრიალი. სჯვ. საქმეცუდად წავიდა, შეუფრხდა რამე წამოწყება. მგლ. მეგონა, ბელმა გამიღიმა და ხელი მომეშართა-მეთქი და ის-იქ არა, ჩარხი უკუღმა დატრიალდა და ჩემს იმედს კბილები მოეპარა.

ჩასაკირავო! ჰრდ. კირში ჩასასმელო. სჯვ. მოსაკლავო, მოსასპობელო. „ეს რა ქენი, შე ჩასაკირავო, შენა! ოხ, ხანუმი!.. შენთენიც მოვიცილი!.. (ავს. ცაგაილი). ახ. ჩაკირავა.

ჩასაკენეტი ჰრდ. კბილებით ჩასაკნატუნებელი. სჯვ. ლამაზი, კობტა, მოხდენილი. შკლ. ეს ქალი ისეთი ლამაზია, რომ პირდაპირ ჩასაკენეტია.

ჩასაქოლად გახდომა ჰრდ. ქვების დაკრების ღირსად გახდომა. სჯვ. სასიკვდილედ გახდომა. „მაჭუთიანი. რა წყალში ჩივარდე!.. რა ვუწამლო ჩემ თავს, ვის მივმართო! ქვეყანაში თავი მომეჭრა, ჩასაქოლად გაგხდო!“ (ავს. ცაგაილი). ახ. საქოლავი.

ჩატეხილი ხილია ახ. ხილია ჩატეხილი.

ჩაფვა ჰრდ. ჩაფით ღვინის ამოღება ქვევრიდან. სჯვ. ძირსდებულის რისამე ბლომად აღება, უხვად გაცემა.

ჩაფი — საღვინე საწყაოა, 9 ხელადიანი. ქვევრიდან ღვინის ამოსაღებად ხმარობდნენ. ჩაფით ღვინის ამომღები კაცი ძალზე მკლავმგარი უნდა იყოს. ჩეულებრივ კი, ღვინოს ხელჩაფათი იღებენ, რომელიც იტყეს ნახევარ ჩაფს ან 4 1/2 ხელად



დას. ჩაფა (აწმყო: ვჩაფაჲ, ჰჩაფაჲ და სხვ.) გადატანილად ჰკლუისხმობს ბლომად აღუბას რისამჲ. თვით სიტყვა ისმის ქართლ კახეთში.

ჩაფლავება პრ. მეტის-მეტი ხარშვით ჩაძლილი ფლავის მსგავსად გახდობა. სკვ. ჩაშლა, დახარაღება, დაღუპება, არაფრად ქცევა. «ტრიფონ ბულდანიხს, ამ ქვეყნის პატრონს, კაცმა მადლი სიტყვა უთხრას თავისევე სახლში! სულ ჩაფლავდი რაღა...» (ფქს. ცაგარელი)

როცა მეტის-მეტი ხარშვით საფლავე ბრინჯი წყალში ჩაიშლება, შილაფლავს დაემსგავსება, იტყვიან — ჩაფლავდაო. მსგავსადვე ყოველსავე მატერიალურ დახარაღებაზე, დაღუპებაზე ჩაფლავებას ამბობენ ხოლმე.

ჩაფლობა პრ. ჩაფარდა თხელ, ქაობიან რაშიმე, საიდანაც უკან ამოსვლა გასაქირია. სკვ. დავალიანება («გაღლებში ჩაეფლა»), გაქირებულ მღგომარეობაში ჩაფარდა, სირცხვილში ჩაფარდა, — გალოთება, გარყვნილება. მგლ. ყმაწვილი მეტად ცუდ წრეში ჩაფარდა, გარყვნილების მორევში ჩაეფლო და მისი იქიდან ამოსვლა საეჭვოა.

ჩაფურთხება თვალში პრ. ნერწყვა ვისინე, პირიდან ნერწყვის ჩაშვება ვისსამე თვალში. სკვ. შეურაცხყოფა, გალანაღვა, არაფრად ჩაგდება, დამციობება, ზიზღი. ახ. ფყი შენს უღვაშს.

ეს თქმა უზომო ზიზღის გამომხატველია. თვით აქტი თვალში ჩაფურთხებისა სრულდება მაშინ, როცა კაცი ვისთანმე აუგიახად, საძრახად, უხამსოდ მოიქცევა. შეურაცხყოფილი თავის წყრომას გამოსთქვამს, სხვათა შორის, იმით, რომ პირიდან ნერწყვს თვალეში მოახედობებს შეურაცხყოფელს და ამით აგრანონინებს: შენ ღირსი არა ხარ თვალეში გეხილოს, ბრალია ადამიანისა და ქვეყნიერებას უცქეროდ, რაღა ამ ნერწყვის ფასი და რაღა შენიაო!..

ჩაქვავება პრ. ქვების მიყრა, განტყევნა. სკვ. შერკვენა, გაუპატიურება, მოკლა, წყევლა. «აბა ჩვენ დროს ვინ მოიფიქრებდა, რომ თავიდა-

შვილს თავი შეერკვენიდა და ურემი ქირაზედ ეტაოებინა. ქვით არ ჩაქვავებდით? თავზე ლაფს არ დაეხამებდით?...» (ილ. ჰავევაძე). «ჩასაქოლავია, სწოვად ჩასაქოლავია! — ამბობდნენ ხოლმე ლეხები უნამუსო გოგონედა» (ილ. ჰავევაძე). «ველ დროში თუ ნაბუშაის გააჩენდნენ, ორივეს — ქალსა და კაცს სახალხო ხიდისურბენ ამ «გზის გასაყარში», გზაჯვარედინში ჩაქოლავდნენ, რომ გამწვლელ გამომვლელს ყველას ენახა» (დაც. ფშ. ველა). ახ. საქოლავი.

ქვების დაქრებით დანაშაუვის დასჯის ჩვეულება არსებობდა აღმოსავლეთის ქვეყნების სახლებში და სახელდობრ ებრაელთა შორის. მოსეს კანონით, ჩაქვავებით ისჯებოდნენ მრუშობისა, ღვთის გამოხისა, შაბათის და უცველობისა და სხვათათვის.

პირველად მოწმეებს უნდა მიეყარნათ ქვები დანაშაუვისათვის.

საქართველოშიც არსებობდა ეს ჩვეულება. გამოივანდნენ დანაშაუვის სადმე ხიდისურთან, გზის გასაყარში ან გზაჯვარედინთან, საცა გამწვლელ-გამომწვლელი უფრო ხედებოდა, ყველას გასაგონად გამოაცხადებდნენ დანაშაუვის დანაშაულს, აღიარებდნენ ჩაქოლვის ღირსად და მოუწოდებდნენ დასწრეთ — ქვები აეღოთ და დაეკრიბნათ. პირველად ესროდნენ ისინი, ვინც მოწმენი იყვნენ ჩასაქვავებელის მიერ ჩადენილ დანაშაულისა. ამათ სხვებიც მიჰკვებოდნენ. მივლი ბექობი კეთლდებოდა ქვებისა, რომელთა ქვეშ ცოცხლიც დაიმარხებოდა კაცი.

ამ ბექობს საქოლავი (ჩასაქვავებელი) ერქვა. შემდეგ ვინც გაივლიდა საქოლავთან, ვალდებული იყო თითო ქვა მიემატებინა იქ დაყრილ ქვებისათვის და ესრე დაემტკიცებინა, რომ იზიარებდა სოფლის მიერ გამოტანილ განაჩენს და რომ ისიც მომხრე იყო დანაშაუვის ჩაქოლვისა.

ჩვენს მწერალ ვასილ ბარნოვს თავის მოთხრობა «სამწუბრო ღიმი» ში აწერობილ აქვს ერთი ჩაქოლვის ამბავი ქვემოქართლის ერთ-ერთი სოფელში. ჩასაქოლავი ყოფილა ერთი მაშინდელი სოფლის წურბელა სირონიკა, რომელიც სულსა ჰხდიდა თურმე მთელს



სოფელს. გამწარბულ ხალხს დაესვენა: უუდიდესის სასჯელით — ჩაქოლვით დაესაჯნა სირონიკა. ეს რო გაუგია სირონიკას, დამალულიყო თავის გავლენიან სიმამართან. მაშინ ხალხს დამნაშავე აღუსმრებლად ჩაუქოლნია.

აი, როგორ აგვიწერს ავტორი ამ ამბავს:

„ენახოთ, ერთ დილას ხმაურობაა დიდი. კაცი, დედაკაცი, ბაღლი გამოუსულიყვნენ და მიდიოდნენ სირონიკა-ანთკენ. ქეები ეჭირათ ხელში: „უნდა ჩაქოლოთ ეგ ვეშაპი, თუ არა — დავნებთქავსო!“

„შემოეხევენენ სახლს. შინ არ აღმოჩნდა, — გაეგებინებინათ და აღრე გაპარულიყო ბატონიანთ სახლში ცოლ-შვილიანათ, და ველარ შეპბედეს ბატონს.

გამოვიდა ერთი:

— ეაკო, გამიგონეთო ამ ბოროტმა თავს უშველა, მაგრამ სოფელში არ შემოვიდეს დღეის იქით. თუ შემოვიდა, საცა მოვასწროთ, იქ ჩაეაქვავროთ; ეხლა კი ეგ ქეები წავილოთ სოფლის თავში, იქ ეწეროლოთ. მითომ იმასა ვკლამთ. ეს არის ჩენნი წესი. ეს იყოს მისი საქოლაეი“.

„სოფელმა საყდართან დასდო ფიცი. დაარისხეს ფიცის გამტენი. წავიდნენ გადასახედავზე და ქეები რომ ეჭირათ, ერთ ადგილას დაუშინეს და თან ლანძღავდნენ ბოროტმოქმედს. სწაველიდნენ, ჰქოლაედნენ: ამის შემდეგ ვინც მიეახლოს ამ საქოლაეს და ქვა არ მიეაღოს, ავად არ მოიხსენიოს, თითონ მას მიერგინოს ის წყველა და ქოქვა, რაც აქ წარმოითქვა“.

„სირონიკა ველარ შვიდა სოფელში, იღარდა, დასნეულდა და მოკვდა. ვაოხრდა მისი დიდი ქონება. ერთი ქალი, დარჩა, — ნანგრევები იმას ერგო“.

„ეხლა რომ ქოქოლა იციან და წყველის დროს ხელგებს იქნივენ, თითქო ქეები გადააყარესო, ეს იმის მაჩვენებელია: საქოლაეიმც ამიგია შენთვისო!“ (ვ. ბარნოვი).

ერთი ჩაქვავების ამბავიც დატრობილებულა სოფ. ჩოჩეთში (ზემოქართლი, სოფ. კავთისხეთთან), XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში. ერთს გლეხის ქალს თავისი შვილის ნათლია შეპყვა-

რებია. სოფელი აღშფოთებულა და დაუდგენია ასეთის შიშიმე დანაშაულის ჩამდენის ჩაქვავება. ეკლესიის ზარის რეკვის ხმაზე ხალხი შეყვრილია. ერთ ალაგას, გამოუყვანიათ ქალი, საჯაროდ გაუხმინებიათ მისი საძრახისი საქციელი და ყველანი მოუწოდებიათ ჩაქვავებინათ. ყველას უსროლია თითო ქვა ქალისათვის, ასე რომ, მთელი ყორე დამდგაო და მის ქვეშ მოუყოლებიათ ქალი. ეკლესიაზე გამოუცხადებიათ: ვინც გაიაროს ყორესთან (საქოლაეთან), უმპველად თითო ქვა მიავდოსო.

ჩაქოლვა ის. ჩაქვავება.

ჩაქოლვილი პრ. ვისც ქვამყრილია. სტვ. შერცხენილი, ლაფდასმული, გაუპატიურებული, მოკლული. „ვაი შენი ბრალიცა, შე ჩაქოლვილიო!.. — ნეტა იმ დღის მომსწრეს! იტყოდა ხოლმე უბედური“ (ავს. ცაგარელი). ის. ჩაქვავება. საქოლაეი.

ჩაქშეხული პრ. პერანგისა და მისთანათა ბლოგებში სიგანისათვის ირიბად ჩაყვრებული ნაჭერი, დახეული რომ არის. სტვ. დაუდევარი, უსუფთაო, კუჭყიანი. მტლ. ზურაანთ ქეთოსთანა ჩაქშეხული მთელ სოფელში არავინაა.

ჩაქი — პერანგისა და მისთანათა კლთებში სიგანისათვის გვერდებზე ირიბად ჩაყვრებულ ნაჭერს ეწოდება. ქალი, ვისთვისაც ფასი აქვს გარეგნობასა და ვისაც ეშინია მეზობლებმა ჩემი ცუდი არა სთქვანო, ჩაქი თუ სხვა ადგილი სამოსისა ჩაიხევა თუ არა, მაშინათვე ნემსსა და ძაფს აიღებს და გაპყერავს.

მაგრამ გამოერევა ისეთი ქალიცა, რომელსაც ვაბა თუნდ ფარა-ფარა ეცვას, თმაც აჩეჩილი და პირისახე უბანელი ჰქონდეს, არავის ერიდება, არაფერი ეღარდება. აი, ასეთს ქალს სოფელში ჩაქშეხულს ეძახიან და ყველას ქირადვისა და დაცინვის საგანდაა გამხდარი, მეზობლებისაგან უბადალებული.

ჩალამებული გული პრ. ლამის (ბნელის) მსგავსად გადაქცეული გული. სტვ. დადარდინებული, დამწუხარებული, გამწარბებული, დაღონებული.



„შინბაღისაგან მოწოდებული ცნობები კეისრის ბრძანებას უღრიდნენ, სხვის პირით გადმოცემულს. ამან უფრო იმოქმედა დედოფალზედ და ჩილაძეებუ ღი გული მთლად ჩაუშვია“ (ც. ბარნოვი).

ჩაყლაძეა პრე. ყელიდან სტომაქამდე ჩაწეება საჭმლისა და სასმელისა რისამე. სკვ. იძულებით მიღება რამე შეურაცხყოფისა, ლანძღვისა. „ამდენი ლანძღვა-გინება უქლებლივ ჩაყლაძევენეს იმ ბატონს“.

ჩაყრილი ჯამია პრე. წყნიანი ან ლობიონი ჯამია, საცა პურის ნატეხებია ჩაყრილი. სკვ. მზა-მზარეული რამ, რასაც ადამიანის მიერ მოხმარება, გამოყენება-ლა აკლია. მგლ. ჩაყრილი ჯამი დაგიდგი წინ. ახლა შენ ჭამის შნოს გამოჩენა ლა დაგჩიხბია!

ესოქვათ, დავიდგეს წინ ჯამი, წენით ან ლობიოთი საქვ. დიასახლისმა ამას არ დაგაჯერათ და შიგ პურიც ჩაბაბუტუა. თქმით შეიძლება ესეც გითხრასთ: აბა, ჩაყრილი ჯამი, აბა შენ იცი, როგორ გამოისკლიო!..

ბატონანდ ეს თქმა ჰგულსხმობს, ერთის მიერ მეორისათვის საქმის რისამე გაკეთებას იმ ზომამდე, რომ მეორეს გაკეთებულ საქმით უზრომლად სარგებლობა ლა დარჩენოდეს.

ესოქვათ, სახლოსნოა, საცა პატრონი ბედის მადლიერია, კარგად მუშაობს, მუშტარი არ აკლია. შემოსავლის ნაკლებობას არ უჩივის და ალალ პურსა სკამს. მაგრამ რაიმე მიზეზით თავი უნდა გაანეროს ფეხზე დაყენებულ საქმეს ლა თავისი შვილი ან მახლობელი ჩააყენოს ყველაფრის გამგრძობად. ეტყვის: აბა, შვილო, ჩაყრილი ჯამი გიდგას წინ, შენი საქმე ჭამალია, ვინძლო შნო ლა უხარი ვამოიჩინო, კუთით იყე, ხელის განგრევა არ დიხზარო, მეტი არაფერი უნდა...

ჩაყრილ ჯამთან უყვარხ ჯდომია პრე. ესაიბოგნება, როცა წინ უღვას წყნიანი ან ლობიოიანი ჯამი ლა შიგაც პურია ჩაყრილი სკვ. სიყვარული მზა-მზარეულისა, გურჯელობა, სიზარმაცე, მუქთახორობა. „ჩაყრილ ჯამთან უყვარხ ჯდომია, უყვარხ მუშტის გასეხება“ (ც. ლონიძე). ან. მუქთაქამია.

ქართველი კაცის სუფრაზე თხელ საქმელში (მაწონი, წყნიანი, რძე, ლობიო) პურს (ან მქალს) ჰყრიან, ალბობენ შიგ ლა ისე შეექცევიან ხოლმე. ასეთი ჯამი, სადაც პურია ჩაყრილი, სანუყვარად ითვლება.

ჩაშაფება პრე. შავად გადაქცევა. სკვ. დალუპვა, დახოცვა, ამოწვევება. „ქაცეგრე მოხდა! ვხოცეთ მოძავალი სიმრავლე, როგოც ტარბმა კალია, უფრო მეტი მოდიოდა ხალხთა სიმრავლე ლა... — მათმა ურევობამ ჩაგვიშავა თავდადებულნი“ (ც. ბარნოვი).

ჩაიეცხლება (ღენისა) პრე. ცეცხლის მსგავსად ჩაწეება მუცელში. სკვ. აგდებულის კილოთი თქმა: დაღევა. „წამოეთრიე ერთი მარანში, ღენოს ჩაგაცეცხლებ. ნუ გეგონოს კი, რომ მადლს გიშვებოდე რასმე“ (ილ. პაპავაძე).

ჩაწიხება პრე. უკანა ფეხებით (ცხენისა, ჯორისა, სახედრისა) სისწრაფით ჩაყრა. სკვ. შეურაცხყოფა, ლანძღვა, დამცირება. „რეგანმა არჩილი, რა საჭიროა, ძალზე ჩაწიხოს“.

ჩაჭყაპე პრე. ტალახისი ძენძები ჩაუშვი მუცელში. სკვ. ღენო ლა რაც მოგეხედება, დაუღმევი არ გაუშვა. ჩაჭყაპე — ქალაქურად, დაცინვით უწყვით მეტის-მეტ მსაელ, ლოთი კაცი-სათვის. ჩვენს ღრამატურგს ავქს. ცავარგლს, რომელიც ერთ ხანს (1901 წ.) „ივერიის“ რედაქციაში მუშაობდა, სახუმარო ფელეტონებსა სწერდა ჩვენის ცხოვრების საქიბოროტო საქითებზე ლა თავის ფსევდონიმად ჩაჭყაპე პქონდა.

ჩახველება პრე. პირით ხმაურობა ხველების დროს. სკვ. მსუბუქი დაცინვა. ნათქვამზე ეჭვის შიტახია. „მჯერო სარღლობა არგუთინსკისა, საგინოვისა ლა გურამოვისა, რადგანაც შენ აქებ, მაგრამ შინდა ერთი ჩაგიხველოთ“ (ნ. ბაიაშვილი).

როცა ვინმე სიმართლეს მოკლებულს რასმე გვიამბობს ლა თანაც ცდილობს სინამდვილედ გაასაღოს, ერთი სახე ჩვენის სკეპტიციზმისა, მისის ნათქვამის დაუჯერებლობისა, მის ნათქვამში ეჭვის შეტანისა ჩვენის მხრით არის — რისამე უთქმელად ჩახველება. ტყუილის მოამბეს ამით ვანიშნებთ: გვიამბ

ტიე, მაგრამ შენი ნათქვამი ძალზე მეტ-
ქვებაო...

ჩაჯიბვა ჰრდ. ჯიბეში ჩატენეა. ზღვ-
ნდაბიურად — სხვისი ფულის მითვის-
ება, ქურდობა, მოპარვა, ტაცობა.
შალ. ჩვენის დაწესებულების ბუხალ-
ტერმა სულ მოკლე ხნის განმავლო-
ბაში დიდძალი ფული ჩაიჯიბა,
მაგრამ არ შერჩა.

ჩვენს ტანისამოსზე მიკერებული
ჯიბის საშუალებით ჩვენის საკუთრე-
ბის ნებანებისად შენახეას — ჯიბეში
ჩადებს ვუხმობთ. ხოლო როცა ვინმე
იმევე საკუთრებას (მაგ. ფულს) მხოლოდ
სხვისას, მოპარულს, უმართებულო
ჯიბით მითვისებულს ან შიტაცებულს,
პატრონის ნიუღ დაუნახავისათვის,
საჩქაროდ იმაღლეს თავის ჯიბეში,
მღაბიურად ვამბობთ ხოლმე: ჩაიჯი-
ბაო...

ჩემგან ვერას წაიღებ ჰრდ. არას დაგა-
ნებებ. ზღვ. ვერას დამაკლებ. ვერ
დაიჩაგრავ, ვერას მიზაბ. შალ. რას
მემუქრები, ჩემგან ვერას წა-
იღებ — მე თქი, ვერ გაიგე!

მუქარის ფორმულაა ერთგვარი.
ვისაც ემუქრებიან, მოწინააღმდეგეს
აფრთხილებს: ტყუილად გგონია, რამე
დამაკლოვო!...

ჩემ გულზე ნახოს მიწა ჰრდ. ჩემი გუ-
ლი მიწადაყრილი ენახოს. ზღვ. მო-
კვდე, ჩენი თავი საფლავეში ენახოს
(ვისმე მტერს). «დაბე, დაბე, რა
თავზედი ყოფილა ის მამაძალი,
ისა! — სთქვა წყრომით კნიაზ რეზი-
კომ... — ჩემ გულზე ნახოს მი-
წა, თუ მე ის არ ავატირო...»
(ს. შგალობლინელი).

ვისამე გულზე მიწის დაყრა ნიშ-
ნავს ვისსამე სიკვდილს და საფლავეში
ჩაშვებას, რომლის შემდეგ ზედ მიწა
დაიყრება ხოლმე. თვითონ თქმა წყვე-
ლის ფორმულაა, უფრო ხშირად იბი-
ება რისამე დამუქრებისას, როგორც
ეს ნამოწმებ მაგალითშია.

ჩემ გულზე ძაღლს დავაპურებო ჰრდ.
ისე დაეუძღურდები, რომ ძაღლს
არაფერს უმღიდეს ჩემს გულზე პური
სტამოს. ზღვ. დავძაბუნდები, მოკვ-
დები.

ჩემ დროთა მოგყაროს ჰრდ. ჩემ ხნი-
სამც გაგხადოს. ზღვ. სულ დიდ-
ხანს გაეცოცხლოს. «ხო ყველას გა-
მიხუმრებდი, ღმერთმა არ მოგ-

ყაროს ჩემ დროთა» (ვ. ხორნა-
შლი).

დალოცვის ფორმულაა, რომლითაც
ძალიან მოხუცებული მიმართავს ახალ-
გაზრდას, რომ ეს უკანასკნელი მის
გულისმოსაგებს რასმე იხამს.

ჩემზე შეიწმინდა ხელები ჰრდ. გასე-
რილი ხელები ჩემის ტანისამოსით
გაიწმინდაო. ზღვ. თავისი დანაშაული
მე მომახვია თავზედაო.

ყვედრებით თქმაა, როცა კაცი
რასმე დააშავებს და უნდა თვითონ
წმინდად გამოვიდეს, თავის დანაშა-
ულს სხვის ვადაბარალებს, — მე კი არა,
იმან ჩიდიხაო. ანალოგიაა გატარებუ-
ლი ქუჭუჩინი ხელების შეწმენდასთან
თავის ტანისამოსის მაგიერ, სხვის ტა-
ნისამოსზე. ისიც იგულისხმება, რომ ხე-
ლების შესაწმინდად ხელსახოცის მაგიერ
ტანისამოსის სხედასხვა ნაწილები იბი-
არებოდა (კალთა, სახელოებ, პაქიქები).

(მე) ჩემი გავიტანე ჰრდ. რაც ჩემია,
ბოლომდე წავეიღ. ზღვ. გულისნაღო-
ბი ავისრულე. რაც მიწადა, ის მო-
ვიპოვე, ის გაეკეთე. «არაფერს შე-
ვუწმინდა, არაფერს გავეჭეცი, საქმე
საქმეზედ მოვიყვანე და ჩემი გა-
ვიტანეო (ილ. პავაძე).

ჩემი და შენი ქონება ვის გაუყვია?
ჰრდ. ქონება გაუყოფელი გვაქვს. ზღვ.
საერთო გვაქვს ქონება, ჩემი — შე-
ნია და შენი — ჩემი, ჩვენი ყველა-
ფერი საერთოა. «სხვასთან ხომ
არ აგებ, შენი და ჩემი ვის
გაუყვია, — გაბუტვით უსაყვედურა
მაყრიან» (დუშულიანი).

ითქმის, როცა საერთო ქონების
ერთ-ერთი მონაწილეობიანი ქონების
უმეტესობას თავისკენ დაუწყებს წევას.
მაშინ მეორე მონაწილე საუფედლოთ
ეტყვის: ჯერ ხომ გაყოფილი არა
გვაქვს, ჩვენი ქონება საერთოა. საზი-
აროო. ან კიდევ, როცა ერთი უქო-
ნელი მეორის ქონებას დაუწყებს და-
პატრონებას და პატრონი უქაყოფი-
ლებას განაცხადებს, მომტაცებელი
ეტყვის, ვითომ საუფედლოის კოლოთი —
ჩვენ ხომ ძმები ვართ, ქონება საერთოა
და განუყოფელი გვაქვსო.

ჩემი დღე არ იყო ჰრდ. დღევანდელი
დღე მე არ მეკუთვნოდა. ზღვ. ბელი
არა მქონდა. «— წაიდ, შეილო! სა-
ხელათ ჩემი სიკვდილიც გეყოფა.
დღეს ჩემი დღე არ იყო: რასაც
ვესროლე, ავაღვინე» (ილ. პავაძე).

ჩემი დღე დათვლილია პრ. დათვლილია, რამდენ დღეს უნდა ვიცოცხლო. ზვჯ. დიდის ხნის სიცოცხლე არა მექვს, მაღე მოვეყვები.— „მე, სწორედ მოგახსენოთ, — დაიწყო ხელახლად გლახამა, — ჩემს ვინაობას არ გეტყოდით, თუ ჩემი აღსასრული არ მოახლოვებულა. ვიცი— ჩემი დღე დათვლილია“ (ილ. ჭავჭავაძე). ის. დღე. ჩემი კაბა ჩავიცვას ის. ჩემი კაბითაც და მჯდარ ხარ.

ჩემი კაბითაც დამჯდარ ხარ პრ. ჩემის კაბის ფერი კაბა ჩავიცვას. ზვჯ. ქმარი მოგვედომოდეს, სამგლოვიარო საქმე დაგმართოდეს. „ვოპი, ვოპი! ჩემი კაბითაც და მჯდარ ხარ, ჩემი კაბითაც, პო და პო! შენი ციფრე პატივებს ითხოვ შენი უნამუსო ქმრისასა, პა!.. — წამოიწყო ელენე კვირიკაშვილის ქვრივმა“ (ს. მგლობლიშვილი).

წინათ ქალი რომ დაქვრივდებოდა და სამგლოვიარო (შავები) კაბას ჩაიცვამდა, თუ ხელმეორედ არ გათხოვდებოდა, ამ კაბას სიკვდილამდე ატარებდა, სამხიარულოს ტანზე არ გაიკარებდა, თან თავიდან ჩიხტი-კოხს მოიხდიდა, და უსაბჭოკრულ მანდილს დაიხურავდა, რასაც დაბალი თავის დახურვა ერქვა.

მოტანილი თქმა წაველის ფორმულია, რომლითაც ქვრივი მიჰმართავდა იმას. ვისაც უწყურბოდა, ვისთვისაც სიკეთე არ ემეტებოდა, ვისთვისაც გული დახურული ჰქონდა.

ჩემი კალო გაღწეულია პრ. ჩემს კალოზე ჩაშლილი პურის ძნების ღეწვა მორჩა. ზვჯ. ჩემი სიცოცხლე დასრულდებოდა, მეტი ვასავეთებელი არაფერი მაქვს და აღარც შემძლია რამე გავავეთო. მგლ. ეპ. რალა და მრჩენია ამქვეყნად, დიდი ხანია, ჩემი კალო გაღწეულია!..

კალოება ნიშნავდა კალოზე პურის ძნების ღეწვას და ჰეტლისმობდა გლახაკის წლიურ სამეუწუნო სამუშაოების ციკლის დამთავრებას — ქირნახულის, სულადის დაბინავენას, მთელი წლის სარჩოს შინ შემოტანას. მთავარი და არსებითი გლეხაკის ცხოვრებისათვის — პური და მისი დამოშავება იყო. ამას უნდებოდა მთელი მისი ძალღონე და ენერჯია. ჯერ ახალ შ მოდგომაზე გუთანი უნდა შეება და ჰაპანწყვეთით უნდა მოეხნა მიწა და დაეთესნა პური.

ნათესი ზამთრის თოვლის აღების შემდეგ ჯეჯილად ამოდის, მერე დაპურდება და უანად გახდება, მერე შემოვა, მოიმკება, ძნები კალოზე მიიტანება და ხარებმებმული კევრით გაიღწეება.

კალოები ქართლ-კახეთში ჩვეულებრივ, სახლს ახლო ჰქონდათ ხოლმე. მაგრამ ადგილებია, მაგ. ქიზიყში, სადაც კალოები მინდვრად იყო, თვით ყანებში, სოფლის მუღმივ საცხოვრებელ სახლს 10 — 15 კილომეტრის მოშორებით. აქა ჰქონდათ დროებით საცხოვრებელი ბინები. მიჯა რჩებოდნენ ზოგჯერ ერთ თვემდე, სანამ კალოობას მოიჩებოდნენ. ამიტომ პურის ვასალეწად რომ აიყრებოდნენ, დ და-პუღიანად მიდიოდნენ, თან მიჰყავდათ ფრინველი, ოთხუხვიც-კი.

ღეწვას რომ შეუდგებოდნენ, ისვენებდნენ მხოლოდ ჰამის დროს. მუშაობდნენ მთელი დღე და ზოგჯერ, მთვარიან ღამეზე — ღამითაც. საღამოს ისევ რომ დაუბერავდა, დღისით გაღწეულ პურს ღამით ანიავებდნენ, რომ მეორე დღეს განიავებისათვის კალო არ მოსცდნოდათ.

გალ წილი და განიავებული ხორბალი, ტომრებში ჩაყრილები, და ბზე მერე ურნებით მიჰქონდათ საფლეში.

კალოება დაღარებულია აღამიანის მთელ სიცოცხლეს; დაბადებას, აღზრდას, დეაქიკაცებას და სიბერემდე სიცოცხლის პერიოდს. ასე რომ ადვილი მისახვედრია, თუ რატომ ადარებდნენ კალოს გაღწევის აღამიანის მთელს სიცოცხლეს! და როცა იტყოდნენ — ჩემი კალო გაღწეულიაო, იგულისხმებოდა, რომ მოქმედის ტანჯვა-წვალებით თავეც ცხოვრება გათავებული იყო, სიამე თუ სიმწარე ამ ცხოვრებისა ამოწურული იყო, ამ ცხოვრებისაგან აღამიანი მეტი აღარაფერს გამოელოდა, ერთის სიტყვით, მის ხორციელ ცხოვრებას დასასრული მიეცემოდა.

ამბობდნენ აგრეთვე: მე ჩემი კალო გაღწეულია.

ჩემის ჯიბიდან გადავიხადე პრ. ჩემის ჯიბიდან ამოვიღე (ფული) და ისე მივეცი. ზვჯ. ჩემი საკუთარი ფული მივეცი. მგლ. რაც რამაზს ხარჯი მოუვიდა, სულ ჩემს ჯიბიდან მომიხდა გასტუმრება.

ჯიბე—ნაწილია ჩვენის სამოსლისა და დანიშნულია ყოველისავე წვრილმან ნივთის და უმთავრესად ფულის შესა-



ნახად და საცაყად. საერთოდ-კი გამოხატველი იყო ქონებისა და კმაყოფილ მდგომარეობისა. ძველად, როცა აღამიანი აქეთ-იქით დადიოდა და არ გააჩნდა ერთი მუღმიევი, ფეხმოსაკიდებელი ადგილი, დღევანდელი სხლის მსგავსი, სადაც შესძლებოდა რისამე შენახვა, როცა ჰქონდა, ყველაფერი თავის ჯიბე-უბით დაჰქონდა, განუშორებლივ.

ჯიბის წინანდელი დანიშნულება და მნიშვნელობა დღევანდლამდე დარჩა. და როცა ვამბობთ: ჩემის ჯიბიდან გადავიხადე რამეო, იგულისხმება ჩემს ქონებას მოვეკელი ნაწილი (დიდი თუ მცირედი) და ისე ვაგწვივ (ვისთვისმე ან რისთვისმე) ხარჯი.

ჩემი ძილი შენ ჰრდ. ჩემის ძილით დაიძინე. ზვე. ჩემსებ იტანჯე. ისე ეწვილე. როგორც მე ვეწვალე. „ოჰ, ჩემი ძილი შენ! გამარჯობა შენი, ვახტანგ მეფე! რასა იქ, როგორა ხარ?“ (ფ. მახანელი).

წყევლის ფორმულაა. იტყვის დატანჯული კაცი, ომელსაც დარღვეულისაგან არ ეძინება. ამ სიტყვებით მიმართავს მეორეს, ვინც გააჯერებს, გულს მოაყვანინებს, ე. ი. ისევე დაგიძინია ან მოგისვენია, როგორც მე შეიძინა, ან მოსვენებია ვარო.

ჩემი კბილის კაცი ჰრდ. ჩემი კბილების ხნოვანების კაცი. ზვე. ჩემი ხნისა, ჩემი ტოლი, ჩემთან ერთად დაბადებული. „მღვდელმთავარი თითქმის ტიმოთეს კბილის კაცი იყო, სულ სამი კლასით უფროსი. ხუცესი სასწავლებლიდანვე იცნობდა“ (ფ. მახანელი).

საქონლის (ხარის, ძროხის, ცხენის) ხნოვანობას კბილებზე ატყობს ჩვენი ხალხი. როცა საქონელს ვიდულობენ, ჯერ უნდა კბილები გაუწიოჯონ კარგად, გადააღვინონ ხომ არ აქვსო. ხანში შესვლასთან ერთად საქონლის კბილები ცვდება, და, ბოლოს, სულაც დასცვივა ყბებიდან. აქედანაა ახდა: ნაჩუქარ ცხენს კბილები არ ეწინაგვისო.

ამისი ანალოგიით, აღამიანსაც ხნოვანება კბილების მდგომარეობით შეეტყობა. და როცა უნდათ ვისიმე ხნოვანება თავიანთსა დაადარონ, იტყვიან: ჩემის კბილისა ანუ ჩემი კბილა არისო, ანდა კიდევ — მე და ის ერთის კბილისანი ვართო.

ჩემი კისერი და თქვენი ხმალი! ჰრდ. ჩემი კისერი თქვენმა ხმალით მოკვეთოს. ზვე. უფლება ვაქვსთ მომკლათ, სიცოცხლეს გამომასალმოთ, თქვენი ყურმოპირილი ყმა ვარ, სულით-ბორცამდე თქვენი მოსამსახურე ვარ, დამარცხებული ვარ, ჯობნლი ვარ. „დღევანდელი ხელმწიფევი, ისეთი რა დავაშავე, რომ ხმას აღიარა მცვეთო, — ჰკოთხა ვაქმა. — მითხარით, და ჩემი კისერი და თქვენი ხმალი იო!“ (თ. რაზიკაშვილი). „თუ ჩემის ბალკანიდან ტყიდან გზად მიმავალს კაცს კი არა, სპილოს დაინახავს, ჩემი კისერი და მისი ხმალი“ (ილ. პეპიაშვილი).

ერთი სახე სასჯელისა, და მნაშავისათვის ხმლით თავის მოკვეთა იყო. დამნაშავეს უნდა დაეჩოქნა, თავი ძირს დაეხარნა, რომ კისერი კარგად გამოჩენილიყო და მისგან ვენება თუ ზარალიმეყენებულ ამ გამომეყრილ კისერზე ხმალს დაჰკრავდა და თავს სხეულს გააშორებდა.

ჩემი მზე ჩახულია იხ. მზის ჩასვენება.

ჩემი მჭვალი ნურავის ვადგებთ ჰრდ. ჩემმა მჭვალმა სხვა არ შეგაწუხოთ, მარტო მე მქონდეს. ზვე. ჩემი დარდი ნურავის გეძენებთ, ჩემი ნუ გშურთ. „... ი საგულელები კი ამოუწუნდეს და ამოებრასტოს მეტიჩარასო, დაამლაშა კიდევ ჩაფარხანამ და ესოდ ზედ დაატანა: ჩემი მჭვალი ნურავის ვადგებთ, ნუ, და ნუ ვეთხრებთ თველები, თორემ სუ ძირიანად მოვთხრით და ამოგაგდებთო“ (ფ. მახანელი).

ამ თქვამი მჭვალი ნახმარი სატყვივარის, ჰირის, გამწარებული ყოფის აზრით, ხოლო ვადატანიითად, გავრცელებით გულისხმობს საწყენს, მწუხარებას, დარდს, ნაღველს. ამბობენ: შენ იმისი (მავლის) მჭვლები ვადგავსო. ეს ნიშნავს: შენ, რაც იმას აქვს, გშურს, იმასა ჰდარდობ, რატომ მე არა მაქვს! არის ასეთი ფორმულა წყევლისა: ჩემი მჭვლები ვადგავს და ვადაგეტანოს თან, რაც ნიშნავს: იმისი სატყვივარი, სადარდებელი შეგეყაროს და არ ვადაურჩე ცოცხალი, მოგკლასო... ამ კიდევ ყვედრების ფორმულაა: რა ჩემი მჭვალი ვადგავსო?! რაც ნიშნავს: რად გეჯავრები, რადა გტუღვარო?..

ჩემი ნახევარიც არ არის (მაიანი) პრდ. ჩემის სხეულის ნახევარიც არ გამოიკრება. სტვ. მე ვერ მოწვევდება ვერც ღირსებით, ვერც ქონებით, იმას ყველაფრით ვჯობივარ. შგლ. არჩილს რომ შადარებ, შენს ლენისა, ჩემი რა შესადარებელია! უნდა მოვახსენო, რომ ჩემი ნახევარიც არ არის, არამეტყუ მე დამეტოლოს!..

ჩემის თვალთა ვნახე პრდ. ვნახე (ვინმე ან რამე) ჩემის საკუთარის თვალებითაა. სტვ. მე თვითონ ვნახე. უშუალოდ, ჩემი ნათქვამი სარწმუნოა. მე ჩემის თვალთ შინახია, როგორ მოსდენია ლოქოს ჩანავალი, და ის-კი გატრუნულა, როდი გაინარევა — გასწევს მეთევზე თოქს და ისიც ხესავით მოსდევს თანა⁴ (ფა-ფშავლა).

ჩემი ლეჩაქითაც დამჯდარა პრდ. ჩემი ლეჩაქიც ჰბურვია. სტვ. ჩემი დღე დასდგომოდეს, ისეთივე სამგლოვიარო და საღარებელი გასჩენოდეს, როგორც მე მაჭკსო. ჩემსებ სახმელის ცეცხლში დამწვარაო. «ცეცხლი-გენია ჩაუვარდეთ, შვილო, ჩემის ლეჩაქითაც დამჯდარა ბლუნძელ-აშვილის გადღარებელი ცოლი!»⁴ (ბ. მგალბლიშვილი).

ლეჩაქი — თხელი, ბადე-ბადე, გამკვირვალე ქსოვილია, ქალის თავსახურავის რძთავრესი ნაწილია და ჩიხტაკობს ზევიდაბ აფარია. ითვლება ქალონის სიმბოლოდ ისევე, როგორც ქელი იყო (და დღესაც). არის ზოგან საქართველოში) სიმბოლო მამაკაცობისა.

ლეჩაქა ორის სახისაა — სამხიარულო და სამგლოვიარო. როცა ლეჩაქის მატარებელ ქალს ან პატრონი (ქმარი), ან ძმები თუ შვილი მოუკვდება, გარდა იმისა, რომ ტანთ შავები აცვია, ლეჩაქიც სამგლოვიაროდ უნდა იქნეს შეცვლილი.

ზემოთმოტანილი თქმა — წყევლია და დიდიცა. ამ თქმით, წყენისა თუ გულის მოსვლის დროს, სამგლოვიარო ლეჩაქის მატარებელი ქალი მიმართავს თავის მწყენინებელს და უსურვებს, რომ იმასაც ისეთი შავი, სამგლოვიარო ლეჩაქი დაეხუროს, ე. ი. იმასაც მოკვდომოდეს ვინმე გულსწევაი და შესდგომოდეს მისს გლოვას.

ჩემის პირით ჩემს ნაწლავებსა ვკლავ პრდ. ჩემის პირით ჩემს ნაწლავებსა ვკლავ პრდ. ჩემის პირით ჩემს ნაწლავებსა ვკლავ პრდ.

ვებსა ვებე, ნაწილ-ნაწილად ვაქტევ-სტვ. ძალიანაც დილობ, ძალზე ვეწველები საწადლეს ვეწვიო, უზომოდ ვწვალობ, საშინლად ვიტანჯვი.

ჩემის სულის ცხონებამა პრდ. ჩემის სულის ცხონებამ იცის. სტვ. ფიცი: ისე მიცხონდეს სული, როგორც ეს (რასაც ვამბობ) მართალი იყოს, ჩემის სულის ცხონება იყოს ამის მოწმედ. ისე შევიდეს ჩემი სული სამოთხეშიო. ახ. ცხონება.

ჩემის ცოდვით ხავსე პრდ. ჩემის ცოდვით, ჩემის დანაშაულით გავსებულობ რომ ექრება ვისმე სხეული. სტვ. პასუხისმგებელი, უბედური, მძიმე სასჯელის ღირსი. შგლ. რას მერჩოდ ა ჩემის ცოდვით ხავსე, რა დაეფშავე ისეთი!..

ჩემი კობი ღია იქნება თქვენთვის პრდ. ჩემი სახლის კარი თქვენთვის არ დაიკეტება. სტვ. თქვენ მუდამ შემოგვივებთ სახლში, ყოველთვის გაგიწევთ მასპინძლობას. «უფიცავ მლილ ლმერთს, ჩემი საწყალი კობი ყოველთვის ღია იქნება თქვენთვის!»⁴ (ბლ. ვახუცი).

სახლის კარის დაკეტვა ვისთვისმე ნიშნავს ვისამე შემოუშვებლობას სტუმრად, ვისსამე დატოვებას პატივუცემლად. ხოლო როცა იგივე კარი სახლისა ღიაა და გამვლელს იმის საშუალებით შინ შემოსვლა შეუძლია, ეს იმის ნიშნავს, რომ შინაურებს მზად არიან მგზავრს, გინა უზიაროს ვისმე სტუმარმოყვარულად დაუბედნენ და შეძლების ფარგლებში მოსუყვენონ და პატივი სცენ.

ჩემი ძმა ხარ, ჩემი პირის ზიარება პრდ. ჩემთვის ძმაცა ხარ და ჩემი პირის ზიარებაცაო. სტვ. ჩემთვის ყველაფერი ხარ, შენით მიღვას სული, შენზე ძვირფასი არავენა მყავსო. შგლ. ჩემო კარგო, ძალიანა ვთხოვ, — ხომ იცი, — ჩემი ძმა ხარ, ჩემი პირის ზიარებაო!..

მორწმუნეთათვის ზიარებას უფულებსი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანის ცხოვრების კეთილ და წარმართვისათვის. რა ვასაკვირველია, ეს სიტყვა გადაქცეულიყო სხვის მოალერტების დროს სახმარ სიტყვად. ამ თქმით მისი თქმული მსმენელს ეუბნება: შენ ჩემი ძმა ხარ, ჩემი საყვარელი ადამიანი. მაგრამ ეს ცოტაა: შენა ხარ ჩემი პირში ჩასაშვები ზიარება, რომელსაც შეუძლია

უფილი სიბერეება მომანიჭოს, ცასა მწიოს სიხარულითა: თუ რამ ცოდვა ჩამიდნია, თუ რამ სიაცე მიქნია მოყვასისათვის ნებისთ თუ უნებლიეთ, ყოველივე შემიწოდოს, მეპატიოს და დაემიყვირო კეთილი ცხოვრება იგი საუკუნო...

ჩემი წილი ერთი დაქვეყნა პრ. ჩემი ხედრი, კუთვნილი ერთი კურკლიდან დაღვრილა. ზგვ. ჩემი სიცოცხლე გათავებულა, ჩემს სიხარულს, ბედნიერად ცხოვრებას ბოლო მოვლო. ცხივება და სავსელებში ქართველის სუფრასზე ერთი ყველაზე უკეთესად იყო მიჩნეული და დადაფებული ადამიანისათვის ყველაზე უკეთეს. ყველაზე სანატრელ და სანუგეიროსან — სიცოცხლესთან და ისიც სასიხარულო და სვესიანი სიცოცხლესთან.

ჩემი წილი ღმერთი პრ. რაც ჩემ წილად მხედება, რაც მე მეკუთვნიის, ის ღმერთი. ზგვ. ჩემი ღმერთი, ჩემი ბედი. „ვენაცოლე მე ჩემ წილ ღმერთსა: არ გააქვნირა, არ მოგვეცა მტრად მეფე მფარველი, — იტყუოდ დიდი დიასახლისი“ (დ. ბ. რვი).

ჩემი წყალი დაგვხვას პრ. ჩემის წყალითავე დასველებულხარ. ზგვ. შენცა გხედეს ჩემისთანა ბედნიერებათ.

ეს დალოცვის ფორმულია. წყალი: როგორც ეივით (იხ. „წყალი“). ბედნიერების ნიშანი იყო. ანას ეუბნებოდა ხოლმე ახალი ვახთხოვილი ქალი ვასათხოვარს და ამით ლოკავდა ვახთხოვების მომლოდინეს: ვითომდა შენც ჩემსებ გაბედნიერდი და ქმარი გელორსოსო.

ამ თქმის ზოგჯერ წყველს ხასიათიცა აქვს. როცა ქალი გამწარებულია რაიმე უბედურებისაგან, მეორეს. ვინც აწყენინებს რასმე ეტყვის: ჩემი წყალი დაგვხვასო! და ამ შემთხვევაში გულისხმობს უბედურობას, და ამ უბედურობას სხვას უსურვებს.

ჩემი ხანჯალი აბაზს იღებს პრ. ჩემ ხანჯალს აბაზიან ფულის აღება შეუძლია. ზგვ. ჩემი ხანჯალი მეტად მკრელია, გაუკრელი ვერაფერი გადაურჩება, „მე ჩაფრებისა კი არა, ღმერთისაც არ მეწინიან! ჩემი ხანჯალი აბაზს იღებს! როცა ესა მაქვს, იქ ვის შეუძლია თითი დამაწოს!“ (მელახია)

თუ ხანჯლის რკინას ფოლადი ბლომადა აქვს დადებული, ძალიანა სკრის.

საერთოდ, ხანჯლის მკრელობის გამოსაცდელად ხანჯლის წვერს აბაზიან ვერცხლიან ფულს დაჰკრავდნენ და თუ ფოლადიანი იყო, ფული უნდ აპყვებოდა. და ამიტომ როცა უნდოდათ ქება ხანჯლისა, იტყოდნენ: ჩემი ხანჯალი აბაზს იღებსო! ასეთის ხანჯლის პატრონს, რა თქმა უნდა, დიდი გული ჰქონდა, მოწინააღმდეგეში არ ეწინოდა. პირიქით — დაემუქვებოდა კიდევ: შეილოსან, ჩამომეხსენ, თორემ სიცოცხლე მაქვს, სეირი ვაჩვენო, არ იცი, რომ ჩემი ხანჯალი აბაზს იღებს!..

ჩემი ხელია პრ. ის ხელია, რომელიც ჩემს ტანს აბია. ზგვ. ჩემი ნაწერი, ჩემი ხელმოწერილია რახედმე.

ჩემი ხუთი თითივით ვიცი პრ. როგორც ხელზე თითი ხუთი მაქვს, ისე ვიცი (რამე). ზგვ. ზედმოწვენით ვიცი, დარწმუნებული ვარ.

წინათ, როცა თითებით ვითვლიდით ყველაფერს, პატარობითვე ვიცოდით, რომ ხელზე ხუთი თითი გექონდა. არც მეტი და არც ნაკლები. და ეს ყველაფერზე უკეთესად ვიცოდით. ამიტომ როცა გვიხდოდა გვეთქვა ჩვენი ზედმოწვენილი მტოდნობა რისამე შესახებ, მაშინათვე ჩვენს ხელის თითების როდენობას ვიმოწმებდით. დღესაც ეს თქმა — ხუთი თითივით ცოდნა — დარჩენილია ამავე ცნების გამოსახატავად.

ჩემმა კისერმა ზღობს ახ. ჩემს კისერზე იყოს!

ჩემმა სულმა პრ. ჩემმა სულმა იცის. ზგვ. ვფიცავ ჩემს სულს, ჩემმა სულმა იცის, რომ ეს (რამე) ასეა, რომ მართალს ვამბობ.

ჩემნი დღენი პრ. ჩემი სიცოცხლის დღეები. ზგვ. რაც ხანი ვიცოცხლებ ან მიცოცხლია. „მელამ უთხრა: „ჩემნი დღენი ცოდვის ქმნით დაეღამე, ახლა კუთა მოვიხმარე. ეს სოფელი ვაგოშვი. ბერად შევდგე, იერუსალიმს მიხნდა წავედიო!“ (ს. თრ. ბელახია). „სულ პატირა ჩემი დღენი, არაოდეს არ მამღეო“ (დ. ბ. რამაშვილი)

ჩემო რაო? პრ. რაც ჩემია, ის რას წარმოადგენს? ზგვ. ზე რა შუაში ვარ, ვითომ მე რა! მე რა გამიკეთებია? ჩვენი მადლი, ჩვენი კეთილი არა სწამთ, არა სჯერათ — ერთიც და მეორეც ჩვენგან უკვირთ, გუცხო



ვებთ. რაღა და რისთვისაო? იკითხვენ ხოლმე. კეთილისათვის რაღ მინახს კეთილსაო, ჩემო რაოვო?" (ილ. პავლევი)

ჩემს ბედს ძალლიც არ დაჰყევდა პრე. ჩემს ბედს ძალლიც პატივსა სცემს და დაჰყევდას არ ჰქადროდარო. ზეჲ. მეტად ბედნიერი ვიყავ. „რასა ბრძანებთ?.. მაინც ისე უსაქმოდ ვალამებდი ჩემს დღეს. მე რომ მაშინ წიგნი მცოდნოდა და ის ზღაპრები მეკითხნა, ჩემს ბედს ძალლიც არ დაჰყევდა“ (ილ. პავლევი). „პეტრო, ის სუთი ათასი რომ გამოიტანო, ჩვენ ბედს ძალლიც არ დაჰყევდეს! იმ ფულით ისეთ საქმეებს დავიკერ, რომ ორ წელიწადში მილიონერები ვაგებდეთ“ (ავს. ცაბაშვილი).

ხალხის რწმენით. ძალლსაც კი აქვს შეგნება დაინახოს ბედნიერი კაცი. დაათვისოს და პატივისცემით მოეპყრას ხოლმე, და არამც და არამც არ დაჰყევდეს, ე. ი. უზრდელად არ მოექცეს, არა ჰქადროს უხანძრობა.

ჩემს გულში იჯექიო? პრე. ჩემს გულში მოთავსებულხარ? ზეჲ. რაც გულში მიტო. რასაცა ვფიქრობდი, გამოვიტყვია, გავიგია. მგლ. როგორ ვაიგე, რომ ფული მიწოდდა და გამოიტანი? ჩემს გულში იჯექიო?

ჩემს თავზე კალო-ღა არ გაღეწილა პრე. პურის საღეწავ კალოდ ჩემი თავი არ გაუხლდათ. ზეჲ. ბევრი რამ უხედურება ვაღამხედი. ვინ იცის, რა გაპირება არ გამოვიღოდა, რა წყალებდა არ გამომიტოდა. მგლ. ჩემო მამო. ვინ იცის, რა არ გადამხედია! ჩემს თავზე კალო-ღა არ გაღეწილა! ახ. ჩემს თავზე წისქვილის ქვა-ღა არ დატრიანლებულა.

ჩემს თავს კა ხელში მოგტემ პრე. ჩემს თავს შენს ხელში მოვათავსებ, შენს საუთრებად ვაგებდი. ზეჲ. ჩემი ბედი შენს ხელთ იქნება, რაც გინდა, ის მიყავ, გინდ მიტოცხლე, გინდ მომკალი. — დარ, აქ მოდი. ცალკე გეტყვი, ჩემ თავს-კი ხელში მოგტემ, ვაგთქვა. სულ დავიღუპებთ, წუხელ ჩემ ქმარს კაცი შემოაკვდა და ოროშოში დამალა, შინა გუყავსო“. (თ. რაზივაშვილი).

ჩემს თავს ქვა ვებსროდე? პრე. ჩემს თავს მევე ქვას როგორღა ვებსროდი?! ზეჲ. თავი მომძულეხარ? ჩემს თავს

ცულს რასმე ხომ არ ვუზამდი? მგლ. რაც მახადია. ყველაფერი სხვას რომ მივსცე, მე რაღა ვქნა, ჩემს თავს ქვა ვებსროდე?!

ქვის სროლა ერთი პირველყოფილი საშუალებათაგანია თავის დაცვისა და მოსუული მტრის მოგერიებისა. ამ შემთხვევაში თავი წარმოადგენილია მტრად, რომელსაც ქვის სასროლად იმეტებენ. მაგრამ რადგან თავისი თავი აღმინანს გარემოზე ძვირფასად მიანჩნია, აღარც ქვის სასროლად გაიმეტებს.

და, ამიტომ, ეს თქმა გამოხატავს დიდს სიყვარულს თავისას და მისთვის არაერთარ საქტრო აქტის ჩაუდენლობას; გამოხატავს ამასთანავე საყვედურს, მიმართულს მეორე პირისადმი, რომელმაც გულში გაიფლო და წარმოიდგინა, თითქო მე ჩემი თავის მტერი და მოძულე ვიყოვო.

ჩემს იმედებს კბილი მოეჭრა პრე. ჩემს იმედებს კბილი დაუჩლუნგდა. ზეჲ. უიმედოდ დავრჩი, იმედი გამიტრუვდა, ხელი შემეშალა, დავხარადი, წავაგე, დავიღუპე.

იგულისხმება, რომ იმედს, როგორც სხვას რასმე, კბილი აქვს საქმლისათვის, ცხოვრებაში საბრძოლველად. გასამარჯვებლად. რაკი კბილი დაუცვლდება, დაუჩლუნგდება აღმინანს, აშკარაა, საქმლის დაღეჭვა არ შეეძლება, და რაკი საქმლის დაღეჭვა აღარ შეეძლება, სიცოცხლეც მოესპობა.

ჩემს იქით გზა არა აქვსთ პრე. ჩემს იქით სიარული არ შეუძლიათ. ზეჲ. უჩემოთ არაფერი შეუძლიათ, ჩემი თავი ძალიან სჭირიათ. და ამ სარგებლობისათვის თვეში ათი შაურბი ბაგი ეძლია თითო სულ საქონელზე. ვითომდა იმ მიზეზით, რომ სოფელი უწყლოდ დარჩენილა და ჩემს იქით მეტი გზა არა ქმონებიათ“ (ილ. პავლევი).

ჩემს კარაბადინში ეგ არა სწერია პრე. ჩემს საექიმო წიგნში სულ სხვაა დაწერილი. ზეჲ. მე ასე ვერ მოვიქცევი, ამას არ ვიხამ, ასეთი თუ ისეთი საქციელი სამართლიანად არ მიმანჩნია. — მხოლოდ გაბრაზება რა ვაქაცობაა, გაბრაზდენ და ბრაზი გულშივე ჩაიკლა? არა, ჩემ კარაბადინში ეგ არა სწერია“ (ვაჟა-ფშაველა).

კარაბადინი — საექიმო წიგნია, რომელშიაც თავმოყრილია ძველებური წამლობის რეცეპტები. იგულისხმება, რომ

შივ ათავსებდნენ გარდაუვალ, უცილობელ კანონებს და ყოველი განხილვა, განხილვა კანონიერებისაგან კარანდილის სიწმინდის დარღვევად ითვლებოდა და. მაშასადამე, შივ ვერ შეიტანდნენ. ჩემს კბილებს ჰრდ. ჩემს კბილებს მოხვედეს. ზგვ. რა მენაღვლებია! „ხოჯი დაქორცილებათ... თავს ვერ ირჩენენ და ამნაირ საქმისათვის რა მოეძებნებათ! — ჩემს კბილებს!.. მაგათ ხელში, რომ მოგვედნენ. მიანც არ დაგტოვებ, რაკი ამნაირი საშვალემა შეუძლებია... რას დავეძებ მაგათ? კისერიც უტყბიათ!..“ (დ. კლდიაშვილი). იხ. ჰაი დარდი!

ამას რომ იტყუოდნენ, თან ცერს მოუღებდნენ წინა კბილებს და ისე მოაჩვენებდნენ, თითქო ამოძრება უნდოდათ, ე. ი. მოდიოთ და ამომაძრეთო.

ჩემს კისერზე იყო ჰრდ. კისერზე მედოს ტვირთად, საზიდავად. ზგვ. მოვალე ვყო, ავასრულებ, პასუხისმგებელი ვარ, მე დამბრალდეს. მოვეკვდე, თავი არ მეწყალებს, ჩემი სიხსლი ჩემსა ქედსა“ (მ. რუსთაველი).

„ჩემს კისერზე იყო, ჩემო გიორგი! არ დაეკარგება. სხვა არა იყოს რა, მამი-შენის ხნის კაცი ვარ“. (ილ. ჰაბაძე). „მანამ ამ საქმეს დამმართებდა კი, ხათრი მქონდა, ლამქრობასაც ვყოფილვარ იმასთან და ეხლა-კი აღარც მახათრებს. მაგრამ არ მინდა სიხსლი და ვიდვა კისრად“ (ვაჟა-ფშაველა). იხ. კისრად აღება.

როცა მოვალეობის რისამე ასრულებას ვებრძობთ თვისზე თავს დავნობით, მარჯვენა ხელს ბრტყლად კისერზე ვარტყამთ და ვიძახით: ეს ჩემს კისერზე იყო სო, პასუხს ვაგებ, ვკისრულობ შესრულებას, კისრად ვოდებ ჩემი კისერია მძღველი! ბოლო „ხედევა“ გულისხმობს იმას, რომ ძველად ვინც „სიკისრ“ მოვალეობას არ ასრულებდა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ კისერსა სწორდნენ.

ჩემს მტერი მტერი უნდა (ვისმე) ჰრდ. მართო მე ვაყვე მტრად. ზგვ. მხოლოდ მე ვეყოფი სამტროდ. „ჩემს მტერი მტერი უნდა უნდა იმ ჯლოყინისა!“ (იხ. სონდულაშვილი).

ჩემს მტერს ჰრდ. ჩემი მტერი დაზარალდეს, იმას შეტედეს უზედურება. ზგვ. მე ვიდავრჩე განსაცდელს, ამც-

დეს ხიფათი. „ჩემს მტერსა ისეთ ამბავი, რაც რომ თუშ-ფშაველთ მოსვლია!“ (ს. მაკალათია)

წყველის ფორმულაა. იხმარება, როცა მოულოდნელ მარცხსა და უზედურებაზე ჩ. მოვარდება ლაპარაკი. სწამთ, რომ თუ ამას დაატანენ, ხიფათი მოლაპარაკეთ ასცდებათ და მათს მტერს გადაეკდება. ახ როცა მეორე პირს უამბობენ რაიმე საშინელ ამბავს, დააყოლებარს, რაც იქ საეგალოდ ამბავი დატრიალდაო, ე. ი. თქვენი მტერი და მაწყვეთი გახდეს მსხვრებელი ისეთის ამბავისა, ჩვენ-კი (მე და თქვენი) დაგვიფაროს და დაგვიცვას მაგისაგანო.

ამასვე უდრის თქმა: მტრის კარს! ე. ი. მტრის ოჯახს, კარმიდამოს დაატყდეს ეს უზედურებო.

განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა უზედურება იმდენად განუზომელი და საშიხელია, რომ მტერიც კი ბრალად ვისთ მის მტერთავეს და მსხვერპლად, ამბობენ: მტერიც კი და იფაროს. მტერსაც კი ნუ მისცესო!

ჩემს თავზედ ბევრი ბუკი დაიკრა ჰრდ. ჩემს თავს ზნორდან მრავალჯერ დაიძახეს ბუკი. ზგვ. ბევრი ვაი-ვაგლახი ვადამზდა, ბევრი ვაჭირება ვამოვიარე. „რა ვახვშორდით, ბევრი ბუკი დაიკრა ჩემს თავზე, რომლისა იღწერა არის უსიამოვნოცა და გრძელიცა“. (ფ. ოზბულიანი).

ჩემს სწორად მოიყარე ჰრდ. ჩემოდენა ვახდი. ზგვ. იმდენი იცოცხლებ, რაც მე მიცოცხლნია.

დალოცვის ფორმულაა. მეტად ხნიერი და მოხუცებულნი იტყვიან ახალგაზრდებს, როცა ეს უქანასკნელნი აამებენ რასმე.

ჩემს უბეშია ვაზრდილი ჰრდ. პატარაობა სულ ჩემს უბეშია ვაუტარებია. ზგვ. ჩემს ხელშია ვაზრდილი, მისი ყველაფერი ვიცი. მისი ავი და კარგი არაფერი გამომეპარება, ზედმიწევნით ვიცნობ.

ჩემს ფეხებს ჰრდ. თუნდა ჩემს ფეხებს მოხვედრო. ზგვ. დარდი არა მქვებს, რა მენაღვლებია. „მე არც ძროხა მუაგს, არც ცხვარი, არც ღორი, არც კომეჩი. კატაც არა მუაგს სახლში, თქვენი კარგიდ იცით, ცოლ-შვილს ვინ იტყვის! — სთქვა თევდორამ, — არც არაფერი შეუკამია ჩემთ-



ვის დათვის, მაგრამ სოფლის გულისათვის ჯანდაბას ჩემი თავი. ერთ დღეს გავეზინდებო. ერთ დღეს მოგვედები. ჩემს ფეხებს! (ფაფა-ფაფა). ამით გვიღებ ვეფხვთ ისა, რომ თუ ფეხებს მოხვდება რამე, იმით არაფერი დააკლდება ჩვენი სხეულის დანარჩენ ნაწილებს, საღარდებელი არა გაგვიჩნდება არა.

ჩემს ქედზე ახ. ჩემს კისერზე იყო.
ჩემს ძმას გეუბნები პრ. გელაპარაკებდი, როგორც ჩემს საკუთარს ძმას! ზვ. არაფერს დაგიბლავე, ისეთს რასმე გეუბნები, რაც მხოლოდ მხას ეთქმის, შინაური საიდუმლოებაა. აგაქცეულს ცხენსებით მოტრიალდა (თათარი), მოიბრუნა თოფი, — ჩემს ძმას გაეშტობ, — ვამაიბანენს ბოლნი და ხელისუფლის ლეიძლეულტეის ნავლეტები ა იქ სამ გამაზნაბი ტყეშია (ფაფა-ფაფა). „შენი ულოდინარი-ი, ჩემს ძმას ვამაიბანო, არ არი ეს საქმე. შენც შეგეღიშნა კი ის ერთი სურვილი“ (ფაფა-ფაფა).

ერთგვარი მობოდიშების ფორმულა: რასაც გეუბნები, მარტო ძმას ეთქმის, სხვას არავისო, გარეშესთან გასამხელი არ არისო.

ჩემს ჭირს! პრ. ჩემს ჭირსა ჰქონდეს, ჩემს ჭირს გაჰყვეს! ზვ. რა მენღვლება, ჰაი დარდი! მეტი გაჭირება ნუ მომცეს! აარავის! არასდროსაც არ გავთხოვდები! ჩემს ჭირს! მაგის დარდაც ვაფუძლებ! — დაუმატებდა გულმოსული მართა“ (ან. ფრისთავ-ხომტარია).

ამის მოქმედს სურს გამოხატოს თავისი დაარზინებული ყოფნა, გადაწყვეტილი აქვს ჭირს აჭიდოს და გაატანოს თავისი საზრუნავი და სასურავი, თითონ კი უზუნდვლად დარჩეს, ყოველივე დარდის გარეშე.

ჩემს ჭირს არ ავლებს (ძირს) პრ.
 ჩემს ჭირს ძირს არ დაუშვებს, ხელიდან არ გაუშვებს, ზვ. ჩემი დიდი სიყვარული აქვს, ჩემი გულისთვის მზადაა თავიცი კი მოიკლას.

ჩემ ყურებასმდე მოვიდა პრ. ჩემ ყურებასმდე მოაღწია. ზვ. უნებურად გავეფი. შემატყობინეს, დამალული არ დამჩია. ზვ. ჩემი ყურებასმდე მოვიდა. ქალო, თხოვდებიო!.. **ჩემს წინა ბნელა პრ.** ჩემს წინ სინათლე არ არის, არაფერი ჩანს. ზვ.

ჩემს წინ ვერაფერს ვხედავ, რომ ვისმე რამე დავუშავო, ალაღმართალი, უფშაქო, უღანაშაულო აღამინანი ვარ.

ჩემს ხელთა პრ. ჩემს ხელშია მოთავსებული, ხელში მიჭირავს. ზვ. მე ვარ პატრონი (რისაზე), ჩემი საკუთრებაა, არავის დავანებებ; შემოძლია რისაზე ვაქცეობა, რასმე ვფუფლები. „რა უშავს“. შინაური დედაცაია ხანუმა! „ქორწილი მაგათი კი არა, ჩემია, კარგა მოუთაროვებ კიდეც. სასლი ჩემ ხელთ არიო...“ (ავს. ტავარული). „განა მე-კი არ მეშურება, განა მე-კი არ ვიტახევი, განა ვერა ვგრანობ შენსა ტანჯვას! მაგრამ რასა ვიქ. ჩვეც ხელში რომ არა არიო რა“ (ლ. ალ. ზინი).

პირველყოფილი აღამინანისათვის ხელი იყო მტრის შეპყრობის, მისი მორევისა და დამარცხების იარაღი; იგივე იყო წართმევისა და მიკუთვნების იარაღი; რაკი ხელში ჩაივლებდა რასმე, რაკი რამე მის ხელში მოექცეოდა, მერე შეპყრობილ საგნის პატრონად ის ითვლებოდა, სხვას „ხელი არა ჰქონდა“ იმს-განზე. ძალით თუ მოუწოდომებდა ვინმე წართმევას, „ხელიდან გამოცლას“.

ჩემიჩი პრ. ერთი წლის მამალი თხა, ზვ. გამოუცდელი, ცუდი, წინამასწავია.

ჩემიჩი — ერთი წლის მამალი თხა, რომელმაც წინძოლა ფარისა ჯერ არ იცის. მაგრამ ჩემობს და უშნოდ გამოუღის. რა ჩემიჩივით მოდიხარო! — ეტყვიან კახეთში ისეთს, ვინც აიღირებს თავს და სხვების წინ უგზო-უკვლოდ მიდის. ჩემობს პირველობას, მაგრამ მარტოოდენ მეტიჩრობა გამოუღის და სხვა არაფერი.

ჩემს ვაჩენაში ღმერთი არ უნდა ეროს პრ. ჩვენი ვაჩენა ღვთის ნება არ უნდა ყოფილიყო. ზვ. უბედურები ვართ, ვაჭირებაში უნდა ამოგვხდეს სული. — საღ არი, ბიჭო, ე ამოდენერთა ღრუბელი, ჰი. ე? ეს არი, კაცო, გასაოცარი. რო თუ არი ღრუბელი მხა, რატო მაღი-მალ არ მოვა ხოლმე წვიმა? ვი ჩვენი ბრალი, ჩვენ ვაჩენაში ღმერთი არ უნდა ეროს. არა! ი დაროცვილმა გამოგზავნოს ხოლმე, რა ხარჯი გაზღის?! (მ. წვალთაბლიშვილი).

ჩვენი დროის რაინდი პრე. რაინდი,
ჩვენს დროს რომ ცხოვრობს. ზღვა
და დაცინებით: გაიძვერა, ეშმაკი. გა-
მორჩენის მაძიებელი. „გვიან-ღაა
ასეთის აშას კერა და მით უფრო
განსაკუთრებული, რომ სწორედ
იმავ ნომერში, საცა ამ ჩვენის
დროების რაინდს ჩათუქესნობას
უქეენ...“ (ილ. ჰაჭავაძე).

**ჩვენი ვირი თქვენს სანაცრევე გაგო-
რებულა იხ. ჩვენი ვირი იმათს
ბანზე გაგორებულა.**

ჩვენი ვირი იმათს ბანზე გაგორებულა
პრე. ჩვენს სახედარს იმათს ბანზე
უგორავნია და ნასიამოვნები გამხ-
დარა. ზღვა. ერთმანეთის მახლობელ-
ნი გამხდარვართ. იხ. ყუფავი ჩხი-
კვის მამი დარ. ქათმის თავის
ნახარშიო. ჩვენს მამალს
იმათს ეზოზე გადაუვლიაო.

ეს თქმა დაცინებითა და მონათესა-
ვეა ზემოდასხვლებულ თქმებისა. ამ
თქმების მსგავსად, იხმარება იმ შემთხვე-
ვაში, როცა ვინმე ამტკიცებს ნათე-
საობას ორის ისეთის ვისამე. რომელ-
თა შორის ნათესაობის ნახაბი არ არ-
სებობს და თუ მაინც და მაინც არსე-
ბობს, სწორედ იმდენი, რამდენიც შე-
იძლება ორს შეზობელს შუა არსებობ-
დეს იმის გამო, რომ ერთის სახეღარი
მეორის ბანზე გაგორებულა ისევე თა-
ვისუფლად, როგორც თავის პატრონის
სახლის ბანზე გაგორდებოდა.

ამბობენ კიდე: ჩვენი ვირი თქვენს
სანაცრევე გაგორებულაო.

ჩვენი თავნი ჩვენადვე გვაუღუნეს პრე.
ჩვენი თავი ჩვენთვისვე გვაქვს.
ზღვა. ჩვენის თავის პატრონი, მო-
მკლელი ჩვენვე ვართ. „ადრბ-
და ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი
თავნი ჩვენადვე გვეყუღუნეს,
მით იყოს უკედ“ (ილ. ჰაჭავაძე).

**ჩვენს წყლისაა პრე. იქაურია, სადაც
ჩვენი წყალია. ზღვა. ჩვენებურია, ჩვე-
ნის მხრისაა, ჩვენის ქვეყნისაა. რად
ეზოცდით ბარის ღიღღღღღებსა, თე-
მია ჩვენის წყლისააო“ (აქ მა-
ნიქ).**

როცა გვინდოდა აღგვეჩინა ჩვენი
სადაურობა, აღვილი, სადაც დაეიბა-
დენით და აღვიზარდენით, ვამბობდით:
ჩვენი მიწა-წყალი აქა და აქ არი-
სო... აღვჩინებდით მიწას, მაგრამ
ამ მიწას დაეატანდით წყალსაც, თუ
სამოსახლო მიწას წყალი არსაიდანა

ხედებოდა, ახლოს არა ჰქონდა, ასეთი
მიწა თუ სულ უფასური არა, ნახევარი
ლირებულბისა მაინც იყო... უწყლო
მიწა აღამიანის სამოსახლოდ ქართვე-
ლებისათვის წარმოუდგენელი იყო.

და აქედან ცხადია, თუ რატომ
დარქმევია მიწა-წყალი ადგილს,
საცა დაეიბადენით, სადაც გავიზარდ-
ენით და სადაც, სიცოცხლის დასრულე-
ბის შემდეგ, ჩვენი ძვლები უნდა მიემა-
რებინა სამშობლო ადგილს.

აღსანიშნავია, რომ ხევსური და
საერთოდ საქართველოს მთის ხალხი
უფრო შორს მიდის ცნება სამშო-
ბლოს განმარტებაში. ხევსური, რო-
გორც ზემოთ ამოხაწერიდან დაეინახეთ,
სამშობლო ადგილს წყალს უწოდებს
და ეს წყალი ყველაფრის შემცველი
ცნებაა, წყალი მისთვის ყველაფერია.
(დაწვრილებით იხ. სიტყვა წყალი).

**ჩვენს თავზე ბევრი კევრი დატრიალე-
ბულა! პრე. კალოს მიაგვირად ჩვენი
თავი ყოფილა და ზედ კვერს უტრიალ-
ნია პურის საღვწად. ზღვა. ბევრი
უბედურება გადაგვადოდა, ბევრი გვი-
ტანჯნია. ეს აღამიანის უფლებაო,
ეს ზნეობითი კანონებით!.. დასწყევ-
ლა ღმერთმა, რეებს არ მოიგონებენ
კაცის მაცდურებისათვის! გვიხსენ,
უფლებართო წუთისსაყულო, ამ ბო-
როტებისაგან! ბევრი კვერი
დატრიალებულა ჩვენს თავ-
ზე დ და ამისთანა კი ჯერ არც
ერთხელ“ (ილ. ჰაჭავაძე).**

**ჩვენს თვალში პრე. როგორც ჩვენ და-
ვინახავთ. ზღვა. ჩვენი აზრით, რო-
გორც ჩვენ გვეგონება. ჩვენ კი ამას
ვინჯყო. რომ თუ კომისას ეს სა-
განი (ეროვნების და სახელმწიფოს
არსებითთა მოთხოვნილებათა ერთმა-
ნეთს შეუარღება) ვალად არ დასდევს,
მაშინ კომისიას ჩვენს თვალ-
ში თავისი უაღრესი მნიშვნელობა
ჩამოერთმევა“ (ილ. ჰაჭავაძე).**

**ჩვენს შორის დარჩეს! იხ. ჩვენში კი
დარჩეს!**

**ჩვენს შორის ჩხირი გატყდა იხ. ჩვენს
შორის ჯოხი გატყდა.**

**ჩვენს შორის ჯოხი გატყდა პრე. ჯოხი
ორ ნაწილად იქა ჩვენს შორის.
ზღვა. ჩვენს შორის ურთიერთობა
შეწყდა. მგებობობა მოისპო, ერთ-
მანეთის მოყვებითი ილარა ვართ
ერთმანეთის მტრებად გადავაქვეით.**



ერთმანეთის შემოწყრომისა და ერთმანეთის დაშორების სიმბოლო იყო ჯოხის შუაზე გადატეხვა. ძველად მრთელი ჯოხი აღამიანისათვის გამომხატველი იყო ურთიერთობის მთლიანობისა, ერთმანეთთან კარგი ვაწყობილებისა. ხოლო ჯოხის გადატეხვას შუაზე, მის ნაწილების ერთმანეთისაგან დაშორებას უნდა გამოეხატა ამ ჯოხის გადამტეხელთა მიერ მეგობრული კავშირის გაწყვეტა, ერთმეორისათვის მოწინააღმდეგეებად გახლდნა.

ქართლში, ჯერ კიდევ ამ ორმოც წელს წინათ, ერთ-ერთი წახებებული ბავშვთაგანი ჩხირს აიღებდა და გასტეხდა. ნატებს მოწინააღმდეგეს ესროდა და ე•ყოდა: აი, ჩხირი გატყდა ჩვენს შორის! ამის შემდეგ ერთად არ თამაშობდნენ. ერთმანეთთან ვაბუტებულეები იყვნენ, ერთმეორეს თან აღარ მიდიოდნენ. სხვები ამბობდნენ ხოლმე — მათს შორის ჩხირია გატეხილი.

ჩვენს ხბოს მგელი დაუტერია ჰდ. ჩვენს ხბოს მგელი შეუტყროაო. სჯვ. ტყუილია. „ჯერხახად, მეტრ რა ვხაა, უნდა დაუეჯეროთ ატორსა, რომ მითამ-და ჩვენს ხბოს მგელი დაუტერია“ (ილ. ჰაჭავაძე).

ეტყვიან, როცა ვინმე აშკარა ტყუილს ამბობს და მაშინ ეს თქმა ნიშნავს: ეს ისე მართალია, როგორც მართალია ის, რომ ვითომც ჩვენს ხბოს მგლის დატერია შეეძლოსო.

ჩვენს ხელშია ის ჩემს ხელთაი.

ჩვენში კი დარჩეს ჰდ. როც ითქვა, სხვამ არ გაიგონოს. სჯვ. საიდუმლოდ დარჩეს, ჩვენს გარდა არავინ გაიგოს. სხვას არავის ვუთხრათ. „ჩვენში კი დარჩეს და რა ჩემნა. ეს ოჯახის ნგრევა-ქცევა ახალი ამბავი, მგონი, არ უნდა იყოს აქ, ჩვენს საქართველოში მაინც“ (ილ. ჰაჭავაძე). **შეორე თავი.** „მამ, მამ! მამ! მამ! ჩვენში კი დარჩეს და ერთი რამ უნდა ვუთხრა. მართალია, ღორსა, დათვსა და მაჩეს დაეაბრალო, მაგრამ არა, ეს არცერთის ზოალი არ უნდა იყოს“ (ვაჟ. შაველა).

ეს თქმა ჩართული წანადიდებაა და პეტლისხმობს, რომ მთქმელი მომსმენელსა სთხოვს საიდუმლოდ შეინახოს, სხვას არავის ვუთხრას.

ჩვენში კი ითქვას ჰდ. მე და შენ შორის იქმნას თქმული; სჯვ. საიდუმ-

ლოდ დარჩეს, ჩვენს გარდა არავინ გაიგოს.

ჩვენში ჩალა გაწყვეტილია ჰდ. ჩვენ ერთმანეთში ჩალა ვაწყვეტეთ. სჯვ. ჩალის სისუსტის კავშირი, რომელიც ჩვენში შეიძლება კ დევ არსებობდა, უკვე აღარ არის, ჩვენს საერთო აოაღმერი გვაქვს. „ჩვენში ჩალა გაწყვეტილია“ (ვაჟ. ცაგარელი).

ფილად ჩვეულებად ყოფილა, როცა ორი ვინმე ერთმანეთს შემოსწყობოდა, ჩალს ვაწყვეტდნენ და ამით ერთ-ერთს ერთურთს: ჩვენს შორის ყველაფერი მორჩა, ერთმანეთთან არაფერი გვაერთებსო. ქირსა თუ ლხინში მე — ჩემთვის, შენ — შენთვისო.

ჩვენ ჩვენი პური მოგვაქამია ჰდ. რაც ცხოვრებაში პური უნდა გვექამნა, სულ შეგქამეთ. სჯვ. ჩემი ცხოვრება გამივლია, ცხოვრებისაგან მეტს არას მოვფლი. „მოხუცი აქრომ ჩონჯურს ისწავლის, იქ, საიქოს, გამოადგება. ჩვენ ჩვენი პური მოგვექამია“ (ვაჟ).

ჩვენც არ დაგიცვივით! ჰდ. ჩვენც თქვენს ქვემ არ გავიფანტებით. სჯვ. არ ჩამოგრაჩებით, არ დაგივარდებით, თქვენზე ნაკლებნი არ გახლავართ. „უკან გაბრუნდი! კი ვაქაცო ხარ, მართალია, მაგრამ ჩვენც არ დავიცივივით!“ (ილ. ყაზბეგი).

ერთგვარი დატრამატიზების ღორმუღაა, რომლითაც მიმართავენ ზედმოსულ მტერს შესაშინებლად, მესამოგებლად. ამით უნდა უთხრან: თქვენ თუ ღონიერები ხართ, არც ჩვენ გახლავართ თქვენზე ნაკლებნი და სუსტნი!.. რომ მოხვალთ, დაგიხედებით. არ ვატიმევივით: ჩაიოდებით, ვაბ გვიტყეთო!..

ჩვენ-კი მამას შეიღები ვართ ჰდ. ჩვენც ჩვენის მამის შეიღები ვართ. სჯვ. ჩვენც სხვას არ ჩამოვუვარდებით, ვაქაცოდა არ გვაკლია, შეგვიძლია მტერს მტრულად დაეუხედეთო. „ღამე ვაიტაცა, ქურდულად, თორემ ჩვენც-კი მამას შეიღები ვართ“ (ილ. ყაზბეგი).

ამ თქმაში თავშეკავებული, თავმდაბლური თავის ქებაა. პირდაპირ არ ამბობენ — კარგი ვაქაცები ვართო, არამედ მამას ახსენებენ: მამა ჩვენი, ყველამ იცოდა, რაც კაცი იყო და ჩვენც მისი შეიღები ვართ, ე. ი. მასა

ვგავართ ან ვცდილობთ მათ დავემსგავსოთ ვაქციატობითაო.

ჩვირებში ვახვევა პრ. რაიმე ნაქსოვის ნახევრებში წიხვევა, ჩაბუნებია. ზვე-დამცირება არაფრად ჩავგდება, გაქირღვა, დაგმობა, ვალანძლე, დაქინინება. შეურაცხყოფა. „ზოგი ჩვირებში ვაგვავახვია, ზოგი ცამლის აიყვანა“ (გ. ლეონიძე).

ჩინეთს ქვაზედა სწერია პრ. წერის ნიშნებით გამოხატულია ქვაზე ჩინეთში. ზვე. კანონია, კეთილზნობის წესები ყველასათვის დასახსომებელია. „ჩინეთს ქვაზედა სწერია, ვითა: მიჯნურთა ჯოჯობეთი სამოთხედ უჩანს“ (ვისრამიანი). „ესე არაიქ ნართალი ჩინს ქვასა ზედა ან სწერია: ჟვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ (ნ. რუსთაველი).

ბატონიშვილი თეიმურაზ ამ თქმას ასე განმარტავს: „ქვეყანასა ჩინეთისასა არს ჩვეულება: ხნეთსწავლულებისა სიტყვებსა ქვეზე დასწერენ და გარეთ მოედანზე ანუ, ხალხი საცა ხშირად შეიყრება, იქ დააწყობენ იმ ქვეებსა, რომ ყველა კაცმა წაიკითხონ და კეთილზნობა ახსომდეთ“.

ჩინური ანბანია პრ. ჩინელების წერაკითხვისათვის სახშიარი ასოებია. ზვე. გაუგებარი, მიუწვდომელი, მეტად ძნელი. ზგლ. ეს რა დაგიწერია! ჩემთვის ჩინური ანბანია, ჩემო ძმარ!

ცნობილია, რომ თანამედროვე ხალხების ანბანთა შორის, ყველაზე ძნელი სასწავლია ჩინური ანბანი. ამიტომაც, რომ ყოველისავე ძნელი საკითხავისა და მიუხვდომელისათვის ჩინური ანბანი გვიქვია.

ჩინხვრების ძებნა პრ. წვრილი ფიჩხის ძებნა ცეცხლის ვასალვივებლად. ზვე. მიზეზების ძებნა ჩხუბისა და უსიამოვნების ასატეხად. ეხლა უროსტომოდაც შეიქლო (გრიგოლას) ბატონ-კაცურად ცხოვრება, რადგან მთელი მისი ავლა-დიდება, დიდი ხანია, ხელში ეგდო... ეხლა უნდოდა როგორმე გასცლოდა და ეძებდა ჩინხვრებს“... (ან. ელისავე-ბოშტარია).

ჩინხვარი — ხის წვრილი ტოტების ხელი ფიჩხია, მსხვილი შეშების მოსაკიდებლად და ცეცხლის ვასალვივებლად ხმარებული. ამის მინსავსებით, დიდი

ჩხუბისა და უსიამოვნების ასატეხად საჭიროა წვრილმან მიზეზების მოკრეფა, რომ „ჩინხვრის მიებნელმა“ თავი იმართლოს ჩხუბის შემდეგ, დამნაშავედ თავისი მოპირდაპირე გამოიყვანოს და ჩხუბის ატების ბრალი სულ იმას მოახვიოს თავზე.

ჩინხვრის კრეფა ის. ჩინხვრების ძებნა.

ჩირქის მოცხება პრ. თხრამლით ვასვრა. ზვე. სახელის ვატება, ვაბინძურება, სათრეველად ვახდობა, ვაშავება.

ჩიტი-ფაფას (ვაკეთებ) პრ. ჩიტებისათვის ფაფას ვამზადებ. ზვე. ხომ ხედავ, რასაც ვაკეთებ, რალას შეკითხები?! ზგლ. რას აკეთებ, ჩემო კარგო? — ჩიტი-ფაფას.

დიდმარხვის პირველ ორშაბათს ანუ აღებლამის მესამე დღეს, ჩვენი ხალხის ჩვეულების თანახმად, ქართლ-კახეთში დილაადრიან ფაფას ხარშავენ და ქურქულიანად გარეთ გამოსდგამენ ჩიტებისათვის. სწამთ, ჩიტები ამ ფაფას რომ შეჰამენ. ფაფის გამკეთებელს დაუშაბდლებენ და სამაგიეროდ ზაფხულში შემოსულს პირნახულს არ შეუჰამენ, ვინც მათთვის იზრუნა და ფაფა გაუქვთა, ისიც ზამთარში, როცა მიწა თოვლითაა დაფარული და საცენკის მოვნი სჭირს...
ეს თქმა გადატანითად იხმარება, როცა კაცი რასმე აკეთებს და ამ დროს მეორე მოდის, ხედავს, რასაც პირველი აკეთებს და მანც ეკითხება: რას აკეთებო?! მაშინ პირველი მეორის ვასამასხარაველად ეუბნება — ჩიტი-ფაფას ვაკეთებო და თანც აგრანობინებს: უკეთესის პასუხის ღირსი არა ხარო!..

ჩიტი ვერ აასწრებს ადგომას პრ. ჩიტზე აღრე დგება დილით. ზვე. მეტად აღრე ადგომა იცის დილით, დაუხარელია, ცქვეტია.

ჩიტი ვერ ვადაფრინდება პრ. ჩიტს არ შეუძლია ვადაფრინდეს ხედ. ზვე. ადგილი რამე მაღალია, დაცულია ძალზე, მიუწვდენელია, არაფერს შეუძლია ზევიდან მოექცეს. „დაიშალა საბჭო. სააკაძემ აწინო ზურაბს ყოველივე. მეტად უამა. — ისე შეუკოა დარიალი, მფრინველმა ვერ ვადმოიაროს!“ (ვ. ბარნოვი).

ჩიტი ვერ შეფრინდება ეზოში პრ. ჩიტი ვერ შესძლებს ეზოში შეფრინ-

7. თ. სახიჯია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. III.



დეს. სჯე. ეზო ძალიან მაგარადაა შე-
მოკავებული, შიგ ვერაფერი შევა.
ჩიტვითაა პრე. ჩიტის მსგავსია. სჯე.
ცოცხალია, მკვირცხლია, მსუბუქადა
ხმარობს სხეულს, მარდია.

ჩიტრეკია პრე. ვინც ჩიტს დასდევს
ხელით დასაჭერად. სჯე. უქუთო,
ბრიყვი. „ან, იქნება, გონიათ, რომ
რაკი რუსულადა სწორენ. ჩვენგან გა-
იხიზნენ? სწორედ მოგახსენით, აქ არც
პირუთენელობაა და არც გეხიზვნა:
აქ მარტო ის არის, რომ ჩვენი გარ-
და ყველა ჩიტრეკები არიანო“
(ილ. პავლეაძე).

ჩიტის გული აქვს პრე. ჩიტის მსგავსი
გული აქვს. სჯე. პატარა, სუსტი გუ-
ლი აქვს, გაჭირებას ვერ უძლებს.

ჩიტის რძის მებე არაფერი აკლდათ
პრე. ჩიტის რძელა აკლდათ. სჯე.
ყველაფერი ჰქონდათ, არაფერი აკლ-
დათ. „და ისეთი ქორწილი ჰქონ-
დათ, რომ ჩიტის რძის მებე
არაფერი არა აკლდათ რა“
(თ. რაზივაშვილი). „ტყე-მინდორი, მთა-
ბარი, მიწა-წყალი, პავე-პაერი იმის-
თანა გვაქვს, რომ რა გინდა, სულ
და გულო, არ მოიხვეჭო, არ იშოვო,
არ გამოიყენო!.. აქ ჩიტის რძეს
რომ იტყვიან, ისიც იშოვებდა, ოღონდ
ხელი ვასძარ, ვაისარჯე, იმხნევე“.
(ილ. პავლეაძე). „რა გინდა, სულ და
გულო, რომ იმით მეფურ სუფრაზე
არ ყოფილიყო: ჩიტის რძეც-კი
იპოვებოდა და ყოვლის სიკეთე-
თა და სიმსუქნითა დულდა და გადმო-
დიოდა“ (დ. მაჩხაძე).

ამ თქმაში ის აზრია გატარებული,
რომ უმოგრის გარდა, როგორცია
მაგ. ჩიტის რძე, საშოგარი, მოსა-
პოვრად შესაძლებელი ყველაფერი
იყო. ამით უნდა გამოხატონ ყველაფ-
რის უხეება.

ჩიქილა დამხურე ქალისა პრე. ქალის
თავსაბურავით დამიბურე თავი მამა-
კაციისა. სჯე. შემარცხენე, მამაკაცი
დღეაქაც დამამსგავსე. „სად დავა
შეა-ღამეთა, თუ-კი ძალღობა არ
უდრე გულში? დაცა. დაცა, დაცა!-
შენი ჩიქილა დამხურე, თუ
შენი ჯგერი შეეკამო“ (ფაფ-ღმადუღა).

ჩიქილა — რიდე, იგივე მანდილი,
ქალის თავსახურავია. არ ეგებმის,
რომ იგი მამაკაცმა დაიხუროს თავზე,
რომელსაც მხოლოდ ქუდი უნდა ეხუ-

როს, როგორც სიმბოლო მამაკაცო-
ბისა.

ჩიქილას მოხდა პრე. ქალისათვის თა-
ვიდან ჩიქილას მოშორება. სჯე.
შერცხენა, პატიოსანი სახელის
წართმენა, გაბაიბრუება, ჩამუსის
გატება. „ის ძალი ასე მეუბნება:
თუნდა ეხლავე ლუქმა-ლუქმა ამქუ-
წოვო, მე ჩემს რძალს ჩიქილას
არ მოვხდითო და ნამუსს არ გავეუ-
ტეხამო“ (მელანია). „ის მანდილის
მოხდა“.

ქალი პატიოსნების კანონს რომ
დაარღვევდა, ჩიქილას მოხდიდნენ,
ვირზე შესვამდნენ და ყველანი ლაფს
დასხამდნენ თავზე.

ჩიჩვირჩამოშვეებული პრე. ქვედა ლაში
დაშვეებული რომ ექნება კაცს, გინა
ცხოველს (ცხენს). სჯე. დაღონებული,
დაღრეჯილი, გულგატეხილი. „შევე-
დი შინ ჩიჩვირდაშვეებული.
დედაჩემმა დამინახა თუ არა, შემა-
მიბუხუნა“ (ელ. ზერტხიშვილი).

ჩიქილის ყურზე გამოზმული ვაჟკაცი
პრე. ქალის ლეჩაქის წვერით ქალზე
მიბმული ვაჟკაცი. სჯე. ქალებს აყო-
ლილი, მერისნერტი მთარზიყე, ქა-
ლების ნება-სურვილზე მოსიარული.
„აქამდის ჩიქილის ყურზე ვა-
მოზმულმა ვაჟკაცმა, აქამდის
კაბის კალთის მოთაყვანე უძღებმა,
ეხლა შეიზიზღა დედაკაცები და ყო-
ველივე პატივი აშკარა მით“ (ფ. ბარ-
ნოვი).

ჩიჩვირი პრე. წვრილი ტოტების შე-
კეთება ცეცხლში გასაღვივებლად.
სჯე. ხელის შეწყობა, წაქეზება, თა-
ვის მობეზრება.

ჩმახვა პრე. უხვიროდ კერვა. სჯე. ცუ-
დათ წერა, ლაქალაქი, ტყუილისა და
მართლის ერთმანეთში არევა.

ჩონგურივით ჩამოკიდება პრე. ჩონგუ-
რის მსგავსად რომ დაეკიდოს ვისმე
გვერდზე. სჯე. მოუშორებლობა, სულ
თან იდევნება, ჩაცევა. „მაგრამ
რადგანაც მიხას შეილის ქება უფრო
მეტი ესმოდა იოსებს, ჩონგური-
ვით ჩამოკედიდა მიხას. სანამ არ
დაითანხმა“ (ფან. მენდრაშვილი). „ის

ხურჯინივით ჩამოკიდებდა.
მეჩონგურეს ერთავად გვერდზედ
აქვს ჩამოკიდებული ჩონგური. თავიდან
არ იშორებს სოღმე.“

ჩონჩით ზიარება პრე. სულ დიდი კოე-
ზით რომ აზიაროს მღვდელმა კაცი.

ს.ჯვ. დიდი სიკეთის ქმნა, მეტისმეტი დავალება. მგლო. თუ მაგდენ სიკეთეს მიზანს, და ახლა ხელს გამომართავ ფულით, ჩემთვის ჩონჩით ზიარება იქნება.

ჩონჩა — ქიზიყში თათარის მოსარევე დიდ კოვზისათვის უქვიათ. მღვდელი, ჩვეულებრივ, პატარა საჩაივ კოვზის ოდენა კოვზით აზიარებდა ხოლმე მორწმუნეს. მდაბიოსა ჰგონია, თუ ჩონჩით აზიარებდა, მეტი სიკეთე მიენიჭებოდა მის სულს. ხოლო ვადატებითაო ჩონჩით აზიარება ნიშნავდა ქონებრივს ქაბრებებს, დიდს კმაყოფის, უზრუნველად ყოფნას, განცხრომას.

ჩრდილთა (ვისსამე) ქვეშე ყოფნა ჰრდ. ვისიმე სხეულის ჩრდილ ქვეშ დგომა. ს.ჯვ. ვისიმე ცევა-ფარევა, ვისიმე ყოლა შესავარდომად, მშველელად, ხელის აღმპყრობელად, მშვეუო. მრავალნი ვამნი აზიან, მე ჩრდილთათ ქვენთა ქვეშე ვიმყოფები. (ს. ორბელიანი).

ჩრდილი რისამე ან ვისიმე გვიფარავს ხოლმე მზის მცხუნვარო სხივებისაგან; ეს ჩრდილი შეგვაძლებინებს მზის სხივთა მწვევე განცდა ჩვენს სხეულს ავირიდოთ, აქედან, მიმსგავსებით, ძლიერის მიერ უძლიერისა და სუსტის პატრონობა დაიარებულა ამ ჩრდილს, სიციხის საწინააღმდეგო გამაყენებულს.

ჩრდილი ჰრდ. სიბნელე, უსინათლობა, მზის სხივების მიფარება. ბინდი. ს.ჯვ. დაჩაგვრა, მორევნა, მწუხარება, ნაღელი, დარდი, ნაკლი, წლნი; შველა-მფარველობა, გაჭირებისაგან ხსნა. „ეჰ, ჩვენს სიხარულს მაინც სღდეს ჩრდილი. დღეოფალი ჰყვედრის მეფესა, ჩვენი ყველას, რომ აქამომდე ვერ განვდღენთ მტერნი ტუღლისიდან, ვერ ვადავსხით ივინი ჩვენ საზღვრებს იქით“ (ვ. ბაზოვი). „ვის მფარავს ჩრდილი მეთისა“ (ფეხავი).

ჩრდილში მიყენებული ჰრდ. ვისაც ჩრდილი აქვს მიფარებული. ს.ჯვ. დამცობელი, უყურადღებოდ დატოვებული, პატიყაურილი, ღირსეულად დაუფასებელი. „ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორიაა ვი არ არის, მეფეთა ისტორიაა და ხალხი-ვი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული“ (ილ. ჰევათაძე).

ჩრდილი — ბინდი ანარეკლია გარემო ზედაპირზე საგნის იმ მხრიდან, რომელიც სინათლის წყაროსაკენ (მზე, ხელოვნური სინათლე) არ არის მიქცეული. ამ ჩრდილში მღვდომი საგანი, რა თქმა უნდა, ისე განათებული არ იქნება, როგორც სინათლემ დაყენებული. მაშასადამე, მისი ღირსება, როგორც სინათლეს მოკლებულისა, დაკნინებული იქნება.

ჩრდილი ხატოვანად, ადამიანის ღირსების დადაბლებისათვის ხმარებული, ნიშნავს ამ ადამიანის სახელის გატეხას, მისთვის ღირსება-უპირატესობის ჩამოკლას სრულიად დაუშინებულად, ბოროტებით, უსამართლობის მოყვარებით, სისწორისა და სამართლიანობის გრძნობის დათურგენით.

ჩული კაცია ჰრდ. ცული საგების ან ფალისის მსგავსი კაცი. ს.ჯვ. გამოუსადეგარი, უშიო. უუნარო, უშაქნისი, საცოდავი, უმწეო.

ჩურჩხელასებ ამოვლებული (ტალახში) ჰრდ. ჩურჩხელის მსგავსად თათარიან ქებაში ჩამვლებული და ამოვლებული. ს.ჯვ. გასერილი, ამოთხუნული.

ჩხავანა კატა ჰრდ. კატა, რომელიც ჩხავის, ვითომ თავგს ვიჭერო და გერაფეროს კი იჭერო. ს.ჯვ. ბევრის მოლაპარაკე და ცოტას ან სულარგამკეთებელი. „ეს ამხანაგობა („სახალგაზრდობის ამშენებელი“) არ შობილა ბუკითა და ნადართა, არა ჰყვირის ჩხავანა კატასავითთა — ქვეყნის მხსნელი მე ვარო, მაგრამ საქმობს კი ჩუმიად. დაუღალავად“ (ილ. ჰევათაძე).

ჩხიშალის კრეფა ახ. ჩინჩხეარის კრეფა.

ჩხირი არ გამოთლია ჰრდ. წერილი ჯობისათვის დანით არაფერი ჩამომამორები. ს.ჯვ. სრულებით არაფერი გამოკეთებია. „რა ვქნა, მეორე წელი, ასე დავრჩი და ჩემის ხელით ჩხირი არ გათლილა ჩემს სახლში!“ (ფეხავი).

ჩხირსაც არ ვახთლის ჰრდ. ჩხირის გათლაც კი ეზარება. ს.ჯვ. ზარმაცი, არაფრისა გამოკეთებელი, გამოუსადეგარი.

ჩხირის გათლა სულ ადვილი საქმეა, მაგრამ ზარმაცი და მონარა რილას მცონარა და ზარმაცი იქნებოდა, რომ გაეკეთებინა ეს უბრალო და ადვილი რამეც, როგორცაა ჩხირის გათლა.



ჩხირი კედელს! პრ. კედელში ჩხირი შეურქვე. ზღვ. ძლივს დაიხსომეთ ეს ამბავი, ოღინინეთ, არ დაგავიწყდესთ!
 « ჩ ხ ი რ ი კ ე დ ე ლ ს ! » სადა ხარ, კაცო, აქამდინი? » (დ. მაჩხაწელი). « მაწუთიანი: ჩ ხ ი რ ი კ ე დ ე ლ ს ! » (მხიარულად) სულ ხომ ეგვრ ბუმბულათ არ უნდა იფრინო ჰაერში, ერთი ძირს ჩამოიდი-და! » (ავტ. ცაგარელი).

რისაზე დასახსომებლად, მაგ. ვინმე დიდხინის მიუსვლელი რომ მოვიდოდა სახლში, მაშინ ასეთი ფაქტის აღსანიშნავად წამოიძახებდნენ: ჩხირი კედელსო, და კედელში ჩხირს შეარჭობდნენ. ჩხირის გვერდად ქვედა იხ. ჩ ხ ი რ ს ა რ გა და ა ბ რ უ ნ ე ბ ს .

ჩხირკედელაობა პრ. კედელში ჩხირების შერჭობა და გამოღება შენაკვლებით. ზღვ. ნამდვილი საქმის არკეთება. საქმიანობად ჩათვლა უსაქმურობისა. « ჩვენს ავტორსაც ეს აზრად უნდა ჰქონდეს, როცა თავის თავს ჰკითხავს — დაბერდა საქართველოს ერი თუ არაო. უამისოდ მისი საკითხი მომცდარის კაცის ჩხირკედელობა იქნება, ცუდუბრალოდ მოცდენა მოჭმელისადა და მსვენელისაი ». (ილ. ჰაფაფაძე). « მაგრამ ჩვენ ჩხირკედელობა არ გვიყვარს. რაღა? ამიტომ რომ ჰკვიანები ვართ » (შწარია).

ჩხირკედელობა ჰკვიან ცდას ჩხირების შესარჭობად კედელში, რომელშიაც მათი შერჭობა შეუძლებელია, მაგრამ მოჩხირკედელავე კაცი მიინც

განაგრძობდეს იქნება ამ ცდას უსაქმურობისა გამო და ისევ ამტკიცებდეს მხოლოდ და მხოლოდ თავისს უსაქმურობას, მოცილილობას.

ჩხირს არ გადააბრუნებს პრ. ჩხირს გვერდს არ უტვლის. ზღვ. ზარმაცია, ადვილ საქმესაც არ აკეთებს, არაფერს აკეთებს. « სად არის ამხანაგები? გაბლიას დაუძახე ერთი, ი ფეხებს რო ძლივს დაათრევს და ძილით რო კედება... ვოჰიმე! სოფელია ესა, სოფელი?! ». ისეთი ამხანაგები მყავს, რომ ჩხირის გადაბრუნების მოხერხება არა აქვსთ » (ს. მულობლი-შვილი). « ნეტავი, შენი შეილებს სიცოცხლით. მშვიდობით მოვიდეს და თუნდა ჩხირს გვერდად ნუ აქცევს » (მელანი). « ვერაფერი შეუქმნია წესრიგიანათო, რ თვითონ კი ჩხირის გადაბრუნების შონც არა აქვსო » (დ. მაჩხაწელი). იხ. ხელის განძრევა. თვითის განძრევა, გულზე ხელის დაკრეფა.

ჩხუბის გაშლა პრ. ჩ. გაშვალე, ჩ. გაშალი, ჩ. გაშალა. ზღვ. წახუბება, ჩხუბის ატეხა. « მოჯამი-გორის ულუფა — ერთი დამწვარი კუტი, იმასაც არ აღირსებენ, თუ არ გაშალა ჩხუბია » (ძველი საქართველო).

როცა ნებით, მშვიდობით რისაზე გაკეთება შეუძლებელია, მაშინ კაცმა ძალადობას, ჩხუბს უნდა მიმართოს, ანუ ჩხუბი გაშალოს.

G

ცად ამაღლება იხ. ცად აყვანა.

ცა და ქვეყანა პრ. ცა და დედამიწა, რაც ცაზეა და რაც ქვეყანაზეა. ზღვ. ყველაფერი, ვინც და რაც ცასა და ქვეყანაზეა.

ცად აყვანა პრ. ზეცაში ატანა. ზღვ. ქება, დიდება, ბედნიერთი შორის შერაცხვა, ამიღლება, განდიდება, სახელითა და პატივით შემოსვა. « ერთმა კაცმა რომ ესე შეიძლოს, თავისი პირის საუნჯე მეფისა მოლარესა მიაბაროს, — ერთისა ქრთილისა მარცელისა ოდენად არ დაუმალლებენ. სხვასა ვინებისა და ავკაცობისათვის პატიოსნად მილღად ცად აიყვანებენ » (ძილილა და დამანა). « დიდებული სუ-

რათი იზღებოდა თვალწინ მდიდარისა და თვალწარმტაცის ბუნებისა. რა ჰაერი, რა მალა! ეშში მოჰყავდა აღამიანი. აქ უღვინოდაც ითვრებოდა კაცი, ხოლო ლეინო ცათამლის ამამღლებდა მას » (ვ. ბარნოვი). « მაგა საუბრითა ცად ნუ გასრულხარ, მთვარეო! შენ მაგასიტყვისა ვერ გაასრულებ » (ვისრამიანი).

ცა დაქუხა და დედამიწა შეხძრა პრ.

ცაში ქუხილი გამოიწვია და დედამიწა მისწი-მოსწია. ზღვ. მთელი სამყარო და ცათა შინა არსნი ფეხზე დააყენა, ყველას შეატყობინა, არავინ დარჩენია, რომ არ ეთქვა სათქ-

მელი. „ცა და ჰქუხა და დეღი-
მიწა შეესძრა“ (ილ. ჰემპდები).

კოსმოსი ანუ მსოფლიო ჩვენს ხალხს
წარმოდგენილი ჰქონდა როგორც ორი
სხვადასხვა, ერთმანეთს დიდი მანძი-
ლით დაშორებული ნაწილი ამ მსოფ-
ლიოსი: ერთი — სამყარო ანუ დედა-
მიწა, სადაც ჩვენა ვცხოვრობთ და მე-
ორე — ცა, სადაც, ხალხის აზრით,
მკერულნი არიან მნათობნი ცისანი და
მსოფლიოს ერთ ნაწილში — ცაში —
თუ ქუხილს გამოიწვევს ვინმე და მე-
ორე ნაწილს — დედამიწას — შეაქან-
შემოაქანებს, იქით-აქით მისწი-მოსწევს,
ე. ი. შეატყობინებს რასმე, სათქმელს
ეტყვის სხვებისათვის გადასაცემად; ეს
ჰჯულისხმობს, რომ მთელმა მსოფლიომ
გაიგო, ხორციელი არაეინ დარჩენილა,
რომ არ შეეტყო, რაც უნდა გაეგონა
თუ შეეტყო.

ცად გახვლა იხ. ცად აყვანა.

ცათა დატყვობა თავზე ჰრდ. ცანი რომ
დაეშობიან ვისმე თავზე. ზგვ. დიდი
უბედურება, სიკვდილი, ვანადურებ-
ბა, მოსპობა. „რაღა ვქნა, ქა! — ჩა-
მომართე მეორემ, — რა ღმერთი
გაძსწყრომიათ, რაზე დაუქცევო-
თ ცა და ქვეყნიებრება თავ-
ზე ელ!“ (მელანია). „ესე მესმია, და-
მატყდეს ცანი, რისხვა ღმერთისა
ეცა ჩვრთა“ (მ. რუსთაველი). „ქვეყა-
ნა ჩვენი არ აწყდეს, რისხვით არ
დაგვტყდეს ცანია“ (მ. რუსთა-
ველი). „ცანი და მათყუდი, ბნელ
იქმნა ჩემთვის ნათელი დღისა“
(ნ. ციციშვილი).

ცათა და ქვეყანას შუა ჰრდ. სივრცე
ცასა და დედამიწას შორის. ზგვ.
დიდი, უსაზღვრო სივრცე. „ცათა
და ქვეყანას შუა ე ორი ბავშვი
გამაჩნია“ (ს. მაკალათია).

ჩვენი ხალხის წარმოდგენით, მსოფ-
ლიოს სივრცე მოთავსებულია ცათა
ქვეშ და დედამიწის ზურგზე. იმავე
ხალხსა სჯერა, რომ მთელი სივრცე ამ
ორ წერტილს შუა მოქცეულია. ხოლო
ხატოვანად ეს ნიშნავს სულ დიდს, გა-
ნუზომულ სივრცეს, ანუ ატმოსფეროს.
თქმაში კიდევ ის აზრია გატარებული,
რომ შევრძლიათ მოიაროთ მთელი სამ-
ყარო კიდიით-კიდე, მოიაროთ რაც
ცათა და ქვეყანას შუა ადგილია, და
რომ მეკუთვნილდეს ისეთს, ამ ორ
ბავშვს გარდა, ვერავის იპოვითო,

თვინიერ ამ ორი ბავშვისა არაეინ გამა-
ჩნიაო.

ცათა სწორი ჰრდ. ცის ტოლი, ცამდე ასუ-
ლი, ცის სიმილღე. ზგვ. დიდებული, სა-
ხელოვანი, დილაღმშენიერი, უბ-
რო. „უხშიხარ, ნახე ხელმწიფე, მოწ-
ყალე. ცათა სწორია“ (ფეშვანი).

„არ მეგონა გორის ციხე საგორავად
გახდებოდა, ლაშქარშია თეთრი ცხე-
ნი საგოგავად გახდებოდა, ჩემი თავი.
ცათა სწორი, ასე დამიდაბლდე-
ბოდა!“ (ს. მაკალათია). „სვიანიმცა
ცათა სწორი დავლათსრული,
შარიერი“ (ს. მაკალათია).

**ცათაფრენის შედგომა იხ. ცას ეწია
სიხარულით.**

**ცათა ფრინვას მოკიდება იხ. ცას ეწია
სიხარულით.**

ცალგვერდებიანი ჰრდ. სხეულის ცალი
მხარე ქიისაგან დახრული და შექმუ-
ლი. ზგვ. უვარგისი, ფუჭი, გამოუსა-
დგვარი, უხმარი. „თუთი გვიქუას
მასწავლის, უსჯულთ მე სჯულს მი-
დებსა; უყურე ცალგვერდები-
ანსა, რა სიტყვებს ისერის დიდებ-
სა!“ (დ. გურობიშვილი).

ხილი, თუ რამე საგანი, რასაც ცა-
ლი მხარე ქიისაგან გაფუჭებული აქვს,
შემეტეს მემთხვევაში. გადასაგდებად
და უხმაროდ ითვლება.

ცალგულად (მუშაობა) ჰრდ. ნახევარ
გულით. ზგვ. ზანტად, გულის და-
უდებლად, უგულოდ.

ცალი არა ჰყავს ჰრდ. ისეთი არაეინა ჰყავს
რომ ეცალოს. ზგვ. იმის მსგავსი
ტოლი არაეინაა, უებროა, სწორ-
უპოვარია, უდარებია. „ეს როსაფ
ამირეჯიბი გამოწყებია ტანშია,
ისეთი ვაფი-კაცია, ცალიც არა
ჰყავს გვარშია“ (მ. შაჰაშვილი). იხ.
ცალი და ნაქერი.

**ცალი და ნათალი იხ. ცალი და ნა-
ქერი.**

ცალი და ნაქერი ჰრდ. ტოლი და მო-
ნაქერი სხეულისაგან. ზგვ. ტოლი,
მსგავსი, სადარი. „თავადმა ცვირი
ზევით წაილო და ხმა არ ამოილო.
ზედ ეტყობოდა, რომ ამას ფიქრობ-
და: აქ თქვენი ცალი და ნაქერი
ეინ არიო!“ (დ. მანანელი). „— რაო?
სუავნი და ყორანნიო? — სთქვა სუავნა
მრისხანედ: — იმისმა მზემ, სუავნა
ყორანი იმის ცალი და ანათა-
ლი არიან, იმასავით მარტო ქლურ-
ტულეზენ და ვერ სიამოვნებენ ამ

წუთისოფლის სიამოვნებით (ვაჟა-ფშაველა). „თამარი იყო პირველი ცალი მნათობი მზისა“ (ი. დავითაშვილი).

ცალი თვალთ აცინებს და ცალით ატირებს ჰრდ. თან აცინებს, თან ატირებს. ზ.ჯვ. კარგი მოლაპარაკეა, ენა-მოსწრებულია. „ი, ღმერთმა ვახაროს და გალხინოს, დარიჯო, რო შენი სამახსოვრო ლაპარაკი მკედარსაცვი გააღვიძებს ხოლმე და ცალი თვალთ აცინებს და ცალით ატირებს. — ღიმილით მოუწონა მაღალომ“ (დ. ნახანდი).

ცალი თვალის დაკერა ჰრდ. ცალის თვალის მოხვედრება. ზ.ჯვ. ოღნავ შეხედვა, გაისინჯვა.

ცალი თვალი (რახედე) უჭირავს ჰრდ. ცალის თვალით უყურებს (რასმე). ზ.ჯვ. სანახევროდ რასმე უყურებს. „სუმიონსაც თანდათან გული ეხსნებოდა. ცალი თვალი კი იანურისაკენ ეჭირა. მისწავა საკრავს, გააბა ახალი სიმი, მომართა“ (ვ. ბარნოვი).

ცალის თვალთ ცქერა ჰრდ. ორივე თვალის მაგივრად მარტო ერთის თვალთ ყურება ვისიმე ან რისიმე. ზ.ჯვ. ყურების ღირსად არცნობა, უნდომლობა, აღმაცქერა, გულაცრუებით ცქერა, უნდობლად ყურება. „მაგრამ მერე ყველამ ფეხი ამოიკეთა; ყველა შორს უღლიდა; ცალი თვალთ უცქეროდენ და თავისთვის ბუზღუნებდნენ: ეს ვინაა ოხერი მოთრეულაო“ (ვაჟა-ფშაველა).

ცალის ხელით სატირელი ჰრდ. უღირსი ორისავე ხელით დატირებისა. ზ.ჯვ. უბადრუკი, უღირსი პატივისცემისა, გლახა. ზ.ჯვ. შე ცალის ხელით დასატირებელი, შენც იტყვი კაცი ვარო?! ახ. ცალყბით ლაპარაკი.

ეს თქმა მეგრულია და კავშირი აქვს მეგრულ დატირების ჩვეულებასთან. მიცვალებულის დატირების დროს მორტირალე მამაკაცები ორსავე ხელს პრტყლად წიაშენდნენ თავში და ისე დასტიროდნენ მიცვალებულს. ცალის ხელით ტირილი კი ჰგულისხმობს უგულოდ, აგდებულად ტირილს, და ის მიცვალებული, ვისაც ასე დასტირობენ, სავსებით არ არის ღირსი იმისა, რომ იმისთვის კაცმა თავი შეიწუხოს, იდარდოს, იმწუხაროს, იტიროს ისე, როგორც იტირებდა თავში ორის ხე-

ლის წაშენით ვისმე გულსაწვევ, ღირსეულ ადამიანს.

როცა უნდათ მეგრულად გამოსთქვან ვისიმე უღირსება, ნაკლულევანება, როცა უნდათ ვინმე შეურაცხუნონ, ეტყვიან: „ჰო, სი ცალი ხეთ ონგარალი“ (ვაი, შე ცალის ხელით დასატირებელი!).

ეს თქმა უდრის ცალყბივ ლაპარაკს ან ვისსამე ცალყბივ დაპატივებას.

ცალი ფეხი სამარეში მიდგია ჰრდ. მეკდრის დასამარხად გათხრილ მიწაში მაქვს ჩადგმული ცალი ფეხი. ზ.ჯვ. მალე მოეკვდები, დიდხანს ვერ ვიცოცხლებ. „შე, აბა, რა ვარ?! — ერთი გარდაბრწეული მოხუცი, ცალი ფეხი სამარეში მიდგია, და თუ ჩემისთანა სუსტი კაცის ლაპარაკმა, ცოტა არაა, მხნეობა მოგიმატათ, მაშ რა უნდა მოხდეს თქვენს სულსა და გულში, ყოვლად შემძლებელ, ცისა და ქვეყნის შემოკმედს რომ ელაპარაკოთ“ (ნ. ლომთოი).

„გთხოვ, როგორც გაწვრთნილი ბელადი, რომელსაც ცალი ფეხი უკეე სამარეში უდგია და სიცოცხლის ძაფი. ეს არის. დღეს თუ ხელ გაუწყდება“ (ფ. ბუჭიაშვილი). „ამეშისაც ნიადაგდელ შემოსავალი აქვს, მაგრამ არამი ლუკმა არის და ცალი ფეხი სამარეში უდგია, იმისი სამახსოვრი ნარის ეკალზე ჯდომასა ჰგავსო“ (ფ. ნუნთხუაშვილი).

ცალი წვერის მოპარსვა ჰრდ. სამართლებლით ცალ ყბაზე წვერის ჩამოშორება. ზ.ჯვ. გაუბედურება, მოქალაქებრივი ღირსება-უფლებათა აყრა, მოქალაქებრივი სიკვდილი. „შვიდი კვირა და შვიდი დღე იმ ციხეში იმყოფება (არსენა), საციმბიროთ გაამწყვტეს, — ცალი წვერი მოპარსეს“ (მ. უმიკაშვილი).

ძველად, როცა ციმბირში გადასახლებდნენ კაცსა, ცალ წვერს მოპარსავდნენ ხოლმე წინადა მოქალაქებრივის სიკვდილისა.

ცალი ხელიდან მეორეში არ მისცემ, ისეთი საჭიონელია ჰრდ. ისიცკი გენახება, ცალი ხელიდან გამოიღო და მეორე ხელში ჩასდო ეს საჭიონელი. ზ.ჯვ. მეტად კარგი რამ არის, ძვირფასია, კაცი აღვილად ვერ შეეღვია.

ცალკეტულობა ჰრდ. თავის ტუჩისათვის ზოუფეა. ზ.ჯვ. თავისკერძობა, მარტო

თავისთვის ზრუნვა. „ახლა ეგ დაიწყე! შენ სამსახურში ერთობი, დროს ატარებ და ვინდა, მე მარტოობაში ამოვიხრო, ცალკე ტურნობა გყვარებია! იქნება მე ვიფრთხობ სანატრელ მარტოობას?“ (ვ. ბარნოვი).

ცალკე უღლის მწიველი იხ. ცალ უღლობა.

ცალპირად ნაქსოვი კაცი ჰრ. ერთი პირიდაფით მოქსოვილი კაცი. ზვ. თხელი, ჩია, სუსტი, მძიმე საქმისათვის გამოუსადეგარი ადამიანი. „ამაზე ჯაერობდა მისი (ერონას) მამინაცვია. სუსტები ხართ, ცალპირად ნაქსოვები და საგლებო საქმის შეუფერებელი“ (ვ. ბარნოვი).

რამე ნაქსოვი მზადდება ცალ ან რამდენიმე პირიდაფით. ცალპირად მოქსოვილ ნაქსოვზე ძაფი ნაკლებ მიდის, სამაგიეროდ სუსტია, ხოლო ორ და მეტპირად მოქსოვილი, რა თქმა უნდა, უფრო მტკიცე და გამძლეა.

ცალ ფეხზე დგახარ ჰრ. ასკინჯილა დგახარ, მეორე ფეხს არ იშველებდგომის დროს. ზვ. აბრისკენაა გადახრილი სასწორი, საქონლის წონა სწორი არ გამოდის. ზვ. ასე დავალება წონისა სად გავრინია, თითქო ცალ ფეხზე დგახარო!.

ამას ხუმრობით და მოზღინებთ ეტყვიან წიწნავს, როცა ეს უქანასწენელი თაღითობს ნებსით, თუ უნებურად. უნდა მოატყუოს მყიდველი და საქონელი ნაკლებ მიუწონოს მუშტარს, ვიდრე ერგება აღებულ ფასში.

ცალუღელა ჰრ. ხარი, რომელიც როგორც საქირია, ისე არა სწევს უღელს. ზვ. უსაქმური და თავიძვრენია ადამიანი, ვინც საქმის კეთებას გაურბის, ვინც შრომას ერიდება. „ეს კაცი სწორედ რომ ცალუღელაა, ხელიდან საქმიანობა არა გამოუფარა“.

სახარედ გამოსაქნელ მოხერს კისერზე დაადგამენ კაცს ან ცალუღელს და ასე ატარებენ ერთხანს, რომ მოზვერმა კისერი უღლის ტარებას შეაჩვიოს. ამის შემდეგ დაადგამენ ცარიელ უღელს და მეორე მხრით შეაბამენ გამოქნელ ხარს, და ამ უღლიან ხარებს მიაყოლებენ საპალნიან ურემს ან კიდევ კალოში მიაყოლებენ უკან კევრთან ხარებს, რომ მიეჩვივნენ უღლის დადგმას, და როცა საპალნეში ან კალოში შეაბამენ, არ დაიოჩნონ ან არ გაჯიუტ-

დნენ. ზოგი ხარი კიდევ დაწვება და არ გაიწვეს უღელში.

ცალუღლობა ჰრ. უღელში მარტო შემა და ვაწევა მეორის დაუხმარებლად, უღელში ცალად ყოფნა. ზვ. მარტოდ ყოფნა, სხვის შევლადანმარების უარყოფა, უმწიობა, გაქირება. „ცალ უღლობა წარმოუდგენელი იყო იმისათვის (დაქვრივებულ ლეთისოსათვის) და ამის გამო მეუღლის ძებნას მეუღლა“ (წ. არავისპირელი). „ანტიტომა, უარყოფა ცალკე მოსთან არდაპირდაპირებული, არშეპილებული, კეშმარტიტებისათვის სხვის გატანაში სრულიად უღონოა, როგორც ჰო, ამ შემთხვევაში ცალკე უღლის მწიველი“ (ილ. ჰავაძე).

სიტყვა ცალუღლობა წარმოებულია უღლისაგან, რომელშიაც აბია ორი ხარი. როდესაც ხარი, წყვილის მაგიერად, ცალადა დარჩენილი უღლისათვის, იმ შემთხვევაში უღლის გაწევა, მუშაობა, საქმის კეთება, უღლობა, ხენათესვა შეუძლებელი და წარმოუდგენელია. საბრალოა თვით კენტად დარჩენილი ხარი, რომელსაც მეწევი, უღლის გამწევი ტოლი არ ახალია.

ცალ ფეხზე სტუნვა ჰრ. მარტო ცალის ფეხით ვადანაცვლება ადგილისა. ზვ. გახარებული ყოფნა, კმაყოფილება. „პატონიანთ ლელოს რომ ჩამოართვან მთლად მამული და იმისი ჯაერი ამამოარონ, გაჯიხარან, რომ მე სულ ცალ ფეხზე ვიხტუნო მეტისმეტი სიამოვნებისაგან“ (მელანია).

ცალყვივ (ლაპარაკი, თხოვნა, დაბატიება) ჰრ. ყბების ორსავე მხარის სრულად ამოძრავების მაგიერ ყბის ცალის მხარის მოძრაობა. ზვ. უნდომლად, უგულოდ, უხალისოდ, კიდევ უნდოდეს და კიდევ არა. „საღადგომო სუფრა არა გვაქვს მოწყობილი, მაინც პური გატეხეთ ჩვენთან, ქრისტიე აღსდგა გავავაჯონეთ. ცალყვივ თხოვნაზე ბოროტმა ენმა უფრო გამაჯიუტა“ (ვ. ბარნოვი).

ცალყურით ძილი ჰრ. მარტო ცალყურზე იწვეს, ხოლო მეორე ყურით ყველაფერი ესმოდეს. ზვ. ფხიზელი ძილი.

ცალ ყურში შეუშვა, მეორეში გამოსუშვა ზვ. გაიგონა რამე თუ არა,

დაავიწყდა, რაც უნდა ექნა, გულის-
ყურით არ უსმენდა. მკლ. შენთვის
სულ ერთია, რას გეუბნებიან: ცალ-
ყურში, შეუშვებ და მეორე
ყურიდან გამოუშვებ.

კაცია, ვითომ ესმის, რასაც ეუბნე-
ბიან, მაგრამ იმ წამსვე თავს ისე და-
იკერს, თითქო არც-კი ეთქვათ მისთვის
რამე, თითქოს სულ სხვას ვისმე ელა-
პარაკებოდნენო.

ცამდე ალალი პრე. ცის სიმაღლემდე
ალალი. ზვ. მეტისმეტად ალალი.
„ბუნქაძიანთ თურმე თითონ ზშირად
უხმობენ. — ერთგული არის, ცამ-
დინ ალალი“ (ვ. ბარნოვი).

ცამდე მართალია პრე. დედამიწიდან
ცამდე რაც სიმაღლეა, იმ სიმაღლე-
ზე მართალია. ზვ. საესეებით, სრუ-
ლიად მართალია, სიყალებისა სრუ-
ლებით არა აქვს რა, სრულებით
არა სტყუის. „დღის გულსაკლავი
წყველა-ტირილი და შემოწყრომაც
რომ იქით იყოს, არ იცო, როგორ
მამწივე ყბად ამიღებენ ჩვენი ჭორის-
გულები და ცამდე ალალი მარ-
თაღს ლეჩაქმობდაღს, უნაშუსოს,
დამიძახებენ“ (დ. მაჩაბელი).

ცამდე ავარდნილი პრე. აწეული ისე,
რომ ცასა სწვდებოდეს. ზვ. მეტად
მაღალი, უზომოდ მაღალი. „ეს და-
მარცხება სწორედ მაშინ დაატყდა
თავს ხალიღ იზიდის ძეს, როცა მე-
ტად ქედმაღლობდა გამარჯვებული
და ზეიმობდა; როცა სტრატეგობა
იგი სისხლის ღვრათა ხილვით, რო-
მელი სდიოდა მისგან დაქრილ სა-
ქართველოსა; როცა ხალისობდა
ცამდინ ავარდნილ ალის გუ-
გუნზედ, რომელიც ანადგურებდა
მარად ურჩ ქართველთა ნაშრომ-ნაღ-
ვისა“ (ვ. ბარნოვი).

ცამდის აყვანა პრე. ცას მიახლოება.
ზვ. უზომო ქება-დიდება, განდიდება,
ამაღლება. „ზოგი ჩვრებში გაგვახ-
ვია, ზოგი ცამდის აიყვანა!“
(ვ. ლეონიძე).

ცამდის აყვანილი პრე. ზეცაში ასული.
ზვ. მეტის-მეტად ნაქები. „წლის
გასულს საქვეყნოდ მოიგლიჯა (სპა-
სოიენმა) ლიბერალ-პატრიოტების
პირბადე და დაცინვით გადაისროლა
სანაგვისაკენ. ეხლა კი ყველამ ცხა-
დად დაინახა, რა შვილიცა ბრძან-
დებოდა ცამდის აყვანილი
მთარველი დავრომილთა და ჩავ-

რულით“ (ნ. ლომოური). „სამ თვეს უკან
ბაყალის შეამავალი მოვიდა დედა-
ჩემთან და მოუყვა გეო ნონიაშვი-
ლის ქებას, აიყვანა ცამდის და
დედამიწას აღარ დააკარა“ (ლ. ან-
დახანი).

ცამდის აწევა ის. ცამდის აყვანილი
ცამდის აწვდენილი ის. ცამდის
ავარდნილი.

ცამოწმენდილზედ პრე. როცა ცამოწ-
მენდილია, ერთი ბეწო ღრუბელი
არსადა ჩანს. ზვ. მოულოდნელად,
უსაბაზოდ. „რა მშვენიერი დარი
იყო დილას! როგორ გაჩნდა ეს
ღრუბელი ცამოწმენდილზედ?“
(ვ. ბარნოვი).

იხმარება, როცა აღამიანი, ქუქყუ-
ნებს, ბრაზობს, საერთოდ უქმაცო-
ფილებას რასმე აცხადებს, ხოლო ამ
ქუქყუნისა, ბრაზობისა და უქმაცოფი-
ლებისათვის ერთი ბეწო საბაბი თუ
მიზეზი არაღის მიუთც მისთვის, არა-
ვის რა დაუშავებია.

ცამ პირი მოიხსნა პრე. ცამ პირი და-
აღო, შეკრული აღარა აქვს. ზვ.
დიდი წვიმები დაიწყო, ვადაუღებ-
ლივ და კოკისპირულად წვიმს. „ხომ
იცით ი წვეულმა წვიმამ შემოდ-
გომაზე თუ პირი მოიხსნა, ვე-
ლარ გაათავებს“ (ვეტიტი). ის. კოკის-
პირულად წვიმს.

ცამ პირი შეიკრა პრე. ცამ პირი მო-
კუმა. ცა პირს აღარ აღებს. ზვ.
წვიმა არ მოდის, გვალვაა, პირნა-
ხული გადახმა. მკლ. ცამ პირი
შეიკრა და მთელი თვე ისე გავი-
და, რომ დედამიწას ცვარი წვიმა
არ დასცემია.

ქართველ მდაბიოს წარმოდგენით,
ცაა ქურქული წვიმისა და როცა მო-
ეგუნებება, პირს მოიხსნის და
ვაიმოუშვებს წვიმას, თუ არა და ეს
პირი შეკრული აქვს და ეს არის მიზე-
ზი გვალვისა. ჩვენმა ხალხმა იცის ცის
წყრომის მიზეზი. იცის, რომ ცას მო-
მადლიერება უნდა, აღამიანი უნდა
ემსახუროს, მსხვერპლი შესწიროს და
თავის სურვილისამებრ შეკრული პირი
მოახსნევენოს და წვიმა აწვიმებინოს
გვალვით შეწუხებულ დედამიწაზე (ზე-
ცით წვიმის წამოსვლის შესახებ ის.
თავთავის ადგილას), ხოლო როცა გაწ-
ვიმდება, ამბობენ: ცამ პირი მოიხ-
სნაო...

ცამ ჩაყლაბა თუ დედამიწამ უყო პირი პრე. ცამ გადაყლაბა, თუ დედამიწამ პირი დაალო და შიგ მოექცა. ზვ. დაიკარგა (ვინმე, რამე) უკვალოდ, მისი სადაობა ვერ გაიგეს. „წავიდა, ისე ჩაიყლაბა ივანეს ოჯახის მარჩენალი ცხენი, ვეღარა გაიგო რა: ცამ ჩაყლაბა, თუ დედამიწამ უყო პირი“ (ფს. მენთეშაშვილი).

ცარიელზე გასული პრე. სიცარიელემდე მისული, დაცარიელებული. ზვ. ყველაფერწირთმეული. უარაფროდ დატოვებული. „ჩვენის ქვეყნის რძენალები სხვას მოიქეს და ჩვენ-კი ცარიელზედ გასულნი. მარტო ჩივით და ვტირით. — გემიან და გეწყურიანო“ (ილ. ჭავჭავაძე).

ცარიელზე გაყვანა იხ. ცარიელზე დასმა.

ცარიელზე დარჩენა პრე. იქ დარჩენა, საცა არაფერია. ზვ. ქონების ჩამოკლა, უარაფრობა, სიღარიბე, გაჭირება. „ვამუს სამი ტოტი ჰქონდა; მოვიდოდა ეშმაკი, ჯერ ერთს ვაპხლებდა, ახლა მეორეს, ახლა მესამეს და ძმანი კი ცარიელზედ რჩებოდნენ“ (თ. რაბაქაშვილი). „მამ ცარიელზე დავრჩით რალა“ (იო. სიბულაშვილი). „გარიელს კლანჭი მან უკრა, სხდნენ ორნი ცარიელზედა“ (დ. ჯუჯუაშვილი). იხ. მშრალზე დარჩენა.

ცარიელზედ დასმა პრე. იქ მოთავსება ან დატოვება ვისიმე, საცა სიცალიერება, საცა არაფერია, ზვ. ყველაფრის წართმევა, უარაფროდ დატოვება ვისიმე. „რაც მამისაგან დედულმამული გექონდა, — ცოტა, ძაგრამ იმოღენა, რომ ტებილს ლუკმის ილაჯი გექენებოდა, სულ მამინაცვალმა წაგვართვა, გაგვიყიდა, მიცვალმოცვალა და ჩვენ ცარიელზედ იგვსეა“ (ილ. ჭავჭავაძე). „ამისთანა თვისებით და ხერხით დიდძალი მამულეები შეიძინა ქაიხოსრომ — თითქმის მთელი საგვარეულო ცარიელზედ დასეა“ (მელაია).

ცარიელი პრე. რაშიაც არაფერია. ზვ. არაფრის მქონე. ყველაფერწირთმეული. უშინაარსო, უაზრო, უსარგებლო. „მინამ პატრონი იგებებს ხილებს, თქვენ ჩამოაზროთ და დასატოვებთ კაცს ცარიელს, თქვე არამხადებო, თქვენა!“ (ვაჟა-ფშაველა).

„სამჯერ ეშმაკს შევაფურთხებ, გავისტუმრებ ცარიელსა“ (პ. უმიავაშვილი) იხ. ცარიელ-ტარიელი. წარმოებულ: ცარიელი იმეცელი — რომელიც არაერთარ სკუმელსაშემუს არ შეიცავს; ცარიელი თივი — რომელშიაც ჰქუისა თუ აზრის ნატამალი არ არის; ცარიელა ბელები — უსარგებლო, უსაჩუქრო.

ცარიელი სიტყვა პრე. მარტო სიტყვა, უარაფროდ. ზვ. შინაარსს, აზრს რასმე მოკლებული სიტყვა, გინა ხმაურობა; მოტყუება, მხოლოდ დაპირება. „ნდობა ბანქისადმი ცარიელ სიტყვაზედ კი არ არის დამყარებული, არამედ იმისთანა საფუძველზედ, რომელიც სათავეა და ძირი საყოველთაო ნდობისა და საყოველთაო რწმუნებისათვის“ (ილ. ჭავჭავაძე).

ცარიელ-ტარიელი პრე. უარაფრო. ზვ. ყველაფერდაკარგული, უქონელი, ღარიბი. „ქამდის თავისთან მიყოლია, მთელი ჭარ-ბელაქანი მომართა, ახლა კი მამიდო რალაცა ყილთი იმ ოჯახდაქვეულმა, ამომკრა ქიტლაყი და გამომავდო ცარიელ-ტირიელიო“ (მელაია).

ცარიელ ქვეზედაც იცხოვრებს პრე. მარტო ქვეზედ რომ დასვა, მანც დაირჩენს თავს. ზვ. მოხერხებულია, ყოველ დაბრკოლებასა სძლევეს, შნო აქვს ცხოვრებისა და მოგებისა. გამრჯეო. „ეინ აბი, რა გდიო? უკაცრადო!.. მალხაზო ცარიელ ქვეზედაც იცხოვრებს თავის გამრჯელ ვაქაცობით!“ (დ. მახანელი).

ცარიელ ჯამში ხელს არ ჩაწყუფს პრე. თუ ჯამში არაფერია, ტყუილად ხელს არ გაიშვერს იქიდან რისამე ამოსაღებად. ზვ. ეშმაკია, აღვილად არ მოტყუვდება.

ცასა და ქვეყანას შუა პრე. დედამიწასა და ქვე შორის ზვ. ყველგან, სადაც უნდა იყოს, ყოველ ადგილას. „ცასა და ქვეყანას შუა ოთხი ღლის ნაფუძარი მქონდა, ისიც ამომიგდებინე შენს საოხრო ხარებსა?“ (ზ. ანტონოვი).

ცას არავინ გაეკვრის პრე. ცას ვერაინ მისწვდებაო. ზვ. ყველანი სიკვდილის შვილნი ვართ, ყველანი დავიხროვებით, დედამიწას არავინ შევრჩებით. ზგლ. სულერთია, რაც უნდა ბევრი ვიცოცხლოთ, ცას არავინ

დაა, თუ მისთვის სიტყვა „შეუძლებელი“ არ არსებობს, ცა — ქუდად არ მიიჩნია და ზედ რომ დღიარება, ის დედამიწა — ქალამნად! და მოხუცი, რომელიც წარსულ ახალგაზრდობას სინანულით იგონებს, ხატოვანად ამბობს: ცას შევექიდე ბოდი, ეს ახალგაზრდობა რომ დამბრუნებოდაო!..

ცას ცხვირის წვერით ვეკიდე ჰრ. ცას ცხვირის ბოლოთი ვიყავ დაკიდებული. ზღვ, ყოველ წამს აუცილებელ დალუქვას მოველოდი, უკიდურეს დღეში ვიყავ, ძალზე მიჭირდა. ჩემი მხსნელი არავინ იყო. მგლ. ჩემს ამბავს ნულარ იკითხავ! რომ იტყვიან — ცას ცხვირის წვერით ვეკიდდეო, სწორეთ ისე იყო ჩემი საქმე. ცაზე დაკიდება, ჯერ ერთი რომ, შეუძლებელია. შესაძლებელიც რომ იყოს, ეს დაკიდება უნდა ჰგულისხმობდეს შიგლის სხეულით მიმავრებას ცაზე, რომ ვაგლახად და მალე მაინც არ ჩამოვარდეს დაკიდებული კაცი. ხოლო ცხვირის წვერით დაკიდება გამოჰხატავს უუსუსტესს კავშირს ცასთან, ისეთს კავშირს, რომელიც ერთ წამსაც ვერ გასძლებს და უნდა გასწყდეს. მისასადამე, ამით გამოიხატება საშინელი უნწყო მდგომარეობა აღაშინისა, რომლის დალუქვა უშეძელია და შევლას კი ვერსაიდან და ვერავისგან მოვლას.

ცას წვერმიბჯენილი ჰრ. წვერები ცისათვის რომ ჰქონდნენ მკერული. ზღვ. ძალიან მაღალი. „გავებზე აღაზნის თვალგადაუწყვედენელ, მრავალს ახრვან ტრიალ მინდორს და ცას წვერმიბჯენილ ბუმბერაზ მთებს დაღესტანისას!“ (დ. მახანელი). „ღიდრონი ხეები წვერებით ცას ებჯინებოდნენ, თავით ბოლომდე ხავსით და თერთით დაბურულნი“ (ფაფაშვილი).

ცას ზეღს ავლებს ის. ცას ეპოტიონება.

ცა უწითლდება ჰრ. მისს ცას წითელი ფერი გადაეკვირს. ზღვ. უხარია. თავი ბედნიერად მიიჩნია. „ეგ კი ამდგარა და კონას პავლეს ვარშიყება. ცა უწითლდება, აცა, როდის იქნება, ყავით შეუსრულდეს, სალდათობა გაათავოს, რომ ყელზე ჩამოვეკიდო“ (გენ. მენთეშვილი).

წითელი — ლამაზ ფერად ითელე-
ბა ქართულ მდაბიოთა შორის.
ცა ქუდად არ მიიჩნია, დედამიწა ქა-
ლამნად ჰრ. ცა ქუდად არ ჰყოფნის

და დედამიწა კიდევ — ქალამნად. ზღვ. არავისი და არაფრისა ეშინიან, ასე ჰგონია, იმაზე ძლიერი არავინ იყოს ქვეყანაზედ.

კაცია — მეტად ქედმაღლურად უქი-
რავს თავი. ასე ჰგონია, პირველობა ყველაფერში მე მიეკუთვნის, ყველანი მე უნდა მმონებდნენო. თავმდაბლობა. კრძალვა, მორიდებულობა, ასეთისათვის თითქო არ არსებულობა!..

ჩვენს ხალხსაც, რომელსაც აღამიანის საუკეთესო სამკაულად მიიჩნია ეს თავმდაბლობა, აუღია და ასე გაუმსახარებელია ასეთი აღამიანი: ცაც რომ ეხუროს თავზე ქუდად, ისიც არა ყოფნისო ან კიდევ ქალამნებად — დედამიწა — რა მავისი საკადრისიაო! ან კიდევ, მდაბიურად რომ ესთქვათ, — მკითხველთან ბოდიში მოგვიხდია, — ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიაო...

ცაში ვარსკვლავი ჰრ. როგორც ცაში ვარსკვლავია შორს. ზღვ. მეტად შორი, მიუწვდომელი. „არჩილ ნუ მიწყენ, ნუ! ნურც შენი.. ვანა, არ ვიცოდი, — მე ვინ და შენ ვინ!.. სად მოგწვდებოდი ცაში ვარსკვლავს!.. გული გწვდებოდა, გული, ხელი კი ვეღარ...“ (ილ. პავაშვილი).

ცაში ვარსკვლავებს ეთამაშება ჰრ. ცაში მიმსდარ ვარსკვლავებთან ეთამაშობს, იმათთან ერთობა. ზღვ. ყველაფრით მდიდარია, გახარებულია. მშვენიერია, მეტად ლამაზია.

ცაში ფრინველებსაც და დედამიწაზე
ჭინჭვლებსაც აცახცახებდათ (მისი
შიშით) ის. ზეცაში ფრინველი ვერ გადაიფრენს, ძირს, მიწაზედ, ჭინჭველა ვერ გაიფრის ჩემის შიშით.

ცაში წახვლა ის. ცას ეწია სიხარულით.

ცერად წახვლა (საქმისა) ჰრ. გვერდელა წახვლა საქმისა. ზღვ. გაფურცება საქმისა, გაუმარჯვებლობა, წაყება. „ამ გაიურის გულისათვის ძმებსაც ეპყრობი მტერადა. არ იცი, რომ შენი საქმეც დღეიდგან წავა ცერადა“ (ფაფაშვილი). „მდიდრები, აზნაურები გვაწუხებდნენ ძნელადა, სანამდე მოვაშორებდით, გლეხთ საქმე იყო ცერადა“ (ფ. ზორნაძე).

სწორი, პირდაპირის ხაზით და
არა მიხვევ-მოხვევით რომ მიდის კაცი,
გზას უფრო გაპლევს; აგრეთვე, საქმის
კეთების დროს, თუ რამ დაბრკობება

არ ელობება წინ, თუ რამ ხელს არ უშლის, საქმე მალე და მარჯვედ კეთდება, მკეთებელი მიზანს მალე მიაღწევს. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე ცერად, დახრილად, უგერგილოდ, გაჯანჯლებულად კეთდება.

ცერად ჰხედავდა ჰრდ. განზე უყურებდა. ზვ. უნდობლად, ეკვის თელით უყურებდა, მაგ. ვისსაშე ნათქვამს თუ ტყუობს. „წაწლობის უარმყოფელსა ფშაველი ცერად ჰხედავდა“.

(ბაჩანა). როცა ვისიმე ნათქვამი არ გვექაზნიკება, სანდოდ არ გვეჩვენება, მთქმელს განზე შევხედავთ ხოლნე და ამით ვაგრძნობინებთ, რომ მისი ნათქვამი მთლად მისანდო არ არის, საეჭვოა.

ცერადღენა ჰრდ. ცერის ოღენა, ცერის ტოლა. ზვ. პაწაწკინებდა, პატარა.

ცეცვირიკე ჰრდ. ცეტი კაცი, რომელსაც სახელად კვირიკე ჰქმევიდა. ზვ. ცეტი, ქუთაჩაკლები, მოსულელი. კახეთის შეფეხს ქორეიკოზები რქმევიით. ერთს კვირიკე რქმევიან ხატვად და მეტად ცეტი ვინმე ყოფილა. ეს თქმაც იქიდან წამოსულა და დღეს ყველა მოსულელსათვის ცეტკვირიკე ვიქვია“ (ვასალ ბარნოვისაგან გავიჩლი).

ცეცხლა-კვერა ჰრდ. ცეცხლში (ნაღვერდალში) გამომცხვარი კვერი. ზვ. სულ ცუდი კვერი, ღარიბის საქმელი. „უშრომლოთა უქმი ძღება, მუშა ვნატრობ ცეცხლა-კვერას?“

(ი. დავითაშვილი). პური სოფლად საერთოდ თორნეში ცხვებოდა, მაგრამ ხელმოკლე და გაქირებული, ვისაც თორნე არ ებადა სახლში, პურს კერაზე აებობდა, ნაღვერდალში გახვეულს. ამ წესით გამომცხვარ პურისათვის ცეცხლა-კვერა უქვიათ ხოლმე. ასეთი პური იმის გარდა, რომ ხშირად სანახევროდაა გამომცხვარი, ბლომად ნაცარი და ნახშირი ეკვრის, თორნეში გამომცხვარს ვერ დაეტოლება გემოთი და ხვედრია მხოლოდ ღარიბისა და უქონელითა.

ცეცხლზე ცეცხლა ედება ჰრდ. ცეცხლზე ცეცხლი ემატება. ზვ. განუსაზღვრელი უხედურება, ტანჯვა-წვალება აქვს. „მაგრამ პირზე კლიტი ეღვა და ცეცხლზე ცეცხლი ეღვა ბოდა, სიტყვა აღარა ჰქონდა პირში და მხოლოდ საზარლად გაღმუოდა“.

(გ. ბარნოვი).

ცეცხლზე წყალი დაგეხსას! წყველა. ის. ცეცხლზე წყალის დასხმა.

ცეცხლზე წყლის დასხმა (ვისთვისმე) ჰრდ. წყლით ჩაქრობა ცეცხლისა. ზვ. დაღუპვა, მოსპობა, ძალზე დაზარალება, დიდი ზიანის მიყენება. „ყველამ იცის, რომ სისხლიან საქონელს ყოველთვის საფრთხე სდევს მრავალგვარი. ეს ყველაზე უკარ უფრო მაქრომ იცოდა. რომ შეიკარქორს იმისათვის ცეცხლზედ წყალი არ დაეხსა, ადგა და სისხლიანი საქონელი სულ ფულად აქცია“ (ფლანია). „გგონავ, არ მიჭრის ხმალია? შენ რაზედ უნდა მწუნობდე, ცეცხლზე დამისხა წყალია?“ (ვათა-ფშაველა). „იტირე, ქალო მარიამ, ცეცხლზე დაგხსმია წყალიო: თათრის სოფელში მომკვდარა შენი სიმდიდრე ქმარიო“ (დ. მამახვლი). „ნუ დანდუშაუთ, თქვენი ქირიმე, ნუ დამისხამთ ცეცხლზე წყალსა! — მოისმა ნინიქას მომტირალი ხმა“ (ნ. ლაშოვი).

სულ ძველად, სანამ პირველყოფილი წინაპარი ტალკვისის თვისებას გაიგებდა, ან ორის ჯოხის ერთმანეთზე ხახუნის საშუალებით ცეცხლის გაჩენას ისწავლიდა და, მამასაღამე, სანამ ცეცხლი ძნელი საშოგარი და გასაჩენი იყო, რაკი ერთი-და-ერთი იზოგენდა ადამიანი ამ ცეცხლს, ცდილობდა სულ გაუქრობელი შეენახნა.

ხოლო თუ ვინმე მტერი ამ ძვირფის და სანატრულ საგანს ძალითი ჩაუქრობდა, რა თქმა უნდა, მისთვის დიდ უხედურებად ითვლებოდა. შემდეგში კერაზე ცეცხლის გაქრობა ან კერის მოწაა ნიშანი გახდა ოჯახის ამოწყვეტისა, მოსახლეობის მოსპობისა.

აქედან გაჩნდა ქართული უსაშინელები წყველა: „ქერაზე ცეცხლი ჩაგქრეს“ ან „ზე ცეცხლდაესებულო!“

ცეცხლი ჰრდ. ერთსა და იმავე დროს გაჩენა სითბოსი და სინათლისა, რომელიც მოსდევს ზოგჯერ თნივთიერებათა (ზე, ნახშირი, ნაწჯა და სხვ.) წყას.

ზვ. უხედურება, საშინელება, ტანჯვა უსაზღვრო; სიფიცხე, სიმარჯვე, გულმოდგინება. „მეორე ცეცხლი კიდევ ის არის, რომ ქურდი კაცი ემაგეთ წვიმიან ბნელა-უქუნეთში ეტახება ცხვარს გასატყაოდ“ (დ. მამახვლი). „ნახის (ავთანდილია თინათინ), ცეცხლი გაუახლდის,

წყლული გახდის უფრო წყლულად“ (ზ. რუსთაველი). „სამ დღემდის ვიყავ უსულოდ, ცეცხლნი უშრეტნი მწვიდიან“ (ზ. რუსთაველი). „ბევრი შავი დღე გამოიარა საქართველომ, ბევრი ცეცხლი ნახა, მაგრამ არც სარწმუნოება, არც ხალხოსნობა და არც სამშობლო არ დაჰკარგა და არც შეილახვის ვისმე“ (მელანი). ი. ხ. ცეცხლზე წყლის დასხმა.

ცეცხლს იმთავითვე დიდი დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობის ცივილიზაციისათვის (სიბთო, სამზარეულო, ორთქლის გაჩენა). ცეცხლი შეიქნა პირველყოფილ ადამიანის კერის, ოჯახის სიმბოლოდ.

მაგრამ ამავე დადებით მნიშვნელობასთან ერთად ცეცხლს, თავისი უამინადგურებელი, ნივთიერებათა მომსპობი თვისების წყალობით, მიეცა მნიშვნელობა უარყოფითი, რომელიც სურათხატოვანად გადაიქცა სინონიმად უბედურობისა, საშინელებისა და ტანჯვა-მწუხარებისა, განადგურება-მოსპობისა:

ცეცხლი გაშალა კბილებიდან პრ. კბილებიდან ცეცხლი გამოუშვა. ზ. ც. ძალიან ვაბრაუნდა, ვაცხარდა. წყრომის სიტყვები გამოუშვა პირიდან. ი. ხ. პირიდან ცოფები ჰყვარა.

ცეცხლი და წყალი პრ. ცეცხლისა და წყლის მოთავსება ერთად. ზ. ც. ერთმანეთის მოწინააღმდეგე, ერთმეორესთან შეუთავსებელი, ერთმეორის შეუგუებელი. „ფული და წოდება ერთმანეთთან ვერ თავსდება, როგორც ცეცხლი და წყალი, თუ ერთი რამ ხათაბალა ასტეხია ფულსაცა და წოდებასაც“ (ილ. ჭავჭავაძე).

ცეცხლი მოახვეწე პრ. ცეცხლი გააჩერე. ძალ-ღონე მოიკრიფოს. ზ. ც. გააქრე, ჩააქრე, ნუ უკიდი. მკლ. გეყოფა ახლა, უნდა დავიძინოთ, მოახვეწე ცეცხლი!

კახეთში, საცა ჯერ კიდევ დარჩენილია გადმონაშთი ცეცხლის ძველი თაყვანისცემისა, როცა ღამე წვიბიან და ცეცხლი უნდა ჩააქრონ, ვინც უნდა ჩააქროს, იმას ჩააქრეთ არ ეტყვიან, არამედ: მოახვეწეთ. ცეცხლს ჩაქრობა არ უნდა ჰქადრონ, არამედ ზრდილობიანად უნდა მიჰპართონ და მისი ნიუბის შეჩერების გამოსახატავად უნდა იხმარონ სიტყვა „მოხვეწება“.

ასეთი პატივისცემა ცეცხლისადმი ნაშთია ჩვენთა სულ შორეულ წინაპართა ცეცხლთან მოპყრობის ჩვეულებისა. ცეცხლი მათთვის იყო უსაზღვრო კეთილისმყოფელი, სიცივისაგან მსხნელი და მფარველი, ღამის წყვედიდან განმანათლებელი. ამიტომ მას თაყვანსა სცემდნენ, როგორც უხილავის ძალით შემოსილს რასმე, რომლის გაქრობა ადამიანის მხრივ, ნებისით თუ უნებურად არ ეგებოდა, რადგან ხელახლა მისი დანთება მოითხოვდა ყოველად უწყველადამიანისაგან დიდს ჯაფასა, ზოგჯერ ამ ჯაფათიც არა გამოდიოდა რა, პირველყოფილი ადამიანი და მისი ოჯახობა უცეცხლოდ რჩებოდა.

დღევანდელი მისი შთამომავალი კახელი, რომელსაც საშუალება აქვს ჩამქრალი ცეცხლი ისევ ადვილად აანთოს (ტალ-კვესი, ასანთი), ვერ ჰკადრებს ცეცხლს ჩაქრობას, არამედ მხოლოდ მოახვეწებს. ე. ი. გაჰხვეწს ნაცარში ისე, რომ ეკიდოს ოდნავ იმდენად, რომ მეორე დილას დანთება, და გაღვივება ადვილად შეიძლოს.

ამას გარდა, დღეს ცეცხლის გაქრობა ნიშნავს კერის მოშლას, ანუ ხატოვანად—ამოწყვეტას მეგობრობისა, რადგან უკეროდ სახლი და შიგ მცხოვრებნი წარმოუდგენელი იყო ჩვენის ხალხისათვის.

ცეცხლს გარდა, მოკიდებულ სანთელზედაც არ ითქმოდა ჩაქრობა, როცა უნდოდათ სანთლის ნთება შეეჩერებინათ, იმაზედაც, როგორც ცეცხლზე, უნდა ეთქვათ, და დღესაც ამბობენ: სანთელი მოახვეწეთ.

ცეცხლი რომ წაეკიდოს, ნატისუხალი არ აუვა პრ. ცეცხლი რომ გაუჩნდეს, ნატის ან ტრუსის სუნი არ აედინება. ზ. ც. ძალზე ღარიბია, დესაწვავი არაფერი აქვს, უქონელია, არა აბადია რა. მკლ. მისს სახლს რომ წაეკიდოს, ნატის უსხალი არ აუვა, ისეთი ღარიბია, ქვეყანასა ზედა არა აბადია რა.

ტრუსის ან ნამწვის სუნი კაცს მოედინება, როცა იწვის რამე ქსოვილი, განსაკუთრებით მატყლისა.

ცეცხლის ალის გაყრა ი. ხ. პირიდან ცეცხლის ყრა.

ცეცხლის ალში გატარება პრ. ცეცხლის ალში გახვევა, შიგ ჩაგდნა ცეცხლის ალში. ზ. ც. უზომოდ ტანჯვა-წავლება, ძალზე გაწყობა, გა-



ჯავრება. „ორი წელიწადი იყო გორში აღასთან; პატარა დემეტრეს სულ ცეცხლის ალში ატარებდნენ; მუდამ დაგლეჯილ-დაფლეთილი დადიოდა; საცოდავს ვირივით ამუშაებდნენ“ (ს. შვალაბლიშვილი). იხ. ცეცხლი.

ცეცხლის გადაყრა (ვისხამე) თავზე პრლ. თავის დაფარვა ცეცხლითა. ზვ. გაქრობა, შემუსვრა, მოსპობა, მოკვლა, გამწარება, გაუბედურება, საყვიღურის თქმა, გალანძღვა, საჯაროდ გათრევა. „მაგრამ დედოფალი არც ისე გულუბრყვილო იყო და გამოუტყდელი, რომ მაშინვე მიხვდამოვლინებულს და ცეცხლი გადაეყარა თავზე; იმდენი გონება და ხასიათი კიდევ შერჩა, რომ დროებით თავი შეეკავებინა“ (ვ. ბარათაძე).

ცეცხლას დაშთები პრლ. ვინც ცეცხლს ანთებს ხოლმე ოჯახში. ზვ. ნამაჯაცი, მამრობითის სქესის უფროსი სახლისა. შვლ. ქალს ცეცხლის დაშთები არავინა ჰყავს.

იმ დროს, როცა პირველყოფილი აღამიანი მონადირეობის ხანაში ცხოვრობდა, ცეცხლის დანთებისათვის ზრუნვა დედაქალაქსა ჰქონდა დაკისრებული. ქმარი მშვილდ-ისარ მომარჯვებული ან ტარზე დამაგრებულ ქვის ცულით ხელში ნადირის მოსაკლავად იქით-აქით დაეხეტებოდა. ცოლს ხელში მუგუზალი ეჭირა, თან უბერავდა, რომ არ გამქრალიყო და თან ფეხდაფეხ მისდევდა ქმარს. საცა გაჩერდებოდნენ ნანადირევის საქმელად, ცოლი ცეცხლს გააჩაღებდა და გარემოუსხდებოდნენ.

მერე, სულ გვიანა, ბინადრობა, ერთ ალაგს ფენისმოკიდება რომ დაიწყო აღამიანმა, ალბათ მამაკაცი გახდა ცეცხლის დამნთები კაჩის საშუალებით. ამ ჩვეულებამ მამაკაცის მიერ ცეცხლის დანთებისამ ჩვენამდე მოაღწია. სამეგრელოში, მაგალითად, ამ სამოცდაათ წელს წინად ტყიდან შეშის მოტანა სახლის უფროსის საქმე იყო. იგივე მამაკაცი ყველაზე ადრე აღგებოდა და ტალკვესით ცეცხლს დაანთებდა, ხოლო დანარჩენი საოჯახო საქმის კეთებას დედაქალაქი განაგრძობდა.

ისევე იყო ქართლ-კახეთში და ცეცხლის დამნთები უქყოლათ ოჯახის უფროსისათვის ან მამრობითის სქესის მოხრილ წვერისათვის, რომელსაც შეეძლებოდა ტალ-კვესის ხმარება და

კერაზე ცეცხლის გაჩენა. ქმარი რომ მოუკვდებოდა ქალს, იტყოდა — ცეცხლის დამნთები არავინა მკაცსო, და მეზობლისათვის (მამრობითის სქესის) უნდა ეთხოვნა ვადმოსვლა და ცეცხლის დანთება.

ორჯერ, სამჯერ რომ ვადმოვიღოდა გლეხი ქვრივისას და ცეცხლს დაუნთებდა, სოფლის ქორიკანა დედაქალაქები (და შუროთ — კაცებიც) ლაპარაკს დაიწყებდნენ: მავანი მავანი ცეცხლს უნთებსო... და ამ სიტყვებს ხაზს ისე გაუსვამდნენ, რომ ორპროვინება ვადმოდიოდა და მსმენელს მიახვედრებდნენ — მარტო ცეცხლის დანთებით არა თავდება საქმე მათს შორისო...

ასე რომ, თეთონ სიტყვებს „ცეცხლს უნთებს“-ს მიეკუთვნა მინიმუმ ნელობა ქვრივისა და ცეცხლის დამნთებ მეზობელს შორის ორმანის გაჩენისა, ურთიერთის შეყვარებისა.

ცეცხლის დანთება პრლ. კერაზე ცეცხლის გაჩენა. ზვ. ოჯახის გაჩენა. „მეფეს უფლებე, ველოდი მისგან გაკეთებასო, ოჯახის ამშენებას... შივ ცეცხლის დანთებასაო“ (ავაჯი).

ცეცხლის თვალში გატარება პრლ. შუაგულ ცეცხლში ჩადდება. ზვ. წყალება, ტანჯვა, შერისხვა, გაჯავრება. უზომო წყრობა. „გაბრო: მაშ მე რალათა მლანძღა, ჰა... მოსვენება აღარა მაქვს შეგნით... ყველაფერს მე მაყვედრი... ცეცხლის თვალში მატარებ!“ (რ. ერისთავი).

ცეცხლის თქმა პრლ. ცეცხლის მსგავსის რისამე თქმა. ზვ. საშინელის, საზარელის რისამე თქმა, ვასაინხლებელის, გულის ვასახეთქის რისამე წამოსოკლა პირიდან. „ზაღდახარა: დამოციელო, ცეცხლი ხომ არ მითქომს?... სიტყვა ვთქვი... მობრძანდი, მიირთვი...“ (რ. ერისთავი).

ცეცხლის კალოში დაუნება (ვისიმე) პრლ. კალოს მსგავსად (დიდალ) დანთებულ ცეცხლში ჩაყენება ვისიმე. ზვ. საშინელ გაქირებაში ჩადდება, უზომოდ წყალება, გვემა, ტანჯვა, ურევბა, უდიერობა. „უდიერი დედინაცვალი ჰყავდა (ვაქს), მუდამ სცემდა პატარა ვებს და აყენებდა ცეცხლის კალოში“ (თ. თაბიკაშვილი).

ცეცხლის კვერის დატრიალება თავზე ზვ. დიდი უბედურების დატყდომა, საშინელ მღვდმარეობაში ჩაეივრება.



„და უტრი ალდათ მეციხოვნეთ
თავს მტრის სასიხარულოდ ცეცხ-
ლის ქვევრი“ (ივ. ზუგუშვილი).

ცეცხლის კიდება ჰრდ. ცეცხლი რომ
გაუჩინდეს რასმე, ზვ. დიდი უბედუ-
რობა, გაპირება, დიდი სიციხე, დიდი
სიძვირე რისამე. „აქა-იქ, სიმინდის
ჯიბურის ქვეშ სხედან დედაკაცები,
გვერდს უდევთ შხვეპლი ქათმების
ასაქმევად, თითისტარს აპროწიალე-
ბენს, მალ-მალ გაიდყრიან უკან კა-
ვებს და ჩამოისმენ სახეზე ხელს
ხუნეშით. იპ, გენაცვალეთ, რა
ცეცხლის კიდებაა!“ (ს. მალო-
ზღიძველი). „სახედლა: რა ამბავია,
აქა?.. რა ყვირილია?.. ცეცხლი
ხომ არაფერს ეკიდება?“ (რ. ვრის-
თავი).

ცეცხლის მოღება ჰრდ. ცეცხლის ალში
გახევეა. ზვ. დატანჯვა, ძალიან გა-
ჯავრება, ვიანხლება, დალუგვა, მოს-
პობა, სიმწარე. „არსით უჩნდეს მიჯ-
ნურობა, არა სადა იფერებდეს, მის-
თვის პირი ღხინად უჩნდეს, მის-
თვის ცეცხლსა მოიდებდეს“
(მ. რუსთაველი). „სხეამან ვერავინ შე-
მატყოღება ცეცხლისა ცხელი-
სა“ (მ. რუსთაველი). „რა ბაყალმან კა-
ტა მოკლული ნახა, ცეცხლი მო-
ედვა, ხმალს ხელი მოივლო და იგი
ძალდი მოჰკლაო“ (თიმშარაინი).

ცეცხლის მოკიდება ახ. ცეცხლის
მოკიდება.

ცეცხლის პურის ჭამა ჰრდ. საქმელად
ცეცხლის პურის ხმარება. ზვ. ტანჯ-
ვა, გამწარებული ცხოვრება. „მეორეს
მგრივ საშველი არ იყო, როდემდის
უნდა ექაზა ცეცხლის პური?..“
(ან. ზარამანიძე). „წიომინეს მამინ თავში:
გეოქამია ცეცხლის პური. მიწას
სისხლი მორევია და ჩვენ ბედი უბე-
დური“ (გ. ლორთქი). „აი, კაცებო,
რამოდენა საფრთხეში და ტანჯავია
მეცხვარე კაცი და ზოგს კი ავრე
პკონია: ბარი და ნინათი რომ არ
უჭირამთ, წუთისოფლის ღხინ-ქეიფ-
ის არიანო! დოლობაში კიდენ მეცხ-
ვარობიანა ცეცხლის პურის
ჭამავისა აქვს დუნიაზე?!“ (დ. მახა-
ნელი). „საწყლემო თიანელემო, პუ-
რისჭამა გაქეთ სისხლისა,
მინდორზედ ვეღარ გასდინებოთ, პეტ-
რე ფერშალის შიშითა“ (დ. ხიზა-
შვილი).

ცეცხლის ფახად (იყიდება რამე საქო-
ნელი) ჰრდ. იმ ღირებულებად, რა
ღირებულებაც ცეცხლს აქვს. ზვ.
მეტად ძვირად, ხელმიუწვდომლად.
რაცა აღამინისათვის ცეცხლი და მისი
შოვა მნელი იყო, ნეტურის საგანს
შეიდგენდა და მამასადაძმე, ცეცხლი
ძვირფას საგნად ითვლებოდა.

ცეცხლის ყრა პირიდან ახ. პირიდან
ცეცხლის ყრა.

ცეცხლის შეკეთება ჰრდ. ანთებულ
ცეცხლში საწვავ მასალის მიმატება.
ზვ. საქმის გამწვავება, გაუარესება,
გაქირების მომატება; გაღვივება
შფოთისა, აღივლები. „გიორგი მა-
შინათვე წამოჯდა, თითქო ცეცხ-
ლი შეუკეთესო, პირველი მავა-
ლთი იყო, რომ მისმა გულგატე-
ხილმა დედამ თავი შეამარაო“.
(ილ. პავლევი).

ცეცხლის ჩაქრობა ჰრდ. წვის, ბრწყინის
შეჩერება. ზვ. უბედურობის, საში-
ნელების აცდენა, მოსპობა, დამშვი-
დება, დაწყნარება. „(დიდნი სახელ-
მწიფონი) პირ ალად ერთმანეთის სურ-
ვილით აღტაცებულნი არიან, მაგრამ
გულში-კი ზოგიერთნი მათგანნი ამ
თანხმობის ფარდას იქით რაღასაც
ცულუტობენ და ცეცხლის ჩაქ-
რობა არ უნდათ“ (ილ. პავლევი). ახ.

ცეცხლზე წყალის დასხმა.

ცეცხლის ჯანდარაში გატარება ახ.
ცეცხლის ალში გატარება.

ცეცხლი შეკვდა ჰრდ. ცეცხლში იწვის.
ზვ. უბედოდ ძვირად, კაცს მისი (რა-
იმე საქონლის) სყიდვა უჭირს, დიდს
ტანჯავია.

ცეცხლის ჯანდარაში გატარება—იგივე
ცეცხლის ალში გატარება ჰრდ. ცეცხ-
ლის თვალში გატარება. ზვ. სიმწარე
ში ყოფნა, უჯიათობა, დაუდგე-
რობა. „ქმრის დაკარგვამ ხომში კი
არ მოადუნა, არამედ უფრო გაამბ-
ნევა, დღე და ღამეს ასწორებდა,
შვილებსაც, რომ იტყვიან, ცეცხ-
ლის ჯანდარაში ატარებდა:
„აღეჭეთ, აბა, საქმე გაიგეთ, ვისი-ღა
იმედი გაქვსო. ვაისარჯენით, ნურა-
ვიაზე უკვე დარჩებით“ (ვაჟა-ფშაველა).

ცეცხლის ჯანდარა ანუ ალი წარ-
მოღვენილია, როგორც ყველაფრის გა-
მანადგურებელი ძალა, და ვინც შიგ
ჩაეარღება ან შიგ გაატარებენ, თუ ხე-
ლად არ მოსპობა, უსაზომოდ დატანჯ-



ვა-წვალელებას მაინც ვერ დააღწევს თავს.

ცეცხლი უშრეტო იხ. ცეცხლი.

ცეცხლი ჩამოვარდა პრ. ზეციდან ძირს ჩამოვარდა ცეცხლისა. სჯ. დიდი გულვა, დიდხინის უწყიმობა. „მა ხომ უწყიმოთ დავიწოდით! „ცეცხლი ჩამოვარდას“ რო იტყვიან, ის არი, აი უწყიმობა! დედამიწა სუ პირს დააღებს ხოლმე, თითქო შოშის დასცხმიოა“ (ს. შვალაძის). „ოსეფა, ახარ, რა ცეცხლი ჩამოვარდა?! რა იყო?“. (რ. ერისთავი).

ცეცხლმოდებელი იხ. ცეცხლმოკიდებული.

ცეცხლმოკიდებული პრ. ვისაც ცეცხლი აქვს მოდებული, ვინც ცეცხლში იწვის. სჯ. ძალზე გაჭირებული, გაბრაზებული. „მე იმისთანა ხასიათის კაცი ვიყავი, რომ ვაფთრებულს, გულაფთვებულს, ცეცხლმოკიდებულს იჭებდა უცერად კაცი შემომკვდომოდა, მაგრამ თუ წინ მოსაფიქრებლად ორს წუთს მაინც ჩემი ჭკუა და გული შემოჩებოდა, აღამიანს სასიკვდილოდ მწვლად თუ გამოვიმერებდი“ (ილ. ჭავჭავაძე).

ცეცხლმოსაკიდებელი პრ. ცეცხლით დასაწველი. სჯ. მოსასპობი, დასაღუბავი, დასაწვაი, სასიკვდილე. „მადლობა ღმერთს, რომ ჩემზე არ ჩამოწყვეტილა მარტო საღამო და ბევრი სხვა(ცა ყოფილა აქა). მაგრამ განა მე რომ უცეცხლოდ დამწვა იმ ცეცხლმოსაკიდებელმა, სხვანიც იქნებოდა ჩემს დღეში? (შვალაძე).

ცეცხლა და წყალს შუა ყოფნა პრ. ცალმხარეს ცეცხლი იყოს და მეორე მხარეს წყალი და შუაში ყიდვ ვინმე. სჯ. დიდს გაჭირებაში ყოფნა, გამოწვავი რომ არ ექნება კაცს, ხსნა რომ არ შეეძლოს თავისა. „ცეცხლსა და წყალს შუა ვარ, ორი-სასვე ვარ ნებასა; ცეცხლი მიპირებს და წვავსა, წყალი — თან ჩაყოლებას!“ (ფ. ხიზანაშვილი) იხ. წინ წყალი, უკან — მეწყერი.

ცეცხლს დაჰბერეს პრ. პირით დაყენებული ქარი ცეცხლისაკენ მიმართეს. სჯ. ვაჭირება გააძლიერეს. „გაიგებს რა სულისა და პოლიციის ჩინოვნიკებმა ამათი (ლუარსაბისა და მისი ძმების) შფოთი, ცეცხლს დაჰბერეს და ცეცხლს ცეცხლი ცეს“. (ლ. არდახანი).

ცეცხლს ცეცხლი მოუმატეს პრ.

ცეცხლი გააძლიერეს. სჯ. უბედურებას უბედურება შესძინეს. „გაიგებს რა სულისა და პოლიციის ჩინოვნიკებმა ამათი (ლუარსაბისა და მისი ძმების) შფოთი, ცეცხლს დაჰბერეს და ცეცხლს ცეცხლი მოუმატეს“ (ლ. არდახანი).

ცეცხლში ანთებულ მუგუზლების მიატება პრ. ცეცხლის გასაძლიერებლად ანთებულ მუგუზლების შეკეთება. სჯ. გამწვავება ისედაც გამწვავებულ მდგომარეობისა. „ცხადად გამოჩნდა, რომ მული უფრო უმატებდა ცეცხლში ანთებულ მუგუზლებს და რაკი ის მოშორდათ, ცეცხლი თანდათან განელდა...“ (ან. ერისთავი-ზოზარია).

გაღვიგებულ ცეცხლს ანთებულ მუგუზების მიმატება არა სჭირია, რადგან სიმშურვალე ზომიერი და სამყოფი აქვს და როცა მაინც უუმატებთ, ზომიერებას გადავაპარებთ ხოლმე. გადატანითად, ხატოვანად ითქმის იმ შემთხვევაში, როცა, ვთქვით, აღამიანი ისედაც ცუდ გუნებაზეა იმ ძალზე გაბრაზებულია და ამ დროს ვინმე მოვიდეს და გაუუარესოს გუნება, უფრო გასაბრაზებელი რაიმე უთხრას.

ცეცხლში დაწვა პრ. ცეცხლის საშუალებით მოსპობა. სჯ. დატანჯვა, გამწვარება, დადარდინება. „საქმე ის არის, რომ მკითხველმა გაითვალისწინოს, — პრესას რა ცეცხლში შეუძლიან დასწოს და დაჰმუგოს, ზნეობრივად სტანჯოს და აწამოს აღამიანი“ (ილ. ჭავჭავაძე). „მე შენს თვალეებში ვსჭვრეტ სამოთხესა და მათი მჭვრეტი ვიწვი ცეცხლითა!“ (ნ. ბარათაშვილი).

ცეცხლში ჩავიდება (ვისიმე) პრ. ძალით ვისიმე სროლა ცეცხლისაკენ, შივდასაწვავად. სჯ. უბედურება, საშინელი მდგომარეობა, მწუხარება დარდნადღევა. „თითქოს იმის თქმა უნდაო: „მენი ოჯახი დააქციოს ღმერთმა, რომ ამ ცეცხლში ჩამავადეო!“ (შ. არაგვისპირელი).

ცეცხლში ჩავარდნა პრ. თავის საკუთარ სიმძიმით თავის სხეულის ჩაწვება ცეცხლის შუაგულში. სჯ. დიდს უბედურობის დატყდომა. დიდს სატანჯველში ჩავარდნა. „საკოდაფი წერას აუტანია. მაგრამ ეგ ხომ მოკვდება და წავა, ვაი შავის მშობ-

ლების ბრაილი, რა ცეცხლში ჩაღვივიან!" (ილ. ჭაბუაშვილი). "უწინ გმირობა იყო მამულისათვის ცეცხლში ჩაღვარდნა, ჯვარცმა, წამება, ახლა კი საჭიროა მასწავლებელი, მასწავლებელი და იგივე მასწავლებელი" (ილ. ჭაბუაშვილი).

ცეცხლში ჩადგომა (ვისთვისმე ან რისთვისმე) პრ. ცეცხლში მოთავსება თავის სხეულისა. ზვ. დიდის გაკირების, სსაჯელის მიყენება თავისთვის. "მამ ახლა ფოშტის ფული რით უნდა მოიშორო? ფოშტის ფულისათვის ხომ მალე შესწუხდები და ცეცხლშიაც ჩაადგები?" (იან. მუხომეშვილი). "ღმერთმა აღდგერძლოს, ღვთის ნათლული ვინმეა, არავის შეუძინდება, ჩვენი გულისთვის ცეცხლში ჩადგება" (იან. მუხომეშვილი). "ვთი, შენ ჩემო თავო! გეტყობა, გეწყინა ჩემი რჩევა? აი, ასეთი ილბალი მაქვს. ე ოხერი ყველგან! ცეცხლში რომ ჩადგდე კაცის გულისათვის, სიკეთეს ვერავის დაენახებ!" (ელენა).

ცეცხლში ჩაყენება (ვისიმე) პრ. გარშემო ცეცხლის შემხვევა. ზვ. გამწარება, შერისხვა, საშინელი წყრომა, გაჯაერება. ტუქსება, გაბოროტება, ტანჯვა, წამება. "თავის მუშებს ხან სცემდა (ვაკარი), ხან პლანძლავდა, ერთის სიტყვით, ცეცხლში აყენებდა" (თ. რაზიკაშვილი).

ცეცხლში არ ეკიდება პრ. ცეცხლს არ მიეკარება. ზვ. მალე არა ცვდება, უცვლელია, გამძლეა, მაგარია.

ცვლივით დადნა პრ. თავლის სანთლის მსგავსად დადნა. ზვ. ადვილად, უცუბლად დადნა, მოისპო.

ცინობუტივითა ტრიალებს პრ. გასაბვრეტი იარაღით მარდად მოძრაობს. ზვ. მარჯვეა, დარდმანდია, დაუშარელი, მოძრავია. "ენა ქართალია-მაჭანკობაში იმისი ტოლბადალი არ გაუჩენია ღმერთს, იმისას ამბობდნენ, რომ მოინდომოს, ბერს ცოლს შეართვევინებსო! მამასახლისსაც ეს უნდოდა, და აკი გურქაც ცემბრუტივით და ტრიალდა, ვანოსთან საქმე გაჩაღდა, მაჯაგანში მოიკვანა" (იან. მუხომეშვილი). "მამითადი ჰყავს თინიას, დღეს არის ამის ლხინია. ცემბრუტივითა ტრიალებს საწყალობელი თინია!.." (ჩ. ერისთავი).

ციდა-მტკაველა პრ. ერთი ციდისა და მტკაველის ოდენა. ზვ. პატარა, დაღუღული, მეტად დაბალი (აღამიანზე ითქმის), ჯუჯა, პატარა ტანისა. "ციდა-მტკაველი ხელმწიფე, ამა ამბის უმეტარი, მისის კუნძულისაქენ მივიდოდა" (ქილია და დამანა).

ციდა და **მტკაველი** ძველებური ზომა იყო სიგრძისა, ციდა (გამალი ხელის ცერის წვერიდან" სალოკი თითის წვერამდე მანძილი) უდრიდა 12 სანტიმეტრს, ხოლო მტკაველი (იმავე გაშლილი ხელის ცერის წვერიდან ნიკის წვერამდე მანძილს) — 24 სანტიმეტრს. **ციდან ჩამოვარდა, თუ მიწიდან გაჩნდა** პრ. ციდან ძირს დაეშვა, თუ მიწიდან მალა ამოვიდა. ზვ. საიდან გაჩნდა, მოულოდნელად მოგვევლინა, ერთბაშად სიდანაც გაჩნდა. "გაგონილა: ციდან ჩამოვარდა კაცი, თუ მიწიდან გაჩნდა. ბეჩავ, რა აღდგომა გაუთენდა იუდის კერსი!" (იან. მუხომეშვილი).

ციდან ცენა პრ. ციდან ძირს დაპნევა. ზვ. გაურჯელად შოვნა, უშრომლად შექენა, მუქთად პოვნა. "ოჯახში ყველაფერი საჭიროა, ყველაფერი ფული უნდა გაიღო ქალაქ ალაგას მცხოვრებმა და აქ კი, დალოცვილებო, ყველაფერი მუქთადა გაქვსო, ციდან გიცივივათ რალი!" (ილ. ჭაბუაშვილი).

ციებ-ცხედება პრ. კაცს რომ აციეებს და აცხელებს კიდევ. ზვ. მოუთმენელი სისწრაფე, აჩქარება რისამე კეთების დროს, სულსწრაფობა.

ცივი ნიავის მიღენინება ახ. ცივის ნიავის არ აკარებენ.

ცივი უარის თქმა პრ. სითბო რომ აკლია, ისეთი უარია. ზვ. უიმედო უარია, ხელაღებით გაცხედება, გადაწყვეტილად დაუკმაყოფილება. "მელამ ყველის ცივი უარი უთხრა: თქვენთვის როდი ვიშრომე, შვილოსან, წადით და თქვენც დაიჭირეთო" (თ. რაზიკაშვილი).

ცივი წვალი გადაახხა პრ. სითბოს მოკლებული წვალი მოახვედრა სხეულს. ზვ. უარი უთხრა. გული გაუტუნა. იმედი წაართვა. დაალონა, მოულოდნელად უსამიეროდ რამ შეახვედლა. "ყოვლად უსამღვდელომ ორანზოენად შეხედა მას და მიუბრუნდა სხვა მთხოვნელმა. ცივი-

8. თ. საბოკია, ქართული ზატოვანი სიტყვა-თქმანი. III.



წყალ გადასხმული გამოვიდა მამა ტიმოთე სასახლიდან, ცოტა შეყოვნანდა და შებრუნდა იქვე სამდივნოში, სადაც ნაცნობი მოხელე ეგულებოდა“ (ფ. ბარნოვი). „როგორც ცივი წყალი, ისე მოგვხედდება ხოლმე ამ დროს რამ უსიამოვნო ამბავი“ (ილ. ჰავჭავაძე). „მაგრამ ამ ფიქრს, რომ ნატერისთვალას თანგერად ქალი მოჰყვებოდა, ცივი წყალი გადაუსხამს მათთვის, ფეხი უდგებოდათ უკან“ (იფს. მუნთაშვილი).

ცივმა ოფლმა დაასხა ჰრე. სხეული ცივი ოფლით დაეფარა. ზვვ. ძალზე შეეშინდა, გამწარდა, ათრთოლდა. „შეილი გაოცდა, მამას ცივმა ოფლმა დაასხა.“

— მე რა შეუში ვარო! — დაიძახა კენესით და თრთოლთ შეშინებულმა პეტრემ. პეტრე მთლად ცახცახებდა“ (ილ. ჰავჭავაძე).

ცივს ნიავეს არ აკარებენ ჰრე. თბილად ჰყავთ, ცივ ნიავეს უშლიან მას მოხედეს. ზვვ. ძალიან უფლიან, თავს ევლბიან, მისთვის არაფერი შურთ, ახებიერებენ, ზოუნავენ. „გაგანებიერებ, შენს უნებურს ცივს ნიავესაც არსაიღან მოგადენ, ისეთი ძლიერი, ისეთი ძლიერი, ენით-გამოუთქმელის სიყვარულით შეყვარები“ (დ. შახანელი). „მერე რად გივირს კაპატოს საქციელად? ჩველივე მოსხლიტეს ნამდვილ ცხოვრებას, ბროლის სასახლეში ჩასვეს მზეთუნახავი, ცივ ნიავეს არ აკარებდნენ, ყველაფერი უზრუნველი ჰქონდა მზამზარეთლად, ღუკამის შესაჯრავათაც კი მოახხად ადგა თავს“ (ფ. ბარნოვი).

ცივ ქვაზედ ჯდომა ჰრე. ცივ ქვაზედ ყოფნა. ზვვ. უნაყოფო იდეილას დარჩენა, ცხოვრებისათვის საჭირო პირობების უქონლობა. „სად გინდა იყვნენ, იცხოვრო, გინდ ისხდნენ ცივსა ქვაზედ“ (ძალბუი პუხია). „ღვრიტა დაადნო მარადმა ხარჯვამ და როცა ცხოვრება აირია, კერას შემოეფტქენა ყოველივე, რაც რამებნადა. ნიადავიც ფერხთ ქეშიდან გამოაცალეს. ცივ ქვაზედ დასხდნენ ოჯახის შეილინი“ (ფ. ბარნოვი).

ცივი ქვა, როგორც არაორგანოლი ნივთიერება, ჰგულისხმობს მოკლებას ყოველისავე საარსებო საშუალებისას, რაც საჭირო და აუცილებელია ყოვე-

ლისავე ორგანულ არსისათვის. კიდევ ამიტომაც ქვა — სინონიმი უნაყოფობისა და გაჯირვებისა თუ სიყვდილისა. ხატოვანად ხმარებული თქმა — ცივ ქვაზედ ჯდომა ან ცივ ქვაზედ მჯდომა წარმოგიდგენს ყოფას მეტად გაჭირებულ, უშეწო, უსახსრო, თავის მარჯვენას იმედი-ლა დარჩენილ აღამიანისას და როცა ასეთი აღამიანი იმდენს უნარს იჩენს, რომ კიდევ ახერხებს ცხოვრებას, ყოვლადის ქებასა და მიზბძეის საგნადა ხდება მოყვანისათვის.

ცივწყალგადასხმული ჰრე. ვისაც სითმოკლებული წყალი გადასხმია სხეულზე, ზვვ. უიმედო, დაღონებული, სასოწარკვეთილი, გულგატეხილი. მოულოდნელად უსიამოვნებამეხვედრილი. ახ. ცივი წყალი გადაასხა.

ცით მოწყვეტილი ვარსკვლავია ჰრე. ზეცას მოგლეჯილი ვარსკვლავის მსგავსია. ზვვ. მეტად ლამაზია, მშვენიერია. „პირველ ხანებში ჩემს სანახაობას არა სჯობდა რა: ცით მოწყვეტილ ვარსკვლავსაც ვით გამქონდა კაშკაში“ (აბაი). „ვინა? მაყვალაი? ციდგან მოწყვეტილი ვარსკვლავია, ღვთის ვედღმა“ (პ. ვახაშვი).

მოწყვეტილი ვარსკვლავი გვიქვია იმ სხივოსან და მოკაშკაშე მეტეორებისათვის, რომელთაც ხშირად ცა-მოწყენილზედ ვამჩნევთ ხოლმე და რომლებიც ჩვენზე ისეთ შთაბეჭდილებასა სტოვებენ, თითქო ცას მოსწყდნენ და ძირს წამოვიდნენო. ესენი ითვლებიან პლანეტების წვრილ ნამსხვრეებად და ჩვენს ატმოსფეროში ისეთის სისწრაფით შემოდიან, რომ რამდენსამე წამში ასწრებენ ზედ გაეღას, თან ხახუნისაგან ისე ხურდებიან, რომ სხივოსანი და მოკაშკაშე ხდებიან. ამათ ქართულად მოწყვეტილი ვარსკვლავის სახელი ქვეათ და გამომხატველინი არიან მშვენიერებისა.

ციმციმით ჰრე. მზის სინათლის კაშკაშის მსგავსად. ზვვ. ერთბაშად, ხელად, თვალის დახამამამებაში, დაუყოვნებლივ, სწრაფად. „დაუძახა ხალხსა. ხალხი მოსკვივდა, ასწიეს მუშა და ციმციმით წაიღეს, მღვდელიც უკან დაიღვენა“ (ილ. ჰავჭავაძე).

ციხა... ზარხა... ჰრე. რაც ცაში და ბარში (ღელამიწაზე) ხდება. ზვვ.

ყველაფერა, ყოველივე უკლებლივ, რაც ცაშია ან რაც ბარადაა, ორივე ერთად.

ცისა და ქვეყნის ერთმანეთს კვრა პრდ. ერთმანეთს დაჯახება, მისლა ცისა და ქვეყნისა. ზგვ. ქვეყნის დაქცევა, ამტუტება, დიდი უბედურობის დიატრიალება. „წარმოსთქვა მგელმა, გაჯაერებულმა. გულამოსკვნისმა: ეხლა ხომ თავი წაგართოთ ძილმა, მე რომ ეგ მექნა, მომეწეოდით, ძაღლი და კაცი დამესეოდით, ცას და ქვეყანას ერთმანეთს ჰკრავდით“ (ო. ვრასთავი).

ცისა და ქვეყნის მოწმობა პრდ. ყველა-სი, ვინც ცაშია და ვინც ქვეყანაზეა. (რაც დედამიწის ზურგზე აღამიანებია). ზგვ. სრული ქეშმარიტებაა (ნათქვამია რაიმე), ამას აღასტურებს, რაც სადმე სულიერი არსებაა.

ცისა და ქვეყნის შუა პრდ. ცისა და ქვეყნის საშუალო ადგილას. ზგვ. სადმე, რომელსამე ადგილას, ქვეყანაზე. „ძალდა მართა მხოლოდ მაღხაზას-ლა შეჭურბდა, ცისა და ქვეყნის შუა მის მეტი არავინ გააჩნდა“ (ე. ბარნოვი).

ცის გახსნას შესწრება პრდ. დანახვა ცის კარების გახსნისა. ზგვ. ნეტარება, უსაზღვრო ბედნიერება. „ნეტარი ცხოვრება შაქროსათვის მოისპო იმას შემდეგ, რაც მას მამის მინდობილობით მიიღო სულ ის ფულუბი და თავის სწორ-ამანაგებთან ერთად ცის გახსნას შეასწრო ტვილისის შეფაიტონეები და საზანღარ-მედაფ-მეზურნები“ (მელანია). „როდესაც გიქვრეტ, ცას ვხედავ გახსნილს და სასუფეველის მშვენიერებას!..“ (აკაკი). „ამოვკოცნო ცეცხლის თვალები! იცი შენ? ცის გახსნის დროს მხოლოდ სამი სიტყვით უნდა იხატრო, რომ ავისრულდეს“ (ე. ბარნოვი).

ცის დაწვევა თავზედ პრდ. ცის დატყლომა ვისსამე თავზედ. ზგვ. დიდი უბედურება, საშინელება, სიკვდილი. „ბუღღანა (წელმოწყვეტილი), ესეც ცა დამეწგრა თავზედ!..“ (ავტ. ახარული). „ქვრივე. დაზე, დაზე ამ ცოდვისშეიღებს, რა ღიმილი მოსდით! (მოუბრუნდება მებატონეებს). რას გაჩუმებულხართ, კაცები არა ხართ, ხმას ვერ ამო-

იღებთ? ცა თავზედ გვემცევა...“ (ოლ. ჰაჯაფაძე). ის. თავზე ცათა დატყლომა.

ცის დანახვალი პრდ. საცა გვეჩვენება, თითქო ცა დედამიწის უფოთლებად, ჰორიზონტი. ზგვ. იმდენად შორს, სანამ რისამე დანახვა შეიძლება თვლით, ძალიან შორს. „და თვალნი ჰრბიან შორად, შორად, ცის დასაუვალსა!“ (ნ. ბარათაშვილი).

ცის დაქცევა თავზედ ის. ცის დანგრევა თავზედ.

ცის დახურვა თავზედ პრდ. ცის ჩამოფარება თავზე. ზგვ. გაქცეობა, გასარება, დიდი უბედურება, სიკვდილი. „ჩილოში აქიმიანებს ცა დახურვით თავზედა“ (ს. მაქალათია).

ცის კარი გამელო ის. ცის გახსნას შესწრება.

ცის მესხი დატეხა ის. მეხის დატეხა. **ცის ქვეშ დარჩენა პრდ.** ისე დარჩენა, რომ ცა-ლა ეფარებოდეს კაცს თავზე. ზგვ. უბინაოდ დარჩენა, სახლს გარეთ დარჩენა. „დათიკო. სახლს აგვიწერენ და ჩვენ ცის ქვეშ უნდა დაერჩეთ“ (ავტ. ახარული).

ცის ჩამოტეხა ის. ცის ჩამოქცევა.

ცის ჩამოქცევა პრდ. ზევიდან ძირს დახეტება ცისა. ზგვ. ნიაღვარივით წვიმა, საშინელი ქექა-ქუხილი. „კაცი ვარ, კაცი! მომეცი ბინა, მისხენ, ლეთის მადლსა, სიყვდილისავე. ვერ მხედავ, ლამის, ცა ჩამოქცეს და ზედ დავიკეს დედამიწა?!“ (ოლ. ჰაჯაფაძე). „შიპოუნეს შუადღის ხანსა, ცის ჩამოტეხის ვამია“ (ს. მაქალათია). „თორმეტ დღე-ღამე იომეს, ჩამოტეხვას ჰგავს ცისაო“ (ს. მაქალათია).

როდესაც საშინელი ბექა-ქუხილია, წამლა-უწუშ მეზი ეცემა და კოკისპირულად ესხამს ზევიდან, ხალხის აზრით შამაბეჭდილება ისეთი რჩება. თითქო ცა რამდენსამე აღავას გატყდა, მისი ნატეხები ძირს ჩაცვიდა და თან ჩამოაყვა ზვევით დაგუბებულ წყალი არა წვიმის სახით, არამედ თითქო წყლით საუსე კოკა ვისმე გადმოუპირქვავებია და იქიდან ესხამს დედამიწაზე წყალსაო.

ციციანი დავა პრდ. თავადი ციციველები ერთმანეთს რომ ელავებოდნენ თავიანთ მამულის გაყოფის შესახებ ზგვ. დაუსრულებელი, ბლომოუღებელი დავა. გაქიანურება,

გაგრძელება რაიმე საქმისა. „გათვებული საქმე ლამის ისევ ციციანთა და დაეა გახადო!“ (ელფთერები).

XIX საუკუნეში თავადი ციციშვილები, ზემო-ქართლში, უდიდეს მემამულეებად ითვლებოდნენ. მათი მამული — სახანა-სათესი და ტყე — იწყებოდა სოფ. ქვემო-ნიჩბისიდან (ქსანს პირდაპირ) და თავდებოდა ხაშურს ახლო საციციანო მთებით, რომელთაც საზღვრავდა ეგრეთწოდებული ბორჯომის (დღეი მთავრის მიხედვით) მამულები. ბორჯომის ხეობაში, ახალდაბასთან, — სულ 80.000 ჰექტარამდე. ციციანთ ერთ წინაპართაგანს, სახელად იოსებს, ქვემონიჩბისის მემამულეს, რომოციან წლებში, რუსეთში უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე დაუმთავრებია სწავლა და სამშობლოში დაბრუნებულია. ჩამოსვლისთანავე ზემო-საციციანის მცხოვრებ თანამოგვარეთათვის დაე დაუწყია — ნახევარი საციციანო ჩემი და ჩემის ორის ძმისა — დავითისა და ზაზასი არისო, აქედან ჩაპყრია საფუძველი დასრულებულ დავასა და დავიდობას ციციანთ ვეარში. ეს დავა, დაწყებული XIX საუკუნის პირველ ნახეარში, XX საუკუნის დასაწყისში დათავრებულად არ ითვლებოდა და საარაკოდაც ვამხდარა. ახლა ყოველ გაქვიანურებულ, ბოლომოუღებულ დავასა და უთანასწორობაზე ქართლში იტყვიან ხოლმე — რა ციციანთ დავა გახდაო...

ციციანთ სუფრა ჰრე. ციციშვილების სუფრა, რომელსაც მოუსხდებოდნენ ხოლმე პურის საქმელად. ზვ. უპურობა, პურის ნაკლებობა სუფრაზე. „ციციანთ სუფრა შერცხვა, თუხარლიანთ ვალობა, კარებამდე არ მივყვება თარხნიანთ წყალობაო“ (ბ.ღებრი ლქაი).

თავადი ციციშვილები ქართლის მემამულენი იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათი მამულები ქართლის პურის, და საუკეთესო ღირსების პურისაც. — მოსავლით განთქმულ ნაწილში იყო. იმათ, ეტყობათ, პურის ნაკლებობა სჩვეოდათ, ყოფილა შემთხვევები, რომ ვაშლიც სუფრაზე სტუმრებს ხან ერთს და ხანც მეორეს პურის ნაკლებობა შეემწიოთ.

ციხე-სიმაგრე ჰრე. გამაგრებული ადგილი. დასაბინავებლად ჯარისა და აბათუ იმ მხარის რომელისაზე ნაწილის

დასაცავად. ზვ. სიმტკიცე, იმედი, ძალა „კრებულად მოქმედებისათვის ეგ მზამოუღებლობა და ყმობა დიდი ციხე-სიმაგრეა“ (ილ. ჰევჭავჭავი). **ციხე-სიმაგრის შენგრევა ჰრე.** გამაგრებული ადგილის დაზიანება. ზვ. დაზარალება, დაღუპვა, სიმტკიცის მოსპობა. სიმაგრის გამოცდა. „ქვეყანაზე ამისთანა ჭუმანიურს, თანასაგონძობელს დედააზრზე აგებული ბახვი სხვა არსად ვამიჯიანია და ხელი არ უნდა გაუხმეს იმ ბოროტს, ვინც ამისთანა საქმეს ჭამობს ცილისწამებით, ტყუილებით ციხე-სიმაგრე შეუწგრიოს, სახელი გაუტეხოს“ (ილ. ჰევჭავჭავი).

ცნობის მიხედობა ჰრე. ცნობის დაკარგვა. ზვ. უცნობრობა, გამოშტერება. „უქერტდის, თვალნი ვერ მოჰხსნის, თუ მოჰხსნის, იმჰხდის ცნობასა“ (შ. რუსთაველი).

ცოდვა (იგივე ცოდო) ჰრე. სჯულს ვადისვლა. ზვ. არა ჰხამს, შეუწოდებელია, არ შეიძლება, აკრძალულია რისიმე გაკეთება. ზღ. იმდენი ცოდვა აწევს კისერზე ჩემს მეზობელს, რომ მიკვირს, აქამდე ცოცხალს როგორ უშვებენ..

ცოდვა მორწმუნეთათვის დარღვევაა სარწმუნეობრივ-ზნობრივ კანონთა, რისთვისაც ამ კანონთა დამრღვევს, ცოდვილს საიქიოში მოეკითხებათ პასუხი ემისა განკითხვისასა. ვადატანითად განმინავს სააუგო საქციელს, დანაშაულს უხამსობას, ბრალდებლობას. საზოგადოდ — სჯულის წესების დარღვევას.

ცოდვა-ბრალის დატრიალება ჰრე. სიყვისა და სიკეთის დაბრუნება ვარ-შემო. ზვ. ჩადენა ბოროტებისა, ავკაცობისა, შეუწოდებარ დანაშაულისა. „როგორ გამოვსთქვა, ვის ვაგრძობონო, დაატრიალტ რაც ცოდვა-ბრალი!“ (ვაფა-შინავლა).

ცოდვა-ბრალის კისრება ჰრე. კისრად აღება ცოდვისა და ბრალისა. ზვ. თავის თავისთვის დაბრალება რაიმე დანაშაულისა, პასუხისგება. „ცოდვა-ბრალი თქვენს კისერთა, თუ რამ მოჰხდეს უწყესურა!“ (დ. გუგუშვილი).

ცოდვა, დანაშაული დადარებულია მეტად მშინდ ტვირთთან, რომელიც კისერზე ან თავზე აწევს შემოკლებულს, ბრალდულს და რომლის ზიდვა ვასაქი-რია ხოლმე და მის სიმძიმის ქვეშ



კვენისის. ხოლო პირვანდელი სახე ტვირთის ზიდვისა იყო თავზე ან ქედსა და კისერზე დადება ამ ტვირთისა და ისე გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე.

ცოდვამ მიწია პრე. ბოროტების ჩადენა არ შემრჩა. ზვე. ბევრი დანაშაულისათვის ბოლოს და ბოლოს პასუხი მომთხოვეს. „შეიქნა ჩხვილ-ქნავილი, წრუწუნი, ლაწილუწია, სისხლის ღერა. ტყაების უხრეწა... თავგებსა ცოდვამ უწია, მოავლნი ყრიან უთაეოდ. ზოგნი სულ აუაუწიათ“ (რ. ერისთავი).

ცოდვაში გახვევა პრე. ცულ საქმეში გარევა ვისიმე. ზვე. ცულის საქმის, ცოდვის, ბოროტების ჩადენინება. „დათიყო, შენი ჭირიმე, ხიფათს ნუ შემამთხვევ, ცოდვაში ნუ გამხვევ! დამითმე ის გოგო და შენს ღმერთს დაამადლე“ (ილ. ჭავჭავაძე).

ცოდვაში ჩადგომა პრე. თავის ჩაყენება ცოდვაში. ზვე. დანაშაულის დაბრუნება. „ამას პარდა პრისტავსაც ოცი თუმანი დასტუა თქვენს სახელზედ. — სოვეტნიკმა შეგიტყო, რომ ტყუილად გადააბრალეო კაცის კვლა სომეხსაო, ის კი არ ვიცი, რა უყო. იქნება თქვენ მოგართოთ ჭიღეც და მე ტყუილად ცოდვაში ვღგებოდე“ (ილ. ჭავჭავაძე). „ვინმე უბალია რომ დაიყვიროს: მთავარი ციმიბირს გადავასახლოთ, ჩვენ მაშინვე ცხვრებივით ნუ გადაყვებით! იქნება ერთსა და ორს რა მტრობა აქვს ვისთანმე და იმისთვის ჩვენ რათ უნდა ჩაუდგეთ ალალ-მართლის ცოდვაში (დ. მაჩაიაძე)

ცოდვაც და მადლიც ხალვთად დადის პრე. ცოდვაც და მადლიც თავის უფლად დადის, არაფერი აბრკოლებს ზვე. ადგლია სიავეცა და სიკეთიც. „გავეწრდეთ და ჩამოველით ქალქსა. აქ ცოდვაც და მადლიც უფრო ხალვათად დადის. ორივეს დიდი შარა-გზა აქვს“ (ილ. ჭავჭავაძე).

ცოდვა-ჭირით გაკეთება (რისიმე) პრე. რისიმე გასაკეთებლად ცოდვაც მივიშულოე და ჭირიცა. ზვე. რის ვიწვავლანით, ვაინარობით გავაკეთე (მაკ. გამოვზარდე შვილი).

ცოდვით ავხება (ვისიმე) პრე. ვისიმე ბრალისა ანუ ცოდვის მოკიდება. ზვე. დატანჯვა ვისიმე, უღმობლად მოქცევა. „ველს გამოვიჭრი, ცოდ-

ვით ავამსო!“ (პ. უმიკაშვილი). „ჩემი შვილის მამული წააგო იმ ჩემი ცოდვით სავსე ადვოკატმა! აი ერთი იმისი სისხლი დაამლევიან!“ (რ. ერისთავი).

ცოდვით დაწვა (ვისიმე) პრე. ვისიმე ცოდვით ან ბრალით ცეცხლის მოკიდება. ზვე. შებრალება, შეცოდება, თანაგრძობა. „ასე, რომ მთელი ქალაქი ამ ახალგაზრდა ქალის ცოდვით იწოდა!“ (რ. ერისთავი).

ცოდვილი ვარ პრე. ვისაც ცოდვები აქვს. ზვე. ცულის საქმის ჩამდენი, შემცდარი. ვინც ხელს დააკლებს საქმეს, სწორე გზიდან გადაუხვევს. „ღღეს სამუდამოდ ვეთხოვებით იმისთანა დიდ-ბუნებოვანს კაცს, რომელსაც ღმერთი მოუვლენს ხოლმე ამ ცოდვილს ქვეყანას, რომ ადამიანმა მისის მიხედვით და მაგალითით შეიძლოს საკუთარის ზნისა და ხსიათის გაწვრთნა და განმტკიცება“ (ილ. ჭავჭავაძე). ახ. ცოდვა.

ეს თქმა ლაპარაკში იხმარება, როგორც ჩართული წინადადება და ჭკულისმობს ადამიანს, რომელსაც მრავალი ცოდვა ჩაუდენია. გადატანითად აღნიშნავს ადამიანის მიერ სინანულის გამოტემას, ცოდვებისა და შეცდომათა აღიარებას, პატივებისა და შენდობის მოთხოვნას.

ცოდვილი ყური პრე. ცოდვებიანი ყური. ზვე. ჩამდენი სასუგო საქმისა. „აქ უღვინოდაც ითურებოდა კაცი, ხოლო ღვინო ცათამლის ამოღლებდა მას და მიუთხრობდა მის ცოდვილ ყურს სიტყვას გამოუტყმელს, მანგს გარდაუგალს“ (ვ. ბარნოვი).

ცოდვის აღება კისერზედ პრე. კისერზე დადება ცოდვისა საზიდად. ზვე. უსამართლობის ჩადენა, დაშავება ვისთვისმე, აუგიანობა. „ეს ქვეყანა — საქარისტიანო საქართველოა. პურსაც გაქმვეთ, ღვინოსაც დაგლევიანებთ და კაი ქიფისაც გაგაწვიანებთ. ვი ივკაცს, რომ თქვენი ცოდვა აუღლია, თორემ თქვენ რა გაქვართ!“ (ილ. ჭავჭავაძე). „ცოდვას ნუ აიღებ, დიამბეგო, კისერზედ, — ვუთხარი მე, — შეპია ამ საქმეში ღმერთსავეთ ალალია და უცოდველი“ (ილ. ჭავჭავაძე). ახ. ცოდვა-ბრალის კისრება.

ცოდვის გადიდება პრე. დიდად, მრავ-

ლად გახდომა ცოდვისა. ზვე. უბედურება, საშინელება.

ცოდვის კალოა ჰრე. კალოა, სადაც საშინელი უბედურება და საცოდაობა დატრიალებულა. ზვე. ხალხი ამოწყვეტილია, ცოცხალი არავენ გაუშვიათ. მგლ. ხორეელისაგან ისე განადგურდა ხალხი, როგორც ერთ დროს გრაკალში ცოდვის კალოზე ამოსწყვიტეს ხალხი.

როცა XVII საუკუნის დასაწყისში, 1614 წელს, კაცობრიობის რისხვად მოკლენილი შაჰ-აბაზი საქართველოს შემოესია, ერთი კუთხე არ დაუტოვებია, რომ თავისი მრისხანების კვალი არ დაემჩნია. საცა-კი მივიდოდა, ყველა და ყველაფერი ცეცხლისა და მახვილის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო. სხვათა შორის, ამ მტარვალის რისხვამ გორს ახლოს სოფ. გრაკალსაც (სადაც ახლა რკინის გზის სადგურია ამავე სახელწოდებისა) უწია: ამ სოფელში მისი ბრძანებით ორასზე მეტი ბავშვი კალოზე დაუყრიათ და ზედ კვერებით უღლიათ, სანამ ყველას არ გასწყვეტდნენ.

მოსახლეობას დღემდე ახსოვს ის ადგილი, სადაც ეს კალო ყოფილა და ცოდვის კალოს ემახიან მოსაგონებლად იმ საშინელის უბედურებისა, რომელიც დატრიალებულა მათს თავზე ამ ოთხ საუკუნის წინათ. და ამასთან, ხატოვანად ყოველ ადგილ და საშინელ უბედურების ადგილისათვის ცოდვის კალო უქვიათ.

ცოდვისკითხვა ჰრე. ცოდვის მოკითხვა. ზვე. დანაშაულისათვის პასუხის მოთხოვნა, დასჯა, ცოდვიანობა. „აქედან თურნე ისალავით-ძალა მკითხავები ამბობენ, რო ეს ზენი ცოდვის კითხვააო, მეორეთ მოსკლააო; ხალხს საფლავებს ვილა გაუთხროს და ამაში ჩაკვივიანო“ (ს. მკლავლიშვილი). გვისმინოს ღმერთმა, მახარე ჩემო! მეც გავიგონე ეგეთი ხმები. ის რალა ცოდვის კითხვაა, რომ ეგრე გაჩქარებენ; ერთი კვირა მაინც დაგ-ცლოდათ, რომ მიგებედ-მოგებედნით“ (ე. ბარნოვი).

ცოდვის ლული ტრიალებს ჰრე. ცოდვის კვამლითაა იჭაურობა საესე. ზვე. დიდი უბედურებაა, ყველაფერი დაღუპულია, საცოდაობა საყურებელია, კაცს ეტირება, იჭაურობას რომ შეხედოს! „ღმერთო ჩემო! რა

ყოფით დაგებდნენ ახლა ყანები! რა ცოდვის ლული ტრიალებდა მთელ იმ თვალგადაშურდენულ მინდორზე?! სადლა იყვნენ მშენებრივი გათამამებული მღელვარე ყანები?! ისე იყო ყველაფერი მისრესილ-მოსრესილი, დამტვრეული და მიწაზე დაგებული“ (ნ. ლითოური).

ცოდოს აცილება ზურგზე ჰრე. სხვისი ცოდოს მოკიდება ზურგზე საზიდავად. ზვე. ცუდის საქმის, დანაშაულის ჩადება. „სად წავიდვ ახლა, ვის მივბატნო? ცოდო ზურგზე ავიკიდე (ცოდო შევართე), მაგას (ცოდოს) შენახვა უნდა“ (მელ-ნია). „ალაზანი დიღია, მიგ ბებერი ჰკიღია, პური ეთხოვე, არ მაჭამა, ჩემი ცოდო ჰკიღია (ზურგზე)“ (ჩაღბური). ყოველს სიმძიმეს, ტვირთს, საბალუნეს ძველად ზურგზე მოკიდებდნენ ხოლმე და ისე ზიდავდნენ, ცოდვა და მადლი, სარწმუნეობის თანახმად, ტვირთად ითვლებოდა, აღამიანს ზურგზე ავიკიდებოდა და ისიცა ზიდავდა საიქიოს კარებამდე. იქ, იმავე სარწმუნეობის თანახმად, ზეციერ სამსჯავროს წინაშე მოიხსნიდა ამ ცოდვი-მადლის ტვირთს. ხოლო საიქიოს მსახურნი სასწორზე დაუდებდნენ ცოდვას ცალ თევშზე და მადლს — მეორეზე. თუ ცოდვები გადააჭარბებდნენ, ცოდვილს ჯოჯობხეთში გაგზავნიდნენ, როგორც წაწყმედილს, ხოლო თუ მადლი გადასძლევდა, ცხონებულია წიაღში ჩაირიცხებოდა და სამოთხეში დაავინაბდნენ საუკუნო ნეტარებისათვის.

ძველად ვისაც დანაშაულს რასმე რომ შესწამებდნენ, ვახტანგ მეფის კანონის ძალით (მუხლი 14), თავისი სიმართლე ფიციით უნდა დაემტკიცებინა. ამისათვის შეწამებულს შეწამებელი ზურგზე უნდა ავიკიდებინა და ეთქვა: „შენიმც ცოდვა მას მეორედ მოსკლას (იხ. „მეორეთ მოსკლა“) მემპა მაქვს, თუ მე მიქნას“. თუ ამ ფიცის ფორმულის თქმას შესძლებდა, ვერაფერ რასს ემართლებოდა, ხოლო თუ „ცოდოს ვერ მოიკიდებდა“, ე. ი. თუ შეწამებულის ცოდვება მოკიდებდას ვერ იკისრებდა. მისი სიმტკიცე აღიარებული და ყველასათვის საცნაურ იქნებოდა და პასუხიც უნდა ეგო კანონით.

ცოდვის ხახილებლები ჰრე. საცოდავი საყურებლები. ზვე. საცოდავები, შესაბრალისები, უბედურები. მგლ. სა-

შინელს სიღარიბეში სული ჰხდებოდათ, სწორეთ რომ ცოდვის სახილვებლები იყვნენ.

ცოდვიშვილი ჰრდ. ვისაც ცოდვა ჰყავს დედად. ზვ. უბედური, საცოდავი დაღუპული. **ჰჭრევი**, დახე, დახე ამ ცოდვიშვილებს, რა ღიმილი მოსდით (მიუბრუნდება მებატონეებს). რას გაჩუმებულხართ, ქაცუბი არა ხართ, ხნას ვერ ამოიღებთ?! ცა თავზე გვექცევა“ (ილ. ჰაჰვაძე).

ცოლო და მადლი იცის ჰრდ. იცის, ცოდვა (ცუდი საქმე) რა არის და მადლი რა არის. ზვ. მადლიანი ქაცუბი, გულკეთილი, გაქირებული შემბრალებელი და დანახარებელია, ყველასა შეელს.

ცოლო-მადლი არ იცის ჰრდ. ბოროტება და სიკეთე რა არის, არ იცის. ზვ. მისთვის სულერთია: ბოროტებას ჩაიდენს, თუ სამადლო საქმეს; გარჩევა არ იცის ავისა ქარვისაგან, ოხერია, ავაზაკია.

ცოდო ნუ დაუღიოს ჩემი ჰრდ. რაც ცოდვა ჩამიდენია, იმასა ჰქონდეს. ზვ. ჩემის დაჩაგვრისათვის ჩემი ცოდვი მის მოუკითხოს. „ღმერთმა ჰკითხოს და ნუ დაუღიოს ჩემი ცოდო შვილის-შვილამდე, ვინც მე მახე დამიგო, გამამა შიგ და დამაკარგევინა ყველაფერი“ (მელანი).

ცოდოს დატრიალება ჰრდ. დანაშაულის იქით-აქით ამოძრავება. ზვ. უბედურება. ბოროტება, საშინელება. —აი, ამბოჯო არის ნათქვამი: დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოჩახეო. მაგათში ან დიდი ცოდო ტრიალებს, ან დიდი მადლი“ (ილ. ჰაჰვაძე).

ცოდოს დაყრა ვიზედზე ჰრდ. ცოდვის მოკიდება ვისთვისმე. ზვ. დამნაშავედ გამოყვანა ვისიმე, უდანაშაულო-სათვის ცუდის საქმის დაბრალება, წყევლა. „სიკვდილის დღემდე ცოდოს მაყრდა: ილია მოჯამაგირედ არავის დაუყენოვო“ (მელანი).

ცოდოს ვერ დავიღებ ჰრდ. ცოდოს ვერ ჩავიდენ. ზვ. ვერ ვიზამ, რაც არა მხამს, რაც აკრძალულია, დამნაშავედ ვერ გამოვალ. ზვ. რაც ჩემის თვალთმა ვნახე, ის უნდა ვსთქვა სასამართლოს წინაშე, ცოდვას ვერ დავიღებ. ახ. ცოდვა.

ცოდოს ჰამა ჰრდ. დანაშაულის მიღება. ზვ. დანაშაულის ჩიდენა. ცოდოს

მოურიდებლობა. „თუ პირისპირ შეხვდებოდნენ (ლევანს ძმებმა), ეჩხუბებოდნენ: ცოდოს მქამელსა და მოლატეს ეძახდნენ“ (მელანი).

ცოდო ჰქონდეს ჩემი ახ. ცოდო ნუ დაუღიოს ჩემი.

ცოდვილის მოყვია ჰრდ. ხელი დაავლო ცოდვილს, იტვირთა ცოდვილი. ზვ. დაცოდვილება, ცოდვის შეტევა და შვილების გაჩენა. „ღარწუთებულ იყო (ვაჟის ცოლი), ნინია ცოლს — არ შეირთავდა და მთელი ოჯახის უფროსობა იმას დარჩებოდა. მაგრამ იმედი გაუცრუვდა და ნინია ცოდვილის მოეკიდა“ (ან. ერისთავ-ბოჭორია).

მოკიდება გულისხმობს რისთვისმე ხელის წაღებას, ხელში დაჭერას მის დასაწუთებლად. და რადგან ამ ხელის წაღებით, ამ ხელის საშუალებით დაიჭერდა ჩემი შორეული წინაპარი საცოლეს და ისე მოკვდა საჭლში. ახლა ჩემს ლაპარაკში დარჩენილი თქმა — ცოდვილის მოეკიდა — გამოხატავს ცოდვის მოყვანას სახლში და შვილების გაჩენას.

ცოტა არ იყოს ჰრდ. თითქოს ცოტა. ზვ. ოდნავ, არაშესამჩნევად, სულ მცირედ. „ენამ გულისა უნდა სთქვას, ფერუმარილი რა საქირთა, — უთხრა ქალს ოთარიანთ ქვრივმა, ცოტა არ იყოს, მწყარლად“ (ილ. ჰაჰვაძე).

ცოტას ვაწყდა ჰრდ. სულ მცირე მოზორდა ერთი-მეორეს. ზვ. კინალამ. კინ-და, ძლიეს. ზვ. ცოტას ვაწყდა, კისერი არ მოიტება ამ ოღრო-ჩოღროიან გზაზე!..

ცოფიანმა ძაღლმა ხომ არ დაგლიჯა? ჰრდ. გაცოფებულმა ძაღლმა ხომ არ ჩაგისო კბილები? ზვ. რამ გაგავიფო? კუხას დაუხმე, გონს მოდი, დამშვიდდი. „რა დაგვიმართა, დედაცოცო? ცოფიანმა ძაღლმა ხომ არ დაგლიჯა?“ (ან. ახანი).

ცოფი — შხამიანი ავადმყოფობაა. აღამიანს ცხოველებისაგან კბენით გადაეღება ხოლმე. გამოიხატება ჯერ აღუღებების მოვლენებით, ამას მოჰყვება სიღამბლე და ბოლოს — სიკვდილი. წარსულ საუკუნეში ცოფიან ძაღლებსაგან ნაკლებთ სამეგრელოში თოფურებიანი წამლობდნენ. საფრანგეთში გამოჩენილია მეცნიერმა პასტერმა გაამოგონა ცოფის საწინააღმდეგო აცრა



ცოფიანს ისეთს ვეძახით, ვინც ზო-
მაზე მეტად აღელვებულია, სულიერი
სიმშვიდე აღარა აქვს, მეტისმეტად
ანჩხლობს, მიზეზიანად თუ უმიზეზოდ
სუყველას უღრენს ისევე, როგორც
ცოფმორეული ძილი შერება ხოლმე.
ცოფსა ჰყრის პირიდან ჰრღ. სიბრაზე პირ-
ში აღარ ეტყვა და გარეთ უშვებს. ზგვ.
ვაბრაზებულია. გაშმაგებულია, გა-
ბოროტებულია. „ვეშაპი თავისთვის
მოიკუნება, უნდაღა მიჰშველებოდა
თავის სატრფოს, მაგრამ სად შეეძ-
ლო ჰაერში ფრენა?! პირიდან
ღორბლებს, ცოფსა ჰყრის და,
ხენწილი, კენწილი და უგემურად
ილანძღებოდა“ (ვაჟა-ფშაველა). „ისე-
თია ეს დედაკაცი, სულ ცოფებსა
ჰყრის. მიუხტა ქმარსა. აკი მოვაკ-
ვლევენერო, იძახოდა. შე აძაღლებუ-
ლო, შენა! (თ რახაჟაშვილი).

ცოცხალი ჰრღ. ვისაც სიცოცხლე აქვს.
ზგვ. მოძრაი, ახალი (თევზი, მწვა-
ნილი).

ცოცხალი ტყუილი ჰრღ. სიცოცხლეს
მეჭინი ტყუილი. ზგვ. აშკარა, ნამდ-
ვილი ტყუილი. „ეს ყოველივე ხომ
ცოცხალი ტყუილია და რათ
გინებებიათ ასეთი ტყუილი მუქარა
და შიში?“ (ილ. ჰაქვაძე). „აბა, Ho-
სე იხიარეხო - კი იქნებოდა და ამ
ცოცხალ-ცოცხალის ტყუილის
მთქმელს ორსავე კარს არ გაუღებ-
და“ (ილ. ჰაქვაძე).

ცოცხალის თავით ჰრღ. სიცოცხლით
აღჭურვილი თავის საშუალებით. ზგვ.
ცოცხალია, თუ არ მომკვდარა. „აქ
საით შემხვდი. საითო? მე ხომ შენ
აღარ გაგწირავ ჩემის ცოცხალის
თავით“ (ვაჟა-ფშაველა). „არა,
ცოცხალის თავით მე უნამუსო
კონიას გოგოს სახლში არ შემოვუშ-
ვებ, თუნდა ჯანდაბას დაიღუპოს და
თავიც ქვეს ახალოს გეგენამ“ (ფ-
ლიანი). „მაგრამ მის გულს იგარჩევ
სულ არ მოსწონდა; ვაგას იგი ვერ
გაჰყვებოდა ცოცხალი თავით,
მეტადრე ახლა“ (ვ. ბაჩიაშვილი).

ცოცხალ-ცოცხალი ტყუილი ან. ცოც-
ხალი ტყუილი.

ცოცხათ გაგვა ჰრღ. საველით ვახვეტა.
ზგვ. კარგისა და ავის ერთმანეთს
მიყოლება, სახლიდან გარეთ ვაყრა
ველაისი. მაგ. მოსდგნენ და ცოც-
ხით ვაჰგავეს ყველანი, არაიენ
დაინარჩუნეს.

ცოცხლად მკვდარი ჰრღ. ცოცხალი იყო
და მკვდარს ემსგავსოდა. ზგვ. შერ-
ცხენილი, აუგიანი, ლაფლასხული,
სახელგატეხილი, დაღაბვილი. ან.
ცოცხლად დამარხვა.

იგულისხმება ადამიანი, რომელიც
თავისი აუგიანი, უხამსი საქციელით,
სახელგატეხილობით ცოცხლებში გასა-
რევი არ არის, მისთვის უფრო სამარეა
საფერი, ვიდრე დედამიწის ზურგზე სი-
არული და ცოცხალ ადამიანებთან
ურთიერთობა.

ცოცხლებით იყავ! ჰრღ. ცოცხლება აღარ
მოაკლდეს. ზგვ. ნუღარ მოკვდები,
იცოცხლე. „და გამიქარვე შექირავე-
ბა, რომელი არს გულს ჩენსა და
ცოცხლებით იყავ!“ (მ. ხონელი).

ცოცხლებში გარევა ჰრღ. ცოცხლებთან
ყოფნა, ცოცხლებთან საერთო ცხოვ-
რებით ცხოვრება. ზგვ. კიაკაცობა,
ვაგაკობა, პატიოსნება. „მურცხვენ-
ლობა. გვედრი, მოწყალებისა გა-
დამაფარო კალთა, თუ ცოცხლებ-
ში არ გამარევე, მამ მიმბარე
მკვდართა“ (რ. ერისთავი).

ცოცხლის დამარხვა ჰრღ. ცოცხლის
კაცის დასაფლავება. ზგვ. დიდი
შერცხვენა, სააუგო საქმის ჩადენა,
სირცხვილეულობა. „რა ჰქნას ამ
უბედურმა, ობოლ-ობერმა, რომელიც
ამ გაიძვერა, სინაღსგარეცხილმა
ჯანათლებულმა ცოცხლივ და-
მარხვა? სად წაიდგეს?“ (აფს. აგა-
რელი). „სენი (უკურნებელი) მერე
პეტრესაც გადაედო და ცეცხლი მო-
ედო მთელ ოჯახს, დაიწვა და და-
იდავა, ცოცხლად დასამარხი
გახდა, სოფელმა კარი გამოუხუ-
რა. მეზობლობა შეუქრა და თითქმის
შეაჩვენა“ (ფ. ვაბაშვილი).

ცრემლა ჰრღ. ცრემლის ოდენა. ზგვ. სულ
პატარა, ერთი კიყნა. მგლ. ბავშვი
ჯერ ერთი ცრემლაა, ვინ იცის,
როდის გაიზრდება!..

ცრემლი ვეიჭვია უფრო, გამსჭვირ-
ვალე, მომლაშო სითხისათვის, რომელ-
საც გამოჰყოფს თვალებს უკან მდება-
რე, ფართოფლდებული საცრემლე ჯირ-
კვლები რაიმე ფიზიკური მიზეზით (სი-
ცივე, მზე, ქარი, ხაზვის წვენი) ან სუ-
ლიერი ვანცლით (სიმწარე, სიცილი,
გაოცება). ცრემლი მოდის პატარა,
ხემსის წვერის ოდენა წვეთებით და
აქედან წარმოებულია დაკინებითი
ფორმა ცრემლისა — ცრემლა და

ამბობენ: ერთი ცრემლაა, როცა უნდათ გამოხატონ ამა თუ იმ საგნის (აღამიანის შეილის, სითხის) მეტის-მეტი სიკინენ.

ცრემლად დაღვრა ჰრე. ცრემლად ქცეოა. სხვ. სულ ბევრი ტირილი. „მესწუხებ ვაქცევი, ჯავრმა დაი-მორჩილა, დაჯაბნა, დააძაბუნა. ევ-ლარ შეიმავრა თავი: ჩამოჯდა ქვაზე და ცრემლად დაიღვრა“ (მ. ბარნოვი). „თუ რომ გსმენოდა ყვე-ლა ეს, შენც ცრემლად დაიღ-ვრებოდი“ (მ. მღვიმელი).

ცრემლიანი მკვდარი ჰრე. ცრემლი რომ აქვს, ისეთი მკვდარი. სხვ. ვისთვისაც ბევრსა ტირიან, ვისთვისაც ბევრსა სწუხან გასვენების დროს.

ცრემლით ბანა პირისა ჰრე. წყლის მა-ვიგვრად ცრემლების ხმარება პირის საბანად. სხვ. ძლიერად ტირილი და მწუხარება უსაზომო. „არდოტსატირ-დეს, დედანი ცრემლით იბან-დეს პირსაო“ (აქ. შინაძე).

როცა დიდი სამწუხარო ამბავი შეგვემთხვევა, ზოგჯერ ისე გავშრებით, რომ დარღისაგან ერთი ცვარი ცრემ-ლი არ ჩამოგვივარდნება თვალთაგან. მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ავტირ-დებით და იმდენი ცრემლი წამოგვც-ვივა, რომ პირისახე სულ დავვისებულ-დება ცრემლებით ანუ, როგორც ხა-ტოვანად ვიტყვი თხოვრებ. ცრემ-ლით ვიბანთ პირსა ანუ კიდევ — ცრემლად დავიღვრებით. და იმით გა-მომიხატვის ჩვენი უსაზღვრო მწუხარება თუ ნალექი.

ცრემლი მოერია ჰრე. ცრემლი თვა-ლებში გამოაჩნდა წამოსასვლელად. სხვ. სატირლად მოერხადა. „ამის ვამოგონეს თითიას, ამ საწყალს ბე-ბერს, სიტყვა შეეკრა, სიხარულისა-გან გული ამოუჯდა; ეტყობოდა, რომ თვალში ცრემლი მოერია, მაგრამ ცდილობს თვალის შემავრე-ბას“ (ილ. ჭავჭავაძე).

ცრემლის მოშენდა (ვისთვისმე) ახ. ცრემლის შეშრობა.

ცრემლის გადაყრა ჰრე. უცრემლოდ გაჩერება. სხვ. ტირილის შეწყვეტა. ტირილის მოჩინოა. ახ. ცრემლის შეშრობა.

ცრემლის ღვრა ჰრე. ღვარივით დენა ცრემლისა. სხვ. მეტის-მეტე ტირილი.

ცრემლის შეშრობა (ვისთვისმე) ჰრე. ცრემლი არ მოსდიოდეს. სხვ. სატირე-

ლი არა ჰქონდეს, ნუგეში სცეს, გაჭირ-ვებიდან გამოიყვანოს; ულბინოს, უშ-ველოს, დაეხმაროს, გული გაუთქე-თოს, დარღ-ნალექი აღმოჩნდეს. „თქვენც არ მომიკედეთ, რომ ქვრივ-ობლებსა და უბატრონობებს ცრემ-ლი ვერავეინ შეუშროს“ (მე-ლანია). „დაილოცოს ღვთის სამარ-თალი, შენისთანა კაცს არ დაუღვეს ქვეყანაზედ ქვრივ-ობრის და უბატ-რონის ნუგეზად. შენმა სიტყვამ ეხ-ლა იმას ცრემლი მოსწმინდა“ (ილ. ჭავჭავაძე). „კლდის გულში სხვა ვილაც კენესის, წყვილიდნი შემწყ-დეულია. მეტის-მეტეს ვიარამს იმის თვალებზე ცრემლი შეუშვინდა. თუ ბევრი უტირინა და ცრემლი გა-მოჰპლევია“ (ვაჟა-ფშაველა).

ცრემლი ჩამორეცხს ჰრე. ცრემლი ღვარივით ჩამოსდის თვალთაგან. სხვ. მეტის-მეტად ტირის. „ვარ-დისა და არღვენის თერი ყვითელსა ქარვას დაემსგავსა. მწარე სისხლისა ცრემლი შეეთა წამწამთაგან შეხ-მებით ცვარ-ცვარა ჩამორეცხდა და გულხელდაკრეფილი შინ მივიდა“ (თიმოთაძე).

ცუდად გაქედილია (კაცი ვინმე) ჰრე. გამოქედვის დროს ხელია დაკლებუ-ლი. სხვ. მოკუდო კაცია, სიკეთე არ გამოუდის ხელიდან.

ცუდად დება ჰრე. არაკარგად მოთაე-სება რაიმე აღვილზე. სხვ. უბატრო-ნოდ დება, ადვილად მისათვისებელი. „ჩვენ ვავიყოთ საბატრონო, რათგან ასე ცუდათ ძესა“ (ფშაველა).

ცუდ ვარსკვლავზე დაბადებული ახ. კარგ ვარსკვლავზე დაბადე-ბული.

ცუდ თვალზე დანახვა (ვისიმე) ჰრე. კარვის თვლით არ შეხებულა ვისთვის-მე. სხვ. ათვალისწინება, მოუწონებ-ლობა, შეძულება. „დღდა აღარა მყავს, დედინაცვალს ქარივით ვე-ჯავრები... პირველ დღესვე რაღაც ცუდ თვალზე დამინახა, ამი-ჩემა. მწყველიდა, მაგინებდა, მერე ცემაც დამიწყო“ (მ. დომოიძე).

„— ანებე თავი! მხოლოდ ის უღვა თვალთ წინ და ამის გული ამჟამად სხვის ვერ ითვისებდა; შეიძლება ნინო ცუდ თვალზე დაეცნახოს სხვის ემხით მთვრალმა“ (მ. ბარნოვი).

ცუდი დღე ადგას (ვისიმე ან რასიმე) ჰრე. იმისათვის კარგი დღე არ არის



გათენებული. ზვ. უბედურია, უჭირს, უმძიას, უძნელდება, რამე აბრკოლებს, ხელს უცხრავს. — „შენ უთუოდ აღარა ხუმრობ! — სთქვა კოდალამ და მიუახლოვდა ჩიბკეს, შეიხედა იმის საფარში და ნახა; — ოღონდაც ჩიბკეს ცუდი დღე ადგა. — რა ამბავია, ბიჭო, მაგ შენს თავსა, ვინ გაგაფუჭა, ვინ გამოგიმეტა იმ ურჯულთან? (ვაჟა-ფშაველა).“

ცული ვერ გაჰხსნის პრ. ცულს არ შეუძლია შეერთებულთა ერთმანეთს მოშორება. ზვ. მაგარადა შეკრული, შედუღებულია. „ნეტან-ღარეჯანს მოეძღლო (ასმათი), რომე ვერ გაჰხსნის ცულები“ (მ. რუსთაველი).

ითქმის ძალზე მოყვარულ ცულქმარზე.

ცულის ყუა ვამომტყუა პრ. მოტყუებით გამომართეთა ცულის ყუა. ზვ. არ მინდოდა, ისე თავი მაცემინა ცულის ყუით.

ეს დატყუებით თქმა იმ აზრის გამოსახტავად, რომ მცემელი არ იყო ბოროტი, იმას არ-კვი უნდოდა ცემო; ბრალი ცემისა საესტებით ვდება ნაცემს, მისს უხეირობას; იმან გამოიწვია კაცი საცემრადო.

ცქერად გადაიქცა პრ. ცქერის მსგავსად იცა. ზვ. დაშტერებით დაუწყო ყურება. „ღერეფანში მყოფნი ელისაბედს გარს შემოერტყენ; დედაკაცები წამოყუყუნენ, კოტები-ვით წიგრტელეს კისრები და ვადაწყვეს თავები საცრისაკენ, თითო შიგ უხდათ ჩაძერწენო. ასე გასინჯე, დინჯემა ზაოკამაც კი ანება ჩიბუხს თავი და ცქერად გადაიქცა“ (ს. მგალობლიშვილი).

ცხავია პრ. ცხავის მსგავსია. ზვ. მახსოვრობას მოკლებულია, აველაფერი იფიწყდება.

ცხარე მზის ამოხდომა პრ. ძალზე მცხუნვარე მზის ამოსვლა ცხარე. ზვ. ბედნიერება, წარმატება, ხელის მომართვა, ყოველი სიკეთე, გამარჯვება. „ნეტავი მშათა მრავალთა, ცხარე მზე ამოუხდებია“ (ხალხ. შემოქმედება).

ცხარე მზე გულისხმობს მზეს მცხუნვარეს, შუქმფენარეს, ცხოველ-მყოფელს, სითბოს მომნიჭებელს, ე. ი. ყველა ღირსებით შემკულ მზეს. ასეთი მზე დასაბამითვე სასურველი და სანატრელი იყო აღამიანისთვის. იგულისხ-

მება ისიცა, რომ ოჯახში რაც უფრო მეტია ხელგამომავალი წევრი, იმდენად მეტია მზის მზიანობა, ე. ი. სიძველე სითბოსი და სინათლისა, ყოველ ორგანულ არსის არსებობის ამ აუცილებელ პირობისა. მაშასადამე, ოჯახში სანატრელია სიმრავლე მშათა (მამაკაცთა, დედაკაცის საქმიანობასთან შედარებით მნიშვნელოვანი საქმიანობისა), რომელთა გაკეთებული საქმე ხევაიანია. რომელთაც მტერი ვერას დააკლებს და რომელნიც ერთობრივის ძალით ყოველგვარ საბრკოლსა სძლევენ და ცხოვრებაში გამარჯვებულნი და ღელოს გამტანნი გამოვლენ.

ცხარე ცრემლით ტირილი პრ. მწარე ცრემლით ტირილი. ზვ. მეტის-მეტე ცრემლის დვრა, მწარედ ტირილი.

ცხარობს პრ. ძმარბივით ძალღმობს. ზვ. ფიცხობს, ერთბაშად გული მოსდებს; ჯავრობს. ზგლ. რასა ცხარობ, შეკაი კაცო! დამშვიდებით ილაპარაკო, არა სჯობია?!

ცხელ გულზე პრ. გულის სიცხელის დროს. ზვ. აღელვების, წყრომის, გაბრაზების ეამს. „ფუნჯურაშვილი მგრძნობდა-რა თავის შეუთომას, მგრძნობდა-რა, რომ ანგარაშვილი მოტყუვდა, ტურასავით ტყეში იმაღებოდა, ვერ დაენახებოდა ქალის პატრონებს — ცხელ გულზე“, რადგან ცოცხალი არ გადაურჩებოდა“ (ვაჟა-ფშაველა).

ცხელება პრ. სიმხურვალე აქვს ან რაც სიმხურვალეს გამოჰყოფს. ზვ. გამოცოცხლება, სისწრაფე, ზოუნვა, დარდი, ფიქრი. „თქვენი ქალები არ-მიყობას უნდებინაო, თქვენ აღარც შეილებისა გცხელათო, აღარც სამხედრო სამსახურისა და აღარც სამოქალაქოსი“ (რ. ზოსთავი).

ცხელი ღღის დაყენება (ვისთვისმე) პრ. მხურვალე ღღეში ჩაყენება ვისიმე. ზვ. დიდი ვნება, ზარალის მიყენება. „დავემწყვდებო სულთანსა, როგორც მიმინო მწყერსაო, თოფს დავკრავ, ხმალსაც შემოვკრავ-ღღეს და ვაყენებ ცხელსაო“ (დ. ხიხინაშვილი).

ცხელ წყალში ხელის ჩაყოფა პრ. აღდუღებულ წყალში ხელის ამოვლება. ზვ. ფიცი, თავის უდანაშაულობის დამტკიცება.

საშუალო საუკუნეებში როგორც ვეროპასია, ისე ჩვენში, როცა ვისმე



მძიმე დანაშაულს რასმე აბრალებდნენ და კი ვერ უმტკიცებდნენ, მიმართავენ ღვთიურ სამართალს ანუ ორდალიას, ე. ი. ღმერთს, რომელიც, მორწმუნეთა აზრით, ყველასა და ყველაფერსა ხედავდა, რომელმაც ყველაფერი იცოდა და რომლისთვის დაფარული არაფერი იყო ამქვეყნად. ამ ღმერთს მოუწოდებდნენ და შესთხოვდნენ მათი სადავო საქმე გიერჩია და ყველასათვის დაენახებინა: ვისაც ესა თუ ის დანაშაული ბრალდებოდა, მართალი იყო თუ მტყუანი. ღვთის სასჯაგროს წინაშე წამდგარს ბრალდებულს მღულარე წყალში ხელი უნდა ჩაეყო ან გახურებულ რკინისთვის ხელი უნდა მოეკიდნა, და ორსავე შემთხვევაში თუ, სასწაულებრივ, ხელი არ დაეწვებოდა, დამსწრენი იტყობდნენ: მართალი ყოფილა და ღმერთმაც თავისი სიმართლე არ დაუჯარგა და უვნებლად გადაარჩინა დაწვასა. და უკეთუ დაეწვებოდა ხელი ადუღებულ წყალში ჩაყოფით ან გახურებულ რკინის დაქერით, რაც 98% შემთხვევაში მოსალოდნელი იყო, მისი დანაშაული სასჯაროზე იქნებოდა ვამოტანილი, და მართლმსაჯულების მთელს სისასტიკით და შეუბრალებლობით მოკიდებდნენ.

ვახტანგ მეფე, ქართველთა სჯულმდებელი, თავის „კანონებში“ მართლისა და მტყუენის გამოსაცნობად იმსენიებს ღვთიურ სამართლისათვის მიმართვის ხსენებულ წესს.

იტალიელ კათოლიკე მისიონერს, არქანჯელო ლამბერტის, რომელიც XVII საუკუნის პირველ ნახევარში (1633 — 1653), კათოლიკე სარწმუნოების გავრცელების მიზნით, საქართველოში და კერძოდ სამეგრელოში მოღვაწეობდა, აგვიწერს ღვთის სამართალით ანუ ადუღებული წყლის სასუილებით დანაშაულები ჩუენის გამოამჯარაუების წესს. „ამ საგნისათვის, — ამბობს ლამბერტი, — აქვთ (სამეგრელოში) პატარა ქვაბი, რომელიც სივანიერთი მტკაველია და ირგვლივ ორი მტკაველი. იმ ქვაბს ვაახსენებ წყლით და შიგ ჩააგდებენ რკინის პატარა ჯვარს. ქვაბს ქვეშ შეუთებენ ცეცხლს. ცეცხლი უნდა დაითოს ვახსავან, რომელიც უნდა მოსძებნოს და თავისს ზურგით ადგილზე მოიტანოს თვით ბრალდებულმა. წყალი კარგად რომ

ადუღდება, ბრალდებულმა შიშველი ხელი შიგ უნდა ჩაჰყოს და ძირიდან ჯვარი ანოიღოს. ბრალდებული ქვაბიდან ხელს ამოიღებს თუ არა, მოხელენი ამ ხელს ტილოს ტომარაში ჩაუდებენ იდაყვამდის. იდაყვიდან ტომარას თავს შეუკრავენ და დაბეჭდავენ. სამ დღეს შემდეგ ბრალდებულს მიიყვანენ მთავრის წინაშე, გაუხსნიან ხელს, კარგად გაუსინჯავენ და თუ ხელზე სრულიად არ ატყუია, რომ მღულარისაგან დამწვარიო, მაშინათვე უდნაშაულოდ აღიარებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, უკეთუ ხელი დამწვარი აღმოჩნდებოდა, ბრალდებულს დამნაშავედ აღიარებენ და ვითარცა ავაზაკს, სასჯელს დაუნაშავენ და არავითარ გასამართლებელს საბუთს აღარ მიიღებენ“.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ქვაბს ეკლესიაში იხსაივდნენ და იქვე უნდა გაეგოთ ხოლმე ბრალდებულის დამნაშავეობა თუ სიმართლე, ამიტომაც, რომ დღეს ჩვენამდე მოღწეული თქმა ამნაირ სამართლის შესახებ ასეთია: „ეკლესიაში წყალ და ცხელ წყალში ხელს ჩაეყოფო“.

ღვთიური სამართლის საშუალებით დამნაშავის აღმოჩენას ჩვენში ცდილობდნენ აგრეთვე ძლიერ ხატზე გადაცემით, ძლიერ ხატთან დაფიცებით, დაწყევლით და სხვ.

ცხენიანი კაცის დაბლა ჩამოღება პრ. ცხენზე მჯდომს ცხენიდან მოხსნის და ძირს დასცემს. ზ.ჯ. ლონიერი, მარჯვეა. „რა ხასიათის პატრონი არიან ფორეს დედ-მამა, ნამეტნავად იმისი დედა სალომე. თუ ვაადრად, ცხენიან კაცს დაბლა ჩამოიღებს“ (ფნ. მენაუშვილი).

ცხენი გაქვნილება (შიგ) (იხი დიღია) პრ. შიგ ცხენის გაქვნიება შეიძლება. ზ.ჯ. ძალიან დიღია (იოქმის ოთახზე).

ცხენი ოფლში დაბანილი პრ. ოფლით ნაბანები ცხენი. ზ.ჯ. ძალზე ოფლიანი, ოფლი ღვარად რომ ჩამოსდიოდეს. „ცხენზეთქით მოკვიდნენ გუშინამ, სრულ ოფლში იყო იმითი ცხენები დაბანილები“ (ფაფაშვილი).

ცხენის კუდი თრევიება პრ. ცხენს კუდზე გამოაბას და ისე ათრევიოს. ზ.ჯ. სტანჯოს უზომოდ, უდიდესის სასჯელით. „ის (ყენი) რომ მოჰკლა, მისი კოლშვილიც ცხენსა კუდიით ათრევიანა, საცა მისი მომხრე

იყო, თავები დააყრევინა. (ილ. ჰავაძე). „ღამნაწავე ვარ, უბრძანეთ, მაშვლან, მე ცხენის კუღზედ გამოსაბმელი“ (ავაი). „ხელაკი ნახა, ხათანგში მოჰყვა და სხვა გზა აღარ ჰქონდა, უნდა ეხსენებინა იგი: იცოდა, მბრძანებელის ამ სიყუჩეს ანაზღა ღელვა მოჰყვებოდა მძლავრი. შეიძლებოდა, ცხენის ძუაზე აემათ კაღნიერი და დაეჩღე-ჩინებინათ“ (ვ. ბარნოვი).

ძველად ერთი სახე სასჯელისა, ვანსაკუთრებით ქალებისა, ასეთი იყო: ბედაურს ცხენს მაგრად გამოაბამდნენ კუღზე (ძუაზე) და მანამ ათრევიებდნენ, სანამ დასასჯელი ძეგლი და რბილი არ გაუერთდებოდა.

ცხენხეთით სიარული ჰრდ. ცხენი რომ სკედობდეს ჰენებით. ზვ. მტრად ჩქარა, შეუსვენებელივ. „ერთმა პირქუშმა ვაჟაკმა ცხენხეთით ჩამოიარა. ხელი გამიჭრა გუთანსა, ზღვის ვალმა გამისრიალა“ (ვაჟა-ფშაველა). „ცხენხეთით მოცვივდნენ გუშინადა, სრულ ოფელ იყო იმათი ცხენები დაბანილები“ (ვაჟა-ფშაველა).

ცხვარი ჰრდ. წვრილფეხა რქოსანი. ზვ. უწყინარი, უნებისყოფა. აღვილად დასამორჩილებელი; ტბილი გულის კაცი. „მითამ კი არა, იღვევანდელი მზის შუქის მადღმა-მეთქი... ჰო, იმას ვამბობდი, რომ ავი კაციც მაქვს რამ არის; შენ ხარ ჩემი ბატონი, იმითანა საქმეს დაემართებს, რომ თავბედი გაწყველინოს, კუდამდი ტყავს აგართმევს... სოფელი — ცხვარია, ვინც ხმას ამოიღებს — აყუიია“ (ს. მგალობლიშვილი).

ცხვარი ჰყავს ფეხზე გამომბული ჰრდ. ფეხზე მომბული ჰყავს ცხვარი. ზვ. ბებერი, საცაა მოკვდება მალე. მისი ქულები გაიშართება. ზვ. იმას რას უყურებ! ვერა ჰხედავ, ბებერია, ცხვარი ჰყავს ფეხზე გამომბული..

აღმოსავლეთ საქართველოში, სადა-ურიცაა ეს თქმა, ვინმე რომ მოკვდებოდა, ქელვს უმართავდნენ, იქვლოდა საქონელი და განსაკუთრებით ცხვარი. ასეთი ცხვრის დაჯვლა და ქულების ჰამა მოსალოდნელი იყო მამის, როცა კაცი ბებერი იყო და, როგორც ამბობდნენ ხოლმე, წინ ორი პარასკევი

არ ელო, საცაა — თავი უნდა დაეკრა სააქაო ცხოვრებისათვის.

ცხვიარწული ჰრდ. ვისაც ცხვირი ზევით უჭირავს. ზვ. გაამაყებული, უკადრისი, თავმომწონე, არაფრად ჩამგდები სხვისა. იხ. ცხვირის მალლა აწევა.

ცხვირზე დაქდვა ჰრდ. ცხვირზე ჰდეს გაკეთება. ზვ. დახსომება. „ერთხელ და სამუდამოდ დაიქდიეთ ცხვირზე, ჩვენო მოლიბერალო ამხანაგებო, რომ, რაც უფრო შეგანებულად იბრძვის პროლეტარიატი, მით უფრო კონტრევილუციონერობს ბურჟუაზია“ (ი. სტალინი).

ძველად, როცა რისამე დახსომება უნდობდა, წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი მჭრელი იარაღთ რაზედმე (უფრო პატარა ჯოხზე) ჰდეს ამოგდებდა და ამით იხსომებდა, თუ ამა თუ იმ დროს განვლის შემდეგ, რა უნდა გაეკეთებინათ თავისთვის თუ სხვისთვის. იხ. ჰდენ უნდობის ამოგდება.

ცხვირზე კევი დაიღე! ჰრდ. ცხვირზე კევის ნაჭერი დაიკარ. ზვ. დახსომე, არ დაგავიწყდეს, მარად იგონებდე. იხ. გულზე დაიქდი, კედელს ნახშირი!

ძველად რისამე დახსომებლად კევის პატარა სორსოლს ცხვირზე დაიკარავდნენ და რაკი ამ კევის ნიდავ უყურებდნენ, ისიც, რაც არ უნდა დავიწყებინათ, მარად აგონდებოდათ. მარად თვალწინ ედგათ.

ცხვირზე აცილება იხ. ცხვირზე ვით აცილება.

ცხვირვეთ აცილება ჰრდ. პირის მაგიერ (საქმელი თუ სასმელი) ცხვირის ზემოდა მოხვედის. ზვ. მოშორება, ირიდება თავისა. „ესეც-იი შესაძლოა. იქნება, იმის ჰედმალლობის ამბავი რომ ვიცო, მე და ჩემი წერილი ცხვირზე ვით აცილებინოს, ვითომდა არა გვეადრულობს, თავს არ გვიყადრებს“ (ილ. ჰავაძე). „ჰამის დროსაც არჩეიანში არ შედიოდა, ლორივით რასაც ვაწეოდა, შასპანდა: მძოვრს, მწერს, ხელიკს, გველს და სხვ. ცხვირს ზევით არ აცილებდა“ (ვაჟა-ფშაველა). იხ. ავ ცხვირს დაგცემდა აი! „იგინივე, რომელნიც მოცარტისა და ბეთხოვენის მუსიკით აღტაცებულნი მოდიან, იგინივე ცხვირზე ვით აცილებენ ხოლმე ჩვენს სიმღე-



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

რასა, ჩვენს წესიკასა, მაშინ როდესაც ჩვენ ალტაელებში მოვდივართ". (ილ. შავჭავჭავაძე). ის. პირს უქან წაიღებს.

ცხვირიდან ძმარი აღნა ჰრღ. ცხვირიდან ძმარი წ. მოუვიდა. სჯვ. საშინლად სცემს, თითქო ცხვირიდან სისსლი ეღინებინოს. „ასე იცის განგებ აკვირებულმა აზრმა, უფიცობაზედ შემჯდარი: ვინდა თუ არა, მსურს ვადალახოს ყოველივე და ამისათვის კარგსაც ცხვირში ძმრად გვადენს, მერე ისე, რომ ტყუილს ყველგან კული ვარედგან რჩება“ (ილ. შავჭავჭავაძე). „და ახლა იქამდისაც წათამამდა, რომ თავისი ტოლად და ამხანაგად მთელის! ჩემს დასიძევებას ნდობულობს! კარგია თქვენია მზეში! კი ვადალდა ამავისა! ავ ცხვირს კი არ დაგვეს! მაგრამ თუ ცხვირიდან ძმარი ვერ წაგადინო იმისთანა შეურაცხყოფისათვის, მაშ მე ყაზარ ყარამანიჩი აღარა ვყოფილვარ!“ (მელაია). „ასე იტყვიან: ეგ მუდრეგი, ტყავს რაზე იბრობს, რას იკლავს თავსა, თუ კი უხვირო ჰყავს (შვილი), ცხვირიდან მაინც არ აღდენს ძმარსაჲ“ (ვენ. მუთუშვილი). „რა ეს მესმა, ჯგერით ცხვირსა წამედინა ძმარი“ (დ. ვარაზიშვილი).

ცხვირით წყალს არ დავლევ ჰრღ. ცხვირს არ გავიხდდი წყალს დასალევ ჭურჭლად. სჯვ. თავს არ შევირცხვენ, არ გავაეუთებ იმას, რაც სხვის არ გაუკეთებია. სხვის დასაციინოს, ჩვენის უხერხულ მდგომარეობის მიერ გამოწვეულს, ხომ ნულარ იკითხაეთ!..

წყლის დასალევ ორგანოდ პირი გვაქვს. ცხვირით რომ მოვიდნოდით წყლის დალევა, უზომოდ გაჭირებული უნდა ვიყოთ, მერე ისიც საკითხავია — შეესაღებთ ამას, თუ არა, სირცხვილს და სხვის დაციინებს, ჩვენის უხერხულ მდგომარეობის მიერ გამოწვეულს, ხომ ნულარ იკითხაეთ!..

ეს თქმა დარჩენილია ლეჩხუმში და დღესაც იქ იხმარება.

ცხვირით ხვნა მიწა ჰრღ. პირდაღმა გორაობა მიწაზე ვისმე თითქო ცხვირი ჩაუსვია მიწაში და ხნავსო. სჯვ. დიდი ვაჭირება. წვლებმა, გაჭირებული ყოფა. „გაღმგათრიო სტოლიდან, ცხვირით გახვენვირო მიწა“ (კ. უშიაშვილი).

ეს მდგომარეობა ხატოვანად წარმოადგენილია, ვითომ აღამიანის ცხვირი, სახსისს მისგდავსებული, მიწის ეღებოდეს და ხნავდეს. ხამდელიად კი ნინხანეს ძირს დაცემულის დამარცხებას, ჯობნას, უმწყო ყოფნას, ვაჭირებას, მოწინააღმდეგის სრულს განკარგულებაში ჩაეარნდას.

ცხვირის აკვრა ჰრღ. ცხვირის უცხად აწვევა ზევით. სჯვ. დაცინვა, უსიამოვნების გამოხატვა, ვისივე საქციელის დაწუნება.

როცა რაიე არ მოგვეწონება, საზიზღარს რასმე რომ ცხვდაეთ, უცხად ცხვირს მალა აწვევთ ხოლმე და ამით გამოვტყვამთ: დასაწუნია, რასაცა ვხვდაეთ. ჩვენი სიფერი არ არისო!

ცხვირის აღწევა ჰრღ. ცხვირის მალა აწვევა. სჯვ. სიამაყე, თავის გამოღება.

ცხვირის ხაცხვირის ნულარა მშშია, თუ... ჰრღ. ცხვირი თავის აღაგის ნულარ მების, თუ ასე არა ექენი. სჯვ. დაქადება, შევრცხვე, ლაფი დაბეხის თავზე, თუ შეგაჩინო! „მაშ ეს გვირისეული ნულარ ყოფილა, მაშ ეს ცხვირი საცხვირეს ნულარა მშშია, თუ მე შენსას გააგავანინებ...“ (ს. მგალობლიშვილი). ის. ცხვირის მოჭრა.

ცხვირის (მელა) აწვევა ჰრღ. ცხვირის ზევით დაქერა. სჯვ. გაამაყება. გაუკადრისება. თავის მოწონება. „თუ ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ისეთი სანდოა, რომ მსოფლიო ისტორიაში არსებულ აზრს დარწმუნდის ანუნებამზე მოქმეინებს ეტრონი, მაშ რაღად აუქმენინებს ამქრის წარმომადგენლებმა ცხვირი ზევით აწვევით, თითქო რაღაც უღირსი რამ. ელად კომისიისაგან, შეითბხნილი და ისიც в ярмянской переплке“ (ილ. შავჭავჭავაძე) „უცელა თესლისა და ხარისხის კაცმა პატივი სცა საქართველოს სახელგონ მეთის (ერეკლე) სახელს (1898 წ.) და მართო ჯ. თუმანოვის ამქრის წარმომადგენლებმა ცხვირი ზევით აიწვიეს. აინუნდაც არ გაიტარეს“ (ილ. შავჭავჭავაძე).

ცხვირის გახვრება (ვისთვისმე) ჰრღ. ცხვირზე ხახვრეტების გაკეთება. სჯვ. დამნათება, საყვედურებით ავსება, აწვერება. „გლახა გაიმჯჯავრა იმ მამულის სანახავად იმ იმედით, რომ ახლი მაინც მოისვენებდა ამდენს ცხვირის გახვრეტას თავ-

ვიდგან აიცილენდა“ (ფან. მენტეშაშვილი).
„ეს ჩემი ძმისწული ცხვირის გა-
მიხვრეტა და საყვედუროთა“ (ან-
ტონოვი).

ცხვირის მოჭრა პრე. მკრელი იარაღით
ცხვირის მოკვეთა პირისახისაგან.
ზვ. დასჯა, საჯაროდ შერცხვენა,
სახელის ვატება. — ძიების დრო
ალარ არის. თავი გაავადნიეთ მო-
ლაღატეს.

- გვარულობა აგვესევა.
- იქნებ სხვა ვინმე ბააკა იყო.
- თუ ის გამოდგეს, ცხვირი მო-
ეჭრას, როგორც ოჯახის მოლაღ-
ტე დიაცს!“ (ფ. ბარნოვი). „მას აქე-
თთა, მე დედაკაცს ალარ ვენდობი,
როგორც ემშობს არ ენდობა კაცი.
მე იმისად არც არა ცხვირ მომი-
ჭრავ“ (ფან. ფშაველა). „ჰმ, არც იმი-
საგან იქნება ხერი, თორემ ეს დღე
ნიშანი იყოს, ეს ცხვირი მო-
ჭერთ, თუ ხერი იქნება რამე“
(ს. მგალობლიშვილი). „ახლა დედა-ჩემ
იტირებს, ვაჰმე, მომჭრაიან
ცხვირსაო!“ (ფ. ხიზანიშვილი). „იმას
(ცოლს) ცხვირი მოეჭერ და იმისი
კურო კი დავიმთავრე. — მამა-პაპის
ჩვეულება ვგ იყო ჩვენი“ (ფან-
ფშაველა).

ძველად საქართველოში ქმრის მიერ
ცხვირის მოჭრა ერთგვარი სასჯელი
იყო ცოლქოლვის წესის დასრულებ
ცოლისთვის. „სამეგრელოს აღწერის“
ავტორს, არქანჯელო ლამბერტის აღ-
ნიშნული აქვს ცხვირის მოჭრის სასჯე-
ლი იმათთვის, ვინც სასახლის ქალთან
იქონიებდა სქესობრივ კავშირს. ასეთ
შემთხვევაში ქალ-ვაჟს ორსავე მოსჭ-
რიდნენ ცხვირს და აიძულებდნენ კი-
დეცა ერთმანეთი შერთოთ. ეს სასჯე-
ლი უფრო ზნეობრივი შერცხვენა იყო,
ვიღრე ფიზიკური ტანჯვა-წყალება,
რადგან ცხვირი პირისახის თელსაჩინო
ნაწილია და უიმისობა პირისახეს სა-
შინლად ამახინჯებს. ფშაველესურთში
ამ სასჯელით დასჯას მოლაღატე ცო-
ლების მიმართ თავმოყვარობამეღა-
ხული ქმრები მიჰმართავენდნენ.

თანამედროვე ლაბარაკში ხშირად
გვეხვებით ასეთი თქმა: შეგიტ ცხვეს
ცხვირიო! ასეთ თქმასა ემხარობთ
მაშინ, როცა ვისაც მიემართავთ, თა-
ვის მოკმედებით ცხვირის შერცხვენის
(რაც დიდ შერცხვენას უდრის) ღირ-

სია, როგორც ცხვირმოჭრილს ან
შერცხვენის თავი არ გამოეყოფა
ხალსში, ისე იმას. უნამუსოა, უსინი-
დისო, უღმობელ, პოროტ კაცზე იტყ-
ვიან: უცხვირპირო კაციაო.

დ. ბაქრაძისა და ნიკ. ბერძენიშვი-
ლის რუსულად გამოცემულ „ტფილი-
სის აღწერა“-ში შემდეგსავეკითხულობთ:
„ქალაქში თუ რომელსაზე ქალს ქმრის
ლაღატი, ან საერთოდ უშიწოების
დარღვევა, ბრალდებოდა, დაიჭერდნენ,
ცხვირს მოსჭრიდნენ, ვირზე
შესვამდნენ პირუჭულმა და ქუჩა-ქუჩა
აბრალებდნენ, ყოველ სახლთან ელოდე-
ბოდნენ, ნიჩბით ლაფს ახამდნენ და
ყოველს სიბინძურეს ესროდნენ“.

ცხვირის ჩამოშვება პრე. ცხვირის ძირს
დახრა. ზვ. დაფიქრება, დაღონება,
უიმედოდ დარჩენა, დამძარება.
„ოჯახი გამოფიტული აქვს ჩემო მა-
რინე (პავლეს); მაგრამ თვითონ კი
კაი ბიჭია ი დალოცვილი. მე ისე
შემიყვარდა, რომ უიმისოდ ვერ
გამიშლია და აბა მარო, ვინ იცის
გაგეფეხულა. არ ატყობ, აღამიანო?
იგერ ორი კვირაა, სულ ცხვირ ჩა-
მოშვებულა და წამდაუწუმ
სტირის (ფ. ვახაშვილი). „რა აქვს მე-
უფის სახლში დასალონებელი, რომ
ცხვირი ჩამოშვება? ან როდის
ბრძანა ყოვლადკეთილმა, ჩემს კარს
ნუ იმხიარულებთო?“ (ფ. ბარნოვი).
„ახლა სად ვიშოვო მე ოცი თუმანი? —
უთხრა — ცხვირპირჩამოშვე-
ბულმა და დალონებულმა ღუარ-
საბმა“ (ილ. პავაია).

ტირისისა და საერთოდ დაღონე-
ბის დროს აღამიანის სახე ძირს და-
იხრება, ცხვირიც თითქო დაგრძელ-
დაო, ძირსჩამოშვებულის შთაბეჭდილე-
ბასა სტოვებს ხოლმე.

ცხვირის წაყოფინება პრე. ძირს პირქვე
დინარცხება მოწინააღმდეგისა. ზვ. ზ-
მტრის მიერ ძლიერ მოწინააღმდეგე-
სი. „არ იყოლო, რომ ცხვირს
სადმე წაგაყოფინებდა?“
(შ. არაგვისპიოელი).

ცხვირის წაყოფინება გულისხმობს
ერთის მოწინააღმდეგის მიერ მეორეს
ძლიერს და ძირს დინარცხებას ისე,
რომ ამ უკანასკნელს არ შეეძლოს წე-
ლის აღება, პირქვე ემხოს, ცხვირპირი
მიწაში ჰქონდეს წაყოფილი ანუ. რო-
გორც ჩვენი ხალხი ხატოვანად ამბობს
ხოლმე, ცხვირით მიწასა ხნავდეს.



ასეთ მღვდომარეობაში მყოფს სხვა გზა არა აქვს, თავისი თავი ძლეულად უნდა აღიაროს. ამას შემდეგ ძლეული მძღვეისაგან უნდა მოელოდეს უარსს, თუ ამ უკანასკნელმა სულ-გრძელობა არ გამოიჩინა და ძირსგართხმულს, იარაღაყრილს არ აკმარა სირცხვილი და არ მოინდომა მისი ფეხზე წამოყენება.

ცხვირმოუხოცველი ჰრდ. ვისაც ცხვირის მოხოცვა არ შეუძლია, ან ვინც არ იცის ცხვირის მოწმენდა. ზვ. ვინც უბრალო რამე არ იცის, უწნო, უგერგილო, გლახაკი, საპყარი, ვისაც ხელიდან არაფერი გამოუვა. მკლ. იმისთანა ცხვირმოუხოცელს, ნეტავი ვივლდ, ცოლი რათ უნდა?!

ცხვირ-ძირი ჩამოსტირის ის. თავ-პირი ჩამოსტირის.

ცხვირპირის ჩამოშვება ის. ცხვირის ჩამოშვება.

ცხვირპირს მაქამენ ჰრდ. ცხვირპირი უნდა მომიშორონ კბილებით სახისაგან. ზვ. თავს მამუზებენ მთხოვნელები თუ მყიდველები, არ მასვენებენ. ის, კარების ატალახიანება გისტვისმე.

ცხვირპირჩამოშვებული ჰრდ. ვისაც ცხვირი და პირი ძირს აქვს დახრილი. ზვ. დაღონებული, დამმარბული, უიმედოთშთენილი. ის, ცხვირის ჩამოშვება.

ცხვირში ამოკვრა ჰრდ. ცხვირში ქვევიდან ზევითკენ მირტყმა ხელისა. ზვ. დაყვედრება, დანაწება, შეტუქსვა. „ბოლოს, ცხვირში ამოკვრა აქვს, რომ ასე წინდაუხედავად შეესვამთ ხოლმე საზოგადო მძიმე საქმეს ერთმანეთის მტრობისა და შურის საქანელაზედ“ (ილ. ბავშვაძე). როცა ვინმე გაუფრთხილებლად, წინდაუხედავად მოიტყუა და დამავებს რასიმე, ზოგჯერ ცხვირში ამოკვრადენ ხელსა დამნაშავეს, რომ ატყინონ, ამით თითქო ეუბნებიან: თვალები ასე ახლო გაქვს ამ ცხვირთან და როგორ ვერ დაინახე — ცუდად იქცეოდი! ახი იქნება — ცხვირიდან ძმარი გადინოვო! გადატანითად „ცხვირში ამოკვრა“. როგორც ნაკლების ფიზიკურის სიმწარის მიყენება, გადატყუულია ყვედრების, შეტუქსის სინონიმი.

ცხვირში ღვომა ვისთანმე ჰრდ. ცხვირ-წინ გაჩერება. ზვ. პირდაპირ გაჩე-

რება ვისთანმე, ახლოს ყოფნა. „მე და შამილა ცხვირში ვუდგე-ვართ ერთმანეთსა“ (გრ. თხზულება).

ცხვირში მოხვედრება ჰრდ. ცხვირში დარტყმა ხელთ ან რითიმე. ზვ. შეურაცხყოფა, გალანძღვა, შერცხვენი, დამცირება, ლაფის დასხმა. „სალიკვისნ ძალიან მოახვედრეს ცხვირში“ (გრ. თხზულება). ის, ცხვირში ამოკვრა.

ცხვირ წინ ჰრდ. ცხვირთან მიკრული. ზვ. იქავე, სულ ახლოს. „სხვა, მართალი მვისტორიე, სიხარულით ფეხზე არ დადგებოდა, რომ ამისთანა სარკე წარსულისა ხელთა ჰქონდა და ესე ცხვირ წინ, და ჩვენი ავტორი კი გაიძახის — მისაღების სიღარიბემე გამოკვია“ (ილ. ბავშვაძე). „რჯულის გულისათვის (ქართველი ხალხი) ჯალათს უშვერდენ ქედს, კოცონზე იწვებოდნენ და ლღეს, ხომ ვიცით კარგად, თვითონ კაცი რომ მოკლა, ცოლშვილი გაუწყვიტო ცხვირ წინ, ხმას არ ამოიღებს, განაღმე სჯულის გულისათვის შემოვაკლას თავი!“ (ვაჟა-ფშაველა). „ჯაბრულა სოფ. ფლატიანიდან არის, ამ სოფელს ცხვირწინ რომ ქალაქი უღვეს, ზურგზე ტყე აკრავს, რომელიც უხარმაზარ მთას ისღვეს ქორამდინ“ (ვ. ბარნოვი).

ცხვირის ტყავში შეხვეული (მგელი) ჰრდ. ცხვირის ტყავმოსხმული. ზვ. მატყუარა, ბოროტი კეთილად მოწვევების რომ ეღიბობს. „სიფრთხილე იყო საპირო, ნიღაბათარებული უნდა დაახლოვებულიყო ქალს, ცხვირის ტყავში შეხვეული უნდა შეჰპარვიყო კრავს“ (ვ. ბარნოვი).

ცხოვრების ზღვა ჰრდ. სიციცხლის დიდი სივრცე წყლისა. ზვ. ცხოვრების სხვადასხვა მხარე; როგორც გაკირება, ისე დაღბანება, თვით ცხოვრება. „იმ სურათს მიეზიანა მისი არსება, როგორც ანდამატს ძლიერს და ეს იყო მიზეზი, რომ მიხა სავსებით არ ცხოვრობდა აწმყოთი, იგი ვერ შეცურებულყო ცხოვრების ზღვაში, ვერ შეპროვოა მის ტალღებს და სოფლის გარე გაიყურებოდა“ (ვ. ბარნოვი).

ცხოვრების კალხს ვალეწვა ჰრდ. ცხოვრების მარცვლის მოშორება თავთავისაგან. ზვ. ცხოვრების გაკირება-



დალხინების განცდა, გამოვლა. აბერჯელ შერთავს ხნიერს — ახალგაზრდა, ცხოვრების კალთა ქი ერთად გაუღლესიათ. ისტორი-ამიცი არის ამისი მაგალითები და ზღაპრებშიაც — მსჯელობდა როს-ტომი“ (ვ. ბარნოვი).

ცხოვრების სიმძიმე ჰრე. არსიმსუბუქე ცხოვრებისა. ზვ. გაჭირება, მძიმე პირობები. — ეჭა, დაძრულა სვი-მონ თავის ადგილიდან. როგორ მოხ-რილი მოდის! წელში გაუტეხია ცხოვრების სიმძიმეს“ (ვ. ბარ-ნოვი).

ცხოვრების უღელი ჰრე. ვასაწვევი უღე-ლი ცხოვრებისა. ზვ. ცხოვრების გაჭირება. — მუშაობდნენ ყოველ წამს, საყვედური და გმობა არ გა-იგონია მათგან არასოდეს. შუწყო-ბილად სწევდნენ ცხოვრების უღელს, თანამობით“ (ვ. ბარნოვი).

„მთვა დრო, ცხოვრების უღე-ლი დაგზრისთ მიწისკენ და დაგზანახ-ვებთ ზრუნვებით სავეს სინამდვილეს“ (ვ. ბარნოვი). ყველამ იქაური ქუდი უნდა დაიხუროს, საცა შეეხიზნება, იქაური კიოი და ლხინი გაისიაროს, იქაურებთან ერთად ჩაება ცხოვ-რების მძიმე უღელში და სვერ-თო კეილისათვის იღვაწოს“ (ილ. პაპუაძე).

ცხოვრების შულო ამოვახვეე ჰრე. ცხოვრების ძაღის კონა ამოვიღე. ზვ. ჩემი ცხოვრება გამიტარებია, ჩემი ცხოვრება გაეთათვე, ცხოვრება-ში მწარეც ბევრი მივემნია და ტკბი-ლიცა. — მე ამ ქვეყნისა არა ვარ, ცხოვრების შულო ამოვახ-ვეიე! რივიან ადვილას დამმარხე და ამ პატარებს ასწავლე ჩემი სამარე“ (მ. ზულთაშვილი).

შულო გრძობად დახეული ძაღია, რომელსაც ამოახვევენ ხოლმე მოხარ-შული პარკისაგან.

ცხოვრების ცუდად დაღამება ჰრე. ცხოვრების ღღის მიწურვი. ზვ. უშ-ნოდ გატარება ცხოვრებისა, ოდეს ვერ ისარგებლო ცხოვრების მონა-ცემითა. — აჲ ჩემი საქმეცა მით მიემს-გავებია. ჩემსა ცხოვრებისა ცუდად ვაღამებ. როგერ მეტად ვეუბნები და შენ ჩემსა არ ისმენ და მე ზიანა მხედება“ (ქილილა და დამანა).

ცხოვრების ქაპანის გაწვევა ჰრე. ცხოვ-რების თოკი თასმებისაგან დაგრეხი-

ლი, ზვ. ცხოვრების მძიმე პირობე-ბი, თვით ცხოვრება და მასთან ბრძოლა, — მამა ძმასთან ვერ მოთაე-სებულა, რა საქნელია, როგორ უნდა იცხოვრონ და გასწიონ ცხოვ-რების ქაპანი?“. (ს. მგალობლი-შვილი).

ქაპანი — თოკია, თასმებისაგან დაგ-რეხილი, განსაკუთრებულის სინაგრისა. სასოფლო მეურნეობაში უმთავრესად იხმარება ცხრა უღელ ხარ-კამერ შემ-მულ გუთნის გასაწევად. ხენის დროს დიდი ძალი ადგას და ამიტომაც, რომ ცხოვრებასა და მძიმე პირობებთან ბრძოლა დადარებულია გუთნის ქაპანის გაწვევისთან.

ცხოვრება ჰრე. ხსნა ცოდვებისაგან, სა-სუფიველში ყოფნა, საუკუნო ბედ-ნიერება. ზვ. ბედნიერება, კარგად ყოფნა, დიდ ხანს სიცოცხლე, კე-თილდღობა, სვიანობა. — „ახლა ერთი ლუქმა თათრული ლევაშისა რა ცხოვება იქნებოდა!.. მერე რანაირი მშნია!..“ (ჯეორგი). „ჩვენებუ-რი გლეხკაცობა, რომელიც სუბიე-ტებს მამულებს და რომელსაც სა-ხელმწიფო მამულების იჯაოით ალბა ცხოვერებასავით ენატრება, ვე-რასჯთო ვერ აისრულებს მავ ნატუ-რას“ (ილ. პაპუაძე).

ცხოვრება ანუ საიქიოში სასუფივე-ლის დამკვიდრება, მორწმუნე ხალხის აზრით, საუკუნო ნეტარება იყო სუ-ლისათვის, ყველაზე მეტად სანატრელი და საოცნებო.

ცხრა ჰრე. რიცხვი. ზვ. მრავალი, ნაირ-ნაირი. — გეკრუვო, ღმერთმან მიწა მქნას, ნუშცა ცხრითავე ვხი ცითა“ (მ. რუსთაველი). „უბრძანა ცხრათა ხაღუმთა დადგომა მცვე-ლად კარისად“ (მ. რუსთაველი). „მე-ფემ (საქართველოსამ) მოსაკითხიცი მიართო ყენის. ზღვენი სიმდიდრით ვერ ეღარებოდა შაპრობისაგან მოძ-ლენილ მოსაკითხს, მაგრამ სჯობდა იმასა: ერთი ცხრა შევეალი აახლა შაჰს, მთებიდან ვერცხლით გამოყ-ვანილი“ (ვ. ბარნოვი).

პირველყოფილი ხალხის თვლა განი-საზღვრება ზოგჯერ ოთხით, ზოგჯერ ხუთით, ბუთს იქით — ბევრია.

ქართველთა სულ ზოგიელ წინაპ-რებს, უნდა ვიფიქროთ, ცხრამდე შე-ელოთ თვლა და თვით ცხრა — უკვე ბევრის, მრავლის, მრავალფერის აღი-



ნიშნულ ცნებად მიიჩნევათ. ქართულში ამის სამოწმებელ მრავალ ძაგალითის მოტანა შეგვიძლია. დავიწყეთ ზემოთ-მამოწმებ მაგალითიდან. „უბრძანა ცხრათა ხალხით...“ აქ ცხრა იმ მნიშვნელობით კი არ არის, ვითომც კარის მცველად მხოლოდ ცხრა მოახლე მიეყენებინოსთ, არამედ — ცხრა გამოჰხატავს ცხრავე მეტს, სიმრავლეს.

თანამედროვეთა უბნობაში ცხრა ძალიან ხშირად იხმარება, როცა გვინდა გამოვხატოთ სიმრავლე, მრავალფერობა. მაგ. ცხრათვალა მზე — მეტად მცხუნვარე მზე, ცხრათავი სატკეპარი — სხვადსხვა სატკეპარი ერთად; არმინდამ ცხრა ხინკალი შესჰამაო (ანდაზა) — ვინც იძახდა — არ მინდა, არ მინდაო, ბევრი ხინკალი შესჰამაო; როცა ბები მწყობრადაო, ცხრა ღიკვანი მყვარობდაო (უთქვამს მღვდლის ცოლს), როცა ბები არ მწყობრდა, არცერთი არ მყვარობდაო (ანდაზა); მღვდელმა ცხრა სუფრა გამოიარა, შინ მშვიერი მოვიდაო (ანდაზა), ე. ი. უზომოდ სჰამა, მიიცი — შიოდაო; ჭკუიანმა ბატკანმა ცხრა ძუძუ მოსწოვა და უგუნურმა არცერთი (ანდაზა) დასხ. დასხ.

ცხრად მოკეცილი ჰრ. ცხრა ადგილის მოღუნული. ზვ. წელში ძალზე მოხრილი, მოკუნული, საცოდავი. *ცხრად არის მოკეცილი (ღიკვანი), ლამის ქამარი დაეკარგოს*. (მლანია). ახ. ცხრა.

სიცივისა თუ შიმშილის გავლენით ძალზე ვიბუხებით ხოლმე, წელში ვართ საშინლად მოხრილი, ვიკაკვებით და ნაყურებულზე ისეთ შთაბეჭდილებას ვესტკეობთ, თითქო ჩვენი სხეული ბევრს ალავს იყოს მოღუნული ანუ, როგორც ამ შემთხვევაში ხატოვანად ამბობს ხოლმე ჩვენი ხალხი, ცხრად ვართ მოკეცილი...

ცხრა დღა საუფლზე ჰრ. იმოდენა მანძილზე, რამდენსაც ცხრა დღეში გაივლის კაცი ფეხით. ზვ. ნეტად შორი გზა. „ყველა სოფელს გვაქვს საყლარი, იქ აღორავინ შევდივართ, და მკითხვების სიტყვით-კი ცხრა დღის საეალზე დავრბივართ“ (დ. მახანელი).

ცხრა ენა გამოიბა ჰრ. პირში ერთის მეტიერ ცხრა ენა გაუჩნდა. ზვ. აყბედირ, ხუთასი რამ გაუჩნდა სალა-

პარაკოდ, ვინ იცის, რას არ მიედმოედება. ზვ. რაკი ერთი დაიწყო მოშლილი წისკვილივით ლაპარაკი, კაცი ვერ გააჩერებს! რა საჭიროა, ცხრა ენა გამოიბა სწორედ!..

ეს თქმა უდრის „ცხრა ფეხი გამოიბას“-ს. როგორც ცხრადეხიბა კაცს ვერ დააფენებს კაცი, ისე ცხრაენიანს ვერ გააჩერებ, არ მოილდება ლაპარაკით, გლახა ჭრიაშვილივით რომ გააბამს, აღარ გაათავებს. უმაღ მსმენელი მოილდება; ვიდრე ცხრაენიანი მოილდებოდეს ლაპარაკით...

ცხრა ზნის დედა ჰრ. ცხრა ცული ზნე სჭირს. ზვ. მრავალი სხვადსხვა ცული ზნე სჭირს: გარყვნილია, უბაზუსა, ქურდია, გაუტანელია. „მაგითანა ცხრა ზნი დედაა ვინ გააქცემს ხმას, ვინ მიიკარებს ახლო...“ (სტ. მენთემაშვილი).

გამოერევა ქალი, რომელსაც, თუ სადმე ბიწიერებაა, უკლებლივა აქვს. ქურდი ვნებავსთ, ისაა, ამარობა ვნებავსთ, იმას უნდა მოჰკითხოთ, მრუშობაში თითოთ საჩვენებელი ის არის, სხვის სიკეთეს რომ დაინახავს, შურით თვალები წასცვივა, მეზობელს საბძელი რომ ეწვოდეს, ხელს მოითბობს და შეწევნით კი ერთ ლიტრა წყალს არ შეაწევს, ის-კი არა, რომ შეეძლოს. ცეცხლს უარესად გააღვივებს; საცო ისაა, სტუმარი ვერ გაიქაქანებს; მეზობელს უშურობით ვაგმვები რომ ეხოცებოდეს და მას-კი კიდობანში პური უშობდებოდეს, ერთ პურს არ გადაუგდებს, რადგან გაქირებულს გაკითხვა ცოდვად მიიჩნია და სხვ. და სხვ.

ასეთ ქალისათვის ქიზიყში ცხრა ზნის დედა უქვიათ, ე. ი. თუ რამ ცული ზნე და ბიწიერება არსებობს, სულ იმისთვის აუკიდნიათ ზურგზე ასეთს არც თერში გაირევენ და აღარც ლხინში, განაპირგებული პყავსთ, ყველა პირსავით ერიდება, ხმას არავენა სცენს და არც ახლოს გაეკარება.

ცხრა მზე ამოხდება (ვიხთვისმე) ცაზე ჰრ. ცაზე ერთის მეტიერად ცხრა მზე გამოანათებს ვისთვისმე, ზვ. ზემე ბედნიერი კაცი არ იქნება. „ბერდი, მაშინ ცხრა მზე ამომიხდებია ცაზე, აღუა თუ თავ სისხლს ვაპატივებს“ (დ. ბაღდაური).

მზე სინონიმია სინათლისა, სიხარულისა, ბედნიერებისა, უმზეოდ წარმოუდგენელია დედამიწაზე არსე-

9. თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, III.

ბობა ორგანულ არსთა. უმზეობა უდრის მოსკობას, არსებობის შეწყვეტას. ეს ითქმის ერთ მხეხე, რალა უნდა ითქვას იმაზე, როცა ცახე, ერთის მხის მაგივრად, ცხრა (ბევრი) მხე ანათებს და ჩვენ გვაცოცხლებს!..

ცხრათავიანი მღვდელი ჰრდ. მღვდელი, რომელსაც ერთის მაგივრ ცხრა თავი აბია ცისერზე. ზგვ. ყოვლად ძლიერია. „მტარვლი მხდალია. ხალხი კი მძლავრი, სავსე ზნეობით, სათნოებით და ქვეყნისადმი სიკეთითა. ნილხი ცხრათავიანი მღვდელია. რა გაუმაგრდება იმას, თუ გაიწია და დაამტერია უღელ-ტახიკი მონობისა“ (ს. მგალობლიშვილი).

ცხრათვალა მზე ჰრდ. ცხრათვალისანი მზე. ზგვ. ნათლად მინარე, მცხინვარე, ძალზე მოკაშკაშე, უზომოდ ბრწყინვალე. „მომავალს ყანას არათერი უმავს, აგერ ცხრათვალა მზე მოდის, დახედავს, შეაშრობს“. (ვაჟა-ფშაველა). „თავს გადგას თოვლის გვირგვინი, ზედ ცხრა მზის თვალი ტრიალებს“ (წ. მღვდელი).

ცხრა აქ ნახშირია (იხ. „ცხრა“) მრავალის მნიშვნელობით და გამოჰხატავს მზის მრავალთვალისანობას, რომლებითაც ეს ცისნათობი აშუქებს ქვეყანას ძალზე მოკაშკაშე, არაჩვეულებრივის შუქითა და ბრწყინითა.

ცხრა თვალი უნდა გქონდეს და ცხრა ყური ჰრდ. ცხრა თვალით უნდა ხედავდე და ცხრა ყურით ისმენდე. ზგვ. ყველაფერს უნდა ხედავდე და ისმენდე, არაფერი გამოგორჩეს დაუნახავი და გაუგონებელი; მეტის-მეტე სიფრთხილად გქორია. „შენ აღრევე უნდა გავგეო მაგათი გულის წედილი. დიასახლისი ხარ, ცხრა თვალი უნდა გქონდეს და ცხრა ყური; არაფერი უნდა გამოგეპაროს ოჯახში. — უსაყვედურა ყაფილანმა მეუღლეს“ (გ. ბარათი). იხ. ცხრა.

ცხრა თოკიდან აშვებული იხ. ცხრა თოკში გამძვრალი.

ცხრა თოკში გამძვრალი ჰრდ. ცხრა თოკში ჰქონდა თავი გაყოფილი დასახრობად და მიიწე თავი დაძვრინა. ზგვ. ათის გვარ გაქირებას გადარჩევილი, მეტად გაქნილი, გამოცდილი, ეშმაკი, გაიძვრა. „მკითხავი ერთი მოქნილი თათრის მოლა იყო და, როგორც იტყვიან, ცხრა თოკში გამძვრალი“ (რ. ერისთავი).

ცხრაკლიტული ჰრდ. ცხრა კლიტით დაკეტილი. ზგვ. ბევრი კლიტით დაკეტილი, მეტად საგული-გული დაკეტვა, ისე რომ სხვის მისი გაღებმა არ შეეძლოს. „განა მზე-კი უბრძანებს ხოლმე ვარდს, გაიშალო!.. აქ თავისთავად უნდა მოსულიყო; რომ, უკაცრაოდ — ბრმა გული არ დახვედროდა, გვარიშვილობის ცხრა კლიტით დაკეტილი“ (ილ. ჰაგვაძე). „ყველაფერი დაიფიწყდა (მეფეს), ცხრა-კლიტულში იყო ჩაკეტილი, მივარამ გამოცდილი თვალი კარვად ხედავდა ვაჟიაცის უზომო ტანჯვის“ (გ. ბარათი).

ცხრაკლიტულის დადება ჰრდ. ცხრა კლიტის დადება. ზგვ. ბევრი კლიტის დადება. საგულიგული დაკეტვა ისე, რომ სხვის მისი გაღება არ შეეძლოს. იხ. ცხრაკლიტული.

ცხრა მთას იქით ჰრდ. რა ადგილსაც ცხრა მთა დაიქვრს, იმის იქით. ზგვ. უსაზღვრო სიშორე, ძალზე შორს. „— დედი, დედი! ეს რა ამბავია? — ჰკითხა გაცინებით შვილმა, როცა ეს სამზადისი დაინახა, — ცხრა მთას იქით ხომ არ მისტუმრებ, რომ ამოდენა ბარგ-ბარხანას თან მატან!“ (ილ. ჰაგვაძე). „ჰაი, ლმერთმა დასწყვედოს და დაშაბათოს, ნუღარ მოიყვანოს შინ ჩემმა ღვთისმშობელმა!.. ასევე უქნია, ცხრა მთა გადაურბენია. — დაყოლა მუტელმა“ (ვაჟა-ფშაველა). „ლორსა სიმინდი გინდა ქეჩოზე. გინდა — ცხრა მთას იქით“ (მალბური ანდავა). „სევდა ცრემლად ამოვღვარე, სასიკვდილოდ განწირულმა; და გავსწელი საყვარლისკენ ცხრა მთას იქით დაკარგულმა“ (ილვა დადაბრძვილია).

ცხრამთასიქითელი ჰრდ. რა ადგილსაც ცხრა მთა დაიქვრს, იმის იქით მცხოვრებელი. ზგვ. ძალზე შორეული, სრულებით უცხო. „ათასი ვარეშენი, ცხრამთას იქიდან ვადმოთრეულები ყიდულობენ მაგათ (ქართველების) მამულსა და ჩემზე ხომ უფრო უპრიანი იყო“ (წ. ლომოთი). იხ. ცხრა მთას იქით.

ცხრამუცელი ჰრდ. ვისაც ცხრა მუცელი აქვს. ზგვ. გაუმაძღარი, ბევრის მქამელი, ლორმუცელი, ნაყოფიანი, მსუნავი, უღლები.

იგულისხმება, რომ ჩვეულებრივს ადამიანს ერთი მუცელი აქვს და ქამი-

თაც იმდენსა სკამს, რამდენიც ამ ერთს მუცელში ჩაიტრევა. ხოლო ვინც ჩვეულებრივზე ბევრსა სკამს, ვისაც ახირებულად არა აძლობს რა, ერთი მუცელი არა ჰყოფნის, ერთს მუცელში არ ჩაიტრევა საქმელი და ამიტომ ერთის მაგიერ რამდენიმე მუცელი უნდა ჰქონოდა. ასეთ მჭამელად ძველად მღვდელი ითვლებოდა სოფლად, მღვდელსა ჰქონდა ბევრის მჭამელის სახელი გაყარდნილი.

ცხრამჭადა პრ. ვისაც ცხრა მჭადის შუქმა შეუძლია. ზგვ. ბევრის მჭამელი, გაუმიძღვროს. „ცხრამჭადა ანთ საბას მადგობრათა და ამხანაგიად გაუხდა.“ (ველანია).

ცხრა ნაბაღზე ხტომა პრ. ცხრა ნაბადის გაშლაზე გადახტომა. ზგვ. დიდ სიმარჯვე, არაჩვეულებრივი სიმკვირცხლე და ვიქციკობა. „შენ დროს იგრეკი არ ვიყავ დაცურსებული, როგორც ახლა იყურები! მაინაჟმე არ წახდეს, სულ ცხრა ნაბაღზე ვხტებოდი“ (პ. ვაისთავ-ხოშტარია).

ძველად ვიქციკის სიმარჯვე და საერთოდ ფიზიკური ღონე ძალიან ფასდებოდა. ვისაც შორს მანძილზე გადახტომა, სიობილი, დამრკოლებათა გადალახვა არ ემარჯვებოდა. ვიქციკობას ვერ დაიკვებებდა. შორ მანძილზე გადახტომის საზომად ჰქონდათ ნაბადი. გაშლიდნენ ნაბადს და მის ცალ წვერიდან მეორე წვერამდე მანძილს, რომელიც დაახლოებით ორი მეტრი იქნებოდა, ერქვა ერთი ნაბადი. ამას მიუხედავად ჯიდევ ორის ნაბადის მანძილს და ამ სამ ნაბადის მანძილზე უნდა გადახტარიყო საასპარეზოდ გამოსული.

უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოწმებ მაგალითში ნახსენები ცხრა გადაპარბებითია იმიტომ, რომ ცხრა ქართულში ითვლება უდიდეს რიცხვად, „ბევრის“ აღმნიშვნელად (ამაზე დაწერილებით იხ. სიტყვა „ცხრა“), თორემ თითო ნაბადში, როგორცა ვსთქვით, უნდა ვიგულისხმოთ ორი მეტრი მანძი. ხოლო ცხრაჯერ ორის მეტრზე გადახტომა აღამიანს, რა თქმა უნდა, არ შეუძლია. ჩვეულებრივ ამბობენ — სამ ნაბაღზე გადახტომა.

ცხრა პირი ტყავი გამაძვრეს პრ. ჩემს სხეულს ერთის მაგიერ ცხრა ტყავი აძვრეს. ზგვ. ძალიან დამტანჯეს, მატერიალურად სავსებით გამანადგურეს.

ცხრა შოლტი ტყავი ამძვრა პრ. ცხრა შოლტის მსგავსად გამოჭრილი ტყავი მოსცილდა სხეულს. ზგვ. მთელი ტყავი მოშორდა ტანს, მეტად დაიტანჯა, ძალზე დაისაჯა. „ერთი ისეთი დაარტყა, ცხრა შოლტი ტყავი ამძვრაო“.

საქონელს (ხარს, ძროხას) ტყავს რომ გააძრობდნენ, დაამარილებდნენ, და გაახმობდნენ. მერე საქალამწეებად დასქრიდნენ; პირველად გამოიღებდნენ შუა ზურგის ნაწილს სიგრძეზე ერთ მტკიველის სიგანეზე, შემდეგ იკითაქეთ მხარეებზე ოთხოთხ შოლტს ან შოლტის მსგავს ტყავს გამოიღებდნენ ჩვეულებრივ, სულ ცხრა შოლტი გამოლის ერთ ტყავისაგან ანუ ცხრა შოლტი უდრის მთლად ერთ ტყავს.

ცხრაჯული პრ. ვისაც ცხრახაირი სჯული აქვს, ზგვ. გაიმეგრა, ეშმაკი, გაქნილი, აღიდაში გამოსული, დაუნდობელი, ვერაგი.

ცხრა საცრის პური მიჯამია პრ. ცხრა საცერი სანამ გაძლებდა და ამ საცრებით რაც გაიცრებოდა, ის პური მიჯამია. ზგვ. ბევრ ალაგას ყოფილვარ, ბევრი რამ მიწახავს, ბევრი ავი და ჯარგი გამომიცლიდა, ბევრი რამ გადამხედია თავსა, დიდხანს მიცხოვრია. ახ. კიბი მომიჭრია. ცხრა ჩლაშია გამოვლილი.

ცხრა უღელი ხარც ველარ დააყენებს პრ. ცხრა უღელ ხარს არ შეუძლია ეინმე ამოძრევეული გააჩეროს. ზგვ. მეტად ღონიერია, ვერავინ მოერევა. „თუ ლამპარაკი გვაბი, ცხრა უღელი ხარიც ველარ დამაყენებს, თუნდაც ენაზედ წისქვილის ქვაც დამკიდოთ“ (ილ. ჰაშაშაძე). „დღედაცა მამა გავიწია და ცხრა უღელ მამა ხარმა ვერ შეიმამარაო“ (აღლხრია ანაზა).

ცხრა ჩლაშია გამოვლილი პრ. კარგად მოქსოვილია. ზგვ. გამოცდილი, ბევრის მხახველი, გამოცვეთილი; მეტად ნაჯახირევი. „სოფლის ყველა ქაცი დავიდარაბის დახლართულ ჩლაშია გამამული და ყველასთან საფერებელი აქვს“ (დ. მახანელი). „უნდა მოსძებნო შენი საფერი. კიდევ გინახავს! ყოველ ჩლაში გამოვლილი მაშიდაშენი მოგიხებრებს შესაფერ საქმეს...“ (ვ. ხარნოვი). ახ. ცხრა საცრის პური უქამია. წისქვილის-ქვა-ლა არ და-



ტრიკლებულა მის თავზე. ერთი კვერი არ დატრიკლებულა მის თავზე.

ჩლა — საქსოვი იარაღია.

ცხრა ჩხირი გამიხდა (რამე საქმე) პრდ. საქმე რისამე გაკეთება ცხრა ჩხირის აღებასებ გამოიჭირდა. სჯე. მეტად გამოიჭირდა ან სულაც ვერ შევძელი რისამე გაკეთება.

ეს თქმა აგებულია ერთ ქართულ საბავშვო თამაშობაზე, რომელიც ქართულ თამაშობებში ყველაზე ძნელ ასასრულებლად ითვლება.

ასე იწყება.

გამოსტრიან ცხრა ჩხირს, ერთიმეორის ტოლებს. სათითაოდ დალაგებენ ერთმანეთის პარალელურად და ერთმანეთზე ცხრა-ცხრა ნაბიჯის დაშორებით; ჩხირებს თავსა და ბოლოს რაზედმე ჩამოუდებენ, რომ მისმა ამლებმა პირი მიწით არ გაისვაროს. ამას შემდეგ მოთამაშენი კენჭს იყრიან, თუვის უნდა ერგოს ჩხირების ალბა. კენჭით ვისაც ერგება თამაშობის შესრულება, ბოლო ჩხირიდან გადასთელის ცხრა ნაბიჯს და იქ გაიკეთებს „ბინას“. „ბინა“ — გამოსასვლელი წერტილია. საიდანაც უნდა დაიწყოს მოთამაშემ თამაშობა. მოთამაშე ცალფეხიანქურებული და მეორე ფეხზე დამდგარი ჯერ იტყვის: რა ვქნა, რა ვქნა... ნეტა რა ვუყო?... ეს ოხერი ცხრა ჩხირი, ნეტა, როგორ ავიღო?! ამას შემდეგ ასკინკილა, წელზე ხელმედაწყობილი ან გაშლილი განზე პირს ჩხირებისაკენ იხამს და მათკენ გაემართება. პირველთან რომ მივა, უნდა დასწდეს პირით ჩხირს და ისე აიღოს, რომ ხელები არც მიიშველიოს და არც მიწაზე დააფაროს. აღებული ჩხირი ასკინკილამ პირით უნდა წამოიღოს ბინაზე და იქ დასდოს პირითვე. შემდეგ ისევ პირი იბრუნოს ჩხირებისაკენ, ასკინკილა წამოვიდეს, პირველის მსგავსად იღებს მეორე ჩხირსაც და დასდებს ბინაზე. და ასე განაგრძობს, სანამ ცხრასვე ჩხირს დააბინავებდეს.

ეს თამაშობა მოთამაშეთაგან მოითხოვს მაქსიმალურ ფიზიკურ ენერჯიას და, როგორცა ვთქვი, ძნელი ასასრულებელია. კიდევ ამიტომია, როცა ძალზე გასაჭირი საქმე გვაქვს, როცა ამ საქმის გაკეთება ჩვენს ღონეს აღემატება და მაინც არ ვეშვებით, სასოწარკვეთილი წამოვიძებებთ ხოლმე,

სწორედ ცხრა ჩხირი გამიხდაო. თვითონ თამაშობასაც სიმოკლისათვის ეძახიან ცხრა ჩხირს. „მოდინ, ერთი ცხრა ჩხირი ვითამაშოთო“ და სხ. და სხ.

ცხრაწენა პრდ. ცხრანაირი წენი. სჯე. ერთმანეთში არეული, ბევრნაირი, ან რომელსამე საქმის ორგული. „სწორედ, ჰეშმარიტად, ცხრა წენას, ცხრა წენას ვეძახით: ცხრაგვარ სამარხო ავურეგთ ერთად და შექამადად შევაგვობთ მონასტერში, შობისა და ნათლილების წინაღულს და იმას მივიღებო“ (კალმასობა).

ცხრაწენა — სამარხო საქმელია, რომელშიაც შედის სხვადასხვა სახელწოდების მასალა: ხორბალი, ბრინჯი, ქერი, სისირი, სიმინდი და სხვ. ხარშავენ შობის წინა ღამეს.

ცხრანი აკლა პრდ. ცხრა არა აქვსო. სჯე. ჰეშანაკლებიაო, შერევილიაო. ის ჰქუადაბლერტილი. თავში უქროის. ბლომად ჰქუავეს. ჰქუას შემოსწყრომია. ჰქუა აფრონე. ჰქუაზე თხლად ყოფნა.

ცხრა აქ ხმარებულია სიბებრის, ე. ი. ჰქუა-გონების აზრით (იხ. ცხრა).

ცხრილი ღვინის დაღვევა პრდ. ცხრილის საშუალებით ღვინის შესმა. სჯე. შეუძლებელის საქმის გაკეთება, გარჯის დაუზოგველობა. „შენს ქორწილში ცხრილით ღვინოსაც დავეცე და ვიმღერებ და ვითამაშებ კიდევ“ (დ. მახანელი).

ცხრილს საქართველოში ხორბლის სარკვევად ხმარობენ ხოლმე. რაიმე სითხის (მაგ. ღვინისა ან წყლის) ჰურჭულად მისი გამოყენება შეუძლებელია, ტყუილად დროისა და ენერჯიის დაკარგვა. ასე რომ, ეს თქმა უფრო გამოხატავს სურვილს ენერჯიის დაუზოგველობისა, შრომის ანდაშურვისას.

ცხრილით წყლისა ზიდვა პრდ. ნახვრეტებიან ჰურჭულით წყლის ზიდვა. სჯე. საქმის დაუზარებლობა, შეუძლებელის გაკეთება. „ლაპაზი ნინოს ქორწილში სულ ცხრძლით წყალი უნდა ვზიდოთო“ (რ. ერისთავი).

ცხრილის წენა პრდ. კალოზე გაშლილი ხორბლის გასაცხრილავად ცხრილის გაკეთება. სჯე. ძნელ, საშურებხო საქმის გაკეთება, წვალება, ტანჯვა.

„აცა, შეილო, იმარხანო, თუ ვერ
გაწვენენებ ცხრილსა“ (პ. უში-
კაშვილი).

ცხრილი, კალოობას კალოზე რომ
უნდა ყოფილიყო უმჯობესად და რო-
ზელიც ესდენ საკერო და აუცილენ-
ბელი იყო ხორბლის გასასუფთავებ-
ლად, ერთის შეხედვით, უბრალო სა-
კეთებელი ეგონება კაცსა. ოღონდაც
რომ ასე არ გახლავსთ. თორემ მისი
წვნა მუქარის გამოძახატველ ტერმინად
არ გადაიქცეოდა ჩვენს მეტყველ-
ებაში.

ცხრილის საწვენელად ხმარებული
მასალა სულ ხისაა. ცხრილის წვნის
სიძლიერის საიდუმლოება — მისი ძირია,
რომელიც იწვნება გარეულ თხილის
ქორფა ტოტების ანატაკეც ნაწილისა-
ვან, რომელსაც მოხვევები აბჯატოს ემა-
ხიან, ფშავში — ყაბჯატოს და მთიულ-
ეთში — აპატოს, შერე ისე მარჯვე-
დაც იწვნება, რომ ყოველი მათგანი
მათემატიკურის სიზუსტით და ზედ-
მიწვენილობით უნდა იყოს დალაგებუ-
ლი და ჩაწნული. ყველა თვალი ცხრი-
ლისა ერთის ზომისა და სიდიდისა
უნდა გამოვიდეს, არც მეტი და არც ნაკ-
ლები, რომ იქიდან ხორბლის მეტი
სხვა არაფერი გამოეტიოს.

აბა, რა გავაგრძელოთ, დიდი ჩა-
კირკიტება, დიდი თვალის სისწორე,
დიდი გამოზომვა, დიდი აწონ-დაწონვა
სქირია, რომ ოსტატს მართლა კარგი
რამ გამოუვიდეს ხელიდან! დიახ, ოს-
ტატს და არა ფინანს ვისმე, ვისაც მო-
ეხალისება მისი კეთება: აქო-და,
ცხრილი არა მაქვს, და მოდი, დავწე-
ნაო!.. ყველა ბეჩაეი ფონს ვერ გავა
და ცხრილს ვერ დასწავს...

მეტად ცხრილს საგინებო ოსტა-
ტები ჰყავდა მწვენელად და მათი ხე-
ლობა კარგადაც ფასდებოდა. კარგ
ცხრილში ერთის ცხერის მიცემა ძვი-
რიად არ ითვლებოდა...

ასე იყო თუ ისე, ცხრილის წვნა
ადვილი საქმე არ გახლდათ, მეტად
საწვალბებულ და თავისისავე რადმე
ითვლებოდა. და კიდევ ამიტომ გახდა
მუქარის, დაშინების გამოძახატველად
თქმა: შენს ქერქში დაეტიე, თორემ
ცხრილს გაწვენიებო, — ესე იგი,
შენთვის იყავ, თორემ ისე ვაწვალბე,
ისე გტანჯავ, თავბედი გაწვევლინო,
და გაძახებინო: დედას რად დავება-
დეო!..

ცხრილქვეითა ანაბერტყა პრ. რაც
ცხრილს ქვეით გასცევივა გალწვილს
ხორბალს. ზგ. ცუდი, ნაგვიანი, გადა-
საყრელი, გამოუსადეგარი, ყოველს
ლირბლბას მოკლებული, ბინძური.
მგლ. შე ცხრილქვეითა ანა-
ბერტყავ, შენა!.. შენც იტყვი,
კაცებში ვურევიარო?!

კალოზე გალწვილი პურის ჯგოლს
(ნამჯა, თვით ხორბალი, კილი, მიწა,
ბალახ-ბულახის თესლი) ჯერ დაჭყრიან
ფართო თვლებიან ცხაფზე, რომელიც,
ხელებით იქით-აქით ქნევის დროს, შე-
ვით მოიგდებს, რაც მსუბუქია, მაგა-
ლითად, ნამჯის წვრილ-წვრილ ნატე-
ხებს, ხოლო ხორბალი, საფშავად გა-
მოსადეგი, კილი ანუ ფშუტა მარცვა-
ლი ბუდიანად, ნაკუთი ანუ წვნიკი
მარცვალი, მიწას კალოდან აყოლილი,
ქვეშ გაუფა.

ნამჯამოშორებულ ანუ გაცხვებულ
ხორბალს ცხრილავენ უფრო წვრილ-
თვლებიან ცხრილით. მსხვილი, საფქ-
ვავედ ვარგისი მარცვლები ხორბლისა,
ცხრილზე რჩება ზევით, ხოლო ცხრილს
ქვეით გაუფა. ანუ დაიბერტყება ნა-
კუთი ანუ წვნიკი, საფქვავედ უხმარი
ხორბალი, წიწილებისათვის თულა გა-
მოსადეგი, ბალახ-ბულახის თესლი და
მიწა. ცხრილზედვე რჩება კილი ანუ
ბუდეში ჩარჩენილი ფშუტი მარცვალი-
ისე რომ, რაც ცხრილს გაუფა უფარგისი
რამ, ჰქვია: ცხრილქვეითა ანა-
ბერტყა.

ხატოვანად ეს სიტყვები შეეხება
აღამიანს, უგვანს, გამოუსადეგარს რო-
გორც თარისთვის, ისე სხვისათვის, ვი-
სამე დამცირება, გაძირდვა, გაუფასუ-
რება რომ უხდათ, პირდაპირ, უბოდი-
შოდ, მიახლიან პირში: ე. ი. შე,
ცხრილქვეითა ანაბერტყავ,
შენა!.. შენც აღამიანებში სდებ თავსა!..
აი, გამოიხრდეს შენი დაცლილი ჯიხვი!
ან — მაკლდეს შენი მაღალი ბანი!..

ცხრილში გატარებულ კაც პრ.
ცხრილის შუაში გასული, ზგ. წესი-
ერი, განათლებული, უყვედრელი,
უმწიკვლო ზნე-ხასიათისა.

იგულისხმება, რომ როცა ცხრილში
ტარდება ხორბალი, ნავთი და ყოველი
ზედმეტი ნივთიერება შორდება და
ცხრილს შემოდანა რჩება. აღამიანზე გა-
დატანით ეს თქმა ჰგულისხმობს ამ აღა-
მიანის გასუფთავების ყოველისავე მწიკე-
ლოვანებისა და ნაკლულევაწებებისაგან.



d

ძალად ნანაო ჰრე. ძალად დაძინებოა. ზეც. სურვილის წინააღმდეგი, არასასურველი აღერსი.

ძალად ცხონება ჰრე. ძალათი ცხონება სულსია. ზეც. ძალად, ჩვენის სურვილის წინააღმდეგი, ჩვენდაუნებურად თავზე მოხვეული, არასასურველი სიკვითე. „რა თქმა უნდა, ერთმაც და მეორემაც რომ თავი დაანებონ, იქაურნი ორისავე ხელით ღმერთს მიღლობას შესწირავენ, კარგად თუ ავიდ, ამ წუთისოფელს თითონ გაუძღვებიან; არც ერთისაგან, არც მეორისაგან ძალად ცხონებას არ ინდომებენ“ (ილ. ჰაბეაძე). „ხოლო ძალად, თუნდ ცხონებაც იყოს, კაცს ვერაფრად ევაზნიკება და იმ ცხონებაზე ზომ აღართ ითქმის რა, რისაც აქაური სომხობა ჩვენდაუნებურად გვიქაღის“ (ილ. ჰაბეაძე). „გამიგონია, ქა, ეგეთი ძალათმა ცხონებო ბა... ძალათ როგორუნდა შემაყვარონ აღაშინანი!“ (ფნ. მენთეშაშვილი).

ძალათი ჩანგალზე აეგო ჰრე. განგებ ჩანგალზე წამოაყო თავი. ზეც. ძალათი საქმე გაიქირა, თავი ხიფათში ჩაიგლო.

ძალის დადგომა (ვიზედმე) ჰრე. რაიმე ძალა ზევიდან რომ დააწეება. ზეც. საქიროს გაკეთება, აუცილებლობა, მოვალეობა. „რა სტირი, შეილო — ეტყვის ბერიკაცი, რა ძალა და დღე რომია ისეთი?“ (თ. რაზიკაშვილი).

ძალის დატანება ჰრე. ძალის ხმარება, დაძალება, ძალით გაკეთებინება. ზეც. მონდომება ის გააკეთო, რაც არ შეგიძლია. „ეს ისეთიარად სთქვა, რომ მე იმედი მომეცა დაწერილებით თქმევისა, თუ რომ ცოტად მაინც ძალას კიდევ დავატანდი“ (ილ. ჰაბეაძე).

ძალის მოტანა ჰრე. მოწინააღმდეგეზე ძალის ხმარება. ზეც. ძალის ხმარება, შეწუნება, მორევნა, დაჩაგვრა. „ბატონს წილადა მხელა მტრისაგან დამდაბლებული სახელმწიფო, რომელსც შეგნით დაწლილი ჰქონდა ერთობა, ხოლო გარედან ძალა მოჰქონდა მძლავრ მტერს“ (ფ. ბარნოვი).

ძალს მე და ძალს ისაო! ჰრე. ძალის

მიმართეთ მეცა და იმანაცაო. ზეც. მეც ვიძალე და ჩემმა მოწინააღმდეგემაცაო. „ტრედი გაუფრინდა (ქორს) და ქორიც უკან გამოეკიდა, ძალს ქორი და ძალს ტრედი, იბრძოლეს, ერთი იქერდა, მეორე გახეწემას სცდილობდა“ (ფა. ფხვალა).

ძაფის გაბმა ჰრე. საქსოვი მასალის გრძელისა და წერილის დაბრუნებულ ბეწვის გაკიდება ერთ ადგილიდან მეორემდე. ზეც. კავშირის შექმნა, შეერთება. „ხომ ესეა, მაგრამ ნუკი გგონიათ, რომ ავტორი მართლაც რასმე განუწყვეტელს ძაფს გააბამს იმ დროდამ დღევანდლამდე, ან რომელსამე წითარებას დღევანდელისას ავეცხნის წარსულთა“ (ილ. ჰაბეაძე).

ძაფის დანათახები ჰრე. ძაფის საღირალი. ზეც. სულ მეტირე ნაწილი საღირალისა, უფასური. „როგორ შეედლოთ ძაფის დანათახები რამ დაკარგულიყო ან ჩვენში ან თქვენში!“ (ფნ. მენთეშაშვილი).

ძალდადაც არ ჩავდება ან ხსენება. ჰრე. რაც ძალს ეკუთვნის, იმდენი პატივისუცემლობა. ზეც. არაფრად ჩავდება, არავითარი ანგარიშის გაწევა, ყოველი ღირსების წართმევა. „მაგრა დგას (სახლს) და ყოველზე ციურ შრისხეებას — წვიმას, თოვლს, ქარიშხალს — ძალდათაც არ აგდებას“ (ფ. ვაბაშვილი). „ი. ასე ლაპარაკობდნენ და ბუბობდნენ ჩვენ სახლში, ჩვენ კი ძალდადაც არ გვაგდებას. აინუნშიაც არ იგდებდნენ ჩვენს იქყოფნას“ (მელანი). „ი. სამი თვეა, აქა ვარ და ძალდადაც არ ავინ მახსენან“ (ნ. ბაჩიაშვილი). „საკვირველია. ღმერთმანი, იმდენი როგორ არ ესმის, რომ თუ ამითთანა ხალხს თავი არ ვაჩვენე, ძალდადაც არავინ ჩამაგდებას“ (ფ. ვაბაშვილი).

ძალი ქართული გულების ოჯახში წამდაუნწმ ხელწამოსაკრავი ცხოველია და სულ უკანასკნელადაც ითვლება. ალბათ, იმიტომ, რომ იმის ხორცი არ იქმნევა.

ძალდად ხსენება ან. ძალდადაც არ ჩავდება.

ძალდი არ გაიგდება გარეთ ჰრე. ძალ-

ლი შეგვეცოდება და გარედ არ გაუძახებდ. ზვ. მეტად ცუდი, ცივი, სუსხიანი ღარიბი. „არა, შე მოკახდაქცეული და შე იუდის კერძო, ამისთანა ამინდში ძალღს არ გააგდებენ გარეთ და შენი ბალღები როგორ გარეკე!“ (მ. ანაგვისპირელი). „დაუდგრომელი ბუნების სტიქიონი აღტყინებულია, თითქო ვისმე ვანადგურებასა და ჯაგრის ამოყრას უპირებსო!.. ისეთი ამინდია, რომ იტყვიან ხოლმე: ძალღს არ გაიგდებთ გარეთაო!..“ (რ. ფაღვანიშვილი). „ქაბრი ჰქროდა. საშინლად ციოდა. ნამქერმა ამოყორა თითქმის სახლის კარები. ძალღს გარეთ არ გაიგდებთ, რომ იტყვიან, სწორეთ ისეთი ღრო იყო.“ (ვაჟა-ფშაველა).

ძალღი არ ქამს ჰრღ. რასაც ძალღი არა სქამს, ზვ. ყოვლად საზიზღარი, ისეთი, რასაც ძალღიც კი იწუნებს საქმელად, ყოველ ღირსებას მოკლებული. „რა გინდ მახინჯი, ვაგლახი და ძალღი არ ქამა ქალი იყოს, შენ თავცობალი იმისი შემრთველი არ იყო, და განგებ უთხარა სიცილის გულისთვის: ცოლად გამამყე, ჩემო გულის მზე-მთაწარეო, მაინც ი ჯოჯობეთის მამხალა ჯოჯოც კი მამალი ინდოურიეთი გაიბერება და ეგრე ვაგინახდება ტურ-ატრუკით, იტყვი კაცი: ორთ ხელმწიფის მზეთუხახავი ქალიაო“ (დ. მაჭავიანი).

ძალღი არ ქამა — უბრძნის ჯიშიცა, უგემური, ქიზიყში იცის.

ძალღი-კაცამღინ ჰრღ. ძალღიცა და კაციც. ზვ. ყველანი, პირღლებით. — ძალღით-კაცამღინ მე მემღღროდენ, მმტრობდენ და ჩემი სისხლი სწყუროდენ!“... (რ. ზრისთავი).

ძალღი არ შევა იმის სახლში ჰრღ. ძალღი არ შევა სახლში. ზვ. არაფერი აქვს, უქონელია, ღარიბია. ზვ. სულსაქეთ არაფერი გააჩნია. ძალღი რა არის, ძალღიც-კი არ შევა იმის სახლში.

ძალღი საერთოდ, შედის ისეთ სახლში, საცა ვგულდება რამე საკბილო. ერთი-ორჯელ საღმე რომ შევა და ვერას მოახელებს, მესამეჯერ ასეთს სახლში ძალათი ვერ შევადგებს კაცი.

ძალღი კაცი ჰრღ. ძალღის მსგავსი კაცი. ზვ. ავი, ბოროტი, საზიზღარი, დაუნდობელი. „შენი დახმარება

მარტო იმისთვის მინდა, რომ თვალყური გევიროს, ნამეტნავად გიტოს გაუფრთხილდე. ის ძალღი კაცი: როგორც მორიელი, ისე შე-მოგებარება და დაგსუნთქავს“ (ილ. ჭავჭავაძე).

ძალღი ძალღ ჰრღ. ძალღის კუღიანი ან ძალღის კუღის მსგავსი. ზვ. კაცი მოკაკული, ეშმაკი, გაიძვერა მლიქვნელი, ქვეშეგება, ვინც პირდაპირ თქმას გაურზის.

ძალღის კუღი, როგორც ვიცით, ერთავად მოკაკულია, მისი ვასწორება მხოლოდ ღროებით, ერთწამიერად თუ მოხერხდება, საბოლოოდ კი შეუძლებელია. აკი ამიტომაც გამოუთქვამს ქართველ ხალხს ძალღის კუღის შესახებ ასეთი ანდაზები: ძალღის კუღი (მოკაკული) ცხრა წელიწადს მიწაში იღო, ამოიღეს და ისევ მოკაკული იყოთ; ძალღის კუღი არ ვასწორდებაო.

აქედან, ყოველი ღრეკია, ეშმაკი და გაიძვერა აღამიანი დაედარა ძალღის მოღრეკილ, მოკაკულ კუღს. სიტყვა ძალღიკუღდაც ასეთის აღამიანის სინონიმად გამხდარა. ასეთი კაცი სითამამეს, გაბედულობას, შემმართებლობას მოკლებულია და ერთავად წელში იხრება. თავის სხეულის მოკუღობას იპატარავებს, რომ ყველას აჩვენოს თავისი სიკრინე და ამით სხვას თავი შეაბრალოს.

ძალღი პატრონს ველარა სცნობს ჰრღ.

ძალღს უპირდება თავისი პატრონი სხეებში გამოიქნოს. ზვ. საშინელი არეულობაა, ორომტრიალია, უმტროს-უფროსობა აღარ არის, წესიერება უზომოდ დარღვეულია. „თორემ აქ აღფრის მიშვება და საღავეს მიგდება—კარის ვაღება იმ ერთგვარ უწმინდურებისათვის, რომელსაც „შანტაჟს“ ვახიან და მიშინძალღიც ველარ იცნობს პატრონსა: ერთი-ერთმანეთს შევეჯახებით, ერთი-ერთმანეთს თავს შევხვალთ; ერთი-ერთმანეთს დაეკამთ“. (ილ. ჭავჭავაძე). — გაიმართება ერთი ფიცივი და ყაყანი. პატრონი ძალღს ველარა სცნობს, ძალღი — პატრონს“ (ვაჟა-ფშაველა). „სულით გაძლიერება ჩვენის „დედაკაცობისა“ — გაძლიერება ოჯახისა, ერისა, ქვეყნისა და ეს რომ მოხდეს, ხომ აირია მონასტერი თ. გ. თუ მნოვის

ამქრისა, ხომ დაეფანტათ დაეთრები და ძაღლმა პატრონი ვეღარი იცნო" (ილ. ჭავჭავაძე).

პირველყოფილ ცხოვრების გამომკვლევეთა აზრით, ადამიანს ცხოვრებაში სულ პირველად ძალით უნდა მოეშინაურებინა, ახლაც პირველყოფილ მღვთმარებებაში მყოფ თანამედროვე ხალხებსაც ხშირად მხოლოდ ძალით ჰყავსთ მოშინაურებულია. მონადირე და მომთაბარე ხალხისთვის ყველაზე სასარგებლო ცხოველი იგივე ძალია. ეს პირუტყვი, ყველამ ვიცით, თუ რა ერთგული დარაჯია თავის პატრონის ქონებისა და როგორა შევლის მონადირეს ნადირობის დროს!..

ყველასათვის ცნობილია ძაღლის ჭკუა, ცნობილია მისი სიყვარული პატრონისადმი. მოიგონეთ ილ. ჭავჭავაძის მოთხრობის მთავარი გმირის — ოთარაანთ ქვრივის ვაცოვებულ გვამზე, სასაფლაოზე, დაყუნცული ძაღლი, რომელიც საცოდავის ღმუხილით ატყობინებდა ხალხს თავის პატრონის გარდაცვალებას...

ზოდა, ასეთი ძაღლისათვის თავის პატრონის სახე ჰაი, ჰაი, რომ დაუფიწყარი და საცნობია! და თუ ძაღლმა თავისი მოაზრება პატრონი ვერ იცნო, უნდა ვიფიქროთ, რომ იმ საზოგადოებაში, სადაც მისი პატრონი ურევია, საშინელი ზოჩქოლია ატეხილი, უზომო აურზაური და ორომტრიალია, ხალხი ერთიმეორეს ეხეტექება, სახე ბრაზისაგან გადაფითრებული აქვსთ და გამოცვლილი, ასე რომ საცოდავ პირუტყვს დიდად გაუჭირდება თავის პატრონის სახის გამოცნობა.

ზემოთმოტანილი თქმაც შექმნილია ისეთი გარემოების გამო, როცა არეულ საზოგადოებისა, ვინა ადამიანთა წრის მიერ ატეხილი შფოთი თუ აყალბაყალი უმწვერვოლეს წერტილამდეა ასული, როცა ადამიანთ თავიანთი სახე არ აღეცას, მტერი და მოყვარე ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევია გარეშეს.

ძაღლის ალიონზე ამღგარი ჰრე. ძაღლის გამოღვიძების დროს წარმომდგარი ლოგინიდან დილით. ზღვ. ძაღზე ადრე ამღგარი დილით. მგლ. მე, ჩემო ძმაო, ძაღლის ალიონზე ვღვებ და მიუღივარ ყანაში სამუშაოდ, მაგრამ მაინც ვერ დამიპურებია ჩემი ცოლ-შვილი.

ალიონი საზოგადოდ გვიქვია მზის ამოსვლამდე აღმოსავლეთით სინათლით ცისკიდურის შეფერვისათვის. რომელიც წინამორბედი გათენებისა, დღის დაწყებისა. მყუფარი, როგორც ვიცით, პატრონზე ადრე იღვიძებს და დგება ფეხზე. და ჩვენმა ხალხმა ხატოვანად ამიტომ დაარქვა ამ ძაღლზე ადრეულ დროს ძაღლის ალიონი, ე. ი. დრო, როცა მართო მყუფარი იღვიძებს ძილისაგან.

ძაღლის აყფება ჰრე. ძაღლმა ყფა რომ აუტეხოს ვისმე, ზღვ. ვისიმე ძვირედის ყურადღების მიქცევა ვიხედნე, ვისგანმე ვისიმე შენიშვნა. — თქვენს თხოვნას ქვაც ვერ გაუმაჯრდება, ის ხომ კაცი!.. (თავისთვის) შენი ქმრის მორიდებით, თორემ შენ იმის ძაღლსაც ვერ ააყფებ!.. (რ. ჭრისათვის).

ძაღლის ბედი აქვს ჰრე. ბედნიერია ძაღლის მსგავსად. ზღვ. ბედნიერია. ყველაფერი ემარჯვება, ყველაფერი ხელმომართულია, ყველას უყვარს. — ბიჭო, ძალიან ვადარჩი, იი! ძაღლის ბედი გაქვს სწორედ!.. — წასჩურჩულა ილიაკოს მეორე გვერდზედ მღგარმა ჯარისკაცმა" (ეფთხეთიანი).

ჩვენის ხალხის რწმენით, მართო აღამიანებში არ გამოერევა ბედნიერი. აღამიანებს ვარდა ცხოველებიც არიან ხოლმე ასეთები. და ყველაზე მეტად — კი ძაღლია ბედნიერი ცხოველი. ქართულ მეტყველებაში ძაღლის ბედნიერება იმით იხსენება, რომ აღამიანი მეტად აფასებს ამ ცხოველის ერთგულებას, რომელიც საარაკოდაა გადაქცეული. აღამიანთა საერთო ყურადღება აქვს დამსახურებული ძაღლს და საკვირველიც არაა, რომ მისი ბედნიერება, მისი ყველაფერში ხელის მომართვა აღამიანის ხელში შურიანობის საგნად იყოს გადაქცეული.

ძაღლის გუნებაზეა ჰრე. ძაღლის საფერ გუნებაზეა. ზღვ. ძალიან ცუდ გუნებაზეა, აღრენილია. "თორო ხეიოს არავინ დაგვაყრის, როგორღაც ძაღლის გუნებაზეა (მამასახლისი)" (ნ. ლომოური).

ძაღლი, ეს უადრესად სასარგებლო, პატრონის ერთგული და მისის ქონების დარაჯი, ჩვენთა მრავლითა თვალში სულ უკანასკნელ, აბუბუბულ და მრავალ უარყოფითთა თვისებათა შემცველ



ცხოველად ითვლება. თვით სიტყვა ძალდი უკაცრავლ სიტყვათა სიანია მოქცეული და საზოგადოებაში მის მაგიერ ამბობენ: ოთხფეხს, აყუფებულს ან მყუფარს. თქმა (ვიწინ ვისზე) „ძალდი“ არ ავლენსა“ გამოიხატება იმისი სრულ გაუფასურებისა, ვისაც ეს თქმა ეხება. მაშასადამე, ასეთი პირუტყვის გუნებაზე ყოფნა უნდა ნიშნავდეს ძალზე ცუდ გუნებაზე ყოფნას.

ძალდის დაპურება ვისსაზე გულზე ჰრ. ვისსაზე გულზე ძალში პური რომ სჭამოს. ზვ. ყოველისავე პატივის აყრა, სიტყვიდის ქმევა, თავის მოჭრა, მგლ. ისე გაგვიხდისაქმეს, რომ შენს გულზე ძალდი და ვაპური...

ძალდს მაშინ შეუძლია ადამიანის გულზე სჭამოს საქმელი, როცა ეს ადამიანი დაუძღვრებელია, დავრდომილია, ზეით ადგომა არ შეუძლია, ან სულაც შედარია და აი ამ თქმა-წყევლის პატრონიც ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანსა ჰგულისხმობს, ე. ი. მომკვდარხარ ჩემის ხელით და შენს მკვდარს გულზე პირუტყვით შორის უკანასკნელს—ძალდს პური ეჭამოს და გაეხინძურებინოს შენი სხეულიო.

ძალდის ერთგულება ჰრ. ძალდის მსგავსი მისანდობრობა, გულთაოდობა. ზვ. უსაზღვრო ერთგულება, თავდაუზოგველი მეგობრობა, სიყვარული. „მიეცეს იმას (შენს ძეს) გულმხივრობა ვერისა, ერთ გულობა ძალდისა და ძალი ქიანკველისა“ (ს. ორბელიანი).

ადამიანის მიერ პირველი მოშინაურებულ ცხოველი—ძალდია და ამა, ისიც უკაცრავლის აკენიდანვე თავისს პატრონსა ჰმეულოდა მის პირველყოფილი ვერისა და ჭონების ყურისგდებაში; ჰმეულოდა ნადრობაში. შენდევში, ოდეს ადამიანმა მწყემსობა დაიწყო, მის საქონლის ყურისმგებლის და გარეულ ნადრისაგან დამფარველის როლი სავსებით ძალდს დაეკისრა. მეძებრები, მწყევრები დღესაც მარჯვენა ხელია მოწადირისა. ძველსა და ახალ ქვეყნიერობის ცივ ადგილებში ლაპონებმა და ესკიმოსებს მარხილებში ცხენების მაგიერ ძალდები უზიათ. ევროპაში პატარა საბარგო და რძის სახიდ ურმებს ძალდები ატარებენ. ძალდებს სამხედრო საქმეშიაც იყენებენ: საარტილერიო ცხენების მაგივრად

პატარა ქვემეხებს „სამხედრო“ ძალდებს აზიდენებენ. ახლა თქვენა ბრძანით ეგრეთწოდებული საპოლიციო, მეძებარი მაგი ძალდები, ბოროტმოქმედთა აღმომჩენნი! ამ შემთხვევაში, ადამიანის წვრთნის წყალობით, ძალდები პირდაპირ სწორუბოვარნი და ადამიანთა ტოლები არიან! ან აიღეთ თუნდა სენბერნარის ძალდები, რომელთა გონივრული ქცევა შეეიცარის ალპებში, თოვლში ჩაფლულ მგზავრის პოვნისა და სიკვდილს გადაარჩენის საქმეში, ადამიანის ქცევისაგან იმითა განსხვავდება, რომ პირველთა ლაპარაკი არ შეუძლიათ, პირუტყვნი არიან, ხოლო ადამიანნი მეტყველნი არიან.

ადამიანის მხრით დილაღე უსამართლობა, უმადურობა და უანგარიშობაც იქნებოდა ასეთ სასარგებლო და უაღრესად საჭირო ცხოველს ამდენი დაუფასებელი სამსახურისათვის ფინიკურ არსებობისათვის საჭირო საზრდო მოჰკლებოდა!... სამეგრელოში ძველად, როცა ტაბაქზე ღობი უნდა დაეგოთ სადილ-ვაშშად, ლაფურათი პირველად ამოღებული ღობი ძალდის კერძი იყო. იმის გაძღომისათვის ისევე ჰზრუნავდნენ, როგორც ოჯახის წევრებისათვის. ძალდი, მისის მხრით, ამ სრულიად დამსახურებულის პატივისათვის თავგადასმეცდარი იყო პატრონისათვის, მისთვის თავი არ ეზოგებოდა, ძალზე უყვარდა და ერთგულობდა. აზბათ, ბევრს გეჭნებათ წაკითხული საყმაწვილო წიგნებში ძალდის მოყვარულობის საჩვენებლად მკვდარი პატრონის საფლავზე დარდით მისი ძალდიც რომ მომკვდარა... აი თუნდა ილ. ქაქავაძის ოთარაანთ ჭვრისაგან დაეცალებან მისმა ძალდმა მის ცხენდარზე რა ამბავიც დააღწია!.. აქედან წამოვიდა საანდობად ძალდის ერთგულება, რომელიც ადამიანისა თუ არ გადააქარბებს, ბევრი არაფრით ჩამორჩება.

დღეს როცა ვისზე ნამდვილი გულწრფელი ერთგულება გვინდა გამოვხატოთ, ვუდარებთ ძალდის ერთგულებას და ვამბობთ ხოლმე: ძალდივით ერთგულიაო.

ძალდის ნათრევი ჰრ. რასაც ან ვისაც ძალდი დაათრევდა. ზვ. მაწანწალა, ვივინდარა, „რაო, რისთვის მოეთრევი, შე ძალდის ნათრევი!



აიდგით განა ენა! დამაცადე თუ შენი ცოლი, ის გველის წიწილა, ძალღებს არ ვათრევიო“ (ილ. ჰაშვაძე).

ძალის ფეხი გამოიბა ჰრე. ძალის ფეხით დაიარება. ზგვ. ძალის მსგავსად დაწინაწლებს შეუწყვეტილ მგლ. რა ძალის ფეხი გამოიბი, რომ ამდენს დადინარა?!

ცნობილია, რომ ძალს, განსაკუთრებით სოფლად, მეტად უყვარს აქეთიქით ტანტალი, ვინძლო საკბილოს რასმე წაეწყდეთ! ზოგჯერ კიდევ იშოვის რასმე, სადმე ძვალს ვადაწყდება გამოსახრავად და ბედს სულ არ დაემდურება. მაგრამ უფროს ერთ შემთხვევაში ვერაფერს წააწყდება, ისე მოუხდება შინ დაბრუნება, ტანტალი კიდევ ტანტალად შერჩება.

და აი სწორედ ასეთს ძალს ადარებენ ადამიანს, ვინც ბევრს დადის, ფეხებზეაუკრეფლად, რისამე საშოვრად და ბოლოს მაინც ხელცარიელი ბრუნდება შინა. ასეთი კაცი ზოგჯერ გულისმოსაფხანად თავის თავს უსაყვედურებს და იტყვის სასუგეშებლად, გულის ვასაყეთებლად: რა ძალის ფეხი შეეკვამე დღესა ანუ ძალღვით ვიტანტალე ტყუილადო!

ძალის ფეხი მომწველი ჰრე. ვინც ძალს მოაჭამს ფეხებს. ზგვ. ავაზაკი, გაიძვერა.

ითქმის ისეთ გაიძვერა ადამიანზე, რომელიც ძალს ისე მოაჭამს ფეხებს, რომ თითონ ძალმა ვერაფერი გაიგოს, ადამიანსაც ისე უყოს სიხვე, რომ იმან მერე გაიგოს, რაც უყვეს.

ძალის ფეხი შეეკვამე ახ. ძალის ფეხი გამოიბა.

ძალის ყბა აქვს გამობმული ჰრე. ადამიანის ყბის მაგიერ პირში ძალის ყბა აქვს. ზგვ. ყბელი, ბევრის ლაპარაკის მოყვარული.

აქ იგულისხმება ძალის დაუღალაობა ყეფით. გამუდმებით მუყუარის მიმსგავსებით ბევრის ლაპარაკის მოყვარულს ძალის ყბების პატრონობა დარქმევი. თელავში XIX საუკუნის ვასულს „ძალის ყბა“ მეტი სახელი იყო ერთ დავის მოყვარულ და აყვია კაცისა.

ძალის ყეფა აღარ მესმის ჰრე. ძალის ყეფა აღარ მესურება. ზგვ. სრულებით არაფერი მესმის, რისამე გაგონების თავი არა მაქვს.

იტყვიან, როცა ძალიან შიით და

მეტისმეტი შიმშილისაგან სმენა აქვსო წართმეული.

ძალის ხორცის მკამელი ჰრე. ვინც ძალის ხორცის კამას არა თავილობს. ზგვ. ავი, ბოროტი, არაკაცი, საშინელი.

ძალის ისეთ ცხოველებს ეკუთვნის, რომელთა ხორცს ქართველებში საკმელოდ არა ხმარობდნენ.

ძალის ხსენებაზედ ჰრე. როცა ძალს ახსენებენ. ზგვ. კაცს ვისმე ახსენებენ და ისიც ამ დროს გამოჩნდება. „ეხლავე ყელში დანას დამაჭერს, მინამ ჯვარისწერა კიდევ წინ გვიდევს. ახლა ისიც ხომ სულელი არ არის, ჯვარისწერა დამაცალოს! საცაა, ის წყეული შემოვი და თხოვნას დამიწყებს. აი, ძალის იც ხსენებაზედ“ (ილ. ჰაშვაძე).

ეს ნაწილია ქართული ანდაზისა: „ძალი ახსენე — ჯობი მოიმაჯგეო“. ე. ი. რომ ახსენებ ძალს, ისიც მყისვე გაჩნდება საკბენად და ამიტომ მაშინათვე ჯობი მარჯედ უნდა დაიჭირო, ძალი საკბენად რომ წაგეტანება, მოიგეროვო. ხატოვანად ნათქვამია უფრო ავკაცზე, რომელიც თუ ახსენე ლაპარაკში, მაშინათვე თვალწინ აგეტუხება და ყველაფერი უნდა იფარხმელო მის ასარიდებლად.

ძალიც არ დაჰყევს იმის ბედს ჰრე.

ძალიც კი ვერ გაუბედავს მისს ბედს დაჰყევსო. ზგვ. ბედნიერია, სახარბიელოა მისი ყოფა. „მე რა ძალა შემეძლო, პირიქით, ლმერთს მადლობასა ვწირავდი, რადგან გიგონილი მქონდა, რომ აღს თუ დაუზავდებოდა ადამიანი, იმის ბედს ძალღი აღარ დაჰყეფდა“ (ვაფ. ფშაველა).

ძალღობა ჰრე. ძალის მსგავსად მოქცევა. ზგვ. უნაზუსტობა, უადამიანობა, შეურბალელობა. „ასი წლის კაცია, რა აიღვეს ცხვარში და შინ არა ზის?! მაგ სულელს გუდაში შაქარი სდებიყო, ვინ იცის, უეშმაკებდა ვინმე თუ ამოუვარდებოდა. — მე დამაბრალო — შენი ძალღობა იქნებაო“ (ვაფ. ფშაველა).

ძალს ვაქმევ ჩემ ხორცს ჰრე. ძალს შეეკმევიანები. ზგვ. ყველაფერს (უღირს რასმესაც) მოვითმენ, ოღონდ საწადელს ვეწიო. მგლ. ძალს ვაქმევ ჩემს ხორცს და შენ კი არ შეგარჩენ ჩემს დამციობას.

ადამიანის სხეულისათვის დიდ შეგინება ითვლება, რომ მისი ხორცი ძალშია სჭამოს. ცეკესიურადაც იგივე უსაშინელეს ცოდვად იყო მიჩნეული. ასე რომ, ეს თქმა უმძიმეს მუქარის გამოხატველად უნდა ჩაითვალოს.

ძალისა (ანუ ქვასაც) კი ვებრალები პრ. ძალისა ცი შევეცოდები. ზტვ. მეტად შესაბრალისი ვარ, ჩემზე საცოდავი არავინაა.

ძალუშადღურობა პრ. ძალის უშადღური ცხოვრება. ზტვ. მეტად ტანჯვით და წვალებით ცხოვრება. „ახლა აქაიკ უხარბაზარი სახლის კუნჭულებში იხსლენ ცოლქმარნი; ცოლი ქმარს შესწიოდა ძალ უშიცხვად რობას და „სხვათა“ სამსახურს ტანჯვად წვალებას და უმტკიცებდა გაცურის სარგებლობას და სიციეთს“ (მელანია).

ძაძი შეშოსვა პრ. სამგლოვიარო სამოსის ჩაცმა. ზტვ. დამგლოვიარება, მწუხარება. „იგი ქმარი კი არ იყო ქალისა, შეუღლე და მფარველი: — მოლაღატე იყო, რომელმაც ესე მუხთლად დიუხშო კარი კეთილისა, დაუსხა კერაზე ცეცხლი, ჩუგდო კოვზი ნიკარში, მოაკო მხიარულებას, წასტაცა ფილა ყოველგვარის სიამისა, ძაძით შეშოსა ახალგაზრდა ქალი“ (ფ. ბარნოვი). ახ. შავის ჩაცმა.

ძვალზედ რბილი (ხორცი) აღნება პრ. ძვალზე მიკრული კუნთები ილევია. ზტვ. მეტის-მეტად ეშინიან, შეძრწუნებულია, შინისგან არ იციან, რა ქნას. „დაუძახეს ცოდვიანსა, — ძვალზედ აღნებოდა რბილი“.

ძვალი გადავფხვდეთ პრ. ძვალი მიეცეთ სხარავად. ზტვ. წვაჭეხეთ, მოვიმდღოვრეთ, მცირე რამ მიეცეთ, გათაჩუნეთ.

ძვალი და რბილი სულ ძირს ჩამომდის პრ. სხეულის ძვალი და რბილი სულ ძირს ცვივია. ზტვ. ძალზე დილოლი ვარ, ზეზე ვერა ვდგები. „გამომბატანე კი ვინმე, მე არ შემიძლიან (მოტანა), დაღლული ვარ. ჩემი შეილებს დარჩენამ, ისეთი ვარ, რო სუ ძვალი და რბილი ჩამომდის. ი რადაც საცოდავი ორი დღის ქერი გვაბადია, ჩემო სიცოცხლე, სუ ერთიან ხელით მოვგლოჯეთ“ (ს. მგალობლიშვილი).

ძვალისა და რბილის გავრთება პრ. სხეულის ძვალისა და რბილის ერთ-

მანეთში არევა. ზტვ. ცემა, დაბეჭვა, დაჩეჩევა, ჯგვლენია. „მეძებართ კვალი ხახეს. მელი გაახტუნეს, ასრე გაჰხადეს, ძვალი და რბილი გაუერთეს. ძლივ დაჩეჩვილმა სული გარდაახწვივა“ (ს. იოზეფიანი).

ძვალი საქონელი პრ. ძვლის მგავსი, უბრალო სევაპრო საქონელი. ზტვ. ვაქრობაში ძალიან მძიმედ ან სულ რომ არ იცილებია, ისეთი საქონელი.

ძვალის გატეხა პრ. სხეულის ძვალის დამტრევეა. ზტვ. სირცხვილის ქანა, სახელის გატეხა, საუფო საქმის ჩადენა, წვალენია. „შეიზინენ და შეიპიღენ ყვისი და გადგომილი. ძმის ძმის ძვალი ატეხინეს, შამის სისხლსა ღერიდა შვილი“ (ილ. ჰაპავაძე).

აქ იგულისხმება ადამიანის ძვალის გატეხა ადამიანისმიერვე, როცა საშინელ ცოდვად, შეუნდობარ ბოროტებად ითვლება ქართველებში.

ძვალი ძვალთავანი და ხორცი ხორცთავანი ვისიმე პრ. ვისიმე ძვლი ვისსამე ძვალსა ჰგავს, ხორცი ვიდევ — ხორცსა. ზტვ. ვინმე ვისმე საშინლად ჰგავს, ვინმე ვისთანმე მიქიდრო დაკავშირებულია, პირდაპირი ჩამომავალია ვინმე ვისიმე.

ძვალსა და რბილში გამჯდარი ის. ძვალსა და რბილში გაჯდომია.

ძვალსა და რბილში გაჯდომია პრ. სხეულის ძვალსა და რბილში (ხორცში) გატარება, ორსავეში გავლა. ზტვ. მთელის არსების გამსჭვლევა, მთელს სხეულში დავლა, ყველაფრის გაეღნებვა, საყსებით შეთვისება რაიმე აზრისა, გრძნობისა, სიყვარულისა.

„ება, თქვენი ქირიმით, ეხლა რომ მაგაებს მეუბნება და მაგაებს სჩადის, მეფე ვახტანგის კანოლებსა და რუჯულს არღვევს. მეგრე რალსა იქს, როცა თავისუფლება, — ღმერთმა-კი ნუ დაასწროს, — როცა თავისუფლება უფრო ძვლებში გაუჯდება!“ (ილ. ჰაპავაძე).

„ეს ზნე (ბატარძლებზე ნადირობა) დასწმდა (ყაზარას) შინა, როცა სოფელში მეწვრილმანის დუქანი ქქონდა და, ისე გაუჯდა ძვალ-რბილში, რომ ცოლმევილობის დროსაც ვეღარ ითმენდა“ (მელანია).

„ტიტიკოს აზნაურობა დიდდა სწამდა, ძვალსა და რბილში ქქონდა გამჯდარი თავისის წოდების უპირატესობა“ (მ. წინამდღერიშვილი).



ძვალ-ტყავადაა პრე. სხეულზე მხოლოდ ძვალი და ტყავი აქვს. სჭვ. საშინლად გამხდარია, დამკლვევებულია. „დღეა მოსუკედა, გლოვობს ძალიან. მამაცე ჰყავს ავიდა, ვახლა ძვალ-ტყავა და, მალე ის მოკვდებიან“ (დ. გურამიშვილი).

ძველი და ახალი პრე. ხნიანი და უხანო. სჭვ. ძველი, გამოცდილი ხალხი და ახალი თაობა, ნაკლებ გამოცდილი. „მომოკითხე ჩემს გარშემო, დაგეკითხე ძველსა და ახალსა, აქეთ ვეცი, იქით ვეცი, მრავალი წვეიანი კაცი ვხახე, მრავალი წიგნი წავეკითხე და ვცან, რომ ადამიანის უბედურება დღემდე იმაში ყოფილა და დღესაც იმაშია, რომ ვერ მიუგნია, რა არის ცოდვა და რა არის მადლი?“ (ილ. ჰავეაძე).

ძვირ გულს ნუ ჩაიდებ (ვიხთვისმე) პრე. ნაკლული გული ნუ გეკნება. სჭვ. ნუ გაუწყობი, მტრად ნუ გადამეკიდები, ნუ დამედღურები. „რა ჰქნას, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, განა შენ არ იცი, ტყუას და მინდორ-გაუ გაზრდილი. რა უნახამ და რა გაუგონია, რო სად როგორ უნდა მაიქცეს? ტყის კაცია, შენი კირიმი, ძვირ გულს ნუ ჩაიდებ!“ (მელანია). „უარესი ძვირი გული აქვს ტიტკოს კოლაზე“ (გვ. მენთეშაშვილი).

ძვირი სანახავი პრე. არაიაფი სანახავი. სჭვ. იშვიათი სანახავი, დიდისხრობით უხახავი. — მოხვედით მშვიდობით, მოხვედით მშვიდობით, ძმობილებო, მეგობრებო; რა ძვირი სანახავი გაჰხდით?! — მიესალმა ორაგულებს კანარი“ (გვა-ფშაველა).

ძვირი (სანახავი) ხტუმარი პრე. ვისაც არახშირად ხელავენ, ვინც იშვიათად ეწვევა ხოლმე თავისს მოკეთებეს. სჭვ. სასურველი, სანატრელი ადამიანი. შგლ. ტარიელი ძვირი სტუმარი გაგვიხდა, თავისი თავი დაგვანატრა.

საცა უყვარვართ და პატივსა გვეცემენ, რაც უფრო იშვიათად მივალთ, რაც უფრო ხშირად არ გვეჩვენებთ, მით უფრო გაეხარდებით ხოლმე ჩვენი ნახვა, მით უფრო სანატრელი ვართ მათთვის, მით უფრო ფასი გვაქვს მათს თვალში.

ძვლები მადნება ის ძვალზედ რბილი მადნება.

ძვლებში გაჯდომა ის ძვალსა და რბილში გამჯდარი.

ძვლის მტეხელი პრე. ვინც ძვალსა ამტვრევს. სჭვ. სახელის გამფუჭებელი, აუგინი, შემრცხვენილი, ბოროტი, ავაზაკი. ის ძვალს გატეხა.

ძილადაც ეყოფა და სიზმრადაც პრე. ძილისთვისაც საკმარისი იქნება და სიზმრისთვისაც. სჭვ. სავსებით ეყოფა, მოქარბებით, მეტი არ უნდა. „სხვის ნულარავის დავასახელებთ, ესეც ეყოფა ჩვენს ავტორს ძილადაც და სიზმრადაც“ (ილ. ჰავეაძე). ის ძილის მოსვლა.

ძილად მივარდნა პრე. ძილისაგან სწრაფად მიტანა სხეულისა. სჭვ. გულის ძილით დამინება, მკვდარივით დამინება, გამოღვიძება რომ ესიკვდილებოდეს. „შალვა, მაშვრალი ჯაფისი-გან, მივარდნილიყო ძილადაც“ (რ. ერისთავი). „ვინ დამკრა გრძნობის სიმებსა, ზედ ვინ დამღერა ტკილიადა. ვინ ვაღვიძა ის ერი, ძილად მივარდნილი ძილადა?“ (მ. მღვიმელი).

ძილად ქცევა პრე. ძილის სახის მიღება. სჭვ. გაბმით ძილი, ბევრი ძილი. ის ძილის მოსვლა.

ძილი პრე. დასვენება, გრძნობათა მოღუწებით გამოწვეული. სჭვ. უმოძრაოდ ყოფნა, არაფრის კეთება. ინერტობა, სიკვდილი. „ახ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, როს-ლა გველირსოს ჩვენ გაღვიძება?“ (ილ. ჰავეაძე). „ასე საზოგადო სული ბუნებობის ენის ტრფიალებისა კმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არა სძინავთ გონებით“ (ნ. ბარათაშვილი). „მას აქეთ, რაც გერმანიასთან ომმა დააუძლურა საფრანგეთი და განამარტოვა, ინგლისს არ ეძინა, თავისს საქმეს ჰჩარხავდა ეგვიპტეში“ (ილ. ჰავეაძე). ის ძილის მოსვლა.

ძილი არ ეკარება პრე. ძილი ხელს არ ახლებს. სჭვ. სრულებით არ ეძინება. „რა ღამე იყო ის ღამე, კიკომ რომ შინ გაატარა! შიშით თრთოდა, ძილი არ ეკარებოდა. ჩამოსთვლემდა თუ არა, სულ თავის უბედურება ეზმანებოდა, კრთებოდა და თვალი ღია რჩებოდა“ (ვ. ბარათაშვილი). „იმ ღამეს ოთარაანთ ქვრივს დილაღე ძილი არ შიჰკარებია. იმ დღის ნალაპარაკებმა ათასნაირს



ფიქრის მორევე ატრიალა ნაფოტ-სავით იმისი ქეჟა და გონება“ (ილ. ჰავჭავაძე). **იხ. ძილის მოსვლა.**

ძილი აპყოლაა ჰრდ. ლოგინიდან ძილი აუტანიდა. ზღვ. ძილი დაჰკლებია, გამოძინება ვერ მოუხერხებია. **იხ. ძილის მოსვლა.**

ძილი მომერია ჰრდ. ძილმა აჯობა, ძილი იმაზე ღონიერი გამოდგა. ზღვ. ძალზე მოუნდა დაძინება. „ვცოცხალვარ ძველებურადა: ვითმენ სიციცეგს, შიმშილსა, ძილი რომ მომტეხს კისერსა, წავეწები ღობის ძირასა, ეკლები მხეველტენ გვერდებში, შხაპუნი გააქვს წვიმასა!“ (რ. ერისთავი). **იხ. ძილის მოსვლა.**

ძილისათვის თავი უკვდება ჰრდ. სასიკედილოდაც თავს გაიმეტებს, ოღონდ დაძინოს. ზღვ. საშინლად უნდა ძილი. **იხ. ძილის მოსვლა.**

ძილის გაკრთობა ჰრდ. შეშინება ძილის ღროს. ზღვ. უძილობა. „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული, პოი, მიმულო, გამიკრთა მე ძილი და შეება!“ (ილ. ჰავჭავაძე). „გამოვიდა ქოსა, მონათ უთხრა: „სძინავს (ყადის), ნუ შეხვალთ, ძილი არ გაუკრთოთ!“ (ს. თრებელიანი).

ძილის გამოცხობა ჰრდ. უძილობის შემდეგ დაძინება (ხუმრობითი). ზღვ. ტკილად ძილი. „ნურას უკიცრავით, თქვენი პირიმეთ!.. ახლა კი წავალ და ერთი კვი ძილს გამოვაცხობ... თორემ...“ (რ. ერისთავი). **იხ. ძილის მოსვლა.**

ძილის გატება ჰრდ. ძილის დამსხვრევა, ნატეხებად ქცევა. ზღვ. გამოღვიძება და მერე შეუძლებლობა დაძინებისა, უძილოდ დარჩენა. „ღამე მშვიდობისა!.. ვიშ! ძილი გამიტყდა... კისერი მოსტყდეს მაგ ღოთებს!“ (რ. ერისთავი). **იხ. ძილის მოსვლა.**

ძილის გულა ჰრდ. ვისაც ძილი გულთ დაქვს. ზღვ. ბევრის ძილის მოყვარული. ძილით გაუმძღარი; საქმეს რომ გაურბის, „ისიც ხომ ფრუტუნა! ძილი-გულა ბიჭია, შარშან ჩემთან რო უჯდა გუთანზე, ჩემი თქმა იმასთან სულ ის ყოი, რომ არ სძინებდაყო ისე ბეგრი; სამხრის-ხარს ჩარეკავდა წყალზე, დაეძინებოდა და ერიპაი!“ (ს. მგალაბლიშვილი). „შემოვიდა წირპლიანი, ძილიც-გულა, დაგლეჯილი გოგო, რომელსაც თავ-

ზედ მოხვეულ დახეულ ხელსახოციდამ მუჟა-მუჟა წილიანი შავი თმები ამოწვერილი ჰქონდა“ (ილ. ჰავჭავაძე). „ზარმაცი და ძილიც-გულა შევავრდები მასწავლებელს“. (შ. მღვიმელი). **იხ. ძილის მოსვლა.**

ძილის დაფრთხობა ჰრდ. ძილის შეშინება. ზღვ. მოუსვენრობა, დარდი, შეშფოთება, საზრუნავის გაჩენა. „თუმცა ესეა, მაგრამ მაგ თვითმართველობას ქვეყანაზედ ბევრი მტერი აყავს; ბევრს უფრთხობს ტყუილ-უბრალოდ ძილსა და მოსვენებას“. (ილ. ჰავჭავაძე). „ან რა ხელს მოგცემს თათბირი, თუ არ დაგეფრთხობს ტკბილს ძილსა?“ (რ. ერისთავი). **იხ. ძილის მოსვლა.**

ძილისათვის თავის წართმევა ჰრდ. ძილისათვის თავის დაღწევა, ძილის არიდება. ზღვ. არდაძინება, გამოფხიზლება. „ამისათვის არ იქნებოდა ურიგო, რომ ჩვენმა ქორიძებმა, მიღუმებული და მძინარეთ, თავი წაართვან ტკბილს ძილსა, ქართულ პანგზე დააწყონ რომელიმე სასუკეთესო ხმები და მით ასიამოვნონ თავისს მშრომელ ქვეყანას“ (ილ. ჰავჭავაძე). **იხ. ძილის მოსვლა.**

ძილის მიერ თავის წართმევა ჰრდ. ძილის მიერ მორევნა აღაშინისა. ძილისათვის ვერგაძალიანება. ზღვ. შეუძლებლობა ფხიზლად ყოფნისა, ძილსა უნებურად დაძინება („ძილმა თავი წამართვა“), შეტისშეტი ნდობა ძილისა. „წარმოსტევა ძეგლმა, გაჯავრებულმა, გულამოსკვნილმა; ეხლა ხომ თავი წაგართო ძილმა, მე რომ ეგ მექნა — მომეწყოდით, ძალი და კატა დამესკოდიოთ“. (რ. ერისთავი). **იხ. ძილის მოსვლა.**

ძილის მოკიდება ჰრდ. ძილი რომ მოეკიდება ვისმე. ზღვ. დაძინება, ფხიზლად ვერგაჩერება. „აქ ღვეანს კინწი მოსწყდა ბევრი ღოთობისა და ღამისტეხისაგან, ძილი მოეკიდა, ნინო დაბლა დასო, თვითონ კალთაზე თავი დაუდო და ისე დაიძინა“. (რ. ერისთავი). **იხ. ძილის მოსვლა.**

ძილის მოხვლა ზღვ. მოსვენება, უმოძრაოდ ყოფნა. „უწყალოდ ვმრონობთ დღე და ღამ, ვიდრე მოგვივა ძილია“ (ი. დავითაშვილი). „საწყალო მელა ჩიოდა: არ მომივიდა ძი-



ლია, ერთსა საჭათმეს მივაგენ, გა-
მოეფთხარე ძირია“ (ხალხური ლექსი).
„ძილო, ნუ და მძეძინებ, საბრა-
ლოსა მეო, ქმარს პერანგი არ მიტყვი
საბრალოსა მეო, მოვეურთავე და
მოუუტერავ საბრალოსა მეო“ (ხალ-
ხური ლექსი დამის თვისა). „დავწეები
და მძეძინება, პირჯვარი დამეწე-
რება, ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი
თავქვეშა დამესვენება“ (ხალხური
ლექსი).

ადამიანის პირველყოფილი, ანიმის-
ტურად განწყობილი წარმოდგენა ყო-
ველგვარ ფიზიოლოგიურ მოვლენის
მიხედვად გულისხმობდა არსს, მისსავე
მსგავსად მოძრავს, უხილავს და მეტად
ელასტიურს, ერთი ადგილიდან მეორე
ადგილას ელვის სისწრაფით გადა-
მსვლელს. ასეთებია არსი სხვადასხვა
სწეულებათა, ასეთია არსი სიკვდილი-
სა, ასეთივეა არსი ძილისა, რომელიც
ჩვენის ხალხის წარმოდგენით, სიკვ-
დილს, თუ არ შეტად, სანახევროდ
ეტოლებოდა.

მდაბიოს წარმოდგენით მზის ამოს-
ვლიდან მზის ჩასვლამდე საჭმიანობით
და ფუსფუსით მოლლილ-მოქანცულ
ადამიანთ თუ ცხოველთ, თვალებიდან
სხეულში ჩაუძვრება ძილი და იქ რჩება
მთელ ღამეს დღამდე, სანამ გაიღვი-
ძებდეს ის, ვისთანაც ეს ძილი „მოვი-
და“.

აქედანაა გაჩენილი სხვადასხვა ტერ-
მინები, ძილთან დაკავშირებით.

როცა კაცს არ ეძინება დიდხანს,
ამბობს: „ძილი არ მომივიდაო“ ან
„ძილი გამიკრთაო“, ე. ი. ძილი, ჩემ-
თან რომ უნდა მოსულიყო, რაღამაც
„გამიკრთაო“, შეაშინა ვიღამაც ან რა-
ღამაც და ჩემამდე არ მოვიდა, განმე-
შორაო, ანდა იგივე უძილო კაცი იტყ-
ვის: მთელი ღამე თვალები არ მომი-
ხუტუნიაო, რაიც ნიშნავს იმას, რომ ძი-
ლი თვალებში არ ჩამსვლია, რომ მო-
მეხუტუნა და დამეძინაო.

როცა ძალზე ეძინებათ, ამბობენ:
ძილი მომერიოაო, რაც უდრის იმას,
რომ ძილმა იერიში მოიტანა დასაძი-
ნებელ კაცზე და მოერიოაო. იტყვიან
აგრეთვე: „ძილმა თავი წამართვაო“
მამინ, როცა ძილი არ უნდათ, ძილს
ებრძვიან, ცდილობენ იფხიზლონ, მაგ-
რამ „ძილი თავს წაართმევს“, მოერივეა
და ბოლოს მაინც დაეძინებათ.

ან კიდევ, როცა კაცს ისე ძალიან
მაგრად დაეძინება, რომ მისი გამოღვი-
ძება გასაჭირია, ან ვაგვთხად არ გა-
ეღვიძება, იტყვიან — ძილ ქუში და-
აწვაო, ე. ი. ძილის ერთგვარმა ავად-
მყოფობამ შეიძუროვო, ძვედარვით
დასძინებია, ძნელი გამოსალვიძებელი
გახდაო.

ძილქუშის ბადალი სიტყვაა: „ძი-
ლად ქვეა“, ანუ ისეთნაირად დაძინე-
ბა, რომ გამოღვიძება გასაჭირი იყოს
და თან გაბმით, სულ დიდ ხანს ეძინოს
კაცს, გამოღვიძება ალარკვი მოაგონ-
დეს.

როცა ძალზე ეძინებათ, ამ მდგომა-
რეობას ამ ფრაზით გამოხატავენ: ძი-
ლისათვის თავი უქვედებაო.

ძილად მივლისას ერთმანეთს უნდა
გამომეწვიდობონ და უთხრან: ძილი
ნებისა ან ძილი კარგად ყოფნისა! ამით
გამოხატავენ იმ აზრს, რომ ნასტუმ-
რებმა ძილმა სიტკბო, სიკეთე მოგაინ-
ქოსთო.

ძილს ჩვეულებრივ სიზმარი მოჰყე-
ბა ხოლმე. სასურველია, რომ ეს სიზ-
მარი ტკბილი იყოს, უშფოთავარე. და
ამიტომაც, რომ ერთიმეორეს ეტყვიან:
ანგელოზები გასიზმროსთო!

ძილის ქვეყანას ჩამოუვლია პრდ. ჩა-
მოუვლია საღმრ. იმ ქვეყანას, საცა
ყველასა სძინავს. ზღვ. ყველასა სძინავს,
ფხიზელი არაეინაა სახლში.

ეს ხახვერად სახუმარო და ნახე-
რად სასაყვედურო ხატოვანი თქმა
იხმარება, როცა ამა თუ იმ სახლში
ყველას ადრე დაუძინია და არაეინა
ფხიზლობს, რომ სახლში ვისმე სა-
მტროდ მოსულს გულისხმადების ასრუ-
ლებებში ხელი შეუშალოს.

ძილმა თავი მოხტა პრდ. ძილმა თავი
მოჰკვეთა, უთავოდ დასტოვა. ზღვ.
ძილი მოგროია, ძილი დაეუფლა, ძილ-
მა დასჯაბნა, დაეძინა. „(მანია) რამ-
დენჯერმე ეცადა ძახილით წუნეს
გაღვიძებას, მაგრამ ძილმა ჩქარა
თავი მოსჭრა და თვალები და-
ხუშა“ (ალ. ყაზბეგი).

როცა ძალზე დაღლილი ვართ, ძილ-
ლონის აღსადგენად ძილი მოგვიდგება
ხოლმე და ზოგჯერ ისე ძლიერადაც,
რომ რაც უნდა ვერძნოთ ძილს, მაინც
მოგვერევა, „თავს მოგვტრის“, ე. ი.
თავს მოაშორებს ჩვენს სხეულს, ანუ
მოგვადუნებს, და ყოველისავე წინააღ-

მდგომარეობის უნარს მოგვისპობს, დაგვაძინებს.

ძილმა თავი წამართვა ჰრ. ძილი ჩემს თავს დაებატონა. ზღვ. ჩემდა უნებურად დამეძინა, უხომოდ მომინდა ძილი. „სიბირად შუალაშე ვადავიღოდა ხოლმე, რომ ეს (მართა) მაინც ხელსაქმეს აკეთებდა, რათა კარგა მოქანცულიყო, ღრმა ძილს თავი წაერთმია, დაესვენა, სიზმარი დაშორებოდა“ (ან. ერისთავ-ხოშტარია).

თავი ადამიანის სხეულის უმაღლესი კიდურია, სადაც მოთავსებულია ტვინი და მრავალი გრძნობათა ორგანოები, რომელნიც მთავარი ხელმძღვანელობას უწევინებს ადამიანის სხეულს. ამიტომ ქართულში თავი, უმეტეს შემთხვევაში, გამომხატველია ადამიანის მთელის სხეულისა, მისი მთელის არსებისა. ხოლო ძილის მიერ თავის წართმევა გულისხმობს დაღლილ-მოქანცულ გრძნობათა შესვენებას, მათის დასუსტებულ ძალ-ღონის და მოქმედების ფუნქციის აღდგენას.

ძილმა თვალეში მოშპარა ჰრ. ძილმა ქურდულად თვალეში დამახუჭვინა. ზღვ. ჩემდა უნებურად დამეძინა. მგლ. ძალზე დაღლილი ვიყავი, მაინც არ შემეძლო დამეძინა, მაგრამ ბოლოს მაინც ძილმა თვალეში მოშპარა.

თქმა — ძილის მიერ თვალეშის მოპარვა გამოხატავს ძილის მიერ ჩვენს მორგენას, დამორჩილებას, და ჩვენდა უნებურად დაძინებას ისე, რომ ვეღარც-კი ვავიჯოთ, თითქო მომხდარაიყოს ქურდულად, მოპარვით. **ძილმა კისერი მოხტება იხ.** ძილი მოერია.

ძილმა წამიღო ჰრ. ძილმა ერთ ადგილიდან (მღვიძარებიდან) დამძრა და სხვაგან (თავისკენ) წამიყვანა. ზღვ. ჩემდა უნებურად დამეძინა. „ქათმები, დიდი ხანია, ძილმა წამიღო“ (შ. არაგვისპირელი).

წარმოდგენილია ფიზიოლოგიური მდგომარეობა ადამიანისა, მეტოქე ფსიხოლოგიისა, შექმნილი მის უნებურად, მის სურვილისა და ნდომის გარეშე. გაძლიერებულ დაღლილობით გამოწვეულია, რომლის დროს სრულიად ან ხაწილობრივად წყდება შეგნების მუშაობა.

ძილში გაპარვა ჰრ. ძილის დროს ქურდულად სადმე წასვლა სახლიდან.

ზღვ. უნებურად სიკვდილი, სულის ამოხდროს ისე, რომ არავინ დაინახოს ან გაიგოს. „ძილის დროს (დიდელმა მარიაშმა) დაიკრინა ხელეში, ფეხები გაშხლართა და ძილში უნებურად გაიპარა“ (შ. არაგვისპირელი).

მომავლადევა ხოლმე, რომ სახლში არავინა ჰყავს მომვლელი და ყურის-მგდებელი, ან, თუ ჰყავს, მის სიკვდილის წამში მის სარეველთან არ არიან; ისიცა ჰკედება ძილში უშეთოფლად, წყნარად, ხმის ამოუღებლად, თითქო ქურდულადა შორდება აქაურობას, რომ არც არავინ დაინახოს და არც არავინ გაიგოს ჩემი სულის ამოხდათ.

სწორედ ასეთს მომენტს გვიხატავს ადამიანის გადაცვალებისას ხსენებული ხატოვანი თქმა: ძილში უნებურად გაიპარაო...

ძილქუში დაწვა იხ. ძილის მოსვლა.

ძირგვარდნილი ქვევრია ჰრ. ქვევრი, რომელსაც ძირი გავარდნილი აქვს.

ზღვ. აუცხებელი, ზვევრს რომ იტყვს. „მართალიც ბრძანდებოდა მისი ბრწყინებულება: მისის აზრით, კაცი ძირგვარდნილი ქვევრი იყო, რომელსაც ლეიჯოველ უნდა ჩააყარო ხორბავი და ჩაასხას სასმელი, მაგრამ კიდევ მაინც ვერ აივსო“ (ილ. ბავშვაძე).

ძირზედ ხელის მისმა (ჭურჭლისა) ჰრ.

ძირისათვის (ჭურჭლისა) ხელის მიკარება. ზღვ. ჭურჭლის ძირამდე ამოცლა შიგდებულისა, ჭურჭლის დაცლა, შიგ არაფრის ჩატოვება.

„სულ ერთიანად დავამსგ (ერბოყველით) ის ქოცოვები ჩვენია, სულ ასე ამეუქვამა (მთიულის ქალს), ძირზედ მეესო ხელია“ (პ. უმიკაშვილი).

ძირა ჰრ. მცენარის ნაწილი, რომლითაც მცენარე მიწასთანაა მიმაგრებული და რითაც მიწიდან საზრდო ამოაქვს; რაიმე საგნის ქვედა ნაწილი, რომელიც ნიადაგშია დაფარული. ზღვ. დასაწყისი, კავშირი, ჩამომავლობა, წარმოშობა. „მონათა მიხედა სიხარბე მის საჭურჭლისა ძირისა... მხახე, თუ ოქრო რასა იქმს კევრთი ეშმაკთა ძირისა“ (შ. რუსთაველი).

ძირიანად ამოღება ჰრ. მცენარის ძირის მოშორება მიწიდან. ზღვ. ძალზე გაღანძლვა, ყველა ნაკლის წამოღება.

გება, გამოაშვარავება, საჯაროდ სახელის გატეხა. „სოფლის დედაკაცობას ხომ უფრო ეშინოდა ოთარაანთ ქვრივისა. ვაი იმას, ვისაც უსაქმოდ მოასწრებდა ხოლმე. ძირი ანა და ანაოღებდა, ძირიანად მოსთხრიდა“ (ილ. ჰევეაძე). „იმას ამ საბუთით ვამბობთ, რომ ნამდვილი და მართალი ნაკლი ჩვენებურ ბანკისა ვერ დაუნახავს, ვერ გაუთვალისწინებია და ტყუილებით მისდგომია და ჰლამობს ძირი და სახელი მოუთხაროს, მიწასთან გაასწოროს“ (ილ. ჰევეაძე).

ძირიანად მოთხრა ახ. ძირიანად ამოღება.

ძირი დაძახე ჰდე. დაძახებინე (ქიქას), რომ ძირი გამოჩნდაო. ზგვ. საღვინე ქიქა სულ დაცლილია. ისე, რომ ძირი ჩანს, ძირი ცარიელია. მგლ. ღვინის ჩატოვება არ იყოს, თუ ბიჭი ხარ, ძირი დააძახე (ქიქასა). ახ. ცას უტკბირე. უქობოდ დაცლა (ქიქისა).

ამ სიტყვებით მიმართავს თამადა სუფრაზე მოსუფრალს, როცა ამ უკანასკნელმა ვისიმე საღვინეზე უხდა დასცალოს და ის-კი შიგა სტოვებს ქობას. ამ თქმას აზრადა აქვს მსმელი წააქეზოს და ქიქაში არაფერი ჩაატოვებინოს.

ძირი მოიღვა ავდარმა ჰდე. ძირი მოიგრა მიწაში ავდარმა. ზგვ. გადაუღებლივ წვიმს.

ძირის აკვრა თახსა ჰდე. ღვინის სასმისის გადმობრუნება და ცარიელ ძირის ჩვენება. ზგვ. უქობოდ დაცლა სასმისისა. „გიორგიმ თითონ გარდუხადა დის მაგიერ დიდი მადლობა, შემოსძახა სამადლობელიც, აუქრა ძირი ვიება თახსა“ (გ. ბარნოვი).

ძირის ვადგმა „რასაცა დასთეს მიწასა პირსა, იგივე ამოევა, გაიდგამს ძირსა“ (ქილია და ღამანა). ახ. ფეს ვების ვადგმა.

ძირის გამოთხრა ჰდე. ძირის გამოცლა. ზგვ. ცდა, დრო იხელთოს და აენოს, დახარალებდა, დალატი, ორგულობდა, გაუტანლობდა, უპირულობდა. „საწყალო მგლა ჩივოდა: არ მომივიდა ძილი... ერთსა საქამფის მივაგვე, გამოვუთხარე ძირი“ (ხალხური ლეგა).

ძირის გამოჩენა ჭურჭლისათვის ჰდე.

ჭურჭლის ძირის დანახვა. ზგვ. ჭურჭლის დაცარიელება (ღვინისაგან), ბერძნის დაღვევა, საერთოდ ღვინის მსმელობა. „მართალსა ბრძანებთ მამო, ჩვენმა კაცმა თუ ღვინო დანახა, სანამ ჭურჭელს ძირს არ გამოუჩენს, არ მოეშვება...“ (ან. ვრისთავ-ხოშტარია). ახ. ძირი დააძახე. უქობოდ დაცლა ქიქისა.

ზოგი მსმელია ღვინისა, ქიქას თუ რამ სხვა სასმისს, რომ მოიყუდებს, მანამ არ მოეშვება, სანამ არ დაცლის, შიგ ერთი წვეთი არ გაუშვას, ქობა არ დაუტოვოს, ძირი არ დააძახოს და ეს ძირი სახილველად არ გახადოს. ასე რომ, ძირის გამოჩენა ჭურჭლისა გვიხატავს ღვინის სმის ტრფიალებს და ამ სმის შეძლებას იმის მხრივ, ვისაც ღვინით სავსე ჭურჭელი ხელთ უპყრია. **ძირის მიხრელი ვისიმე ჰდე.** ვისიმე ქვეშიდან საძირკველს რომ გამოუთხრის, ზგვ. მოლაღატი, მტერი, ორგული, გაუტანელი, უპირული. — შენ ძმა კი არა, ჩემი მოსახლე მტერი, ჩემი ძირის მოთხრელ ამჟოელი ხარ! მუდამ მლაღობ, მუდამ ჩემი მარცხი და დალატი გიძევს გულში“ (თ. რახივაშვილი).

ძირს დაღება თავისა ჰდე. თავის მოდრეკა, ძირს დაწევა თავისა, თავის მოხრა. ზგვ. დაღონება, უძღურების გამოჩენა, მორჩილების გამოხატვა. „თამარ დედოფალი ვიყავ, თავი ძირს აღარ დავიღე“ (ხალხური პეხია).

როცა მოწინააღმდეგე ჩვენზე ძლიერი გამოდგება და მასთან ბრძოლა აღარ შეგვეძლება, ან კიდევ საერთოდ დასუსტებული ვართ, თავს ძირს დავებრით, ჩავიღებთ იმის მაგივრად, რომ ეს თავი თამამად, გამართული გვეპიროს და მოსალოდნელ ვაპირებდეს თუ ხილათს პირდაპირ, თავაწეულმა ვუტკბიროთ და თვალი თვალში გავუყუაროთ.

ძირს დაშვება ჰდე. ძირისაკენ მიმართვა. ზგვ. მოშლა, თავის დანებება, ხელის აღება, დავიწყება. „მედგრაით დახედით ზამთრის პირსა, სიცელქე და სიციასკე არ დავუშვებთ ერთხელ ძირსა“ (შ. მღვიმელი).

ძირს დაცემა ჰდე. თავის საკუთარ სიმძიმით ზევიდან ქვემოთ წამოზიდვა, ან სხვის მიერ წამოზიდვა და დანარცხება. ზგვ. მოსპობა, დაღარიბება,



დამარცხება, გაქრობა, განადგურება. „ამათ ხომ დარქალის შნოც არა აქვსთ, საიდუმლოს შენახვისა. ქვეყანას შემიყრიან, განვაშს ასტეხენ და მთლად ძირს დამიციემენ ისეც შერეულ ოჯახს“ (ვ. ბარათვი).
ძირს იტკირება ჰრღ. ქვეით მიწისკენ იტკირება, თვადღუნულია. სჭვ. ცუდი რამ განზრახვა აქვს, გაზარელი აზრები უტრიალებს თავში; იმის შიშით, ვიი თუ ბოროტი განზრახვა თვალეში შემატყონო, თვალ ვერ უსწორებს მოპირდაპირს, ძირს იტკირება.

ძირს ნუ მივღებ სიტყვას ჰრღ. ჩემი სიტყვა ძირს დასავდები არ არის. სჭვ. ჩემს სიტყვას ნუ აფუფსურებ, ჩემი სიტყვა ყბადსაღები არ არის, რასაც გეუბნები, კარგად ასწონ-დასწონე, კარგად დაფიქრდი, მე მართალს გეუბნები. „სიივეს სიტკო სჯობია, სიტყვას ნუ მივღებ ძირსაო!“ (ვიწიე შესბი—ფ. გვარამია).

რაც უფასურია, რაც არაფარადა ღირს, იმის დასაქრად ხელს არ მოვაცდენთ, არამედ ძირს ვავდებთ, თავიდან ვიშორებთ, როგორც მეტს ბარგს, როგორც უხმარს რასმე. მამასაღამე, ნათქვამი რამ აღამიანისა ორის ჯურისა: ერთია — რაც აღამიანმა აღმა გულისყური თუნდა მოისმინოს და სერიბო მასუხივ გასცეს; მეორეა — ნათქვამი, რომელსაც დარბანისობის ნიშან-წყალი არა აქვს და თუ ცალყურში შეუშვა აღამიანმა, მეორე ყურიდან თუნდა გამოუშვას. ასეთი სიტყვა ხელში არ თუნდა დაიქიროს მსმენელმა ანუ, როგორც ზევითაა ნათქვამი, ძირს თუნდა დაავდოს, ანვარიში არ თუნდა გაუწიოს...

ძიძგი, ძიძგი, მამალო, შენ იცი და მაგანო! ჰრღ. მამალო, ამა შენ იცი, როგორ ღონიერად ჩაჰკრავ ნისკარტს მეორეს! სჭვ. წაქეზება, ორის მოწინააღმდეგის მიერ თავის გამოღებინება ერთი-მეორეს დასამარცხებლად. „ძიძგი, ძიძგი, მამალო!.. შენ იცი და მაგანო!..“ (ი. მანუცაშვილი).

როცა ორი მოწინააღმდეგე იბრძვის, ხოლო გარეშე მყოფებელს არ ანაღვლებს ერთ-ერთის დამარცხება თუ გამარჯვება, პიროქით, თუნდა ორივე დამარცხდეს და ბურთი და მოედანი იმას დარჩეს. გარეშე მყოფებელიც

სწორედ ამ დროს მიმართავს იმ წაქეზების ფორმულით, რომელსაც ხმარობს ჩვენი მდაბიო სოფლად, როცა ორი მამალი წაიბოდება და მყოფრებული კი უძახის: ძიძგი, ძიძგი, მამალო, შენ იცი და მაგანო!.. ე. ი. იმბარონ ის სიტყვები, რომლებითაც მიმართავენ ორ წაჩხუბებულ მამალს.

ძლევა-მოსილი ჰრღ. ძლევის მატარებელი, ჩაცმა ძლევისა ტანისამოსის მსგავსად. სჭვ. ძეჯბნი, ძმლეველი, მომრევი. დამმარცხებელი.

ძლიერნი ამა ქვეყნისანი ჰრღ. ვისაც ამ ქვეყნიური ძალა-უფლება ხელთ უბყრიით. სჭვ. ვინც ვაბატონებულ, ექსპლოატორულ კლასების სათავეში დგანან. „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ვარშემო იკრებს მთელი რუსეთის რევოლუციურ დემოკრატიას და თავზარს სცემს „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ (ი. სტალინი).

ეს გამოთქმა ბიბლიური და მიემისებოდა ხელად, მეთვის დროს. იმთ, ვისაც ხელთ ეყარათ ქვეყნის მართვა-გამგეობის ძალა-უფლება და სათავეში ედგნენ მშრომელებზე ვაბატონებულ კლასებს.

ძლივს არ ვააცივა ნაცარი! ჰრღ. როგორც იქმნა, კერას მოშორდა და ნაცარიც ვაცივდა. სჭვ. როგორც იქნა. სახლიდან გარეთ გამოვიდა და შინჯდომსაზე ხელი აიღო. ზღა. პაპა-ჩემმა, ამდენი ხნის ავადმყოფობის შემდეგ, ძლივს ვააცივა ნაცარი!

ითქმის აღამიანზე, ვინც დიდხანს იავადმყოფა, მამასაღამე, შინ იჯდა, კერის პირას. აგრეთვე ითქმის ზარმაც-ზედაც, ვინც შინა ზის, კერის პირას და ნაცარსა ჰქექავს, გარეთ გამოსვლა და საქმიანობა პირდაპირ ესიკვლილება. ბოლოს, როგორც იქნება, ნავსს გასტებს და გარეთ გამოვა.

ორსავე შემთხვევაში როცა ნავად-მყოფარი და ზარმაცი გარეთ გამოვლენ. იგულისხმება, რომ დიდხანს არ დაუბრუნდებიან კერას, ყოველსავე შემთხვევაში, იქამდე, სანამდე ცუცხლი წინავეღებოდეს და ნაცარი ვაცივდებოდეს. და სანამ მათი მყოფრებლები მათზე არ იტყვიან: ძლივს არ ვააცივეს ნაცარიო!..

ძმამიჭობა ჰრღ. ძმობა, ძმურად მოქცევა. სჭვ. კარგად მოქცევა, სიყვან-

10. თ. სახიკია, ქართული საბჭოეანი სიტყვა-თქმანი. III.

რული, დახმარება, შევლა. დაცინ-
ვითი: უანგარიშოდ წაყვანა საქმი-
ნა, უსამართლოდ მოქცევა.

მმარს მაწურები ცხვირში ის. ცხვი-
რიდან მმარო აღინა.

მმასავით პრე. მმის მსგავსად. ზვ. ძა-
ლიან კარგად, ერთგულად. „პო,
ისეთი კაცი გიშოვნო, მმასავით
მოგეხმაროს“ (ილ. ჰავევაძე).

მმას ვეუბნები პრე. ჩეუ დედ-მამის
შეილთან ვლაპარაკობ. ზვ. საიდუმ-
ლოდ შეინახე, სხვისთან არ ითქმის,
მხოლოდ მმას ეთქმის ასეთი საიდუმ-
ლოება. „იორამი. შენი უყოლარი-კი,
ჩემ მმას გიამბო, არ არის ეს
საქმე, შენც შეგელომნა კი ის ერთი
სუორილი“ (ვაფ. შამაგია).

მზობრდინშენითი თქმა. იხმარება,
როცა ერთმა მეორეს უნდა უთხრას
ისეთი რამ, რაც ყველასთან გასამხელი
არ არის, მხოლოდ და მხოლოდ მმას
ან მმასებ დაახლოებულს და შინაურს
ვისმე თუ-ღა ეთქმის, გაენდობის.

მმობამ პრე. მმობამ იციის. ზვ. მმობასა
ვეიცავ, თუ მმობა გწამს. „ძალიან
კარგია, მმობამ! გვირჩევნია ჩვენ
ჩვენი სახლებსაჲსაჲს ვაგვბრუნდეთ“
(თ. რაზიკაშვილი).

ერთგვარი ფორმულაა ფიცისა.

მმური ხელი პრე. მმა რომ გამოიშ-
ვირს, ის ხელი. ზვ. უსაზღვრო და-
ხმარება, შევლა გაქირავების დროს.
„ბოროტი არ გვახსოვსო, ამა, მმურ-
ი ხელი, გიმშობთ და გვი-
ძმეთო!“ (ილ. ჰავევაძე).

მნელი გზის გავაკება პრე. აღმართ-
დაღმართიან გზის გასწორება. ზვ. ვა-
ჭირების მოსპობა, დაბრკოლების
აიკლება, გაადვილება რაიმე მნელი
საქმისა. „ჩვენმა დღეა-რუსეთმა და-
აწისოს. დაამკვიდროს და ჩვენთვის
გააქვას ეს ძნელი გზა“
(გრ. ორბელიანი).

მოწვეულის ვაფლახება პრე. წითელის,
მზიარული ფერის ტანისამოსის
შეცვლა შავ, სამგლოვიარო ფერის
ტანისამოსად. ზვ. მზიარულების,
ლხვის შეცვლა მწუხარებად, გლო-
ვიად, დარდ-ნაღველად. „ერთმანეთს
საგვეყარნეთ, მოწვეულნი ვაგ-
ვიფლას დენ“ (შ. რუსთაველი).

ძროხათა მწველელი პრე. ვინც ძროხა-
თა სწველავს. ზვ. ქალი, სუსტი არ-
სება. „შენ თუ აღიია ხარ, არც მე

ძროხათა ვსწველაო“ (გ. ხორა-
ნაული).

ჩვეის მღაბიო ხალხში ფიციური
სამუშაო სამამაკაცო და სადღედაკაცო
განაწილებული ჰქონდათ. მამაკაცი სა-
დღედაკაცო საქმეს არ გააკეთებდა, თი-
ვისთავის უფერად მიიჩნდა. ეთაკილე-
ბოდა. მოტანილ ლექსში კაცი ზისლით
ეუბნება თავისს მეტოქეს: ძროხათა
მწველელი, ე. ი. ქალი კი არ გეგონო,
რომელსაც ხმლის ხმარება არ ეცერხე-
ბაო, იცოდ, შემძლია ხმალი ვაგი-
სწოროვო.

ძროხა მოხარშება შივ (ქვაბში) პრე.
მთელი ძროხა ჩაეყრა შივ (ქვაბში)
მოსახარშავად. ზვ. მეტად დიდი
ქვაბი, ვერა ტრავარმა აქვს.

ძუძულადლოცვილი (ქალი) პრე. რომ-
ლის ძუძუები დალოცვილია. ზვ. ყოველს
ღირსებით შემკული, მეტად
კარგი. „აი, როგორ აქვდა (ყაზა-
რა) ლევანას თავის მეგობრებთან:
„ეგ ძუძულადლოცვილის შვი-
ლი, სწორედ ოქროა, ოქრო!“ (მე-
ლანია).

ძუძულადმწვარი პრე. ვისაც ძუძუ დას-
წვია ცუცხლითა. ზვ. შეილმჯდარი,
უშვილოდ დარჩენილი, უნუგუმო,
მწარედ დაღონებული. მგლ. სიბრა-
ღული უნდა გქონდესთ საცოდავ
ძუძულადმწვარ დედისა!..

ძუძუ, რომლითაც რძესა სწოვს
ბავშვი, სურათი იყო თვით ბავშვის
არსებისა. უძუძულად ბავშვის გაზრდა
ძველად გრეც-კი წარმოედგინათ. მამა-
სადაშე, შეილის სიველით დედისა-
თვის უსაშინელეს სიმწარედ და სახში-
ლად ითვლებოდა; უშვილოდ დარჩენა
დედისა — ამ შეილის მაცოცხლებელ
ორგანოს დაწვას უდრიდა. ხოლო ძუ-
ძუს დაწვა, უძუძულად დარჩენა — შეილ-
თან ერთად სიკვდილს, ანუ ხატოვა-
ნად — დიდს, გაუქარებელ მწუხარე-
ბას, დაუსრულებელ დარდს.

ძუძულადმწვარი (ქალის) კბილის დაღმა
პრე. ქალის ძუძუს თავზე კბილის
მოქერა. ზვ. შეილობილად ვახლო-
მა, დანათესავება — უნცროსები (გვა-
რეულობაში) უფროს დედაკაცებს
ძუძულადმწვარ კბილს აღვამდნენ
და შეილობილად უხდებოდნენ და
ამევიარად საერთოდ ნათესავდებოდ-
ნენ“ (ალ. ყაზბეგი).

ძველად ქართველებში ვისიმე (გან-
საკუთრებით ახალგაზრდების) სიკვდი-

ლის გამო გაწყვეტილ ნათესაობის აღსადგენად ხლოვნურ დანათესავებას მიმართავენდნენ ხოლმე. თუ დედის შეილი მოუკვდებოდა, ვისმე სხვათა შვილს იმეილებდა ეს შვილები ანუ შვილად მოკიდება ხდებოდა ისეთის აქტის საშუალებით, რომელიც მოგვაკონებდა სურათის ძუძუთამაწივარ დედის ცხოვრებიდან: დედა გულს გადაიღებდა და შვილად ასაყვანს ძუძუს ორისავე თავისთვის კბილები უნდა დაედგა და სამჯერ შეფიცეს: „შენ - დედა, მე - შვილი“. ამ შეფიცვის შემდეგ ახლად აყვანილი შვილი ხდებოდა შვილნაფიკად, ხოლო დედა - დედნაფიკად.

ეს ჩვეულება აქვს ალ. ყაზბეგს აღნიშნული თავის „მოდღარში“. იგივე ჩვეულება სრულის თავისის მნიშვნელობით არსებობდა სამეგრელოში ჯერ კიდევ ამ ოცდაათ, ორმოცის წლის წინადაც და მეგრელის თვალში მთელი ძალი და პატივი ჰქონდა. სამეგრელოში ვინჩე რომ იტყვოდა: მაგანს (ქალის) ძუძუებზე კბილი დამიდგამსო, იმასა ნიშნავდა, რომ კბილის დადგმულს ვითომ უწყონია რძე ძუძულის პატრონისა, მისი ნაშვილელი ანუ შვილის მავიერი გამხდარა და, მაშასადამე, მის, როგორც მშობლის მიმართ ამ სახელწოდებასთან შეერთებულ უფლება-მოვალეობით იყო აღჭურვილი.

სვანეთშიც ამასვე ვხედავთ. აქაც ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა ძუძუზე კბილის დადგმას. ეს ჩვეულება მეტად პოპულარული იყო სვანთა შორის. განსაკუთრებით, როცა საქმე შეეხებოდა სისხლის აღებას. ასეთ შემთხვევებში „ძუძუზე კბილის დადგმა“ ერთადერთი საშუალება იყო ორ გვარეულობის შორის სისხლის ღვრის აცდენისა. როცა ერთის გვარის კაცს შემოაკვდებოდა მეორე გვარის კაცი, სისხლის აღების შესახებ არსებულ ჩვეულების ძალით, მოკლულის ნათესაეებს სამავიეროდ უნდა მოეკლათ ან თვით მკვლელი ან ვინმე მის ნათესაეთაგანი, და, ამგვარად, აეღოთ მოკლულის სისხლი.

მაგრამ დრო-ქამის განშავლობაში ამ ჩვეულების სიმკაცრე და უწყალოება შეიზღოდა, უფრო კაცთმოყვარული სახე მიიღო. საქმეში ჩაეროვნენ შუაყავები და ესეივ იცდებოდნენ საქმე მორიგებით, სისხლდაუღვრელად

გათვებინათ. ერთგვარ მატერიალური ზარალის ასანახაურებლად რამდენსავე სულ საქონელს გამოართმევდნენ მოკლულის ნათესაეების სასარგებლოდ და შერიგების დღეს უხე სმა-პურობასაც გამართავდნენ შერიგებაზე დამსწრეთათვის. მაგრამ მთავარი მაჩვენებელი შერიგებისა იყო - ძუძუებზე კბილის დადგმა. მოკლულის დედას მკვლელისათვის თავის ძუძუებზე კბილი უნდა დაედგმევინებინა. ამ თ მათს შორის ჩამოვარდებოდა ნათესაობა. ამგვარად დანათესაეების შემდეგ მკვლელია და მოკლულის ნათესაეებს შორის უნდა მოსპობილიყო ყველა ნასახი მტრობა და უსიამოვნობისა, და გუშინდელი მოსისხლე მტრები გადაიქცეოდნენ ნათესაეებად და მოყვარე-მოკეთებდად.

ძუძუების მოჭრა (დედისათვის) ჰრ. დედის სხეულისათვის მტრელის იარაღით მოშორება ძუძუებისა. ზეც. დიდი ტანჯვა, უსაზღვრო გვემა და წამება. „შვილო, რა გინდა ჩემგან? რათ მაჭრი ძუძუებს, შემირიალე!“ (ავტ. ცაგარელი). „ფემნიშველს ძუძუს ნუ მომჭრით, ღმერთს ნუ ჰგმობთ (შვილებო), თქვენის პირივე“ (ვაფ. ფაშაელა). „ამ სიხერის ეამსა სხვის დასამარხსა მადი, შეილო?! რაზე მჭრი ძუძუებს? რა გინდა ჩემგან?“ (ელ. ჩიჭუბუჭილი).

ძუძუ - ის ჯირკვლოვანი ორგანოა, რომელიც გამოჰყოფს რძესა და რომელიც ნიშანდობლივია იმ ცხოველთათვის, რომელთაც ძუძუმწოვარიანი ჰქვიათ. ეს ძუძუ აღამიანის მღვდრობითის სქესისათვის მთავარი ორგანოა შვილის განმზრდისა. მისი მოჭრა უღრის ქალისათვის დედობრივის ფუნქციების წართმევას, დედის დანიშნულების გაუქმებას, რაც, თავის ბზრივ, სრულებით ბუნებრივად იწვევს და უღრის დედის უსაზომო ტანჯვას, მის უსაზღვრო წამებას.

როცა შვილები დედას უსაზომოდ გააჯავრებენ ან თავიანთის უგვანო ქცევით მშობელ და თავის ძუძუთი აღმზრდელ დედას სიკვდილს მონაბერებენ, გამწარებული დედა თვალცრემლიანი მუდარებით ეტყვის თავისს დამნაშავე შვილს (თუ შვილებს): შვილებო, ძუძუებს, თქვენს გამზრდელ ძუძუებს, ნუ მჭრითო! ცოდო ვარ,



შვილებო, ცოდო, ნურც ეგრე გამიმეტებთო!...

ძუძუმწოვარი ჰრღ. ვინც ჯერ ისეც დედის ძუძუსა სწოვს, დედის ძუძუთი იკვებება. **სტვ.** პატარა, ბავშვი, უბნეო, თავის ღონეს არდნდობილი, გამოუცდელი. „ბელი გწევია, იფიქრე, არა ხარ ძუძუმწოვარი...“ (რ. ერისთავი).

ძუძუს მაწოვებელი ჰრღ. ვინც ძუძუს აწოვებს. **სტვ.** გამზრდელი, მკვებავი, მზრუნველი, პატრონი. „უარს ვერავის ეტყვის (დედამიწა) ეს ლეთისაგან კურთხეული! ყველას დედა,

ყველასათვის ისა ზრუნავს, ყველა იმის ზურგსა ჰკილია. იკურობოს შენი ძუძუ, ჩვენო დედა, ჩვენო გამზრდელი, ჩვენო ძუძუს მაწოვებელი!“ (ვაჟა-ფშაველა).

ძღომა არ ეკიდება ჰრღ. ვერა ძღემა. **სტვ.** უზომოთა სქამს. გაუმბაძლარია. „ეს გმირისეულთან შედარებით ბატონის სახლში ცხენის წურბელა იყო, რომელსაც ძღომა არ ეკიდებოდა, ნახავს რა სისხლსა“ (ს. მგალობლიშვილი).

ძღომაზე ჰრღ. საძღომიდ. **სტვ.** ბევრი, რამდენიც გინდა.

წ

წაბორძიკება ჰრღ. შეშლა ფეხების სწორად დიდგმისა, წონასწორობის დაკარგვა. **სტვ.** დასუსტება, ღონის დაღიწკნა. „კახიმი პერიე სულ იმასა სციდილობდა, რომ რადიკალებისაგან ერთი ფეხიც არ გადაედგა და უნდოდა ეს დასი მწვარში როგორც გაეხვია. იმაზე მოისხლიტა ფეხი, ამაზე წაბორძიკათვით მისმა სამინისტრომ“ (ილ. ჰაევაძე). „ერთ საქმეს გადავჩი დაუსჯელად, მეორეში გავეხვიე; მეორეს გადავჩი, მესამეში შევტოპე... აქ კი, მგონია, წაბორძიკებ“ (აფშ. ცაგარელი).

წადი და გაუძელი (რასმე ძნელს) ჰრღ. მიდი და მოითმინე! **სტვ.** ვერ გავუძლებ, ძნელი გასაძლებია, ბევრი დავიდარაბა სჭირია. „ღარიბისათვის ისეც მტვერი სჯობია ტალახსა. მტვერს ჩამოიბერტყავს კაცი და ტალახს კი ჩამობანა უნდა, ჩამობანას — წყალი და წყალს — სყიდვა. წადი და გაუძელო!“ (ილ. ჰაევაძე).

წადი შენა და ღმერთი სთხოვე! ჰრღ. წადი და ჰკითხე, ღმერთი აქვს თუ არა. **სტვ.** (იმას) — სთხოვე სამართლიანად მოიქცეს, ბოროტი არ ჩაიდინოს, სიბრაულეი ჰქონდეს. „**იოჩამი.** აბა უყურე შენ დედაკაცის ნამუსსა და ღმერთსა! ჯერ ერთი წელი არც-კი შესრულებია მა რძეძაღლსა და ვერ უყურებ, რა საქმეებს აწყოებს! ესლავ სხვის ვადაეკიდა. წადი და შენ ღმერთი სთხო-

ვე მიგ იუღის კერძა!“ (ვაჟა-ფშაველა).

წავალ-წავალა სტუმარი ჰრღ. სტუმარი, რომელიც იმასის: წავალ-წავილო, **სტვ.** ვინც მხოლოდ სიტყვითაა რისიმე გამკეთებელი, საქმით კი ან არ უნდა გაკეთება ან შნო არა აქვს რისიმე გაკეთებისა. „წავალ-წავალა სტუმარი ისევე შინა რჩებოდა“ (ანდახა).

სტუმარი ლეთისააო, — ქართულად ნათქვამია. მართლაც, სტუმარი და სტუმარ-მასპინძლოა ქართველს კულტურადა ჰქონდა გადაქცეული. იყო სტუმარი — ძვირფასი და სასურველი და იყო სტუმარი — ყოველსავე ფასს მოკლებული და არასსურველი. უკანასკნელ კატეგორიის სტუმარი დიდაც უბატივისცემლოდ ეკიდებოდა ქართველთა ამ წმინდა ჩვეულებას. აიღირებდა თავსა და ჩაუჯდებოდა მწვინებელს ვისმე იმ აზრით, რომ ან სადელი ექამნა მისას ან ვახშამი. რომ დაატყობდა, სუფრის ვაშლის დრო ახლოვდებოდა, დაიწყებდა ძახილს: უნდა შინ წავიდეო. მასპინძელი ეტყოდა: როგორ გეკადრებათ, მტრისას ხომ არა ბრძანდებით, უსადილოდ როგორ გაგიშვებთო. თან დიასახლისი ვახვებ აჭინურებდა სუფრის ვაშლას. სტუმარი კიდევ იძახის: უნდა წავიდეო. ეუბნებთან: უნდა დარჩეო. ვაიფლის ცოტა ხანიც და კიდევ დაძახებს, ახლა-კი მოკრძალებულს ხმით: არა, ახლა-კი უნდა წავიდეო. იმასობაში მასპინძელს უკვე ეკარგება ყოველივე იმედი — არსად წავაო და სუფრასა შლის.

აი, ასეთ აბეზარ სტუმრისათვის დაურქმევიათ სახელად წავალ-წავალი. ხატოვანად კი ეს სახელი მიეწერება ისეთს ადამიანს, ვისაც საქმის რისხვებზე ვაკეთებდა ესკვილილება და სიტყვითა და ხმის ხოლმე: უნდა ვავაქეთო ეს საქმეო...

წავიდა ის დრო, როცა მუცელი უკბილად ფაფას სჭამდა პრე. ძველად მუცელს კბილები არა სჭირებდა ფაფის საქმელად. ზვ. ცხოვრება გართულდა. მასთან საბრძოლველად მეტი ცოდნა, მეტი უნარი უნდა, ვიდრე გვექნებოდა. წავიდა ის დრო, როცა მუცელი უკბილოთ ფაფას სჭამდა, უცოდინარი მეურვე ვეღარ იცხოვრებს. მორჩონილი საქმეა.

ირონიული თქმაა. ამ თქმით მიმართავდნენ ისეთს, ვინც იოლად აპირებდა ცხოვრების გართულებულ პირობებთან სვეს გატანას, ვინც ცოდნას, ახალ ცხოვრებასთან საბრძოლველ ამ აუცილებელ იარაღს, არ იძენდა და მინც უხლოდა ეცხოვრა.

და ისეთს კაცს დატყვევებულები: მართალია, ძველად მუცელს კბილები არა სჭირდებოდა ფაფის საქმელად, მაგრამ ახლა ისეთი დრო დავეიდგა, ისე გართულდა ცხოვრება, რომ ფაფა რა არის, ფაფის საქმელადაც კი კბილებია საჭიროვო...

წამალს პრე. ყოველი ნივთიერება, რომელსაც ვხმარობთ ავადმყოფობის მთასარჩენად. ზვ. ყოველივე, რაც აყუჩებს, ამშვიდებს, თავიდან გვაშორებს ზნეობრივს ტანჯვას, ცხოვრების უბედურებს, მარცხს, ზარალს. «თუ ჩვენგან წინა წერილში ნაჩვენებია წამალი არ დაედო (მომრიგებელ მოსამართლეობს), იქამდინ მივია, რომ მარულებითაც დაპყროვავს მგ დანიშნულებას, თუ ვერ აქამდის დაპყროვული არა აქვს» (ილ. პაპავაძე).

წამალს არ აფაფეოქებთ პრე. თოფის წამლისათვის ცეცხლის მოკიდება. ზვ. ფრთხილი, გამოცდილი, წინდახედულები ვართ. «თუ უმადული კაციც არის, ვინ იცის, რა ხათაბა-ლა გავვიმართოს! მართალია, ჩვენ გამოცდილი კაცები ვართ, წამალს არ აფაფეოქებთ» (ილ. პაპავაძე).

წამი პრე. დროის ერთეული, წუთის მესამოცე ნაწილი. ზვ. სულ მცირედი

ხანი. მგლ. გეთაყვა, დამიკადე, წამერთს აქ ვაგზინდები.

წამლად პრე. წამლად, საკურნებლად რომ იყოს გამოსადეგი. ზვ. სრულიად, საბოლოოდ გაქრობა, მოსაზობა, სულ ცოტა. «კიტის ხმაზე ისე ვაპქრენენ თავგები, რომ წამლად აღარ მოიპოვება» (თ. რაზიკაშვილი).

რაიმე მაკურნებელი ნივთიერება წამლად, სიქეიმოდ, ჩვეულებრივ, მინიმალურის რაოდენობით ხმარება ხოლმე. ამიტომ სიტყვა წამლად, ლაპარაკში ხმარებული, აღმნიშვნელი ანუ სინონიმი ამა თუ იმ საგნის სულ მცირე ნაწილისა, როგორც ამას ვხედავთ ზემოთმოტანილ ფრაზაში.

წამლად არ არის პრე. წამლად რომ იყოს, იმდენიც არ არის. ზვ. სრულებით არ არის, სულ ცოტაც არ არის.

წამლად დაგენაყუ პრე. მზალა ვარ შენ საკურნებელ წამლად დაგენაყონ. ზვ. აღერის, თხოვნა. «მე ვიცი, სწავლა— დღე არის, უსწავლელობა — დამეო. ისწავლე, წამლად დაგედე და გადაპხეია ხელში!» (შ. მღვიმელი).

წამლად დაღება ის. წამლად დაგენაყუ.

წამოლაგება პრე. ვისიმე წინაშე დაწყობა რისამე. ზვ. სალანდოვი სიტყვების დაუორღებლად თქმა ვისთვისმე. «გალობა — მთხოვარა ისე არ მიადგებოდა კარს, რომ ოთარაანთ ქერივს რითიმე არ ვაეციოთხა, მაგრამ თვისებურად კი წამოულაგებდა» (ილ. პაპავაძე).

წამომცდა პრე. პირიდან წამომვარდა, ენას მომსხლტა. ზვ. ჩემდა უნებურად ვთქვი, რაც არ უნდა მეთქვა.

წამოსაძახი პრე. რაც პირში უნდა ხმამილლა უთხრას. ზვ. სამხილებელი, აუფი, საძრახი, ნაკლი, ცუდი ზნესაქციელი.

წამოჩიტება პრე. ჩიტად გახდომა, ფრენის შეძლება. ზვ. გაზრდა, წამოზრდა, დიდად გახდომა. «გულაანთ ეკატერინეს რა ბუკი წამოუჩიტა!» (ხ. ლონიაძე).

წამოჩხირება პრე. ჩხირივით წინ ვაშვება თავისა. ზვ. გარევა რამე საქმეში, საცა არ უნდა გაერიო. საცა ღირსი არა ხარ გარევისა. «თორემ ხომ იცი ჩვენი ეხლანდელი ანაბანიანი დედ-მამა: აქო და ყური არალაციისათვის აღალ-მედიდ მოუქრავთ,

თავის უთავბოლო სიბრძნით ყველგან წამოეჩინებოდა, ვითომ-ღა ჩვენივე გვესმის ავი და კარგოა (ილ. ჭაგვაძე).

წამოტარსლება პრე. ქარხალს დამსჯავს სება სახისა (სიწითლით). ზეგ. ბრახისა ან სირცხვილისაგან წამოწითლება სახისა. შგლ. ნიკო ისე გაბრახდა რომ სახე ერთიანად წამოუქარხლდა.

ვინმე რომ ძალზე გაგებარაზებს ან საიფუგო საქმეს რასმე ჩავიდნთ და ამის მოწმე გარეშე ვინმე ვახდება, სახეზე სისხლი მოგვაწვეება და ვაფითოლდებით. ამ ვაფითობას ჩვენი ხალხი ქარხლის ფერს აღარებს და ხატოვანად მისთვის წამოქარხლება უწოდებია.

წამწამანაყული პრე. მშობილი. ახ. წამწამის დაწყება.

წამწამზე უზის პრე. იმის თვალების წამწამზეა დამჯდარი (ვინმე). ზეგ. სულ ის უდგას თვალწინ, სულ იმას უყურებს დღედაღამ ის აგონდება. შგლ. შენმა მზემ, სულ წამწამზე მიზიხარ, აი...

თვალეების წამწამზე თუ რამეა, თვალთათვის უჩინარი არა რჩება. პირიქით. მარად სახილველია. წამწამზე გვიზისო, ხატოვანად ვიტყვით ზოლმე ძვირად აღამიანზე, ვინც ჩვენთვის მეტად ძვირფასია, გოგების თვალთაგან განუშორებელია. ვისაც ფიქრი ჩვენი მარადე მ თავს დასტრიალებს.

მაგრამ არის ხოლმე შემთხვევა, ოდეს ეს თქმა დაციწვითიც იხმარება. მაგ., ყმაწვილი კაცი იყვების: ამა და ამ ლამაზ ქალს ვუყვარვარო... თუ მხოლოდ თავს იწონებს და მსმენელის მოტყუება განუზრახავს, ამხანაგი, არც აცოვებს. არც აცხელებს, პირდაპირ პირში ახლის: როგორ არა, შენმა მზემ, სულ წამწამზე იზიხარ!..

წამწამის დაწყება პრე. ორი მოზარდის მრერ (ქალის ან ვაჟისა) თვლის წამწამის იმობრობა და ქეით ვასრესა. ზეგ. დამშობილება ან დაღობილება ორის მოზარდ ვაჟისა ან ორის მოზარდ ქალის მიერ. „პატაროთაში, როდესაც ჯერ ისევე კოჭობას თამაშობდა, ბესოსა და იმას (მობოს) მოეწონათ ერთმანეთი და წამწამი დანაყეს მშობის ნიშნად“ (ირ. ვედოშვილი).

კახეთში, და განსაკუთრებით კი ქი-

ზიყში, როცა პატარეებს ქალებს თუ ვაჟებს ერთმანეთი თვალში მოკვიდოდათ, ერთი-მეორის წამწამს ქეით დანაყავდნენ ურთიერთთან დასახლოვებლად, ურთიერთთან ძმურის კავშირის დასამყარებლად და აქედან გაბრძინარე პრაქტიკულ შედეგების მოსაპოვებლად. თან ნაყავდნენ დამშობილებულნი წამწამებს და თან იწყებულბოდნენ: ჩვენს ორში ვინც უღალატოს თავის ძმობილს, ვინც ძმანებრ არ მოეციდოს. მისი ბედი ასე დიანაყოს, როგორც ჩვენი წამწამები დიანაყაო.

წამწამდანაყულს თუ ვინმე წაეჩხუბებოდა, მშობილი უნდა მიშველებოდა; თუ ერთი სასუსნს რასმე იმოგნიდა, მარტო არ უნდა ეტამნა, უეჭველად მეორისათვისაც უნდა ეწილადებინა; ტყეში პანტისა თუ ზღმარტლისათვის ერთად უნდა წასულიყვნენ; რაიმე გასაჭირში ერთიმეორეს უნდა მიშველებოდნენ.

ასეთი ძალა და თვისება წამწამს მიკუთვნებული, აღბათ, იმიტრია აქვს, რომ ეს ნაწილია აღამიანის მეტად ძვირფას, მხედველობისათვის აღუცილებელ ორგანოსი — თვალისა, რომლისაგან აღვილად და თვალისათვის უზიანოდ და მეტად მინიშალურის ტკივილით მოსაშორებელია.

ასეთი წამწამების დამნაყელი ბიჭები თუ გოგონები ერთმანეთისათვის წამწამდანაყულბად. ე. ი. დობილებად, მშობილებად, ერთ დედ-მამის შვილებად, ძმისა და დის მაგვირად ითვლებიან.

წარბაუშლელი პრე. ვისაც ერთმანეთთან აქვს მიწეული წარბები. ზეგ. ცუდს გონებაზე მყოფი, გამწყვარი, განარისებული, გულგაუხსნელი. „ის უმეტეს აძრწოლებდა იუქურს, რომ მცველად მიერინებინათ მისთვის ბოროტი ივლითი. გაუღიმარი, წარბაუშლელი ი. გულგაუხსნელი მეტადრე იისთვის“ (ვ. ბაროვი).

წარბაგხსნილი პრე. ვისაც წარბები იქით-აქით აქვს გაწეული შეზღზე. ზეგ. გამხიარულებული, გულგანსნილი. ახ. წარბის გახსნა.

წარბის გაშლა ახ. წარბის გახსნა. წარბის გახსნა პრე. წარბების გაწევა განზე. ზეგ. კარგს, მზიარულს გუნებაზე ყოფნა. „ესეც იმისავეთ გულმოდგინდა, დაუზარებელი, ხელმართალი. მაგრამ ძნელად თუ სადმე წარბს გაიხსნის და საქმეს შეს-

ცინებსო, — სულ პირდაპირმელია და წარბშეკრული“ (ილ. ჰავეაძე). „მამიდას არა უშეადარა, მაგრამ ქმარი ჰყავდა რაღაც ღვთის რისხვა აღამიანი, როცა თხზული იყო. წარბ-გაშლილ ვერაგინ ნახვდა, მგელივით იბღვირებოდა, და უწმარსო სიტყვებით იღანძვებოდა, ჩხუბობდა“ (ნ. ლომოური).

წარბის თამაში პრე წარბის კუნთების ერთდროული ჩქარი ამოძრავება ზვ. საწყენის გავონება.

ჩვენი ხალხის ცრუმორწმუნეობათა-განია — წარბის კუნთების ერთდროულ ჩქარ ამოძრავებისათვის წინასწარმეტყველური თვისების მიკოთენება. როდესაც რამე გუეწყინება, წარბები შეგვეკერება და სწორედ ამ საწყენის მომასწავლებლად მიგვაჩნია ეს „წარბის თამაში“. **წარბის შეკვრა** პრე. შეკუმუხენა წარბების კუნთებისა, წარბების ერთმანეთთან მიტანა. ზვ. შეწყუბის, ნალეულის. ტკივილის. გინა შიშის დამხნევა სახეზე, სითამამის, გინა უშიშროების ზოკლება, წყენა, დახურვა, შეშინება. შეკრთობა, დაღრუჯა. „უფროსმა (ძმამ) ღიმილით ჩამოართვა ეს დაცინება და ლაქუტოთაც, უმცროსმა (ძმამ) უფრო წარბი შეიკრა და რისხვამ გლეხსავით გაოზრინა სახეზედ“ (ილ. ჰავეაძე). „დედამ მომისმინა საჩივარი, შეიკრა წარბები და მითხრა: როგორ ამხელ სირცხვილით, შე ნაცარქქვია, შენაო?“ (აკაკი). „საუბარს კი ვერ უბედავდა (სარდიონი ქალს), ვაი თუ ჩემი თქმა არ ესიამოვნოს, ვაი თუ შეწყინოს და წარბი შეიხაროს განარისხებულმა“ (გ. ბარნოვი). „მოხუცმა წარბი შეიკრა, თავი აიღო მაღლა და მრისხანებით გადახედა ამ სიტყვების მთქმელს“ (ნ. ლომოური).

ფიზიოლოგიური მოვლენა გახალავსო: რაიმე უკმაყოფილების, უსიამოვნობის, წყრომის, მრისხანების, მოულოდნელ წყენის, გულმოსოვლის, ტკენის, შეწყუბების, გინა შიშის დროს სახე ემანკება აღამიანს და საერთოდ ცხოვილს; განსაკუთრებით წარბების კუნთები ერთიმეორისაკენ მიიწევს, თითქო შეერთება. შეკვრა უნდათო; თვალების ზედა ქუთოთოები ჩამოიწევა; საერთოდ პირისახე მოიღუშება, ღრუბელი და მრისხანება გადაეფინება,

რისთვისაც სურათ-ხატოვანად წარბის შეკვრა ან შეხრა გვიქვია.

წარბის შეუხრელობა პრე. უიოდოოდ განერება წარბის კუნთებისა, წარბების ერთმანეთთან მიუტანლობა. ზვ. შეწყუბების, გაბრაზების, ტკივილის, შიშის, დარდის დაუხმხველობა სახეზე. „ერთხელ დემ ტრემ სანადლეონედ, როცა გაჩაღებული სმა და ქეიფი პქონდათ ვერის ბალში, ღვიხისაგან ტენი შეუხურდათ და ენა სატიკტიკოდ და სამასხაროდ აეხსნათ, ხანჯლის შევილით ნეცი წინა სახსარში მოიქრა და წარბებიც არ შეუხრია“ (ს. მალოზიშვილი). „ცხვარი დავლუპე, — ეგ ერთადერთი მამის სარჩო და საიადებელი, ძაგრამ წარბსაც კი არ შეიხრია და, ოღონდ ცეცხე მე უხეხელი“ (ილ. ჰავეაძე). „გამართულია დარბაზი, ერიც სამსჯავროდ შეყრილი... წინ დგას თორიეე პირნათლად, წარბიც არა აქვს შეხრილი“ (აკაკი). „ჩვენ მივედით, დავცქერდით ჩვენს ბინადრობას, და მტრის კარს ისეთი სანახავი, ჩვენ რომ ექსანახავი ვნახეთ, მაგრამ მაინც წარბი არ შეგვიხრია“ (ვაჟა-ფშაველა). „(ენით ძლიერი ვაეცაცი) მიაბიჯებს წარბუხრელად, მიესწოფება“ (გ. ბარნოვი). **იხ.** წარბის შეკვრა.

წარბის შეხრა **იხ.** წარბის შეკვრა. **წარბშეკრული** პრე. ვისაც წარბები ერთიმეორისთან აქვს მიტანილი. ზვ. დადარდიანებული, დამინებული; მრისხანი, გულმოსული. გამწყრალი, დაღრუჯული. სახედაღვრემილი. „ძალიან წარბშეკრული დადიოდა მედუქნე, ყველას უბუხუნებდა, ოხრავდა, იმუქრებოდა, ბობოქრობდა, თავის ქერქში ვეღარ ეტეოდა“ (გ. ბარნოვი). **იხ.** წარბის შეკვრა.

წარბშესვენილი **იხ.** წარბშეკრული. **წარბშეუხრელო** პრე. წარბების ერთმანეთთან მიუტანლად. ზვ. უშიშრადა, უდარდოდ. შეწყუბების, გინა ტკივილის დაუხმხველად სახეზე. „ნოვოე ობობრინიე“-ში კი გამოსულა და იძახის: ერთიც ტყვის და მეორეც, ერთიც სულელობს და მეორეც, და იმავე დროს წარბშეუხრელოდ თითონვე ესარჩლება რუსთაველს და გვიმტიციებს, რომ შოთა



რუსთაველი დიდი და სახელოვანი კაციაო“ (ილ. ჰავეაძე). „სოციალური ვეფალი ამას წყნარად უკურნებდა, წარბეშეუბრელოდ. ან კი რა ჰქონდა დასაღრუჯი და რახედ უნდა დაწუხებულყო“ (გ. ბარნოვი).

წარბეშებილი აჲ. წარბეშეკრული. წარბეშე შემომცქერის ჰრდ. ჩემს წარბებს უცქერის. ზვე. ჩემი ერთდება, მიყურებს — რამე არ მეწყინოს (და წარბი არ შევიკრა ვაჯავუების ნიშნად). „ისიც მეყოფა, რომ ჩემი ქმარი უბრალო ნასწავლი გამოვიდა და უფროსების წარბის შემხედვარი იაო“ (გვ. მენთეშაშვილი). „არ უნდა ელაბარებინა (უხარას ცოლს) ვაქაცოთინ, და თუ დეილაბარებინა და ვისმე აუცილებელ საქირობის გამო, მაშინ ქმრისათვის უნდა ეყურებინა წარბებში“ (მელანია).

წარღვრა ჰრდ. წვიმის სახით წყლის ბლოხად დაღვრა მიწაზე. ზვე. დიდი, კოკისპირული წვიმა, წყალდიდობა; მოსპობა. დაღუპვა. „ვინ ჰქვას მოსწრებასა! გასათხოვარი ბელი მამის ყელზე ეკიდება, — გამათხოვე! რატო კერი თავზე არ დაგვეგრევი! რა დღეს მოვესწართ? წარღვრის ნიშანია სწორედ“ (გვ. ვაშაშვილი).

თანახმად დაბადების ლეგენდისა, ლმერთმა, ქვეყნად გამრავლებულ ბორბობებს გამო, იხანა აღამიანის გაჩენა და გადასწყვიტა ზეციდან დიდხანს ეწყვიმბინა (=წყალრღვა) მიწაზე და მოესპო თავისი გაჩენილი ყოველი სულდგმული. გადაარჩინა მხოლოდ მამათმთავარი ნოე და მისი შვილები, რომელთაც კიდობანში შეაფარეს თავი. ორმოც დღე-ღამესა სწყვიმდა თურმე კოკისპირულად. სულ წყლით დაიფარა ქვეყანა და დაიხრჩო ყოველი სულდგმული, ნოეს კიდობანში შეფარებულთა გარდაო (შექმნათა).

წარწყვევინება ჰრდ. პიროდან საქმებინება ხაჭაპან-სვამისა ზვე. მითვისებულის წართმევა, მისდა უნებურად დაბრუნებინება უსამართლოდ წართმეულისა.

წახვლაგვანი ჰრდ. ვინც წახვლას აგვიანებს. ზვე. ზოხინა. თავიუკრენია, ვერგადამწყვეტი საქმისა „რა უარეა მამაცსა სულდიდასა, წახვლა გვიანსა?!“ (შ. რუსთაველი).

წახვლა იყოს და მოხვლა აღარა ჰრდ.

იქით წავიდეს და აქეთ ნულარ მოვაო, უკან დაბრუნება ველარ შეიძლოსო. ზვე. მოკვდეს, ცოცხალი ნულარ დაჩრება. „თამროს სახლობამ-კი წარბიც არ შეიხარა, ერთი „უიც“ არა სთქვეს, ისინი მხოლოდ ამას ამბობდნენ — წახვლა იყოს და მოხვლა აღარაო...“ (ელ. ჩიკვაძე).

წყველის ფორმულაა.

წახულია ჩვენი საქმე ჰრდ. ჩვენი საქმე ჩვენი მოგვეშორება. ზვე. დავიღუპვინთ, საქმე ცუდად წაგვივინდა, ვერაფერი გვიშველის. „მაშ წახულია ჩვენი საქმე, თუ მართლა აგრეა! ვინ გითხრა? ჩვენი სთინისა, იქნება ჰო, მაგრამ იმათ კი არა“ (ილ. ჰავეაძე).

წაუშვირა კისერი უღელს ჰრდ. კისერი უღელთან მიიტანა შიგ შესაბეღლად. ზვე. დემორჩილა ბედს, დათანხმდა დაჩაგვრას, მონობას. „სულ არარობას ცალუღელა ხარი სჯობიაო, — სთქვა თავისი სანუგეშებლად (საქართველომ) და წაუშვირა კისერი უღელს...“ (ავაჟი).

წაქცევა ჰრდ. საკუთარი სიმძიმის ქვეშ შევიდან ძირს დაქცევა. ზვე. გაღარბება, დაავადება, დასუსტება; ძორევა მტრისა.

წაღმა ბიჯის წაღმა ჰრდ. წინსაყენ ნაბიჯის მოცემა. ზვე. განძრევა, სიარული. „მხეცნი, მათგან დაკოდილნი, წაღმა ბიჯსა ვერ წახლდგმიდეს“ (შ. რუსთაველი).

წაღმა-უკულმა ჰრდ. წინ და უკან. ზვე. რაც წინ უნდა ყოფილიყო, უკანაა. ზვე. დავიღუპე, წაღმა-უკულმა წამივიდა საქმე.

წაღმა-უკულმა ლაპარაკი ჰრდ. წინ და უკან ლაპარაკი. ზვე. უსწორო, არაპირდაპირ, არეულად, გაუგებრად ლაპარაკი. „ჩვენ კი, რაკი წინა წერილში მოყვანილმა რუსულმა ციტატამ ლომე-ყორს მოუღებლად პირდაპირ გაგვაგვინდა დედა-ბორი მეთაურისა, რომელსაც ჰოს თქმაც მოსწყურებია და არასიცერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე საგანზე, ჩვენ-ი ვამბობთ, ამ წაღმა-უკულმა ლაპარაკში იმასაც ვხედავთ, რაც წინათ დავინახეთ“. (ილ. ჰავეაძე).

წაყოფა ცხვირისა ჰრდ. ცხვირის შეყოფა ოისამე შიგნით. ზვე. გარევა



საუფროსო რაშიმე, სამარცხენო რისამე ჩადენა. „ამბარტანონა, ცუდმედიდობა ერთი მომკვდინებელი ცოდვითაგანი არის და ვწუხვართ, რომ „მშაქს“ სწორედ ამ ცოდვაში წაუყვია ცხვირი“ (ილ. პაპავაძე).

წაჯაქ-საუჯაქობა ჰრე, ხან წინ ჯდობა, ხან უკანა. ზვე ორგულობა, დაუდგომლობა, ხან ერთის თქმა, ხან მეორისი. „არ არის თითქმის არცერთი ფურცელი მის (ნარ-დონის) ხაწერისა, რომ ერთხელ თქმული ისევ არ გადასთქვას სულ სხვა რიგად და ერთმანეთში მოუთავსებლად. ამიტომაც ჩვენ მარტო მაგალითებს ამ წაჯექ-საუჯექობისას წარმოვადგენო და მათს განკითხვას კი თავს დავანებებთ“ (ილ. პაპავაძე).

წიკოს გემო ნახვა ჰრე. ნახვა იმისა, თუ რა გემოსაა წიკო. ზვე. სიმწარის აუცილებლობა, აშკარა განსაცდელში ჩავდება თავისა. „არ იქნება და არ იქნება, უნდა შევიერთო. შეერთო და აგერაი. ეხლა ნახოს გემო წიკოსი!“ (ვათა-ფშაველა).

წიგო (იგივე წიკო) — სულ უკანასკნელი ხარისხის თამბაქოა, ძალზე ღარიბების ოსაწვეი ჩიბუხით. თვითონ თქმა — „ნაოს გემო წიგოსი“ — ნიშნის მოკვება, მიმართული ახირებულ ადამიანისაკენ, რომელიც უფრო გამოცდილის და წინდახედულის ადამიანის რჩევას არ უჯერებს და აშკარად თავის სპიანო საქმეს უნდა გადაეციდოს, თავის ნაკლებ ჰქუასა და გამოუცდელობაზე დანდობილი.

წიკანადგება ჰრე. ვინც წიკოსი და ნაღველას გემოსია. ზვე ბოროტის ენისა, გინა გულისა. შეუბრალებელი, გულბრძო. შვლ ჩვენი ზეზობელი — იდამიანი კი არა, ნამდვილი წიკანადგელაა, — ერთი ტყბილი სიტყვა არ ამოუთვა პირიდან!...

წილგამართული ის. წელში გამართვა.

წილგაუშლელი მუშაობა ჰრე. წელის გაუსწორებლად მუშაობა. ზვე. განუწვეტელი გამუდმებული მუშაობა. სოფლად მუშაობის დროს კაცი წელში მოხრილია, ხოლო როცა არ მუშაობს, წელში გაშლილია, ვერტიკალურ მდომარეობაშია.

წილგაშლილი ის. წელში გაშლილი.

წილზე ფეხის დადგმა ჰრე. გვიმიდან

გამოვარდნილ სწორ ნაწლავზე ფეხის დაბიჯება. ზვე. მეტისმეტი ძალის დატანება თავისათვის, დიდი ვაჭირება, ყოველი ლონისძიების ხმარება, რისამე გასაკეთებლად. „წერით თუ სიტყვით, შინ თუ გარედ წილებზე ფეხს იდგმენ, რომ ქვეყანა დააჯერონ, ვითომც ჩვენ (ქართველები) ისეთი უხეირონი და უღირსნი ვყოფილავართ“... (ილ. პაპავაძე). „იგი მუშაობს ერთგულად, წილებზე იდგამს ფეხებსა“ (ვათა-ფშაველა). „აი ეხლაც სისხლის ოფლს ვაწვიმებთ, წილებზე ფეხს ვიდგამთ, მოსავალი მოგვყავს, თქვენ მიგაქვთ, ჩვენ მშრალზე ვჩრჩბით თევზივით და მშერიკი ჯუჯით დავწოწავთ ქვეყნად...“ (ს. ზვალთბიშვილი). ის. სისხლის ოფლს ვაწვიმებთ.

დიდი სიმძიმის აწვეის თუ ზიდვის დროს კუნთები იძაგრება, ძალი ადგება ნაწლავებს. სწორე ნაწლავი გვიმიდან გარეთ აპირებს გასოს ვლას. და შესაძლებელია კაცმა თავისსავე ნაწლავს ფეხი დაადგას.

ამ თქმაში იგულისხმება სწორედ ასეთი წილები, ე. ი. ადამიანის უსაზომო ტანჯვა-ჯახირი.

წილები მებლართება ჰრე. წილები ერთიძეოროში გადაინაცვება. ზვე. მეტად ცუდ დღეში ვარ. მეტად მიჭირს. „განა, ჩემო ფეფლი, არ მინდა წასვლა მეთხავთინ? ბარემ წილები მებლართება. რომ ისე გადადებულ შეილს ვაქტერი ამ დასაბრმავებელი თვალებითა, მაგრამ რა ვქნა, ხელმოკლე ოჯახის ამბავი ხომ იცი!“ (ს. ზვალთბიშვილი).

წილების გადახლართვა — ერთგვარი ავადმყოფობაა, როცა ნაწლავები თავის ნორმალურ მდებარეობას გამოიცვლიან, ერთი-მეორეში გადაიჯრიხებიან და ნაჭამისათვის გასავალი გზა შეიკვრება. წინათ ეს ადამიანისათვის სასიკვდილო ითვლებოდა და სინორნი იყო ადამიანის უკიდურეს. მეტად ვაჭირებულ. უსაშველო მდგომარეობისა.

წილზედ ხმალი არტყა ჰრე. წილზედ შეკობილი აქვს ლეილებით ხმალი საბრძოლველად. ზვე. ვაქციკია. მებრძოლი, მტერს პასუხს გასცემს, შემმართებელია. „ეხლა წილგა სპასალარი...“ „მეფევი, რაც სთქვეს,

მართალია. შენ წახედე, შენ იქ მოგვალან, ჩემ წელზედ გვერტყას ხმალია?!" (ილ. ჰაჭავაძე).
„კაცს მიტომ კაცსა ვეძახით, უნდა წელს ვერტყას ხმალია“ (გაფაფაშვილი).

ხმალი, როგორც საბრძოლო იარაღი, ძველად სულ მუდამ ვერტყა წელზე ვაეკაცს ისევე. როგორც ქამარზე წინიდან დაკიდებული ჰქონდა სატყვეარი და ამ ქამარშივე უქნიდან ერტო დამბაჩა. როცა მტერი მოშორებოთ იყო — დამბაჩას ესროდა, რამდენსამე ნაბიჯზე — ხბლით შეებმებოდა, ხოლო პიონისპირ შეტაკებისას — სატყვეარს იმიშვლებდა ქარქაშიდან.

ამ იარაღებში საუკეთესო სატყვე და მოსაგერიებელ იარაღად ითვლებოდა ხმალი, და ამიტომაც ყოველ ვაეკაცს წელზე უნდა რტყმოდა, უამისობა არ ეგებოდა ვაეკაცი უხბლოდ წარმოუდგენელი იყო.

აქედან, თქმა: წელზე ხმლის რტყმა გადაქეული იყო ვაეკაცობის, მტერთან საბრძოლველად მხადე-ყოფნის სინონიმად. აქედან: წელს ნულარ გერტყას ხმალია — წყველია, წელს ნულარ გერტყას ხმალია ფიცია.

წელზე ხმლის ხმა ის. წელზე ხმალი არტყია.

წელზე ხმლის შემორტყმევიანება ჰრე. ხმლის დაკიდება წელზე (ვისთვისმე). ჰკვ. სავაეკაცი. საპატიო საჩუქრის მიცემა. დაიმედება. საგპირო საქმეზე დალოცვა. გამხნევება. „საჩუქარი ბევრი მისცა, წელს შამოარტყა ხმალია“ (პ. უნიკაშვილი). „დათუნა, საქართველოსა შიგნით არტყია ხმალია“ (პ. უნიკაშვილი).

წელი გაწყდამაზე ის. წელის მოწყუებთა.

წელის ათრევიანება ჰრე. წელში ადვილად ვერ გამართვა. ჰკვ დიდი გაჭირება, სიბერისა თუ დაღლილობისაგან ძალზე დაუძლურება. „სახედაოს მეტი მუშაობით წელს ათრევიანებენ და მეტიც ბეჯინში“ მუწურაქობით კი ერთ მუჭა ქატოსაღ არ მიუყრიან. ჰკერენ ჯოხსა და ხროაკი სერებისსაკენ გაუძახებენ“ (დ. მასხაველი).

ძალზე მოხუცებული ან დაღლილი

კაცი წელში იღუნება და ჩეულებრივ ჯდომი ან წოლა ურჩევია. აღვოდა ემძიმება და სხვის ან ჯოხის საშუალებით თუ წარმოდგება. წელს აიღებს, აიტახს, აითრეეს, რის ვივიგალახით გასწორდება და კენისით შვულდგება საქმიანობას. ამისთანაზე სბრალულით და თანაგრძობით ან კიდევ დაცნვით იტყვიან: რა უნდა მოსთხოვო, წელიც კი ვერ აუთრევიო!..

წელის ატანა ის. წელის ათრევიანება.

წელის აღება ის. წელის ათრევიანება.

წელის გამაგრება ჰრე. წელისათვის სიმტკიცის მიცემა. ჰკვ. ქონებრივად მოლონიერება, გამდრდრება „ჩვენებული ვლენი წელში გაინაგრება თუ არა. მარტო იმის ნატყრაზია, რომ მამული იყიდოს“ (ილ. ჰაჭავაძე). „შო, შენი ქირიმე! მადროვე და როცა. ღვით წელში გავიმართები, მიიღე თუნდ სარგებლით“ (გ. ბარნოვი). „ბევრი რამ კარგი დასთვისა, საქმე ქვა სანატრელია, წამოაყენა ფეხზედა, გლესს გაუმართა წელია“ (გ. ბორნაშვილი).

წელის გამართვა ის. წელის გამაგრება.

წელის მოდევნება ჰრე. წელის მოყოლება. ჰკვ ღონე, შეძლება ქონებრივი თუ ფიზიკური. „ღარწუნებულ ვიყავი, კიმოთე იქით თათამი იყო: ცალი აო გაუშვებდა სიდაბზოდ. რა დარბაზობა შეგენის ვაეკაცს, რომელსაც წელი არ მოსდევს სპასეკო ხამცხერით გაიხაროს ოჯახში“ (გ. ბარნოვი). „ვზივარ ცხენზედ და მოგჩანალებ ამ სიხაულ მთებზედ: წელი აღარ მომდევს. ღონე აღარ არის (გრ. თრბელიანი).

წელის მოწყვეტა ჰრე. წელის კუნების ეთმანეთს მოშორება. ჰკვ. დიდი შრომა. ზედმეტი ძალდატანება თავისთვის; სიკვდილი „სიამებში ყველას ისა (ტახუჯვლა) სჯობდა. ქვისლებს კი მოსწყდათ წელი, რომ დაინახეს“ („გაფაფაშვილი“, 1920, II). „კლდე გამთელდა, ხოლო მონადირეს წელი მოსწყდა: გაჭრა, დამალა მისი ღმერთი — კლდემ შთან-

* ბეჯინი — ბაგა.

თქმა (ვაჟა-ფშაველა). ის წელმოწყვეტილი.

მშობის რისამე აწვევს დროს განსაკუთრებით ძალია ადგება წელის ოთხკუთხა კუნთს. წელის მოწყვეტა გულისხმობს ზომიერ მიეტი სიძაიის აწვევას და კუნთების საშინლად დამაგვრას, ასე რომ, წელის მოწყვეტა უდრის ცნებას, რომელც გამოხატავს განსაკუთრებულ ძალის დაჯანებას, წელის კუნთების მიერ განცდილ დიდ ჯაუას, განუწყვეტელ ფიზიკურ მუშაობას, დამაგვრელ მდგომარეობაში ყოფნას კუნთებისას და ზოგჯერ სიკვდილსაჲ.

წელის შერატყმა პრ. წელზე სირტყელის შეიოტყმა. სკვ. მზად ყოფნა სამგზავროდ, საომრად, რისანე გასაკეთებლად. „ბრძენმან ასწავლა ყველას, რა რომ სხვა ჰქონდა პირობა. წელი შეიოტყი საომრად, მოკვებდეს მებრძოლთა პირობა“ (ნ. ციციშვილი).

ძველებუო ტანისამოსს თავისუფლად სიარული და მოძრაობა რომ არ დაეშალა ადამიანისათვის, საპირო იყო წელზე შემოკრტვა ღვედის ნაქრი. ან რამე უგანო ნაქსოვი, ტან-სამოსის კალთებს ქაშარში ჩაიყოლებდა, რომ ფეხებში აო მოსდებოდა. ძველ ქართულ ჩაცმულობის თანახმად, გზად მიმავალს ან საბრძოლველად წამსვლელს სირტყელზე ეკიდა: სატყვირი, დამბარა, ქარქაშიანი დანა, დანის ან სატყვირის სასრტყეა ქვა ან რკინა, თუთუნით სავსე ქვისა, მიგვე ჩადებული ტალკეხსი და აბედი, მათარა წელისათვის.

წელიწადი თორმეტი თვე პრ. წელიწადი და თორმეტი თვე. სკვ. სულმუდამ. ნიადაგ, მარად, ყოველთვის. წელის სარჩოს დაინარჩუნებნს სიმინდსა ანუ ფეტყსაო, ამისათვის წვალობს საწყალო წელიწადს — თორმეტი თვესაო“ (ი. დავითაშვილი).

წელმავარი ის. წელლონიერი. წელმოტეხილი პრ. ვისაც წელი აქვს გააბრტყილი. სკვ. გაქირებული, უძლური, საშუალებას მოკლებული.

წელმოწყვეტილი პრ. სხეულისაგან წელი მოიორებული რომ იყოს. სკვ. გულგატეხილი, დაღონებული, გაბედურებული. დაღლილი, დაქანცული, ღანღალაგამოღეული. „ზულ-

ღანა (წელმოწყვეტილი) ესეც ცა დამენგრა ააუზედა... (ავტ. ცაგარელი). ის. წელის მოწყვეტა.

წელლონიერი პრ. ვისაც ღონიერი წელი აქვს, ვისაც ხერხემლის მაგარი ძელები აქვს. სკვ. ქონებრივად შემდლებული, მდალირი. „ქარგი წელლონიერი კაციც იყო (დათო), შემდლებული, თუშევა სრულად მარტოხელი იყო“ (ილ. ჭავჭავაძე).

წელი გვიქვია ადამიანის ტანის ნაწილისათვის, ბეჭებიდან მენჯებამდე, უკიდურებოდ. იგივე ხერხემლია. ფიზიკურ ძალღონის გამოჩენაში, მძიმე რამ საჯნის აწვევაში დიდ როლს თამაშობს ადამიანის წელი, ხოლო ფიზიკურად ღონიერ ადამიანზე იქმის — წელლონიერიო.

ხატოვანი სოფლად წელლონიერს კაცს თუ ოჯახს ეძახიან შეძლებულს, თავის თავის იმედის მქონეს, სულმოთქმულს გლენსა თუ ოჯახს. იტყვიან — მავანს წელი მოსდევსო, რაიცა ნაწინავს იმას, რომ ესა თუ ის კაცი შეძლებულია, ყველაფერი თავისი აქვს, სხვის შესახებწველი არაფერი აქვსო.

წელში აწევა პრ. მოღუნული წელის გამართვა. სკვ. გაქირების მოშორება, დაღინება. მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. „ვეთის დედას მშვენიერი სასახლე დაუდგეს და დასვეს დედაფლად. ხალხსაც ლუკმაპური გაუჩნდა და აიწია წელში...“ (თ. რახიავაძე).

წელში გამართება ის. წელში გაართვა.

წელში გამართვა პრ. სწორად ქერა წელისა, სხეულის მოღუნული მდგომარეობის შეცვლა ვერტიკალურ მდგომარეობით. სკვ. ქონებრივად მოლონიერება, სიღარიბისათვის თავის დაღწევა, ღონის მოკრეფა, გააგულვანება. გაათამაშება, გულის მოკრება. „ღვთისნიერიო... რას ამბობო? წელში გამართულა როდისმე ჩვენი ქვეყანა — ეგ იმის (თამარ მეფეს) მეუბნის დროს გაიმართა; მზეს თუ როდისმე საქართველო გაუნათებია და გაუთბია — იმის დროს ყოფილა“ (ილ. ჭავჭავაძე). „მეფის იმედნი არ იყვნენ მაინც წელგამართულნი: თუ შესაძლოდ მიაჩნდა მას დიდებული მოხეო, გარეშე მჭერთ რაღას ვტყობა, თუნდ დადიანსაჲ“ (ე. ბარნოვი).



როცა კაცს ეშინიან ვისამე ან რისამე. როცა დაჩაგრულია ან თხოულობს რსმე, მისის სხეულის მოკულობა პატარაგდება—იკუმშება, წელში იხრება, ხოლო როცა იმავე კაცს თავის ძალ-ღონის იმედი აქვს, შესახვეწელი არაეისთან რა აქვს, თამამადაა—წელი სწორად უჭირავს, წელში გამართულია.

წელში გასწორება ის. წელში გამართვა.

წელში გატეხილი პრე. წელი გადამტევიული რომ ექნება. ზვე. დაუძღვრებელი, უღონო: ღარიბი, გაპირობული. „თითქმის სამ სამი ბურჯი გა მოეცლება ოჯახს და ერთი წელში გატეხილი ბერიკაცი და უღვინობს მთელი ოჯახის სიმძიმეს“ (შელანია).

წელში ვატყდომა პრე. წელის დამსხვრევა. ზვე. უკიდურესი გაჭირება, გაღარიბება, დასუსტება, უწყობა; სიკვდილი. „გამოიკვალა ჯორ-ზაქარი, სახეზე შეიშალა. ოჯახი წელში ვატყდა, ხილ-ნელა ვაღებში ჩაჯდა“ (ს. მგალობლიშვილი).

იგულისხმება, რომ წელში ანუ ხერხემლის ძვლის ვატყდომას აუტილებელი მოპყვება ყოველ გაჭირებაზე უსამინეღესი გაჭირება—სიკვდილი.

წელში ვაღუნვა ის. წელში ოთხად მოკაჭულია.

წელში ვაშლა ის. წელში ვამართვა.

წელში ვაწყდომა პრე. წელის ნაწილების ერთიანობის მოშორება. ზვე. მეტრისმეტრი შრომისა და ჯაფისაგან ფიზიკურად დაჩაგვრა, უბედურება, უიმედობა. გულის ვატეხა. „დაილოცოს შენი მადლიანი თვალი! შეპიშინე საწყალი სიმი განასკვნილ? ვიმსახურო. ეტანჯე, ვაწყდა წელში, მიხივ აღარ ვეშვებოდი“ (ვ. ბარათი). „პირველში, როდესაც დაინახეს დიდი რვეული დაწერილი, ურიებს ეგონათ, არხა ქვეს გახეთქდა. მერე რეკი, როდესაც დაიმბეგმა ვადა უთარგმნა, მოსწყდათ წელი: გაახილეს თვალი და დაინახეს ვერაგობა დიამეგვისა“ (ლ. არდახიანი). „ამისათვის მწყდების წელი და უკან ზურგის მალეობი, მოვა და მოკლავს სიკვდილი. მას ვერსად დავუალები“ (დ. გურამიშვილი).

მეტად მძიმე რისამე აწვეის დროს განსაკუთრებითი ძალა ადგება ადამიანის სხეულის წელს, ან, უფრო სწო-

რედ რომ ვთქვათ, ხერხემალს, რომლის მალეობი ვადამეტებულის დიდაბვისაგან შეიძლება კიდევ ერთიმეორეს მოშორდეს, ან, როგორც მდაბიურად ამბობენ, „წელი ვაწყდეს“. აქედან ყოველი ძნელი საეკთბელი საქმე ფიზიკურად დამჩაგრულად ითვლება და სურათხატოვანად ვამბობთ ხოლმე: მეტრისმეტმა მუშაობამ წელში ვამწყვიტაო.

წელში მოკაცვა ის. წელში მოხრა. წელში მოხრა პრე. ძიოს დაწვევა, წელის მოკაჭულობა. ზვე. გაჭირება, დაუძღვრება, სიღარიბე, სიბერე, თავის დაშორება. „ერთი წუთი მოსვენება არა მაქვს ქვეყანაში თავი არ გამოიმეყოფაო. იმის ჯერმა და ვარამა ვამათეთრა და მომხარა წელშიაო“ (თ. რახიაშვილი). „სხვაგვარი სამსახური ნუ ვინდაო: მაგრამ მე ანწარი სვინიღისი მოვდრიკე, წელში მოკაცვე და ეხლა ვალაპარაკებ: ხალხს თუ ღი აუბი, თვალში სივარი ჩაყარე“ (ს. მგალობლიშვილი). „უწინდელ დროში გლეხები ვიყუებოთ სანწელშია, გვეჩოღნენ. ვეამონავებდნენ. მოხრილ ვიყავით წელშია“ (ვ. ხორნელი).

როცა სიმძიმე რამ ვეაწეს მხარზე ან შიშის დროს დამალეთა ეცდილობთ, ან კიდევ როცა ვთხოულობთ რასიმე და ამისათვის ვისამე წინაზე თავს ვიმდამბლებთ, როცა ავადა ვართ და ტკივილი რამ რომ ვეაწუხებს, ან, ბოლოს, სიბერე რომ შემოგვებაოება, — ხერხემლის ძველი ვერტიკალურ მდგომარეობის მაგიერ იხრება, იკალება, სიმალღე ვეაქდება, ჩვენი ტანის მოკულობა პატარაგდება.

წელში ოთხად მოკაჭულია პრე. ოთხკეცად მოღუნული. ზვე. დაჩაგრულია სიღარიბისა, მუშაობისა, გაჭირებისაგან. „სიღარიბემ წელში ოთხად ვამღუნა; კირმა სევდამ დამცა, დამამბუნა“ (რ. ერისთავი).

წელში წამაწვევა ის. წელში გამართვა.

წერა მოგხადე! პრე. ცუდი ბედი. რაც თავს უნდა ვადავხდეს, შენთვის მომიშორები. ზვე. რაც რამ უბედურება ვიწერია ბედისაგან, ყოვლას მტროთელი მე ვიყო „ოპ მენ კი ვევატვალე, თავს შემოგვეღე, წერა მოგხადე, არ შეიძლება ვამაგონო შენი ხმა?“ (ვაჟა-ფშაველა).



ხეწნის, თხოვნის ფორმულაა.
წერა აუტანია (ვინმე) ჰრდ. ბედისწე-
 რის მსხვერპლი უნდა ვახდეს. ზღვ-
 უბედურება უნდა იქმნებოდეს, არ ას-
 ცდეს. „ეჰ, კაცს რომ წერა
 აიტანს და ეშმაკი შეუვადება, თო-
 რემ ბილისათვის შავი როგორ შეაკლა
 სხვას, — სთქვა ერთმა“ (ვ. ბარნოვი).
 „ღამეხსენ... შენ შენს წერას
 ხომ არ აუტანხარ, რატომ
 ეგრე არახუნებ. თუ ზურგი არა
 გქავა, შენ შენს გზაზედ წალი-მეთქი,
 თორემ...“ (ილ. პაპავაძე). „ბიჭო,
 შეილო, ეს ერთი თვე, მე შენ ვეღარ
 გცნობ... რა წერას აუტან-
 ხარ; დაგიკრენ, შეილო, კოსტროში
 გაგატარებენ და მერე იმ ოხერციმ-
 ბიროში გიტყუებენ თავსა“ (ს. შა-
 ლაბლიშვილი).

წერეთლიანთ მწვეალი ჰრდ. წერეთლების
 მიერ შემფურთხ აგებული ხორციის
 ნაჭრები სამწვეადად. ზღვ. უმწვეალო-
 ბა, სტუმრის მოტყუება, უმისპინძ-
 ლობა. „ხახვი ოთხად გაქრი-
 ლი, ზედ მარილი მოყრილი, წე-
 რეთლიანთ მწვეალიო!“ (ხა-
 ლხერი).

წერეთლების გვარს სოფ. საჩხერე-
 ში (ზემო იმერეთი) მანდა და მინც
 საჭებარი სახელი არა ჰქონიათ მას-
 პინძლობაში. მაგ., სიტყვილით არ
 დაიწვებოდნენ, თუ მასპინძელს პურის
 შესატანებლად ოთხად გაქრილ ხახვს,
 ზედ მარილმოყრილს მოართმევდნენ,
 ვითომ ძროხის ხორცის მწვეალიო.
 ხალხსაც ამ ნიადაგზე გამოუთქვამს
 ზემოთ მოტანილი ლექსი, უპურმარილო
 ხალხის დასაციინად.

ამის მეორე ვარიანტიცაა. პირვე-
 ლის სულ წინააღმდეგი. საკითხის სრუ-
 ლად გამორკვევის განზრახვით, აქ
 იმასაც მოვიტანთ.

წერეთლიანთ გვარში, საჩხერეში
 (ზემო-იმერეთში), იტად ვრძელ შამ-
 ფურებზე იტოდნენ ხორცის აგება სამ-
 წვეადად. და ეს თქმაც აქედანაა წამო-
 სული, როცა უნდათ რაიმე საგნის, ვინა-
 ლაპარაკის სიგრძის, გაქიანურების გა-
 მოხატვა.

წვევა და გლეჯა ჰრდ. დახევა, დაფხრეწა,
 ნაწილ-ნაწილად ქცევა. ზღვ. ჩხუბი,
 დაფიარება, „ამის გამო დღესაც თუ
 არ წვევა და გლეჯა, უსიამოვნ-
 ება მანც ირის და არის!“ (ილ. პა-
 პავაძე).

წვა ჰრდ. ცეცხლის საშუალებით სა-
 ჯმლის მოშვადება; ცეცხლის საშუალებით
 მოსპობა; ცეცხლის მიკარებით
 მწარე ტყვილის განცდა. ზღვ. მწვა-
 ვე ტყვილის განცდა. ტანჯვა, მწვა-
 ლება. „ეხლანდელს წვეა-დაგვავა
 არსებობისათვის ჰილილისას გეოკა-
 რის ზარი ამირინდოსი არ დაერე-
 კა“ (ილ. პაპავაძე).

წვეთი ჰრდ. პატარა ნაწილი მომრგვა-
 ლო, რომელიც სცილდება სითხეს.
 ზღვ. სულ მცირე რაოდენობა.

წვეთი არ დამილევია — სულ არ
 დამილევია. წვეთ-წვეთად — ერთი
 წვეთის შემდეგ მეორე წვეთის მოყო-
 ლება. წვეთავს — წვეთობით მოდის
 სითხე; სახურავიდან წვიმა დასდის.

წვეთია ზღვაში ჰრდ. როგორც ზღვაში
 ერთი წვეთი უმნიშვნელოა. ზღვ. შე-
 დარებით ცოტა, უმნიშვნელო. — არა!
 მოსატაცებლად თხუთმეტიც ვეყო-
 ფით, საბრძოლველად კი ოცდახუ-
 თიც — წვეთია ზღვაში, — მი-
 უგო გაბაშვილი“ (ვ. ბარნოვი).

წველვა ჰრდ. ძუძუებისგან რძის გამო-
 ლება. ზღვ. წართმევა, წველვა, მი-
 თვისება, გაღლევა, ექსპლოატაცია.
 „ხუთი ყავლობაც რომ ეწვევინა
 ჩვენი თავი, სიტყვის თქმასაც ირავინ
 გაუბედავდა“ (ვენ. მენთაშვილი).

წვერთა გლეჯა ჰრდ. წვერის ღერების
 ამოძრობა, წვერის მოშორება სახი-
 საგან. ზღვ. გლეჯა, მწუხარება,
 დარღ-ნაღლევი. „თმა-წვერთა
 გლეჯით ტიროდეს ხმაბლიად
 მასთან ხლებულნი“ (ნ. ციციშვილი).

მიცვალებულის გლეჯისა და ტირი-
 ლის დროს ქალნი თმას იგლეჯდნენ თავ-
 ზე, ხოლო მამიკაცნი — წვერსა და თმას.

წვერის დაყენება ჰრდ. წვერის მოშე-
 ვა გასაზრდელად, მისი გაუპარსა-
 ლობა. ზღვ. გლეჯა მიცვალებულისა,
 მწუხარება, ტირილი. „ხალხი ვი-
 ორგისა გლეჯობს, ყველა უფრო-
 სებმა წვერი დაიყენეს“ (ალ.
 ყახავაძე). „ჩემს ძმებსა უამბეთ, წვე-
 რი დაიყენონ ჩემ გამო“ (პ. უში-
 კაშვილი).

ძველად, საქართველოში, როცა
 ვინმე მოუკვდებოდათ, მიცვალებულის
 გლეჯის ერთ-ერთ ნიშნად ითვლებოდა
 წვერის დაყენება, მისი გაუპარსაყოლა.
 სამეგრელოში, მაგალითად, ოჯახის
 რომელისაზე წვერის გადაცელებისას



მიცვალებულის ქირისუფალი მამაკაცები თმისა და წვერს იპარსავენდნენ და მერე მოუშვებდნენ გლოვის გათავებამდე, სამგლოვიაროდ. დაყენებულ თმა-წვერს არც ივარცხნიდნენ და აიბარც იკრებდნენ, ე. ი. თავს არ ილამაზებდნენ.

წლის თავზე ანუ გლოვის გათავებისას „სამგლოვიარო თმიდან“ იმას, ვისაც გადაცელებულის სამიგვიროდ აიყვანდნენ, მაკრატლით სამჯერ მოაკრეკინებდნენ ცოტა-ცოტა თმას. თმის მოაკრეკელი ქირისუფალი მიცვალებულის მიგვირად უხდებოდა ანუ ემაგერებოდა (ამ ჩვეულების შესახებ დაწერილებით ახ. წერილი: „მიცვალებულის კულტი სამეგრელოში“, „მასალები საქართველოში“, თბილისი, 1940). იმას შემდეგ თმა-წვერს სულ გაიპარსავენდნენ და მგლოვიარობაც გათავებულად ითვლებოდა.

წვერის წატება პურისათვის **პრე. მციბრე ნაწილის მოშორება თორნიეში გამომცხვარი პურისათვის.** **სტე. ბარაქის გამორუღვლობა კილობანში (საცა გამომცხვარი პური ინახება).** **აბა. აღეტი, ქეთანა, და ნახე კილობანში თუ საესეთ არ არის, მიეცით...** **წვერი წაატეხე, შეილო!** — ქეთანამ მოახსენა, რომ კილობანში პური საესეთ ვახლავს. (ს. მაგალითი).

აღმოსავლეთ საქართველოში, როცა მეზობელი მეზობელს თონის პურს ასე-სახებს, სანამ ხელში მისცემდეს, „წვერს წაატეხს“. გლეხის რწმენით პურის ბარაქა მის წამლებს ხელს არ გააყვება, რადგან ნაწილი ბარაქისა შერჩება „წატიბილ წვერს“. რომელიც გარეთ არ გადის, გამოცხობის აღვლილსა რჩება.

ამგვარისავე რწმენით ხელმძღვანელობს დასავლეთ საქართველოს (მაგ. გურისის, სეანეთის, სამეგრელოს) მკვადრი, როცა გაყიდულ საქონელს (ძროხა, ხარი, ცხვარი, ღორი), სანამ მყიდველს ჩააბარებდეს, ხელით მოაცილის ცოტა ბალანს, ან, თუ გასაყიდი შინაური ფრინველია, ერთ ბეწო ბუმბულს. მერე ბალანს ან ბუმბულმოცილილ საქონელს თუ ფრინველს ხელში არ მისცემს, არამედ ძირს დასუფს, და მყიდველმა თვითონ უნდა აიყვანოს, თუ ფრინველია ხოლო საქონლის თოკს რახებდმე მიიბამს და მყიდველმა თავის

ხელით უნდა მოხსნას და ისე წაიყვანოს ნაყიდი საქონელი. ყოველივე ეს იმისათვისაა მოწყობილი, რომ მყიდველს საქონლის პატრონის „ხელი არ გადაჰყვეს“ და ხელთან მისი ოჯახის ბარაქა თან არ წაილოს. ან კიდევ როცა ფული უნდა მისცეს ერთმა მეორეს, ხელში არ მისცემს, არამედ რახებდმე დასდებს მისივე ფულს და წამლებმა ისე უნდა აილოს.

წვერიც ნუ მსხმია ყბაზედა პრე. წვერი ნულარა მქონდეს ყბაზედ, უწვერო ვიყვე. **სტე. ფუცი:** კაცი არ ყოფილვარ, თუ... ყოველს იდმა-აღურს ღირსებას მოკლებული ვყავი. „ვაამე, რა ონაფარ გეჩნავთ ღამარის ჯვარის ყბაზედა. თუ ეგ ქალ წაგაყვანივით, წვერიმც ნუ მსხმია ყბაზედა!“ (დ. ხიზანაშვილი). „თუ თქვენ ღვეკებს გაგატანოთ, წვერი ნუ მესხმის ყბაზედა.“ (ს. მაკალითა). **ახ. ფუცი** შენს ულვაშს!

წვერი, როგორც ემბლემა და ნიშანი მამაკაცობისა, ულვაშების მსგავსად. საფიცარი იყო კაცისათვის (ახ. ულვაშები).

წვერმოტეხილი ენით ლაპარაკი **პრე. ლაპარაკი ისეთის ენით, რომელიც უწვეროა, წვერი მოტეხილი აქვს.** **სტე. გაქირებთ მოლაპარაკე, ვისაც ბეტად უმნელდება თავის აზრის გამოთქმა.** — „რა ექნა, ამოთქვა აფშინამ წვერმოტეხილის ენითა, თან დნება ლურჯად, შავად, გულში ბოროტის კბენითა“ (თავაფშაველა).

წვერცაშება **პრე. მეცამეტე წვერიანი.** **სტე. თხელწვერიანი, ქოსა, მღვდელი.** **მგლ. ჩვენმა წვერცამეტამა, სწორე მოვახსენათო, საქმე ვაგვიქირა. და მერე როგორ!**

ამ სახელს წინათ უხმობდნენ თხელწვერიანი მღვდელს. სქელწვერა მღვდელს იმას იშვითად დაუძახებდნენ. ეს სიტყვა მიადის იქიდან, რომ როგორც ბუნებაში მეცამეტე გოჭი ჩვეულებრივ ნაგაღია, ნალიტაა, სუსტი და არასასიცოცხლო, ისე სუსტან ნალიტა წვერიანი მღვდელი, რომელსაც არ ამშვენებდა ეს მღვდლობის გარეგნული ნიშანი, ნამდვილ მღვდლად არ ითვლებოდა, მის ძალა-შაღლს ხალხის თვალში ფასი, ცოტა არ იყოს, დაკარგული ჰქონდა.

წვიმა კისერში ჩაგვდიოდა პრ. კისერში ჩასული წვიმა ტანს გვისველებდა. ზვ. დიდი წვიმა მოდიოდა, თავსხა იყო, კოკისპირულად გვმდა. „წვიმა კისერში ჩაგვდიოდა, მაგრამ ცერემონიალის მარში-კი საუცხოვოთ იყო“ (გრ. თრბელიანი).

წვიმამ ბირი მოიხსნა იხ. ცამ პირი მოიხსნა.

წვიმას სტრის პრ. წვიმა საცერში გატარებულივით მოდის. ზვ. წმინდა წვიმა მოდის. „გაგასიონის თეთრად გადაპნტილ ქედიდამაც დაიძრა ჯანდი. აი, მიძმე-მიძმედ მოიპარება, აი, მთელი სოფელი საჩქაროდ ბურუსში გაჰხვია. წმინდად სტრის წვიმას“ (გვ. ყარაშანიძე).

წვიმის შტი არაფერი მოადგება პრ. მხოლოდ წვიმას შეუძლია შეხება. ზვ. უშიშარია, მტერი ვერ მიადგება, ვერას დააკავებს.

წვევა პრ. წვევის გემოთი ნახვა, წვეის ხერცხა. ზვ. გაპირების ნახვა, წველების განცდა, ცემა-ტყემა, მოხვედრა ხელითა. „სიკვდილის მეტი ხსნა არ არის ჩემთვის.. მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ჩემებრ წვეს იწვენეს ჩემი დამლუბელი!“ (ავ. ცაგარელი). „თავის ჯელობაში ბეგრი უწვენეცა ზურაბს თუ მოხელეებისაგან, თუ მეზობლებისაგან, მაგრამ თავისი ზნე ვერარამ და ვერაინ მოაშლევინა“.

წვრილფეხობა პრ. ვისაც წვრილი ფეხები აქვს. ზვ. უმნიშვნელო, მცირე, სუსტი, ფიზიკურად და გონებრივად, პატარა ბავშვები. „ხაგსმოყიდებული წარსული საქართველოსი კი, რომელიც ბსენებულ წვრილებს საგანდა აქვს, მიუნებებია (ნარ-ლონს) საღეჭად და საცონხელად იმისთანა ვახუთებისათვის, როგორც ჩვენი უბადრუკი, უფხო და მკვდარი „იგერიაა“. ან იმისთანა წვრილფეხობისათვის, როგორც ჩვენი ქუთაოკელი და გონებაშიხილი ინტელიგენცია“ (ილ. ჰაჭავაძე). „აღარც ჩვენებურ ქართულენაზედა სწერენ, რაღაც აღრევაში არის ხალხი, მეტადრე ამ წვრილფეხობამ გააჭირა საქმე, ამ ყმაწვილმა ხალხმა, ნურას უქაქრავად კი თქვენთანა, ჩემო სპირიდონ“ (ილ. ჰაჭავაძე).

წითელი პრ. პრიზმის ერთი შედ ფერთაგანი, მაგალითად, ფერი სისხლისა. ყაყაროსი და სხე. ზვ. ლამაზი, მშვენიერი, ოქროს ფული. „ასი ათასი წითელი შენ ქრთამად შეიწირეო“ (შ. რუსთაველი). „ყაყაროსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია, ყმაწვილსა კარგი სწავლითა დედა გაუხარებია“. „ნუ მიეკრავ, დედო, წითელ კაბასა, არ გაუყვები დედო, ხონელ კაზახსა“ (ხალხური ლექსი).

ძველად ოქროს ფულისათვის ერქვით წითელი, როგორც ლეონის ფულებს შორის ყველაზე ლამაზისათვის, ისევე როგორც ვერცხლის ფულისათვის, თავის თეთრი ფერის გამო, ერქვით თეთრი.

წითელი კვერცხია პრ. წითლად შეღებილი კვერცხის მსგავსი. ზვ. საალერსებელი, მოსაფერებელი ადამიანი.

ეს თქმა წარმომდგარია აღდგომის წითელი კვერცხისაგან, რომლის ყურება და ხელში დაჭერა აღდგომის დღეს ყველა ქრისტიანს უხაროდა. იხმარება უფრო დაცინვით. მაგ., მავანი რა ისეთი წითელი კვერცხია, რომ ვეფეროთო!..

წითელი კვერცხის დაჭერა პრ. წითლად შეღებილი კვერცხის ჩადება ხელში. ზვ. აღდგომის გათენება, მხიარულება. „ვერ დავეწრები აღდგომის, ვერ დავიქერ წითელ კვერცხსა“ (პ. უშიაშვილი). ახ. წითელი კვერცხია.

წითელი კოჭია პრ. წითლად შეღებილი სათამაშო კოჭია. ზვ. საალერსებელი, მოსაფერებელი ადამიანი ან სავანი, სალოლიაზებელი, ღირსება-უპირატესობის მქონე. „თუ არ მხოლოდობითი, ერთი უმთავრესი სიწყაო მაინც მწერლის ღირსებისა ეგ არის, ჩვენის ფქპრით. მაგით აუწყევით ხოლმე ნაღვაწევი და მაშინ შეიტყობთ, რა წითელი კოჭია ზოგაერთი, ეგრეთწოდებული, ლიტერატორი“ (ილ. ჰაჭავაძე). „იი, ჩუმათ ერთი, მა ი მამა-პაპის ვალებისაგან გამობრული მალხაზა რაღა იგეთი წითელი კოჭია, ვინ არი, რომ იმი გულისათვის აიგეთ იოჯახის ახალგაზრდას ითვალისწინებო“ (დ. მაჩხაიელი). ახ. წითელი კვერცხია.

ბავშვები სათამაშო კოჭებს ზოგჯერ წითლად ჰღებდნენ ხოლმე და ასეთს შეღებულ კოჭს, როგორც ლამაზს (შეუღებავთან შედარებით), მათს თვალში მერტი ფსი და მოწონება აქვს.

წითელი ძაფი ჰრდ. წითელის ფერის ძაფი. სჯვ. მოსავონებელი ნიშანი, როცა რისამე დავიწყება არ უნდათ. „დაბინავდა, დააღვა, გაიძრო სამ-გზაგორ ტანისამოსი, დაიმკობა, მისწია პირსაბანის ონკანი. მუქა რომ მიუშვირა წყალს, თითზედ წითელი ძაფი შენიშნა. ნეკზედ იკბინა“ (გ. ბარნოვი).

როცა უნდოდით, რამე არ დავიწყებოდით, თითზე წითელ ძაფს შეიბამდნენ. თითი სულმუღამ თვალწინა ჰქონდათ და პატრონს მოაგონებდა, რაც უნდა გაეკეთებინა. ამნაირისავე მნიშვნელობისაა რისიმე მოსავონებულად ცხვირსახოცის გამონასკული ყური ან ნაყვი, გაკეთებული რაიმე ქსოვილის ნაჭერზე.

წითელ კვერცხის გორება ვისთვისმე ჰრდ. წინ წავდებთ წითელ კვერცხისა ისე, რომ ინერციით თავის გარშემო ტრიალებდეს. სჯვ. მოფერება, მოაღერება. შგლ. ეს ისეთი ადამიანია, თუ სულ წითელი კვერცხი არ უგორე, მასთან ვერას გახდები. (იხ. წითელი კვერცხია).

ეს თქმა მიეკუთვნება ისეთს, ვინც დღევინა სულმუღამ ფეფონ, დაუყვიონ და ისე გააკეთებინონ რამე, გამოარჩენენ რასმე, დაიყოლიონ თავის პუჟაზე.

წითელ კვერცხს ვერ გაფცქვნის ჰრდ. წითლად შეღებულ კვერცხს (აღდგომისას) ნაჭუქს ვერ მოაშორებს (შესაქმელად). სჯვ. დიდხანს ვერ გაძლებს, აღდგომამდე მოკვდება.

წითელი კვერცხი აღდგომის იცოდნენ ხოლმე ქრისტიანებმა. აღდგომა და შობა ერთგვარი დატა იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში, როგორც დიდი დღესასწაულები, რომელთაც წინ უძღვოდა მარხვები. აღდგომის კვერცხებს ჰღებდნენ და გაფცქვნიდნენ კიდევ შესაქმელად. როცა კაცი ავადა მძიმედ და დიდის ხნის სიცოცხლე არა აქვს, იტყვიან — აღდგომამდე ვერ მიატანსო, ან უფრო ფიგურალურად: წითელ კვერცხს (აღდგომისას) ვერ გაფ-

ცქნისო, ე. ი. აღდგომამდე ვერ გაძლებსო.

წინ არა უდგა რა (ვისმე ან რისმე) ჰრდ. ვისამე ან რისამე წინაშე არაფერი დგას. სჯვ. ვისმე ან რისმე არაფერი აბრკოლებს, არაფერი უშლის, ყველაფერი ხელს უშობდა. „რის უღდა მივაწეროთ ამისთანა უნუგეშო ამბავი? (გინაზიში კურსდამთავრებულთა შორის არც ერთი ქართველი) ჩვენი კეთილისმყოფელები, რასაკვირველია, ადვილად მოგვეგებენ ამის პასუხს და იტყვიან, — თქვენს უნიჭობას თუ არა, ხარმატობას ხომ წინ არა უდგა რაო“ (ილ. ბავაძე). „ცოლმეილისათვის კი მოგვალეა იზრუნოს, ოღონდაც!.. წინ რაღა უდგიაო?!“ (ან. ერისთავ-ხოშტარი).

როცა კაცი გზად მიდის, შეიძლება გზა რამემ გადაუღობოს ან ხიდი დახვდეს ჩატეხილი, ან კიდევ მტერი დაუხვდეს. მაშინ მგზავრს დაბრკოლება წინ დაეღვმის, გზა შეეკვრება და წინ ვეღარ წავა. სოლო როცა წინ დაბრკოლება არაფერი აღიშართება მგზავრისა ან რაიმე საქმის მკეთებელის წინაშე, ვამბობთ: მაგანს მოსაქმეს, საქმეს თუ მგზავრს არაფერი აბრკოლებს ანუ წინ არა უდგას-რა, რომ ხელი შეუშალოსო. ან როცა დაბრკოლება მოსალოდნელი არ არის, ვამბობთ: წინ რაღა უდგიაო?!.

წინ (ვისამე ან რისამე) ჰრდ. იმ ადგილის პირდაპირ, სიკა კაცი იმყოფება. სჯვ. უპირატესობა, უაღრესობა, უკეთესობა, გამარჯვება, წარმატება, ქონებრივი სიმდიდრე. „რაც მე (ჩალხოს) ქვეყნის მუშაში (მამითალი) დავლაღულვარ, ხევის საქმე მიკეთებია, იმის ნახევარი რო თავის სახლისათვის მერგო, ჩვენზე წინ კაცი არ იქნებოდა“ (გვა-გუგუგა).

წინა ზიხარ და უკან დაიწიო! ჰრდ. წინ ნუ ზიხარ, უკან უნდა იყვი. სჯვ. პირველობის უფლება არა გაქვს, სხვებს კულში უნდა მიჰყუებოდდე, ღირსი არა ხარ წარმატებისა. „წინა ზიხარ და უკან დაიწიო“ — ხომ ვერავინ ეტყოდა სახლში, და არც არავინ გარეთ, რადგანაც მუშობლებსაც ძალიან უყვარდათ თამარი“ (შ. არაგვისპირელი). **წინა ზიხარ, უკან დაჯექიო** იხ. წინა ზიხარ და უკან დაიწიო.

წინახარები არ ამიშვა, აი! პრ. გუთნელის სულ წინ მიმავალ უღელ ხარს ვერ მომიშორებ გუთნულსა! ზვე. ვერას დამაკლებ, ვერ დამაზარალებ, ვერაფერს მძენებ. „რას მე-ბუჭებები, წინახარები არ ამიშვა, აი!..“

წინახარები გვიქვია გუთნულის სულ ყველაზე წინ მიმავალი ხარებისათვის. წინახარებად გუთნში აბამენ გამოცდელ და ღონიერ ხარებს, რომელთაც სხვა ხარებს წინამძღვრობა უხდა გაუწიონ. ეს ხარები თავისით მიდიან და მთელი გუთნული მათ მიჰყვება უკან. საქციელში თავისით ბრუნდებიან, კვალშიაც თავისთავად ჩადებიან და გზას უჩვენებენ დანარჩენებს. ამათ რომ ვინმე წინ გადაედობოს და მუშაობაში დააბრკოლოს, დაბრკოლდება და ხელი შეეშლება მთელ გუთნულსა, ხენის მთელს საქმიანობას.

ამიტომ ვისიმე მუქარის პასუხად ნათქვამი — წინახარები არ ამიშვა, დიაბოლ რომ გამოხატავს იმ დიდ ზარალს, რომელიც შეიძლება მიაყენოს კაცმა ვისმე, თუ მუქარის ავტორს მაგრად არ დაუსვდნენ და განზარახვანზე ხელი არ ააღებინეს.

წინახარებში მოუცდება პრ. წინახარები გამოეშვა უღლიდან, გუთნული უწინახარებოდ დარჩება. ზვე. ვინმე დაბრკოლდება საქმიანობაში, დაზარალდება, გაუჭირდება. „იმის თუ პირსანახავი არ მიეცი, მე ვიცი, წინახარებში მოუცდება“ (შ. არაფისიოელი).

წინახარები — ის უღელი ხარია, რომელიც გუთნულის წინ არის უღელში შებმული. ესენი სხვა ხარებს (ხუთ უღელს მაინც) წინ მიუძღვებიან, გზას აჩვენებენ, საქციელთან უმეზაროდ, თვითონ მოკრძალებიან ხოლმე. ამათ მოეთხოვებათ ღონე, გამოცდილება, სიღინჯე. და მართლაც ასეთებს უბამენ წინა უღელში და მათზე დამოკიდებული ხენის საქმის ნაყოფიერება და წარმატება. თუ წინახარები რამემ დააბრკოლა, რა თქმა უნდა, ხენის საქმეც დაბრკოლდება და, ნაშასადამე, სასოულლო შედეგობაში მოსალოდნელია ზარალი და ზარალი დიდიცა, ოადგან უწინახარებოდ მიწის ხენა შეუძლებელია. და აჰა, ამოწერილი თქმაც ამ ზარალსა გულისხმობს, როცა წინახარებში მოცდენას ასენებს.

წინ გადავლა (ვისთვისმე) პრ. ვინმე მიმავლისათვის გზის გადაქრა. ზვე. წინააღმდეგობა, ურჩობა, დაუგერებლობა. — „წინ არ გადავყო არც ჩვენებსა და — ესენი თავის ქუთაზე დამნიშნავენ ვილაცა პაპაანთ საბას ქალზე...“ (გნ. ყარამანიძე). „წინ უნდა გადავიძაროს მივანა?!.. ჰაი, ჰაი, როცა ნინიკა ვერ უცენია!.. შესძახა გულმოსულმა ნინიკამ“ (ან. ერისთავ-ხოშტარია).

წინ გადავლა გულისხმობს უმცროსის ან უძლურის მიერ ურჩობის შებედვის უფროსისა და ძლიერისთვის, საკუთარის ძალღონის შეუწონელობას, საკუთარის სისუსტის შეუგნებლობას, კაღვიერებას.

სამეგრელოში კერის პირას დამსხდართ ვინმე უმცროსს წინ რომ გადაეარა, ხელს მოჰკიდებდნენ და უკანვე გააბრუნებდნენ. ვისსამე წინ გადასვლის საქციელი იქ აკრძალულია, ცუდის მომისწავებელია. ამიტომაცაა, რომ წინგადასვლელის უკანდაბრუნებით ცდლობენ შეანელონ საქციელის მვენებლობა, ძალა დაუკარგონ. შემდეგში ასეთს საქციელს მიეცა ხასიათი კადნიერებისა, ურჩობისა, არაფრად ჩაგდებისა.

წინ გაუგორდი პრ. მის წინ იგორავე. ზვე. მოეფერე, მოუაღერე, დამორჩილდი, მოსი ნებისა ჰქენი.

წინ დადგომა პრ. წინ გადადობება, ვისსამე პირისპირ დადგომა. ზვე. ვისსანე მეტოქეობა, ჯობნა, მორყენა, თავისი უპირატესობა. „ამისათვის მისცეს აბუტარს საზრდელად, რომე ოდეს დაიბადი, მაშინვე იყო გამარჯვებული კაცი და ქველი ჰაბუკი და ვერავინ დაუდგის წინა მტერი დღეთა მისთა შინა“ (მ. ხონელი).

წინ დადგომა ნიშნავს ვისთვისმე გზის გადაქრას. ვისიმე მოწინააღმდეგობას, განზარახვას შეტაკებისას იმასთან. ვისაც წინ დაუდგებიან, მტრობის გამოცხადდება.

წინდას წვერი შემოერღვა ის. პაქიქს წვერი შემოერღვა.

წინ იყურება პრ. თავის მოპირდაპირე მხარეს იყურება. ზვე. იმედლიანია, არაფრის ეშინია, თანამადაა. „ერთი იმედლი ალსახე, სულ წინ იყურება და ყოველი მისი ფეხის წინ წადგმა ძლიერმოსილებმა ხეალისათვის“... (ილ. ქავავაძე).

11. თ საბოკია, კართული ნატოფანი სიტყვა-თქმანი, III.

წინ ორი პარასკევი არ უდევს პრ. ორი პარასკევის მეტი არ აქვს ვასაყველი. ზვგ. დიდი ხნის სიცოცხლე არა აქვს, ორ კვირაზე მეტს ვერ გასძლებს, სულ მალე მოკვდება. „ორი პარასკევი მაინც წინ არ გიდევს, შე უმედურო! — ბუტ-ბუტებდნენ დედაკაცები და ისევ მისჩერებოდნენ არქიელს, რომელმაც ეკლესიისაკენ გასწია“. (ან. ერისთავ-ხოშტარია).

ამ თქმის წამკითხველი პირველად იმას იკითხავს: ჩვენი შვიდულის მეხუთე დღის — პარასკევის მაგიერ რატომ იმავე შვიდულის სხვა რომელიმე დღე, მაგ. სამშაბათი, ოთხშაბათი ან კიდევ შაბათი არ არის დასახელებული? მით უფრო გაიკვირვებს ბკითხველი, როცა ვეტყვი, რომ თქმაში ნახმარი პარასკევი უდრის ახლანდელ კვირას და შეიცავს შვიდულის, შვიდ დღეს ანუ ერთ კვირას!..

საიდან? როგორ?
 ცოტა შორიდან მოგვიხდება ლაპარაკის დაწყება, ქართველთა ცხოვრების, სულ უკანასკნელი, 1500 წლის წინათგან, იმ დროითგან, როცა ეგრეთწოდებულ წარმართობაზე ხელი ავიღეთ და ქრისტეს სარწმუნოების აღმსარებელინი გავხდით.

ძველთაგანვე (ხეტების დროიდან) ჩვენთა წინაპართ, ებრაელებსა, სპარსთა, ინდოელთა და სხვებთან ერთად, შეიძღვლიანი კვირა გვქონია და ვირჩეოდით იმათგან, ვისაც ხუთდღიანი (შაბილონელნი, ბერძენნი), ოვადღიანი (რომაელებნი), ცხობადღიანი (ინდოელებნი, ძველნი ბერძენნი), ათდღიანი (ეგვიპტელებნი) კვირა ჰქონიათ. შაბათის სისტემის სახელები დღეებისა (ორშაბათი, სამშაბათი და სხვ.), როგორც ჩვენი ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი თავის „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ წიგნში აღნიშნავს, ებრაელთაგან ბერძენებს შეუთვისებიათ, ხოლო ბერძენთაგან IV საუკუნეში, ქრისტიანობის მიღებასთან ერთად, ქართველთა გადმოგვიღია და მას აქეთ დღევანდლამდე შეგვრჩენია.

მაგრამ მანამდე, ქართველებს, როგორც მნათობთა თავყვანისმცემელთ და წარმართთ, შვიდულის დღეების სახელებიც წარმართული უნდა გვქონოდა, როგორც ეს დღეს მეგრულშია დარჩენილი, მაგ. თუთაშხა (=თუთაშ დლა=

მთვარის დღე); თახაშხა (=დიხაშ დლა=თიხის (მიწის) დღე) და სხ. იმ დროს კვირის ან შვიდულის მეშვიდე დღედ ითვლებოდა დღევანდელი პარასკევი. თვითონ პარასკევი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მომზადებას. ებრაულად პარასკევი კვირის მეექვსე ანუ მათის შაბათისათვის მოსამზადებელი, შაბათისათვის შესაგებებელი დღეა. ასე დაერქვა შვიდულის მეექვსე დღეს პარასკევი და ასევე გადმოვიდა ქართულში.

წარმართული სახელი პარასკევისა უნდა ყოფილიყო, როგორც ეს დღეს მეგრულ-სეანურ-ლაზურშია, ოზიშხა (=ოზიშ დლა) ანუ ოზის დღე. ოზი, თანახმად ივ. ჯავახიშვილის კვლევისა, უნდა ყოფილიყო სხვა ლეოთებათაგან გამორჩეული, სწორთა შორის პირველი ლეოთება ტაროსისა, წვიმისა, წყლისა, რომელსაც თავყვანა სცემდნენ ჩვენი წინაპარნი, თავიანთ პირველსამყოფელ ადგილას, აწინდელ საქართველოში დამკვიდრებამდე და თავთავის დროზე შესთხოვდნენ წვიმის გამოგზავნას, ურომლოდ სიცოცხლე ირგავნულ არსთათვის წარმოუდგენელი იყო.

საყურადღებოა, რომ პარასკევის მეგრულ სახელს — ოზიშხას (ოზის დღეს) კავშირი აქვს შინა ღვრასა, დაღვრასთან. მეგრულად ზუმა, დობუმა უდრის ქართულ ღვრას (სითხისა რისამე, ამ შემთხვევაში — წვიმისას). ძირი უნდა იყოს ბ და აქედან ალბათ წარმოებულა ზუმა, დობუმა, ჰეგემიზი (დომისხი), საზოგადოდ კბუხს — ასხამს, ღვრის სითხეს რასმე და თვით ოზი ანუ დემრთი წვიმისა, ტენისა, საზოგადოდ სითხისა.

რალა ჰყავდათ ქართველთა წინაპართ ოზი ასე გამორჩეულად სხვა ლეოთებათაგან, უპირატესობას მას რად ანიკებდნენ? ეს სრულებით ბუნებრივად უნდა ჩავთვალოთ, თუ წარმოვიდგინოთ, რომ ყველაზე დიდი, ყოველდღიური და დაუსრულებელი სახეწირი მასთანა ჰქონდათ.

შვს თავყვანა სცემდნენ, როგორც მანათობელს და მათობელს მნათობს. მაგრამ ეს მნათობი ქართველთა შეუხვეწრადაც ჰგზავნიდა თავის სხივებს და ჰგზავნიდა იმაზე მეტს, რაც იმათა სჭიროდათ. მთვარეს თავყვანა სცემდნენ და მადლობასა სწირავდნენ, რომ ღამით სიბნელესა ჰფანტავდა და ამ

სიბნელეში თავშეფარებულ ბოროტ და ავსულთ არილებდა. მივარამ სახვეწარი და სავედრებელი აღარც ამასთან ჰქონდათ რამე დღე შხვ.

სულ სხვა საქმე გახლდათ წვიმისა და სასოგადოდ ტაროსის ღმერთი... ჩვენთა სულ შორეულ წინაპართა პირველ სამყოფელოში ზოგჯერ წლობით არ ჩამოვარდებოდა ზეციით ნამი და ხალხი გველვასა და აქედან წარმომდგარ მიმშობლობას ებრძოდა, და ამ წვიმის უფალს, მის განმანაწილებელ ღვთაებას დილაღად რომ ეხვეწებოდნენ— წვიმა ეწყვალობებინა მათთვის! და ამა, ამ ღვთაების პატივსაცემად და გულის მოსაგებად, დააწესეს შედიდულის მეშვიდე და უკანასკნელი დღე დიდ უქმედ და დასვენების დღედ.

დღესაც სამეგრელოში, სადაც ობიშხობა, ანუ ობის დღეობა ძველთაგან და უხსოვარის დროითაგან არის დარჩენილი და სადაც წვიმა კირნახულიათვის ისეთის სიმწვავეით არა სკირიათ, როგორც ესა სკირიადათ ჩვენს შორეულ წინაპრებს, ამ დღის გატება ამ არაშორეულ წარსულში მეგრელისათვის არ ეგებოდა. აკრძალული იყო ფიზიკური მუშაობა, განსაკუთრებით მიწის დამუშავება, აკრძალული იყო ქალისათვის ხელსაქმობა: ძაფის დართვა, კერვა, ქსოვა. ასე ამბობდნენ: რომ ვიმუშაოთ ობიშხას, გვაღვა იქნება და უწყიმობით კირნახული გავვიფუტებო.

ამ ობის დღის ანუ მერმინდელი პარასკევის კულტი, სამეგრელოს გარდა, შენახულია სვანეთსა, გურიასა და იმერეთში. ამ დღეს ჩამოთვლილ მხარეთა სხვადასხვა დაბებში იმართებოდა ბაზრობა. ერთი ასეთი ბაზრობა, რომელიც ტიპად გამოდგებოდა სხვა დაბების ბაზრობისათვის, იმართებოდა ამ სამოცდაათის წლის წინათ მარტვილში, უფრო ზუსტად — ნაოლაღეში (მარტვილის ტაძრის ქვემოთ). მამაკაცებს ბაზარზე გამოჰქონდათ ყოველგვარი სასოფლო ნაწარმოები, ქალებს — ქსოვილები, საჩოხე შალეული, წინდები, ლინის საპერანგებები და სხვ. ამ ბაზრობაზე მეზობელ ლეჩხუმიდან მოჰქონდათ: ღვინო, თურაშაული ვაშლი, გომიჯი (ხშიაღი მტრედის ფორმისა), სოფ. სალსინოდან ხის ქურქელი: ატარი, ანუ კობიტა, ბნის სავარცხლები, თაბახები; სოფ. ნამკოლუდან — დოქე-

ბი, ქოთნები, ქვევრები; ბანძიდან იქ მოვაჭრე ებრაელთ — ფართეული. ამ ბაზრობას ეძახდნენ ო ბ ი შ ხ ო ბ ა ს ანუ ობის დღეობას ანუ კადვე — პარასკევობით გამართულ ბაზრობას.

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-კახეთს), პარასკევის ანუ ობის კულტი აქა-იქადა დარჩენილი. იმ სოფლებში, სადა პარასკევს უქმობენ, გლეხი მიწას არ შეანძრევს, დეიკაციც არ ხელსაქმობს. ბაზრობა გადმოტანილია ეკლესიის დღესასწაულებზე. მაგ. უსანეთობას (ქართლის სოფ. მეჯვრისხევეში) გამართული ბაზრობა მთელს ქართლში იყო ცნობილი და ათასობით ხალხი იყრიდა თავს შორეთის სოფლებიდან საქონლისა და საოჯახო ნივთების შესაძენად თუ ვასასყიდად; გერისთობა — სოფელ არბოში და სხვ.

ამ ძველბურს სალოცავ ღვთაების ო ბ ი -ს მოგონების მიზეზით, წუთისა და დღე-ღამის შემდეგ, დროის საზომად პარასკევი დიდო სანიშნო დღედ შეიღვეუს ანუ დღეების მინიმალურ კრებულს და დღე-ღამეთა ამ უმცირესი რიცხვის გავლის დროს იტყოდნენ: ერთი პარასკევი გავიდაო, ისევე, როგორც დღეს შეიღვეუსის მეშვიდე და უკანასკნელ დღისათვის კვირა გვიქვირა და ვამბობთ — ერთი კვირა გავიდაო.

და ამა, ყოველდღიურ ლაბარაკშიაც შემოვიდა ამ შვიდი დღის ხსენება, როგორც დროის ამა თუ იმ განსაზღვრული რაოდენობის ჩვენება. როცა აღამიანი ძალზე დასუსტებულია, მოხუცებული ან ავადმყოფი და მისი დიდისხნის გაძღების იმედი არაფისა აქვს, ძველად პირდაპირ იტყოდნენ და დღეს ხატოვანად გვემის: მავანს წინ ო რ ი პ ა რ ა ს კ ე ვ ი ა რ უ დ ე ვ ს ო , ე . ო . პ ა რ ა ს კ ე ვ ი ა ნ მ ე ო რ ე პ ა რ ა ს კ ე ვ ა მ დ ე დ რ ო რ ო მ ა რ ი ს (შვიდი დღე-ღამე), ო რ ს ი მ დ ე ნ ს ა ც ვ ე რ ვ ა ს ძ ლ ე ბ ს , ს უ ლ მ ა ლ ე მ ო კ ე ვ ე ბ ა ო .

წინსვლა პრ. წინისავენ ფეხის გადაღვა მანძილის გასაველელად, უკანად გილის დასატოვებლად. სვე განვითარება, წარმატება რომელისამე არსებისა გინა მოქმედებისა. „ამ ორ გრძნობათაგან წარმოსდგება ის ძღვეამოსილი წინსვლელობა, ის დიდი წარმატება, რომელიც ყარამანსავეთ ყაფის მთას მბრებულ დაიყენებს, რომ ქვეშ ჯარმა მშვიდო-

ბით და უწყინრად გაიაროს* (ილ. ჭავჭავაძე).

წინ ფეხის გადაბიჯება ის. წინ სვლა. წინყოფნა (ვიზუდენე) პრ. ვისიმე გასწრება, ვისიმე წინმდებარე ადგილის დაქერა. ზვ. ჯობნა, უპირატესობა, მორევნა, უარესობა. „რა ვუყო, რომ ის მამაკაცია და მე — დედა-კაცი! მითამ ჩემზედ წინ რით არისო? იმასაც ორი ხელი და ფეხი აქვს და მეცაო“ (ილ. ჭავჭავაძე).

წინწაადგება საქმისა პრ. რაც გასაკეთებელი გაქვს, თავის წინ დაიგეო. ზვ. ნაწილობრივ გაკეთება საქმის წინდაწინ, არგადიდება საქმისა. „ამ წესის დადგენა განა შესაძლოა ჩვენში ისე მომხდარიყო, რომ შიგად-შიგ თითო-ორი კაცი არ გამოირეულიყო და წესი არ დაერღვია, თუ ბოროტის განზრახვით არა, მოუთმენლობით მაინც, რომ არ დაუგვიანდეს და საქმე წინ წაიგდოს“ (ილ. ჭავჭავაძე).

წინწააქარი პრ. პირველად მონაქროლი. ზვ. პირველგამონადენი არაყი, კარგის ღირსებისა. „კარგი ვქმნით, ბატონო გიორგი, რომ საგზაოდ თითო ყანწი გადავკარიო წინწააქარი: შეგვათრთოლებდა ეს დიდის სიო“ (ე. ბარნოვი).

წისქვილზე არ დაიფქვიანო პრ. წისქვილზე (მისი) დაფქვა შეუძლებელია. ზვ. ღარიბია, სულს იქით არა აბადია რა.

ითქმოდნა მეტად ღარიბ, ხელმოკლე კაცზე; რომელსაც წისქვილში დასაფქვავად წასადები ხორბალი არ ებადა და რაც არ ებადა, რა უნდა დაეფქვა.

წისქვილზე დასაფქვავი პრ. წისქვილზე ფქვილად გადასატყეველი. ზვ. ძალზე გამხდარი, გაძვალტყავებული, დანალა გამოლეული; ღარიბი, უსახსრო, უქონელი. მგლ. ამ გლეხს სულს აქეთ არა აბადიანო, რო იტყვიან, წისქვილზე დასაფქვავი იაო, სწორედ ის არის.

როცა აღამიანი ძალზე ღარიბია, მატერიალურ ქონებას მოკლებული, როცა სასძელ-საქმელი აკლია ან სულოც არა აქვს, გამხდარია. დონე გამოლეული აქვს, ფერად ფერად მიჰვერია, ლოყებჩაიცივნილი, ძვალტყავად ქცეული. განზარი, იმდენად გამომზრალია, რომ ხალხის მოსწრებულ და

სურათხატოვანი თქმით, დასაფქვავადაც კი გამოადგება, ივლისხმება, რომ წისქვილზე დასაყრელად ხორბალი ნელლი არ შეიძლება, შექველად ძალზე გამხმარი უნდა იყოს. რომ უფრო ხაზი გაესვას ასეთის კაცის ხელმოკლეობას, რომ კაცმა უფრო მკაფიოდ წარმოადგინოს გაჭირებულის კაცის მდგომარეობა, სურათ-ხატოვანად ამბობენ ხოლმე — წისქვილზე დასაფქვავი იაო. ან როცა უნდათ გალანძლონ კაცი ვინმე და ცხადპყონ მისი სიღარიბე და უნიათობა, ამავე თქმის წოდებითს ბრუნვაში იხმარენ და ასე შეამკობენ, ვისაც მიმართავენ; აჰ, შე წისქვილზე დასაფქვავი იაო!.. წისქვილზე დასაფქვავი იხ. წისქვილზე დასაფქვავი.

წისქვილზე ვიყავ პრ. იქ ვიყავი, საცა წისქვილია. ზვ. სურდო არ შემეყრება.

ამ სიტყვებს ეტყვიან იმას, ვინც ეტყვის პირველს. სურდო მჭირსო, ე. ი. შენ თუ სურდო გჭირს, მე ამისა არ მეშინია. რადგან წისქვილზე ვიყავ, საცა წყალია და გაცივება შეიძლებოდა, მაგრამ არ გაცივებულვარო.

წისქვილის ქვალა არ დატრიალებულა ჩემს თავზე პრ. ჩემს თავზედ წისქვილის ქვის მეტი ყველაფერი დაუტრიალებია. ზვ. მეტის-მეტად მიწვალა იმან ცხოვრებაში, ვინ იცის, რა არ გადამხედია, ბევრი ვაგლახი გამომივილია. „რა არ გადაგხედია თავს. რა მტრები არ მოგესცივან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრქენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გაეუძელიო“ (ილ. ჭავჭავაძე).

ამის თქმა შეუძლია ცხოვრებისაგან დაჩაგრულს, განაწამებს, უზომოდ ტანჯულს, ბედუღორსა და ბედწავეს აღამიანს, რომელსაც გამოთვლია ყოველისავე სახის პატივნი. როგორის წარმოდგენაც კი შესაძლებელია სიყვდილის შეილისათვის, და როცა ასეთი შესჩივის თავისს მოყვასს თავის სვეუბედურებაზე, ამ თქმით უნდა თავი შეაბრალოს, შეაჯოდოს და გამოიწვიოს მისი თანაგრძნობა.

წისქვილის წყაღვით გადავარდა პრ. წისქვილის წყლის სისწრაფით დაეშვა. ზვ. მეტად სწრაფად დაეშვა

ზევიდან ქვევით. მგლ. იმ ქალს ავად-
მყოფობა წიხქვილის წყალი-
ვით გაადაუვიარდა.

ზევიდან დარუხბული წყალი, დაქა-
ნებული დარით ძალზე სწრაფად და
ლონივრად ჩამდინარო, წყლის წისქვი-
ლის თვალს ატრიალებს. და როცა
გვინდა გამოვხატოთ ვისიმე ან რისიმე
სისწრაფის სიძლიერე, ვადარებთ ამ
წისქვილის წყალს და ვამბობთ, რო-
გორც ზემოთე მავალით შია მოტანლი:
ავადმყოფობა წისქვილის წყალივით
გადაუვიარდა ავადმყოფსათ. ე. ი. ხე-
ლად შორხა, არც-კი წოლილია.

წიწილასავით გავლენჯა ჰრდ. წიწილის
დავლეთის მსკავსად. სჯვ. აღვილად
მორეგნა, დამარცხება, ჯობნა. „შე-
იტყო თუ არა, რაშია საქმეო, იმ
წუთსავე გაალმისებული ჰილისაკენ
გამოქანდა. გულგანეთქილ ილიკოს
წიწილასავით გავლენჯდა, იქ
რომ დახვედროდა“ (მჰაბიტი).

წიხლის დაცემა ჰრდ. ფეხების და-
რტყმა. სჯვ. სახელის გაცემა, შეურა-
ცხოფა, გალანძღვა. „კიანოს ოჯახს
სომ მით წიხლს არ დასცემ-
დენს! ის იყო, კუდით სათრეგ ხა-
რივით მიღონილად საშაზრო სას-
წივლებლის გათავებამდის, რომ კი-
ანომაც თქვენი კირი წაიღო“. (მგნ.
მენტოშაშვილი). „ბედნიერება კარზე
მოვლდომია. ღმერთი ხელს ვიმარ-
თავს და შენის უგონობით წიხლსა
სცემ, ღეთის მოწყალებას უკადრი-
სობ“ (რ. ფავლენიშვილი).

წიხლის დაჭერა ჰრდ. ფეხით ძალის მი-
ტანა ზევიდან ქვევით. სჯვ. დაჩაგვ-
რა, მოსასპობად გამეტება. „იქნება
ამ ვარსკვლავზე ვარ დაწერილი,
იქნება ერთმანერთის წერისანი ვიყ-
ვნეთ მე და სეო, — ჩემს ხელს მევე
რად უნდა დავცე და დავაჭირო
წიხლი იქ!“ (მგნ. ყარამანდი). „მთელს
სოფელში, შვილოსა, ი ერთ კაცს
მუჭაში უჭერისხართ და როცა ჩემის-
თანას (სუსტს) მოასწრობთ, წიხლს
აჭერთ!.. რატომ იმაზე ხმას არ
იღებ, ჰა, მითხარ ერთი!..“ (ს. ნგა-
ლიანიშვილი).

წიხლის კვრა ჰრდ. ფეხებით ცემა. სჯვ.
უარის თქმა, ხელის აღება, უარყოფ-
ვა; დაწუნება, არაფრად ჩავდება,
ცემა, შეურაცხოფა. „აღლეს კაცს
იხე არ გაუვლის გვერდით თავადს თუ
ანხაურს, წიხლი არა ჰკრას, ან

მის ხსენებაზე ღორბლები არ წა-
მოჰყაროს“ (ილ. ჰავეაჰე). „შვილო
შენს იბნალს წიხლს ნუ ჰკრავ“
(მგნ. მენტოშაშვილი). „არც არავინ
ზრუნავდა მის მოპოვებაზე და ქო-
ნებაზე, რაც აღემატებოდა უსაქო-
როეს ტანთსაცემელს, და ვერც არავინ
წიხლს უკრავდა და ვილაშვილების
ოჯახს და ქონებას უბრალო ჩიემა-
დაბურვისა გამო“ (მელანია).

წიხლის კვრა ითქმის ცხენზე, ჯორ-
ზე, სახედარზე, რომელიც უკანა ფე-
ხებს ღონივრად მალდა ისერიან მტრი-
სათვის მოსახვედრად და დასაზავებ-
ლად.

წიხლქვეშ გავდება ჰრდ. წიხლებით
შედგომა ვიხედმე. სჯვ. ძირს დანარც-
ხება და ფეხებით ცემა, დამორჩი-
ლება, გაბატონება ვიხედმე. „მამა-
ჩემი ზაალ ნუ წამიწყდება, რომ წი-
ვალ, ზაქარიას (კოლსაც, ლევან-
საც, ნიკოლოზსაც წიხლ ქვეშ გა-
ვიგდებ, რომ ეს ამბავი სულ იმა-
თი უნაბია“ (ილ. ჰავეაჰე).

წიხლჭრტის კვრა ჰრდ. შუა თითის
კვრა. სჯვ. მსუბუქი ძალის დატა-
ნება. „კონამ მოწამლა იგი (სო-
დარი) და ისე დაადუნა ბატო-
როსანი ახალგაზრდა, რომ წიხლჭრ-
ტი ეკრა ვისმე, ვარდაიქვევოდა“
(მელანია). „წიწილს წიხლჭრტი
ჰკრესო და კირადაც ეყო და ღი-
ნადაცო“ (ანდახა).

წიხლჭრტი — მოკაქულ შუა თითის
მაიდებენ ცერს და მერე ერთმანად
მოსხლეტენ.

წიხლისათვისაც ხელი არ უხლია ჰრდ.
წიხლისათვის ხელი არ მიუვიარებია.
სჯვ. ერთი ბეწო რამ არ მიუთყვისე-
ბია. არ აუღია, არ დაუსაკუთრებია.
„სტრანეიკები“, რა თქმა უნდა, მე
ჩემთან დავაყენე, მე ვასმევდი, მე
ვაჭმევდი. ცხენებს მე ვუნახავდი და
ერთი იმათგანი სოფელს არც-კი
მიჰპარებია, არც ერთს მათგანს
ვლევხავდის წიხლისათვისაც
ხელი არ უხლია“ (ილ. ჰავეაჰე).

წიხის ხვალზეა ჰრდ. ერთი წლის გან-
მავლობაში უნდა იაროს. სჯვ. ძა-
ლიან შორსაა, სულ დიდი ხნის
სავლელი გზაა. „რა ვქნა, შენი კი-
რამე; ბატონო: წინდაწინ მეგძნო,
თუ ასე იქნებოდა, რა ღმერთი გა-
მიწყრებოდა და წლის სავალზე-

დაც არ მოვერიდებოდი მაგ ოხერ-სა!..“ (ან. ერისთავ-ხოშტარია).

ჯერ კიდევ ამ ნახევარ საუკუნეს წინათ ჩვენს ხალხს ერთ ადგილიდან მეორემდე სიშორის საზომად ჰქონდა ის ღრო, რასაც ანდომებდა ამ სიშორის გაღვევას. ეს საზომი იყო: დღის სავალი, დღე-ღამის სავალი, ერთის კვირის სავალი, თვის სავალი. სულ დიდი სიშორე გამოიხატებოდა ერთის წლის სავალით.

წმიდა მოციქული პრე. ერთი ათ-თორმეტთავანი იესო ქრისტეი. ზვ. კეთილი, პატიოსანი, სათნო. „ძალუა ჩემი ხომ არის და არის ფარჩის ნაქერი, არც ეს გატრუსული ადვოკატია წმიდა მოციქული“ (ავმ. ცაგარელი).

წმიდა აზნაურიშვილია პრე. მის აზნაურობაში ექვის შეტანა შეუძლებელია. ზვ. უკიდურესად ხელმოკლეა, სულს იქით არა აბადია რა, უპოვარია, გლახაკია. შვლ. ამა არჩილზე ითქმის წმინდა აზნაურიშვილიაო, შინ კატა ვერას შეუტამს და გარეთ — ძილი.

ჯერ კიდევ ბატონყმობის დროის აზნაურს არაფერი ებადა და პრეტენზიები კი, როგორც „კეთილშობილი“ წოდების კაცს, დიდი ჰქონდა. აზნაურიშვილის მთავარი დამახასიათებელი იყო — შრომისადმი ზნედი, სურვილი სხვისი ნაშრომითა და ნაოფლარით ცხოვრებისა. ბატონ-ყმობის შემდეგს აზნაურს დარჩა მარტოოდენ პრივილეგიები, რომლებიც არსებობდა არას იძლეოდა. ამნაირი ელემენტი, ბატონ-ყმობის გადაუარდნის შემდეგ, ჩვენმა ცხოვრებამ მალე გაინაპირა, ამოიჭამა. დარჩა მხოლოდ დაცინვითი და საჭირდავი სახელი „წმინდა აზნაურიშვილისა“, რომელიც ვერც თავსა რგებდა რასმე და ვეღარც მტერს სცემდა პასუხს. და დღეს „წმინდა აზნაურიშვილი“ სინონიმა უპოვრობისა, ცარიელტარიელობისა.

წმინდა სისხლის პრე. უშუქყო, სუფთა სისხლისა. ზვ. კარგის ჩამომავლობისა, ჯიშინი. „გასაკვირველი ეგ მუხლი მით უფრო არის, რომ იგი შეიტანა პროექტში იმისთანა წმინდა სისხლის ლიბერალმა, როგორც გლადსტონმა“ (ილ. ჰაგვაძე).

წმინდაში დგომა პრე. თავის გამოჩენა უშუქყო. ზვ. უდანაშაულოს სანოსით შემოსევა ტანისა, ბოროტების

გარეშე დგომა, უცოდველად, ანგელოზად გამოყვანა თავისა, „და შენ კი წმინდაში დგება ცველაფრის ავანაზინი“ (ბაჩან).

ყველას ერთნაირად კი არ ესმის ან ხელს არ აძლევს ასე თუ ისე ესმოდეს თავისი მოვალეობა და ის, რასაც ეს მოვალეობა აკისრებს. კაცი ცდილობს ქვეყანაზე მარტოოდენ სიკეთე სთესოს და გაჭირვებულ მოყვას თავს შემოეგლოს. კაცია — მარტოოდენ სიადე და სიბოროტე გამოუღის ხელიდან და მისს სახელს გარშემო დღე ყოველ და ჟამსა ყოველსა ლანძღვა-გინებას იმის; ის მიინც კადნიერად იძახის, დმერთი, რკული მე არასფერს შუაში ვიყვე; სხვები არიან, სხვები, ქვეყნის რომ აქციევენ, სხვები, და არა მე, აწიოკებენ საწყალ ხალხსაო... და აი სწორედ ამ უკანასკნელი ჯურის ადამიანებზეა რომ ამბობენ — წმინდაში დგე ბიანი!..

წმინდა უარზე დგომა პრე. სუფთა უარის თქმა. ზვ. გადაჭრით უარის თქმა. „სეოსაც ვაგეებთ სურდა. ნარკრისთვალის ცოლობა, მაგრამ შინაურები სეოსი, ძმები, დედა, რძლები — წმინდა უარზე იდგნენ“ (ფნ. ყარაშანიძე).

წმინდა წყლისა პრე. აუმღვრეველი, გამკვირვალე წყლისა. ზვ. უეშმაკო, უზაკველი, პატიოსანი, მისანდო, გამტანი. „ღმერთმა ჰქნას თვითოეული ჩვენგანი და ჩვენთან ერთად იმისთანა წმინდა წყლის კაცი, როგორც კორესპონდენტია, ამისებრ დანაშაულის მეტს სხვას არასა ჰგონობდეს წინაშე ადამიანისა, საერთოდ, და გლეხ-კაცისა — საკუთრივ“ (ილ. ჰაგვაძე). „შუათანა ძმან უთხრა: ჩემი ცოლი ცოტა უკეთესიაო, მაგრამ წმინდა წყლისა არც ის არისო; არც ის მაყრის ხეირსაო“ (თ. რაზვაშვილი).

ეს თქმა იზიარება ავრუთვე ძვირფასი, პატიოსანი ქვების შესახებ. იტყვიან — წმინდა წყლისაო, როცა ქვებს ბრწყინვალება, სიწმინდე და გამსჭვირვალეობა აქვსთ. მაგ. წმინდა წყლისა ალმასიაო.

წმინდა წყლისა არ არის (ესა თუ ის ადამიანი) პრე. იმ ადგილისა არ არის, საცა წმინდა წყალია. ზვ. გაიძვერა, ვერაგია, ეშმაკია. შვლ. ჩემო კარგო, ვერ გენდობი.

ზედვე გიტყობა, წმინდა წყლისა არ უნდა იყო.

წყალი, რა თქმა უნდა, წმინდა, ქართულში სათაყვანო სავანადაა მიჩნეული. (ამის შესახებ დაწერილებით იხილე წყალი). იგულისხმება, რომ შიგნულში ადამიანი განბანულია ყოველისავე მწიკლოვანებისაგან, სუფთაა. ხატოვანად: — შენკუღია ყოველგვარის ღირსებითა, რაც კი ადამიანს აშევენებს, რაც კი ადამიანდა ხდის. ხოლო ეშმაკ, ვაიძვერა ადამიანზე ვიტყვი თ ხოლმე: კოქებში ეტყობა — წმინდა წყლისა არ უნდა იყოსო.

წნელების გრეხა პრე. წნელების აქეთიქით ბოლოების შეტრუნება, ერთი-მეორის მოწინააღმდეგე მხარეს. ზღვ. მიკინ-მოკინვა, ღობე-ყორეს მოღება, უკუღმართად მოქცევა, ტყუილების ლაპარაკი.

რამე რომ ივრიხება. ერთი წვერი დასაგრესისა — ამ შემთხვევაში წნელისა — ერთ მხარეს ტრიალებს და იხევება, ხოლო მეორე წვერი — პირველის მოწინააღმდეგე მხარეს. ორსავე წვერის სწორად, ერთის მიმართულებით ტრიალით სავნის დაგრეხა შეუძლებელია. ამნაირი ღვარკუნა, მიხვევა და მოხვევა-წნელისა გადატანითად დადარეგულიანა ლაპარაკს ადამიანისას, რომელსაც ტყუილების თქმა ემარჯვება, პირდაპირს, სწორე თქმას გაუარბის, ხან რას მიჰკიბავს და ხან რასა, ეღება ღობე-ყორეს, ეტანება ტყუილებით ფონს გასვლას... ხოლო როცა უნდათ დაჰკმონ ადამიანი თავისი უხამსობისათვის და ცდილობენ სწორე გზით სიართულს დაიჩვიონ, მოკლედ ეტყვიან: შენს ლხენას, ემანდ ტაბიკებს ნუ ამტრევე, წნელებს ნუ ჰგრეხავო.

წნელიად შენახვა (ქალისა) პრე. ქალი-სავან წნელის გაკეთება. ზღვ. ირო-ნიული თქმა. ვასათოვრად დარჩენა, დაჟამება. „მართალია, მაგრამ ქალი, მინამ გათხოვდება — დასაფრენი ბარტყა და ფრთის ქვეშ უზის დედასა. — როგორ? წნელიად შემიბინახავდი, თუ?..“ (ილ. ჰავაჯაძე). „ერთი დაელაპარაკე ძალუა მანანას. თავის შეილის ალექსანდრისათვის რად იხსიავს შინ აგრე წნელიად, რატომ არ აძლევს სამსახურში?“ (გრ. ორბელიანი).

ეს თქმა შეეწონება, განსაკუთრებით დედ-მამის სახლში ვასათოვრად ჩარ-

ჩენილ, დაეამბულ ქალს, რომელიც ედრება მარილ წყალში სამწინილედ, დასამეყიებლად ჩადებულ მცენარეულობას რასმე. როგორც სამწინილე განგებისად იხსება, და დიდხანსაც, ერთსა და იმავე მდგომარეობაში, ისევე ამა თუ იმ მიზეზით ვასათოვრად ჩარჩენილი ქალი ერთსა და იმავე ყოფაშია, მისი ცხოვრების პირობები ნირუცვლელია, მისთვის არც ქმარია, არც შვილებია, არც ოჯახია ახალი.

წრეს გადახვლა პრე. გარშემოწერილი ადგილიდან გადაცილება. ზღვ. კანონიერების დარღვევა, დაშავება, უწყესობა, თავის ახვევა. „მწყემსი მთელი სოფელია, ყველამ უნდა ყური უგდოთ, თქვენ უნდა ჩავაგდოთ ჩვენი გულისხმაში, როცა რომ წრეს გადავალთ და დავაშავებთ რასმე“ (ს. მკალაბლიშვილი).

წრესგახული პრე. გარშემოწერილი ადგილიდან გადაცილებული. ზღვ. კანონიერების დამრღვევი, დანაშავე, უწყესო, თავაშეებული. „რატომ ეგრე საქებურად გაუჩუმდა ამისთანა წრეს გადასვლას უნდა ფანატისობას, რატი აქამდე მიიყვანა საუბარი“ (ილ. ჰავაჯაძე).

წრესგახული პრე. წრეს გარეშე დარჩენა, წრის გარეთ გასვლა. ზღვ. უწყესრიგობა, თვითნებობა, ვისიმე მორჩილებისაგან გამოსვლა. მკლ. ადამიანისათვის დიად დასაძრახისია წრეს გადასვლა, ოღონდაც რომ წინააღმდეგე უნდა ეიყვებინ ამისა. იგულისხმება, რომ ადამიანი უნდა მოქმედებდეს გინა საქმიანობდეს განსაზღვრულ წრეში, ამ წრეში ეტეოდეს, იქიდან არ გამოდიოდეს. წრიდან გამოსული კაცი უკვე დამრღვევია ცნობილი კანონით თუ ჩვეულებით დაწესებულ ნორმებისა.

წრეთიბილი პრე. გამავრებული. ზღვ. მხნე, ჰირს შეჩვეული, უბედურობის გამძლე. „მისსა (ნესტან-დარეჯანის) ვით გასძლევს გაყარა გული ალმანი წეთობილი“ (შ. რუსთაველი). ის. გამოწრეთობილი.

წუთისოფელი პრე. ერთის წუთის განმელობაში საცხოვრებელი სოფელი. ზღვ. დროებითი, წარმავალი, არახანგრძლივი; სააქაო, მიწიერი (ცხოვრება). „გატყდა შუაზე ჩვენის წუთისოფლის უღელიცა, მოგიკვდა, ოთარაანთ ქერივო, ტოლდასადები



მეუღლე, დარჩი ცილად“ (ილ. ჰავ-
ჭავჭავი). „დარჩენი კი ან გზაზე
ისოცებოდნენ, ან მგზავრობა უძნე-
ლებლათ აეადმყოფობას და მიანი-
ესალმებოდნენ წუთისოფელს
აღრე თუ გვიან“ (მელანია). „წუთის-
ოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ
წავალთ და სხვა დარჩება“
(ხალხური ლექსი). „ასე ჩამოჭრით მე-
ცა და ჩემი ამხანაგებიცა მრავალნი,
სწავლასაცა და წუთისოფელს-
საცა და დავრჩით ტოროლა ჩიტი-
ვით მინდორში“ (ილ. ჰავჭავაძე).

სარწმუნოების თანახმად, ადამიანს
ორი ცხოვრება აქვს: სააქაო — მი-
წიერი, დროებითი, „წუთიერი“, რო-
ფელსაცა ჰქვიათ ამიტომ წუთისო-
ფელი, ხანმოკლე, სწრაფწარმოადგი, და
საიქაო, — ზეციერი, სადაც საუკუ-
ნოდ იცხოვრებს სული, ადამიანის
ხორციელ სიკვდილს შემდეგ, სამარა-
დისო სავანეში. ცოცხალ ადამიანთა-
თვის უქვიათ წუთისოფლის სტუმი-
რები, ე. ი. დროებით დამრჩენნი,
მაღლე წარმავალნი.

წუთისოფელი მოვიგე პრდ. სააქაოში
საკმაოდ ვიცხოვრე. ზღვ. ვახველ-
დღენი ჩემნი; იმდენი ვიცხოვრე, რამ-
დენიც მეყოფოდა. ზღვ. მოვიგე
წუთისოფელი, ახლა სიკვდილის
შეტე არა დამრჩენიარა.

ითქმის, როცა ადამიანი წინასწარ,
უდროოდ არა კვდება, არამედ ცხოვ-
რობს მანამდე, სანამ სიცოცხლე ეტ-
კბილება, სანამ იტყოდეს: მეყოფა
შის ცქერა, დროა წინაპართა გზას
გავეყვო.

წუთისოფელს ვინ შერჩენია! პრდ. ვინ
დარჩენილა საუკუნოდ ქვეყანაზე?
ზღვ. ყველა უნდა მოკვდეს, ერთხე-
ვლა იქნება, სიკვდილი აუტოლებე-
ლია. „ვინ არა კვდება? ვინ შერ-
ჩენია ამ წუთისოფელს სა-
უკუნოდ? ადამიანი სიკვდილის შვი-
ლია“ (ილ. ჰავჭავაძე).

წუთისოფელს თავში ჩაქუჩი ჩაუკრავს
პრდ. სააქაო ცხოვრებას ჩაქუჩი და-
ურტყვას თავში, ზღვ. ცხოვრებას
გაუმწარება. (კუდი შეუხვედრებია,
უტანჯნია, გაუწამებია. „სოლომონა
არის ოცდა შვიდის წლისა, როგორც
იმის დედა მათა იტყვის ხოლმე, მაგ-
რამ შეხედვის უმაღლვე მიხედება კაცი,
რომ დაუნდობელ წუთისოფელს,
დიდი ხანია, რაც თავის ჩაქუჩი

ჩაუკრავს თავში“ (ს. მგალბ-
ლიშვილი).

წუთისოფელს შერჩენა პრდ. წუთისო-
ფელს გამოუწიროვლობა, მარად მას-
თან ყოფნა. ზღვ. დაუსრულებლე
სიცოცხლე, უკვდავება, მარადის არ-
სებობა. „რო კვდებოდა (თვედორე),
მიზინა-კი არ შეუკრავს წარბი, და-
მიძახა და მითხრა:

— რა ვატირებს, აღამიანო! განა
შენ-კი შერჩები ამ წუთისო-
ფელსაო? ყველას ბოლო ეს არის,
ტირილით ნაშობი სიცილით უნდა
კვდებოდეს“ (ილ. ჰავჭავაძე).

წუთისოფელს ჩამორჩენა პრდ. ამ ქვეყ-
ნური ცხოვრების უკან დარჩენა. ზღვ.
ცხოვრებას ჩამორჩენილობა, ცხოვ-
რების მოთხოვნილებას დაუქმყოფ-
ვლებლობა, ფეხის აუყოლებლობა.
„და ასე ჩამოვრჩით, მეცა და ჩემი
ამხანაგებიცა მრავალნი, სწავლასაცა
და წუთისოფელსაცა და დავრ-
ჩით ტოროლა ჩიტივითა მინდორში“
(ილ. ჰავჭავაძე).

წუთისოფლიდან წასვლა პრდ. მოშო-
რება ამ ქვეყნიურ ცხოვრებას. ზღვ.
სიკვდილი. „ბეგრმა ვეჯაკცმა დასდო
თავი, ბეგრმა დაღვარა სისხლი,
ბეგრმა აფიცრობამ თავისი ყმაწვილ-
კაცობის დღენი დაღია ამ ომში
(რუს-ოსმალის ომი 1876 — 78),
ბეგრი წარვიდა — მეთქი ამ წუთის-
ოფლიდან თვისტომთაგან და-
უტირებელი“ (ილ. ჰავჭავაძე).

წუთისოფლის დაღვევა პრდ. გათავება
ამქვეყნიური ცხოვრებისა. ზღვ. სიკვ-
დილი. „დავლო იწუთისოფელი,
მიგებარდი მეუფესაო“ (ს. მაკალათია).
იხ. წუთისოფლიდან წასვლა;
წუთისოფლის მოქმეა.

წუთისოფლის ღსინ-ქეიფში ყოფნა პრდ.
ღსინა და ქეიფი ამ ქვეყნიურ ცხოვ-
რებაში. ზღვ. ბედნიერად ყოფნა, სიე-
სება ყოველისავე სააქაო სიკეთითა.
„იბი, კაცებო, რამოდენა საფრთხეში
და ტანჯვაშია მეცხვარე კაცი და
ზოგს-კი აგრე ჰგონია: ბარი და ნი-
ჩაბი რომ არ უქირამთ, წუთისოფ-
ლის ღსინ-ქეიფში არიან ო.
დოლობაში კიდევ მემცხვარისთანა
ცეცხლის პურისჭამა ვისა აქვს ღუ-
ნიაზე“ (დ. მაჩანელი).

წუთისოფლის მავუტრებელი პრდ. ვინც
სააქაო, ერთწუთიერ ცხოვრებას უც-
ქერის. ზღვ. მედროვიე, სამუღამო

ცხოვრებისათვის უზრუნველი. „ხო-
რეშანი. სხებარ როგორ გიკითხობთ,
კნინა ელისაბედ?
ელისაბედი: ვართ რალა, ამ წუთი ი-
სოფლის მამყურებელნი“ (ილ.
კავებაჲ).

წუთისოფლის მოტყუება პრ. ცოუნება
წუთისოფლისა, ტყუილის თქმა. ზვე.
ცუდიდ ცხოვრება. ვანცდა გაპირე-
ბისა, ღარიბული ყოფა. „მაღლო-
ბელი ვარ, კარგათა ვართ, ეს სადა
ხარ, ოსეფ პეტროვიჩ, რომ ერთი
აღარ მოინებდე ჩვენსე? —

საქმეები, ბატონო; საქმეები! ჩვენც
ვატყუებთ რალა წუთისო-
ფელს!“ (აფ. ცაგარელი).

წუთისოფლის მოშლია პრ. წუთი-
სოფლის ანუ სააქაო ცხოვრების
გაქრობა, მოსპობა. ზვე. სიკვდილი,
გადაცვალება. „ერთ დიდ პეტრეს
და ოს სხვასა მოშლოდათ წუ-
თისოფელი“ (დ. გურამიშვილი).

სააქაო ჩვენს ხალხს წარმოდგენი-
ლი აქვს, როგორც დროებითი სამ-
ყოფელი იდგომი, სადაც ადამიანის
სიცოცხლე, საიქიოში საუფროსი ცხოვ-
რებასთან შედარებით, წუთიერად, ძალ-
ზე მოკლენისად თუ-ღა ჩაითვლება.
როცა მოვედებით, ჩვენთვის წუთი-
სოფელიც მოშლილად, მოსპობილად
უნდა ვიგულოთ. აქედან წარმოებულია:
ა) დალოცვა: არ მოგეშალოს წუთი-
სოფელი, ე. ი. დიდხანს იცოცხლე;
ბ) წყევლა: აი, მოგეშალოს წუთისო-
ფელი, ე. ი. მოკვდი, მოგსპობოდეს სი-
ცოცხლე და სხვ. და სხვ.

წუთისოფლის მოქმა პრ. შექმა რაც
შესაქმელი იყო სააქაო ცხოვრებაში.
ზვე. ყოველგვარი სიამოვნების გეშება
ცხოვრებაში, კარგად გატარება სი-
ცოცხლისა, დასრულება სიცოცხლი-
სა. — როგორ თუ რა მენაღვლე-
ბა! — სთქვა ბებერმა წიფელმა: —
თქვენ ჩემი შვილები არა ხართ?!
მე მოვედდე, თქვენ იცოცხლეთ;
მე ჩემი წუთისოფელი უძკვე
მოგქამე“ (ვაჟ-შაველა).

წუთისოფლის სტუმრები ვართ პრ.
დროებით ვეწვიებით ამ წუთისო-
ფელს. ზვე. ყველანი დავისოცებით,
იცოცხლები არავინ დაერჩებით, ამ
ქვეყნის არავინ შევრჩებით, ამ ქვეყ-
ნიად დროებითა ვართ, მალე გავეც-
ლებით აქაურობას. „რა უყვით, ბი-
ბაგ, აბა რალას ვუშველით, ღმერთმა

მეტი ნულარა ავი მოგარგინოს. ბე-
ბერი უნდა მოკედეს. წუთისოფ-
ლის სტუმრები ვართ, ჩვენ წა-
ვლთ და სხვა დარჩება... — უთხრა
მგელმა“ (ვაჟ-შაველა). „წუთი-
სოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავლთ და სხვა დარჩება... თუ
ერთმანეთს არ ვახარებთ, იმის მეტი
რა შეგვარჩება“. (ხალხ. ლექსი). იხ. წუ-
თისოფელი.

წუთისოფლის უღელი პრ. უღელი,
რომელსაც კისერზე გვადგამს ამ-
ქვეყნიური ცხოვრება. ზვე. ცხოვრ-
ება, ცხოვრების მოვალეობა, ცხოვ-
რებაში გასაკეთებელი. „გატყდა შე-
ახე ჩვენის წუთისოფლის უღე-
ლიცა, მოვიყვდა, ოთარაანთ ქვრი-
ვი, ტოლდასადები მეუღლე, დარჩი
ცალად“ (ილ. კავებაჲ).

წუნის შედეგა პრ. წუნის მოხვევა.
ზვე. ცუდიდ მიჩნევა, უარყოფითი
მხარეების აღმოჩენა, დაწუნება.

წურბელა პრ. რგოლიან ჯგუფის კია.
ზვე. ვინც შეხარბებით ან სხვა ამის
მსგავს გზით ფულსა მოულობს, მე-
ძიარი, მართალია, ინგლისს ჰსწამე-
ბენ, რომ კოლონიებს წურბელა-
სავით ჰსწოვსო, სარჩო-საბადე-
ბელს არ არჩენს და სულ თავისკენ
იტლისო“ (ილ. კავებაჲ).

წურბელა ნავუბარ წყალში ცხოვ-
რობს და ექიმობაში ადამიანის სხე-
ულიდან სისხლის გამოსაშვებადა
ხმარობენ. ძალიან ემარჯვება ადამი-
ანის სისხლის წოვა. გადატანითად
წურბელა გვიქვია ისეთ ადამიანისა-
თვის, ვინც სხვისი ნაოფლართა ცხოვ-
რობს, სხვას უკანასკნელს ლუკმას აც-
ლის პირიდან, განსაკუთრებით წურბე-
ლა გვიქვია მევახშისათვის.

წურბელასავით მოკიდება პრ. წურბე-
ლას მსგავსად მიკრობა რაზედმე.
ზვე. მოუშორებლობა, ჩამოუხსნელო-
ბა რისგანმე, მიმაგრება რაზედმე.
„ვერო, ეს ძალიან წურბელასა-
ვით მოკეიდა ამ საღვინესა, რაც
მოუტანია, კიდევც დასკლის“ (ხ. ან-
ტონოვი).

ცნობილია, რომ როცა წურბელას მო-
ვიკიდებთ სისხლის გამოსაშვებად, ისე
ჩაავდება ხორცს, რომ მისი თოშორება
მეტად გასაჭირია. მარლის დაყრით
თუ-ღა შევსდლებთ მისს მოწყვეტას.
წყალგაღმა პრ. მდინარის მეორე მხა-
რებზე. ზვე. მოწყვეტილობა ქვეყნისა.



თავისიანებს, განმარტოებთ, დაუხმარებლად, შორს ყოფნა, ზღმნიუწვიდნელობა. „უხსვავით ერთის გულმარტო ბარკია, სისხლის აღებ-მცემი აგებულებისათვის. სად არის ის სხვა? წყალგალმა, შორს...“ (ილ. ჰაჰვაძე). „ერეთში წყალგალმა გაბიჯებამ“ „მამებისამ“, ანუ, უკეთ ვსთქვათ, გაჭირმა, — გააგულისა „შვილები“ (ილ. ჰაჰვაძე). „ცოლი მყავს და გაღმეღ კაცსა ჰყავსო“ (ხალ. ანდაზა). „ჩვენში თუ თქვი, — წყალგალმა გარო, ეს იმასა ნიშნავს, რომ მოწყვეტილი ხარ ქირსა და ლხინში წყალგამოღებლებს, რადგან შუაში გყოფხთ მდინარე, და როცა მდინარეს გასხენებთ, უმეკველად უხიდო, დაუსველებლად ახ უხიფათოდ გაუფალი წყალი უნდა წარმოვიდგინოთ“ (შვიცარიის სოფელი, აძნ. ფ. 1902, № 1979).

ძველად წყალგალმა მყოფი კაცი ნიშნავდა ისეთს კაცს, რომელიც წყალგამოღებლებს მოწყვეტილი იყო ქირსა და ლხინში, რადგან შუაში მდინარე ჩამოუღიოდა; სოლო მდინარის სხენებზე უმეკველად უნდა წარმოგვედგინა წყალი, რომელზედაც ხიდი არ იყო გადებული. რომელიც გასვლა შეუძლებელი იყო უხიფათოდ და, უკეთეს შემთხვევაში, დაუსველებლად. წყალზე წაიყვანს და უკან წყალდაუღვევებს წამოიყვანს ჰრდ. მოწყურებულს წყლის დასალევად წაიყვანს და წყალს არც-კი დაალევიანებს. ს.ჯვ. ჰქუიანია, ეშმაკია, გამოცდილია. „მაშ რაღა კაცი ვიქნები, რომ შენისთანებს ყურზე ხელი არ მოვიკიდო, წყალზედ არ ჩავიყვანო და წყალ დაუღვევლი უქანვე არ წამოვიყვანო“ (ილ. ჰაჰვაძე).

იგულისხმება, რომ ეზოედაც ლაპარაკია, მეტად ჰქუიანი და მოხერხებულა, იმდენად, რომ მოწყურებულს ვითომ წყლის დასალევად წაიყვანს, გზაში ესე გაართობს ლაპარაკითა, რომ მწყურვალს სულ დაავიწყდება წყლის დალევა და წყალდაუღვევი გამობრუნდება.

წყალი ჰრდ. სითხე გამსჭვირვალე; უფერო და უგემური, ქიმიურად შენაერთი ორწილ წყალბადისა და ერთ წილ მჟავადისა. ს.ჯვ. ქვეყნის დამაშვენიებელი, მოხდენილი, საამო, გაჭირებისაგან მხსნელი, შვება-

ლხენის მომნიჭებელი, პატიოსნება, სინდისიანობა, ბედნიერება. „იყო არაბეთს როსტევიან, მეფე ღმრთისაგან სეიანი, თვით მეომარი უებრო, კვლავ მოუბარი წყლიანი“. (შ. რუსთაველი). „ხანი გამოსდა, იკითხა (როსტევიანმა): ნეტარ, რასა ჩემ ქალო, ჩემი ლხინი და ჯგვარი, ჩემი მოფლისა წყალიო?“. (შ. რუსთაველი). „თავი აქვს მეტად ღუგუჯა; პირზე არა აქვს წყალიო“. (ძველი საქართველო, III, ვინამ ნესბის შეგრ. ხალხ. ლექსი). „აბა ამ ცნებით ესა ალერსს გამოხატავს კაცი? მაგრამ ლუარსაბბა მანც კიდევ მოახერხა წყლიანი სიტყვა“ (ილ. ჰაჰვაძე). ახ. ლაზარესებ დასველებთა. ახ. შვიცარიისის წვიმა.

წყალი ჩვეულებრივს ტემპერატურაში თხელია, დედამიწის ზედაპირზე წარმოშობს მასებს, რომელიც ზღმებისა, ტბებისა, მდინარეთა, ღლეუთა და სხვა სახელით არიან ცნობილი. ხელს უწყობს საკმლის მონელებას და აღამიანს კარგ გუნებაზე აყენებს. წყალი ერთი ძირითადი პირობათაგანია ბიოლოგიურ პროცესთა განხორციელებისათვის და როცა მისი რაოდენობა ჩვენის სხეულის უჯრედებსა და ქსოვილებში საჭირო ღონეს ქვემოთ ჩამოიწევს, ამას მოჰყვება სასიცოცხლო ფუნქციების შეჩერება. ერთის სიტყვით, უწყლოდ წარმოუდგენელია ორგანულ არსთა — როგორც ცხოველთა, ისე მცენარეთა — ჩასახვა და განვითარება.

უხსოვარ დროს, როცა, როგორც ამას ილ. ჰაჰვაძე აღნიშნავს, ქართველთა წინაპრებს მდ. ტიგროსისა და ეფრატისაკენ ჰქონიათ დაღებული პირველი სავანე, წყალი მარად საძებრად, მარად ნატვრის საგნადა ჰქონიათ გადაქვეული. ამას ამტკიცებს ჩვენს ენაში დარჩენილი ამდენი სიტყვა, წყლისაგან წარმოებული და თვით ის უდიდესი მნიშვნელობა, წყალს რომ ბუნებრივად მიჰნიჭებია. მაგ.: სიწყალუელი — სიბრალული; წყალობა — მოწყალეობა (ჰრდ. წყლის მიცემა) — სიქველე; მფარველობა, გულკეთილობა, სვიანობა, ღმობიერება; მეწყალვის (ჰრდ. მინდა წყალი დავალევიანო) — მებრალვის, მეცოდება; უწყალლო (ჰრდ. ვისაც წყალი არ ემეტების მოყვასისათვის) — უღმობელი, გულქვა, შეუბრალბელი; უწყალო (ჰრდ. ვი-

საც წყალი არა აქვს) — ღარიბი, უქონელი, გაჭირებული, უპატრონო; წყლიანი სიტყვა (პრ. სიტყვა, რომელსაც წყალი მიყვება) — სინდი-სიანი, ღამაზა სიტყვა; საწყალი ანუ საწყალობელი (პრ. ვისაც წყალი სჭირია) — შესაცოდებელი, საბრალო, უმოვარი, ხელმოკლე; მიწყალე, შემიწყალე (პრ. წყალი მასვი) — შემიბრალებ, მომხედვ, მიღხინე, გაჭირებისაგან მიხსენ; პირწყალ გასაწყვეტი (წყველა, პრ. პირში წყალ-წამოსალევი) — უნამუსოდ დასარჩენი და სხვ. და სხვ.

მოვიგონოთ ისრაველთა მეფე დავითი მე-50 ფსალმუნის პირველი სტრიქონები, სადაც თითქმის ყოველ სიტყვას წყალი აქვს ძირში: „მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა. და მრავლითა მოწყალეებითა შენითა აღზოცე უსჯულოებანი ჩემი“.

სიტყვა წყალი ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდის დალოცვის ფორმულაში შედის, როგორც მთავარი საგანი. მაგ. როცა ქართლ-კახეთში ახლადგათხოვილ ქალს, უკვე „გაბედნიერებულს“, მასურს თავისი ვეღლითადი მეგობარი გასათხოვარი ქალი დალოცოს და იმასაც უნატროს მალე გათხოვება, ეუბნება: ჩემი წყალი დაგესხასო!.. წყალი ამ შემთხვევაში გამოხატავს ბედს, იღბალს, ესე იგი, როგორც მე გაათხოვიდი და გავბედნიერდი, შენც ისე გათხოვილიყავი მალე და გაბედნიერებულყოფილი...

აღსანიშნავია ის ფაქტიცა, რომ იმ ისტორიულს ქვეყნებს, განსაკუთრებით ტროპიკებს ახლო მდებარეთ, საცა წყალი საქმოდ ყოფილა და ცივილიზაცია ჩასახულა და განვითარებულა, ეამთა ვითარებაში, წყლის გაძვირებასა და სარწყავ სისტემის მოსპობასან ერთად, ნელ-ნელა და უეჭველი გაქრობა ხედომით წილად და მათი ცივილიზაციაც მოსპობილა. (ბაბილონი, სპარსეთი, ეგვიპტე და სხვ.).

ქრისტიანულ სარწმუნოებაში დიდს როლს თამაშობს წყალი და საერთოდ პრინციპი ტენიანობისა, მთავარი — ნათლისღებაა, წყლის საშუალებით. თვით ქრისტემ ამ სარწმუნოების დამაარსებელმა, ამ წყლით ნათელიყო. მოსნათლავი, სარწმუნოების თანახმად, წყლის საშუალებით იშო-

რებს ყოველსავე მშოკლევანებას, ჩვენთა პირველ წინაპართა — ადამ და ევას ბიბლიურ ცოდვას, იჯმნის ეშმაკისაგან, განავდებს სატანას, შეუღგება ქრისტეს, დაადგება სასუფეველის გზას...

ერთი სიტყვით, წყალს (იმავე სინეტეს) სარწმუნოებაში ეძლევა თვისება განკურნებისა, განწმენდისა, ცოდვათა მიტვეებისა...

აიღეთ წარსულში საქართველოს სხვადასხვა მონასტრებში (ხელმწიფე ნიკოლოზის დროს მონასტრები ფსირ-ცისისა (ახალათონისა), დრანდისა) გულუბრყვილო მორწმუნეებზე პატარა შეუშებით გასაღებული წყალი, ვითომდა იერუსალიმიდან, სადაც ჯვარს ეცვა და იგოა იესო ქრისტე; იქ მოსალოცავად წასულ ბერების მიერ მოტანილი, მოსატყვევებლად ცოდვათა, სხვადასხვა სნეულებათაგან განსაკურნებლად და დამკვიდრებად საუჯუნო სასუფეველისა...

ახალ წლის დილას სამეგრელოში მეველე უთნია წავა წყაროზე, სმას არავის გასცემს, ისე წამოიღებს დოქით წყალს და ამ წყალს, როგორც ბედნიერებისა და უხვეების მომტანს, მოასხამს სახლსა თუ ბოსელ-სალორე-საქათმეში.

შურის კვირაში (დიდმარხვის დაწყებამდე სამი კვირით ადრე) მლამე ბედისკვერანტამ ვასათხოვარ ქალებს თუ საცოლე ყმაწვილებს სიმშარში მოეჩვენებათ თავიანთი საბედოების მიერ მოწოდებული სასმისები, წყლით სავსეები, და ამ სასმისების (ხირკა თუ ქიქა) საშუალებით შეიწყობენ საბედოების ჩამომავლობას (გლეხისა (ხირკათი) თუ კეთილშობილისა — აზნაურთაეადისა (ქიქით)).

სამურზაყანოში მწყემსები, როცა ზაფხულობით მთაზე არიან თავიანთ საქონლიანად, იქაურ წყაროებში ტანს არ იბანენ, რომ იქაური წმინდა წყალი არ შებილწონ, არ გააუწმინდურონ, წყლის რისხეა არ გადმოივლინონ თავზე.

ყველა ამ დადებით თვისებათა გვერდით წყალი შეიცავს ვნების, მატერიალური დაზარალების ელემენტსაც.

ავილოთ გვალვა, როცა ცა პირს შეიკრავს, ზევიდან ერთი წვეთი წვიმა არ დაედინება კვირახულის და შიმშილი მოელის როგორც ადამიანს, ისე საქონელს.

ანდა აიღეთ მდინარე ძველის დრო-
 ისა, როცა ხედ ხიდების გადგმა არ
 იცოდა ადამიანმა და აღარც ნაევები
 ჰქონდა. პირველყოფილ ადამიანს ერთ
 ნაპირიდან მეორეზე გასვლა უჭირდებოდა,
 განსაკუთრებით თუ უტერიც მოსდევდა
 უკან და სხვა გზა არა ჰქონდა: ასე იქნებოდა თუ ისე, — უნდა
 გასულიყო მიგ... აღბათ ამ დროისაა
 თქმა, დღევანდლამდე ცხოვრებად დარ-
 ჩენილი ჩვენში, დიდის წყევლის ფორ-
 მულისა და ადამიანის უკიდურეს გი-
 ჟირების გამოსახატავად: წინ წყალი,
 უკან — მწყერი, მუშაში გამოუმწყერი ეს
 თქმა განსაკუთრებით საგონივრებია სა-
 ქართველოს უაღრესად მთა-გორიან
 კლთხეში — რაჭაში; რომელიც ეგრე
 მდიდარია მწყერითა და სხვა გეო-
 ლოგიური მოვლენებითა.

მოვიგონოთ მეგრული მესეფობა ანუ
 ამოსვლა ზღვიდან მესეფებისა ანუ ქონ-
 დრის კაცუბებისა. ეს ამბავი ემთხვევა
 დასავლეთ საქართველოში, სახელდობრ
 სამეგრელოში, შემოდგომას, როცა
 პირნახული ჯერ ისევ დაუბინავებელი
 აქვს მიწის მუშაჲს და წვიმა და სინეს-
 ტე ისედაც ნესტიან მხარისათვის
 არამცთუ საჭირო არ არის, არამედ
 მავნებელიცაა (წყალდიდობა, მისელა-
 მოსვლის შეჩერება და სხვ.). შავი
 ზღვის ნაპირას მცხოვრებ მეგრელთა
 რწმენით, ზღვიდან ხმელეთზე დროებით
 ამოდინ მესეფები და თან ამოაქვთ
 ტრობიკული, გადაუღებელი, კოვისი-
 რული წვიმები, რომელიც აღიდებს
 მდინარეებს და ხშირად გლეხს სარჩო-
 საბადებელზე ცარიელსა სვამს.

წყალშივე აქვსო ბინა აღს — წყლის
 დედას, მანვე სულს, რომელიც დაგვი-
 ანებულ მგზავრს, მთვარიან ღამეს,
 ცხენის აღვირს უჭერს, მორევში ჩაით-
 რევს და, უძეტეს შემთხვევაში, აღრჩობს.
 სამეგრელოში მთვარიან ღამეებში
 წყაროების პირას უყვართ იღებს ანუ
 ტყის მეფეთ თავის უმტვერო თოვლი-
 ვით თეთრ და გამოქანდაკებულ ტანზე
 გადმოშლილი გრძელი თმების ვარცხნა
 და დაღამებულ მგზავრების შეცდენა.
 ასლა ავილოთ ღვარამბის თვე ანუ
 ენკენისთვე, როცა თავდება სეზონი
 მთაზე სახაფხულოდ წ.სხმულ ცხვრის
 ძოვებისა და მწყემსები ბარად მოეშუ-
 რებნად საქონლიანად. დაგვიანებულ
 მწყემსს ზოგჯერ მოუსწრებს ღვარი
 (დიდი წვიმა), ცხვარს. ბარად ჩამო-

რეცხავს და ცარიელზე დასვამს ამდენ
 ნატანჯ და ნაცოდვილევს მწყემსს.

მეგრულსა სწამს, რომ მდინარეს
 თვისება აქვს მასში მობანავეს „ამოკ-
 ყვეს“; ე. ი. ტენიანობა, სიკრთულე შეჰ-
 ყაროს, გააცივოს. ამიტომ წყლიდან
 ამოსვლისას, მობანავე შეიგ ჩააფურთ-
 ხებს: ნერწყვის სახით წყალს უბრუნებს
 ტანზე მიკრობილ სითხეს და ამგვარად
 გაცივებისაგან თავს გადაირჩენს. ამავე
 სახით აფურთხებს წყალში მდინარის
 ფონში ქვეითად გასული მეგრული.

აღუბიშენილად ვერ დავტოვებთ,
 როგორც წყლის კულტის ნაშთს ჩვე-
 ულებას, რომელიც სამეგრელოში უკა-
 ხასკენელ ხანამდე იყო დარჩენილი. მეგ-
 რულ მგზავრს, ქვეითს თუ ცხენოსანს,
 ვაქვიათ, რომელსავე სოფელზე უნდა
 გაეგლო. თუ ეს ზაფხულში იყო, თქმა
 არ უნდა, მოსწყურდებოდა კიდევცა.
 საკმაო იყო კიშკრიდან ხმა მიეწვდინა
 ერთგორ მოსახლის შინაურებისათვის —
 წყალი მწყურიათო, რომ ამ წამზე
 ახალგაზრდა ქალს ლიტრით წყალი მო-
 ერბენინებინა მოწყურებულ მგზავრი-
 სათვის. და ეს ქალს შეეწუხებდა კი არ,
 მიაჩნდა, არამედ თავის მოსაწონებელ
 საქმედ: მწყურვალს წყურვალს მოუტ-
 ლავდა და მადლობის სახით ქათინა-
 ურებსაც მიიღებდა;

მოხვევებში, და ნაწილობრივად
 მთიულეთისა და გულდამყარში, იციან:
 წყლიან ჭურჭელს ხელში რომ აიღებენ,
 სანამ პირზე მოიყუდებენ, წყლის და-
 სალევად, ჯერ ყველა იქ მყოფთ შეს-
 თავაზებენ; სხვებს ძალიანაც რომ უნ-
 დოღებთ წყლის დალევა, უარს იტყ-
 ვიან, და შემთავაზებელი მხოლოდ
 ამის შემდეგ დალევს. ასეთი შემთავა-
 ზება პურზე იმ რაზედმე როდი იციან.

ხალხური ანდაზაა: წყალი — უმც-
 როსთაო, ღვინო — უფროსთაო, ე. ი.
 მოწყურებულნი რომაა — დიდი და პა-
 ტარა, უეჭველად წყალი ჯერ პატარის
 უნდა დააღველიონ, ღვინო კი, იგუ-
 ლისხმება — დიდების სასმელი და
 ამიტომ უფროსთ უნდა შესთავაზონ და
 თუ რამ გადაჩნა, პატარებს არგუნონ.

ყოველსავე ამას შემდეგ სრულიად
 ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ, რომ წყა-
 ლი ქართველისათვის გამხდარა, ერთის
 მხრით, თავიანთსაცემისა და, მეორე
 მხრით, დიდი შინისა და ძრწოლის საგ-
 ნად, რომლის გულის მოგებას და თა-
 ვის სურვილზე გატარებას ათავგარო



საშუალებით ცდილობდა ძველი დროის ადამიანი.

უნდა აღენიშნოთ ისიც, რომ ქართულში ბოლო ხანამდე დარჩენილი იყო წყლის თავყვანისცემის დროინდელი ფიცილი: „წყლისძა“, ე. ი. წყლის მადღებია, ისევე, როგორც მზეზე ვამბობდით ხოლმე — (მ)ზისმა, ე. ი. მზის მადღებია (იხ. მოსე ჯანაშვილი, ინგილოური ლექსკონი, „ძველი საქართველო“, ტ. II).

დასასრულ, საინტერესოა, რომ როცა გვინდა აღენიშნოთ ჩვენი სადაურბოა, აღენიშნოთ ადგილი, სადაც დღეობადენით და აღვიზარდებით, ვამბობთ ხოლმე: ჩვენი მიწა-წყალი ო. მართო მიწა არ ითქმობდა, უნდა მიგვემატებინა წყალიცა, უძველად-უწყლო მიწას ქართველსათვის თასი არა ჰქონდა და დასასაბუღებლად წარმოუდგებელი იყო.

ბევსური, და საერთოდ საქართველოს მთის ხალხი, უფრო შორს მიდის ცნება სამშობლოს განმარტებაში. აკადემიკოს აკ. შანიძის მიერ გამოცემულ ბევსურული ლექსების ძვირფას კრებულში „ხალხური პოეზია“-ში (გვ. 80) ასეთი ტრეპია: „რად ხოცდით ბარის დიდღვლებსა, თემია თქვენის წყლისაო“. ბევსური თავის ხეობაში ცხოვრებე ქისტებს საკუთარ თემის ხალხად თვლის.

როცა გვინდა ვინმე ან რამე სასიამოვნო ვნახოთ და გავიხაროთ, ვამბობთ, ხოლმე: თვალს წყალი დავალევი ნო! — თუშს პურ წყალი უჭეია სტუმართმოყვარეობისათვის, პურმარდიანობისათვის: „დანოში (სოფელი) თავებრადიე პურ წყალი თუშეთისაი“.

წყალი გვრ ვაატანს იმის ნათქვამს პრ. იმის (ისიმე) ნალაპარაკეში წყალსაც კი არ შეუძლია შიგ ვაატანოს. ჰყვ. დალაგებული ლაპარაკი იცის, მკუეანია, გონიერია, ბრძნულად მტყუელი.

იგულისხმება ნალაპარაკევი ისეთის კაცისა, რომლის გამოთქმული აზრი თუ ჰენმარტება მეორე აზრს მოედევნება და გადაეკინძება, მეორე წინას ივითარებს, ერთი მეორეს ლოგიკურად გადაეხმის, საერთოდ. ნათქვამი ერთიმეორესიან ისე მჭიდროდა დაკავშირებული, რომ შიგ თავისუფალი არე აღარა რჩება თუნდ იდენი, რომ

წყალს შეეძლოს შიგ გასელო. დაბირისპირებულია ლაქლაქა, ლაშქანდურა კაცის ნათქვამთან, რომელიც მოშლილი წისქვილივითა ფქვავს, არახუნებს, ღობე-ყორეს ედება, მისი ერთი სიტყვა მეორეს არ უდგება, როგორც კედელს ცერცვი, დაუფიქრებლად წამოისერის ხოლმე ხან რასა და ხან რას და საერთოდ ნათქვამი ისე შორი-შორსაა ერთმანეთზე, შიგ იმდენი არეა, რომ წყალი კი არა წღვაც გაუვა თავისუფლად.

წყალივით იცის პრ. მისი ცოდნა წყალივით (თავისუფლად) მოდის. ჰყვ. ზედმიწევნით იცის, დაუბრკოლებლად აჩენს თავის ცოდნას რაიმე საგნისას.

წყალი ნაგუბარში ჩადვა პრ. საცა გუბე იყო, იქ მოთავსდა წყალი. ჰყვ. საქმე ნორმალურ პირობებში ჩადვა. „უნ ხარ სულმოკლე, ძმაო დიმიტრი! ეს ამბავი დროებითია, წუთიერი, ვაივლის რამდენიმე ხანი და ჩაეარდება ქარიშხალი, ჩადგება წყალი ნავუბარში. ისევე ისე დაეიწყება ცხოვრებას, როგორც გვიცხოვრია აქამდის“ (გ. პარნოვი). „ამოდულდი მარგალიტო, ნავუბარში ჩადეგ წყალიც, არც ისეთი ღამიაზი ხარ, როგორც თავს იწონებ, ქალო! (ხალხური ლექსი).

წყალი რომ ვადასნათ, არ ვაუვათ პრ. წყალი შეში არ ვაუვათ. ჰყვ. მჭიდროთ არიან დაკავშირებული, ერთიმეორის დიდი სიყვარული აქვთ. ითქმის ორ მეტისმეტად მოყვარულ მეგობარზე.

წყალის დაღვრა (ვისთვისმე) პრ. წყლის ვადაქცევა. ჰყვ. დახმარება, ხელის განძრევა საშველად, პატივისცემა, მსახურება. „ვისაც ვთხოვდი შემწეობას, ჩემთვის წყალიც არ დაღვარა, რომ მოგვედები, რაღად მიწადა, ვინდ მქონდეს და ვინდა არა“ (აკაკი).

წყალის ნაყვა პრ. წყლის მსხვერვე ფილთაქვით. ჰყვ. უსარგებლო, ტყუილი შრომა. „და იგვე საგანი იმავე მეთაურის მესამე და მეოთხე გეერღზე კვერკვის ცარიელ ნაუქუადაც არა ღირს და მის ძიებისა და გამოკვლევის განაზედ დგომა და ვარჯა — წყლის ნაყვაა?!“... (ილ. ჰაეპაეძე). „სხვა ვა და სხვა აზრი ტყუილია. და ყოველივე ცვლილება, რომელსაც სარჩულათ ეს აზრი არ და-



ედება, წყალის ნაყვა იქნება, როგორც აქამდის იყო“ (ილ. ჰაგევაძე).

წყალის შეგდება ის. წყალის შედგომა.

წყალის შედგომა პრ. ქვეშიდან ვისმეან რასმე წყალი რომ შეუდგება ასატივტივებლად, ნიადაგისაგან მოსაშორებლად. სვ. სიმტიციის შესუსტება. გაფუჭება საქმისა, რღვევა, ცუდად წასვლა საქმისა (წყალი შეუდგა).

წყალი ჩაგვეჭვა შუაში პრ. ჩვენს შორის წყალმა იღინა, ერთმანეთს დაგვაშორა. სვ. მეგობრობა, ერთმანეთის კავშირი დაიარღვა, ერთობა მოსპო.

წყალი, მდინარე ძველად ითვლებოდა ორის ადგილის ზედმცხოვრებლებითურთ ერთი შერისაგან დაშორებლად, რადგან იგულისხმება, რომ ამ დროს ხიდები არ იყო ზედ გადაებული და ერთი ნაპირის მცხოვრებლებთან მეორე ნაპირის მცხოვრებლებთან მისვლა და კავშირის დაქო, უკეთეს შემთხვევაში, დაუსველებლად არ შეეძლო.

სვანურში ასეთი თქმა წყველის ფორმულის გამოსახატავად იხმარებოდა, და როცა უნდოდა ერთს მეორე დაეჯერებინა: ჩვენს შორის მეგობრობა და ურთიერთობა ნუ იქნება, ჩვენს შორის ყველაფერი მოჩა, იტყობდნენ: მდინარემც დაგვხედროდეს ორთა შუა.

წყალიც არავის დაუღვევია იმის სახლში პრ. სასმელი წყალიც-კი არ მიუწოდებიათ ვისთვისმე. სვ. ძუნწია, პატივი არავისთვის უცია, სტუმართმოყვარე არ არის, გულჭირია.

უპურპაროლი კაცზე თქმის. წყალი რა არის, საცა წყალიც კი არ ემეტება ასეთს კაცს, სტუმრისათვის უფრო მეტს როგორღა გაიმეტებსო!..

წყალი წაიღებს პრ. წყალი ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადაიტანს. სვ. მოსპობს, განაიდგურებს, დაღუპავს, საშინლად დააზარალებს. მკლ. ისედაც გაქირებულთ ახალი გაქირება რო დაგვატყდეს თავზე. წყალი წაგვარღებს მდინარი. ის. წყალწაღებსული.

ძველად მდინარე რომ ადიდდებოდა და მოეარდებოდა, თან მოჰქონდა ბუნების მოვლენასთან ბრძოლაში უძ-

ლური და გამოუცდელი იდამიანის სარჩო-საბადებელი. მაშინ წყლის მიერ წაღება უდრიდა ამ ადამიანის განადგურებას, ქონების გაქარწყლებას.

ასე რომ თქმა — წყალი წაიღებს — სინონიმა ქონებრივად დაზარალებისა, უქონლად დარჩენისა.

წყალობის თვალთ ვაღმთხედვა პრ. წყლიანი თვალთ ყურება. სვ. შებრალება, მფარველობა, ვაკითხვა, დაცვა, ხელის მომართვა, შეწვევა. — ვერ შესძლო (აშოტბა) ბლომდის მიეტანა გამარჯვება, სასიკეთოდ დაესვენა იგი თავისთვის: ღმერთმა კვლავ გადმოგვხედა წყალობის თვალთ“ (ც. ბარნოვი).

წყალობის კალთის დაბერტყვა პრ. წყალობით სავსე კალთის შეზღვრევა რამდენჯერმე ძლიერად ვიზემდე ან რაზემდე გადასაყურად. სვ. უხვე შეველა, შემწეობა, დახმარება. „ეს უფრო მეტად მიჰზიდავდა გიორგისაყენ იმისსა (ლუარსაბის) გულსა; წყალობის ქალთას დაჰბერტყავდა იგი მასზედა, აამაღლებდა ისეც მეტად განდიდებულსა“ (ვ. ბარნოვი).

წყალსა სცრის პრ. საცერში წყალი უნდა გაატაროს. სვ. უსაქმურია, ჩხირკედლეა, შეუძლებელ რისამე ვაკეთებას ებლაუქება. მკლ. ხომ გაგივინა უსაქმური კაცის საქმე, წყალს რომ სცრიდა, სწორედ ისეთი განლაგვს ჩვენი ნაცნობი გელაცა...

წყლის გაცრა, მოგესხენებათ, შეუძლებელია. რამდენიც უნდა დაასხათ საცერს წყალი, გაუვა, შედ ქატოს მსგავსი არა დარჩება რა. ამიტომ საცერზე წყლის დასხმა და მისი გაცრის მონღომება — სინონიმა უსაქმურობისა, ამოიდ ღროისა და ენერჯის კარგვისა.

წყალს არ მოგვაწოდებს ხოლმე, რომ ვინჩაობდეთ... პრ. რომ ვკვდებოდეთ, წყალს არ დაგვაღვივებს. სვ. ბოროტია, შეუბრალებელია, ცოდვამადლი არ იცის. „ეგრე იცის მაგის ტყლარქვა და ვერ არი თავგასული? რო ვიქარჩობოდეთ, წყალს არ მოგვაწოდებს ხოლმე“ (ელ. ჩერქეზიევი).

ელემენტარული გრძნობა სიბრაღელისა გვავალებს მწყურვალს წყალი მი



ვაწოდოთ ხოლმე, ხოლო წყლის მიუწოდებლობა უხომო უღმობებლობად ითვლება.

წყალს გატანება იხ. წყალს მიცემა. წყალს ვერ დაუხსამს (ვისმე) პრდ. წყალს ვერ დაუხსამს ხელების დასაბანავად. ზკვ. ღირსი არ არის ვისმე ხელზე წყალი დაუხსამს და დაბანინოს.

წყალს მიცემა პრდ. მდინარე წყალში ჩაგდება და მისთვის გატანება ვისიმე ან რისამე. ზკვ. დაღუპვი, მტრის ხელში ჩაყრა, უმიზნოდ გაწევა ხარჯისა. „ეს სულ რისთვის? მარტო მისთვის, რომ მე შიშსა გაეჩქეცი, ჩემი თავი გაღვირჩინე და ვრიკო წყალს მიცეცი“ (ილ. პავლევაძე). „ღმერთო, ნუ ნეტყარი ვეჯეცესა ქალსა ყბედსა და მძინარსა, ის შეჭმლის, ის დაბებრებს, ის მისცემს წყალსა მდინარსა“ (ხალხური).

მდინარე წყალი პირველყოფილ მდგომარეობაში მყოფ ადამიანისათვის, როცა მის არ ვაჩინდა ზედ გასასვლელად არც ხიდი, არც ნაგი და თან აღიდებულეც თუ იყო, ეს წყალი წარმოადგენდა საშინელ სტიქიას. ამის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი შორეული წინაპარი ყოვლად უმწეო და უძლური გახლდათ და თუ ჩავარდებოდა ამ წყალში, იქიდან გადაჩინვის ყოველ იმედზე ხელი აღდებულ იქნა პქონროდ. წყალს რომ მიჰქონდეს, მაინც ღირს (ამ ფასად) პრდ. წყლის მიერ წაღებულსაც კი აქვს ფასი. ზკვ. მეტად კარგია, ძვირფასია.

წყალში აფშრუჯულ ნაცრის ჭამა პრდ. წყალში არეულ ნაცრის ჭამა. ზკვ. თავისთვის დიდის გაჭირების მიყენება, უბედურ დღეში ყოფნა. „თავი დამანებე, ადამიანო, რა გინდა ჩემგან, რა რჩილივით შამიჯექ და მოსვენებას აღარ მაძლევ დღე და ღამ. წყალში აფშრუჯულ ნაცრისა ვსჭამ და ეგვითი უნამუსობით ცხოვრება ღმერთმა მაშოროს“ (დ. მაჩხაძელი).

წყალში ვადაყრაიხ. წყალს მიცემა. წყალში ჩავარდნა პრდ. წყალში ჩაშვება თავის ტანისა. ზკვ. თავის განწირვა, თავის გამეტება, თავის დაბრუნობა, თავის მოსპობა, დაღუპვა. „რა ექნა (ნამეტყარს), როგორ მოველო შევლებსისათვის? წყალში ჩავარდნილიყო, — ბავშვებს რა-

ლა ეშველებოდა?!“ (თ. რაზიკაშვილი). „ვიცი, რომ წმინდაო ღმერთო“; ჩემთვის „ისაიაა“, მაგრამ რა ექნა, რა წყალში ჩავვარდი, როდესაც კაკატოს გარეშე ყოველივე უქუნია ჩემთვის ამჟამად და ბნელი გავრესკნელი...“ (ვ. ბარნოვი). „ქა, გვიგვე, რომ შენ წამალს მავანი მოუკლავს და აწ რაღა წყალსა და ღვარში ჩავვარდი, რომ შენმა წამალმა მეც იგეო ფეხები ამოფშეკნოს“ (დ. მაჩხაძელი).

წყალხასადები პრდ. ვინც ღირსია წყლის მიერ წაღებისა. ზკვ. დასაღუპავი გამოუსადეგარი, უმაქნისი, თვებდან მოსაშორებელი. „მევრია კაცის ცხოვრებაში მავისთანა უხანო გრძნობა წყალწასადები. ყველას რომ არ იტყვი...“ (ვ. ბარნოვი).

წყალწაღებული პრდ. ვინც წყლის მიერ თავის მდინარეებისათვის გატანებულა. ზკვ. დასუსტებული, ძალღონე გამოცლილი, დაღუპული, ეკონომიურად დაჩაგრული. გაღარიბებული. „მოგა დრო და ყველა ეს საზოგადოება გაუხდებდა უამისოდაც მიწასთან გასწორებულს და წყალწაღებულ ღვლესკაცობას“ (ილ. პავლევაძე). „რა ბეჩავს დღესა ვარ და ხარ, შვილო, გაჩენილი... ვაჰმე, რა უქკუო ხარ! რა ექნა ამ წყალწაღებულმა!“ (ვაკა-ჟმაგლა).

წყალ-წყალა პრდ. წყლის თვისებისა, მოქარბებით წყლიანი (ღვინო, წვენი, რძე და სხვ.). ზკვ. უშინაარსო, უფერული, უაზრო (სიტყვები თუ ნათქვამი). მგლ. ორატორმა მთელს საათს ილაპარაკა, მაგრამ მისს წყალ-წყალა ლაპარაკს ვერც თავი გაუშვებ და ვერც ბოლო.

ეს სიტყვა განმეორებითია ნახშიარი, რომ გააძლიეროს ცნება წყლიანობა, აღნიშნოს სიჭარბე წყლისა. მაგ. რომ ვიტყვი — რძე წყალ-წყალაო, იმასა ნიშნავს, რომ რძეში წყალია გარეული და რძეს წყალი სჭარბობს. ან კიდევ იტყვიან: წყალ-წყალა ღვინოაო, როცა ღვინო მხოლოდ შეფერილია ღვინისფერად, თორემ შინაარსით — წყალია. ვადატანითად იხმარება ეს თქმა უშინაარსო რანა-რუნისა ან ცარიელა, უაზრო რატ-რატის შესახებ.

წყალჯვარიანი (ქალი) პრდ. წყლისა ან ქვა-პატონისნის ელვარება და ბრწყინა რომ აქვს ვისმე. ზკვ. მეტად მშვე-

ნიერი, ძალზე ლამაზი. „ქარი და ახოვანი კაცი იყო, მაგრამ დია ვაყვითლებულიყო, დამქოლბალიყო, წყალჯავარი მოშლოდა, ვარდი ზაფრანად შექმნიდა“ (ს. თბილისი). იხ. წყალი.

წყარო პრე. წყალი, რომელიც მიწიდან ამოსჩქევს. სტვ. მიწები, დისაწყისი, საშუალება, სახსარი. „ეხლა კი წყარო, რომელიც ხალხს უძლიერებდა ღონეს ხარჯის გადახდისას, მოსწყდა“ (ილ. ჭავჭავაძე).

წყვეთი ალება პრე. წყვეთ, კრულივით კვეთიდან ზევით წამოწევა. სტვ. დიდად წყევლა, გაუწყნარებლივ ავის ქადება. „ბრალ შენი, ჩემო ხიწვაო, ქალებ გიღებენ წყვეთითა“ (გ. ხორნაული).

წყლიანი პრე. რასაც წყალი ახლავს, წყლის შემცველი. სტვ. ლამაზი, მოხდენილი, საამო, წინიანი. „ამ ქალს წყლიანი თვალები აქვს. მივანზა წყლიანი ლაპარაკი იცის. იხ. წყალი.

წყლიდან ლოქოს გამოთრევა პრე. წყალში ლოქოს დაქერა. სტვ. საქმეში გამარჯვება, წარმატება, ხელის მომართვა.

ლოქო დიდი თევზია და მისი დაქერა წყალში კარგ გამარჯვებად ითვლება მებადურისათვის.

წყლიდან მშრალად ამოსვლა პრე. წყლიდან დაუსველებლად გამოსვლა. სტვ. ვასაკირისათვის თავის დაძვრებას, თავის გამართლებას, აღვილად გადარჩენა ხიფათს. „დაბრუნდა (თევზლორა) შინ ისევ ნაწყენი და შეუღდა ისევ იმის ფიქრს, რომ გოგოც ხელში ჩაეგდო და წყლიდანაც მშრალი გამოსულიყო, ხობობიც დაექირა და ბარდებიდანაც დაუკაწრავი გამომტვარიოყო“ (გ. ბარნოვი).

წყლის ამღვრევა პრე. გაუსუთთავება წყლისა. სტვ. წესრიგის, მშვიდობიანი ყოფის დარღვევა, ცუდი ამბის დატრიალება, საქმის გაფუჭება, არეულარევა. „წყალი აიმიღვრა... ეს ამბავი მუქთად არ ჩაივლის... სოფელში დიდი ცოდო დატრიალდა: მივ საწყალ ზაქარას მოუტლანს არ გაუშვებენ, მერე ჩაიგდებენ საწყალ ოჯახს ხელში და სულ დაანიაებენ, — ლაპარაკობდა გზადაგზა ზაქარას მეზობელი“ (ს. მგალობლიშვილი).

წყლის აღმა შებრუნება პრე. მდინარე აღმა აღინო. სტვ. შეუძლებელის საქმის გაკეთების მონდონება, დიდის საქმის გაკეთება. „ქვემო თუ შებიეც მოვიდნენ, აღმ შებრუნენ წყალსაო“ (ს. ნაკალათია).

წყლის გადაწურვა (ვისთვისმე) პრე. უწყლოდ დატოვება ვისიმე, წყლის წართმევა. სტვ. დაზარალება, გაუბედურება, შეწყუბება, დაბრკოლება, წართმევა ყველგანისა, მიუშველებლობა. „დაეგრეთ ვაზი, უცებ ერთი მელა-ტურა შემოჭრევიდა! ვაგვიოხრა, ვაგვიტილა ერთიან, სუ ხელი აგვადებინა; ერთის სიტყვით, წყალი გადაგვიწურა, გამოქვამა ვენახი“ (თ. რაზივაშვილი). „მაშ ეს არის, გადაამიწურე შენ წყალი! (მიბრუნდება დარბაზისაკენ). ჩემო ლაშარის ჯვარო, ჩემი შამის სალოცა, ჩემი ჩვეო მსხელო და მფარველო (მიბრუნდება მარცხნისაკენ), ჩვენო თამარ მეფეო, განა საქირო არ არის ჩვენი ბეჩავი ზღვენი თქვენთვის“. (გვა-თბილისი). იხ. წყალი.

წყლის დაშრობა იხ. წყლის გადაწურვა.

წყლის დაღევა პრე. ორგანიზმში წყლის ჩაშვება პირის საშუალებით. სტვ. არსებობა, გაძლება, გაძლიერება, თავის ვატანა, ღონის მოკლება. „როცა ასეთი სიღარიბე-სილატაცეა, იქ ვაჭრობა და აღებ-მიცემობა რა წყალს დაღევს, რით ამოივსებს კუჭსა?“ (ილ. ჭავჭავაძე). იხ. წყალი.

წყლის ზიდვინება სამოთხეში პრე. წყლის საზიდავად ყმის ანუ მოსამსახურის ყოლა სამოთხეში. სტვ. მოკვლა, ყმად ანუ მოსამსახურედ გახორმა. „მეილი შესწირა გიგასა: — იყავით მაგის ყმინია, იმ გარელსა სოფელს გაპყვეთ, ლიტრით უზიდეთ წყალია“ (ხალხ. პოეზია).

საქიო, სულეთი ანუ იგივე სამოთხე, ხევსურის წარმოდგენით, გაგრძელებად საქაიო ცხოვრებისა. იგი ცოცხათი უკეთესია, მაგრამ იმავე მოთხონილდობიანის, როგორც იქ საქაიოში არის. უნაკლო ხევსურის სამოთხეც არ არის! ეს ნაკლი — და დიდიცა! — თურმე ის გახლავს, რომ იქ სასმელის წყლის ნაკლებობა ყოფილა.



ამიტომ სააქიომი გმირს, ვაქაცო-
ბით განთქმულს, საიქიომი ყნებები, მო-
სამსახურენი უნდა ჰყავდეს, რომ თავი
ქვას ახალონ და საცა უნდათ, იქ
უმოვონ წყალი ბატონს, უზიდონ და
არ მოაწყურონ. რამდენსაც თვითონ
მოჰკლავს მტერს, თან დაატანს: ჩემი
წყლის მზიდველიმც იქნები სამო-
თხეშიო! ასე რომ, მისის ხელით მოკ-
ლულები ყველანი ყნებად და მოსამსა-
ხურებად მიდიან საიქიომიო. გმირი
თუ ვისიმე ხელით მოიკლა, მისი მამა,
ბიძა, ძმა ან სხვა ვინმე ნათესავი როცა
შურს იძიებენ და მოჰკლავენ გმირის
მკვლელს, გმირის სულს შესწირავენ
მოკლულს, როგორც ყმას, მსახურთ,
რომ გმირს სამოთხეში წყალი უზიდონ.

ხეცსურულ ხალხურ ლექსებში ხში-
რად შეხვდებით საიქიოს ამბის თხრო-
ბას და ამ ამბებს შორის თვალსაჩინო
აღდგოლი უქირავს საიქიომი წყლის
ზიდვაზე ლაპარაკს.

წყლის მიერ წალება ჰრდ. წყლის მიერ
თავის მდინარებისათვის გატანება
(ვისიმე ან რისამე). ზგვ. ვისიმე და-
სუსტებულის, ძალ-ღონე გამოცილი-
ლის დაღუპვა, ეკონომიურად დაჩაგ-
ვრა, გაღარიბება. „გაურჯელ კაცს
წყალი ი წაიღებს, მამ რა მოუვი!
ამას დიდი ღარი და ხაზი არ უნდა“
(ილ. ჰავჭავაძე). „საქართველოში საქა-
ლებო სკოლამ ქართველს უნდა გა-
უზარდოს ქართველი ქალი, ქართ-

ველს უნდა გაუზარდოს ქართველი
ღედა, ქართველი და, ქართველი ღედა-
კაცი. თუ სკოლა ამას არ იქმს, წყა-
ლსაც წაუღია!“ (ილ. ჰავჭავაძე). „სწინან
თავისუფლება თქვენ მხოლოდ თქვენ-
თვის გეზოგებათ, ჩვენ-კი თუნდა
წყალმა წაგვიღოს“ (მწარია).

წყლის მნაყველი ჰრდ. წყლის მმსხვრე-
ვი ფილთაქვით. ზგვ. უსარგებლო,
უნაყოფო მშრომელი.

წყლულთშემხვეველი ჰრდ. კრილობის
გინა იარის შემხვეველი. ზგვ. მშვე-
ლელი, დამხმარე, გაჭირებისაგან
მხსნელი. „ადამის წყლულთა შე-
მხვეო, მისთვის სისხლისა დამთ-
ხეო!“ (დ. გურამიშვილი).

როდესაც კაცი დაჰრილია, სისხლი
სდის და, მაშასადამე, უჭირს, ან
წყლული რამ აწუხებს და აღონებს,
ვინც ამ კრილობას შეუხვევს სახვე-
ვლით, სისხლის დენას შეუჩერებს და
საერთოდ ტკივილს დაუწყებს და და-
უშამებს, დაჭირლისათვის ასეთი კაცი
დილაღ მშველელი და კეთილისმყოფე-
ლია, გაჭირებისაგან მხსნელია, მისი
ამაგი ძვირფასია, მარადსახელოარი და
დაუფიწყარია.

წყლული ჰრდ. სხეულის რბილ ნაწილთა
კავშირის დარღვევა. ზგვ. მწუხარება,
ღარდი, ნაღველი. „ემ სკოლები
წყლულს ვერ გაგვიმთვლებენ,
თუმცა ეგენიც დიდი საქმეა ჩვენთვის“
(ილ. ჰავჭავაძე).

მ

ჭალას ქორწილი ჰრდ. ქალაში ქორ-
წილი გაუმართნიათო. ზგვ. ხებრუ-
ლი პასუხი. მგლ. მე რას ვეკითხები
და ის კი გაიძახის: — ჭალას ქორ-
წილიაო!.. იხ. ბანზე სიტყვის
აგებბა.

ერთ კაცს რალაზედაც ეკითხებოდ-
ნენ და იმან-კი, პირდაპირი პასუხის
მოციმა რომ აეცდინა თუ არ შეეძლო,
უთხრა: ჭალას ქორწილია და იქ
უნდა წავიდეთ.

ჭამად ქცევა ჰრდ. ჭამის სახის მიღება,
ჭამის დამსგავსება. ზგვ. ბევრის ჭამა,
დაუხრულბლივ, უზომოდ ჭამა.

ჭამაზე ჭერა თვალებისა ჰრდ. საქმი-
ისათვის მიპყრობა თვალებისა, საქმე-
ლისათვის ზრუნვა. ზგვ. მარტოოდენ
ხორციელ საქმირობისათვის ზრუნვა,

დავიწყება გონებრივის საზრდოსი,
მუცელს გადაყოლა. „ზაღდახარა.
უზანი რომელია?.. ცოცხი ხომ არის,
ვირო?.. მიგრამ შენ ხომ ჭამაზედ
გიჭირავს თვალეები!..“ (რ. ერის-
თავი).

ჭამტომარა ჰრდ. საქმლის ჩასაყრელი
ტომარა. ზგვ. ბევრის მქანელი, ვი-
საც არაფერი აძლობს.

ჭანგის მომახვა ჰრდ. ბრკველების გა-
მახვილება, გაღვსვა. ზგვ. საბრძოლ-
ველად გამზადება. „წელი საომრად
შეირტყა და ჭანგსა მოიმახვე-
და“ (ნ. ციციშვილი).

ჭადრაკულად ჰრდ. ჭადრაკის მსგავსად.
ზგვ. საჭოქმანო, საეჭვო, საბიფათო,
სათუო, დიდი თავისისამტვრევი, და-
საფიქრებელი.

ქადრაკი, იგივე შამპატი (შაპი მოკვდა), ისეთ თამაშობად ითვლება, რომელსაც გამარჯვებისათვის ყველაზე მეტი დაფიქრება, მოსაზრება და თავისმტკრევეა სჭირია. ქადრაკის მოთამაშე წამლაუწუშე უნდა მოელოდეს მოწინააღმდეგესაგან ჯობნას, დამარცხებას. ამიტომ, როცა რამე უჭირსთ, არ იციან როგორ დააღწიონ თავი გაჭირებას, არ იციან როდის დამარცხდებიან, ეძებენ გამოსავალ გზას და ვერ კი უპოვნიანთ ეს გზა, ამ შემთხვევაში სურათხატავანად იტყვიან: ჩემი საქმე ქადრაკულად არის.

ქაობი პრ. საულოთი დამდგარ წყლიანი. სვ. ჩამორჩენილობა, უმოქმედობა, უმოძრაობა, ვახევება, მცონარეობა. მკლ. მავანი სიზარმაცის ქაობში ჩაეფლო. გარყენილები ის ქაობი დან თავი ველარ ამოაღწია.

ქაპანწყვეტა პრ. გუთნის გასაწვე ქაპნის ანუ თასმებისაგან დაგრებილი თოკის გაწყვეტა. სვ. დიდი ვაჭირება, უზომო შრომა, სიღარიბე. „წეიძღვება ქართველმა კაცმა სასკოლო ფული თავის შვილების გასაზრდელად, ქაპანწყვეტით, როგორც იქნება, გამოიმეტოს“ (ილ. ჭავჭავაძე). „ივანეს და იმის უფროს ქალს ნინუცასაც ვაგონილი აქვსთ ზღმარტლადიანთ სიღარიბე, იმის დღის ქაპანწყვეტა და ვაი-ვაგლახი“ (მ. ვაბაშვილი). ახ. ქაპანის წვევა.

ქაპნის წვევა პრ. გუთანზე საზიდად მომხული ტყავის თოკის გაწვევა. სვ. მძიმე სამუშაოს კეთება, დიდი შრომა, გაჭირებასთან ბრძოლა. „ერთს ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ, წოლად გვარჯუნეს შავი მიწა ჩვენ. ერთგულად ვწიოთ ქაპანი ჩვენი, უსიხარულოთ დაულოთ დღენი“ (ილ. ჭავჭავაძე). „ამ დღიდან იწყება ამის შრომის ქაპანი, რომელიც მთელს ამის სიცოცხლეს მხოლოდ შრომის ასპარეზად ხდის“ (მ. ვაბაშვილი). „ეხლა-კი უკანასკნელად ჩავიბარგეთ და გამოვსწიეთ პირდაპირ ქალაქისაკენ სამუდამო ქაპანის საწყევალ“ (აფ. ცაგარელი).

ქართულ გუთანში რვა უღელი ხარკამეჩი ება. ამ ხარ-კამეჩების უღლები

ერთმანეთზე გადაბმული იყო ქაპნით ანუ თასმებისაგან დაგრებილი თოკით და ისე სწვედა უღელში შემაშული საქონელი. გუთანი მეტად ძნელი გასაწყვეი იყო ხოლმე და ხვისს საქმე მეტისმეტის გაჭირებთა და ოფლის წურვით მიდიოდა.

აქედან დაერქვა ხატოვანად ქაპნის წვევა ანუ ქაპანწყვეტა — ყოველ გაჭირებას და მძიმე საქმეს.

ქარგაწყვეტილი* პრ. კანგამქერალი. სვ. მეტად ღარიბი, ნიათგამოცლილი, ცუდად დარჩენილი. „ყველა გაჭირებული, ქარგაწყვეტილი, როგორც ჩვენში იტყვიან, მიატანს ხოლმე მდიდარ კაცს, ან მდიდარ ადგილს, რომ ხელი წაინაცვლოს, შიმშილით სიკვდილისაგან თავი იხსნას“ (ს. მაკალაბიშვილი).

ქარკანუნანი პრ. ქ, კ, უ, ა, სვ. კჭუა აკლია.

ეს სიტყვა შემდგარია ქართულ აზნის ოთხი ასოს (ქარ, კან, უნ, ან) შეერთებისაგან და მის პირველად ხმარებას ქართულ მეტყველებაში მიაწერენ ისტორიკოსს კირიონს (გიორგი საძაგლიშვილს) — მაშინ ეპისკოპოსს, ბოლოს — სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქს.

ქა უთხარა პრ. ორმო ან ჯურღმული გაუთხარა. სვ. გასაჭირში ჩაავლო, ვისიმე დაღუპვა მოინდომა, ვინმე სასიკვდილოდ გაიმეტა. „რა ძიძამან ესე ყველა მოიუბნა და მოახსენა, ვისის მოსაცთუნებლად ეშმაცა ეშველა, მისითა ლაშქრითა ათასი ბადე დაუგლო, ძიძამან ვისსა ათასი ქა უთხარა გზასა ზენის“ (ვისრამიანი). ახ. ორ მოს გათხარა.

ქალარა არ შემირცხვეს პრ. ჩემს ქალარას სასირცხვილო არაფერი დამებართოს. სვ. ფიცა. სასირცხვილო არაფერი შეემთხვეს.

ქაქნად პრ. ოღნავ ხმის ამოღებად, ჩამი-ჩუმად. სვ. სრულდებით, არცერთთ. „მივიდა (ცეცო) სოფელში, სოფელი ცარიელია, ერთი სურთი ელი არა ჩანს ქაქნად, იბოვა თავისი სახლი, ავიდა ბანზე და ჩაიხედა“ (ს. მაკალაბიშვილი).

წარმომდგარია ქაქანებისაგან, რომელსაც ს. ორბელიანის ლექსიკონში

* ქარი — კანი გველისა, რომელსაც იცვლის ყოველ გაზაფხულზე.

ესეთი განმარტება აქვს: „გლგებურად ჩიმი-ჩუმი“, ე. ი. ხმა არაფერი ისმის, არავინაა, რომლის ხმა ისმოდეს. აქედანაა წარმომდგარი: გაქაბანება — გამოჩენა, გავლა. „იმ არე-მარეზე არავის გაუჭაბანია“, — იმ არემარეზე გავლით არავის გავულთა, ოდნავადაც არავის აღხმალურები იჭაურება.

ქვე პრ. ჯოხი, რომელსაც დანით ნიშნები აქვს ვაკეთებულები. სჯვ. მაჩვენებელი რაოდენობისა, დონისა, ზომისა და სხვ. „ამიტომაც ამგვარი აღებშიცემა მიწისა უფრო და უფრო გახანირდა და ვიდა-დაუღებლად მიწისმფლობელობად გადაიქცა და ერთხელ გარიგებულნი ღალა და სამსახური ერთს ქდეზედ დადგა“ (ილ. კეკელიძე).

ქდე — პატარა, ერთი მტკაველი ჯოხი, რომელზედაც წერა-კითხვის უცოდინარნი, დასახმებლად, დანით ნიშანს გაუკეთებდნენ ანუ დააქდევდნენ ხოლმე რიცხვს წაღებულ ან მიღებულ საქონლისას.

ქდეს თბილისში ჯერ კიდევ ოთხმოციან და ოთხმოცდაათიან წლებში ხმარობდნენ მეთორნი რაპველები, როცა მუშტარს ნისაიდ უწიდავდნენ სახლებში თონის პურს. საქდე ჯოხი შუაზე იყო გამოხილი ორ თიხასწორ ნაწილად. როცა უნდოდათ ვაცემულ პურის რაოდენობა აღენიშნათ, ქდის ორსავე ნახევარს ერთიმეორეს მიაღებდნენ და ისე დააქდევდნენ დანით; ქდის ცალი ნახევარი მომხმარებელთან რჩებოდა მეორე — საქონლის მომცემთან. საბოლოო ანგარიშის გასწორების დროს ორსავე ნახევარს ერთიმეორეს მიაღებდნენ, დათვლიდნენ ქდეებს (თითო ქდე გულსხმობდა პურის განსაზღვრულ რიცხვს) და ისე გამოიხვარებდნენ გადასახდელს ეალს. ასე რომ, მოტყუება შეუძლებელი იყო ან ერთისა ან მეორეს მსოივ.

ქდესავე ხმარობდნენ თბილისში, როცა მტკერის წყალი ჯერ მიღებით არ იყო სახლებში გამოყვანილი. არამედ მტკერიდან ქურჭლის მსგავსად შეკერილ ტყავებით ანუ თულუხებით წყლის მზიდვებლები ანუ თულუხები ეწოდებოდნენ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მწყინსებიც ქდეს მიმართავდნენ თავიანთი ფარების რაოდენობის საცნობ.

ლად, ქდე იყო მათი ერთგვარი საბუღალტრო წიგნი.

ახლა, როცა გვინდა ვინმემ რამე კარგად დაიხსომოს, არ დაივიწყოს, ვეტყვით ხოლმე: ჩემი ნათქვამი გულზე კარგად დაიჭდიეო!

ქდის ამოგდება პრ. ჯოხზე ნაფორის ამოღება დანით. სჯვ. დაფიცება, სიტყვის მიცემა. „თქვენი ხატი — ჩემი ხატი იყოს, ჩემი ხატი — თქვენი ხატი იყოს, ჩემი სვიანი ჭალა — თქვენი სვიანი სიალაღო, სძოვარი მთა — მე! ამინ და ევრე იყოს. (ჯოხზე ამოსთლის პატარა ნაფორს, რომელსაც ხვესურები ქდის ამოგდებდას ეძახიან)“ (ვაჟა-ფშაველა).

ხვესურებმა იცინა, როცა ერთმანეთს უნდა შეშეთიკონ რამე, ჯოხს აიღებენ და დანით პატარა ნაფორს ამოგაღებენ და დაატანენ: ასე ამოვარდეს, ვინც გილაღათოს და ნათქვამს გადავიდესო.

ჭერი გვაფარია პრ. ფიცების წყება, რომელიც სახურავსა და იატაკს ერთმანეთისაგან ჰყოფს და შინ მყოფთ უშუალოდ ჰგმოდან გვეფარება. სჯვ. სახლი გვაქვს, მინდვრად არა ვათო, ცის ქვეშ არ ვიმყოფებით. „რა ვუყოთ, რომ დავღარიბდით! ზოგს სრულებითაც არა აქვს რა, პურიც კი ენატრება და ჩვენ ხომ ჭერი მაინც გვაფარია საკუთარი და პური არ გვაკლია“ (ე. ბარნოვი).

ჭერი თავზე გვენგრევა პრ. უთავშესაფართოდ ვრჩებით. სჯვ. ვიღუბებით. უსამალოდა ვრჩებით. „ცოცხლებშიც ალარა მთვლიან. ვაი ჩემს მოსწრებას! გასათხოვარი გოგო მაიას ყელზე ეკიდება, გამათხოვეო! რატო ჭერი თავზე არ დავგვენგრევა!“ (ე. ბარნოვი).

ჭერის აყრა ის. ჭერის ახსნა.

ჭერის ახსნა პრ. სახლის ჭერის აშლა. სჯვ. ხმახალი მზიარულება. დიდი სიცილ-სიხარული. „ჩვენნი ბიჭის არჩევანი მაინც სჯობია, — მიუგო დედიკამ და მიმართა შემოსულ ლევას: — მეც მომწონს შენი არჩევანი. ამა ეცადე! ქორწილია ხმებით გავიხაროთ ეს თქვენი ქერი“ (ე. ბარნოვი). „ბატონ ყმოზის გადავარდნისას ჯორ-ზაქარამ, ისედაც თავისუფლების მოყვარემ, მინდორველის თავისუფალმა შეიღმა, უფრო

ლონივრად ამოისუნთქა, ხელები გაეხსნა, თავისი სახლის ქერიც გააციინა ცოლ-შვილის მთყვანითა“ (ს. მგალობლიშვილი).

ქართლში მიცვალებულის წლის წირვაზე მეზობლებს სადილს გაუმართავენ. სუფრაზე დასხდომისას ოჯახის უფროსი კაცი წამოდგებოდა და დამსწრეთ მიმართავდა: აბა ქერი ავხადოთო!.. ამით ანიშნებდა ყველას: გვეყო გლოვა, ახლა ვიმზიაროლოთ, ვიდრეთმოთო, გავამზიაროლოთ, გავცინოთ ქერიო! დამსწრენიც სამზიარულოს შემოსძახებდნენ: „იხარე, ქერო, მოჰკვდი, მტერო!.. ჰქენებოდე, ჰკვდებოდე, ვერაფერს ვერჩებოდე...“.

ისე ხმამაღლა უნდა ემდერნათ, რომ სახლის ქერი ეს ხმა შესდგომოდა მეტად ძლიერად, მის შესარყევად და ასახდელად.

ქერის ახსნას ეძახდნენ აგრეთვე ქერის გახარებას, ქერის გაციინებას, რომელიც იმართებოდა ქორწილის დროს.

ეტიმოლოგია ამ თქმისა ასეთი უნდა იყოს. ჩვენებური სახლი, განსაკუთრებით გლეხისა, უფანჯრო იყო. ასეთ სახლიდან ხმა გარეთ რომ გამოსულიყო და სხვებსაც ვაეგოთ მოქეიფეთა, „ქერის ამხდელთა“ ღრებდა, უნდა ქერი ახდლიყო. ძველად შეიძლება მართლაც ახდიდნენ ხოლმე ქერსა.

მგლოვიარობის გათავების ან ქორწილის აღსანიშნავად გამართულ სმეულობის გარდა, დროსტარებაში როცა მოქეიფეთ უნდათ დაიკვებონ: ძალიან ვიქეიფეთ, ბევრი ღვინო დავლიეთო, იტყვიან ხოლმე: ისეთი დრო გაეატარეთ, სუ ქერი ავყარეთო.

ქერის გაციინება იხ. ქერის ახსნა. ქერის გახარება იხ. ქერის ახსნა.

ქერმაც კი არ გაიგოს ჰრდ. სახლის ქერმა ვერაფერი შეიტყოს. ზვე. ვლუშდეთ, ჩუმაღ ვიყვნეთ, ჩვენი ნათქვამი ჩვენშივე დაიჩხს, ვერავინ რა გაიგოს, არ გაძვლავნდეს.

როცა საიდუმლოს რასმე ლაპარაკობენ, თუ ხმამაღლა ილაპარაკეს, იგულისხმება, რომ ყველანი ვაიგებენ, ისინიც-კი, ვინც არ უნდა გაიგოს. მაშასადამე, ინდინად ჩუმაღ უნდა სთქვან სათქმელი, რომ ქერამდეც-კი ვერ მიიტანოს ხმამ.

ჭია ჰრდ. ცხოველთა სამეფოს შტო,

რომელშიაც შედის რბილი და კუმშვადი ცხოველები, რომელნიც უფრო წყალში ცხოვრობენ და ასობებს მოკლებულნი არიან. ზვე. შინაგანი და დაუსრულებელი მიზეზი განადგურებისა, მოსაპობისა, ტკივილისა. „ქვეყანაზე რომ სამართალი იყოს, ინგლისსაც პირში ჩალას გამოავლებდა და პორტუგალიასაც. საიდანაც მოსულხართ, იქვე წადითო, თქვენ იქ ხელი არა გაქვთ, იქაური პატრონები — იქაურივე მკვიდრნი არიან და რაზე შესყენისხართ ქიასავით“ (ილ. ჰავაძე). „მთელი წიგნი, ყველა სტრიქონი, ყველა სიტყვა, ყველა ასო ნორჩის სურვილით იყო გავლენილი, ძირში ჭია გავლილი და უნივერსალური სურვილით, მიუწვდომელ სიყვარულით, ხოლო მით უფრო ტკბილით და სანატრელით“ (ვ. ბარნოვი).

ჭია-შეგება ჰრდ. მკვდარი ჭიის მსგავსი. ზვე. ერთავად მოგავლემყოფე, სუსტი, ერთავად მკვნესარე.

ჭიან ტყემლადაც არ გაგდებ ჰრდ. ჭიან ტყემლადაც არა ღირხარ. ზვე. სრულებით არაფრად მიმანჩინარ, ჩემს თვალში არაფრის ფასი გაქვს. მგლ. რა დიდად მოგაქვს თავი, ჭიან ტყემლადაც არ გაგდებ...
ტყემალი — უქანსკენი ფასის ხილად ითვლება. ისედაც უფასური უარესად იქნება გაუფასურებული, თუ ჭიაც გაუჩნდა და ეს ჭია უქანს თუ რამ დარჩენია შესაქმელი და სანუკვარი.

ჭიანური გააბა ჰრდ. ჭიანურზე გაბმით დაუკრა. ზვე. დაუსრულებელი, გაუთავებელი რამ (ლაპარაკი). „მე ჩემს კონსტიტორიაში ყელამდე საქმეებში ვარ ჩაფლული, წამ-წუთი თვეებად მიღირს და იმას-კი ჭიანური გაუბამს...“ (ავაკი).

„ოწია. Боже мой!.. თავი გახეთქა მაგისმა ყბედობამ. რა ჭიანური ივით გააბა და ალარ გაათავა!..“ (ელ. ჩერქეზიშვილი).

ჭიანური — სამუსიკო საკრავია, სიმებიანი. მისი ხმა ისე მოისმის, თითქო გაბმული, დაუსრულებელი რამ არისო. ითქმის ყბედ, ბევრის, დაუსრულებელი ლაპარაკის მოყვარე ადამიანზედ.

ჭიანჭველა ჰრდ. პატარა მწერი, ხუთ აფსკოვან ფრთებიანი. ზვე. უძლეური, უმნიშვნელო, სუსტი, ყველაზე პატარა. „დრო არა მქონდა, შენ გაი-



ცინებ; რასაკვირველია, იტყვი: შენ, ქიანჭველავ, რა საქმე გაქვსო“ (ბ. ბართაშვილი).

ქიანჭველანაჭამ დათვით ბუტბუტებს ჰრღ. დათვს რომ ქიანჭველა ჩაჰყვებს მუცელში და გამწარებული ბუტბუტებდს. ზღვ. მეტად გამწარებული, გაანზღებულნი, „ზოგნი თავბირჩაშოლღეწილინი და საყელღანმოგღეწილინი ქიანჭველანაჭამ დათვით გულგამეხებულნი ბუტბუტით მიგუფუნებენ საჩივლელად“ (დ. მამახვლი).

ქიანჭველა განოჰყოფს ერთ შხამიან მუყავს, რომელსაც ქიანჭველას მუყავს (Acidum formicium) ჰქვიან და ადამიანის სხეულზე მოქმედებს, როგორც მწვევი ნივთიერება. ამ მუყავს ადამიანის კუჭში ჩაყოლა იცის თავლის საშუალებით; იმავე ვხით ჩადის ხოლმე დათვის მუცელში, ნაწლავებს დაუწყავს და საშიშლად აფაღირათებს ცხოველს. **ქიანჭველახავით ირეოდნენ** ჰრღ. ქიანჭველას ოდენანი იყვნენ. ზღვ. ბლომად, აუარებელი. „მე იმას შეგხვდი ერთს დიდი კაცის წვეულებაში, ტურფად დარბატულ და დიკაშმულთ ქალკაცთა შორის, რომელნიც მის გარშემო ქიანჭველასავით ირეოდნენ“ (ილ. ჭავჭავაძე).

ქიანჭველები საზოგადოებად ცხოვრობენ, ბლომად, ერთად შეჯგუფდულნი. ასე რომ, ადამიანის სიტყვა ქიანჭველას ხსენებაზე ყოველთვის თვალწინ წარმოუდგება ამ მწერთა ერთად თავმოყრილი სიმრავლე, ურიცხვობა.

ქიანჭველასაც-კი ფეხს არიდებს იხ. ქიანჭველას ფეხს არ დაადგამს. **ქიანჭველას ფეხს არ დაადგამს** ჰრღ. ქიანჭველას ზედ არ გადაუდის. ზღვ. გულკეთილი, შემბრალებელი. „ვისთვის რა დაუშავებია (ბაგრატ ნაბარჩის), ქიანჭველასაც კი ფეხს არიდებდა, რა არის, თავის მეუფროსის წყრომა არ დაემსახურებინა“ (გაყა-ფშაველა).

ქიანჭველას ფრთები გამოუვიდა ჰრღ. ქიანჭველას ფრთები გამოესხა. ზღვ. დილუბა, ვერადფერი უშველის. „სტეფანე. რა დიემართა და ქიანჭველას ფრთები გამოუვიდა! ეჰ, დედოჯანი, რა იცი, ქვეყანა ტრიალებსო, გაიგე თუ არა? თავის დღეში ყოფილა ეს ამბავი?!“ (ავტ. ცაგარული). ეს თქმა ნაწილია ანდაზისა: ქიანჭ-

ველას რომ ფრთები გამოუვა, ღმერთიც მაშინ გაუწყრებაო. იგულისხმება, რომ ქიანჭველას ფრთები რომ გამოუვა, ფრენას იწყებს და ჩიტების მსხერებელი გახდება. ითქმის იმ შემთხვევაში, როცა კაცი მოინდომებს იმას, რისთვისაც ხელი არ მიუწყდება, წრეს გადავა, ვანდიდებას მოინდომებს და იმის ღონე კი არ შესწყდება.

ქიანაცარ დაადგამს ფეხს იხ. ქიანაცარ ვერ გააღვიძებს.

ქიანაც ვერ გააღვიძებს ჰრღ. დაძინებულ ქიანს გაღვიძებს ვერ გაუბედავს. ზღვ. უწყინარია, ჩუპია, უგნებელია. ორ წმას ერთად ვერ აზოიღებს. „იმის ყაჩაღობას ვინ მოიფიქრებდა. ისეთი მშვიდი რამ იყო, რომ ქიანაც ვერ გასრესავსო, ამას იფიქრებდით“ (ფშაველიშვილი).

ქიანაც ვერ გახრესავს იხ. ქიანაც ვერ გააღვიძებს.

ქიანყელობა ჰრღ. ქიანყელას მსვავსად გაზიდვა, გაგრძელება. ზღვ. გაგრძელება (დროისა, საქმისა) დაუსრულებლივ. „ღმერთი კი გაუწყრათ და ეამი შეუდგათ ამ უბატრონოდღეებს, რომ ქიანყელავდებიან“ (მელანია).

ქიდაობა ჰრღ. ორი ადამიანის ხელჩართული ბრძოლა ერთიმეორის მოსარევნელად, ძირს დასაცემად. ზღვ. ომი, უთანხმოება, დავა, ძაღაობა. „აქედამ აშკარაა, რას უნდა ეტანებოდეს ჩვენი ქართველობა, თუ სურს, რომ ჯანი მიეცეს მის სულსა და ხორცს ცხოვრების მოედანზედ საქილაკ და ვასაბარჯვებლად“ (ილ. ჭავჭავაძე).

ქის ვახარება ჰრღ. ქიანათვის სიხარულის მიჩიქება. ზღვ. სიამოვნებით ცხოვრება, კმაყოფილება, უდარდებლობა, „როთ მინდა ისეთი ან ლუკმა ან ჯანის დაზოგვა, თუ კი სიამოვნებას მოეკლდები და ჩემ ქიას ვერ გაევახარებ“ (მელანია). „ვარღმან დაცივნის რიმილით შემდეგი უთხრა იასა: — რას ეაქნევ შენსა სიმშვენეს, ან არ ებ მხოლოდ ქიასა!“ (შ. მღვიმელი). „რას ეძახით სიცოცხლეს, როგორ თუ სიცოცხლეო? — ისეო, გეტყოდნენ, რომ ვავლა-გამოვლა შეგვიძლოს, სუნთქვაო, ცით და მთვარით დატკობა, მზის ცქერაო და ჩვენის ქიის ვახარებაო“ (ილ. ჭავჭავაძე).

ჩვენის ხალხის აზრით, ჩვენს კუჭში გვყავს ჭია, რომელსაც ჭამა-სმა უნდა, რომ გაეხარდეს, კმაყოფილი იყოს.

ჭიმით ყოფნა საქმისა ჰრე. ძალიან გაწეულად, გაზიდვით, დაძაბულად ყოფნა. ზგვ. სამშობი მდგომარეობა, მოსალოდნელი უბედურება, საეჭვო ყოფნა. „აქ (გვრობაში), როგორც სცნობ ჟურნალებიდან, საქმე ჭიმი თ არის“ (გრ. თრბელიანი).

ჭინჭარს არ მოგიხარშავ ჰრე. შენთვის ჭინჭარის მოსახარშავიდაც კი არ შეიწუხებ თავს. ზგვ. შენის გულისთვის თთისაც კი არ შეეხები, შენთვის სულ მცირედაც-კი არ გავირჯები. „ჭინჭარს არ მოგიხარშავს“ (ზ. ანტონოვი).

ყველა მხალში ჭინჭარი სულ იოლი და მალე მოსახარშავი. წყალი ერთი-კი წამოდუღდება თუ არა, ქვაბში ჩაყრილი ჭინჭარი ჩაიფუჭება და თვალის დახამხამებაში მიხარშულია. ასე რომ, დრო და შრომა სულ ცოტა სჭირია ჭინჭარის მოხარშვას.

ჭინჭარს არ მოგიხარშავო ვეტყვით ესეთს, ვისაც ყურადღებისა და თუნდ მიზნისაღწერა, ზრუნვის ღირსად არა ვსთვლით, და ვისაც, რაც უნდა უჭირდეს, ჩვენის მხრით დახმარებისა და შეგულის იმედი არ უნდა ჰქონდეს.

ჭინჭუში გამოსაკრავია მისი ნათქვამი ჰრე. ყოველი მისი სიტყვა ჭინჭუში უნდა გაახვიოს კაცმა და ისე შეინახოს. ზგვ. ჭკვიანური ლაპარაკი იცის მავანმა, მისი ნათქვამი უნდა დაიხსოვოს კაცმა ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ. მგლ. არჩილისთანა ჭკვიანი კაცი ორი არ გამოგვა მთელს სოფელში. ყოველი მისი ნათქვამი ჭინჭუშია გამოსახვევია.

ძველად ფულსა (ლითონისას), თუ რამ ძვირფას ნივთს, მაგ. ბეჭედს, ჭინჭუში (ძველძულში) გამოჰკრავდნენ დღეუკარგელობისათვის და საეუღლად-გულოდ შესანახავად.

ამ შემთხვევაში ამა თუ იმ აღამიანის ჭკვიანური ლაპარაკი წარმოდგენილია როგორც ძვირფას რისამე ნივთის ექვივალენტი, როგორც ამ ძვირფასი ნივთის ღირებულებისა, რომელსაც კაცი უნდა გაუფრთხილდეს, როგორც თავის თვალისჩინს.

ჭიპი აქ მომიჭრია ჰრე. ჩემი ჭიპლარი

მუცლისაგან მჭრელი იარაღით აქ მოუშორებიათ. ზგვ. აქ დაბადებულ-ვარ, აქ დიდის ხნის ნაცხოვრები ვარ, ბევრი რამ მინახავს, ძალზე გამოცდილი ვარ. „შენი რისხვა არა მჭონდეს, — მიუბრუნდა მერე ცბიერი მონა, — მე იქ ორმო არ მენახოს და არც გამეგონოს დღევანდლამდინა. აი, ჭიპი აქ მომიჭრია და ამოდენა კაცს ლამის სულიც აქ დამელიოს, მაგრამ ხომ მოგესვენებო, შენი ჭირიმი, კუდიანის საქმე ეგ არის“ (ილ. ჭავჭავაძე). „ვისაც სოფელში არ მოუჭრია ჭიპი, ის ვერც დაფასებს და იგემებს სოფლის სიტკბობას და არც მისი სიყვარული ექნება“ (მელანია).

პირველი ოპერაცია, რომელსაც ახალდაბადებულს უკეთებენ, არის — ჭიპლარის (Funiculus umbilicalis) მოჭრა, მისი მოცილება მომყოლისაგან. ამიტომაც ეს ოპერაცია, ხალხის თქმაში, ბავშვის დაბადების, ამქვეყნად გაჩენის დროის აღმნიშვნელიცაა.

ასე რომ, თქმა — „ჭიპი აქ (ან ამ საქმეში) მომიჭრია“, ნიშნავს: დაბადებიდანვე ჩემი დრო აქ განიტარება, აქაურობასთან დაბადებიდანვე თან შეზრდილვარ, დაბადებიდანვე ამ საქმის მეტი არაფერი მიკეთებია, ჩემთვის ზედმიწევნით ნაცნობია, მემარჯვება და მეადვილებო.

ჭიპის ჩავარდნა სირბილით ჰრე. მუცლის შუა ნაწილი ჩაიზნიქა სირბილისაგან. ზგვ. დიდი ჯაფა დამადგა. „პო, მამე ჭიპი ჩამეჭრა და ამდენი სირბილით, ეს სულ შენგანა მჭირს, აი“ (ავტ. ცაგარელი).

სირბილის დროს ხშირისა და გაძლიერებულის ქმენისაგან მუცლის მოცულობა თითქო კლებულობსო, ჭიპი უკან, ზურვისაგან, მიიწევს; კაცს „ჩავარდნილი“ ჰგონია.

ჭირადაც შეყოფა და ლხინადაც (რამე) ჰრე. შიგ ჭირიც სამყოფია და ლხინიცა ზგვ. ბევრია, თვისაყრულია. „სულ სხვაა, როცა სჯიჯგნიან იმისთანა საქმეს, რომელიც ჭირადაც გვყოფნის და ლხინადაც, რომელიც დიდის ღვაწლით და შესაწირავით აგვიჩენია, გაგვიმართავს და ეს ოცდა ექვსი წელია ვამოქმედებთ“ (ილ. ჭავჭავაძე).

ჭირივით ეჯავრება ჰრღ. ჭირის მსგავსად სძულს ზღვ. მეტისმეტად, უზომოდ ეჯავრება. „ჩვენში ყველას, თავადია თუ გლეხი, ბერია თუ ერი, თვლი და ანგარიში ჭირივით ეჯავრება“ (ილ. ქავჭავაძე).

ჭირი მოვპარე ჰრღ. შენთვის ჭირი ქურდულად წამართმევია. ზღვ. შენი ჭირი და უბედურება მე შემეყრია, შენს მაგიერ მე მოვკვდე. თხოვნაა: ოღონდ შემისრულე სითხოვარი და მზადა ვარ შენი უბედურება მივითვისო.

ჭირი მოვზორდეს! ჰრღ. ჭირმა თავი დაგანებოსთ. ზღვ. კარგად ბრძანდებოდეთ, ყოველი უბედურება აცვილდესთ.

ჭირის მოჭმა ჰრღ. სხვისი ჭირის შეჭმა. ზღვ. ხეყნა, ვედრება; სხვის სანაცვლოდ სიკვდილი. „მთელი სოფელი დაეთრაქე, საცა და ვიწვლიც კი ფული მიგვუღებოდა, ათასი ჭირი მოვსკამე, თავს შემოფეველე, წინწკალი არავინ გაავადო. შეაგდეს კება და შეუშვირეს თავი“ (ეგნ. შენთქაშვილი). „როგორც იყოს, საქმე ვაუთავებ, ი კნიაზი შენს სიტყვას ყოველთვის გაიგონებს, ოღონდ უშველე რამე, აგრემც ჭირს მოგჭამ და იხარებს შენი კარგი ცოლ-შვილი და შენი ფეხთა მტვერი გახდება“ (მელანია). „გამზრდელნი და თანშეზრდილნი გვერდ ახლდეს და სკამდეს ჭირსა: „გვიამბეო, რა გჭირს, ანუ რა გეზმანა სიზმარ გმირსა?“ (წ. ციციშვილი). „ზამთარმა ჭირი მოგჭამათ, ფერი ცემს გაზაფხულისა“ (შ. მღვიმელი).

ეს ფორმულა თხოვნისა, ჩვენი ვედრებისა. სურათ-ხატოვანად ნიშნავს: მთხოვნელის მზადყოფნას იკისროს რაც სასიკვდილე ჭირი და სწეულება აქვს იმას, ვისაცა სთხოვს რასმე; ნიშნავს თავის გაწირვას იმისათვის, ვისგანაც რასმე გამოიღოს და ვისაც „შენი ჭირიმე“-ს ეუბნება.

ჭირთან შეერთებული ზმნა ჭამა იუღვლება ყველა დროსა და პირში. წარსულ დროის მესამე პირში ირონიულად იხმარება მოკვდომის, გადაცვალების, მოსპობის გამომხატველად. მაგ. მადანმა ჭირი მოგჭამათ, ე. ი. გადაიცვალა.

ჭირისგან წმინდად იყავ ჰრღ. ჭირი არ მოგეყაროს. ზღვ. ლოცვა, უბედურე-

ბა, არაფერი შეგემთხვეს, კარგად იყავ.

ჭირისა და ხათაბალის ძალად ჩამოცმა თავზედ ჰრღ. იუცილებელი არ იყოს და შენი ცდილობდე ძალად ჩამოიცივა თავზე ჭირი თუ ხათაბალი. ზღვ. ცდილობდე ჭირსა და ხათაბალას, უბედურებას გადაეცილო. „ბევრნი ამისათვის ჰგმობდნენ (უძმოს-ძმას) და ამბობდნენ: „უკეთურია, უჭკუოა, ბეჩავია, ეჩრება, საცა არავინ რას ჰკითხავს, ძალად ჭირსა და ხათაბალას იცვამს თავზეო“ (ვაჟა-ფშაველა).

ჭირის მომკა ჰრღ. ნამგლით მოკრეფა ჭირისა, თავის მოყრა ჭირისა, შეძენა ჭირისა. ზღვ. გაჭირების გამოვლი, უბედურებაში ჩაგარდნა. „ამ დროს მართალია, იქ მობრძანდა თვით ირაკლი გმირთა-გმირი, თან ახლავან თავადები, მოუმიკიათ დიდი ჭირი“ (რ. ერისთავი).

ჭირის ოფლი დამაყარა იხ. ჭირის ოფლი დამასხა.

ჭირის ოფლში ბანება ჰრღ. დიდ გაჭირების დროს სხეულიდან გამოსულ ოფლში ტანის დაბანვა ან ცურვა. ზღვ. დიდი გაჭირება. უკანასკნელ დღეში ყოფნა, ჯოჯოხეთური ყოფნა. „მეე, ტრიფონ ბაღდანი! ხუთჯერ ჭირის ოფლში მაბანავე; ერთ შენს დანახვანედ კუჭი და თირკმელები ამოცვივოდა ხოლმე“ (ავტ. ცაგარელი).

ჭირკოდილა ჰრღ. ვისაც ჭირი, სხვადასხვა სწეულება აქვს ნაკოდი (შენაყარი). ზღვ. ბევრი სენი და სიმწარე რომ უნახავს და ყველაფერში გამოწრთობილია. ზღლ. იმას რას უყურობ, ისეთს ჭირკოდილას მეორეს ვერა ნახავ; ყოველ სიტყვარს ადვილად უძლეებს...

როცა აღამიანი სხვადასხვა სენს იხდის, მისი სხეული, თითქო ჭირმა გამოჰკოდა და გამოწრთოვო, ადვილად უძლეებს ახალს სენს და ამიტომ ჩვენის ხალხის მიერ ასეთს დარქმევია ჭირის მიერ ნაკოდი ანუ ჭირკოდილა. **ჭირსაც დაჭვიწყებისარ!** ჰრღ. ისე მოხდეს, რომ ჭირს არ მოაგონდეს შენთან მოსვლა, ზღვ. სულ კარგად იყავ! უბედურება არაფერი შეგხვდეს. ზღლ. ჭირსაც დავიწყებ იხარ, ჩემო კარგო, სრულებით გადამაფიწყ-

და შენთვის მეთქვა! იხ. სიკვდილსაც დავიწყებინებარ.

დალოცვის ფორმულაა, იხმარება ისევე, როგორც იხმარება თქმა „სიკვდილსაც დაჰვიწყებინებარ!“.

ჭირს ნუ გაუტყდები! ჰრღ. თავი არ გაატყვეინო ჭირს. გაჭირებას გაუძლავდი, შეებროლდე, გაუძელი. „ქვეყანა ლონიერია, ნუ გეშისო. ოღონდ ჭირს ნუ გაუტყდები, ნუ გაელახვიანებო“... (ილ. ჭავჭავაძე).

ჭიტლავის ამოკვრა იხ. პანღურის ამოკვრა.
ჭიქის ფეხი შეედგა ჰრღ. სასიარულოდ ჭიქის ფეხები გამოებია. ზღვ. დასუსტდა, ძალზე გაუჭირდა, სრულიად უმწეოდ დარჩა. ზგლ. იმის საქმე წასულაია!.. რომ იტყვიან — ჭიქის ფეხი შეედგაო, სწორედ ისეა.

ჭიქა, როგორც მოგვსენებათ, მეტად ფიტცი და ადვილად მტკრევადი ნივთიერება გახლავთ; ისიც კარგად მოგვსენებათ, რომ ფეხები იმაგრებენ ვერტიკალურად ადამიანის სხეულს და უამფებოდ წარმოუდგენელია ადამიანის მოძრაობა და ადგილ-გადაინაცვლება.

ამიტომ, როცა ვინმე ნაყვადმყოფარზე იტყვიან — ჭიქის ფეხები შეედგაო, უნდა წარმოვიდგინოთ აყვადმყოფობისაგან ზომანზე მეტად დასუსტებული ადამიანი, რომელსაც, ხატოვანად რომა ვსთქვათ, ეს ჭიქის ფეხები სულის შებერვაზედაც კი შეიძლება მიემხსვრეს, ე. ი. სულ უზარალო აყვადმყოფობასაც კი ვეღარ გაუძღოს და თან გადაიტანოს.

ხატოვანად ითქმის ეს მეტად გაჭირებულ, გაღარიბებულ და უმწეო ადამიანზე, ვისი მშველელიც არაივინა და ერთი მუნანი გაჭირება საკმარისია, რომ მისს ფიზიკურს არსებობას ბოლო მოეღოს.

ჭიჭინაზე ვასკდა ჰრღ. ჭიჭინამ მოკლა. ზგვ. უცბად მოკვდა.

ჭიჭინა — პირუტყვითა სენია ერთგვარი, რასაც შეეყრება, სწრაფდა ჰკლავს. ხატოვანად ითქმის ძალზე გაბრუნებულ ადამიანზე ან ისეთზე, ვინც ერთბაშითა ჰკვდება, ვისაც მოულოდნელად ბოლო ეღება.

ჭკვაში ჩავარდნა ჰრღ. ზევიდან თავის საკუთარ სიმძიმით თავის ამოყოფა ჰკვიანურ საქმეში. ზგვ. დაჰკვიანება, უპკულობაზე ხელის იღება, ჰკუის

სწავლა. „ახლა ჰკუთში ჩაცვივიან, სიყვარული გაცაჰქრება“ (რ. ერისთავი). „მერე თავისებურად ჰკუთას ჩავარდა და თქვა: ეს თვეში აქ რასა იქნო?“ (თომსარიანი).

ჭკვიანი ჰრღ. ვისაც ჰკუთ აქვს. ზგვ. და დაციინეთ: ჰკუთს მოკლებული, უპკუთო, სულილი. „წივის პატრონის ალას კი შეუთვალეს, რომ შენს ჰკვიანს კაცს ნებზე მოაქვს შენის ორისის თუმნისაო“ (თ. რაზიკაშვილი).

ჭკვისა მჭირს იხ. ჰკვიანს ამ მხვდა.
ჭკვის მომკა ჰრღ. თავის მოყრა ჰკუთსა. ზგვ. დაჰკუთინება, სიმბრიყვენი ხელის აღება, უპკუთობის უკუგდება. გონიერების გამოჩენა. „ვემგერნეთ ოსნაოს, დავლენწოთ, მინამ ჰკვიანს მოიმკიდესა“ (რ. ერისთავი).

ჭკვის წახვლა ჰრღ. ჰკვის მიერ მიტოვება თავისა და სხვაგან გადაბარება. ზგვ. უპკუთოდ დარჩენა, ისუსტების ჩადენა, ბრიყველად მოქცევა. „მწყემსმან იფიქრა, მეტად შეწულდა, თვალნი საწვიმრად მას აუქუნდა: თქვა: ჰკვა წამივიღა! ეს რა მომივიღა, რამ დამიბნელო?“ (დ. გურამიშვილი).

ჰკუა არ ეკითხება ჰრღ. არივინა ჰკითხავს — ჰკუა რატომ არა გაქვსო. ზგვ. უპკუთო. ზგლ. ამ ეკის რას ჩასცივიებინარ, რომ არ ვიცი! ხომ იცი, ჰკუა არ ეკითხება...
ჰკუააფრინე (უპკუთო) ჰრღ. ვინც ჰკუას ფრინეთ გაუშვებს. ზგვ. სულილი, ბრიყვი. „ახლა შეუღღგეთ იმის გამოკვეყვას, თუ რა სიმბრძნისა, გონება-გახსნილობისა, რა მსოფლმხედველობის და ჰკუთს პატრონი ყოფილა ჩვენი ჰკუა-აფრინე ავტორი“ (ილ. ჭავჭავაძე). „გადაღვრილი რომ აქვს ტვინი, ჰკუა კიდევ გაფრინილი“ (გ. ლეონიძე).

ჰკუადაბლერტილი ჰრღ. ვისაც ჰკუა ჩამოცილილი აქვს ბლერტვის საშუალებით. ზგვ. უპკუთო, ბრიყვი. „დემ, მცხეთა ისევ მდებარეობდეს დარილის ხეობის შესავალშია, მეცი — პარიზისა და ჰერათი — ინდოეთისა, ვინ გაუგონებს ჰკუა დაბლერტილის მერც“ (ილ. ჭავჭავაძე).

ამ შემთხვევაში უპკუთო კაცი დადარებულია ხეილს, რომელსაც დაბლერტვის შემდეგ ზედ ხილი აქა-იქ თუ-ლა შერჩება.

ჭკუადათესილი პრ. ვისაც დათესილი აქვს ჭკუა. სჭვ. უჭკუო.

ჭკუადაფანტული პრ. ვისაც დაბნეული აქვს ჭკუა. სჭვ. ვინც ყურადღებით არ ემტყევა რასმე, გულმოკრულებული, გულმოდგინებას მოკლებული.

ჭკუაზედ თხლად ყოფნა პრ. თხელი ჭკუის ქონა. სჭვ. უჭკობა, ჭკუის ხაკლებობა, სირვეხე, სისულელე, აზროვნების სინაკლულე. „უჭკუო, უმეცარის კაცისთანა თამამი და კადნიერი ლაპარაკსა და სჯაში მწელიდ მოიპოვება ქვეყნიერებაზე, და რამოდენადაც ამისთანა ვაებატონი ჭკუაზედ თხლად არის, რამოდენაც უფრო სქელი ლიბრი აქვს გონების თვალზე გადაკრული, მით უფრო თამამაა, მით უფრო კადნიერია“ (ილ. ჭავჭავაძე). „ჭკუას როცა ურიგებდნენ, ნეტა ამით სად მოგვიანებითა! თუ მკითხავთ, ჭკუაზედაც თხლად არა ბრძანებულან! ითი ათასი თუმანი — კაი ლუქმანა!“ (ილ. ჭავჭავაძე). „ვფი, შენ ჩემო თარხანო, რა ჭკუაზედ თხლათ ხარო?...“ (ხალაური ლექსი). „გოგოსტები მკიცხავენ: ჭკუათხელი ხარ შენაო“ (ი. დავითაშვილი).

ხერხემლიან ცხოველთა თავის ქალაში მოთავსებულია ნერვულ ნივთიერების მასა, ტვინი, რომელიც წყაროა ყოველგვარ მგობობელობათა და დასაბამი ნებსითთა და უნებლიეთთა მოძრაობათა და ჭკუა-გონებისა. იტყვიან. რაც უფრო განვითარებული და მეტი (შიშივე) ეს ტვინი კაცისა, პროპორციულად სხეულთან, მით უფრო ჭკუიანია ეს კაცი. რაც უფრო განუვითარებელია და ნაკლებ იწონის ტვინი, პროპორციულადვე სხეულთან, ანუ, მდაბიურად რომ ვსთქვათ, რაც უფრო თხელია იგი, მით უფრო ნაკლები ჭკუისა და ნაკლები გონიერებისაა მისი პატრონი, მით უფრო ჭკუათხელია იგი კაცი.

ჭკუაზე მოხვლა პრ. ჭკუისთან მიახლოვება. სჭვ. დაჭკვიანება, უჭკუობის უჭკუდება. „ნატრობდე ცრემლსა, არ გქონდეს, — ჭკვაზე მოხვიდე აგება!“... (რ. ერისთავი).

ჭკუაახელი პრ. გაწყალებული ტვინის პატრონი. სჭვ. უჭკუო, უგონო, ვიეთი, ბრიყვი, რეგვინი. „მხსნელო კაცთმოყვარეო, სეგდა უკუმყარეო,

ვარ ჭკუა-თხელი“ (დ. გურამიშვილი). „ჭკუაზე თხელო, სულელო, ხინდახან ქარიშხლიანო“ (შ. მღვიმელი). „ს. ჭკუაზედ თხლად ყოფნა“.

ჭკუა — ხატოვანი სახელია ადამიანის ტვინისა, მისისა, რომელიც მოთავსებულია თავის ქალაში და წარმოადგენს ცენტრალურ ნერვულ სისტემის მთავარ ორგანოს და ნებსით მოძრაობის პრინციპს. ზოგიერთთა წარმოდგენით, როცა კაცს გონიერება აკლია და ჭკუიანობისა პლატოსა, ტვინის ეს მასა წყალ-წყალაა, თხელია, და ასეთი ტვინის პატრონს უწოდებენ ტვინათხელს ან ჭკუათხელს ან კიდევ — უჭკუოს.

ჭკუამთვარი პრ. ვისაც ჭკუა-გონება ღვინისა ან სხვა სპირტულ სასმელისაგან დაბნელებული აქვს. სჭვ. ვიეთი, დამთხვეული, გადაირეული. „ახალწულს რომ ატყუებ, განა ჭკუამთვარი ია? შენი დაქვეითება სიზარმაცის ბრალია“ (შ. მღვიმელი).

ჭკუა(თა)მყოფელი პრ. ვინც ჭკუაში იმყოფება. სჭვ. ვისაც ჭკუა ახლავს, მიხვედრილია, გონიერია, ჭკვიანია. ზგლ. ჭკუა(თა)მყოფელი ისეთ ბრიყველ საქმეს არ იზამს და კარზე მომდგარ ბედნიერებას ასე წინდაუხედავად ხელს არა ჰკრავს.

ჭკუამხიარული პრ. ვისაც მხიარული ჭკუა აქვს. სჭვ. ჭკუიანკლები, მოსულელი.

ეს თქმა დაცივითია და მიუღებია არასერიოზ ადამიანს.

ჭკუას ახლდა პრ. მივირე მანძილია მასა და ჭკუის შორის. სჭვ. ქკვიანური, მისალებია, შესასმენია. „არა, სხვა მიზეზი ჰქონდა ეთერს, სხვა გულის ტყვილი: მას აქეთ დაეტყო ქალს უცნაურობა, რაც დარისპანმა უღალატა. — ჭკუას ახლოა ისეთი საქმე ჩაუშალა მაშინ, სიცოცხლედ უღირდა“ (გ. ბარნოვი). „ნაქრომ ამაზედ არა უთხრა-რა. ამან იცოდა თავის ბატონის უწმაწურობა და ახლა მართლა ფიქრში შეუვიდა და ჭკუას ახლო დაუჯდა დათოს სიტყვები“ (ილ. ჭავჭავაძე).

ჭკუას გასწავლიო პრ. ჭკუის გაგაცნობ. სჭვ. მუქარა. გაჩვენებ შენ სეირსაო, გცემ. „ქარგი, მე გასწავლი ჭკუისაო!“ დაუძახა მასწავლებელმა სტოროეებს და უბრძანა „როზგო!“ (აკაკი).

ჭკუას დაფუნვე ჰრდ. ჭკუის ნაკარნახევი ვისმინე. ზღვ. დავეჭვიანიდი, გონს მოვეგე. „ახლა, ჩემო ძმებო, დამშვიდდით, ჭკუას დაუხმეთ, გონს მოვეგეთ და ჩვეულებრივად მუშაობის მიჰყევით ხელი“ (ა. მავალიძის წიგნი). „რო წამოვიზარდ და ჭკუას ცოტა დაეფუნვე...“ (ანტიტი).

ჭკუასთან მწყარალადა ჰრდ. ჭკუას უწყრება, კიდევანია ჭკუისთან. ზღვ. და ირონიულად, უჭკუაა, ჭკუა არა აქვს. ბრიყვია, სულელია. „**არტემ მენაჩი**. უთხარ, მობრძანდეს. (თავისთვის) ფულისთვის იქნება. ჯიბესთან უნძრახათ არის, ჭკუასთან მწყარალათ...“ (რ. ერისთავი).

დაცინვითი თქმა უჭკუო კაცის მდგომარეობის წარმოსადგენად.

ჭკუას რომ არიგებდნენ, შენ მაშინ სად იყავ? ჰრდ. ჭკუის დარიგებას არ შესწრებინარ. ზღვ. უჭკუო ხარ, ბრიყვია. „რას ამოფ, ეი, ყანყარი!.. ჭკუას რომ არიგებდნენ, შენ მაშინ სად იყავ? ღრუბლებს ვინ რასა ჰკითხავს, ბალი ათ შაურათ არიო, შე გამოჩერჩეტულო, ტეტიავ!“ (დ. მახანელი). „მოსკოვიდან ხაბახები დაიებარათო (თბილისში)! ჭკუას როცა ურიგებდნენ, ნეტა იმათ სად მოგვიანებიათ, რომ ვერ მოუსწვრიათ“ (ილ. ჰევაჟაძე). იხ. ჭკუაზედ თხლად ყოფნა.

ეს ირონიული თქმაა და ნაკულისხმევია, რომ ვითომ პირველად, აღამაინების გაჩენისას, მათთვის ჭკუა ცალკე ვერიგებინოსთ. ვინც შესწრები ჭკუის დარიგებას, თავისი წილი ჭკუა წამოუღია, ხოლო ვინც ამ დროს სხვაგან დარჩენილა, ჭკუა აღარა რგებია.

ამ თქმით ასეთ ლაპარაკში ამასხარაგებენ ხოლმე იმას, ვინც უგუნურობის რასმე ჩაიდენს, ვინც სხვათა თვალში თავის თავქეფობით დაცინვის საგნად ვახდება.

ჭკუას შემოწყრომა ჰრდ. გაჰირებება, ხმის გაუცემლობა ჭკუისათვის. ზღვ. ჭკუანიკლებლობა, სირვეგენე, უჭკუობა. „შემოსწყრომია ჭკუასა, მიმორბის მარტოპოფელი“ (მ. ერისთავი).

ჭკუას ძალას ატანს ჰრდ. ჭკუაზე ძალა უნდა იხმაროს, ჭკუა აიძულოს. ზღვ. ცდილობს ჭკვიანური რამ სთქვას, მაგრამ სისულელე და უჭკუობა გამოუდის. „აკოფა. კაცო! რო ვფიქრობ... ეს რა ქენი, შე ჩასაკირავო,

შენა! (მეშტით) ოხ, ხანუმი! შენთვისაც მოვიცილი... ოჰ, რა ფოკუსნიკი ვინმე ხარ!? ხანუმა. კარგია მამაც იციბონდა, ჭკუას ძალა ს ნუ ატანა!..“ (ავტ. ცაგარული). „რად გაბრიყვდებიან ზოგიერთნი და რად ატანენ თავის ჭკუას დიდს ძალასა?“ (გრ. თრბელიანი).

ჭკუა უჭრის ჰრდ. მისი ჭკუა მჭრელია. ზღვ. ჭკუიანია, ჭკუით სხვებისაგან განირჩევა, ჭკუით ტოლებსა სჯობნის. მგლ. ჩემს მეგობარს ყველაფერში ეტყობა, რომ ჭკუა უჭრის. იხ. თვალის უჭრის.

ჭკუაში დაჯდომა ჰრდ. გონიერებაში მოკალათება, ჭკუაში მოთავსება. ზღვ. ჭკვიანურად მიჩნევა რისამე, მოწონება, მილოდა, შესმენა. „**მაქრომ** ამაზედ არა უთხრა რა. იმან იცოდა თავის ბატონის უწმინაფრობა და ახლა მართლა ფიქრში შეუფიდა და ჭკუას ახლო დაუჯდა დათოს სიტყვები“ (ილ. ჰევაჟაძე). „**მატონმა** მოუწონა მოაზრება. სხვებსაც ჭკუაში დაუჯდათ: ამ გზას დადგენენ“ (ვ. ბარნოვი). „მე რომ იმის ხალისა და ამბავი ვიციოდი, აღარც ვამარცხ და მიიჯდა ჭკუაში“ (რ. ერისთავი). „წინაშე განა მარტო პურსა და კოვზზე ჩხუბობდა? არა, თითქმის ყველაფერზე, რაც არ მოსწონდა, ჭკუაში არ დაუჯდებოდა“ (ვახ-ფხველია).

ჭკუაში მოსვლა იხ. ჭკუაში დაჯდომა.

ჭკუაში მოსახლელი ჰრდ. რაც ჭკუაში ჩაადრევეს. ზღვ. ჭკვიანური, გონიერული, საფიქრებელი, მოსაწონი. „ან რა ჭკუაში მოსახლელი იქნებოდა ეგვიპტელთათვის კოლხიდაში გამოსვლა, როცა მათი ერთიანერთი ტკივილი და ნაღველი ის იყო, რომ ეფფრატის მხრით უშიშარყოფილიყვნენ“ (ილ. ჰევაჟაძე). „იქნება ამ ორს ჭკუაში მოსახლელს სავანს რაიმე საბუთი ჰქონდეს რუსეთში, მაგრამ ჩვენში ცო — არა მგონია“ (იხ. თავს არ მოდის).

ჭკუაში ჩახლმა ჰრდ. ჭკუისაკენ ჩასვლა, ჭკუისკენ მიმართვა. ზღვ. დაჭკვიანება, გონს მოსვლა. „ეჰ, სინუა, ჯერ სისხლი გიღუფეს; ჭკუას ჩახვდი და მერე უფრო სწორეთ ილაპარაკებ“ (ან. ერისთავ-ხოშტარია).

ჭკუისა მომხვდა ჰრდ. რაც ჭკუა მიქვს, იმის შესაფერად მომხვდა. ზღვ. უჭ-



კუო ვიყავ, ბრძეულად მოვიქეცი.
 „რაზე აუტყუე თავებრას, მამხვდა
 ახლა ჩემის ქკვისა“ (პ. უშიკა-
 შვილი). „ქკუისა მქირს და! ახი
 ჩემზე ერთი კოცნა სამასი თუმანი!“
 (ივ. ცაგარელი).

ქკუისა მქირს იხ. ქკუისა მომხვდა.
ქკუის გამოღევა ჰრდ. გონების დაკლებ-
 ბა. სჯვ. გამოსულულება, გამოჩერ-
 ჩებება. მკლ. გეტყობა, ქკუა გა-
 მოგლევი, რომ ასეთ უკვან საქ-
 მეს სჩადინარ.

ქკუის დასუსტება თუ სულ გამო-
 ლევა იდამიანს დაეტყობა განსაკუთ-
 რებით მოხუცებულობის დროს.

ქკუის გლახა ჰრდ. ქკუის მხრივ მათხო-
 ვარა. სჯვ. უქკუო, ქკუის მთხოვნე-
 ლი სხვისათვის. „მამ შოშგორსაც
 მჩვარაში ვასახვევია, რომ ბატონ-
 ყმობა არ უსხენებია თავის ილიადა-
 ში? მამ დარვინიც ქვეყნის მოლა-
 ბატე და ქკუის გლახა, რომ
 თავის სახელოვან თხსულებაში ერთი
 სიტყვაც არ დაუხარჯავს ბატონ-
 ყმობის თაობაზედ?“ (ილ. ჰავეა-
 ვაძე).

ქკუის დაკარგვა ჰრდ. ქკუის უქონლო-
 ბა. სჯვ. წაგება, შეცდომა, ზარალი.
 „აი, ძმაო, რას გეტყვი, აქედან სი-
 თანადის რომ წახედდე, ჯერ ერთი,
 რამდენ დროს დაკარგავ, მეორე —
 ქალამანი დაგიცდებდა, მესამე — ვი-
 რიები შიმშილისაგან შემსუბუქდებ-
 იან, იქნება კიდევ დაიბოცნობ,
 და მაშინ, რასაკვირველია, არავინ
 მოგცეს ექვს აბაზსაც! ქკუას
 ნუ დაჰკარგავ“ (ლ. არდახიანი).

ქკუის დანაცვა იხ. ქკუის ნაცვა.

ქკუის დღეჰა ჰრდ. ფქვილივით ჩამოყ-
 რა ქკუისა. სჯვ. უქკუობა, შეცდომა,
 უქკუოდ მოქცევა. „იქით-აქეთ არგ-
 ნიანი ბერები დადიოდნენ. მგელმა
 იფიქრა: ამ იერუსალემში რომ მო-
 ვიელი, საყდარში რომ არავინ შემის-
 ვებს, იტყვიან — მგელიაო და რა
 ქკუა დაფქვი, რომ არც არა-
 ფერი მოზერს ვუყვი და არც არა-
 ფერი ერკემდებსა და ვირსაო“
 (თ. რაზიკაშვილი).

ქკუის კოლოფი სჯვ. და დაცივით უქ-
 კუო, სულელი, ვითომ ქკეიანი, პეიტა-
 რი. ვინც ქკუას ჩემობს. „ანპი, ეს კი
 არ ირის, აბა ქკუის კოლოფი! აქ
 არის ფიდლა და ბლუნქელაშვილი?!
 მე შენ ვითხარ, ვერავის იშოვნიან

აი, რომ აკრიფონ ყველაფერი!..“
 (ს. მგალბლიშვილი). „ძირიანი წინა-
 ააღმდეგობა“ ფულსა და წოდების
 შუა გაგიგონიათ სადმე, ან ვისგანმე
 ასეთი თავგებულადებულნი ბოღვა!
 ქკუის კოლოფს რომ იტყვიან,
 სწორედ ეს არის, თუ არ დაგიშლი-
 ათ!“ (ილ. ჰავეაძე). „წადით, დაეკით-
 ხენით, ქკუაზე დაგარიგებსთ, ქკუ-
 ის კოლოფია!“ (წარია). იხ. ქკეი-
 ანი ქკუის პატრონი.

ეს თქმა ირონიულია.
ქკუის მოპარვა (ვისთვისმე) ჰრდ. უჩუმ-
 რად წაერთმევა ვისთვისმე ქკუისა,
 სჯვ. მოტყუება, შეცდენა. („იმას
 ქკუის ვერ მოპარავს კაცი“).

ქკუის მტერი ჰრდ. ვინც ემტერება ქკუ-
 ას, ვინც გადაკიდებულა ქკუაზე-
 სჯვ. უქკუო, ბრძევი, სულელი, უბ-
 ბილი.

ქკუის ნაცვა ჰრდ. ქკუის წგრილად დაფ-
 შენა ქკუის საშუალებით. სჯვ. უქკუ-
 ლ მოქცევა, ბრძეულად გარჯა.
 „მაგისთანიებეს არქიელი ფოდნოსით
 მართმევეს ხოლმე საუკეთესო მრევლს.
 ეგ-კი (მასწავლებელი) ქკუასა
 ჰნაცვავს, გამოიქვა სოფელში
 მასწავლებლად და ცხრაშვიდაბთ სა-
 ბას მეგობრათა და ამხანაგათ გაუხ-
 და“ (მგალბლი).

ამ თქმით იგულისხმება ქკუის (და-
 ნაცვა) არანორმალური მდგომარე-
 ნობა, რომლის გავლენით მოსალოდნე-
 ლია ქკუის პატრონისაგან ყოველი
 არანორმალურივე, უქკუო აქტი.

ქკუის პატრონი ჰრდ. ვინცა პფლობს
 ქკუას. სჯვ. და დაცივით. ვისაც
 ქკუა არა აქვს, ქკუანაკლები, უქკუო.

ქკუის სწავლება ჰრდ. ჩვენება, როგორ
 უნდა მოიქცეს ქკეიანურად. სჯვ. და
 დაცივით. ცემა, ტყემა, დასჯა,
 ბრძეულ ქკევის მოშლევინება.
 „კაცმა უთხარა ხმალსა: ხმალო რკი-
 ნისაო, პირი გაქვს აღმისისაო, ერთი
 აბზრიადლი, თავს კი ნუ მოსჭრი და
 ქკვა კი კარგად ასწავლეო“
 (თ. რაზიკაშვილი). „ბატონი საამ გოს-
 ტაშაბაშვილი! რატომ მაშინათვე
 არა სთქვი, შე!.. — შეუკუროთხა ქირ-
 ვალმა და ქკუა ასწავლა, წა-
 უთაქა“ (გ. ბარნოვი).

ქკუის წაგება ჰრდ. ქკუის გამოცლა
 ხელიდან. სჯვ. უქკუოდ მოქცევა,
 სიბრძევი. „ტკენა ხომ ტკენა იყო,
 მიგრამ მე ის უფრო მტანჯავდი,

რომ ქაქუა წავაგე და ორი „ლი-
ნეიკა“ დამტრეს. მაშინ, როცა სხვე-
ბი თითო-თითოთი გადაარჩენ“
(აკაკი).

ჭორების გრესა პრე. ვინებე შეთხზულ
ამბების წაღმა-უკულმა გრესა. სჭვ.
ვიზედმე ცუდი ხმების გავრცელება;
მეჭორეთა დამსგავსება. „კაცო, რას
ამბობთ, ნეტარა? რად გრესთ
დიაცებრ ჭორებსა?“ (გაია-ფშაველი).

ჭორისგულა პრე. გულა, რომელიც საე-
სეა ჭორითა. სჭვ. მოგონილ, არ-
არსებულ ამბების მოხვედრი. „ვერ
გაპბილდა (დეო) თალოსათი მუ-
დამ ერთი ფეხი ალთას ჰქონოდა,
მეორე — ბალთას, ევლო ეზო-ეზო და
ახალი ამბები — ჭორისგულა ეტა-
რებინა უბან-უბან“ (გან. მენთეშაშვილი).
„ერთი იმდღევანდელივით მოჰსენ
ახლაც პირი მა შენს ტარტარა ჭო-
რის გულსა და რაც ქვეყანაზე
პილწი. მურდალი და შხამგელიანი
სიტყვებია, სულ საწყალ თაღისკოს
დააბღერტე თავზე“ (დ. მაჩხაშვილი).

ჭორის ცვენა პრე. ჭორის მიმოხვევა.
სჭვ. მოგონილი ამბების გავრცელება.

ჭოტი დაიპირა პრე. ჭოტი შეიპყრო.
ხელთ იგდო. სჭვ. ცუდი საქმე და-
ემართა, ცუდათ წაუვიდა საქმე, გა-
სათხოვარი ქალი კაცთან შესცდა.
მგლ. კაი ჭოტი დაიპირე, არ ვიცი,
რა შედეგება...

ჭოტი, ჩვენის ხალხის აზრით, ეშმა-
კედლი ფრინველია. ღამე მისი ძახილი
უბედურობის, თვით სიკვდილის მო-
მასწავლებელია. სოფლად ჭოტის
ხმას რომ გაიგონებდნენ, თუ ახლო
იყო სადმე, ცდილობდნენ აეფრინათ,
იქაურობიდან მოეშორებინათ, რომ
მის ხმის გამგონთ არა ვნებოდათ რა.

ჭოტის შესახებ არის მეორე ვარი-
ანტიცა. ზაფხულში ერთ გასათხოვარ
ქალს ღამე დაწოლისას დედისათვის
უთხოვნია: დედი, მოდი, ამაღამ გარეთ
დაეწევი, თან ცხელა და თანაც ჭო-
ტის ხმის გაგონებაც მიყვარსო. დედას
ქმრისათვის უთქვამს და ნება დაურ-
თავსთ. ღამე მოსულა ქალის სატრფო
და მასთან დრო უტარებია. დილაზე
ქალის მამას დაუნახავს, რაც ამბავი
მომხდარა და ცოლისათვის უთქვამს:
დედაკაცო, გაიგე, ჩვენს ქალს წუხელი
ჭოტი დაუჭერიაო.

ჭოქინით ტარება პრე. საბავშვო ურმით
ტარება. სჭვ. პატრონობა, მოვლა,

ზრუნვა ისეთისათვის, ვისაც არ შე-
უძლია თავის თავს თვითონ მოუ-
აროს. „ჩვენი ჩვეული ლალა ჩვენზედ
ხელს იღებს და ჭოქინით ალარ
გვატარებსო“ (ილ. ჭავჭავაძე).

ჭოქინი — თვლებიანი საბავშვო
ურმია, რომლითაც ლალა ბავშვს ატა-
რებს, სანამ ბავშვი თვითონ ისწავლი-
დეს სიარულს.

ჭრელად დანახვა მზისა პრე. მზის ნახ-
ვა ბუნდად, სხვადასხვა ფერებისად,
სჭვ. სიკვდილის მოახლოვება, თვა-
ლებში სინათლის დაქარგვა, „ვინ
დელა-შენსა, სოლომონ, რა ქრე-
ლად ვხედავ მზესა“ (პ. უშიავი-
შვილი).

ჭრელი პრე. სხვადასხვა ფერი, სხვადა-
სხვა დრო. სჭვ. დაუნდობელი, მტრად
დასასახი, ორპირი, ტყუილი. „თუ
შიგა-და-შიგ, ჭრელად, რამდენიმე
წელიწადი მოსვენება შეხვედრია,
მაშინვე ის მოსვენებას დრო შეუწი-
რავს სწავლისა და განათლებისა-
თვის“ (ილ. ჭავჭავაძე). „რადმცა რა
ეჭვადრე მეფესა თხრობა რისაცა
ჭრელისა“ (შ. რუსთაველი). „ჩემ-
თვის კი ვამბობ, ხალხი სოფელზედ
უფრო ჭრელია“ (შ. მღვიმელი).

ჭრელია აღამიანი პრე. სხვადასხვა ფე-
რისაა აღამიანი, ნაირ-ნაირია. სჭვ.
დაუნდობელი, შეუტნობელი, მტრად
დასასახი, ორპირი. „ჭრელია
აღამიანი, ძნელი გასაგებია მისი
ხასიათი. მარტო ამგვარი შემთხვევე-
ბი ააშკარავენს მის ნამდვილ სახეს“
(გ. ბარსოვი).

ჭრელი გველის შეხვედრა პრე. ჭრე-
ლის გველის დანახვა. სჭვ. ძალზე
უსიამოვნო რისამე ან ვისამე შეხ-
ვედრა. „იმის შეხვედრას ხომ ჭრე-
ლი გველის შეხვედრა მირჩევ-
ნია, — გააგრძელა აღექსანდრემ, —
მერე, კაცო, მამიყვა სხვადასხვა ივა-
ვებს...“ (თიარული).

ჭრელი ხალხი პრე. სხვადასხვა ფერის
სხვადასხვა ხალხი. სჭვ. სხვადასხვა
განათლებისა, ქონებისა, ზნეჩვეუ-
ლებისა. „იმ უგემურს და თითქო ნაბ-
რძანებ მხიარულებაში იგი (ქალი)
არ ერეოდა, თუმცა კი გონიერნი
თვალნი მისნი თან სდევდნენ იმ
ჭრელს ხალხსა“ (ილ. ჭავჭავაძე).

ჭრელტარა კოვზით ჩაეჩრება პრე.
ჭრელტარიან კოვზის მსგავსად თავი
მოსწონს. სჭვ. მეტიჩრობს, ამყობს,

მგლ. განა არ იცი მაგის თავხედობის ამბავი!.. საცა არა მგონია, ჭრელ ტარა კოვზით ჩაეჩრება... ახ. ამას რა ტანქრელი კოვზი უნდა!

ქრიანტელივით ერთმანეთში არევა პრდ. ქრიანტელის მსგავსად ერთმანეთში აღუფხვია სხვადასხვა საგნებისა. ზვ. მართლისა და ტყუილის არევა ერთმეორეში; სხვადასხვა საგნის არევა ისე, რომ თითოეულის თვისება ცალკე არა სჩანდეს. მგლ. შენ, ჩემო კარგო, ქრიანტელივით კი აუროე ერთმანეთში ეს საქმეები, კაცი ვერას გაიგებს, სად თავია და სად ბოლო.

ქრიანტელს რაფ. ერისთავი (ბოტანიკურ ლექსიკონში) და დავ. ჩუბინაშვილი უხმობენ ერთგვარ ძირწითელა მხალს. ნაცარქათამის მიმსგავსებულს, რომელსაც იმერულად და კახურად წოხნარო-მხალსაც ეძახიან და სამეგრელოში — ჯუმენეს.

მაგრამ ქრიანტელივე ქართლ-კახეთში უქვეით ერთ მეტად თავისებურ შექამანდისათვის, რომელიც ხელმოკლეთათვის, ნორწყალის მსგავსად, ხელმისაწვდომ და თანაც სანუკვარ საქმელად ითვლება.

ქრიანტელისათვის ჯერ მოხარშავენ მწვანე ტყეშალს, გამოაცლიან კურკას და დაამზადებენ წუეას. ზოგან, საცა ტყეშალი არ არის, მის მაგიერ შეიძლება იხმარონ მაქალო ვაშლიც. ამ წყალში ჩააქრიან ყოველგვარ მწვანეებს, როგორც სურნელოვან, ისე გემოს მიმცემს: ხახვს, ნიორს, პიტნას, ოხრახუშს, ნიახურს, ქინძისა, კამას. ყოველსავე ამას ერთმანეთში აურევენ ისე, რომ კაცი ვერ გამოიცნობს, რა და რა ურევია, ან რომელი მწვანელი სძალავს მეორეს, ცოტა მარილსაც მოუკიდებენ, შემდეგ ჩაყრიან პურს და ამგვარად დასველებულ ლუკმას გემრიელად შეეცქვიან.

ქრიანტელივე კარგ საქმელად ით-

ვლება მთვრლობის მეორე დღეს, ნაბახურეზე, როცა კაცი საერთოდ ცუდ გუნებაზეა, თავი ჯერ კიდევ მიიმეტა აქვს. ვისაც ნაბახურეზე ქრიანტელი მიუროთმეგია, ქებით იხსენიებს: ხელად გულს გვიპოვნის, თავის ტკივილიც გადაგვივლის და გუნებაზე დაგვაყენებს ხოლმე.

აქ შექამანდის მომზადების ასეთის წესის გამო ქრიანტელსავით ერთმანეთში არევა ბუნებრივად დაერქვა საერთოდ უწყსრიგობას, კარგისა და ავის, მართლისა და ტყუილის ერთმეორეში გადახლართვის ისე, რომ ადამიანი ვერ გაიგოს: სად იწყება ტყუილი და სად თავდება სიმართლე, ამა თუ იმ საქმის თავისა და ბოლოს გაგება ადამიანისათვის შეუძლებელი იყო.

ჭურში ვზივართ პრდ. ქვევრში ვართ მოთავსებულნი. ზვ. ჩაკეტვები ვართ სადმე, არაფერი გვესმის, არასფერი ამბები მოგვდის, არაფერი გავგვეგება ქვეყნიერობისა, უმეტერები ვართ. მოწყვეტილები ვართ საზოგადოებას.

ქუტხა დაერქო პრდ. თვალის მოკუტვის ხანში იქ განადა. ზვ. ხელათ გაჩნდა, თვალის დახამხამებაში, იმ წამსვე. „ჩაქრო წამოფრინდა და დასთან ქუტხა დაერქო, პირი გამოტენილი ჰქონდა ნივგზით, აქმაფეზინა პირში და რომ ვეღარ ეტეოდა, ლაშებზე გადმოსდიოდა“ (ს. მგალობლიშვილი).

ქუტი წარმოებულია ზნა მოკუტვისაგან და უდრის დროს, რომელიც დასჭირდება თვალის დახამხამებას, მოკუტვას.

ჭვილი ფულისა პრდ. ცხოველისებური სუსტი ხშიანობა ფულისა. ზვ. და ირონიული. ქონება ფულის მცირე რაოდენობისა. „ას დღიურზე მეტი სახნავ-სათესი მამული გვაქვს; დეფუზატო იმას ორი დიდი ჩინებული ვენახი... ახლა ცოტაოდენი ფულიც გვიქყავის დარღუდლის კიდობანში!“ (ნ. ლომოური).

ბ

ხაზარდა! პრდ. გზა მიტეი! ზვ. ჩამომეცალე, ნუ მიშლი, მეტოქედ ნუ გამომიჩნდი. „ამ წმინდა აზიელთა ხროვაში ზოგჯერ ჩამოიქროლებდა

მრგვალი ქუდი ეტლში ჩამჯდარ მკროპელისა და მეეტლეც იძულებული იყო, რაც ხმა ერჩოდა, ეყვირნა: ხაზარდა!“ (დ. ბაქრაძე და ნ. ბერაქენიშვილი).

ხაბარდა — არაბულ-სპარსული და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: **გზა მიტე!** ძველს თბილისში ყოველ ნაბიჯზე გაისმოდა ეს სიტყვა ქუჩებში, როცა უნდოდათ მეორე, პირდაპირ მომავალი, განსაკუთრებით ცხენიანი ან ურმიანი გზიდან ჩამოცილებინათ. სურათ-ხატოვანად იხმარებოდა, როცა უნდოდათ მეტოქისათვის ეთქვათ: ვერას დაგვაკლებ, ტყუილად ნუ მოდიხარ ჩვენს წინააღმდეგო.

ხაბა-ხუბაზე ვადახვლა პრ. ხაბა-ხუბას ქაბი. ზგვ. უბრალო რამეების კმარება საქმელად. მგლ. დღეს სადილად ბევრი არაფერი გვჭონდა და ხაბა-ხუბაზე ვადახვდით.

ხაბა-ხუბას მიყრა პრ. უბრალო, ცუდად და უფარგისი საქმელების მიცემა. ზგვ. ნარჩენი, მავნებელი, უსარგებლო რამეების მიცემა საქმელად. „ასე რომ, ეგ იმას ეგვანება, ახალ მორჩენილ ავადმყოფს რომ ერთბაშად მიაყარო ხაბა-ხუბა, სხვადასხვა საქმელები“ (რ. ერისთავი).

ხაბილი პრ. წვეულება, ნიშნობა. ზგვ. მხარულება, დროს ტარება. „გუხმობ, ყვაეთა და ყორანთა, მათ ზედა ეაქნევ ხადილსა!“ (შ. რუსთაველი).

ხავის მოკიდება პირზე პრ. ხავსით დაფარვა პირისა. ზგვ. სიჩუმე, დუმილი დიდის ხნობით. მგლ. მთელი საღამო ისე ვისხედით, ენა არ დაგვიტოვებია. სწორედ რომ ხავსი მოგვეკიდა პირზე.

ხავის ჭიდილი პრ. ხავსზე დაბლა უჭება ხელისა. ზგვ. უიმედო, სუსტი იარაღის დაჭერა გაჭირებისათვის თავის დასაღწევად. „არ ეგების ჯვარისწერა მონასტერშია! უნდა ემცნოს მთელს სახელმწიფოს.“

— შორსმჭერტელი ხარ, ვეზირო ჩვენო! ვაჰ თუ ხავსად გამოვადგეს ხელს საქმილი“ (ვ. ბარნოვი).

ხავსმოკიდებთ პრ. ხავსი აქვს მიკრული. ზგვ. ძალზე დაძველებული, უმხარი, უსარგებლო, ზედმეტი, გამოფიტული. „იგი (ნარდონი) უფრო მწვავესა და უფრო დღევანდელ საქირბოროტო საქმეებზედ თავდადებულნი, როგორც, მავალითებრ, ბაქოს ნავთი და ბაქო-ბათუმის რკინისგზაა, და ხავსმოკიდებულნი წარსული საქართველოსი კი, რომელიც ხსენებულ წერილებს საგნადა აქვს, მოუნებებია საღებად და საცოხ-

ნელად იმისთანა ვაზეთისათვის, როგორც ჩვენი უზადრუკი, უფხო და მკვდარი „ივერიაა“ (ილ. პაპავაძე).

ხაზგასმით პრ. რაიმე სიტყვისა ან წინადადების ქვეშ ხაზის გავლება. ზგვ. ხმის ამოდლებით ან სხვ. რითიმე განსაკუთრებულის ყურადღების მიქცევინება.

ხაზინა მიბრუნავს პრ. ხაზინა წისქვილის ქვასებრ ტრიალებს, ფქვავს. ზგვ. მდიდარი ვარ, ბევრის ფულის პატრონი ვარ. „ახლანდელის დროის მიხედვით, კარგი სწავლულია და თუ იმას ბრძანებ, რომ ბევრი ფული არა აქვს, მე და შენ რაღა ხაზინა გვიბრუნავს...“ (რ. ერისთავი).

ხათრის ვატეხვა პრ. პატივისცემის დავიწყება. ზგვ. უპატივცემულობა, პატივისცემის უარყოფა. „ოცი წლისა რო გაუხდა (ვაეი), დედ-მამამ მოინდომა მისი დაქორწილება. თვითონ ვაქს არ უნდოდა გულით, მაგრამ დედ-მამის ხათრს როგორ გასტეხდა!“ (თ. ნაზიკაშვილი).

ხათრის შენახვა პრ. ხათრის დაცვა, გაწევა. ზგვ. პატივისცემა, ანება, სიამ-ტკბილობა. მგლ. ჩემმა მეგობარმა ხათრი შემინახა და გაჭირებაში მომეშველა, თორემ ცუდად იქნებოდა ჩემი საქმე.

ხალხის ყბაში ჩავარდნა პრ. სხეულის მოქცევა ხალხის ყბებ შორის. ზგვ. ყველას დასაყინად ვახდომამ, ყველას სალაპარაკო საგნად გადაქცევა. მგლ. შენმა ნაცნობმა ისეთი რამ ჩაიღინა, რომ ლაპარაკი არ უნდა, ხალხის ყბაში ჩავარდებო.

პირველყოფილი ადამიანისათვის უპირატესად არსებობს ის, რაც თვალთ დასანახავია; რაც ხელშესახებია. ტანჯვა, სიმწარე, ტკივილი არსებობს მხოლოდ ფიზიკური. მისის აზრით, ცუდის საქმის ჩამდენი, მტერი მაშინ-ღა იქნება დასჯილი, როცა ფიზიკურ ტკივილს ვანეცდევინებთ.

და სწორედ ამ საფუძველზეა აშენებული ზემორემოტანილი თქმავე. ასე რომ, ადამიანის ყბაში ჩავარდნა ჰგულისხმობს ადამიანის მოქცევის ვისსამე ყბაში და ამ ყბაზე მოთავსებულ კბილების მიერ დასაღებად ვახდომას.

დღეს კი ეგვეთ თქმა ხატოვანად გვამცნევს დამნაშავეს ზნეობრივად დასჯის ცნებას: მთელის საზოგადოებების ყბების ამოძრავებას, მის წინააღმდეგე ალაპარაკებას, მისი აუგის თქმას, აღაშინათ კრებულის წყაღიდან მისს ვანდევნას, ერთის სიტყვით, მისის პიროვნების მოსპობას ზნეობრივად, მიწასთან გასწორებას. ერთგვარ ნატურის საგნადაა გამხდარი დღეს ასეთი თქმა: ხალხის ყბაში ჩემი მტერი და მამყვეარიმც ნუ ჩავარდნილაო...

ხალხში ვამოხაჩენი პირი არა მაქვს პრ. ხალხს პირს ვერ ვახვეწებ, ხალხში ვერ გამოვჩნდები. ჯგვ. დიდი სასიროცხვილო საქმე ჩამიდებია, შერცხვენილი ვარ. მგლ. შე სასიკვდილე, ამ საქმის მოქმედს, ხალხში რა გამოსაჩენი პირი გაქვს?!

ხალხში ვამოხუდი კაცო პრ. ვინც საზოგადოებაშია ვარეული. ჯგვ. ვაგებულნი, ბევრის რისაზე მნახველი.

ხანი აძლევს პრ. შესაფერი ხნისაა. ჯგვ. ასაკი ნებას აძლევს. „ქაიხოსროს ცოლი, კნენია თამარ, დარჩა ქვრივად ოცდაცამეტის წლისა. თუმცა ხანი აძლევდა კიდევ, რომ მეორედ გათხოვილიყო, თუმცა თამარს ბევრნიცა თხოულობდნენ, მაგრამ ქმრისა და შვილების ერთგულმა თამარმა გათხოვება აღარ მოინდომა“ (ილ. ბუბუაქაძე).

ხან ხად გადასცა, ხან ხად გადმოხცა პრ. ხან ვის მისცა, ხან ვის მოსცა. ჯგვ. ხან რა სთქვა, ხან რა. „ბებერმაც ხან სად გადასცა, ხან სად გადმოხცა, ხან ამ მთისა თქვა, ხან იმ მთისა“ (ლ. არდაზიანი).

ხანუმა პრ. ქალის სახელი. ჯგვ. მაქინკალი. ავქ. ცვაბროსი ცნობილი კომედიის „ხანუმა“-ს გმირის სახელი.

ხანურად პრ. როგორც ხანს შეეფერება, როგორც ხანმა იცის ხოლმე. ჯგვ. მიდირულად, დიდის ამბით. „ყაფლანს ვაქი ჰყავს, დიდს ნათლობას აპირებს ხანურად, თუმცა ხანებმა ნათლობა არ იციან“ (ნ. ბარათაშვილი).

ხანჯალზედ ხელის დება პრ. ხანჯლისათვის ხელის მოკიდება. ჯგვ. საბრძოლველად, საჩხუბრად მზადყოფნა. „ქალაქით გამოემართე, ღამით შეჰკახზე ცხენით, ახალგორს

ამოიარე, ხანჯალზედ გიდევს ხელიო“ (პ. უმიკაშვილი).

ხანჯალი რომ დამცენ, წვეთი ხისხლი არ გამვარდება (ბოლმისაგან) პრ. ხანჯალი ერთ წვეთ სისხლს ვერ გამადენს. ჯგვ. მეტად დარდიანი ვარ, მკმუნვარე. „იგეთი ვარ, კაცებო, ბოლმისაგან, ხანჯალი რომ დამცენ. წვეთი სისხლი არ გამავარდება“ (დ. მახანელი).

ხანჯვლა გულ-მუცლისა პრ. ხანჯლით დასერვა გულ-მუცლისა. ჯგვ. საშინელის ტყვიელის მიყენება, უსომოდ დამწვარი. „მაგრამ რომ საყვედურის პურისქამა ჰქონდა, სხვათა ანაბარა იყო?!.. აი ეს ნამეტნავად უხანჯლავდა გულ-მუცელს ნატურისთვის“ (გენ. ყარაზანიძე).

ხანჯლის დაცემა პრ. ხანჯალი რომ მოიხვედროს ვინმემ. ჯგვ. თავის მოსპობა, თავის მოკვლა. „კარგი, რომ აღგეთის ხეობა ვერ შეგვეკრეს, ვერ მოგვიმწყვდიეს, თორემ ხანჯლის დაცემა დამიხსნიდა სამარცხენო ტყვეობისაგან“ (ე. ბარნოვი).

ხაპია პრ. ხაპით ღვინის ამომღები. ჯგვ. ღვინის ძალიან მსმელი, ლოთი. ის. თ. რაზიკაშვილის ლექსიკონი.

ხაპი ეწოდება მწარე გოგრას, რომელსაც ტარზე წამოაცვამენ და ქვევრიდან ღვინის ამოსაღებად ხმარდენ. ხოლო ვისაც ხაპით ხშირ-ხშირად ამოაქვს ქვევრიდან ღვინო, იგულისხმება, რომ თვითონაც ცხვირზევით არ იცილებს ამოღებულს ღვინოს და თერება. ამიტომ ასეთს კაცს ხაპიის, ე. ი. ხაპის ხშირად მხმარებელს ანუ, სურათ-ნატოვანად, ლოთს ვეძახით ხოლმე.

ხარაზის სუფრა პრ. ხარაზებს რომ ეშალათ ხოლმე, ისეთი სუფრა. ჯგვ. სახელდახელი, ღარიბული სუფრა.

ხარაზობა ანუ ჩუსტების კერვა ხელობებში ძველად ყველაზე ნაკლებ შემოსავლიანად ითვლებოდა. მაშასადამე, ვინც ამ ხელობით ირჩენდა თავსა და არჩენდა ცოლ-შვილს, მცირეს უნდა დასჯერბულიყო. მათს სუფრაზე თქვენ ნახავდით: პურს, შესატანებლად ხახვს, ღვინოს და... კაი გულს! ხარაზები თავიანთს ბედს შერიგებოდნენ. მხოლოდ მათი ღარიბული და ყბადასაღები სუფრა საარაკოდ გადაიქცა და როცა სადმე სუფრაზე დებული საყმოდ არ ეჩვენებოდათ, საცოდავ ხარაზებს და მათს ჭამა-სმას გადასწე-



დებოდნენ და იტყობდნენ: რა ხარ ანის სუფრააო?! ან კიდევ, როცა უნდოდათ მოყვასის ხელმოკლეობა აღენიშნათ, მოურიდებლად შესძახებდნენ: ჰაი, შე ხარაზოვო!..

ხარის ბეჭზე უსწავლია წერა-კითხვა პრე. ქალაქის მაგივრიდ ხარის ბეჭი ჰქონია სისწავლა. სჭვ. რის წვალებითა და ჯახირით უსწავლია წერა-კითხვა. მგლ. მამა-ჩემს ხელში ხარის ბეჭი სჭერია და ისე უსწავლია წერა-კითხვა.

ძველად, როცა ჩვენში ქალაქი და სტამბიდან გამოსული წიგნი ისე ადვილი ხელმისაწვდომი არ იყო ყველასათვის, დარჩენილად ხარის ფართო, კარგა გარეცხილ ბეჭზე ესწავლათ წერა-კითხვა. ცხილი, ასეთი სწავლა მეტისმეტ ტანჯვა-წვალებასთან იყო დაკავშირებული; მოსწავლეთა მრავალი მღუღარე ცრემლიც დაღვენთებულა ამ ბეჭზე. ანდაზაც კი გამოთქმულა ასეთის სწავლის შესახებ: სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების!..

მაგრამ ასე იყო, თუ ისე, ტანჯვითა იყო თუ ლხენით ჩვენი წინაპარნი სწავლობდნენ წერა-კითხვას, ხოლო თავიანთ შვილიშვილებს დაგვიტოვეს თქმა: ხარის ბეჭზე დაგვისწავლია წერა-კითხვაო! ეგევე თქმა განიშხატებულია იმისაც, რომ ამ წვალებითა და ჯახირით შეძენილი ცოდნა დიდსაგზოლიანი არ იყო. ამის მთქმელი ძველად გამოხატავდა იმ აზრს, რომ იმას დიდი ცოდნა და სიბრძნე არ მოეთხოვება, რადგან იმის დროს საწერი ქალაქი არ იყო და თუ ისწავლა ორიოდ ღერი რამ, ისწავლა დიდის წვალებით, ისწავლა ხარის ბეჭზე!

ხარისი პრე. ძვიდევ, ფიცრის კედელი. სჭვ. დაბრკოლება, ხელის შემშლელი რამ. „თუნდ ესეც არ იყოს, ჩვენს ქართველს ყმაწვილს დიდი ხარისი ხვდება სწავლის მიმდინარეობაში. ჯერ თვითონ პროგრამა გიმნაზიისა აიღეთ თვისის ლათინური და ბერძნულით!“ (ილ. ჭავჭავაძე).

ხარია აუფხებელი პრე. ღრმა ხნარცვი, აგურით ამოშენებული. სჭვ. გაუნძღარი, არაფერი რომ ყოფნის. „ამირინდო. ეჰ, რას ამბობ, ჩემი ოჯახი ამათხე მიდის, მაგრამ არა

მეშველა რა; სწორეთ აუფხებელი ხაროა“ (გ. ერისთავი).

ხარჯები პრე. ფულის გულუბა რისამე შესაძენად. სჭვ. შრომის გაწევა, მონდომება, ცდა. „ერთი ჰკითხეთ, რათ ხარჯებოდა და ისეთი პირდაპირ დაუჯერებელი საბუთები წამოგვიშალა“ (ილ. ჭავჭავაძე).

ხატის გიფი პრე. ხატის მიწეზით გაგიჟებული. სჭვ. დამთხვეული, დამნაშავე. „ნიკილა (გაჯერებული). თუ ეგრეა და ჯანი წაგივდიღეთ, რაც ვინდა, ქენით! თქვენ ყველანი ხატის გიჟები ხართ!“ (ავტ. ცაგარელი).

ხატის ღვინის დაღვევა პრე. ხატის კუთვნილ ღვინის შესმა. სჭვ. გაგიჟება, დამთხვეულობა. „დაგწამგლედი-ჩემის სალოცავმა! რამ გაგაგიჟა, კაცო! შენ ხატის ღვინო ხომ არ დაგიღვევინა?!“ (დ. მახანელი). „ჩვენმა ღვინამ ხატის ღვინო თუ დაღია, რომ სისხლი უღულს!“ (გ. ბარნოვი).

ძველად სხვიდასხვა სალოცავების სახელობაზე ქვევრებში თუ ქოცოებში ღვინოს ჩაასხამდნენ და იმათი დაღვევა შეიძლებოდა მხოლოდ იმ სალოცავის დღეობას, რომლის სახელობაზედაც ქვევრი იყო ხოლმე ავსებული ღვინით. ვიხც ნაქურდლათ ასეთ ქვევრის ღვინოს დაღვევა, სწამდათ ხატი შეშლისო. აქედან წარმოიშვა თქმა გიჟ აღამაინზე: ხატმა თავის ღვინის ქურდობისათვის ქურდი გააგვიყო.

ხაფანე პრე. მელიასა და სხვა ნადირთა დასაქერი მახე. სჭვ. გაკურება, მოკუება. „ეხლა კი ნახა, ხაფანეში მოჰყვა და სხვა გზა აღარა ჰქონდა, უნდა ეხსენებინა გიფი. იცოდა, მბრძანებლის ამ სუსუჩეს ანაზღაღვევა მოჰყვებოდა მძღაფრი“ (გ. ბარნოვი).

ხანაშრალი პრე. ვისაც ხახაში არაფერი (საჭმელი) აქვს დასასველებელი. სჭვ. ცარიელი, უარაფრო, ყველაფერწართმეული. „კაბაბმა ჩემს ძახილზე ბალღივით დაცინვის კილოთი გაიკასკასა და ცაში დაიკარგა, ხოლო ჩემს წინ დაერქო მიწაში ფრთა. რაღას ვიხამდი, დაგრჩი ხახამშრალი, გულს ვიმჯილავედი, აქეთ-იქით გიჟივით ვნტებოდი“ (ვაფა-ფხველა). „ერთხელ და ორჯელ უთქვამს: შენთვის — წარდგენილი მყეხხარო, მაგრამ, როცა ახალი აღ-

გილი დაცლილა, შენ ხახამ შრ ა-ლი დაარჩომილხარ* (ეგნ. მენთეშა-შვილი).

ხახევა ჰრღ. მებახევა, გეხახევა, ეხახევა. ხახვის გემოს განცდა. ზვესიამონენება, კმაყოფილება, მოწონება, გახარება. „მაგრამ ამის გულს არ ეხახევიან ეს განყენებული ცივი სიტყვები“ (ეგნ. მენთეშაშვილი).

ხახვი პურთან ერთ საუკეთესო და მარგებელ შესატანებლად ითვლებოდა ადამიანის ცხოვრების სულ ძველისძველ დროიდანვე. ასე, მაგალითად, „დაბადებაში“ (რიცხვთა XI, 5) აღნიშნულია ებრაელი ხალხის დრტინება და უქმნაყოფილება, როცა ეს ხალხი მისმა ეგვიპტის ტყვეობიდან მხსნელმა მოსე წინასწარმეტყველმა ქანანის (აღთქმის) ქვეყანაში შემოიყვანა უდაბნოსა და უზაყოფო ადგილებში და შიმშილწურვილი განაცდევინა, ებრაელები ჰყვედრიდნენ მოსესა: ეგვიპტეში რომ ვიყავით, თავსაყრელი გვქონდა ყველაფერი: თევზი ვინდა, ნესვი ვინდა, თუ ხახვი და სხვა და სხვა! აქ-კი არახფერი გვაქვსო...

ისტორიაში დარჩენილია ცნობა, თუ რამდენი პური და ხახვი დახარჯულა ფარაონების დროს ერთ-ერთ პირამიდის აშენებაზე. აქედან ჩანს, რომ სამუშაოზე დაყენებულ ხალხს საზრდოდ პური და ხახვი ეძლეოდა და ისიც ამით კმაყოფილებოდაო.

ქართლ-კახეთში გლეხი სრულებით კმაყოფილდა გრძნობდა თავს, თუ შიმშილის დასაყუჩებლად პურთან შესატანებლად ექმებოდა ხახვი, რომელიც ხორცისა და ყველის მაგიერობასა სწევდა.

ამიტომ ხახვი ხატოვანად სრულებით ბუნებრივად გადაქცეულია ადამიანისათვის კმაყოფილების, სიამონების მომნიჭებელ ბოსტნეულად. და დღეს როცა ვიტყვით: ესა თუ ის საგანი ან სიტყვა არ მეხახევა, გვინდა ვსთქვათ, რომ ესა თუ ის საგანი ხახვად არ მიმაჩნია, ე. ი. არ მომწონს, არ მეპიტნავება; არასდგრს მიკეთებს, არაფერში გამომადგებაო, როგორც ეს ნათლად საჩანს ზევით მოტანილ წინადადებაში.

ხახვი ცნობილია, როგორც ვიტამინ C-ს შემცველი ბოსტნეული: ცნობილია ხახვი სახალხო მკურნალობაშიაც. დამწვარი ხახვი აჩქარებს ტანზე გაჩე-

ნილ მოწყუის დამწიფებას. წვენი ანუ, უკეთ, ეთეროვანი ზეთი ხახვის ქროლოზის დროს შემაჩერებელია სისხლის დენისა; იგივე საუკეთესო სადღეინფექციო საშუალებაა. (იხ. ხატოვანი თქმა: „უფრზე ხახვი არ დამპურა“).

ხახვივით შემჩრა ჰრღ. ხახვს უკან არავინ მართმევს. ზვე. იოლად გადავრჩი პასუხისგებას. ზგლ. მეზობელი კარგათ გამოგილანძღე და ყველაფერი ხახვივით შემჩრა. იხ. ნაპოვნ დანასებრ შემჩრა.

მოგესხენებათ, ხახვი სამზარეულოში ხშირად სახმარი ბოსტნეულია და ნიორთან ერთად პირველი ადგილი უჭირავს სხედასხვა საქმლის, განსაკუთრებით ჩახობილიცა და ლობიოს შესანელებლად. საერთოდ, იშვიათი კერძი კეთდება უხახვოდ. ხელმოკლე გლეხი ხშირად ცარიელა ხახვსა ხმარობდა პურთან შესატანებლად და იოლად გამოდიოდა, რაც; ალბათ, აიხსნება იმ გარემოებით, რომ ეს ბოსტნეული ყველაზე მეტს ვიტამინს შეიცავს.

ხახვს, ამ მასაზრდოებელ თვისებასთან ერთად, აქვს თვისება სიმწარისა; თუ თვალებთან ახლო მივიტანთ, მისი ეთეროვანი წვენი ძალზე აღიზიანებს საკრემლე ჯირკვლებს და თვალელები უხვად გამოჰყოფს ცრემლებს.

კახეთში როცა მეზობელს ხახვს ასესხებდნენ, უკანვე არც მოითხოვდნენ ნასესხების დაბრუნებას და არც გამოართმევდნენ მოსესხეს, რადგან, თანახმად იქ არსებული ცრუმორწმუნეობისა, გაცემული ხახვის, სიმწარის ამ სიმბოლოს, დაბრუნებასთან ერთად შესაძლოა შემოვიდეს მსესხებლის სახლში სიმწარე, მწუხარება, დარდ-ნალველი, ცრემლთა ღვრაო... ამიტომ ხახვის მოსესხეს თამამად შეეძლო ეთქვა — ხახვივით შემჩრაო, და როცა რამ უღიერობისათვის პასუხს ვერავინ ან არავინ მოჰკითხავს, კვეხნით, თავმომწონედ იტყვის ხოლმე: (ესა და ეს საქმე) ხახვივით შემჩრაო!

გახლავსთ ამ თქმის მეორენაირი ახსნაც. ხახვი ძველად მეტად იაფი გახლდათ — ფუთი სამ შაურად ფასობდა. მისი მითვისება, სხვისათვის ჩამორთმევა მიანიც და მიანიც არც ვთქვამოდ ითვლებოდა და არარც დანაშაულად, პატრონის ქონებრივის უფლების დარღვევად და ამიტომ ხახვის პატრონის მხრივ საყვედური არ იყო

მოსალოდნელი. ყოველსავე შემთხვევაში, თუ იქნებოდა ეს საყვედური, იქნებოდა ადვილი გასაძლები, ეგრე ესტყვათ, მისაფუჩიჩებელი, ხუმრობითი. ეს თქმა ისმის იმერეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლ-კახეთში) და თავის ხასიათით უღრის თქმას: „ნაბოენ დანასებ შემჩა“—ს.

ხახვით მოხრება თვალებისა პრ. ხახვის წყენის მოხვედრა თვალებზე (ცრემლების მოსადენად). ზვ. განგებ ჩვენება იმ გრძობისა, რომელსაც ნამდვილად არ განიცდილი. „თუ როგორმე მეზობელი თვალში ვერ მოსდის და მიზუხიც ვერა მოუნახარა, თითონ მაინც ხელდახელ შეჰხანლავეს ერთს რასმე საბარცხვინო ამბავს თავის მეზობელსა და მოამხვედ, გამოჰბლაჯნის ყოველს ამას ქაღალდზედ, ხახვით მოისრესს თვალებს, რომ ცრემლი მოუფიდეს, ვითომც—და საზოგადოების სიყვარულით გული სტკივა, ჰგოდებს და ვალაღებს“ (ილ. ჰევაჯაძე).

ჩვენში მიცვალებულის დატირების დროს, ზოგიერთი მოტირალი, რომელსაც არ ეტირებოდა, ხახვს მოსვამდა თვალებზე ცრემლის მოსაყვანად და საჩვენებლად: დაინახეთ, როგორ გული მწვეს მიცვალებული, როგორა ესტირო...
ხახის დაღობა (ვისიმე) პრ. ხახის დასველება სასმელით რითიმე, ზვ. მომადლიერება, მოსყიდვა, გულის-მოგება, მოქრობვა. „ერთი კაცი იქ იმისი სიტყვა გძელაძიანთ მოსესათვის ბეჭედა, ფირმანია სწორედ იმას უხდა ხახა და ეუღბოთ“ (ილ. ჰევაჯაძე).

ხახის დაღება ის. პირის დაღება. ხბოს თავი პრ. ხბოს თავიანი (კაცი). ზვ. სულელი, უჭკუო.
ხეკაცო პრ. ხის მსგავსი კაცი. ზვ. უმუსხენელი, რეგვინი, ბრიყვი, გაუთლელი, კომბალა, ზგ. ათასი ელაპარაკო, იმას ვერაფერს შეასმენს კაცი, ერთი ხეკაცია. ის. კომბალა.

ხელად პრ. ხელის მსგავსად. ზვ. უცბად, ძალიან მალე, მოულოდნელად სწრაფად. ადვილად, გაუჭირებლად, ერთბაშად. ზგ. ჯიბგირებმა ხელად ამომაცალეს ჯიბიდან ფული. ის. ხელი.

ხელი ადამიანის სხეულის ისეთი

ორგანოა, რომელიც გაკირების დროს სხვა ორგანოზე უფრო ადრე ამოდრავდება, ამოქმედდება ჩვენდა საშველად და ხსნად. ამიტომ ზმნისხედით კარგად ხმარებული სიტყვა ხელი გამოიყვანება სისწრაფეს, მოულოდნელობას, მიშველების სიჩქარეს, რაიმე მოქმედების ხანმოკლეობას.

ხელაუპყრობელი პრ. ხელის მაღლა აუმატოველი, მაღლა აუწიველი. ზვ. უმწეო, დაუხმარებელი, უმეფელო, ხელგაუმართველი. „მათ ვარდაუწყად იმედი, იყენეს ხელაუპყრობელი“ (ნ. ციციშვილი). ის. ხელის აპყრობა.

ხელაღებით პრ. ხელის მოშორებით, რისგანმე შორიდებით, მიტოვებით. ზვ. საგნებით, სრულიად, არაფრის დაუტოვებლად. „არა, როგორც ვხედავთ, თქვენ ძალიან სულწასულად გყვარებთა რითმების რახარუხი, იმისათვის შეგიწირავთ: აზრიც, ფიქრიც, ის ცოტაოდენი გულის სითბოც. რომელიც ალაგ-ალაგ ჩანან ორიგინალით. სულ ხელაღებით მოგათხრიათ კანზოვი“ (ილ. ჰევაჯაძე). ის. ხელის აღება.

ხელაღებული პრ. ხელმოშორებული. ზვ. თავმინებებული, უპატრონოდ მიტოვებული, უყურადღებოდ დაგდებული. „—არა. ბატონო, მეცა ვფრთხილობ და შენს წყენას ისე ვერიდები, როგორც ღვთისას... ღმერთი, მართლაც, ჩემზე ხელაღებული რაღაა: ხანდახან ჩემი მტანჯველთაგანი, ალაღისა ან მიმინოსაგან დამუთხალი, მოატანს ხოლმე ჩემს ბინას და მაშინ უნდა ნახო იმისი წყენა-გლეჯი“ (ვაკა-ფშაველა).

ხელგამომავალი პრ. ვისაც ხელიდან ყველაფერი გამოუდის. ზვ. ვისაც ყველაფრის გაკეთება ემარჯვება, ვისაც ყველაფრის შნო და უხარი აქვს, ფხინია. „სადაც ჰქავის მყოფელსა და ხელგამომავალსა კაცსა წაახდენენ, და უჭკუვოთა, ხელგამოუვალთა ყმაწვილთა საქმისა და ნების სადავეს ხელთ მიანებებენ...“ (ქილია და დამანა). „არ ევარგებოდა, მაშინვე ცოლეურთას დაბინავება: იტყოდნენ — ზესიძედ შევიდაო იასე. სათაკილო იქნებოდა ასეთი თქმა ხელგამომავალ ვაქაცისათვის“ (ვ. ბარნოვი). ის. ხელიდან გამოსვლა.

ოდეს აღამიანი ჯერ კიდევ მარტოდენ ცხოველურ ცხოვრებითა ცხოვრობდა, მის ყოველდღიურ არსებობაში თითქმის ყველაფერი ხელით კეთდებოდა: მტერთან ბრძოლა, ნადირის ხოცვა, სარჩოს მოპოვება, საოჯახო საქმეები და სხვა და სხვა ასეთ ხანაში აღამიანი იმდენად მეტად ფასობდა, რამდენად მაგარი პქონდა მკლავი, რამდენად ენარჯეობდა და ხელიდან გამოუღიოდა ამა თუ იმ ხასიათის საქმიანობა, ერთის სიტყვით — რამდენად ხელგამომავალი იყო ეს აღამიანი.

ხელგამოუვება ჰრდ. ვისაც ხელიდან არაფერი გამოუვა. სჭვ. უსარგებლო, უნაყოფო, გამოუსადეგარი.

ხელგაუძრავი ჰრდ. ვისაც ხელები განერებული აქვს. სჭვ. უმაქნისი. ზარმაცი, არაფრის მკეთებელი. «ხეცური არ არის ხელუძრავი, როგორც ზოგაა ჰგონიათ, თუ კი ვარემოვება ხელს უშართავს, რამე საშუალება აქვს, ხეცური ჯანსა და ღონეს არ დაზოგავს საზრდოსა და ქონების მოსაპოვებლად» (ვაჟა-ფშაველა).

ხელგაშლით ჰრდ. ხელების მოუქუშმავად. სჭვ. მდიდრულად, უხვად, დაუზოგველად. «მადლობა!.. შენთვის მაგრად შეინახე, ძონძემში გამოიკარ, არ დაგეყაროს... დიდი განძია ეგ შენი მქლე მადლობა ოთარაანთ ქვრივისათვის, ო, შენმა მზემ! ეგრე ხელგაშლით რად იხარჯები!» (ილ. ჭავჭავაძე). «ხელგაშლით იყო მჯდომელი, არა იქს დასაბარებას» (ფშანგი).

ხედ დასართავი და არსებითი სახელი იქნება ხელგაშლილი, ე. ი. გამწვლილი ხელები, რომლებიც თავისთვის არაფერს იჭერენ, რომელთაგან ყველას შეუძლია აიღოს, რაც რამ ხედაა, რომელთაც სხვისთვის არაფერი ეშურებათ.

ხელგაშლით ყოფნა ჰრდ. ხელების დაჭერა ვაშლით, მოუქუშმავად. სჭვ. ყოფნა თავისუფლად, არხეინად, გულნებიერად, დამშვიდებულად, უდარდელად, უნაღლოდ. «სამშვიდობოში რუსების ვასვლა იამა ირაკლის, აწ ხელგაშლითა ბრძანდება, აქ ბევრს აღარას ინაღლის» (რ. ერისთავი).

სიცივისა, შიშისა, გულისმოსვლისა, ან საერთოდ მღელვარების დროს კუნ-

თები იკუმშება, მოცულობა რომელისამე სხეულისა, მავ. ხელისა, პატარავლება და ზედაპირი ნაოკლება. პირიქით, შვება-ლხენის დროს კუნთები განივრდება, ხელი იშლება და ზედაპირი ფართოვდება. ფრანზა «ხელგაშლითა ბრძანდება» გვიხატავს აღამიანის ყოფნას ნორმოლურ, დაარხეინებულ მდგომარეობაში, წინააღმდეგ ხელუქირულ მდგომარეობისა.

ხელგაშლილი ჰრდ. ვისაც ხელის თითები მოკუმული არა აქვს. სჭვ. უხვი, გაჭირებულის გამკითხველი, მოწყალე. ბარაქიანი.

გულმკერდი კიდური ნაწილი — ხელი ანუ, უკეთ, მისი მტევანი — მთავარი მნიშვნელობის ორგანო იყო საარსებო ბრძოლაში, განსაკუთრებით როცა აღამიანს უნდოდა რისამე შეპყრობა და მერე ამ შეპყრობილის დაჭერა, შენარჩუნება. ეგვე ხელი იყო დედისშობილა პირველყოფილი აღამიანისათვის შემნახველი ყოველისავე მისთვის ძვირფასის რისამე, რაც მოხრილი თითებსა და ხელის გულს შუა ჩაეტეოდა. როცა ნაშოვილი რამე სხვისთვის არ ემეტებოდა და მხოლოდ თავისთვის უნდოდა, მაშინ ხელში ჩაბღუჯული პქონდა და თან ხელის თითებს უჭერდა — არ გამოვარდეს და ან ვინემ არ დაინახოს და არ ვამართავსო. ხანი (და ბევრიც) რომ ვამოხდა, ასეთ თავის კერძო კაცს, ასეთს ძუნწს, ვისაც ყველაფერი თავისთვის უნდოდა, ვინც ყველაფერს ხელს უჭერდა — ხელმოჭერილი დაერქვა. მაგრამ ასეთ აღამიანებში გამოერეგოდა ისეთიც, ვინც ხელში პყრობილს ან სრულიად ან ნაწილობრივად მოყვასისათვის იმეტებდა, უნდოდა სხვის საჭიროებასაც მიჰწველებოდა, ამ შემთხვევაში მოჭერილი ხელი უნდა გაეშალა და ეთქვა — აჰანდე, წაიდე, ხელი მოინაცვლი: თუ გექნება, მომეცი, თუ არა და — შენ კარგად იყავიო! აი, ასეთ გულუხვ, დავრდომილთა გამკითხავს აღამიანს, თავის ხელის გამწვლელს, შიგ დებულის მისაცემდასათნობად, დაერქვა — ხელგაშლილი. ეს სახელი გულუხვს პირდაპირის მნიშვნელობით აღბათ დიდხანს ერქვა და ბოლოს დარჩა მისი გადატანითი, ფიგურალური მნიშვნელობა, როგორც გამოხატულება გულუხვობი-

სა, გამკითხველობისა, შებრალებისა, მოწყალეების ვალებისა, ქველმოქმედებისა.

ხელდაბანილი პრ. წყლით ხელიდან ქუქუქმოზორებული. სვ. უბრალო, უდანაშაულო, უვალო. „მოლტიით სტეს (ქრისტეს) ხელ დაბანილია, მსხვერპლის სისხლი შეურიესო“ (დ. გურამიშვილი).

ძველად, როცა უნდოდით ეთქვათ— ამა თუ იმ საქმეში მე ბრალი არაფერი მაქვს, ყოველსავე პასუხისმგებლობის თავიდან ვიხსნიო, ხელს დაიბანინენ და იტყონენ — ხელი დამიბანიაო! მოტანილ მაგალითში დ. გურამიშვილი იკონებს იესო ქრისტეს, რომელსაც პონტოელმა პილატემ სიკვდილი მიუსაჯა, თან წყალი მოატანინა და ხელი დაიბანა, ე. ი. ხალხს, რომელიც მოითხოვდა ქრისტეს ჯვარცმის, უთხრა: მართალია, თქვენი სურვილი იესო ქრისტეს დასჯისა ავსარულე, მაგრამ მე მიინც უდანაშაულოდ მიმჩინიაო.

დღეს ხელდაბანილს ვეძახით ადამიანს, რომელიც რასმე საქმეში თავის თავს უბრალოდა სთვლის და ამბობს — მე უვალო ვიყო. იხ. ხელების დაბანა.

ხელდახმა იხ. ხელის დადება.

ხელდახელ გაკეთება რისამე პრ. საჩქაროდ დამხადება. სვ. საჩქაროდ, უსრულყოფადღებოდ. გაკეთება რისამე; ხელის დაკლება. „ერთს იმათგანს (საზოგადოებას) პროექტიც ხელდახელ გამოუტყხვია და, სადაც ჯერ არს, წარუდგენია“ (ილ. ჰაჭავაძე).

ხელები გაეხსნათ! პრ. შეკრულ ხელებს საკვრელბენ მოშორდათ. სვ. მოქმედების თავისუფლება მიეცათ, არაფერი აბრკოლებსთ რისამე გასაკეთებლად. „შესძლეს ტყე-ტყე გაეპარებინათ გიორგის დედასთან ერთად ქალები და მამულები. ეს მეტიდ მნიშვნელოვანი იყო შემწყვედულობათვის: ვაქაცებს ხელები გაეხსნათ თავისუფლად მოქმედებისათვის და შესძლეს გამკლავება, თუმც ბევრი ზარალით“ (ვ. ბარნოვი).

ხელების დაშვება პრ. ხელების წინ გაწოდება ვისკენმე. სვ. მოწყალეების თხოვნა, გაჭირება, მათხოვრობა, სიგლახავე. როცა გვიჭირს რამე და მოყვასისა

ვთხოვთ შევლასა, იგულისხნება, რომ ხელში უნდა ჩავვიდვას შესაწირავი და ამიტომ ჩვენც იმისკენ წინ გავიშვერო ხოლმე ხელებს.

ხელების დაბანა პრ. ხელების დასუფთავება წყლის საშუალებით. სვ. თავიდან მოხსნა ბრალისა, უბრალოება, უვალოდ ყოფნა. „იმას, ჩემო კარგო, რომ ღმერთმა (რო) აღამიანი გააჩინა, უბრძანა: წადი, შენს თავს შენვე მოუარეო, შენ იცი და შენმა წუთისმოვედმაო, რაც წაგეკიდოს, შენი ბრალი იქნება, მე ნურას დამაბრალებო, მე ხელი დამიბანიაო“ (ილ. ჰაჭავაძე). „ვითარცა იხილა პილატე, რამეთუ არას არაგებს, არამედ უფროს-ლა შფოთი იქნების, მოითხოვა წყალი და დაიბანა ხელი წინაშე ერისა მის და სთქვა: უბრალო ვარ მე სისხლისაგან მაგისა, თქვენ იხილეთ“ (სახარ. მათეოს).

ხელების დაბანა ხატოვანად უდრიდა რამე საქმეში ყოველისავე ბრალის მოხსნას თავიდან. ამიტომ ძველად ბრალდებულნი თავიანთის უბრალებს დასამტკიცებლად ხელებს დაიბანდნენ ხოლმე, ე. ი. წყალს გააყოლებდნენ თუ რამ ბრალი ჰქონდათ. ხელებს ზღვის წყლით იბანდნენ, და თუ ზღვის წყალი არა ჰქონდათ, მტკნარს წყალში მარილს ჩაჰყრიდნენ ხოლმე. კათოლიკეთა ეკლესიებში დღესაც მარილიან წყალსა ხმარობენ.

დღეს რომ ვამბობთ — პილატესებ დამიბანია ხელებიო, ვგულისხმობთ პონტოელ პილატეს, რომელმაც, სახარების მიხედვით, დაამტკიცა ხალხის მიერ იესო ქრისტეს სიკვდილით დასჯის განაჩენი, მაგრამ თვითონ უდანაშაულოდ მიაჩნდა ქრისტე და ამიტომ მოატანინა წყალი, ხელები დაიბანა და ამითა სთქვა: მე, უფალო, უბრალო ვიყვე, პასუხისმგებლობა თავიდან მომიხსნიაო.

ხელების დაკრეფა იხ. გულზე ხელების დაკრეფა.

ხელების ფშვნება პრ. ცალი ხელის მეორეზე მოვლება და მოჭირება რამდენჯერმე. სვ. სიამოვნება. „ტყუილ-უბრალოდ მყვირალნი საერთოდ საადგილ-მამულო ბანკების წინააღმდეგ. ვგონებ, სიხარულით ხელებს იფშვნიტენ“ (ილ. ჰაჭავაძე).



ხელების შეცვრა ვისთვისმე პრე. რაიმე საკვრელით ხელების გადაბმა ერთ-მანეთზე. ზვვ. მოქმედების უნარის წართმევა, დაუძღურება.

ხელების ჩამოყრა პრე. ხელების ძირს დაშვება პერპენდიკულარულად. ზვვ. გულის ვატება, უმოქმედოდ დარჩენა, უსასობა, უმოქმედოდ დარჩენა. «გულში ევდენიზი გოჩაშვილს ემღერებოდა, რომ მოუფიქრებლად შეატურა იგი მორევი, გოჩაშვილი კი თვით ევდენიზზე იყო უქაყოფილო. რომ ამ გაქირებულ მდგომარეობაში უძღურად ჩამოეყარან ხელები და აზრთა საღარო აოხრებოდა» (ვ. ბარნოვი).

როცა დაღონებულნი, გულგატეხილნი ვართ, მთელის ტანით მოვეშვებით და ხელებიც ძირს ჩამოგვეყრება ხოლმე.

ხელები შქავა პრე. ხელები ეუხანება. ზვვ. დიდი სურვილი აქვს ხელით რისამე გაკეთებისა ან ვისიმე დარტყმისა, ვისთანმე ჩხუბისა. აუფროც შეტყუარება ჩემს ნაბარეს საოჯახო გარჯილობა, ჯარის საქმე მალე დავისწავლე და მერე სულ ხელები მეტავებოდა ჩვენებური საქმისათვისა (ვ. ბარნოვი). «უი იტყვის, თუ არ ბრიყვი, თავხედი, — ცხოვრების კისერში ხელსა ვსტაცებ და თავს, საითაც მიინდა, იქით ვუხამო? ეი! დოს, ვისაც ტვინი და ხელები ეტავება» (ვაკა-ფანაველი).

ეს თქმა დაცინვითია: იხმარება მაშინ, როცა ვისმე ურჩევნია მოსვენებით, თავისთვის იყოს, როცა იმას არავინ ერჩის და ის-კი ატეხილია და მიზეზს ეძებს, რომ სცემონ ან რაც იმას არ უნდა, ისეთა საქმე რამ აკეთებინონ. დამყარებულია იმ ცრუმორწმუნეობაზე, რომ ხელის გულის ქავილი ნიშანია ხელის აქტივობისა, ხელის მიკარებისა ან მოკიდებისა რაიმე გარეშე საქმისათვის.

ხელზე დახვევა (რისამე ან ვისიმე) პრე. ხელზე შემოვლება რისამე. ზვვ. მომიზეზება, თავისაკენ მიზიდვა. შენახვა, დაგროვება, რისამე დაპირება და აღსრულებლობა, მოტყუება. «როდას გაათბირებს და ხელზე ვიხვევს? ერთი კი აღარ ჩამოიხვედეთ ქილაქისა იენა, ან დაგემარათათ?» (თ. რაზიკაშვილთან მიწერ-მოწერა). «თითქო დარწმუნდა, სამძივარ არ ვაპყ-

ვებოდა იმათ იასეს. მხოლოდ უკვირდა, რაღად იხვევდა ხელზედ ვაკე-კაცსა» (ვ. ბარნოვი). «ზემოხსენებულ ყაღობის მწერლებს ეს ორი სიტყვა დაუხვევიათ ხელზე და სხვა ყველაფერში რომ უღონონი არიან, თითო «ახლოებით» იწონებენ თავს» (ილ. ჭავჭავაძე). «თუ შენ ის დავიხვევია ხელზე, რომ აი მარმარაანთ ალალო ამსანავობიდან ცარიელი დასვა, განა მარტო სანადიროსათვის უქნია ამისთანა სერიო!» (მელანი).

ხელზე დახვევა, პირდაპირის მნიშვნელობით, შეიძლება ძაფისა, ქსოვილისა რისამე, თოკისა. და რაც ხელზე დაიხვევა, ხელზე დამხვევის საკუთრებას შეადგენს, იმას ადვილად ვერავინ წაართმევს, რადგან მაგარადა აქვს ჩაბლუჯული. ხატოვანად კი ხელზე დახვევა ნიშნავს აგრეთვე რისამე დაპირებას, — ვისიმე დაიხვედებას — ამას ასე და ასე ვაგვიკეთებო, მერე-კი მოტყუებას, დაპირებულის აღსრულებლობას; ნიშნავს აგრეთვე რაიმე უმინშენლო ფაქტისთვის დიდის, ვაზვიადებულის მნიშვნელობის მიცემას და ამ მნიშვნელობის მიმცემის მიერ თავის სასარგებლოდ გამოყენებას.

ხელზედ შესანახი პრე. ხელში დასაქერი მოსავლედად. ზვვ. უძღური, საწყალი, საცოდავი, განაზებული, სუსტი, თავისით ვერაფრის გამკეთებელი, თავის მოვლის შროს მოკლებული, სხვის იმედით მყოფი, ვისაც სულ მუდამ სხვა უნდა შევილოდეს, სხვა უნდა ეხმარებოდეს, უმწეო, სხვათა საპატრონებელი, სხვათა ყურის საგდები. «უშნოდ ზის ცხენზედ (მეფე), მოშვებულა. — განაზებულიაო, ხელზედ შესანახი. ბრძოლა სულაც არ შეუძლიანო» (ვ. ბარნოვი).

ხელზე წყლის დასხმის ღირხი არა ხარ პრე. ღირსი არა ხარ ვისმე ხელზე წყალი დაუსხა და ხელ-პირი დააბანინო. ზვვ. რა კაცი ხარ! სულ უკანასკნელი ხარ, ყოველგვარ ღირსებას მოკლებული. «არს აქა ელისე, ძე საფათისა, რომელი უსხმინდა წყალთა ხელთა ელიასთა» (დაბ-დრება, მეფეთა).

ძველად, როცა ხელსაბანი არა გვექონდა, ხელზე, დოქით ან სხვა რამე ქურჭლით ჩვენ თვითონ ვისხამდით წყალს და ისე ვიბანდით ხოლმე ხელ-



პირს, ან უმცროსი უფროსს უსხამდა წყალს, ან კიდევ ბატონი თავისის მოსამსახურეს ასწმენინებდა ხოლმე ხელზე წყალს და ბატონის მხრით ეს დიდ წყალობად ითვლებოდა მსახურისათვის.

მაშასადამე, იმ დროს მსახურს ოლონდაც რომ დიდ ბედნიერებად უნდა მიეჩნია თავისთვის ეს წყალობა; ხოლო დიდ უბედურებად ითვლებოდა ის მსახური, ვისაც ეგვევ ბატონი თავის ხელზე წყლის დასხმის ღირსად არ ჩასთვლიდა.

ხელთ არმოსვლა საქმისა პრ. ხელიდან დაშორება საქმისა. სვგ. დაბრკოლება, არგაკეთება, დაშლა. „მერე, როს ბედოვლათობით, საქმე ხელთ არ მოდიოდია, რაც რამ გვექონდა, სულ გავფლანგეთ, არარა შემოგვდიოდა, — რა ვაკეთეთ? რას ვშერებოდით?“ (ილ. პაჭავაძე).

ხელთა ყოლა პრ. ხელის გულში მოთავსება. სვგ. პატრონობა, მითვისება, მორევნა, ჯობნა. „სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს: სიცოცხლევ, ჩემი ყმა ხარო, როცა ჩემი ნება არის, შენი თავი ხელთა მყავო“ (პ. უმიკაშვილი).

ხელთა პრ. ხელში ჩაგდება. სვგ. შებურობა, დაჭერა, დაპატრონება, მითვისება. მკლ. დროს რო ვიხელთებ, რასაცა მთხოვ, უშეკრლად გაგიკეთებ. ახ. ხელი.

ხელი პრ. ადამიანის სხეულის ზედა კიდურები. სვგ. ძალა-უფლები; ცოდნა, ოსტატობა; იღბლიანობა; ოდენობა, კარის ვასალები და მისახური; ხელქვეითობა, მორჩილება; დახმარება, წყალობა, ჯობნა; სარგებლობა. „მაშინ ვაიგო ამ საწყალმა გლეხკაცმა, რომ მძიმეა ბატონის ხელი, მაშინ პირველად შეეჭარა თავისი ყოფა, ცხოვრება, სახლი-კარი...“ (ილ. პაჭავაძე). „გვიმთხრა მისთა ხელი სათა: წაყალ, თანა წამონყევით“ (შ. რუსთაველი).

უხსოვარ დროიდან ადამიანის წინაპარმა ჰორიზონტალური მდგომარეობა ვერტიკალურად შეიცვალა და ამით ადამიანი სამყურდომოდ გამოეყო სხვა ოთხფეხ ცხოველთ. ამ დროიდან სიარული და სირბილი დაიწყო ხელების მიუშეელებლად, მხოლოდ ფე-

ხების საშუალებით მის ხელებს ბუნებრივად მიეკუთვნა ძირსდებულ ამა თუ იმ საგნის აღების, შეპყრობის, დაჭერის, „ხელში ჩაგდება“ ფუნქციები. ამასთან, თუ ხელწასავლები საგანი სხვის ხელში იყო, წასართმევად, მოსატაცებლად მიმძლავრება იყო საქირო. ამიტომ, თუ საქირო იქნებოდა, მოწინააღმდეგის ცემის, მორევნის უნარიც უნდა გამოეჩინა ხელს, თორემ პირველყოფილ არსებობისათვის ბრძოლაში ხელის პატრონი გაქეილი დარჩებოდა.

ჩვენს უხსოვრის დროის წინაპარს ფიზიკური და გონებრივი განვითარება იმ წუთიდან უნდა დასტყობოდა, როცა ამ ადამიანმა შრომა დაიწყო და კაეს იარაღად გამოისყენებელი სახე მისცა. ხოლო ამ იარაღით კაცმა უკვე დაიწყო სხვადასხვა საქირო საქეთების კეთება: კრა, მტრისა თუ ნადირის ეფექტურად დამარცხება, საზრდოს მოპოვების საშუალების გადაღვილება.

ერთის სიტყვით, ადამიანი, შრომის წყალობით, გახდა დამწყებნი და შემქმნელი შემოქმედების, ცივილიზაციის, კულტურის. პროგრესის. სუყველაფერი ადამიანის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საქირო ამ პირველი ბერკეტის მეშვეობით უნდა გაკეთებულყო, კეთდებოდა და კეთდება კიდევცა.

დღეს ფიზიკურად მომუშავე ადამიანის მიერ თითქმის ყველაფერი ხელითა კეთდება; თანამედროვე ადამიანის საქმიანობაში ხელის როლი დიდია. კიდევ ამიტომ იყო ქართული წყევლა — „მოგტყდეს ე ხელი! მოგახმეს ხელი!“ ესდენ საშიში და მძიმე მოსასმენი ძველ დროს.

ხელის ამ უადრესი დანიშნულები-სა და მნიშვნელობის მაჩვენებელია დღევანდლამდე ჩვენს ენაში დარჩენილი სიტყვები და თქმები, ხელთან მჭიდროდ დაკავშირებულნი: ხელქვეითი (პრ. ვინც ვისსამე ხელქვეში დვას) — სხვათა მორჩილი, სხვათა მონა, სხვის ბრძანების ამსრულებელი; ხელშეუვალი (პრ. საცა ხელი) ვისიმე გარეშეს (ვერ შევა, ვერ მისწვდება) — წაუთმეველი, მიუთვისებელი, მოუტა-

ცებელი; ხელის ამართვა (პრ. ხელის მაღლა აწევა) — საბრძოლველ მომზადება; ხელისაბჯრობა — შევლა, დახმარება; ხელის გადაფარება — მფარველობა; ხელის მომართვა — დახმარება; ხელმოკლეობა — სიღარიბე, სისუსტე; ხელყოფა — მცდელობა, საქმის შედგომა და სხვ. და სხვ.

ხელი აკლია პრ. ხელი საცხებით არა აქვს. სვ. ნაკეთებს რასმე ნაკლი აქვს, სრული არ არის. მგლ. საქმელს ხელი აკლია, ისეთი გემრიელი არ არის, როგორც უნდა იყოს.

ხელიდან გამოხვლა (გამოუვა) პრ. ვის სამე ხელიდან რამე გამოდიოდეს. სვ. ცოდნა, მოხერხება, სიძარჯვე, ავიცა და კარგეცა, ხნო, უნარი, შეძლება. „აი ესენი ყველაფერი, გენაცვა, სუ ხელიდან გამოუვა ჩემს სალომესა“ (ს. მგალობლიშვილი). „უხდა ვლიართო, რომ შინაური ლაქაქისა და ლამპარაკის მეტი არაფერი არა გამოგივა რა ხელიდგან“ (ილ. ჭავჭავაძე). „ხოლოდ ერთი აზრი აწუხებს დათესა — რა შესვას, რა შექამოს. საქმლასათვის შორით დაიყრის სუნსა და ვასწევს კიდევცა. არაფერი არ გამოუვა ხელიდამ მზამხარეულად ჭამის მეტი“ (ვაჟა-ფშაველა). „როც ჩემის ხელით გამოვა, თქვენს მოხმარებას ვეცდებიო“.

ხელი დაპრია (ვისმე) პრ. ღონიერი ხელი აღმოჩნდა მოსარგენად. სვ. აჯობა, დაასუსტა, დაამარცხა, სძლია. „რამდენიმე თვის განძაელობაში სისხლში გამჯდარმა საშინელმა ჭირმა, ხეარამხეს ხელი დაპრია და მიღად ბოლო მოუღო მისს სილამაზე-მშვენიერებას“ (დ. მაჩხაშვილი). „ღედ-მამას ეშინოდა, ქალმა უარი არ უთხრას და შეძლებული კაცი არ დაგვაკარგვინოსო. ქალი უკრთოდა ვადამწყვეტ წუთსა: არა, შეუძლებლად მიაჩნდა, ჰო. არ ემეტებოდა. მღელვარება თანდათან ხელსაჰკრა ვდა სასიძოს“ (ე. ბარბოვი).

იგულისხმება, რომ როცა უიარალო ადამიანი მტერს უმკლავდება, მისი ბუნებრივი იარაღი — ხელია, და ამ ხელებით მოერგება, სძლევს, დაამარცხებს მოწინააღმდეგეს. ამ ხელებით დაიმორჩილებს და უკუაქცევს თავის მტერსა და მოპირდაპირეს.

ხელიდან გამოცლა პრ. ხელიდინ მო-

შორება, ხელიდან გავარდნა. სვ. საკუთრების წართმევა, უარაფროდ დარჩენა; სიკვდილი, მოკვლეობა, დაღუბვა. „ნენეს შვილი ილო შეუძლოთ ჰყავს და ამას-კი ჰგონია, რომ ეს არის, შვილი ხელიდან მცოცლებო“ (ელ. ჩერქეზიშვილი). „ყველგან იგინი (ახალმოსულნი უცხოელნი) გვეჯობნიან, ყველგან ისინი წინ გვასწრობენ, ვამოსარჩენს საქმეს. ხელიდან გავაცლიან“ (ილ. ჭავჭავაძე). ახ. ხელის დაბანინება.

ძველად ესა თუ ის საგანი ვისიმე საკუთრებად მანამდე არ ჩაითვლებოდა, სანამ ის ხელს არ წაივლებდა, ხელში არ დაიჭერდა, ხელში არ ჩაბლუჯავდა. ხოლო თუ ვინმე ამ ხელში დაჭერილს გამოაცლიდა, მაშინ ეს საგანი მისთვის წართმეულად, დაკარგულად ითვლებოდა. ასე რომ შემდეგში ერთის მხრით ხელში ჭერა — რისამ პატრონობასა ჰნიშნავდა, ხოლო მეორეს მხრივ — ხელიდან გამოცლა ვადიაცა საკუთრების დაკარგვის, საკუთრებაზე ხელის აღების გამოხატველ ცნებად.

ხელიდან გაშვება პრ. დაჭერილი რომ გაუშვას, მოიშოროს. სვ. განთავისუფლება, დაკარგვა, თავის დანებება, უარის თქმა. „ახალის აზრისა და რწმენის მიმდევარს დიდი სიმტკიცე ხასიათისა და დიდი სასოება გამარჯვებისა უნდა ჰქონდეს, რომ გული არ გაუშვილდეს და ხელიდამ არ გაუშვას მის მიერ დაწვებული საქმე“ (ილ. ჭავჭავაძე).

ხელიდან გამრომა პრ. ხელიდან გასხლტომა, გაცურება. სვ. ხელიდან ჩუმად და შეუძინელოდ თავის დაღწევა. „შეუძნობარი ხელის დაფარება იქნება, თუ მართლს დანაშაუცვებს ღონე მიუცემთ სასამართლოს ხელიდან გაუძვრენო“ (ილ. ჭავჭავაძე).

ხელიდან დამწველი ცეცხლი არ გაუვარდება პრ. ხელში ცეცხლმოკიდებული რომ რომ ეჭიროს, არ გადააგდებს. სვ. საშინელი ძუნწია, სხვისთვის არაფერი ემეტება.

ითქმის მეტის-მეტ ძუნწ ადამიანზე, რომელიც, ცეცხლი რა არის, ცეცხლს დაეწვევიანება და გამეტებით კი არასფერს გაიმეტებს მოყვასისათვის, ყველაფერი თავისთვის უნდა.

ხელიდან წახვლა პრ. ხელს მოშორება, ხელიდან ამა თუ იმ მანძილზე



გარიდება. ზვ. დაკარგვა, დაკლება, გაფუჭება. „თუ აიღო ხელი ჩემზე ღმერთმა, მაშინ ეს ვენახი „ხალო-ვაღ“ უწერია, ხელიდან წამი-ვაღ“ (ანბანი, ელია. „ივ.“ 1898, № 154). — „შენ ისე ლაპარაკობ, ისე გონია, ჩემი საქმე მართლა ხელიდამ წა-სულიყო. ვა! განა ვასწორება არ შეიძლება?“ (ილ. ჰაგვაძე).

ხელიდან წასული პრე. ვინც ხელს მო-შორდება, ხელიდან ამა თუ იმ მან-ძილზე თავს გაიარიდებს. ზვ. დაკარ-გული, დაღუპული, გაფუჭებული; გარყვნილი ზნობით. „ამ სულელებს რაც გინდა. უთხარი, ღმერთმან იცის, ვააგებინებ?! ამით ქალებზედ ელაპარაკე, მაშინ თუნდ საღამომ-დინ ყურის დაგიგდებენ, ხელიდან წასულეები არიან“ (ილ. ჰაგვაძე).

ხელიდან ხელში გადასვლა (რისამე) პრე. ერთ ხელიდან მეორე ხელში ამოყოფა თავისა. ზვ. როცა ბევრი სარგებლობენ ერთისა და იმავე საგ-ნით. როცა საქონელი გინა ნივთი ერთ პატრონისაგან მეორე პატრონის ხელში გადავა. „ამგვარის ხელის გა-მართვით ბანკისაგან, ნაწარმოები ხელიდან ხელში გადავა, გამ-ლიერდება საქონლის მიქცევ-მოქცევა მწარმოებელთა შორის“ (ილ. ჰაგვა-ძე).

ხელი და პირი იმისკენ მიქნია ის. ხე-ლიც იმისკენა და პირიცა. (იმისი) ხელი და ფეხი დალიდან საღა-მომდე არ დადგებაო პრე. ხელი და ფეხი მთელი დღე გაუჩერებელი არი-სო. ზვ. განუწყვეტლივ, დაუხარებ-ლივ მუშაობსო. „ახლა შინა ნახე (ოთარაანთ ქვრივი), — რა ამბავი აქვს: მთელი დღე ციბრუტივითა ტრიალებს. იზინი ხელი და ფეხი დილიდამ საღამომდე არ დადგებაო“ (ილ. ჰაგვაძე).

ხელით ტარება ვისიმე პრე. ვისიმე ხელზე დასმა და ისე სიარული. ზვ. ფერება, ლოლიაობა.

ხელი მოგატყდეს! პრე. უხელოდ დარჩე-ნილიყო. ზვ. გაუბედურებულიყო, საცოდავად დარჩი. მგლ. მოგ ტყდეს ეგ ხელი, უკეთესად ვერ გააკეთე ეგ საქმე!

ცნობილია, თუ რა როლს თამაშობ-და ხელი ფიზიკურად მიმუშავებ ადამიან-ის ცხოვრებაში! უხელოდ დარჩენა

უღრიდა შიმშილით სიკვდილს ან სამთ-ხოვროდ სიარულს.

ამიტომ გასაგებია, რა მიმე მოსას-მენი უნდა იყვეს ეს წყველა ადამიანი-სათვის, რომელიც ხელსა და მხოლოდ ხელს შესჩერებდა, როგორც მარჩინალს მისას და მთელის მისის ცოლშვილისას. **ხელი შოითბო პრე.** ხელს სითბო მისცა. ზვ. ისარგებლა, თავის სასარგებ-ლოდ გამოიყენა რამე გარემოება (ფულის შოენა და სხვ.). მგლ. ჩვენმა ნაცნობმა სიმინდის სიძვირეში ძა-ლიან მოითბო ხელი.

ხელი მომპერ ის. ხელი მოჭრა. **ხელისა და ფეხის დადგომა პრე.** ხე-ლისა და ფეხის გაჩერება, გაუნძ-რეველობა. ზვ. უმოქმედობა, მუშა-ობის შეჩერება. „მთელი დღე ციბ-რუტივით ტრიალებს (ოთარაანთ ქვრივი) ოჯახში. იმისი ხელი და ფეხი დილიდან საღამომდე არ დადგებაო“ (ილ. ჰაგვაძე).

ხელის ამართვა (ვიწედე) პრე. ხელის მოღერება ვისთვისმე. ზვ. მომზადე-ბა ვისსამე საცემრად, დასარტყმე-ლად. მგლ. არჩილმა ჩემს მამაზე ხე-ლი ამართა, მაგრამ ამ დროს მიეუსწარ.

ხელის აღება პრე. ზევით აწევა ხელისა, მოშორება ხელისა. ზვ. დაუხმარებ-ლობა, მოძულება, გაჭირებაში ჩატო-ვება, მიტოვება, თავის დანებება, შევლაზე უარის თქმა; შეწყვეტა. „მაგრამ რა ვიციოდ, რომ ღმერთი ჩემზედ ისე ხელს აიღებდა, რომ „მაშხესაც“ გააჩენდა ჩემდა საუბე-დუროდ“ (ილ. ჰაგვაძე). „განა ღმერ-თი ავრე აიღებს ხელს საქრის-ტიანო ხალხზედ, რომ... ვენაცვალე მისს მადლსა და სახესა!“ (ს. მგალობ-ლიშვილი). „ამბობენ, უცინმა ერეკლეს კაცი გამოუგზავნა: ან რუსზე ხელი აიღე და შე დაბიყოანადი, ან შენ ქვეყანას წავახდენო. ერეკლეს თურმე გაუცინია. ძალად მეგობრობა ვის გაუგონია, მობრძანდით“ (ე. ბარნოვი). „არ უნდა გვეშინოთ იმისა, რად დავსაჯეთო, ვაი თუ გული გაუტყ-დესთ, ხალხი დავეარგოსთ და ნად-რობაზე ხელი აიღონო“ (ვიყა-ფშაველა).

პყრობა რისამე ჰგულისხმობს: რი-სამე ხელში ჭერას, ხელის კიდებას. ხელის მოვლებას, ხელის ზედ დადებას. მაგრამ როცა ვამბობთ: რაზედმე ხელი

ავიღო, ნიშნავს: რასმე ხელი მოვა-
რიდე, ხელი მოვაშორე, ხელიდან გა-
ვათავისუფლე, უარი ვსთქვი მის პერო-
ნისაგან

ხელის აღმპყრობელი პრ. ხელის მალღა
აწვეველი. სვ. დახმარება, შეველო,
პატრონი. „გვესწრაფე, ჩვენი ხელთ-
აღმპყრობელო, და აღადგინე
დღეს საქართველო!“ (ნ. ბარათაშვილი).
„ავიწყდებოდა ზვიადს, რომ
იგი გვირგვინი დიდებისა მიენიჭა
ბაგრატიონთა წინაპარს, ვით მონას
უფლისას, საწირველად თავმდაბალს,
ტვირთმიმდეთა თუ მასწავლთა ხე-
ლის აღმპყრობელს, ხალხის
გულთიად მოსიყვარულს“ (ვ. ბარ-
ნოვი).

ხელის აღპყრობა პრ. ხელის მალღა
აწვევება. სვ. დახმარება, შეველო,
პატრონობა, ხელის მიშველება. „მან
(ტარიელმა), გლახ, ივინი ვაჰხადნა
მტერთაცა საწუალბებელად, ჰკრა ერთ-
მანერთსა, დახოცნა თავსა ხელ-
აღუპყრობელად“ (შ. რუსთა-
ველი). „მისხენ, ხელმწიფეო ჩემო
ძლიერო, აღმომიყვანე მიხრებლით
სახარით! სადა ხარ, მიჯნურო ჩემო
ძმლეთა მძლეველო? რად არ აღმი-
პყრობ ხელს, არ აღმომხდენ ჯო-
ჯობებით უბრალოდ ტანჯულს?!“
(ვ. ბარნოვი). „აჲ, დიო, შენთა ხელ-
თა ჩემი საბელი ყელისა, სხვად
ულანოა უშენოდ ჩემგან აღპყრო-
ბა ხელისა“ (შ. რუსთაველი).

ხელის გადახმა თავზედ პრ. თავის
ზედაპირზე ხელის ტარება წინ და
უკან. სვ. მოფერება, მოალურსება,
გულის გაკეთება. გამხსენება, წაქე-
ზება. „არაეინ შეიბრალა (აღ. ყაზ-
ბეგი) და ხელი არაეინ გადაუს-
ვა! სიამ ქვაზე დასტოვეს, მოლიბულ
გზაზე დააყენეს“ (ი. გრიშაშვილი).

ხელის გამართვა პრ. გასწორებულად
დაჭერინება ხელისა. სვ. დახმარება,
შველა, შეწვინა, გაჭირებისაგან ხსნა.
„ლიბერალური ბურჟუაზია, ეტყობა,
მიხვდა ყოველივე ამას და, თავისი
კავებების სახით, ხელს უმარ-
თავს მთავრობას“ (ი. სტალინი).

როცა კაცი დადარდინებულია,
გაჭირებულია, უმწუო მდგომარეობა-
შია. ან, მაგალითად, ძალზე ცივია. მო-
ბუზუხლია, მთელი მისი სხეულის მოცუ-
ლობა თითქო კლებულობსო. ხელებიც,
ეს მთავარი ორგანო ფიზიკურად რი-

სამე კეთებისათვის, საღლაც ემალება,
გაშლილად, თამამდ წინ გაშვეროს
თითქო ვერ ჰბედავსო... ერთის სიტყ-
ვით, დაჩაფებულის ფორმის ხდება
ჩვენი ხეული და ცალკე მისი ორგა-
ნოები, განსაკუთრებით ხელები. ამ
დროს, თუ მოყვასი ესწრაფვის დარდი
უკუ გვეპაროს, წელში გავგვისწოროს,
მოკაყულ ხელებს გავგვამართვინებს და
შეგვაძლებინებს ამ ხელებით რამე ვა-
კეთოთ. მტერი თუ მოსაგერებელია,
შევებრძოლოთ, თუ ასალეზია რამე,
ავიღოთ, სიმხდალე, შიში უკუვაგ-
ლოთ, — ასეთ მოყვასს ვეძახით ჩვენს
ხელთამპყრობელს, ხელის გამართ-
ველს, ხოლო მის მიერ გაწეულ დახ-
მარებისათვის გვიქვია ხელის გა-
მართვა.

ხელის გამოლება სვ. მეცადინეობა,
ბრძოლა, შეტევა მისივე მტერზე;
მონღომება, საქმის დაწყება ერთგუ-
ლად და თავგამოდებით. „როცა კი-
ცი გაბრაზდება და მოთმინება აღარ
შეძლება, მეტი არა გზა დარჩენია,
რომ ხელი არ გამოიღოს“
(მელანია). „აემო კაცმა რომ ბრძოლა
დავიწყოთ, ხელს არ გამო-
იღებთ?“ (ილ. ჰაგვაძე). „ეკლავ
უთხარ! რაღას უშველის ხელისა
გამოღებანი“ (ტფილელი).

ხელის გამოლება გულისხმობს მის
გამოყვანას უძრავ მდგომარეობიდან,
მის ამოტარებას, მისს მიერ შედგომას
რისამე კეთებად, ქმნად.

ხელის გამოწოდება პრ. ხელის გამოწ-
ვერა ერთის მიერ მეორისაგან. სვ.
დახმარება, მიშველება. ხელის აღ-
პყრობა, გაჭირებისაგან ხსნა. „მაგ-
რამ ვერ ვნახე ამ ქვეყნად ეს ჩემი
შემქმელ-შემსმელი, რომ ერთხელ
გაჭირების დროს გამომიწოდოს
ბე ხელი“ (შ. მღვიმელი).

ხელის განძრევა იხ. ხელის გაქ-
ნევა.

ხელის ვახვრა პრ. ხელის გაქუჭყინე-
ბა. სვ. ბინძური, უწმინდური საქმეში
გარევა და თავის შერცხვენა.

უმეტესად იხმარება ჩხუბის დროს.
როცა ორი დავობს რაზედმე და ერთს
მეორეზე მეტადა და უბირატესად მია-
ჩნია თავისი თავი და ღირსად არა
თვლის მეორეს ხელი დაარტყას, ეტყ-
ვის: შენზე ხელის ვახვრა მეთა-
ვლებიაო!..

ხელისგაუძრეველობა პრ. ხელის უმოძ-



რობა, გაჩერება უქმად, სჯვ. უსაქ-
მურობა, სიზარმაცე, არაფრის კე-
თება. „აი, მეტამეტე წელიწადი მი-
დის და ამ მხრით საქმის წინწაწე-
ვისათვის არავის არც ხელი
გაუხდრევი“, არც ერთი ბიჯიც
გადაუდგამს“ (ილ. ჭავჭავაძე). იხ.
გულზე ხელის დაკრეფი.
ჩხირს არ გადააბრუნებს.

ხელის გაქნევა პრ. ხელის მოსარობა
სხვადასხვა მიმართულებით. სჯვ. საქ-
მის კეთება, საქმიანობა, მეტადინეო-
ბა. „დღიური მუშა იყო (ხალციკო), ერთს
დღეს თუ ხელს არ გაიქნევდა,
მისი ცოლშვილი მშვიერი უნდა დარჩე-
ნილიყო“ (ილ. ვფლოვილი). „მინც არა-
ფერს ვაკეთებ, წავაღ, ხელს გა-
ვანძრევო, უთხრა მღვდელ ლე-
ლუაშვილმა“ (თ. რაზიკაშვილი).

ხელის გაშვება პრ. ხელის წინ გამო-
წევა. სჯვ. მოწყალების თხოვნა; რი-
სამე ჩვენება, ყურადღების მიქცევი-
ნება. „აქაო და „აბალმოსულმა“
კირვალბიებები, მტრკვილაძეები და
მასთან ერთად მათი მსგავსი ას-
ერთი კაცი ნულგოდ ჩისტუალაო,
ჩემზე ხელს უშვერს, ჩემზედ აქე-
ზებს რილციისათვის საქართველოს
ხალხს“ (ილ. ჭავჭავაძე).

ხელის გაძვრა პრ. ხელის გამოყვანა
უძრავ მდგომარეობისაგან. სჯვ. რი-
სამე კეთება, მოქმედება, საქმიანობა,
ცდა. „პური რომ გვაკლია — თავში
ქება ვინლით და ვმოვობთ, ღვინო
როცა გვაკლია — ვირჯებით, ტანთ
გვაკლია, ფეხთ გვაკლია — იქით ვე-
ცემით, აქეთ ვეცემით, რომ როგორმე
ვიშოვოთ, და როცა შვილის გასახრ-
დელი სახარჯო არა გვაქვს, მუხსაც
არ ავიფრებთ, ხელსაც არ გავ-
ძრავთ“ (ილ. ჭავჭავაძე). „უთხარი:
ხელი გასძვრა, ვბა ბრუნდი
გაიფონეო“ (ი. დავითაშვილი).

ხელის გაწვდენა პრ. ხელის წინ გაშ-
ვება. სჯვ. ცდა რისამე საშოვნელად,
რისამე დასაჭერად, რისამე მოსაპო-
ვებლად, ვისამე საშველად, დასახ-
მარებლად. „ყველგან აღიარეს ის
მოძღვრება, რომლის წყალობითაც
ყოველგანე საკუთრება მიწისა უცი-
ლობელი და ხელმეუხებელია, ესე
იგი, ვერაფერი და ვერა-გვარი საზო-
გადო გაჭირვება ხელს ვერ გა-
იწვდენს კერძო საკუთრებაზეო“
(ილ. ჭავჭავაძე). „იგი მოკავშირე (ბი-

ხანტია) სახელმწიფო მფარველი დღე-
საც ძმურად გვიწვდის ხელს
დღე-დღეზე მოველით მათს ელჩს“
(ვ. ბარნოვი).

ხელის გაწვდენა იხ. ხელის გაწე-
დენა.

ხელის გახსნა პრ. ერთად შეკრულის
ხელისათვის საკვრელების მოშორება,
განთავისუფლება. სჯვ. თავისუფლად,
თავის ნებაზედ მოქმედების მინიქება.
„მე სუ კარგი, ტატე, მიგრამ ახ-
ლა ის საქმე კი არა ჰქნათ, რო ფი-
დლუათანა ქაცები გაიმაგროთ და
სხვებს კი ხელი გაუხსნათ, —
უთხრა მამასახლისმა, რომელსაც
ტატეს ლაპარაკით კუდი მოეწეა და
ხმას მოუტკბილა“ (ს. მგალობლიშვილი).
„დღეს აქომამდე იფიქრებდა განა
ვინმე, რომ ავსტრიას და იტალიას
იგი (გერმანია) ხელს გაუხსნიდა
ცალკე მოქმედებისათვის, როგორც
ამის დღესა ვხედავთ?“ (ილ. ჭავჭავ-
აძე). „ბატონ-ყმობის გადავარდნისას
ჯორ-ზაქარად უფრო ღონივრად ამო-
ისუნთქა, ხელეები გაეხსნა, თა-
ვისი სახლის ქერიც გააცინა ცოლ-
შვილის მიყვანიითა“ (ს. მგალობლი-
შვილი).

ხელის გულზე გაგორება იხ. ხელის
გულზე ტარება.

ხელის გულზედ დასმა იხ. ხელის
გულზედ ტარება.

ხელის გულზე ტარება (ერსიმე) პრ.
ხელის გულზე დასმა ვისიმე და ისე
წყევან-წამოყვანა. სჯვ. ფერება,
აღერსი, ლოლიაგება, განებივრება,
უზომო სიყვარული, ცდა გულის
მოგებისა, სიყვარულის დამსახურე-
ბისა. „როცა იტალია ბისმარკის მო-
საწონად იქცევა, მაშინ ბისმარკი
რომის პაპს ზურგს შეაქცევს, და
როცა თავს არ აწონებს, ბისმარკი
ზურგს იტალიას შეაქცევს და რომის
პაპს ხელის გულზედ გაუგორ-
დებდა ხოლმე“ (ილ. ჭავჭავაძე). „თუ
ქონებას იტყვი და ეს მარჯვნივ თუ
ცოცხალია, ალალ ლუქმას ყოველ-
თვის გაქმევს... ხელის გულზე და-
გისვამს და სულ ისე გაატარებს“
(ავგუს. ცაგარელი).

როცა რამე მოგეწონს და ხელში
ჩაგვეტევა, ხელში ვათამაშებთ ხოლმე,
იქით-აქეთ ვაგორავებთ.

ხელის გულის ქავილი პრ. ხელის გუ-



ლის მოფხანის სურვილი. სტვ. რისიმე (ჟუჟრო ფულის) შეძენის მოლოდინი.

ჩვენის ხალხის ცრუმორწმუნეობის ძალით, თუ კაცს ხელის გულის ქაფილი აქვს, ან მიიღებს და ან კიდევ გასცემს ფულს: მარცხენათი—მიიღებს და ხოლო მარჯვენათი — გასცემს.

ხელის გულვიით გადაშლა პრდ. ხელის გულის მსგავსად დანახვა. სტვ. აშვარად, მვაფიოდ, ყველასათვის დასანახავად, ადილიად დასანახავად, ცხადიად. „ჩვენის „სწავლული“, „განათლებული“, დარვინის თეორიას ზედმიწევნით გაცოდინებებს, ჰეგელის ესტეტიკას, ლესინგისა და ტენის ფილოსოფიას ხელოვნებისათვის ხელის გულსაგვიდა“ (ილ. ჰავევაძე). „ჩემი სოფელი პირდაპირ მოჩანდა; ჩემს ქოხს, როგორც სხევისას, როგორც ხელის გულზე ნაღებს კვერცხს, ისე დაინახავდი“ (ფაფა-ფაფა). „აბა ხომ დაველილი მაქვს იქაურობა, მთელი ჰარ-ბელაქანი ხელის გულივით ვიცი და საღ მიხვალ, რომ ნივრის ფასად არ იყიდო ყველაფერი საქონელი!“ (მელანია). „შევდევით ქარის ამოსაღებად მთის მაღალ წვერზედ, საიდანაც ხელის გულივით მოსჩანს ალაზნის თვალგადაუწვდენელი მინდორი“ (დ. მანხანელი).

ხელის გულის მოშოვნა პრდ. ხელის გულზე ცხიმოვანის მოსმა. სტვ. ქოთამის მიცემა, მოსყიდვა. „ჯერ განაჩენი შეადგენინა (მამასახლისმა) სოფელს დუქების დაკეტისა, მოწმიობას აღარ აძლევდა „გილდის“ აღებისას და, როცა ხელის გული მოუშოხეს, მაშინ მოწმიობაც მისცა და „ფეხატიც დაუქრა“ (ფაფა-ფაფა).

ხელის დაბანინება პრდ. ვისთვისმე ხელისაგან წყლით უსუფთაობის, გარეშე ნივთიერების მოშორება. სტვ. საკუთრებაზე ხელის აღებინება, გამოწირვა, წართმევა, უარაფროდ დატოვება. „ამ სახით, ჭორაობის ხეობასა და მტკვრის სათავეებში სულ მთლად ხელს აბანინებებს სომხებსა“ (ილ. ჰავევაძე). „მისამარას, ნებაყოფლობით აიღე მაგ მამულზე ხელიო, თორემ საჩივრამდე თუ მიიღვა საქმე, მთლად შენს მა-

მულზე გიჩივლებთ და საერთოდ ყველადან ხელს დაგაბანინებთო“ (ნ. ლომოური). „რის კვერცხები უნდა გაჰყო? — შეუტია ანანიამ. იმოდენ ფულზედ ხელი დააბანინა შენმა შევილმა, დანარჩენი საწვრილმანო იქა გაქვს და კვერცხებსაც მისტირი, შე უნამუსოე!“ (მელანია).

ეს თქმა ჰგულისხმობს იმ დროს, როცა აღამიანის საკუთრება განისაზღვრებოდა იმ საგნებით, რომელნიც მას ხელთ ემყო. ხელი რომ ვაბანინებთ ვისმე, იგულისხმება, რომ რაც ხელში უპყრია, ყველაფერს ვაშორებთ, ხელი ცარიელი რჩება, უარაფროდა ეტოვებთ. საინტერესოა, რომ ხელი ერთსა და იმავე დროს ნიშნავს: აღამიანის სხეულის ზედაკიდურს და უფლებას, რისამე პატრონობას. მაგ, ავიღოთ თქმა: რა ხელი გაქვს! აქ ხელი პირდაპირ უფლებასა ნიშნავს. ხელსაყრელი ნიშნავს, რაც ხელში მოთავსდება, რაც დასაპატრონებელია, დასასაკუთრებელი.

ხელის დადება პრდ. ზევიდან დაფარება ხელისა ვინდემე ან რაზედმე. სტვ. საცოლედ დანიშნვა ქალისა; დანაშაულის დაბრალება; წამლობა ავადმყოფისა, მღვდლად კურთხევა, უფლების გადაცემა. „ეს ათასნაირი წამლები არ გაუქეთა (ავადმყოფსა), ეს ათასნაირ ბალახებში არ ჩააწვინა, ეს სოფლები არ მისძრა ეოსიოა კითხვითა და ექიმების ძებნითა, ეს ვის არ დაადებინა ხელი, ვის არ ეხვეწა და ემუდარა ჩოქეთა!..“ (ილ. ჰავევაძე). „დილიდანვე იმართობოდა სმეულობა, დიმობილება, ქალთა სინჯვა, ხელის დადება“ (ე. ბარნოვი). „არა, ისე უნდა მიხერხდეს, რომ ამ ექვსის კაცის ვენახში თქვენ ექვსის გულისათვის არ უსერულდეს თქვენი განზრახვა, თორემ ექვს შემოიტანენ და ხელს დაგადებენ. სხვის ვენახში რომ მოხდეს, ემჯობინება“ (ს. მგალიანი-შვილი) იხ. ხელი.

პირველყოფილი აღამიანისათვის ვინდემე ან რაზედმე ხელის დადება გამოჰხატავდა ვისიმე ან რისამე შეპყრობას, დასაკუთრებას, მითვისებას. განსაკუთრებით, როცა მამრს უნდოდა მღვდლს დაუფლებოდა.

როცა ადამიანის ზნე-ჩვეულებას წმინდა პირუტყვილი გარეგნობა ჩამოეცალა, როცა მამაკაცი, შედარებით უფრო „ადამიანი“ გახდა, თავის ცხოვრების თანამგზავრად თვალწინმოსულ მღვდრს თავზე ხელს დაადებდა ან ქუდს ესროდა და ამით გამოჰმატავდა თავის სურვილს: ქუდნასროლი ან ხელდადებულ ქალის სათავისოდ მიჩნევსა. შემდეგში ხელის დადება გადაიქცა სიმბოლოდ წინდისა, საკუთრებისა.

კიდევ განვლო ხანმა (და დიდმაც!) და ხელისდადება უფრო კულტურული სახე მიიღო: როცა გაჩნდა შაქარი, რომელიც პირველში, რა თქმა უნდა, ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იქნებოდა (ყოველ შემთხვევაში, დიდის რაოდენობით), და ლითონის რისამე ბეჭედი, რომელიც შაქარზე არანაკლებ ძვირფასი უნდა ყოფილიყო, საქმროს საცოლეს უგზავნიდა ერთსა და მეორესაც და ორსავე ხელის დასადები, ე. ი. დასანიშნი დავრქვა. სხვას, თვინიერ ხელისდამებელსა, ახრად არ უნდა მოსვლოდა (და არც მოუფიქრდა) ხელდადებულ ქალის შერთვა და უკეთუ ვინმე განიზრახავდა მოყვასის ამ უფლების შელახვას, დათურგნილი უფლება უნდა აღედგინა ფიზიკურ ღონეს, რაც გამოიხატებოდა ასეთ შემთხვევაში დავის გადაწყვეტის აუცილებელ და, ამასთან, ერთადერთ საშუალებად. მოქიშეთა შორის დავის უფლებას დაამტკიცებდა ის, ვინც უფრო მკლავმაგარი აღმოჩნდებოდა, ვინც ვის მოერეოდა.

მეორე შემთხვევაში ხელისდება გამოხატავდა ამა თუ იმ კაცისათვის რაიმე დანაშაულის დებრალებას, მის გამოყვანას ვისიმე იურიდიულის უფლების დარღვევის ავტორად. ხელისდება გამოხატავდა ვინმემ, როგორც ბრალდებულისათვის, მითითებას, რომელსაც უნდა ეზლო, რომელსაც საზოგადოების წინაშე პასუხი უნდა მოჰკითხვოდა საზოგადოების წევრის ნივთიერი დაზარალებისათვის, ხელდადებული უკვე შეპყრობილად, პატიმრად ითვლებოდა.

ხელის დადებას მესამე ხასიათის მნიშვნელობა შეეხება მეწილის ჰაქიმის მიერ წამლობას და კურნებას ავადმყოფისას, რომლის მოსარჩენად ის მოწვეულია, რომელსაც იმან ხელი უნდა დაადოს — (მოაკიდოს). როცა მეურნალობის საქმე ექიმს ერთხელ-ორჯელ კარგად წაუფა, იტყვიან: მავანს კარგი (ბედნიერი) ხელი აქვსო, ვისაც ის ხელს დაადებს, ულურ მორჩებაო.

დასასრულ, მეოთხე მნიშვნელობით ხელისდება ანუ ხელთდასხმა გულისხმობს, ეკლესიის კანონის თანახმად, დალოცვას, კურთხევას, გულისხმობს — ეპისკოპოსის მიერ ხელის დადებას, ზეგარდმოსულის წმიდის მადლის და ძალა-უფლების გამოვლინებას მღვდლად საკურთხებელ ერის კაცზე.

ხელის დაფარება ჰრდ. ქურქელზე სახურავის მაგიერ ხელის დაფარება შიგ მოთავსებულია და რისამე ქვეშ ყოფს საგნის დასაცავად. სჯვ. დაფარვა, დამალვა ბოროტებისა, გაუქმლანებლობა, გამოქომაავება, შევლა, ხსნა. „შეუნდობარი ხელის დაფარება იქნება, თუ მართალს დამნაშავეებს დონე მიეცემათ სასამართლოს ხელიდან გაუქმრენო“ (ილ. ჭავჭავაძე).

ხელის დაქნევა ჰრდ. ხელის ამობრავება და მქნევის მიმართულებით. სჯვ. თავისკენ მოწოდება ვისიმე, მოწვევა, დაბატიება. „შეგხედ და შემომხედა (საცვარელმა) ტურფად დამიქნია ხელი...“ (ს. მაგლობლი-შვილი). „მადლიდგან გადმომდგარიყო თვალქუეუნ, თეთრი ქალიო, თვალს მიქნევდა, ხელს არაო, შინ არის ჩემი ქმარიო“ (ხალხური ლექსი). „სხვაგან თუ არაფერზე იყო ხოლმე გარსევანი ცოტახნობით და ხელის დაქნევას ელოდებოდა, №-ის ნაწილში გული ბუდეს დაიდვა, კარგა ხანს უდგნო, დვრიტა მოიკიდა, ფეხი მოიბოძიქა“ (გვ. მენთეშაშვილი).

ადამიანი ბგერითი ენის არსებობის პრობლემა იყენებდა და დღესაც იყენებს სხვადასხვა დამხმარე საშუალებებს თავისი სურვილების გამოსახატავად. კერძოდ, ადამიანი ხელე-



ბის ნაირ-ნაირის ქნევით გამოჰხატავს თავისს აზრს, თავისს სურვილს, ხელებს მიაშველებს ხოლმე მეტყველების ორგანოს. მაგ. როცა უნდა უთხრას მეორეს, მისგან მოშორებულს, მომიახლოვდით, მარჯვენა ხელს (ან ორივე ხელს, თუ საშარბოებაა რამე და საჩქარო), წინ ვაიშვერს, ერთმანეთს მიღებულ თითებს მოხრის და თავისკენ დაიქნევს. ან როცა უნდა უთხრას მეორეს — აქედან მოშორდით, ხელს წინისაკენ გაიშვერს და ერთმანეთს მიჯრილ თითებს რამდენჯერმე წინისაკენ გაშლის; ან კიდევ როცა უარის თქმა სწადია მოსაუბრისათვის, თითებზექრულ ხელს პორიბონტალურად დაიქნევს რამდენჯერმე. ვთქვათ, რამე საიდუმლო გავანდევით თანამოსაუბრეს და გვიღდა, შეინახოს, არავის გაუზიაროს, მაშინ ტუჩზე ხელს მივიფარებთ და ამით ვაგრძობინებთ: პირი არ დაატოკო, დაცული, მოკუმული იქონიე, იქიდან ბგერა რამ არ გამოუშვა გართათო.

ხელებითა ვთხოვთ (ხელების გაშვერა), ხელებით ვპირდებით რასმე, ვენუჭრებით, ხელებით გამოვხატავთ შიშს, საზარლობას, ხელებით აღვნიშნავთ სიხარულს, გაკვირებას, ნივგელს, ექვს, სინანულს, ხელებით (თათებით) ვაჩვენებთ ერთიმეორეს რიცხვს რომელისამე საგნისას და სხვ. და სხვ.

ხელის დაწვა ჰრდ. ცეცხლისათვის ხელის მიკარების გამო მწვავე ტკივილის განცდა, ზგვ. ზარალი, გულის დაკლება, სადარდებელი საქმის შეხვედრა. „მგ ქალი კაი მწითვიანსა ჰგავს: ვინც მავას წაიყვანს, ხელს არ დაიწვამს“ (ან. ერისთავ-ხოშტარია).

ძველად შეძენა რისამე, ამა თუ იმ საგნის დაპატრონება ხდებოდა ხელის მოვლებით, ხელის საშუალებით შეპყრობით. მეორე მხრით, როცა ვისმე რასმე აძლევდა ვინმე, ეს მიცემა ხელისავე საშუალებითა ხდებოდა. ხოლო როცა ჩვენს ხელში ჩვენდა უნებურად ჩვენთვის არასასურველი ნივთი მოექცევა, რა თქმა უნდა, გვეწყინება, დავგადარდიანებს. ამ გრძობას განვიცდით ხელის მეშვეობით, რომელშიაც გაივლის ჩვენი დაპატრონებული საგა-

ნი. და ეს გრძობა წუხილისა, დარდისა, ხატოვანად დადარებულია დაწვას, რომელსაც განვიცდით ცეცხლისათვის ხელის მიკარების დროს.

ხელის დაჭერა ჰრდ. ხელის გაჩერება, მოძრაობის შეწყვეტინება. ზგვ. დაბრკოლება, წინააღმდეგობა. „ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, თუ აგრეა, მე-კი გამისტუმრე და შერე შენ იცი. — სადაც ვინდა, წაბრძინდი, ხელს ვინ გიჭერს (ილ. ჰაგვაძემ). „მაგრამ თვითონ ღმერთი ხომ ხელს არ დაუჭერს კაცსა და არ ეტყვის: — ეს შეირთიო“ (ლ. არდახიანი).

ხელის კვრა ჰრდ. ხელის დარტყმა. ზგვ. თავიდან მოშორება, სიკეთის ქმნაზე უარის თქმა. „თუ უწინდელი უხვი დრო იყო, ჩვენც ხომ აღარ დავზოგავდით ლუკმას. მაგრამ ახლა სხვა დრო დაგვიდგა. გირჩევნია, თავს დაუფიქრდე: ბედი კარს მოგდგომია, ხელს ნუღარა ჰკრავ“ (ვ. ბარნოვი). „მაგრამ ხელი ჰკრავს მათისაგან გამოგზავნილებსა, პირი იბრუნა მდღიდურად, სიცოლიც კი დაყარა ზოგიერთ საწყალს“ (ვ. ბარნოვი).

ადამიანს როცა უნდოდა მეორე თვისი მსგავსი თავიდან მოეშორებინა, პირდაპირ ჰკრავდა ხელს და ამით გამოჰხატავდა: მოშორდი, თავიდან მომწყდი, ვერა ჰხედავ, არ მინდებხარო!..

ხელის მიკარება ჰრდ. ხელის ხლება. ზგვ. ოდნავ გაკეთება, ცდა გაკეთებისა. „ბრც ერთს უცხო ქვეყნის მეცნიერს, რომელსაც ჩვენს თვალში სახელი და აბრუ აქვს, მისთვის (ჩვენის მწერლობისათვის) ჯერ ხელიც არ მიუკარებია“ (ილ. ჰაგვაძემ).

ხელის მიღება ჰრდ. ხელის განძრევა, ხელის მომართვა ვისკენმე ან რისკენმე. ზგვ. დაშავება, მოკვლის მონდომება, სასიკვდილოდ გამეტება. „თუ დედამ დააშავა რამე, ის ქორეფები ხომ ისევ ანგელოზებია — ვერ მივიღე ხელი, დედას შეილების გულსათვის სიცოცხლე ვაჩუქე“ (თ. რაზიკაშვილი).

ხელის მიცემა ჰრდ. ერთის ხელის ჩადება მეორისაში. ზგვ. დახმარება,



თანხმობა, შეგელა. „ამ ბოლო ხანებში ბისმარკს სულ ერთი საზარელი ლანდი ელანდებოა: ინგლისმა, საფრანგეთმა და რუსეთმა ერთმანეთს ხელი არ მიჰსცენოა“. (ილ. ჰაგვაძე). „მტრები ხელს მისცემდნენ ერთმანეთს სპარსეთის სანადგურებლად“ (ვ. ბარნოვი).

როცა კაცი დაცემულია, მეორე კაცი (დაუცემელი) ხელს გაუშვებს, ხელს მისცემს და წამოაყენებს ზეზე. ან როცა რაზენდმე ორი კაცი პირს შეჰკრავენ, პირობას დასდებენ, მეორე პირველს ეტყვის: მოიტა ხელიო, და პირველიც, თანხმობის ნიშნად ხელს აძლევს.

ხელის მიწვდომა პრ. ხელის შეხება, ხელის მიტანება. ზგვ. შეძლება, უხარო რისამე ვაკეთებისა, მოხერხება რისამე ან ვისამე დაუფლებისა, მისთან დატოლება. „ჩენი მისამდე (სოლომონ ბრძენამდე) არც ხელი მიგვიწვდება და არც სტრვილი“ (ილ. ჰაგვაძე). „თუ ღმერთი გწამდეთ, ტყუილად ნუ მეტოლებით, თქვენ ჩემთან ხელი არ მოგიწვდებათო“ (ან. ერისთავ-ხუმბარია).

ხელის მიწვდენა ჰგულისხმობს — ვისამე ან რისამე ახლოს ყოფნას, მის დაუფლებას, მისთან დატოლებას ყოველგვარ დადებითს ღირსებით, შეძლებით, ქონებით, მისთვის თავის გაყადრებას, თავის აღიარებას მის ტოლად და დარად.

ხელის მიუწვდენლობა კი გამოპხატავს, წინაუკმო ვითარებას იმისას, ვინედაც სჯა-ბაასია, ვინც ლაპარაკის საგნად გამხდარა.

ხელის მოთბობა პრ. ცივი ხელისათვის ცოტათი სითბოს მიცემა. ზგვ. მცირე რამ სარგებლობის ნახვა, გამოჩენა ქურდულად, უკანონოდ. „ექვეტენ (თათრები) იმისთანა გავლენიან კაცს, რომლისაგან მოგლიან შეგლას, თუ ვინიცობა დანაშაულში რაშიმე ფათერაკმა გააბა ან საკუთარმა სიხარბემ წაიტყუა სხვის საკუთრებაზე ხელის მოსათბობლად“ (ილ. ჰაგვაძე).

იგულისხმება, რომ როცა ხელი ცარიელია, ე. ი. ხელს არაფერი ეკარება, ხელის პატრონს არაფერი აქვს, ეს ხელი ვარილია, განსაკუთრებულ სითბოს არ ვანიცდის, ხოლო როცა იმავე კაცს ხელში რამე მოხვდება და რასმე და-

ეპატრონება არასწორი გზით, ვამბობთ ხოლმე — მაენამა ამა და ამ საქმეში ხელი მოითხოვო.

ხელის მოკიდება პრ. შეხება, ხელის ხლება. ზგვ. დაწყება, შედგომა საქმისა. „ეხლანდელს დროში დედაკაცები ისე-რიგად აღარ ეწყობიან წიგნის კითხვას და მამაკაცებს-კი ჯერ გულდადებით არ მოუჭიდნიან იმ ამა საქმისათვის ხელი“ (ილ. ჰაგვაძე).

ხელის მომართვა პრ. ხელის გასწორება. ზგვ. ხელის შეშველება, საშუალების შოვნა, გამოსავლი გზის პოვნა, შეგება, გაჭირებიდან ხსნა. „მამასახლისმა აიღო ხელში ღვინით სავსე ქიქა და სთქვა:

— ჰე, ეს ვიღასი დავლით? ესეც ღმრთმა აღდგარძელოს ის კაცი, რომელმა კაცმაკაცს ხელი მოუშაროთოს!“ (ელანია). „მედნიერება კარზე მოვდგომია, ღმერთი ხელს გიშარათავს, და შენის უგონობით წიხლსა სცემ, ღვთის მოწყალებას უკადრისობ“ (რ. ფავლენიშვილი). „შეიღს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიხნია კეთილად და რა კეთილი — აივად, რა უშარათავდა ხელს, რა აბრკოლებდა“ (ილ. ჰაგვაძე). „ხევესური არ არის ხელუძრავი, როგორც ზოგსა ჰგონიათ, თუკი გარემოება ხელს უშარათავს, რაიმე საშუალება აქვს, ხევესური ჯანსა და ღონეს არ დაზოგავს საზრდოსა და ქონების მოსაპოვებლად“ (ფაქ-ფაშველა).

ხელის მონაცვლება პრ. სხვის ხელის მაგიერობა. ზგვ. სხვის საესე ხელიდან თავისს ცარიელს ხელში ვადმოტანა რისამე. მგლ. ფული მიქირს საშინლად, ერთი ხელი მომანაცვლებინე და მერე მე ვიცი შენი პატივისცემა!..

ხელის მოყრა ის. ხელის ყრა.

ხელის მოცარვა პრ. ხელის აცდენა. ზგვ. დაბრკოლება, წინ ვადლოდება, უკუღმა წასვლა საქმისა, დაშლა. „საზოგადოდ ქურდობის და ავკაცობის ძირეული და მუდამ ბუდე ეს გაჭირვებაა, რომელიც კაიკაცობას ხელს უცრის და ავკაცობას აბედვინებს“ (ილ. ჰაგვაძე).

ხელის მოწერა პრ. აღნიშვნა თავის



ბელისა. ზღვ. თანხმობა, ყაბულის ნიშანი, ვალდებულების აღება. „კინი-აზო შაქრო, დღეს ერთადა ვჭამოთ სადილი!

— დაიჯერე, შენ დღეს მაგისთანა კარგი არა გითქვამ-რა. სადა?

— ან თქვენსა, ან ჩვენსა. პირობას ვერ მოგცემ.

— ჩვენსა ბელს ვერ მოგვიწერ და თქვენსა კი ძალიან კარგი იქნება“ (მელანია).

ბელის მოქერა ჰრდ. დავიწროება, თითების მიქერა ერთი-მეორეზე. ზღვ. სიძულწე. სხვისათვის არგამეტება რისამე, მიუცემლობა. „თუმცა უკანასკნელმა საზოგადო კრებამ საზოგადოების გამგეობას ნება მისცა ხარჯის ფული, რამდენიც საქმისათვის საჭიროდ დაინახავს, დახარჯოს, მაგრამ გამგეობა ფული მინიცი კიდევ ხელს უქერს და ჰფიქრობს, რომ უდიდესი ნაწილი ფულისა ხელუხლებელ ძირის ფულად დაიდოს“ (ილ. ჰაფი-ვაჟე).

ბელის მოჭრა (ვისთვისმე) ჰრდ. ბელის მოშორება მჭრელი იარაღით სხეულისაგან. ზღვ. დასჯა. „თუ აქ გაიგება რაზე, ბელს მოვიჭრით! აქ რომ აზრის გაგება უნდოდეს კაცს, უნდა თავთავის ალაგას დასვის გადაარგული რითიმის გულისათვის სიტყვები“ (ილ. ჰაფივაჟე). „მითავარი დავით დადიანი თავისის მთავრობის პირველ ხანში მეტად მრისხანედ ეკიდებოდა ქურდებს. ხორციელ სასჯელს აყენებდა, ხელფენში ხუნდებს უყრიდა, სამეგრელოდან სხვაგან ჰყრიდა. და, ბოლოს, ძველი ჩვეულების თანახმად, ერთ ქურდისათვის ბელი მოუჭრევინებია“ (კ. ბორზინი).

ბელის მოჭრა, უხელოდ დარჩენა, სავაკაცო საქმის გაკეთების უნარის მოკლება — სიკვდილს უდრისა. ასე რომ, თქმა — ბელს მოვიჭრიო, თანაბარია ფიზიკურად გამოუსადეგრობისა, უდიდესი სასჯელისა, თვით სიკვდილისა.

თქმა: „ბელი მომჭერ“ იხმარება აგრეთვე როგორც საფიცარი. მაგ. ვს ბელი მომჭერ, თუ ვსტყუოდო! ამ შემთხვევაში, უხელო კაცი წარმოდგენილი იყო, როგორც მოკლებული ყოველ ფიზიკურ შემოქმედებით ძალისა და გავლენას.

ძველად მიმისმკვლელებს სასჯელად ბელსა სჭირდნენ.

ბელის მოხვევა ჰრდ. ბელის შემოვლება გარშემო (რისთვისმე). ზღვ. მისაკუთრება, დაპატრონება, თავისად გამოცხადება. „ნაცარქექიამაც დევების სარჩოსა და სიმდიდრეს, რაც რამ ჰქონდათ, სუ მთლად მოკხვია (ბელი)“ (თ. რახიკაშვილი).

ბელის საბანად არ ეყოფა ჰრდ. ბელზე ქუქუქის მოსაშორებლად არა კმარა. ზღვ. ცოტაა, საკმაო არ არას. „რაც ზღვაში კენჭებია, სუ რო ფულად იქცეს და ხელალებით მაგას მისცენ, მინიც ბელის საბანად არ ეყოფა“ (წ. ახანი).

ამ თქმაში წყლის, როგორც ადამიანისათვის უსუფთაობის მოშორებელ ნივთიერების, თვისება გადართათად მიმისებული აქვს ფულს, როგორც საერთოდ გაჭირებისა და იწროებისაგან ადამიანის მხსნელს.

საერთოდ ადამიანის ბელს, ორგანიზმის სხვა ნაწილებთან შედარებით, წყალი ნაკლები სჭირია დასაბანად. მაგრამ როგორც მცირე რაოდენობის წყალი, სამყოფი არ არის ამ ბელის დასაბანად, ისე ზოგისათვის ბევრი ფულიც ცოტაა, არა მყოფნის, გაჭირებისათვის თავს ვერ დაილწევენებს.

ბელის სიფართე ჰრდ. რასაც ბელი დაჰფარავს, ბელის სიერცისა. ზღვ. სულ მცირე, ერთი კიკნა, კნინი. ზღვ. ძველად ღარიბ გლეხს ბელი სიფართე მიწა არ გაიანდა, რომ სიმინდი მოეყვანა.

ბელის ტანება ჰრდ. ბელის მიცემა თან წასაღებად, იმის გამოსაყენებლად. ზღვ. მოხმარება, შევლა, გაჭირებისათვის თავის დაღწევენება. „მაჟღანა, რაც კი შესაძლო იყო, ხელს ატანდა სიღონისა და შეველოდა ნიშნობის სამზადისში“ (ან. ერისთავ-ზოზარია).

გატანება ბელისა, რომლითაც თითქმის ყველაფერი კეთდებოდა, ნიშნავს ამ ყველაფრის გამკეთებლის და შემძლებელის ორგანოს მიცემას სხვის განკარგულებაში, რათა მისმა წამლებელმა გაიადვილოს, შემოსუბუქოს თავისი საქმიანობა, გაჭირებას თავი აღვილად დაილწოს.

ბელისუფალი ჰრდ. ვინც უფლობს ბელს, ვინც პატრონია. ზღვ. ძლიერი, მმართველი, მპყრობელი, მბრძანებელი,

უფლების მქონებელი, მთავრობა. იხ. ხელი.

ხელი — სინონიმია ძალისა, ღონისა, ძლიერებისა, რისამე მპყრობელობისა, ხოლო ვინც ამ ხელსა ჰვლობს და ჰპატრონობს, ვისაც ასეთი ძლიერი ხელი აქვს, უდრის ძლიერების პატრონს, თვით ძლიერს, სხევებზე ღონიერს, სხვათა ზემდგომს...

ხელის ქონება პრ. ხელის ბმა სხეულზე. ზვ. უფლების ქონება, ძალაუფლება, დაპატრონება, მითვისება, დასაკუთრება, მიმძღავრება, ხელის წავლება, ჩაბლუჯვა. „ამ წყალზე სიარულს დასალევ წყლის ამოსატანად ან ნახირის წყალზედ გარეკას მამულის პატრონი არავის არ უშლის და, მე რომ ძალიან გულითაც მინდოდეს, სხვის მამულში რა ხელი მაქვს ან დაშლისა ან არღაშლისა“ (ილ. ჰეგელიძე). „აფხორს ჩვენთან რა ხელი აქვს?. ვინც დასაჭერნი არიან, ისინი დაიპტრონ?!“ (რ. ერისთავი). „საურთან დედოფლის სახლთუხუცესს და მდივანს ხელი აქვს“ (დასტურლამი).

ხელი — გადატანითად, სურათხატოვანად გვიქვია ძალაუფლებას, ძლიერებას, უფროსობას, ხოლო ხელის ქონება გამოჰხატავს ამ ძალაუფლების პატრონობას, საკუთრებას.

ხელის ყრა პრ. ხელის წინ გაშვება. ზვ. სარგებლობის მიცემა, გამოჩენა, გამოყენება, ხეირის ნახვა. „რა ხელს ჰყრის პატივს ნახი ბულბული, გალიაშა დატყვევებული“ (ნ. ბარათაშვილი).

ხელის შემორუნება მტრისადა პრ. ხელის შემოქნება შემობრუნებით. ზვ. სამაგიეროს მოგება, პასუხის მიცემა, გადახდა. „ხელის შაბრუნვა მტრისადა ქართველს მოუღის ჯიშადა!“ (ვაჟა-ფშაველა).

ხელის შევლა პრ. საცა ხელი შევა. ზვ. საკუთრების დადავება, მითვისება რისამე, პატრონობის უფლების გამოცხადება.

ხელის შევკრა პრ. ხელის ერთად შეერთება რაიმე საკვრელით. ზვ. თავისუფალი მოქმედების წართმევა, გაჭირება, სიღარიბე, უსაშველობა, „მონაესლები ვართ, ხელი შევგვეკრა, ბიძგე. — სთქვა ერთმა ახალგაზრდამ, ახლადუღვამეწყვანებულმა. — მართლა, ერთის მეტს არ

დავიცილია დღეს თოფი“ (ვაჟა-ფშაველა).

ხელის შექცევა იხ. ხელის შემბრუნება.

ხელის შეშება პრ. ხელის მორიდება. ზვ. თავის მინებება, მიტოვება. „ხელის შეშება არ ვარგა, თორემ ბატონობას ბოლო არ მოეღება, ბოლო!“ (ს. მგალობლიშვილი).

ხელის შეშველება პრ. საშველად გაწვედნა ხელისა. ზვ. მოხმარება, შემოწმება. მგლ. ცოტა ხელი შემაშველე, შენი ქირამე, ამ გაჭირებაში!

ხელის შეწყობა პრ. ქვეშიდან ამოღება ხელისა. ზვ. შევლა, მოხმარება, თანაგრძნობა, შეწყენა. „იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ქართველთა ამ ქველურს საქმეში უკან არ დაიხეცს, გულმტკიცეობით და თანაგრძნობით მიგებება და ხელს შეუწყობს“ (ილ. ჰეგელიძე).

ხელის შეხება პრ. ხელით მიკარება მეორე საგნისათვის. ზვ. რისამე დაშავება, წყენა, შეურაცხყოფის მიყენება. „პირველი მაგალითი იყო, რომ ბატონის კაცს სოფელში ხელი შეახეს და როგორ შეახეს?!. სიკვდილის პირზე მიაგდეს ბატონის დაახლოებული კაცი, მისი მარჯვენა ხელი!“ (ს. მგალობლიშვილი). „ნუთუ ეს ამისთანა საქციელი (უმიზნოდ ლაფში ამოსერა ადამიანისა) ხელშეხება არ არის და ყველა ხელშეხებაზე უფრო საზიზღოა, უფრო შემამარწყმებელი და უფრო საშიშარი კაცის ერთმანეთობით ადამიანურ ცხოვრებისათვის“ (ილ. ჰეგელიძე).

ხელის ჩაკიდება პრ. ხელის მოვლება, ხელში დაქერა. ზვ. დაპატრონება, უფლების აღიარება ვინდემე ან რაზნდემე. „რადგანაც კანონის ჩარევა მიწისმფლობელობის საქმეში არ იყო სახირო შემამულისათვის, ამიტომაც კანონს ხელი არ ჩაკიდებინეს მიწათმფლობელობის საქმეში“ (ილ. ჰეგელიძე). „ჩვენ მაინც ამახსნე დავიციწყებო, რომ ვიდრე სარწმუნოებრივი ჩვეულებანი პეტერიზმის მსგავსად შემუშავდებიან, იმათზე ადრე სხვა ჯაჟის ჩვეულება მწიფდება და ჩვენც იმას უნდა ჩაკიდოთ ხელი“ (ვაჟა-ფშაველა).

ხელის ჩაქნევა პრ. ზევიდან ქვევით დაქნევა ხელისა უგულოდ. ზვ. უიმედობა, გულის გატება, უსასიობა.

ბელის ცოდნა პრდ. ცოდნა, თუ როგორ უნდა გააცეთოს ხელით. სჭვ. მოვლა, ვაკეთება. „შენ, ჩემო სატრფოვ, მე ადნაზი ფერი დაგცემს, ცოტა რომ მუჭი იყო, ყინჩი, უფრო დამმევენდები! აბა რას ჰგეგხარ ვაცრეცილი?“. ეგონებთ, გენაცვალე, კარგათ არა ხარ მოვლილი. ეგონებთ, შენი ხელი არ იცის შენმა ბანიკომ, — ეუბნებოდა ქალი ყუავილს“ (გ. ბარნოვი). „გრივოლ: მხახალს ვალავარ! ოოოო! რა საკვირველი სტოლია და! შენისთანა ქვრივების ხელი იცის!.. (რ. ერისთავი).

ხელისა ძღვევა პრდ. ვისმე რომ შენი ხელი ჩაუღდა ხელში. სჭვ. სასარგებლო, გამოსაყენებელი, სახიერიო. „ან რა ხელს მოგცემს თათარი, — თუ არ დაგიფრთხობს ტკბილს ძილსა?“ (რ. ერისთავი).

ხელის წატანება პრდ. ხელის წაშვება. სჭვ. მონღომება რისამე მითვისებისა, დაპატრონებისა, დაჩემებისა, წართმევისა. „ვის არ ახსოვს, რა ყოფი დააწია გერმანიამ ინგლისს ტრანსვაალის რესპუბლიკის გამო, რომელსაც ინგლისმა ხელი წაატანა და ჰლამობდა თავისად გამოყენებას“ (ილ. ჰაგვაძე). „ამ გვარადვე ხელს იწვდის ტაოსკარზე, ეხლანდელ ქოროხის ხეობაზე“ (ილ. ჰაგვაძე).

ხელის წაწვდენა ახ. ხელის წატანება.

ხელის ჭუჭყი პრდ. რაცა სვრის ხელს, რაც ზედ არ უნდა მერჩეს, რაც იდრე თუ გვიან უნდა მოშორდეს. სჭვ. და ირონიულად: ფული. „ფული რა არის?! ხელის ჭუჭყია... ერთი თუმანი რა სათქმელია!.. ჯავრი რომ არ შევარჩინე, — ეს რადა ღირს?..“ (ილ. ჰაგვაძე). „ხელის ჭუჭყია ფული. — მიღის, მოღის, გაზგზა კარგ ცხოვრებასა სთვავს. მხო უნდა გქონდეს თანხის მოგებისა, ნისი ხარჯვისა“ (გ. ბარნოვი). „ზალი, ამ მუხანგალმა ბევრი საქმეები შემომიკეთა და იმედა, ხელის ჭუჭყივც ბევრი იქნება“ (ილ. ჩერქიშივილი).

ფული როგორც ზადის კაცის ჯიბეში, ორის იმდენისავე სიჩქარით ამოღის ამ ჯიბიდან, სოგ ხანგრძლივად არა ჩერდება, ხელსა შორდება ისევე, როგორც ჭუჭყი რამ და ამიტომაც დაციხვით დაერქვა ხელის

ჭუჭყი, — ერთსა და იმავე დროს ძვირფასი, სანატრელი და იმავე დროს — საიუღველი, ჭუჭყი, სხეულისაგან მოსაწორებელი.

ხელის ხელმა პრდ. ხელით ვაკეთება. სჭვ. ვანოყენება, ვამორჩობა, რგება. „თვით მაგისებრსა შეილსამცა ჩვენ ხელსა რასა ვანდვდითა! (შ. რუსთაველი). „არ იხმარებ, რას ხელსა ჰხდი საუნჯესა დაფარულსა?“ (შ. რუსთაველი). „რათგან ესე ერთიცა არა მამუს, რასაცა რას ხელსა ვჰხდი, ახუ თვით სიცოცხელსა ტირილიმცა რად მეკერვებოდა?“ (ვისრანიანი). „უძვიოდ სოფელს რა ხელს ვჰხდი, სიკვდილი მომსურვებია“ (ნ. ციციშვილი).

ხელის-ხელ საგოგმანებელი პრდ. ხელში სათამაშო, ხელიდან ხელში ვადარსასვლელო, საფერებელი, სააღერსო, მშენებელი, სრული, ფვირფასი, იშვიათი, საუცხოვო. „დასასრულ, ერთი სსსაილო ამბავიც მინდა მოვახსენოთ; ამბავი, რომელიც სწორედ ხელისხელ საგოგმანებელია“ (ილ. ჰაგვაძე). „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ხათარგმანეში, ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები, ვთავე და ლექსად გარდაეთქვი, საქმე გემენ საქოქმანები“ (შ. რუსთაველი).

ხელი უკან უნდა გვქონდეს პრდ. ხელი უკან უნდა გვეტიროს. სჭვ. შენახული უნდა გვექონდეს რამე, დაზოგვილი. ისე უნდა მოვაწყოთ ჩვენი საქმე, რომ ხელიდან ყველაფერი არ უნდა გაფუშვავთ, უკანაც რამე უნდა გვარჩებოდეს ხელმოსაკიდებელი.

ხელი ურევია პრდ. ხელი შეერთებულაი რასთანმე, სხვა რამეებთან (ვისიმე) ხელიც არის. სჭვ. რამე საქმის ვაკეთება, რაშიმე მონაწილეობის ნიღება, რაშიმე წილის დადება, რამე გაუქეთებია. „საცა კი სიკეთეა ამ უბანში, იმისი (მღვდლის) მაღლიანი ხელიც იქ ურევია. დაილოცა ლეთის სამართალი, რომ მე და შენისთანა თავმინებებულ კაცს მაგისთანა პატრონს გაუჩენს ხოლმე“ (ილ. ჰაგვაძე).

ხელი ფაფასა! პრდ. ხელი არ ახლო ფაფას! ხელი უშვი ფაფას! სჭვ. ჩემი არ წამართვა, ჩემსას არაფერს მოგცემ, სცა შენი საქმე არ არის, ნუ გაერევი.

14. თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. III.

თანხმად ერთს ხალხური ზღაპრისა, ყოფილა ორი ძმა, ერთი ჭკუიანი და მეორე — უჭკუო. ჭკუიანი ძმა ფულს უყრიდა თავს და უჭკუო-კი — ხორბალს. მოხდა ისე, რომ ჭკუიანმა ფული რაღაც წასაგებ საქმეში დააბანდა, — საქმე წააგო და გაღარიბდა. მივიდა თავის უჭკუო ძმასთან, ენახნა, რასა შერებოდა. იმას კი ხორბალი დაეფუძვე-ვინებინა, ფაფა მოეხარმნა და შეეკ-ცეოდა. უფროსი ძმა დამწეული, ფა-ფას წაეტახა შესაქმელად. მაშინ უმც-როსმა, გაჯავრებულმა, ასე უთხრა: ხე-ლი ფაფასაო! ე. ი. შენ ჭკუიანის სა-ხელი გქონდა, ფულს უყრიდი თავსა და ახლა მიირთვი შენი ფულიო, მე-კი, უჭკუოს, ჩემი ფაფა მქონდესო! მორა-ლი ზღაპრისა ის არის, რომ სჯობია კაცი პურით იყოს მიდიარო, ვიდრე ფულითაო. ეს თქმა დღეს იხმარება სხვის საკუთრების მოყვარულ ადამიან-ზედ.

ხელი შეაწია პრ. ხელი მიაშველა. სჭვ. დაეხმარა, უშველა. „მისცა ათი თუ-მანი ფული, სხვითაც ყველაფრით ხე-ლი შეაწია, დრო აღარ დაახანა და ჯვრის წერაც მალე მოხდა“ (თ. რაზიკაშვილი).

ხელი შევრჩა! პრ. ხელი არ მოშორ-დეს შენს სხეულს. სჭვ. ლოცვა: დიდ-ხანს იცოცხლე! (ეტყვიან იმას, ვინც სცემს ისეთს, რომელიც ღირსია ცემისა).

ხელიც იმისკენა და პირიცა პრ. იმის-კენ იყოს მიმართული ჩემი ხელები-ცა და პირიცა. სჭვ. ის ჩამიქვავე-ბია და არა თქვენ, იმასეე მოხვდეს ჩემი წყევლა. „უსამართლობა რო არ გადახდეს კაცსა, არ იქნება და არა... — ამბობდნენ სერელები ჯვარ-ის-მამაზე. — არა, რა გინდა შე-ოხერი და ტიელო, — ხელიც იმისკენა და პირიცა, — რა გინდა, შეილოსან, რათა გშურს ერთი ლუკმა პური სხვისთვისა“ (ს. მგალობლიშვილი).

როცა ორი ან რამდენიმე პირი ერთად დგას და ერთ-ერთი მათგანი სხვას, იქ არდამსწრეს, ავად იხსენიებს, სწყევლის, ხელები და პირი მიქცეული აქვს გონებაში წარმოსადგენ პიროვნე-ბისაკენ და თანაც ამ ზემოხსენებულ სიტყვებს, როგორც ჩართულ წინა-დადებებს, დაატანს, ამით დამსწრეთა წინაშე ერთგვარ ბოდიშს იხდის: გე-

თაყვით, ჩემ მიერ დახარჯული უხამსი ქართული თქვენად არ მიიღოთ, თქვენ პატივით ბრძანდებოდეთო.

პირიდან გამოძავალი სიტყვების მნიშვნელობა გარკვეულია ყველასათ-ვის, ხოლო ორისავე ხელისგულის განზე გაშვება ჰგულისხმობს: ამ ხელლები ჩა-მიქვაეებიხარ, შენთვის სხეებთან ერ-თად დამიკრეფია ქვეები შენის საჯა-როდ ჩაქოლვის დროსაო. იხ. საქო-ლა ვი.

ამავე ზრდილობიან სიტყვა-პასუხის ფორმულის ექვევალენტია: უკაცრაული პასუხია, ქვეს ვეუბნებო.

ხელი ძირზე მოუხვა პრ. ჭურჭლის (რითიმე საეხეს) რისამე ბსკერს ხე-ლი მიველ-მოავლო. სჭვ. დააცარი-ელა, ბსკერამდე არაფერი ჩასტოვა (ჭურჭელში). „იმ ხანებში მოიყვანე (ცოლი), რომ იყო ყველიერია, ერ-თი ქილა ერბო მქონდა, — ყვითელი კომშის ფერია, სამ დღეზე ისე შე-ქამა, ძირზე მოუხვა ხელია!“ (დ. ხიხინაშვილი).

ხელი ხალთასი პრ. ხელი არ ახლო ხალთას! სჭვ. არაფერი წამართვა, არა-ფერი მომტაცო. იხ. ხელი ფაფას! ეს დამუქრებითი ფორმაა ლაპა-რაქისა. იხმარება, როცა ვინმე ვისმე რისამე წართმევს მოუხლომებს. თვით ხალთა — დურა ტყავის ჩანთაა, რომელშიაც უმეტეს წილად სანოვაგეს რასმე (პურს, ყველს და მ. შსგ.) სდებენ.

ხელი ხელთ არა მაქვს პრ. ხელი ხელში არ მიჭირავს. სჭვ. სრულებით არა მცალიან, ძალზე გართული ვარ საქმითა რითამე. „ხელი ხელთ არა მაქვს, შენვე შეუეთე“ (ფიჩხი) (შ. არავისპირევი).

საგნისა რისამე პატრონი, პირველ-ყოფილ ადამიანის წარმოდგენით, ადა-მიანი მაშინ-დაა, როცა ეს საგანი თავის ხელში უჭერია, შიგა აქვს ჩაბლუ-ჯული. ხოლო შემოთქმული გვიჩვენებს იმას, რომ ჩვენი ხელი ხელში არ გვი-ჭირავს, ესე იგი, ჩვენ არ გვეკუთვნის, ამ ხელის პატრონი არა ვართ, რაც ჩვენ გვინდა, იმას ვერ ვაკეთებინებთ ანუ მოუცლელია რისამე საკეთებლად.

ხელი ხელს იხ. ხელი ხელს დაჰკრა.

ხელი ხელს დაჰკრა პრ. ერთმა მე-ორის ხელზე თავისი ხელი დაჰკრა. სჭვ. თანხმობა, რაიმე პირობის და-



დღმა. „ამხ ხელი დაჰქარ! დაჰქარ ეს ხელი ხელზე და საწყალ ლუარსაბს ძალად გადასწყერს ჯვარი იმ ღამესა“ (ილ. ჰაგვაიაძე). „ამხ ხელი ხელს, რაღა! — წამოიძახა „სომეხმა კაცმა“ და ხელი გაუწოდა, რომელიც ქიტუამ ჩამოართვა“ (შ. არაგვის-პირელი).

როცა ორი კაცი ერთიმეორეს რაზმდემ პირობას აძლევს და ერთიმეორეს თავის თანხმობას უცხადებს, ერთი ეტყვის მეორეს: აბა, მოიტა, ხელი დაჭარიო (იგულისხმება: შენი ხელი ჩემს ხელსაო). მაშინ მეორე თავის ხელს პირველის ხელს დაჰკრავს და შიგ ჩაუდებს. ამ ხელების საშუალებით, შეერთებით ორნივე გამოჰხატავენ თავიანთ თანხმობას და ერთმანეთში დადებულ პირობის ასრულების სურვილს. მესამე კაცი ამ ორის თანხმობით და თხოვნით ამ ორის შეერთებულ ხელს ბრტყლად და პერპენდიკულარულად მარჯვენა ხელს დაჰკრავს და გახსნის. ეს კიდევ ნიშანი იქნება იმისა, რომ ეს მესამე მოწმეა მათს მიერ დადებული პირობის სიმტკიცისა. ხელი-ხელს მიცემა ახ. ხელი ხელს დაჰქრა.

ხელი-ხელს ჩაკიდებული პრ. ერთს მეორისათვის ეყიდოს ხელი ხელზე. ზვ. თანხმობით იყვნენ ორნი, ერთად აკეთებდნენ რასმე. „ამისთანა საქმეში სათნოება მადლისა და დიდება სახელისა ხელი-ხელ ჩართული იქნება და-ძმურად“ (ილ. ჰაგვაიაძე).

ხელი-ხელ ჩართული იხ. ხელი-ხელს ჩაკიდებული.

ხელმართალი პრ. მართალი ხელის პატრონი. ზვ. პატიოსანი, არაქურდი. „ესეც იმისავით გულმოდგინება, დაუზარებელი, ხელმართალი, მაგრამ ძნელად თუ სადმე წარბს გაიხსნის და საქმეს შესცინებსო“ (ილ. ჰაგვაიაძე).

ხელმოკლე არ. ვისაც გრძელი ხელები არა აქვს. ზვ. ღარიბი, უჭონელი, ავტორიტული, უსახსრო, უპოვარი. „აქ რიცხვს იმდენად მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც თვით ღირსებას, ე. ი. ლიტერატურის შინაარსსაო, და ამ მხრით მეტად ხელმოკლეა ჩვენი ლიტერატურა“ (ილ. ჰაგვაიაძე).

ამ სიტყვის, როგორც ღარიბის აღმნიშვნელის, წარმოშობის დროს ნაგულისხმევია ადამიანის სხეულის ერთ-ერთი კიდური — ხელი, რომელიც გრძელი არ არის, მოკლეა, რომელსაც არ ეადვილება მიწვევა რაიმე მორეულ სივთის შესაძენად, დაპატრონება. მაშასადამე, ასეთი ხელის პატრონი, უმეტეს შემთხვევაში, რჩება უნივთოდ, უქონებოდ. ხელმოკლეს საწინააღმდეგო სიტყვაა — ხელგრძელი, ე. ი. ისეთი კაცი, რომელსაც ფიზიკური უპირატესობა აქვს ხელმოკლეზე, რომელსაც ყველაფრისათვის მიუწვევა თავისი გრძელი ხელები, იძენს შესაძენს, ეპატრონება მის გარშემო მდებარე საგანს, მდიდარია, შეძლებულია, ქონებიაინა.

ხელმოკლეობა პრ. მოკლე ხელის ქონება. ზვ. სიღარიბე, უქონლობა, საცესებისადმი მიუწვედომლობა. „ამით იმისი თქმა არ გვიხდა, რომ ან ერთს, ან მეორეს ნაკო რამ კაცმა ვერ მოუწერიოვს, ნაგრამ ამ მხრით ხელმოკლეობას ნიჭისა-კი ვერ ვუკაფინებთ, რა მხრითაც ამ შემთხვევაში უკიციანიათ“ (ილ. ჰაგვაიაძე). „ღარიკიანთაც მოაშაძლეს საშობაოთ ყველაფერი, რაც კი მათ ხელმოკლეობას შეეფერებოდა, რომ პირნათლად დაჰხედროდნენ ბრწყინვალე დღესასწაულს“ (ფ. ბარნოვი). ახ. ხელმოკლე.

ხელმოჭერილი პრ. ვისაც ხელი გაშლილი არა აქვს, ხელში უჭერია რაიმე. ზვ. უწყალო, ძუნწი, სხვისთვის რომ არაფერი ემეტება, მაგარი, ქვაწვია, გაუკითხველი, ხელს რომ არავის გაუმართავს, შეუბრალებელი, გულქვა. „შაბამ გლენსაო! — ბრძანი თურმე (მეფე ერეკლე) და მისი ვინაობა იკითხა. მოახსენეს, — ვინც არის და თან დაატანეს: — ასეთი ხელმოჭერილი რამეა, რომ პურს არავის აჭმევს, თუ არას გაშორჩაო“ (ილ. ჰაგვაიაძე). „ერთ მკვებანაში ერთი ძალიან მდიდარი კაცი სცხოვრობდა, ძალიან მაგარი და ხელმოჭერილი კაცი იყო“ (თ. ნახიკავილი). ახ. ხელის მოჭერა.

ეს სიტყვა ანტონიმია სიტყვა ხელგაშლილისა და გულისხმობს სხვისათვის რისამე დაუთმობლობას და აგრეთვე იმას, რომ რაც უჭირავს მოჭერილ (უეკუმშულ) ხელში, სხვისათვის ადვილი დასათმობი არ არის, პატრონს



არ ემეტება მოკუმულ ხელში მოთავსებული რაიმე ვაგონებისათვის.

ხელმწიფი პრ. უსწორო, მრუდხელიანი. სვ. ქურდი, მპარაფი. „უბედურება ის იყო, რომ მწყემსი და სარქალი არ დაადგა. ვინც დაიჭირა, ყველა ქურდი და ხელმწიფი გამოდგა“ (თ. რაზიკაშვილი).

ხელმწიფედე სიარული პრ. ხელმწიფის სანახავად მისვლა. სვ. სულ შორს სიარული. „ეე მარტო ისა ვარ, რომ ჩემს ჯაგერს არავის შევარჩენ, ტყუილ-უბრალოდ არავის დაეჩაგვრებები. თუ გაქირდა, რკინის ქაღალდებზე ჩაეცევა, რკინის ჯოხს ავიღებ ხელში და ხელმწიფედემდე ვივლი“ (ილ. კავკაძე).

ყველად ხელმწიფე ხალხის მიერ წარმოდგენილი იყო, როგორც ყველასაგან შორსმყოფი და მიუწვდომელი არსება.

ხელნაკლული პრ. ვისაც ხელში არაფერი უჭირავს, ხელი ცარიელი აქვს. სვ. ღარიბი, უქონელი, გაჭირებული. „სილომონ (სულხანს) მე ვიცი, რომ თქვენ ძალიან ხელნაკლულად ბრძანდებით!“ (რ. ერისთავი). იხ. ხელმოკლე.

ხელოსანი პრ. ვინც ხელის პატრონია, ვის განკარგულებაში ვაა ხელი. სვ. ვისაც ხელი ემორჩილება რისამე კეთებად, ვისაც ხელით სხვადასხვა საქმის კეთება ემარჯვება, ვისაც ხელიდან კარგი საქმე გამოუდის. მგლ. რა სპირობა, ქიტესას მსგავსი ხელოსანი მთელს სოფელში არა გვყავს. იხ. ხელი.

ხელოსანი გულისხმობს ადამიანს (ქალს თუ კაცს), რომელსაც ემარჯვება სხვაზე მეტად ხელის, როგორც უღირსად ოწინარის. ხმარება რისამე გასაკეთებლად, გაკეთებული გამოუდის თან მკვიდრი და პრაქტიკული, და თან ნატიფი, ლამაზი, ესთეტიკური გრძნობის დამაკმაყოფილებელი.

ხელსა და პირს შესცქერის (ვისმე) პრ. ვისსამე ხელს და პირს უყურებს. სვ. სხვის იმედით ცხოვრობს, სხვისგან მოელის სიკეთეს, სხვას აზრუნინებს თავისათვის. „მისი (ვირის) ბალანი ეხლა სრულიად სხვა იყო, ვიდრე მაშინ, როცა ადამიანის ხელსა და პირს შესცქეროდა“ (გვა-ფშაველი). „შენს ცოლს-კი თვალი რჩებოდეს ყველაფერზე (ენატ-

რებოდეს) და შენ ხელში შემოგვცქეროდეს!“ (გვ. მენთეშაშვილი).

ხელხახე პრ. ვისაც ხელები ვაგსებულნი აქვს რითიმე. სვ. ვისაც ბლომად უმოგნია საშოვარი, ვაძლიერებული, შეძლებული, პოვნიერი, ქონებიანი, მფლობელი. „ღმერთო და ჩვენო სალოცავებო! გზა წავგვიმართეთ, იღბლიანად გვანადირეთ, ხელსავესნი შემოგვებარუნეთ! — წარსთქვა ქალარამ“ (ვ. ბარნოვი).

ეს სიტყვა, უნდა ვიფიქროთ, პირველად მაშინაა ხანმარი, როცა ნაშოვნი. მონაშოვარი ხელთ ეჭპორა ადამიანს, როცა ადამიანი ითვლებოდა პატრონად იმისა, რაც მის ხელთ იყო. თუ ხელი ვაგსებული პქონდა, ეს იყო ნიშანი სავესებისა, სიმდიდრისა, ხოლო სიცარიელე ხელისა პირდაპირ პნიშნავდა არაფრის პატრონობას, ხოლო გადატანიდა — სიღარიბეს, უშოვარებას, სისაწყულს, ბედუბედობას.

ხელსა და ხელს შუა გაქრობა რისამე პრ. ხელებს შუა მოთავსებულის რისამე დაღუპვა. სვ. ყველასათვის შემჩნეველად დაღუპვა რისამე, ადვილად გამოცლა ხელიდან. „კიდევ ვგარის საწუხარი, რომ არც არა გაცვია რა და მოსავალი ხელსა და ხელს შუა გაქრება“ (ან. ერისთავ-ხოშტარია).

ივლესხმება, რომ როცა ორის ხელით გვიჭირავს რამე, ცალ ხელთან შედარებით, ადვილად ვერც გავვივარდება და ვერც ვინმე ადვილად მესძლებს მის წართმევას. და თუ ეს რამე მაინც ვვერთმევა, ჩანს, თუმიც ორივე ხელი გვიკიდია, მაგრამ დაუდევრად, მისი შერჩენისა და დაუკარგველობისათვის თავს ბევრად არ ვიცხელებთ, და ისიც, რა თქმა უნდა, ადვილად გვეცლება ხელიდან და ასეთს შემთხვევაში ვიტყვი: ხელსა და ხელს შუა გვიქრებაო.

ხელს აფარებს პრ. ხელს ზევიდან დაიდებს. სვ. ექომაგება, მხარს უჭერს, მფარველობს. იხ. კალთის გადაფარება.

ხელს:ყრელი პრ. რაც კაცს ხელში ჩაუვარდება, რასაც ხელში დაიჭერს. სვ. გამოსადეგი, მასარგებლო, კარგი, სანუჯარი, მარჯვე. „გიორგი კარგათ იცნობდა საომრად არჩეულ არეს, ხელსაყრელი ადგილი მო-



ენახა მოპირდაპირეს, ძლიერ კუთხეში დაეკრა ბანაკი“ (ვ. ბარნოვი).

პირველყოფილად მოაზროვნე ადამიანის თანახმად, საკუთრებად და ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოსაყენებლად ჩაითვლებოდა ის, რაც ხელში მოხედებოდა კაცს, რასაც ხელში ჩაბღუჯავდა, რაც ხელში ეყარა, რადგან ადამიანის ცხოვრების დასაწყისში, ოდეს ეს ადამიანი სხვა მის ზოლოთგურად მოძმე ცხოველისაგან კინიძულა განირჩევოდა, რასამე მშობნილი და შემზახველი (დაძვერი) მავარი ხელი იყო ამ ადამიანისა.

ხელს აძლევს ჰრდ. ხელს გადასცემს. ზვგ. მისთვის სახეიროა, კმაყოფილი იქნება. „ეს დიდი გზა (საქართვ. სამხედრო გზა) დიდ ხელს მოგცემთ“. — რაი ბეღენაა გზაი? იგი მისთვის ვარგობს, ვისეც თავის ნაშვრელ-ნაშუშვეერ გასათახ-გასასყიდ აქენ“ (ილ. ჰავჭავაძე). „ჩემი შემოხედვა ხელს არ მოგცემს, შეილო, მე, იქნება, კიდევ ვაცდები, ცხოვრება არ გინდათ?“ (ვაჟა-ფშაველა). „გა, გუუბნები, თუ ხელს მოგცემს, წადი-მეთქი. მე ხომ კალთებზე არ გებღაუჭები, შენი ქირიმი, ნუ წახვალ-მეთქი!“ (მელანი).

ხელს არ გააყოლო! ჰრდ. შენს ხელს არ მიეყაროს რამე და თან არ წაიღო. ზვგ. და ღაიჩ. არ მოიპარო, არ იქურდო, არ მოგეტაცო. „მგლებსავით კი აფეთებენ (მღვდლები) იმ ეგარანა თვალმს და ხელეში შემოგჩერებიან, არამც და არამც ხელს არა გადააყოლო რა“ (ან. ერისთავ-ხოშტარია).

ეს ნახევრად მობოდიშებითი, ნახევრად ნართაული თქმაა გასაფრთხილებლად იმისა, ვინც სხვების თვალწინ იპარავს რასმე და თან ისე სჩადის ქურდობას, თითქო თვითონ არ უნდოდეს, მაგრამ თვალში მოსული ნივთი თითქო თავისით მიჰყვებოდეს მის ხელს, თითქო ზედ მის-და უნებურად ეკვროდეს.

ხელს მოვიტეხ! ჰრდ. ხელი მოსამტვრევად არ მეზოგება. ზვგ. თავს დავისჯი. „მადაო, ჩემო კარგო, რომ ბერკაცს თვალც ატყუებს და ხელიც ჰღალატობს! ის ქარი იღარა აქვს, რაც ახალგაზრდობას. შენს ხანში ხელს

არ მოვიტეხდი, რომ ეს ამბავი მომსვლოდა!“ (ილ. ჰავჭავაძე).

ხელს მოვიჭრი ჰრდ. მჭრელი იარაღით ხელს მოვიშორებ მკლავისაგან. ზვგ. მართალს მოგახსენებთ, სრული ჰემ-მარიტებაა (ჩემი ნათქვამი). მგლ. ხელს მოვიჭრი, თუ, რასაც გეუბნები, ტყუილი გამოდგა. იხ. ხელის მოჭრა.

უხელოდ დარჩენა ადამიანისა, განსაკუთრებით შაშინ, როცა მისთვის ხელი იყო მთავარი იარაღი ცხოვრებასთან ბრძოლაში, დიდიც რომ დიდი დანაკლისა და დიდ უმწყოდ ყოფნის სადარი უნდა ყოფილიყო, ამიტომ როცა ხელის მოჭრის ფიცით ცდილობდა ერთ რაშიმე დაერწმუნებინა მეორე, ოღონდაც რომ დიდი ფასი უნდა ჰქონოდა ასეთს ფიცს იმ დროის ადამიანის თვალში ჰემმარიტების გამოსარკვევად.

ხელუპყარი ჰრდ. ვინც ხელით ვერას იპყრობს. ზვგ. უქნარა, უშნო, გამოუქსადეგარი. „მაგისი (გელაგის) წივილ-კვილი გარედ სოფელში გადის. მოსამსახურებს ყოველ თვე იცვლის. უხეირო, ხელუპყარი, ტრაბახა და ბოროტია“ (ან. ერისთავ-ხოშტარია).

პირველადე დანიშნულება ხელისა იყო: რისამე წავლება, შეპყრობა. მითვისება. შეფდგში ვინც ამ შეპყრობის, დაჭერის, მითვისების, ხელის საშუალებით შეძენის შნოსა და უნარს მოკლებული იყო, დაცინივით და დაკნინებითად დაერქვა ხელუპყარი.

ხელუხლებელი ჰრდ. რასაც ხელი ახლოს არ მიჰკარებია. ზვგ. უხნებელი, უნაკლული, უხმარებელი, მთელი, ხელის ხლებით დაუხიანებელი, რომლის დახარჯვა ან გაყიდვა არ შეიძლება (ხელუხლებელი თანხა გინა მარაგი რისიმე). მგლ. რაც ფული მოგიბარებია, ისევე ისე მიძვეს უჯრაში. ხელუხლებელი. იხ. ხელი.

ხელ ფეხიდან ცეცხლი გახდის ჰრდ. ხელედიდან და ფეხებიდან ცეცხლსა მყრის. ზვგ. მეთის-მეტი მშრომელია, გაუწერებლივ საქმობს, ძალზე მხნეა. — ია როგორ აქებდა (ყაზარა) ლევანას თავის მეგობრებთან: „ეგ მუქუ-დილოცვილის შვილი, სწორედ ოქროა, ოქრო! ხელ-ფეხიდან ცეცხლი გახდის, როცა საქმეზე დგას“ (მელანი).

ხელ-ფეხის ყრა პრე. იქით-აქეთ სროლა ხელებისა და ფეხებისა. ზვგ. ყოველის ღონისძიებით უარზე დადგომა, არდათანხმება.

ხელ-ფეხის ყრას უარის ნიშნად დღეს ვხედავთ გაჯავრებულ და ატირებულ ბავშვის ყრაობაში მიწაზე და ხელ-ფეხის ყრაში, რომლითაც იგი გამხატავს თავის უკმაყოფილებას, პროტესტს.

ხელ-ფეხის შეკრა პრე. რაიმე საკვრელით ერთად შეერთება ხელებისა და ფეხებისა, რომ მოძრაობა აღარ შეეძლოთ. ზვგ. თავისუფალი მოქმედების საშუალების წართმევა, უმოქმედოდ დიტოვება, შევიწროება, გაჭირებულ მდგომარეობაში ჩაყრა, დაშლა რისამე, აკრძალვა, წინააღმდეგობის გაწევის შეუძლებლობა. „რომელ ბანკის წესდების შეუძლიან კაცს ხელ-ფეხი ისე შეუქრას, რომ აღებული ვალი ცუდ-უბრალოვნად არ გააფუჭოს და მხოლოდ მაშულის განკარგვას მოახმაროს!“ (ილ. ჰაჰვაძე). „მის (კაცის) ახლო ერთი ბერი და მონასული დიაცი იყო. ესეოდანი გრძნეულობა და ხერხიანობა იცოდა, რომ დეცა შელოცვით ხელსა შეუქრავდა“ (თინსარიანი).

ხელფეხშეკრული პრე. რაიმე საკვრელით ხელ-ფეხი ერთად შეერთებული. ზვგ. თავისუფალ მოქმედებაწართმეული, უმოქმედოდ დიტოვებული, შევიწროებული, გაჭირებულ მდგომარეობაში ჩაყენებული, სავსებით დაუძღურებული, მისთვის რაიმე დაშლილი, აკრძალული, დამბრკოლებული, მოძრაობა არ შეეძლოს. „ამ ადგილიდან შესაძლებელ ყოფაში წარმოების ხელ ფეხი შეკრული იქვს, საზოგადოება ეკონომიურის მხრივ ძლიერ-ძლიერ სულს იბრუნებს, თუნდაც ელემენტები წარმოებისა და კეთილდღეობისა უხვად იყოს“ (ილ. ჰაჰვაძე). „აბა მარტო თელავლებს, ისედაც ბევრნიარად ხელ ფეხშეკრულებს, რა შეეძლოთ“ (სოფ. თიღვა, კართლი).

ხელშეუვალობა პრე. სიდაც გარეშეს ხელი გერ შევა. ზვგ. უდავო საკუთრება, წაურთმეველობა, შეუცილებლობა. „ყოველს ნაწილს (საზოგადოებისა) თვისნი ადვილობრივნი საქმენი აქვს ხელშეუვალად მინდობილნი“ (ილ. ჰაჰვაძე).

(ვისსაშე) ხელშია პრე. ხელშია მოთავსებული. ზვგ. პატრონია, იმის საკუთრებაა. გამგებელია. „ყველა ღვთის ნებაზეა, ვენაცვალე იმის მადლს, სიკედილი და სიცოცხლე ორივე იმის ხელშია“ (ილ. ჰაჰვაძე).

ხელში კატა მოუკვდება პრე. კატა იმის ხელში რომ ჩაეარდეს, უქმელობით მოკვდება. ზვგ. ხელცარიელობა, ხელში არაფრის ქონება. ზგლ. ისიც იტყვის, — კაცი ვარო, — ხელში კატა მოუკვდება...

ძველად მოყვარე მოყვარესთან რომ წავიდოდა, სტუმრად ხელცარიელი არ უნდა ყოფილიყო, ხელში რაიმე მოსაკითხი (უმეტესად ისეთი, რაც იტმევა) უნდა სჭეროდა. ვინც ასეთს სტუმრობის წესს დაარღვევდა, იმის შესახებ ნართაულად იტყოდნენ: ხელში კატა მოუკვდებაო, ე. ი. ისეცარიელი აქვს ხელი, რომ შეიკატა რომ მოთავსო, შიშნით მოკვდება, რადგან საქმელს ვერაფერს ნახავსო.

ხელში მოგიკვდება პრე. შენს ხელში დაჰლეც სულს, შენს თვალწინ შესწყვეტს სიცოცხლეს. ზვგ. გაჩვენებს, რომ მზად არის მოჰკვდეს, ოღონდ გაამოს, შენის გუნებისად მოიქცეს, თავი დაიმციროს. „ის (სუტ-კნინა) ისე-ისე სიმწარისაგან გონება-მისდელი იყო, თორემ გაჯავრების და მუქარის მაგიერ ისეთნაირად მოიკატუნებდა თავს, ისეთნაირად მოუკვდებოდა ხელში, რომ ყველაფერს გააქარწყლებდა“ (ილ. ჰაჰვაძე).

ითქმის ვისიმე პირმოთნეობის, თავის დამდაბლების გამოსახატავად. კაცია — ოღონდ თხოვნა შეუსრულონ, და მზადაა თხოვნის შემსრულებელს ისე მოაჩვენოს თავი, ვითომ მის გული-სათვის სიცოცხლე არ ეზოგება, მზადაა მის ხელშივე განუტევეს სული.

ხელში მოვლინება პრე. ხელში ჩადება. ზვგ. შოვნა, შექენა რისამე, მონაგრება, სიღარიბიდან გამოსვლა, გამდიდრება, ქონის მოკვრა. „სესელას ოჯახი არ იყო აბეზარი, მეტადრე პირველში, მაგრამ როცა ხელი მოიქონიეს, გაღონიერდნენ, სიღარიბემ თანდათან ხელი დაჰრია და იწყეს მომეტებულის წართმევა-წაგლეჯა“ (ან. ერისთავ-გომბარია).

მოქონება — საკუთრივ ნიშნავს პირდაპირ ხელში ჩაგდებას რისამე, ხოლო ხატოვანად ჰგულისხმობს ქონების შეძენას, გამდიდრებას. პირველში ხომ აღამიანის საკუთრებად ითვლებოდა ის, რასაც ხელში ჩაიგდებდა, რასაც დაიპყრობდა, დაებატრონებოდა ხელის საშუალებით, — ეს იყო მისი საკუთრება, მისი ქონება. აქედან წარმომდგარია თქმა: ქონი მოიკრაო (პირდაპირ: ცხიმი მოეცხო ანუ მიეკროვო), ე. ი. სიმდიდრე შეიძინა, ახადია რამე. დაეუფლა რასმეო.

ხელში სული ჩამხერა პრ. თავისი სული ჩემს ხელში მოათავსა. ლგვ. ძალიან შემეხვეწა, დიდის თხოვნითა მთხოვა.

ხელში უჭირავს პრ. მის ხელის გულშია (ვინმე ან რამე), ხელი აქვს მოხვეულო, ხელში ჩაუბლუჯნია. ლგვ. უფლობს, თავის ნებაზე ატარებს, რაც უნდა, იმას უხამს, უპყრია. მიითვისა. „მინც კიდევ ყველა ბიჭები მის (გმირისეულის) ხელში იყვნენ, საბღის წყევრები მას ეპყრა ხელთა“ (სოფ. მგალობლიშვილი). „სოფლის მოხელე-მსაჯულები ხელში ეჭირა (მღვდელს), რადგან შემთხვევის შესაფერად იმათაც არ ივიწყებდა“ (გ. ბარნოვი). „ვიცოდი-და, გმმაკობას ვერ გამოიგებდნენ, თუ გამოიგებდნენ, კიდევ ისე მეჭირა სოფლის მოხელეები ხელში, რომ ყველას ბურთსა სჩრიდნენ პირში“ (დ. მაჩხანელი).

(სხვის) ხელში შემყურე პრ. სხვის ხელს უტყერის. ლგვ. სხვის იმედით მყოფი, შემადქერალი, თვითონ ინიციატივას მოკლებული. „გლები საზოგადოდ შეძლებულია. — თავისი მიწა აქვს, სახლკარი, მუშაობა იცის და ცოტათი კმაყოფილდება. ჩვენა (მღვდლები) ვართ საბრალონი, უნია-დაგონი და მავათ ხელში შეეყურენი, — დასძინა დიაკვანმა“ (გ. ბარნოვი).

ხელში ჩაგდება პრ. ხელის გულში მოთავსება რისამე. ლგვ. დაპატრონება, მორყენა, ჯობნა, მითვისება, მოხერხებით, მოტყუებით, გაიძვერობით რისამე შოვნა. „ნახე, რა მიყო ცხელდება, როგორ ჩამიგდო ხელშია“ (უმეკაშვილი). „ბაბა, ერთი ხელში ჩაგვიგდონ რამე მოხელეობა და მინჩ ჩვენ ვიცით.

რას აღმოვაჩინეთ და რამდენს დაფარულს გამოვაქვეყნებთ!“ (ილ. ჰაგვაძე). ის ხელის ქონება.

ხელში ჩავარდა პრ. ხელის გულში მოქცევა. ლგვ. სხვის კუთვნილებად გახდომა. სხვის ნება-სურვილზე გავლა, საკუთარ ნებისყოფის დაკარგვა, ვისსამე უფლების ქვეშ მოყოლა. „ისე მოეწყენენ გარემოებები, რომ მეფე მთლად ხელში ჩაუყვარდა დიდკაცობას, სააკაძის მოსისხლე მტრებსა“ (გ. ბარნოვი).

ხელში ძლევა პრ. ხელში მიცემა. ლგვ. ადვილად გადაცემა რისამე, შეძლებინება იოლად დაპატრონებისა. „რკინის გზებსა და გზა-ტექცილებზედ ახლო-მახლო მეცხოვრებთ, რა თქმა უნდა, ბედი გიეხსნათ, კარგი გზა ბაზარს თითქმის ხელში აძლევს“ (ილ. ჰაგვაძე).

ხელჩართული ბრძოლა პრ. ხელის მოკიდებით ბრძოლა. ლგვ. მოწინააღმდეგეთა მიერ ერთმანეთის პირისპირ. ახლო დგომა, ხელი-ხელს მოკიდებული. მკლ. მტრისა და ჩვენს შორის გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. და ამ ბრძოლაში მტერი დამარცხებული უკუ იქცა.

ხელცარიანი პრ. ვისაც ხელში არაფერი აქვს. ლგვ. უარაფრო, გაცუდებული, გულისწადილაურსულმბელი, რისამე უშოვნელად წამოსვლა ან რისამე მიუტანელად მისვლა სადმე ან ვისთანმე. „მიდიან დღენი, მიდიან წელნი და ჩვენ ისევ ისე პირდაუბანელი ვართ, ისევ ისე ხელცარიელი, როგორც ვყოფილვართ“ (ილ. ჰაგვაძე). „მტერიც დაგებდება, ბიძავე, ხელცარიელი, — უთხრა მეცხვარე პეტრემ და მიწორდა ერთი თასი არაყი კარახელს“ (ვაჟა-ფშაველა).

ხელცოშანი პრ. ხელზე რომ ცომი ეკრას. ლგვ. მოუტყელი. თავისუფლებასმოკლებული. „სახლში დაბმულმა ძაღლებმა შეტყნეს წყმტუნი. ცოლი ზელდა, შეესმა წყმტუნი, გავარდა ხელცოშანი და აუშვა ძაღლები“ (თ. რაზიკაშვილი).

როცა ქალი პურსა ზელავს, ცომა. სანამ არ მოზილავს, თავს ვერ დაანებებს, რაც უნდა მძიმე საქმე მოადგეს კარსა. დიდ ცოდვად ითვლებოდა. ქალმა ზელავს თავი დაანებოს და

ხელ ცო მ ი ა ნ ი სახლიდან კარში გამოვიდეს.

ხელწაყრით ჰრღ. ხელის გაშვებით. სვგ. უხეად, თავშეუქავებლად. „უწინარეს ერთი ხელმწიფე ყოფილა, უსამართლობა და უდიერი ძალა და ცოდვა ხელწაყრით იცოდა, და სახელოვნებისა და მოწყალეებისაგან ფერხი არ გაედგა“ (ქილოლა და დამანა).

ხელწმინდად ჰრღ. წმინდა ხელით. სვგ. მეტად წმინდად, უნაკლოდ. „მუნღეა რიყე თვალისა, ხელწმინდად განათალისა“ (შ. რუსთაველი).

ხელჯოხიანი ხს. ხელჯოხიანიობა.

ხელჯოხიანობა ჰრღ. ხელში ჯოხის მყოფობა სხვის საცემად. სვგ. მოძალადეობა. სიტლანქე, მხეცობა, ცემა-ტყუებით წესიერების დამყარება. „არ ვიცი, — რომელი ბეზლობა და ჯამუშობა უფრო საძაგელია: იგი, რომელიც პოლიციის ხელჯოხიანობას გამოიწვევს, თუ იგი, რომელიც ერთ კაცს მეორეს გადაჰკიდებს მტრად“ (ილ. ჰავეაძე).

ხელჯოხიანი, თანახმად მეფე ვახტანგ მეექვსის „დასტურლამისა“ (1888 წ. გამოცემა), ძველად ერქვა მოხელეს, რომელსაც დაეკლებული ჰქონდა ყური ეცლა მეფის კარზე ეზოსათვის და საზოგადოდ ერთგვარი საპოლიციო სამსახური გაეწია. მისი სიმბოლო — ჯოხი იყო და ერთავად განუშორებლად, ყველგან და ყოველთვის ხელთ ეპყრა. თუ, ვინიცბაა, ვინმე ხელჯოხიანის ნებისად არ მოიქცეოდა, ვინმე ურჩობას განიზრახავდა, ისიც წესისა და რიგის დასამყარებლად, ამ ჯოხს მიჰმართავდა და ურჩისა და გაუგონარის მის სამულებით მოხეშავდა და შეასმენდა.

დღეს ხელჯოხიანობა გვიკვია ყოველის სახის ტლანქ, უხეშ, უკულტურო საშუალებებისათვის, რომელსაც მიჰმართავს ვინმე სიმართლის გამოსარკვევად, დათრგუნელი უფლებების აღსადგენად, მტყუენის ჩასაგდებად გულისხმავი, წესიერების დასამყარებლად. შემხი არ ჩახვლია პირში ჰრღ. საქმლის შემცირესი ნაწილიც არ ჩაუღვია პირში. სვგ. სრულებით არაფერია უქმია, მშვიერია, დაყმედილია. მგლ. ორი დღეა, ხემსი არ ჩამსვლია პირში.

ხერხად მოხვლა საქმისა ჰრღ. ხერხის მსგავსად გაკეთება საქმისა. სვგ.

მოხერხებულად გამოწყობა საქმისა, გერგილიანობა, ხელფურჩობა. „თვალყური ჩვენკენ ჰქონდეს, მზად იყავა, რაწამს საქმე ხერხად მოვა, მე მაშინათვე შეგატყობინებ“ (ალ. ყაზბეგი).

ხერხი ამა თუ იმ საგნის (ხის, ქვის, რკინის) საჭრელ იარაღთა შორის ყველაზე მარჯვე და ხელფური იარაღად ითვლება, რადგან ხერხით გადაჭრა რისამე გაცილებით ადვილია, გაცილებით მოხერხებულია და ნაკლებ ფიზიკურ ღონეს მოითხოვს მერხავისაგან, ვიდრე გაჭრა რისამე ცუდით, ან სხვა რამ საჭრელ იარაღით. ხერხიც აქედან დაერქვა სახელად ამ იარაღს, რომელიც წარმოადგენს ფოლადის ბრტყელ ნაჭერს, გაფხავებულ კბილებიან გვერდიანს, იმიტომ რომ საცა ღონით ვერას გახდებიან, მიმართვენ ხერხს (მოხერხებას). ანდაზაც აქედანაა წარმომდგარი:

„ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“.

ხერხითვე მტკიცდება ადამიანის გერგილიანობა, ხელფურჩობა და ხერხითვე განიჩრჩევა ადამიანი ხევრია, უგერგილო ადამიანისაგან.

ხერხივით კაცია ჰრღ. ხერხის მსგავსი კაცია. სვგ. ვინც თავისთვის მეცადინეობს, მაგრამ სხვისაც არ იფიწყებს, ვინც გაჭირებაში სხვისაც შეგლის და ხელს უშმართავს. „განა კაცი ეყო არის, — სულ თავისკენ მოითლიდეს, კაცი უნდა ხერხი იყო — გაჭონდეს და გამოჭონდეს“ (ანდ.).

ეჩო — საღურგლო იარაღია, ხის სათლელი, ნაფოტს უქანა ჰყრის, თავისკენ. სულ სხვა ხერხი, რომელიც ნახერხს უქანაცა (თავისკენ) ჰყრის და წინაცა (სხვისთვის) ანუ გააქვს და გამოაქვს. და სწორედ ხერხის ეს თვისება დასდებია სარჩულად ამ თქმს. როცა უნდოდათ გამოეხატათ ადამიანის გულკეთილობა მოყვასის შებრალებად და გაკითხვა, სიქველად.

ხეჭვარია ჰრღ. ხეს რომ ეძვერება. სვგ. გაუფრთხილებელი, ყველაფერს რომ მოეღვება.

ხვათ თქვენს კალოხა! ჰრღ. თქვენი კალო დაგროვდეს. სვგ. და დალოცვით: გალენილი პური ბევრი გამოგვივიდესთ კალოზე.

პურის ლეწვის დროს ვინც მოად-



გება კალოს ან იქითყენ გამოვიღოდა, უნდა შედგეს და მღეწველთ უთხრას ეს დალოცვის ფორმულა: ხეავი თქვენს კალოსათ! ე. ი. ბევრი მოგსელოდესთ პურიო!..

ხვალამდე პრ. სანამ ხვალინდელი დღე გათენდებოდეს. სჭვ. ხვალა გნახავ, ხვალ შეგხვდები.

ეს თქმა ელიპსურია. ე. ი. გამოტოვებულია და იგულისხმება სიტყვა: ხვალა გნახავ, ხვალ შეგხვდები.

ხვანჯი პრ. ნასკვი მოჭერილი ბაბთისა, ძაფისა, ბაწრისა და სხვ. სჭვ. გართულება, სინდელე, მტრობა, დარდი. «ყველას ვისაც ასეთი საქმეები დააწიი ბისმარკმა, რასაკვირველია, გულში ხვანჯი ჩაჰყვებოდათ, და, რა თქმა უნდა, უთვალთვალდნენ, ერთი როგორმე განსაცდელში თავი ვაიბას გერმანიაში, რომ ჩვენნი ჯავრი ამოვიყაროთ» (ილ. ქავთავაძე).

ხვითქის ცრემლები პრ. ცრემლები, ხვითქს რომ გამოედინება თვალოთაგან. სჭვ. თქვალთმეტური, პირმოთხნობითი, ფარისეულობითი, გულწრფელობას მოკლებული ცრემლები. ხვითქი ანუ კროკოდილო, ნიანხვი (ბერძნულად კროკოდილოს) — უზარმაზარი ქვემარბი ცხოველია, ხელითა ჯიშისა. გვხვდება: სამხრეთ აზიაში, ამერიკაში, აფრიკაში მდინარე ნილოსის ნაპირას. ძველად სჯეროდათ, ხვითქი თავის მსხვერპლს სანამ საბოლოოდ შესჰკამდეს, ტირილს იწყებს, თითქო ნანობს — ეს რა ჩავიდინეთო! აქედან, გადატანითად, ხატოვანად, როცა ადამიანი ორპირულად, გულწრფელობას მოკლებულად ცრემლსა ღვრის სატირალ რახედმე და ყველამ იცის, რომ მისი საქციელი პირმოთხნობაა და სხვა არაფერი, იტყვიან — მისი ცრემლები ხვითქის ცრემლებიაო.

ამ თქმის მეორენაირ ასსნასა ვპოულობთ ბასილ დიდის წერილში: „მარხვისათვის“ (თარგმნილი XI საუკ. ექვთიმე მთაწმინდელის მიერ). ხვითქს ადამიანი შეუქაშია. თავის ქალადა დარჩენია შესჰკამეოდა. ქალას ძვალს ვერ მოპრევი და თურმე ცრემლები წამოსცვიენია თვალთაგანო.

ხვითქში ცურავს პრ. საპნის ქაფი, ოფლი აღვას გარშემო. სჭვ. ძალზე გაოფლიანებულია, დაღლილია. «დაიღალა მო-

სარცხე, ხვითქში ცურავს ქალი მარო» (წ. მღვიმელი).

ხელიკების ჯოგი არ დამიფრთხო! პრ. ჩემი ჯოგი ხელიკებისა არ შემიშინო, გული არ გაუხეთქო! სჭვ. არაფერი დამაკლო, არაფერი წამართო. ის, კულხე ფეხი არ დამიდგა. ჯორის წაღები არ ამყარო.

ეს თქმა დაცინვითია. ხელიკების ჯოგი არავისა ჰყავს და ვერც ვერაფერ დამიფრთხოხ იმას, რაც არ არსებობს. ხოლო გადატანითი მნიშვნელობა თქმისა ის არის, რომ მოწინააღმდეგის მუქარის დასაყრდენი აკლია, ტყუილად იმუქრება, ვერავის რას დააკლებსო.

ხენა და თესვა გაგიწყდესთ! პრ. არც მიწა მოგეხნათ და არც დაგეთესოთ რამე. სჭვ. პური არ მოგეყვანოთ, უპუროდ დარჩენილიყავით, შიმშილისაგან დახოცილობართ. «თუ კარგ ადისთ არ დაიქერთ. გაგწყდომიათ ხენა და თესვა» (არსენას ლექსი).

«მაშინ ურია დისწყველა: ხენა და თესვა დაუქარგა» (ა. ლუიკაშვილი). გლენთათვის, ვის შორისაც ისმის ხოლმე ეს წყევლა, ცხოვრებაში მთავარი საზრუნავია — მოყვანა პურისა, მთელი წლის სარჩოს მომარაგება, რაც შედეგი იყო კარგად მოხსნულ მიწისა და შივ თავის დროზე დათესილ ხორბლისა. როცა გლენს, ამა თუ იმ მიზეზით, მიწა მოუხვენელი დარჩებოდა და ვერცა რას დასეთსდა, მოელოდა შიმშილი და სიკვდილი როგორც მას თვითონ, ისე მთელს მისს ცოლ-შვილს.

ქიდეც ამიტომ ითვლებოდა ეს ფორმულა წყველისა ერთ უმძიმეს და უსაშინელეს წყევლად და სიავის ნდომად მოყვასისათვის.

ხერელი პრ. ბუნებრივი ან ხელოვნური გამოღრუტებული მიწაში ან რამე სხეულში. სჭვ. თავის საშველი, გაქირების დროს თავის დასასტრომი, მტრის ხელიდან დასასხლტომი, თავის დასაფარავი. «აბა თუ შიავნონ რამე ბილიკს საცალფეხოს და პირდაპირს, ხილს გადამყვანელს, ხერელს გასაძრომს, — ჰფიქრობდა დედოფალი» (გ. ბარნოვი).

ხიდან ყვავს ჩამოავდებს, იხეთი ენა აქვს პრ. ისეთი ენა აქვს, იმის ლაპარაკს, რომ გაიგონებს ყვავი, თავბრუდღესხმება, ხიდან ჩამოვარდება. სჭვ. მეტიდ მოქარგული ლაპარაკი

იცის, ვის არ შეეცდნენ მიგისი ენა, ყველას მოატყუებს, მეტად ეშმაკია. ხილი პრ. ნაგებობა, რომელიც აერთებს ორს წერტილს, მდინარისა ან მიწის ჩაღრმავებისაგან ერთიმეორისაგან გაცალკევებულს. ჭვ. შემაერთებელი, შემაკავშირებელი, შემთანხმებელი ორი სხვადასხვა ხასიათის, გინა შეხედულობის ადამიანისა, ორის მოწინააღმდეგე საზოგადოების კლასისა. „უნიგაროდ მივალთ წინა, მარტო ის ვეიქვს გულში ფიქრად, რომ წინანი უკანისთვის უნდა იქნენ გზად და ხიდად“ (ილ. ჰაგვაძე). „აბა თუ მიაგნონ რამე ბილიკს, საცალფეხოს და პირდაპირს ხიდს გადამყვანელს, ხერელს გასაძრომს... — ფიქრობდა, დედოფალი“ (ვ. ბარნოვი). „ეცადე, სწავლა მიიღო, — იგი ცხოვრების ხილია“ (ი. დავითაშვილი). „კაი კაცის პურმირილი გზაზე ხიდად გაიდების“ (ხალხური ანდახა).

ჩვენმა შორეულმა წინაპარმა მდინარეზე ხიდის გადგმა რომ ისწავლა, მას შემდეგ მისთვის გადავიღო ორის ერთი-მეორისაგან გაცალკევებული ადგილის შეერთება მდინარეზე გადაყვანისათვის, გინა მდინარეს გაიღა მყოფ თავის მსგავს ადამიანებთან კავშირი და ურთიერთობა.

ამასთან, თუ, ერთის მხრივ, ეს კავშირი ადამიანთა შორის ხიდის წყალობითა და მეშვეობითაა დამყარებული და ვამბობთ ხოლმე — მათს შორის ხილია გადებულაო, მეორეს მხრივ, როცა ამა თუ იმ მიზეზით ეს კავშირი და ეს ურთიერთობა დაირღვევა, ვიტყვი: მათს შორის ხილი ჩატყდაო...

ხილი ჩატეხილი (ჩვენს შორის) პრ. ხილი მრთელი არ არისო. ჭვ. ორ ადგილსა, გინა ორ ადამიანსა ან ორ ქვეყანას შუა ურთიერთობა, კავშირი არ არსებობს, ერთმანეთს დაშორებულნი არიან, საერთო არაფერი აქვსთ, ან არ უნდათ პიროვნება. ჩვენს შუა ხილია ჩატეხილი: ისინი იქით ნაპირას დაპრჩენენ, ჩვენ — აქეთ“ (ილ. ჰაგვაძე).

ხილი, ჩვეულებრივ, გადებულია ხოლმე საღმე მდინარეზე და აერთებს ორს ნაპირს ერთმანეთთან. ერთს ნაპირას მყოფნი ამ ხიდის საშუალებით ერთმანეთს უერთდებიან, ერთმანეთს

უკავშირდებიან, მათთვის საერთო ჩნდება მისელა-მოსელა, ურთიერთობა, ლხინი და ქირი, მეზობლობა, ზრუნვა, ურთიერთის ბედნიერებისა და სულიერი და ხორციელი კეთილდღეობისათვის. ოდეს ეს ხილი ჩატყდება ან ჩატეხილია, ყოველივე ზემოსსენებული კავშირი ხიდის ჩატყდომასთან ერთად ისპობა.

ხიდის გადგმა პრ. ნაგებობით შეერთება ორის წერტილისა, რომელიც მდინარის ან მიწის ჩაღრმავებისაგან ერთმანეთს დაშორებულია. ჭვ. შეერთება, შეკავშირება ორი სხვადასხვა ხასიათის, გინა შეხედულების ადამიანისა, მათს შორის ურთიერთობის დამყარება. „ამ გაერთიანების დიდის ხიდის გადგმაა საჭირო და ამას დიდი ღონე უნდა სულისა, დიდი შეძლება გულისა და ყველა კაცს არ მოეკითხება“ (ილ. ჰაგვაძე). „სულ ჩვენებით ვიღუპებით, სულ და სულ! ხიდად ეგენი (ჩვენები) ეღებიან და იმასაც (უმრავლიანს) რა ენადგლება: სხვის სახრე და სხვის კამეჩი ვისთვის რა საშურველია“ (ს. მგალობლიშვილი). „მან თვლი გადააქლო მომავალ მოქმედების სასპარეზო ადგილებს და მტკიცედ წარმოსთქვა: „ახალციხესა და გორს შუა ხილია გადებულა. ეს ხილი დამყარებულია ორ ბურჯზე: აწყურისა და სურამის ციხეებზე“ (ნ. ლომოური). „ბატონს თეიმურაზს ავიწყდება, რომ მისი სამეფო ხიდად არის გადებულა ირდილოეთსა და სპარსეთს შუა“ (ვ. ბარნოვი). „ქვეყანა იმ დღეს დადგინდა, ეს კაი ხილი გავდევით!“ (ი. ტფილალი). ან. ხილი.

ხიდის გადგმა ზღვაზედა პრ. ხიდის გაკეთება ზღვის იქეთ-აქეთ ნაპირის შესაერთებლად. ჭვ. შეუძლებელის გაკეთება. „ვერ დააქარბებთ ამირანს, ძმანო, გვირობის ქნაზედა. ცხო ყველა გამიკეთებავ, ხილ კი ვერ გავდევ ზღვაზედა“ (მოხეჯური ლექსი).

მდებრიო ხალხის წარმოდგენით ზღვა წარმოადგენს სივრცეს, განუზომელს, გარშემოუწერელს, ერთ ნაპირიდან მეორემდე მიუწვდომელს. ამიტომაც რომ თქმა — ხიდის გადგმა ზღვაზედა ითვლება შეუძლებელის რისამე გამოჩატველ თქმად.

ხილი ჩატყდა პრე. ორი წერტილის შემეერთებელი ნაგებობა დაიმსხვრა. ზვგ. ორი მხარე ახ ორი წრე, ორი ადამიანი ერთიმეორეს დაშორდა, მათს შორის ყოველი კავშირი მოსიპო, უბედურება დატრიალდა. „შორს და შშვიდობით! მოგვცდე — არ მიკითხო, მოკვდები — არ გაკითხავ, — ჩვენ შორის ხილი ჩატყდა...“ (ს. მაგალიფილი). „მართალია, სამოციან წლებში გამოსულთ მწერალთა დაიწყეს ვახსენება წარსულისა და ჩაუგდეს ქვაკუთხედი იმ ხიდს, რომელიც ჩატყდა წარსულსა და აწმყოს შუა, და რომლის ხელახლად გადაებას სცდილობს დღევანდელი დღე“ (ილ. ჭავჭავაძე). „ეთერო, შენს მოღალატეს, ხილი წყალში ჩაუტყდესო“ (ს. მაგალიფილი). ახ. ხილი.

ხიდ ქვეშ პრე. ხიდს ქვეშ მოექცეს. ზვგ. დაიმალოს, ნულარ გამოჩნდება, გამოსაჩენი პირი არა აქვს, თირს! დაიბაგროს, ჩვენს ვჯობივარო. „ჩემ მაგიერ უთხარ ელენასა და ბარბარეს ანდრეევსკისასა, რომ თქვენი ბარიათისკი ხიდ ქვეშა-თქო“ (გრ. ორბელიანი).

ეტყვიან ხოლმე ქორწილში დედოფლის მაყრებს ნეთის მაყრები, როცა უნდათ დედოფლის მაყრები გაამსახურონ, სახელი გაუტყებონ, იმათზე თაყვანით უმბრატესობა გამოაცხადონ. **ხილი აკრძალული პრე.** ხილი, რომლის ქამა ნებადართული არ არის. ზვგ. ყოველივე, რის გაკეთება აკრძალულია, ნებადართული არ არის.

ამ ფრაზის ხმარების დროს გადაკვრით იგულისხმება „ნებადების“ ხეცნობადისა კეთილისა და ბოროტისა, რომლის ხილის ქამა დემერტმა „ნებადების“ თქმით, ადამსა და ევას აუკრძალა.

ხიჩატელი არ ახადია პრე. წვრილი ხილი არ გააჩნია ეხოში. ზვგ. ღარიბია, უქონელია, უპოვარია, საწყალია. ზგლ. ზაფხულის სიცხეში პირის გასასველებლად, ერთი ხიჩატელი რა არის, ისიც კი არ ახადია. „გლეხს არ შეეძლო ერთი ხიჩატელი რამ მოეგლიჯა (თავის) ვენახში, მინამ ბატონის მოურავი სოსიკა პურიქამიაშვილი არ ჩაბოვილიდა სოფელში და არ დასწერდა მეოთხედსა ვალსახადსა“ (ს. მაგალიფილი).

ხიჩატელი — საბა ორბელიანის განმარტებით ჰქვიან ტყეში უმუშავოდ მისულ ხილსა თუ ბუჩქთა ნაყოფთა. ხოლო ჭართლში ამ სახელს უხმობენ წვნიე ხილს, როგორცა კვრინჩხი, შინდი, კინკრიგო (კინკრუხელა), მოცხარი და მისთანანი, რომელნიც ძალიან ჰპორავენ დამყნოდ ვაშლსა და მსხალს. მართლა-და ძალზე ღარიბად უნდა იხსენებოდეს გლეხი, ვისაც ვენახში არამცთუ ერთი იორი დამყნილი ვაშლი თუ მსხალი არ უდგას, არამედ ხიჩატელიც არ ეხადია. და ამიტომაცაა, რომ თვით ხიჩატელის უქონლობა გვიწვენებს გლეხის ქონებრივს სიბერავეს, ხამორჩენას, მისს სისაწყუღეს.

ხლება პრე. ვისთანმე ახლოს ყოფნა. ზვგ. ვისიმე პატივისცემა, ვისიმე მსახურება. „არტემ მინაინს ვახლავ ვარ!.. როგორ მშვიდობით ვიკითხოთ?..“ (რ. გრისთავი).

წარმოებელი: მხლებელი — ვინც ახლავს ბატონს დასაცავად ვაჟირების დროს ან სამსახურისათვის; მოახლე — ქალი მოსამსახურე, რომელიც ქალბატონის ხელთან ახლოს არის.

ხმამოუღებელი პრე. ვინც პირიდან ხმას არ უშვებს. ზვგ. უსაზღვროდ მორჩილი, უწინააღმდეგოდ სხვის ნების ასრულებელი, უწყინარი, მშვიდი, დადუმებული. „იქნება დისციპლინა ისე საჭიროდ არსად იყოს, როგორც კრებულად ავბაჯობაში, საცა მარტო ხმამოუღებელს მორჩილებას შეუძლიან...“ (ილ. ჭავჭავაძე).

ხმამოუღებლობა პრე. პირიდან ხმის ამოუღებლობა. ზვგ. უსაზღვროდ მორჩილება, უწინააღმდეგოდ სხვის ნების ასრულება, უწყინარობა, სიმშვიდე, დადუმება. „მაგრამ ამ ილაჯ-გაწყვეტილის, ღონენიხილის ერთი ხმამოუღებლობა ემჩნევა ან საუტუნის პირველ მეოთხედის წლებსა“ (ილ. ჭავჭავაძე).

ხმა აქვს გავარდნილი პრე. ხმა აქვს შორს წასული. ზვგ. ძალიან აქებენ ყველანი, ყველა იმაზე ლაბარაკობს. „დიდება აქვს, შენ გენაცვალე (ლუარსაბსა), და იმიტომ. — ეგეც ხომ, მაგრამ ხმაც დიდი აქვს სოფელში გავარდნილი. აი, დავით, ჩემი მაზლი, იმას კაცად არავინ აგდებს“ (ილ. ჭავჭავაძე).



ხმა დავარდა ჰრე. ხმა ძირს დაეცა. ზგვ. ვაისმა, სთქვეს, ასე ამბობენ.

ხმა, კრინტი ჰრე. სულ წერილი ხმა ცუი არ ამოგვიდეს პირიდან. ზგვ. სრულებით გაჩუმდი, ხმა გატრუხე. მგლ. რო დამელოთ, ხმა, კრინტი არ დასძრათ, რომ ვერავინ მოგავნოსთ.

ითქმის იმ შემთხვევაში, როცა მტერს ან ნადირს უღარიბეებს ვინმე სადმე ან სრული სიჩუმეა საჭირო, ან ვინმე ვისმე ჰტუქსავს, უჯავრდება და ვისაც უჯავრდება, იმისაგან მოითხოვს — ყველაფერი მოითმანოს და პრეტენსიის ნიშნად ხმა არ ამოიღოს, თუნდაც წვრილად, ოდნავ გასაგონად, ხმა სულ უნდა ჩაიწყვიტოს.

ხმაღამოღებულნი ჰრე. ქარქაშიდან ამოწვდილი ხმალი ხელთ რომ ეპყრას. ზგვ. საბრძოლველად, მტრისათვის პასუხისგასაცემად მზადყოფნი. „მაგრამ არც კაი დღეში ხარ მუდამ საფრთხეში ყოფნითა, მუდამ ხნაღამოღებულნი, ფეხზე შემდგარი თოფითა“ (ვაფ. ფშაველა). „ამ დირსახსოვარ დღეს (მეფე ერეკლეს გარდაცვალების)... დიდი და პატარა ქართველობისა მოვიდა, რომ ლოცვა-კურთხევით მოიხსენიოს განსვენებული მეფე, რომელიც ნახევარსაუკუნეზე მეტი ხმაღამოღებულნი პატრონობდა და თავგამომეტებით, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ინახავდა ყველა მიღეთის და თესლის კაცს“ (ილ. ჭავჭავაძე).

ბრძოლის დაწყების წინ მეომარი, ჩვეულებრივ, ხმალს ამოიღებს ქარქაშიდან და ის-ღა დარჩენია, მტერს მოუქნიოს მოსაკლავად ან მოსაგერებლად.

ხმაღამოღებულნი ბრძოლა ჰრე. ქარქაშიდან ამოღებული ხმლით ბრძოლა. ზგვ. ფიცხელი, გახურებული ბრძოლა.

ქარქაშიდან ხმლის ამოღება ჰგულისხმობს ბრძოლას, ამ ბრძოლის გაცხოველებას. მებრძოლთა მიერ ერთიმეორის დაუზოგველობას, ერთიმეორის სისხლის დაღერას ხმლებითა.

ხმაღამოწვდილი ის. ხმაღამოღებულნი.

ხმაღამოწვდილობა ჰრე. ხმლის გაშაფვლება, ქარქაშიდან ამოღება. მზადყოფნა საბრძოლველად, მტერთან შეხმა, შემმართებლობა, გულადობა, გამბედაობა. „რად გვიქე კაცმან ჯა-

ბანმა მამაცთ ხმაღამოწვდილობა?“ (დ. გურამიშვილი).

იგულისხმება, რომ ძველად, როცა ერთი საომარ იარაღთაგანი ხმალი იყო, ამ ხმალს ქარქაშიდან მამაღამოწვდილდნენ, როცა ეკვეთებოდნენ მტერს შესაბამელოდ, საბრძოლველოდ.

ხმაღდაარაკიანი ჰრე. ვისაც ხმალი და ფარი აქვს. ზგვ. აღტურვილი, იარაღ-ახსნული, საბრძოლველოდ მომზადებული. „შემობრძანდა თვითონ იასე. ხმაღდაარაკიანი შინაყმა მოსდევდა“ (ვ. ბარათვი).

ხმაღდახმალ მისვლა (მტერზე) ჰრე. ხმლის ძვერება. ზგვ. ხმლის საშუალებით ბრძოლა, პირისპირ ბრძოლა, შეტაკება. „ჩვენ იასეს ამბავი მოიტანეს. თურმე ხმაღდახმალ მისულა ელისოს სულთანთან ერთად“ (ვ. თრბელიანი).

ხმაღზე აგება ჰრე. ხმაღზე წამოცმა. ზგვ. მოკვლა, მოსპობა, სიცოცხლეს გაძოსაღება. „სიჩქარით თავი დამიკარ, ნუ აეგები ხმაღზედა“ (ხალხ. პოეზ.).

ხმაღზე აგება ჰგულისხმობს, რომ ხმალი ისეთის კაცის ხელშია, რომ ვისაც ამ ხმალს მოახვედრებს, ცოცხალს არ გაუშვებს.

ხმაღზე ხელის დაღება ჰრე. ხელის მოვლება ხმლისათვის. ზგვ. საბრძოლველოდ მომზადება. „თქვენი რიგია, ახლეთა, ხელის დაღება ხმაღზედა“ (ბ. ლვინიძე). იხ. ხმაღზე ხელის მოვლება.

ხმაღზე ხელის მოვლება ის. ხმაღზე ხელის გაკვრა.

ხმაღზე ხელის მოკიდება ჰრე. სელში დაქერა ხმლისა. ზგვ. საბრძოლველოდ მომზადება, საჩხუბრად მზადყოფნა. „იმერელმა თავადებმა ხმაღზედ მოიკიდეს ხელ“ (ბ. უმიკაშვილი). „იყო მხნე, დაუღალავი, ხმაღზედ ეკიდა მას ხელი“ (რ. ერისთავი). „შეყერი ლაშქარსა, ვუბრძანებ, ხმაღსა გაიკრან ხელია“ (რ. ერისთავი).

ხმაღზე ხელის წავლება ის. ხმაღზე ხელის გაკვრა.

ხმაღზე იყურება ჰრე. ხმაღს უტყერის, ათვალეირებს. ზგვ. საბრძოლველოდ ემზადება, ბრძოლა სწყურია. „ესენი სულ თავზეხელადებული ახალგაზრდობა იყო, სიმამაცედ გადაქცეული; სულ ხმაღზე იყურებოდნენ,



ყოველ ჟამს ბრძოლა სწყუროდათ, საუცხოოდ იყვნენ შეიარაღებულნი“ (გ. ბარნოვი).

ხმალზე ხელის გაკვრა პრ. ხმლისათვის ხელის მოკიდება. ზვ. ბრძოლის დაწყება, შეტევა მტრისათვის. „ევროპაში ეს არა ჰქმნა და, შეტი რა გზა იყო, სერბიამ ხმალს ხელი გაიკრა“ (ილ. ჰაგვაძე). „ქართველო, ხელი ხმალს იკრა, დრო მოვიდა დიდებულნი“ (ილ. ჰაგვაძე). „რა ბეაქლმან კატა მოკლული ნახა, ცეცხლი მოედვა, ხმალს ხელი მოივლო და იგი ძალი მოკლავ“ (თიხაიანი). „შვიდ ქისტმა, ერთმა ფშაველმა გაიკრეს ხელი ხმალზედა“ (ვაჟა-ფშაველა). „ხმალს ხელი იკრეს მამაპაპურად და დერივნენ თაიგებურად“ (ნ. ბარათაშვილი).

ხმალზე ხელის დადება პრ. ხელის მოკლება ხმლის ტარისათვის. ზვ. საბრძოლველად გამზადება. „ან თონახმანს მოვზილო, ხელი დავიდვა ხმალზედა“ (ვაჟა-ფშაველა). „თუ ეს ხელმწიფე მოგვიკლეს, ხელი დავიდვათ ხმალზედა“ (პ. უმიკაშვილი). „შენ ჩემსა ქმარს ვერ იცნობ, სულ ხელი უძევეს ხმალზედა“ (პ. უმიკაშვილი).

ხმალი პრ. ერთგვარი მახვილი. რომელიც ცალის პირითა სჭრის. ზვ. სამხედრო ილიერება, ბრძოლის უნარი. „ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალია მოგერებისათვის“ (ილ. ჰაგვაძე). „უფრო ზედმეწეწინთ დაგვიხატა დიდებულნი ბოვანება მეფე ერეკლესი თვით ქართველმა ერმა და ორ-სამ სიტყვაში გამოინსჯა ლეწლ-მოსილობა გვირგვინოსან გმირისა, როცა იგრძნო, რომ მეფე ერეკლე დაჰკარგა და, მამული ველარ იხილავს ერეკლეს ხმალსა მღელვარეს“ (ილ. ჰაგვაძე). „უმეტეთ (სალოცავებო) ამით სახლისა ლონესა, ჰონესა, ცაცსა — კაცირილობასა, აგრემც გამარჯვება თქვენს ხმალსა, თქვენს ძალსა და სამართალსა!..“ (ვაჟა-ფშაველა). „დღეს ამირთ-ამირს ხელთ უპყრია ძალა ქვეყნისა: გიორგია სახელმწიფოს დამცველი ხმალი; ვინ იტყვის, უღირსს უჭირავს იგი მახვილი“ (გ. ბარნოვი).

ხმალი ვალესილია პრ. ხმალი მკრე-

ლი. ზვ. საომრად მზად ვარ, მტერს შემიძლია შეეებროლო. „ჩხუბშიაც კაი მიჭი ვარ, — ვალესილია ხმალია“ (გ. ხონაული).

ძველად, როცა ომში მიდიოდნენ, ილესავდნენ რაც მკრელი იარაღი ჰქონდათ თან წასაღები: ხმალს, სატყეარს, შუბს.

ხმალი გვაზია იხ. ხმლის შემორტყმა.

ხმალი მჭრის პრ. ჩემს ხმალს რისამე გაჭრა შეუძლია. ზვ. ძალღონე მაქვს, შემიძლია მტერს შესაფერი პასუხი გავსცე, არ დავეწაფებინო, მოვერით კიდევ, ძლიერი ვარ. „მეტად დემწუხრებინა იგი (აშოტი) სატრფოს დაკარგვას, მის დაპატიმრებას ისეთ ადგილას, სად ველარ სჭრიდა ხმალი მეფისა“ (გ. ბარნოვი).

ხმალი მჭრელი იხ. ხმალი სჭრის.

ხმალი (ვისიმე) სჭრის პრ. ხმალს შეუძლია გაჭრა, განკეთა, დანაწილება. ზვ. ხმლის პატრონს შეუძლია ბრძოლა, შემართებელია, მტრის წინააღმდეგობა ძალუძს, ღონე აქვს შერჩენილი. „ბატონ-ყმანი დაამორე, თუ ცხონება ვინდა მკვდრისა, თუ საქმე არ გაათავე. შენ ი ხმალი აღარ სჭრისა“ (პ. უმიკაშვილი). „გულაცრუებულნი ხართო და თუ თქვენი ხმალი კიდევ მჭრელია, (სარდლობა კი აღარ გელირსებათო“, რ. ერისთავი). „იმ ქალმა კაცულ დავწეროს ჯვარი, მერე იმისი ხმალი ერთი ათასად მეტ გასჭრისო, მტერიც დაუმარცხდებაო“ (თ. რაზიკაშვილი).

ხმალი შეარტყა (ვისმე) პრ. ხმალი დაჰკიდა წელზე. ზვ. მებრძოლად გახადა, შეაძლებინა მტრისათვის პირში შემო. „როდესაც უზანგ ხელმწიფემ ინდოეთი დაიპყრა, მის წინად რაც ცხენს ამხედრებულყო და ხმალი შემოერთყა, მას აქეთ ათას შვიდას ომში გამარჯვებულიყო“ (ყარაშანიანი).

ხელჩართულ ბრძოლაში ხმალი საუკეთესო იარაღად ითვლებოდა ძველად. მაშასადამე, მისი დაკიდება ანუ შერტყმა წელზე ნიშნავდა მტრის შემოსევისაგან უშიშრად ყოფნას, გულის ქონას საგულეში. ზემოთმოტანილი თქმა სხვათა შორის, ნახმარია პოეტ მეფე არჩილის მიერ ქართლის მეფე სიმონზე (XVI საუკუნის მეორე ნახევარში), სადაც ნათქვამია: „ქართლს ხმალი



შეარტყაო*. ამით გამოხატულია ის ამაგი და ლეაწლი, რა ამაგი და ლეაწლი 42 წლის მანძილზე ქართლს ამ მეფემ დასდო სამშობლოს მტრებთან გულდად და ღირსეულად ბრძოლით, თავის მამულის საღივებლად. „სიმონ მეფე ნახიდურთან ბრძოლაში ოსმალთ შეიპყრეს და 1501 წელს სტამბოლს ხონთქარს გულგზავნეს. ტყეობაში გადაცვლილი მეფის ცხედარი სამშობლოში მოასვენეს და მცხეთაში დასაფლავეს“ (საქართვ. ისტ.).

ხმალკისერდებული ჰრე. კისერზე ხმალდებდებოდა. ზგვ. დანაშაულის აღიარება დამნაშავეს მიერ, დამნაშავეს მიერ მხადყოფნა-სასჯელისათვის. მგო. დამნაშავე ხმალკისერდებული წარუდგა მეფეს: მხად ვახლავართ თავი გამაგდებინათო. (იხ. დ. ჩუბინაშვილი, სიტყვა „ხრმალი“). ძველად, როცა დამნაშავეს სხვა გზა არ ჰქონდა — თავისი დანაშაული უნდა აღეარებინა, კისერზე ხმალს დაიდებდა და მეფეს წარუდგებოდა. ამ სიმბოლურ საქციელით დამნაშავე საჯაროდ აღიარებდა: დამნაშავე, ღირსი ვარ კასრის მოკვეთისა და აჰა ხმალი და აჰა ჩემი კისერი მოსაპურელადო!..

როცა დღეს რასმე გვაბრალებენ და ჩვენ კი ვფიცავთ — არ გვიქნია, რასაც გვაბრალებთო, ვისაც ვეფიცებით, ვეუბნებით: შენი ხმალი და ჩემი კისერიო, ე. ი. შენის ხმლით კისერი გამაგდებინეო. ეს თქმა, აშკარაა, ილუსტრაციად მოტანილი ძველად ხმარებული სიტყვის — ხმალკისერდებულისა.

ხმალი ხმალსა სცემხო ჰრე. ხმალი ხმალს ურტყამსო. ზგვ. გახურებულა საქმე, ხელჩართული ბრძოლაა.

ხმალ ქვეშ ვიყავით ჰრე. ხმალი გვერტყა ზედ. ზგვ. საომრად სულმტრად მზად ვიყავით. ჩვენ სხვანაირ ცხოვრებას ვატარებდით: ხმალ ქვეშ ვიყავით. წყნარი ცხოვრებისათვის არ გვეცალა და გამოციდილება გვაკლია“ (გ. ბარნოვი).

ხმამალა ჰრე. მალალის ხმით, გასაგონად. ზგვ. თამამად, უშიშრად, მოუწოდებლად, თავის უფლების შეგრძნობით. „მათი (თავად-ანაშურობის წინადადებათა) დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ღირსება ფეხზედ წამოდგა და დიდისხნით თავმინებებული თვისი კუთ-

ვნილება ხმამალა მოითხოვა“ (ილ. ჰავჭავაძე).

ხმას არ სცემს ჰრე. ერთის ხმა მეორედღე არ მიდის. ზგვ. წაჩხუბებულია, არ ელაპარაკება, კარგი ურთიერთობა არა აქვს.

ხმა დალადებისა უღაბნოსა შინა ჰრე. ლაპარაკი უღაბნოში, საცა არავეინაა. ზგვ. ტყუილად ლაპარაკი, როცა ყურს არავეი გვივდებს. „ღელათა ხხნებოა, საპართლიაისი უფლებების მოპოვებაზედ მიძართული, აღარა რჩება „ხმად მლაღადებლად უღაბნოსა შინა“ და ღღე თითქმის იგი არ ვადის, რომ სადღე — რასაკვირველია, განათლებულს ქვეყნებში-კი — ცოტად თუ ბევრად დედათა საქმე ფეხს არ იბავრებდეს“ (ილ. ჰავჭავაძე). „ამ რაპდენისამ, წლის წინად ბ-ნმა ლადო აღნიაშვილმა გამოაცხადა, რომ მე ვადგენ ქართულ ლექსიკონსაო და „ივერიის“ შეიწიგობით ყველას სთხოვა დახმარება მასალის შეგროვებით... ლადო აღნიაშვილის მოწოდება არ დარჩა ხმად ძლადადებლისა უღაბნოსა შინა“ (გ.კ.). იხ. ცალ ყურში შეუშვა, მეორეში გაზოღუშვა.

ხმების დაფენა ჰრე. ხმების გაშლა ძირს. ზგვ. ყველასთვის შეტყობინება, ყველასათვის თქმა რაიმე ამბისა. „მიადწიეს მგზავრებმა წათურს. სოფლის ვარეთ დაბინავდენ ხებ ქვეშ. დაფინეს ხმები: ავად-მყოფთ ვულხენტ, ყოველ ჰირს ვკურნებთ!“ (გ. ბარნოვი).

ხმელეთის შემოვლა ჰრე. დედამიწის გარშემო სიარული. ზგვ. ბევრი სიარული, უნახავად არაფრის დატოვება. „ავიღებ ოქროს ყავარჯენს, შემოვუვლი ხმელეთს, ვიკითხამ წამალს“ (ვაჟა-ფშაველა).

ხმელი ჰრე. მშრალი, უწყლო ან ცოტა წყლიანი. ზგვ. მიწა, სამყარო. „მონაასა ჰკადრეს: „მეფეო, ჩვენ ხმელნი მოვიარენით, მაგრა ვერ ვპოვეთ იგი ყმა, მით ვერა გავიხარენით“ (ბ. რუსთაველი).

ხმის ამაღლება ჰრე. ხმის აწევა, მალა ხმაურობა. ზგვ. წყრომა, რისხვა, შეტევა, ბრაზი, გულის მოსვლა. მედიდურობა. „მოუროვემა ხმა აიმაღლა: ყმავე არის (დადიანი) მეფეთ-მეფეთსა, როგორც ყველა სხვა თავადი“ (გ. ბარნოვი).

ხმის ამოღება პრ. ბგერა ადამიანის ფილტვისა და პირიდან ამომავალი. სვ. ერთხანს დუმილის შემდეგ ლაპარაკი. „გლესთან პირმა ბურთი უნდა გედოსო; თუ ხმას ამოიღებ, კრძალვითა და შიშით უნდა ამოიღოვო. არ უნდა უჩივლო გლესსაო“ (ილ. ჭავჭავაძე).

ხმის გაცემა პრ. გამომხმავურება ვისთანმე. სვ. დალაპარაკება ვისთანმე. „—დილას, დიდება, ქოლოთს წაიღო და მამილას მოსაყვანად და, ეს არის, ახლა დაბრუნდა, მაგრამ ისეთი დაღონებული იყო, რომ ხმას არ ავიცა სცემდა“ (აქვითი).

ხმის დაყრა პრ. ხმის დაფანტვა, ხმის დაბნევა. სვ. ყველასათვის შეტყობინება, ყველასათვის უწყება რისამე. „შენ მე სიცრუის ხმას მაყრი, შენ უფრო ცრუვი ხარო და“ (დ. გუჩუაშვილი).

ხმის დაშვება პრ. ხმის დაწევა ძირს. სვ. ხმადაბლა, ჩუმიად ლაპარაკი. „შენიშნეს მენახეთა კმუნვა მეფისა და დაუშვეს ხმა, დახარეს შვება, შეწყდა ერთმანეთი სამხიარულო“ (ვ. ბარნოვი).

ხმის მიწვდენა პრ. ხმის ახლოს მიტანა ვისთანმე ან რამ ადგილთან. სვ. დახმარება, შევლა, გაძნელება, გულის გამაგრება! შეტყობინება, ცნობება. „საწყალსა, გაქირებულსა შორით ვაწვდენდი ხმასაო“ (ი. დავითაშვილი).

ხმის ქონება პრ. დიდი ხშიანობა. სვ. ყველასაგან ქება ვისიმე, სახელისა და გავლენის ქონება. „ხმაც დიდი აქვს სოფელში გავარდნილი (ლუარსაბს). აი, დავით, ჩემი მაზლი: იმას კაცად არავეინ ავღებს“ (ილ. ჭავჭავაძე).

წინად, როცა ადამიანის ფიზიკური ძალღონე ჰქვასობდა და ითვლებოდა მის მიჯნავ ღირსებად, ამ ადამიანის დიდი და შორსმიწვდენი ხმა, როგორც მისი დიდი და კუნთებიანი სხეული, ჰგულისხმობდა. ღონეს, ძალას, შორს გასულს გავლენას, რომელსაც ძრწოლით შპორჩილებდნენ და რომლის წინაშე ქედს იხრიდნენ სხვები, უფრო სუსტნი და უძლურნი.

ხმის ჩახლაძევა პრ. ხმის ყანყარათოში გადაშვება. სვ. გაჩუმება, დუმილი. („ხმა ჩახლაძე“ — გაჩუმდი).

ხმის ჩაწყვეტა პრ. ხმის შეგნითკენ

გაწყვეტა, ხმის ნაწილების ერთმანეთს მოშორება. სვ. ერთბაშად გაჩუმება. ხმის ამოუღებლობა, რაც სათქმელი ჰქონდეს, სხვას არ უთხრას. „დაააცობა და გულადობა თუ გააწყობდა რასმე, თორემ შიშით ხმის ჩაწყვეტა და მოკრუნჩხვა სულმდაბალ ქურდებს უფრო გაამხნევებდა“ (აქვითი).

ხმის წყვეტა პრ. უხმოდ დარჩენა. სვ. წყველის ფორმულა: სიკვდილი, გაქრობა. სიცოცხლის მოსპობა.

ხმლის ამოღება პრ. ქარქაშიდან ზევით ამოწვდენა ხმლისა, გაშთმგლება. სვ. მზადყოფნა საბრძოლველად, მისაშველებლად, დასახმარებლად. „მას ეშობე და მისთვის ამოიღებდე ხმაო და, ყველგან ასეც იტყოდე: დედა სჯობია ქალსა“ (რ. ერისთავი). „მაშასადამე, შთამომავლობითი მიმზიდველობაც ძალია შემაერთებელი და მაშინ ცხადი იქნება — რად ამოიღო მოძმე ერზედ ხმალი სერბიაძა!“ (ილ. ჭავჭავაძე). ის ხმალი ამოღებულაო.

ხმლის აღება პრ. ხმლის დაჭერა ხელში. სვ. ბრძოლის დაწყება, მოწინააღმდეგეებთან ჩხუბის ატეხა. „საქრისტიანოს გულისათვის ერეკლემ ხმალი აიღო“ (თ. რახიკაშვილი).

ხმლის გადატეხვა (ვიზედმე) პრ. თავზე გადატეხვა (ვისთვისმე) საომარი იარაღისა. სვ. მორევება, შეწყვეტილება ბრძოლისა, დამორჩილება, დათრგუნვა. „რომელიც (პატარა საბერძნეთი) წინ ასდგომია თითქმის მთელს ევროპას და ამბობს: თუ მეც ჩემი არ მარგუნეთო, მე არაფერს დავზოგავო და მინამ ხელში ხმალი ძალით არ გადაამიტეხთო, დიდი და პატარა თოფქვეშ დავდგები და ომში ბედსა ვსცდითო“ (ილ. ჭავჭავაძე).

ხმლის გადატყლომა გადაში პრ. ხმლის გადატეხვა ხმლის ტართან. სვ. საქმის გაფუჭება, მტერთან ბრძოლის დროს უძლურად დარჩენა, მტრის წინაშე დამარცხებულად აღიარება თავისა. „არ შეიძლება! ჯერ ისე არ დაძაბუნებულა, გიორგი ჩემო, დიდებულთ დასი, ვერ გაირდგი იტხოს ხმალი ვადაში“ (ვ. ბარნოვი). „მაშინ გაჯაგრდა არსენა, ხმალზედ მოისვამდა ხელსა, პირით რომ ვერ გაიმეტა, ყუით გადაუკრა

ცხენსა. ხმალი ვადაში გადუ-
ტყდა, ის ცარიელი დარჩენსა“ (არსე-
ნას ლექსი).

ხმალი მტერზე მისასვლელი და
იმავე დროს მტრის მოსაგერიებელი
იარაღია და თავისს დანიშნულებას
პირნათლად ასრულებს, როცა ფხია-
ნია, მჭრელია, მთელია და კარგ ხელს
უპყრია. მაგრამ თუ ხმალი გადატეხი-
ლია და ისიც ვადაში, ტარის ძირთან,
მაშინ რაც უნდა შემმართველი
იყოს ხმლის პატრონი, მტერს, მთელის
ხმლით შეიარაღებულს, ვერას დააკ-
ლებს და, სხვა გზა არა აქვს, ბრძო-
ლაზე ხელი უნდა აიღოს და თავი თა-
მარცხებულად აღიაროს.

ასე რომ ხატოვანი თქმა — ხმლის
გადატყდომა ვადაში — გამოზ-
ბატეულია უიარაღოდ დარჩენისა, უძ-
ლურებისა, მტრის წინაშე ქედის მოხ-
რისა და თავის სისუსტის აღიარებისა.

ხმლის ვალესვა პრდ. გამახება ხმლისა,
ისე გაკეთება, რომ უფრო მჭრელი,
უფრო ფხიანი იყოს. სჯგ. საბრძოლ-
ველად მომზადება, საბტროდ მზად
ყოფნა. „ეცით გჴლდაგულ, მაგათ-
თვის ხმალი გაგვიღე-
სია...“ (რ. ერისთავი). „ხმალს ვისზე
ლესავ, ბიძია, მაგრე გულ მოდგი-
ნებითა“ (ვაჟა-ფშაველა). „ყოველის
მხრით ისმის, რომ ყველგან მზადე-
ბაში არიან, ხმალსა ლესვენ და
მშვიდობიანობას კი გვარწმუნებენ“
(ილ. ჭავჭავაძე).

ძველად, როცა საომრად ემზადე-
ბოდნენ, ლესავდნენ ხმალსა, სატე-
ვარსა, პფერავდნენ და ჟანგს აცილი-
დნენ თოფსა, სამბაჩასა და ამიტომ შე-
იქმნა ხმლის ლესვა სინონიმად სა-
ომრად მზადებისა. მტერთან შესაბმე-
ლად და საბრძოლველად ფეხზე დად-
გომისა.

ხმლის გამარჯვება პრდ. ხმალი გამარჯ-
ვებული რომ გამოდის. სჯგ. ბრძო-
ლაში მტერზე გამარჯვება. მტრის
დამარცხება. „აბა მეც შემეძრეყვე,
რა მიზეზია, რომ ჩვენ ხმალი არ
იმარჯვებსო“ (თ. თახვაშვილი).

ხმლის განაზა მტრის სისხლით პრდ.
ხმლის ბანაობა მტრის სისხლში. სჯგ.
ბევრი მტრის მოკვლა, მოსპობა.
„იყარა ჯავრი (აშოტმა), განაზა
თვის ხმალი მტრის სისხ-
ლით“ (ვ. ბარნოვი).

ხმლის გასწორება პრდ. ხმლის ხმარე-

ბაში ტოლობის ჩვენება. სჯგ. ბრძო-
ლა. „ინათა. გაირჩეოდა მტერი,
მოყვარე. ვოცერძ ბურდულს ახმად-
მიოზა ვადასდგომოლა. ხმალი ვა-
ესწორებოხა“ (ვ. ბარნოვი).

ხმლის დაკრიალლება პრდ. ხმლის აქეთ-
იქით ქცევა. სჯგ. ბრძოლა, ჩხუბი.
მტრისათვის მოქნევა ხმლისა მოსა-
კლავად. „ერთი ამ სიბერის დროს
კიდევ დავატრიალოთ მე და შენ
ჩემო ბაბია, ხმალი და სადაც
წვრილი იყოს, იქ გაწყდეს“ (ს. შვა-
ლიაშვილი). „ვა! ესენი ძალიან ჩუ-
მიდ არიან, მეგონა, ხმლის ტრია-
ლი ექნებოდა და ახლო ვერ მივე-
კარებოთ-მეთქი“ (ხ. ანტონოვი).

ხმლის დაყვანა ვადაზე პრდ. ხმლის
მოხვედრება გასაჭრელ საგანზე ტა-
რამდე. სჯგ. რისამე გაჭრა სრულად.
„(ხარო!) წაბლის ფერ კუდს რომ
დაგიჭერ და ხელს ვადგისვამ გავაზე,
იმ ჟინზე მოხვალ ვაჟაკი, ხმალს
რომ დაიყვანს ვადაზე“ (მ. მღვი-
მელი).

ქართული ხმალი შუაში ჩაზნექილია,
ვადა (ტარი) და წვერი ზეფიოა აშვე-
რილი. ზევიდან რომ დაერთყმის რას-
მე გასაჭრელად, რაც უფრო ღრმად
ჩავა, იმდენად ვადა დაუახლოვდება
ჭრილობის ნაპირს, ასე რომ ვადამდე
დაყვანა ხმლისა ნიშნავს დიდად გაჭ-
რის რისამე, ჭრილობის პირის სიფარ-
თოვეს.

ხმლის მოღერება პრდ. საცემრად მი-
წევა ხმლითა. სჯგ. მუქარა, შეშინე-
ბა. „რა ანგარიშია, რომ (მარშა)
პლამის ხელიდან გამოგვაცალოს
ჩვენ ჩვენი საუნჯე და ამისათვის
ცარიელ მუქარის და ქადლის და-
ლაბრებული, პირგადადეკილი ხმა-
ლი მოგვიდერა“ (ილ. ჭავჭავაძე).
„ვიცი, გწაღს ომი ფიცხელი, არ
ეული ხმალითა ღირობა“
(მ. რუსთაველი).

ხმლის ქნევა პრდ. ხმლის იქით-აქეთ
ამოძრაება. სჯგ. ომი, ბრძოლა, ხოც-
ვა ხალხისა, სიმარჯვე ბრილიაში.
„ჩემთა მტერთა დიეაქადე დასა-
ხოცლად ხრმლისა ქნევა“
(მ. რუსთაველი). „თავს საკლავად არ
ზოგავდნენ, საცა მოიქნევდნენ
ხმალსა“ (დ. გურამიშვილი). **ეს.**
ხმლის ტრიალი.

ხმლის შემოხხნა პრდ. სხეულისაგან
ხმლის ჩამოცლა. სჯგ. ვაჟაკურ ღირ-

სების წართმევა, მეომრულ თვისებათა უღირსად ცნობა, არაფრიდ ჩადგება, შერცხვენა, დამცირება. „შერცხვენა, და ხმლის შემოხსნა. ნეტარ, როგორ განიბედა?“ (ი. ტფილელი).

ხმლის ჩაგება (ქარქაშში) ჰრდ. ხმლის ჩაშვება თავის ქარქაშში. ზვ. ბრძოლის გათავება, მშვიდობის ჩამოგარდნა, ხალხის მიერ მოსვენება, დარდისა და შიშის უქონლობა. „ღრომ ვანვლო. ხმალ ი ჩაეგო ქარქაშში“ და სისხლის რუები შესწყდა“ (ივ. ბეჭურაული). „წადი, წადილ ამბავი, მინდის რა აღვა ძალიო, თორმეტი მოჰკლა მინდიმა... დაღვა, ჩაეგო ხმალიო“ (ვაჟა-ფშაველა). „აქაურობა დამშვიდდა, დაეჟრდა, ხმალი ჩაეგო ქარქაშში“ (გ. იარბელიანი).

როგორც ხმლის ამოღება (ქარქაშიდან) ნიშნავს მოწინააღმდეგესთან ბრძოლის დაწყებას, ისე მისი ჩაგება იმავე ქარქაშში ითვლება ამ ბრძოლის შეჩერებად, მოწინააღმდეგის სისხლის ღვრის შეწყვეტად, საზოგადოდ — მშვიდობიანობად.

ხმლის ჩაუვანება ვიხამე სისხლით ჰრდ. სისხლისაგან ჯინგის მოკიდება ხმლისათვის. ზვ. ბეგვი ხალხის ზოცვა, მრავალი ადამიანის მოკვლა. „ჩაუვანგ — და დიოკლეთიანეს ხმალი მათი (ქრისტეანების) სისხლით, ვერ შეარყია მათი სიმტკიცე“ (გ. ბარნოვი).

ხმლის ძირს დაღება ჰრდ. ზევიდან ქვევით დაშვება ხმლისა. ზვ. ონის შეწყვეტა, ბრძოლაზე ხელის აღება. „ფშაველს ღრო გმირობისა, ვაქა-ცობისა წაერთო, ხმალი ძირს დასდო, მაგარი მკლავი და მაგარი გული თითქმის აღარ არის საქირო ახალის ცხოვრებისათვის“ (ვაჟა-ფშაველა).

ხნარცვის თხრა (ვისთვისმე) ჰრდ. ორმოს ამოთხრა ვისთვისმე. ზვ. ვისიმე დაზარალება, ვნება, უსიამოვნების გრძნობინება, დილუბვა, სასიკვდილოდ გამეტება, განწირვა, ღალატი, ორგულება. „მან ნადირ-შამინ ყენნან შაჰ-თამაზს ხნარცვი უთხრა“ (დ. გურამიშვილი).

ხნარცვი ჩათხევა ჰრდ. თხრილში ჩავარდნა. ზვ. დაღუბვა, გაუბედურება. „სულ შეხუთული ბორგაჲდა ხნარცვი ჩათხეული, პირს

იხოკდა, სიძს აწყდებოდა და თან დარწმუნებული იყო, რომ ამო იყო მისი ბრძოლა, უაზრო, უშედეგო“ (გ. ბარნოვი).

ხოდაბუნცი მაგას უხაროდეს ჰრდ. ვინაირის კარგის სახნავი მიწის კონცეპტით. ზვ. კონცის, შეუღების პატრონი იქნეს. „ში, დედა, დედი! რომ არ შეიძლება ამგვარი ადამიანი შევიდო, როგორც ე ცეცო! დუნიაზე არ იქნება, რა საქიროა, დუნიაზე, მაგი ბადალი ღამი-მეხრე, — სოქვა ზლოკამ — არიდა ხოდაბუნცი მაგას უხაროდეს! — წამორომა ცოლმა“ (ს. მგალობლიშვილი).

ხომ არ დამეხიზმრებოდა (რამე) ჰრდ. სიზმარში ხომ არა ვნახავდი. ზვ. საიღონ გავიგებდი! საშუალება არა მქონდა, შემიტყო.

სიზმარში კაცის იდელოდ დაინახავს ხოლმე იმას, რასაც სინამდვილეში ვერც კი წარმოიდგენს. ამ თქმას ხმარობენ სასაყვედუროდ, როცა მისთხოვენ ვისმე ცოდნას ისეთის რისამე, რაც ფიზიკურად შეუძლებელი იყო.

ხომ საფლაგში გადატრიალდა სირცხვილისაგან? ჰრდ. შერცხვენა და საფლაგში გვერდს იცვლის. ზვ. მეტად სისარცხვილო საქმის, სააუგო საქციელის ჩადენა. „ეგ რა სოქვი, შევილო? მაინს შენის შევილი და მოვანო-მოჯამაგრობა? საიდან საღაო? ხომ საფლაგში გადატრიალდა მამა-შენი სირცხვილისაგან?“ (ილ. ჰაჭავაძე).

ხონთქარმაც კი ტუჩები ილოკოს ჰრდ. ხონთქარსაც კი ძლიან ეცეთოს და ტუჩებს ლოკვა დაუწყოს. ზვ. მეტად გემრიელის რისამე საჭმლის ჰამა. „ეხლა კი ამ მშრალს პურს პურად-ძვირობაში ნუ ჩამოგვართმევთ, ამოლამ კი ასეთს ცხვრის მწვადებს გაჰმეთ, რომ ხონთქარმაც კი ტუჩები ილოკოს“ (ილ. ჰაჭავაძე). ხონთქარი, ანუ სულთან — ოსმალთა მეფის წოდებაა. ძველად ჩვენში ხონთქარი სიძლიერისა და სიმდიდრის სინონიმად ითვლებოდა.

ხორციელი ჰრდ. ვისაც ხორცი ასხია. ზვ. ადამიანი, რომელსაც ვნატივება, მიეტევება, შეენდობა ცოდვის ჩადენა, არ ეძრახვის დანაშაული. „მეც კაცი ხორციელი, სულ ხომ ცას არ შევაბერლები!“ (დ. გურამიშვილი).

15. თ. სახოკია, ქართული ზატოვანი სიტყვა-თქმანი, III.

ხორციელი იხმარება, სარწმუნოების თანახმად, სულიერის, არა-ხორცშესმეულის საპირისპიროდ.

ხორცი მადნება ჰრღ. ხორცი სხეულისა სითხედ იქცევა. ზვ. ვკვდები, სი-ცოცხლეს ვეთხოვები. ძალიან მეში-ნია, ვკრთი. „ამ სამოთხე ქვეყანაში (საქართველოში) მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელვება, ხორცი აღდება...“ (ილ. ჭავჭავაძე). „არა, არა, წადი, წადი!.. ღმერთო, ამისთანა ღამეში როგორ გავრეკე მე უბედურმა! აი ეხლა ხორცი მადნება, როცა ისინი მაგონდებ-იან“ (მ. არაგვისპირელი). „რომ გიმი-ღერის (ნატო) და გიცინის, ხორცი გადნებაო“ (რ. ერისთავი).

ხორცის გლეჯა ჰრღ. სხეულისაგან ნა-ჭერ-ნაჭერ მოშორება ხორცისა. ზვ. ტანჯვა, წვალება, მოკვლა. „სული რომ ვითომც ამოგვხადა, ახლა ხორ-ცის გლეჯასაც მიჰყო ხელი“ (ილ. ჭავჭავაძე). „რით ჩაიკვავ? — სი-ხარულითა. — რით გაიხადა? — ხორ-ცის გლეჯითა“ (მთხევრი ლექ-სები).

ხორცის დაყრა ჰრღ. ხორცის ძირს დაცეენა. მოშორება სხეულიდან. ზვ. მეტად გახლომა, დამჭლეება. „ძალე მოურჩა (აშოტს) იარა გარედ-გან, მიგნიდგან კი ისევე გრანობდა ტკივილებს, წინანდელსე უფრო ნე-ტადაც. თახდათან კიდევ დაძახუნ-და, სისუსტე ემატებოდა, ხორცსა ჰყრიდა, ხდებოდა“ (ვ. ბარნოვი). „დამჭლობილიყო და ღონე არა ჰქონდა; ხორცი დაეყარა, ფერი წასვლოდა, საქმელს ვერ ინელბდა“ (ს. ორბელიანი).

ხორცის შესხმა ჰრღ. ხორცის მოკიდება. ზვ. განსახიერება, თვალთათვის მი-საწვდომი, დანახანავი, სახილავი, ხელშესახები. „მოქანცულმა ყმაწ-ვილმა რომ დაიძინა, იმ უცნაურმა სიტყვებმა და ფრაზებმა ხორცი შეიისხეს, გარს შემოეჭვივნენ პა-ტარას სხვადასხვა უმსგავსოებით, აზიზღებდნენ იმას, ზიზღზე მოჰყავ-დათ“ (ვ. ბარნოვი).

ხორცი ხორცისაგან და ძვალი ძვალი-ხაგან ჰრღ. იგივე ხორცი და იგივე ძვალია. ზვ. ერთი და იგივე, ღვიძ-ლი, ერთი დედამამის საკუთარი შვი-ლი, პირდაპირი ჩამომავალი, მთე-ლის განუყოფელი ნაწილი. „იგი

მამა-პაპა, რომელსაც თავისი სახელი ისტორიაში ასე თუ ისე მოუქცევია, ყველას მამა-პაპა საერთოდ და განუყოფელად, ამისმომ რომ საისტო-რიო კაცი ხორცია ხორცისა-გან მთელის ერისა და ძვალი ძვლისაგან“ (ილ. ჭავჭავაძე).

ხორცმეტი ჰრღ. ხორცი, რომელიც ცხოველის სხეულის ზოგიერთ ნა-წილზე ჩნდება ხოლმე, როგორც მე-ჭეტი, სოკო. ზვ. ზედმეტი რამ, რაც საჭირო არ არის. „რადგანაც ის-ლანდია ჩვენ (ინგლისელთ) იარად აგვჩენიაო, მის მოსარჩენად თავს რაზედ ვიტკიებთო? ავილოთ და, როგორც ხორცმეტი, ამოვჭრათ და გადავაგდოთ“ (ილ. ჭავჭავაძე).

ხორცის მიყოლა ჰრღ. ხორცისაგან წას-ვლა, ხორცის გემოზე სიარული. ზვ. მარტო ხორციელი ანუ ფინიკური სი-ამეთათვის ზრუნვა, სასულიერო საქ-მეთა უგულვებლყოფა. „ღმერთს აღარ ესმის ჩემი ვედრება, ხორცს რად მიყეო, — მის იყვედრება“ (დ. გურამიშვილი).

ხორცში ჩაყარდა იხ. ხორცში ჩა-ჯდომა.

ხორცში ჩაჯდომა ჰრღ. ხორცის შუა-ილაგას მოთავსება თავისა, გარშემო ხორცის შემოკრება. ზვ. ხორცის-მოკიდება, გასუქება, გაკეთება. „მშობლის მზრუნველობით თანდა-თან სული მოიღვა (გერისომ), ხორცში ჩაჯდა და რამდენიმე ხნის შემდეგ ხელში ვერაგინ იმა-გრებდა“ (ან. ერისთავ-ხომთარია).

ხონობიც დაეჭირა და ბარდებიდანაც გაუკაწრავი გამომძვრალიყო ჰრღ. ხო-ნობიც დაეჭირა და ეკასლაც არ ეჩ-ხელიდა. ზვ. გაჭირებისათვის თავი დედალი და საწადელიც აესრულე-ბინა. „დაბარუნდა (თეოდორა) მინ ისევ ნაწყენი და შეუღდა ისევ იმის ფიქრს, რომ გოგოც ხელში ჩაეგდო და წყალიდანაც მშრალი გამოსულიყო, ხონობიც დაეჭირა და ბარ-დეებიდანაც დაუკაწრავი გა-მომძვრალიყო“ (ვ. ბარნოვი).

ხონობს ბოლოზე ეკიდება ჰრღ. ხო-ნობს ხელს ბოლოზე ჰკიდებს (დასა-ჭერად). ზვ. საქმეს მსუბუქად ჰკი-დებს ხელს, საქმეს მონდომებით, გულთანად არ ეკიდება! მგლ. შენ, ჩემო ძმაო, არ გეტყობა მონდომე-ბული იყვე საქმე გააკეთო! აბა შე-

ნისთანაზე ითქმის — ხოხობს ბოლოზე ეკიდებაო...

ამ თქმას სმარობენ, როცა კაცი უგულოდ ეკიდება საქმეს რასმე, მონდომებულად არ არის, უშეველად გაავეთოს, შედარებულია ასეთი კაცი ისეთთან, ვისაც ვითომ დაქერა უნდა ხოხობისა და ხელსა კვიდებს ბოლოზე, რომელიც, ხოხობი რომ გაინძრევა, ხელში შერჩება და თვითონ ხოხობი კი წაუტეა, გაუფრინდება.

ხოჯის აბანო ჰრდ. მაჰმადიანთა მღვდლის კუთვნილი აბანო. ზგვ. ქვეყნის ხალხი, ერთმანეთში არეული, საცა აურზაური, ჩხუბი და ყვირილია. „აქ რომ ქალები დაინახა (ლევანმა), ნინოს შეუტია: „განა ჩემი სახლი ხოჯის აბანოა, რომ ამდენი ხალხი შეგიყრიათო“ (რ. ერისთავი).

ძველად თბილისში, დაბახანაში, იქ, სადაც ერეკლესა და ორბელიანთა აბანოებიდან ბანაობის დროს ნახარბი წყალი გამოდის, აუარებელი მოსარეცხე ქალები იყრიდნენ თავსა და სარეცხსა რეცხავდნენ. რეცხვის პროცესში, ერთმანეთთან ატეხილი უსიამოვნების ნიადავზე, ერთმანეთს დაერეოდნენ და გამწართებოდა ჩხუბი, მოურიდებელი ლანძღვა-ვიწყება. ამ აღვილს ხოჯის აბანო დღესაცა ჰქვიან.

ეს სახელი კიდევ აი საიდან წარმოიშვა: ხოჯის ანუ მაჰმადიანთა მღვდელს სარწმუნოება უწყის მრავალცოლობას. როცა მისი ცოლები აბანოში წავიდოდნენ, იშვიათად ყოფილა, რომ მათი ბანაობა უჩხუბოდ და უწიოკობოდ გათავებულყო. აქედან ყოველს იმ აღვილს, საცა ქალები იყრიან თავს და დავლუვი და ჩხუბი გაიმართებოდა ხოლმე, ხოჯის აბანოს ეძახიან.

ხმლის შემორტყმა ჰრდ. ხმლის დაკიდება წელზე, ხმლის ტარება. ზგვ. ლონის, შემმართებლობის, გულადობის ნიშანი. ბრძოლის შეძლება. საომრად მზადყოფნა. „სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მერტყას ზე ჩემი ხმალია?!“ (შ. რუსთაველი). „მინდი რა სანახავია, წელთ აღარ არტყავ ხმალიო“ (ვაჟა-ფშაველა).

ხსენი არ შეარჩინა დედისა ჰრდ. დედისმოცემული პირველი რძე წაართვა. ზგვ. ძალიან ასაქმებინა პირი-

დან, კუჭში არაფერი ჩაუტოვა, საქმე ძალზე გაუჭირა.

ხსენი (Colostrum) — სითხეა, რომელსაც გამოჰყოფს ქალისა და საერთოდ ძუძუმწოვართა დედების ძუძუების ჯირკვლები შვილის დაბადების (და ზოგჯერ დაბადებამდეც). ამ სითხეს, რომელიც თავის შემადგენლობით თითქმის უტოლდება რძეს. ხსენი ჰქვიან და პირველად სწოვს ახლადდაბადებულს. ჩვენის ხალხის აზრით, ეს ხსენი ადამიანის კუჭში რჩება, როგორც პირველად ჩასული სითხე, და ამოკყვება ზევით მხოლოდ მაშინ, როცა კაცს ძალიან ასაქმებს პირიდან ანუ საქმე ძალიან გაუჭირდება.

ეს თქმა იხმარება დამუქრების დროს. როცა ვინმე ვისმე შეუჭამს რასმე, აზარალებს, დაზარალებული დამუქრება: დამაცა, დედის ხსენს ან შეგარჩენო! რ. ი. მუცელში არაფერს შეგარჩენ, რაც ჩემთვის ზარალი მოგიყენებია, ყველაფერს გარწყვიენებ იმ ზომამდე, რომ ხსენიც კი ამოჰყვესო!..

ხუთი თითი ხანთელი შეანთებს იქ ანთებული ჰრდ. ხელის ხუთ თითზე გაკეთებული ხანთელი გაანათებს იქაურობას. ზგვ. უხეი სინათლე და ბედნიერება მოეფინება იქაურობას.

„ხუთი თითი ხანთელი შეანთებს იქ (ოჯახში) ანთებული“ (საცა ეს პატარძალი შევა ოჯახის წევრად) (გ. ბარნოვი).

დღევანდელ ადამიანის უხსოვარ წინაპრის მიერ ტალკვისის აღმოჩენისა და ცეცხლის გამოგონების შემდეგ ამ ადამიანის წინსვლის, პროგრესის მეორე საფეხურად ვადაიქცა ხანთელი, როგორც წყარო სინათლისა, როგორც სიბნელესთან საბრძოლველი იარაღი, როგორც სიბნელისა და წყვილადის გამანევი და ჩვენს გარეშე-მო არსებულ საგანთა სახილველი საშუალება.

ხოლო როცა ამ ადამიანს ჩაესახა სარწმუნოება, მისმა ფსიქოლოგიამ უფრო შორს გასწია სანთელის მნიშვნელობა. ხატისათვის, რომელსაც ის თავყვანსა სცემდა, საუკეთესო და სათნო შესაწირავად სანთელი გადაიქცა. რაც უფრო მეტს და რაც უფრო ხშირად დაუნთებს ხატს სანთელს, მით უფრო დარწმუნებულია, რომ ამ ხატის გულს მოიგებს, ამ ხა-

ტის კალთა მოწყალეებისა მას, როგორც სანთლის შემომწირველს, გადაეფარება. როცა მორწმუნეს ხატთან შესაბეწველი აქვს რამე, დაპირდება, — თავლის სასთელს დაგინებ წინაო და დაუნთებს კიდევცა. ზოგჯერაც უფრო ხატის ერთგულებისა და მისდამი მადლობის აღსანიშნავად ხელის ხუთსავე თითზე თითო ლერს სანთელს დაიკრავენ, ანთებენ და ისე გაჩერდებიან ხატის წინაშე.

ადამიანთა ცხოვრებაში სანთელი ხატოვანად გადაქცეულია ჩვენის ღირსების მიჩვენებლად, ჩვენთა წათელ თვისებათა გამოსამტკიცებლად. ჩვენს საყვარელ რომანისტის ვას. ბარნოვის „თეთრ გვირგვინში“ ლაპარაკია ერთ ქალზე, რომელიც რძალად უნდა შევიდეს ოჯახში საღმრ. ავტორი აქვებს მისს კაიქალობას და ასე ახასიათებს: „ხუთი თითი სანთელი შეანათებს იქ ანთებული, ე. ი. საცა ეს ქალი შეევა, იქაურობას ხელის ხუთსავე თითზე დაკრული და ანთებული სანთლის სინათლე ანუ, უკეთ, უხვი სინათლე, წარმატება, სიხარული და ბედნიერება მოეფინებაო.“

ხუთ თით სანთლად დანთება ვისთვის-მე პრ. ხუთ თითზე გაკეთებული სანთლების მსგავსად დაწვა თავისა ვისთვისმე გამოსადგომად. ზგვ. ხუთ თითზე გაკეთებულ სანთლების მსგავსად გამოდგომა, მეტად დიდი სამსახურის გაწევა. ზგლ. ხუთ თით სანთლად რომ დაინთო, მაინც ვერ გადაიხბი დედის ამბავს. **იხ.** ხუთი თითი სანთელი შეანათებს იქ ანთებულ ი.

ბნელის გამშუქებელი, უჩინარის გამომჩინებელი სანთელი (თაფლისა) მიჩნეულია, როგორც სიხარულის მომნიჭებელი, დარდ-ნაღველის უკუშკრელი, ამბავის დამფები, გაჭირებაში მშველელი, იწროებისაგან მხსნელი. განსაკუთრებით იზრდება სანთლის ეს თვისება, როცა ეს სანთელი ერთი კი არა, ხუთთა და ისიც ხელის ხუთსავე თითზე გაკეთებული და ისე ანთებული.

ხუთ ყურზე ახლო არიან პრ. ხუთ ყურით გაგონების მანძილზე ახლო არიან. ზგვ. ის ადგილი შორს არ გეგონოს, ხუთ ყურზე ახლო-საბა.

მანძილი ერთ ადგილიდან მეორე ადგილამდე მდებარე — პირველყოფილ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის განიზომებოდა, ჯერ ერთი, ხედვის ორგანოს — თვალების საშუალებით, ხოლო როცა ხედვა უძლეური იყო. მაშინ ხმის ანუ ამ ხმის გადამცემ ორგანოს — ყურის საშუალებით ზომავედა იგივე ადამიანი მანძილს. ამისთვის არსებობდა ცალი ყური, ორი ყური, სამი ყური და ასე ხუთამდე. როცა დიდი მანძილი იყო. სანამდე ხუთი ყურის ხმა მისწვდებოდა, ე. ი. ერთი ყურით გაგონილი მანძილი გამრავლებული ხუთ ყურზე ანუ ხუთჯერ. სიძლიერე ყურით გაგონილი ხმისა უნდა გაზომილიყო სმენის ორგანოს სიძლიერითა. მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ იმ დროს, რა დროსიცაა ეს თქმა, ყველას, დაახლოებით, ერთნაირი სიძლიერისა ჰქონდა სმენის ორგანო. მაშინდელი დიდი სიძლიერის ხმა, ქუხილის შემდეგ, უნდა ყოფილიყო მხეცის ღმუხილი, რასაც ერთ კილომეტრზე გაიგონებს ადამიანი.

ხუმრობა იხ. აღარა ხუმრობ!

ხუმრობა გაშვებით პრ. რომ არ ვიხუმროთ. ზგვ. სერიოზულად, ნამდვილად ვსთქვათ. „ხუმრობა გაშვებით, თუ მოწადინებული ხარ წიგნისათვის, მე ოსტატი და შენ — შაგირდი“ (ილ. ჭავჭავაძე).

ხუმრობა იქით იყოს პრ. ხუმრობა განზე გადაესდოთ. ზგვ. სერიოზულად ვილაპარაკოთ, ნუ ვხუმრობთ, ნამდვილადა ვსთქვათ. ზგლ. ხუმრობა იქით იყოს, მოდი, ხუთი თუმანი მათხოვე ერთი კვირით. **იხ.** ხუმრობა გაშვებით.

ხუმრობა ხანია (მას შემდგომა?) პრ. და ზგვ. სახუმარო დრო კი არ გასულა მას შემდეგ! სულ დიდი ხანია მას შემდეგ. „მოხუცებული არა ვარ, ჩემო საყვარელო სპირიდონ, მაშ რა ვარ? აღა-მაჰმად-ხანის დროსა ბარე ორი წლისა ყოფილვარ, როგორც იტყოდა ხოლმე დედა-ჩემი და ხუმრობა ხანია მას შემდგომა?“ (ილ. ჭავჭავაძე).

ხურჯინივით ჩამოკიდება ჰრ. ხურჯინის მსგავსად აყოლა. ზვ. მოუშორებლობა, ქირვეულობა. „მე რაც დღე დამაყენა (კიბორჩხალამ), წარმოდგენაც ძნელია. იმ დღიდან ძველი ხურჯინივით უარესად ჩამომეკიდა და სისხლი გამიშრო, სისხლი!“ (აჭვინტი).

წინათ კაცი სადმე რომ მიდიოდა და მიჰქონდა რამე, წასაღების ჩასადებად ერთადერთი და მარჯვე ჭურჭელი (დაკეცილის საბით მინიმალური სივრცის დაქერის ან გაუტეხლობის მხრივ) — ხურჯინი იყო, რომელიც მხარზე გადადებული მიჰქონდათ. ხურჯინი თითქმის განუშორებელი იყო იმ დროს, მხარზე ჩამოკიდებული. იმიტომ დაედარა აბეზარი კაცი, რომელიც ჩავ-

ეცივდება, არ მოგვეშვება ხოლმე, მხარზე გადაკიდებულს და ნიადაგ განუშორებელს ხურჯინს.

ხურჯინი ქალი ჰრ. საზღაბრო მოთხრობის „ყარამანიონის“ გმირი ქალი. ზვ. მშვენიერი. „ქალწულის ეშმათვალი მოსჭრა დიდ დედოფლის დიდ მეგობარს ხურჯინი ქალსა: ეახლებინა პატარძლისათვის მანდილოსანი“ (ვ. ბარნოვი).

ხუშკად მისცა ჰრ. პეშვით მისცა. ზვ. ბლომად, ნაღდად მისცა ფული.

ხუშკად წარმოებული უნდა იყოს მეგრულ ხუშუა-საგან. ხოლო ხუშუა ნიშნავს შეგროვებას, დახვევებას და თავის მხრივ წარმომდგარია სიტყვა ხუ-საგან, რაიც ნიშნავს პეშვს, ეცე იგი, პეშვის მოსმითო.

ჰ

ჯაგარაშლილი ჰრ. სწორად დამდგარ ჯაგრიანი. ზვ. გულმოსული, გაჯაგრებული, გაბოროტებული. „ბუნების ძალთა გალობა, მადიდებელი მზისაო, მას ესმა, ფრიად ეწყინა, ჯაგარაშლილი უსისაო“ (ვაჟა-ფშაველა).

ცხოველები, როგორც, მაგალითად, ღორი, ძაღლი, კატა, კრუხი და სხვა. როცა გაბრაზებულნი არიან, ზურგი აეპოჩრებათ, თავზე ბალანი აეშლებათ.

ჯაგარი ჰრ. ადგილი ხისა, სადაც წერილი ძარღვები ერთმანეთს დაღვილაქნითად გადაეხლართვის, წარმოადგენს სურათს რასმე. ზვ. მშვენიერი, სილამაზე. „ხანი გამოჰხდა, იკითხა: „ნეტარ რასა იქმს ქალიო, ჩემი ლხინი და ჯაგარი, ჩემი სოფლისა წყალიო?“ (მ. რუსთაველი).

ჯაგრი და ვარამი გულში ჩაიხვია ჰრ. ჯაგრი და ვარამი გულში დაჰმალა. ზვ. თავისი ჯაგრი-ვარამი არ გამოაჩინა, დაჰფარა.

ჯაგრით აღარ არის ჰრ. ჯაგრისაგან აღარ არსებობს. ზვ. მეტისმეტად დარდობს, ნაღვლობს, სწუხს. „ლუარსაბს ისე შევიღე არ უხარიან, როგორც ისა, რომ დავითი და ელისაბედი ჯაგრით აღარ არიან“ (ილ. ჭავჭავაძე).

ჯაგრის ამოყრა ჰრ. ჯაგრის ამოღება გულადან. ზვ. მტრისა ან მოწინააღმდეგისათვის სამაგიეროს გადახდა, სიბრაზის გაქარვება. „ხოლო თუ

რამ აწყენინეთ (თათარს), მაღე აიმღვრევა და ხანჯალსა და თოფს მისწვდება. ჯაგრის გულში ჩარჩენა იცის და ჯაგრის ამოყრაცა“ (ილ. ჭავჭავაძე).

ჯაგრის მიშვება გულად ჰრ. ჯაგრისათვის ნების მიცემა გულს ვაეკრას. ზვ. დაჯაგრიანება, დადარდიანება, დამწუხარება, დაღონება „რამ დავაღონა, ჩემო პატრონოვო? ჰკითხა რაშში (ვაქს), — რას დაუთქიქრებიხარო: ჯაგრს ნუ მიუშვებ გულადი, — გულს ჯაგრი მოეკიდებაო!“ (თ. რაზიკაშვილი).

ჯაგრის შექმა ჰრ. სიბრაზის გადაყლაპვა. ზვ. მტრისათვის სამაგიეროს მიუგებლობა. „მინამ ეიყავ, მტერი ვმუსრე, არ შევცქამე ჯაგრი მისი“ (მ. უმიკაშვილი). „თუ კი ვერ გადამიყოლა, ვერც გულს აგრილებს ყმისასა, ხუთით გატენილ თოფი მაქვ, ჯაგრს როგორ შევცქამ მტრისასა?“ (ვაჟა-ფშაველა). „წავიღა თუქურმიშაში; ჯაგრს არ შევეცქამდე მტრისაო“ (ს. მავალათია).

ჯაგრის ჩარჩენა გულში ჰრ. ჯაგრის ჩატოვება გულში. ზვ. სიბრაზის შენახვა, მტრობის დაფიქვება დროებით, სამაგიეროს გადახდის თვალდება სხვა დროსთვის. „ხოლო თუ რამ აწყენინეთ (თათარს), მაღე აიმღვრევა და ხანჯალსა და თოფს მისწვდება. ჯაგრის გულში ჩარჩენაც



იცის და ჯავრის ამოყრაცა“ (ილ. ჰეგევაძე). „მინამ ვიყავ, მტერი ვმუსხრე, არ შევიქმე ჯავრი მისი, დამრჩა ერთი ბაყბაყ-მღვივი, ვამეგ, ჩამყვა ჯავრი მისი“ (ბ. უმიკაშვილი).

ჯავრის ჩაყოლა ის. ჯავრის ჩარჩენა.

ჯავრი სჭირს ვისიმე ჰრღ. ეჯავრება ვინმე. სჭვ. ემტრება, სამიავიერო უნდა გადაუხადოს.

ჯალამბართი წახლებო ჰრღ. ჯალამბარზე დასადებო და ისე წახლებო! სჭვ. სასიკვდილო! არასაკოცხლებლო. სიტყვა ჯალამბარი დ. ჩუბინაშვილის განმარტების თანახმად, სპარსულია და ნიშნავს მუშას. საბა ორბელიანის განმარტებით კი — უნდა იყოს იარაღი „დიდის ქვის მალა ასატინი“. მეგრულად ჯალამბარი ერტვათ საკაცესათვის, რომელზედაც მიცვალებულს დაკრავდნენ და დასააფლავებლად მიჰქონდათ სასაფლაოზე. ეს სიტყვა დღეს სამეგრელოში თითქმის დაივიწყებულია და ათასში ერთხელ დროული ადამიანები თუ-ღა ხმარობენ ვისიმე დასაწყებები. ჯალამბარი შესლება ორის, გრძელის ძელისაგან, რომელთაც შვიდი-რვა სანტიმეტრი დიამეტრი ექნება და სიგრძეც სამი მტრი და რომელიც შერტმებულია ხის დაღვლარქნილი ტოტებით.

ჯალაბიმც ვავითავსწორდებო!.. ჰრღ. ცოლშვილი შენს თანასწორობას მოინდომებსო. სჭვ. წყველა ხეგურუღი; ისემც დაძაბუნებულხარ, ცოლშვილიმაც დაგიბრწყოს, დავიჯაბნოსო, მამაკაცს ავტორიტეტც დაგკარგვია ოჯახში.

ჯალათი ჰრღ. ვისაც დავალებული აქვს სასამართლოს დადგინდებით სიკვდილით დასჯა ვისიმე სისრულეში მოიყვანოს. სჭვ. გულქვა, უღმობელი, შეუბრალებელი.

ჯალათობა ჰრღ. ვისიმე სიკვდილით დასჯის განჩინება სასამართლოსი ვინმემ სისრულეში მოიყვანოს. სჭვ. გულქვაობა, უღმობელობა, შეუბრალებლობა. „უბრალო აღერსი იყო ზრდილობიან მეგობართ შორის, წაწლობის ბქემინაც ვერ მიტანილი. ამის გულისათვის ქალის შვიეწროება, მისი გზის ხეერა, მისი ჯალათობა!... ველური ქცევა დაუნდობელი, დინჯის ცხოვრების ამამღერეველი“ (ვ. ბარნოვი).

ჯამბარება ჰრღ. ჯამბარის მიავიერობა. სჭვ. ვავირებისაგან ხსნა, ზვეღლი-დახმარება, სიმედო და უტყუარი მეგობრობა, ერთგულება. „მოდი, ლურჯაო, ჩემთანა, აბჯარო, მიგრჯარენით, თუ მავას მარტო ვერ დაეხვდი, ვეყმობი — ვეჯამბარები“ (მოხვეურო ლექსები).

ჯამბარა — მოკლე, ასე ერთის მეტრის სიგრძის, მომხხო ჰაპანი, რომლითაც გუთნის რვილი დაკრულია ხოლმე ლერძზე. ხენის დროს მთელი ალო ჯამბარას ადგას. ჰაპანი და რკინის ჯაჭვი იქვეგ გამომზული და, რვა უღელი ხარ-კამეჩი. ჰაპანით ერთმანეთს გადაბმულობი, წინ რომ სწევენ გუთანს, ჰაპანის ერთი ბოლო ჯამბარას მახლობლად არის მობმული. ჯამბარა განსაკუთრებთ იწვენება კამეჩის ტყავის ნაჭრებისა ან. მისი წენის სპეციალისტ-ოსტატებად ითვლებიან ხეგურნი, რომელნიც ბარად ჩამოდიან ქართლ-კახეთში და განსაზღვრულ გასამრჯელოთ აკეთებენ ჯამბარას. მისი გაწყვეტა ნეძღებელია. კიდევ ამიტომბა, რომ დიდი გაჭირების დროს, როცა უნდათ თავის ერთგულება გაუმტავნონ ვისმე, ეტყვიან: გეჯამბარებო.

ჯამი ნაღველი ჰრღ. ერთი ჯამი ნაღველით სავც. სჭვ. დიდი დადი, მწუხარება „სულხან (თავისათვის): ვაი, შენ ჩემო თავო! ავი შემეშალა შვილი!.. ესეც მესამე ჯამი ნაღველი!.. ვაი, ჩემს ამ დროთ მოსწრება!..“ (რ. ერისთავი).

ჯამიტლექია ჰრღ. ვინც ჯამსა ლოკავს ენით. სჭვ. ზარმაცი, რისმე შოენის უნარს მოკლებული, ვისაც ხელის განძრევა ეზარება. იგულისხმება კაცი, რომელიც სხვის ნასუფრალსა სჯერდება, ჯამის ედლებზე მიკრულ საჭმელს ენთა ლოკავს ხოლმე.

ჯანაბა ჰრღ. ჯოჯოხეთი, საცა განუწყვეტლივ იტანჯვის ცოდვილი. სჭვ. ისეთი ადგილი, საიდანაც კაცი უანველარ დაბრუნდება, დაიღუპება, სადაც დაუსრულებლივ ტანჯვაში იქნება.

ჯანაბას შენი თავი და ტანი ჰრღ. ჯოჯოხეთშიაც ამოვიყვია თავი. სჭვ. ისე შორსაც გადაკარგულხარ. უკანველარ დაბრუნდე, დაიღუპო, ცოცხალი არ გადარჩე.

როცა კაცს ვინმე თავს აბეზრებს, და მისთან თავაზიანობა არა სჭირს, თავმომბრუნებული კაცი წყველის ამ უბოროტო ფორმულით უმასპინძლებდა ხოლმე.

ჯანაბამდისაც გზა პქონია! პრე. ჯანაბაში მიმაველი გზით იაროს. ზღვ. წყველი: ისეთ ადგილს წავიდეს, უკან ვეღარ დაბრუნდეს ცოცხალი, დაიღუპოს, მოკედეს. „ქარგი, ქალო, რასა წიწმბატომ! იეცი თავმი ქვა და მუტელში სამართებელი. მე შენი გულსათვის გეუბნები, თორემ ჯანაბამ დისაც გზა გაქვს!“ (რ. ფაღვანიშვილი). „თუნდ ეგეც არ იყოს, სიტყვას რას დასდევ!.. შენ აზრი გაუსიხვე, აზრი, და სიტყვას თუნდ ჯანაბამ დე გზა პქონია“ (ილ. გეგავაძე).

ჯანის გვარდნა პრე. ჯანი მოშორდეს. ზღვ. დეე მოკედეს, ცოცხალი ნუღარ გადარჩება. „მთებში დამდნარა ყინული, კალთებზე ორთქლი ივარდა; ახლა ხომ გჯერად, ბალღებო, ზამთარს რომ ჯანი გავარდა!“ (მ. მღვიმელი).

ჯანიდან დაიცაღე პრე. ჯანი, ტანის სიმართლე სრულიად გამოგეცალოს სხეულიდან ზღვ. ვეღარ იცოცხლო, მოკედე.

წყველის ფორმულა და გამოითქმის სურვილი, რომ ის, ვისაც ელაპარაკებინ, ფიზიკურად მოისპოს, აღარ იარსებოს.

ჯანის ნატრული გავხლე (თუ გეტყუოდე) პრე. ჯანი, ტანსიმართლე სანატრელი ვამზიდეს, თუ... ზღვ. ავად ვიყო სულმუდამ, სულმუდამ კვანესლოდე.

ჯანს ივლებინებს შრომით პრე. იმდენს შრომობს, რომ უუჯანოდ რჩება. ზღვ. ძალზე შრომობს, მეტის-მეტად ცდილობს. ახ. ტყავისა და ხორცს შუა. წყლებზე ფეხს იდგამს.

ჯარახავით დატრიალდა პრე. ჯარას მსგავსად მიბრუნდ-მობრუნდა. ზღვ. ცოცხლად, მკვირცხლად, მარდად მიდგა-მოდგა. „როცა რომ მაშინ ჰირო ვნახეთ. ძნელი არის აწ სათქმელად და... ეს პატარა საქართველო ჯარასავით დატრიალდა“ (აკაკი). „ოჯახს ჯარასავით ატრიალებდა (მარინე) თავისი ღონიერი მკლავით და ქმარიც ისევე ასდევ-ჩასდევდა მის ჯარას ტრიალს“ (მ. ბარნოვი).

ჯარა — ძაფის სართველი მანქანა ხისი. ძველად, როცა ყოველი ოჯახის დისახლისი თვითონ ამზადებდა ქმარ-შვილისათვის საქირო ქსოვილს, ამისათვის ძაფს ჯარას საშუალებით ართავდა და ჯარიც ყოველ ოჯახში მოიპოვებოდა.

ჯარას დატრიალება ენით პრე. ენის საშუალებით ტრიალის დაწყებისება ჯარასათვის. ზღვ. ბევრი და სწორადი უაზრო ლაპარაკი, ლაქლაქი. „ერთს კიდევ ესე პატროსანი დედაბერები დაატრიალდენ ენით ენით ჯარასა, ერთს კიდევ გამაცხობდნენ ცოცხალ-ცოცხალ ტყუილებს“ (ილ. გეგავაძე).

ჯაყვაშია გამოსული პრე. ჯაყვით გამოთლილია. ზღვ. ნატიფად გაკეთებულია, გამშვენეირებულია; საუსხოლოდ ჩაცმული, ნატიფის გარეგნობისა თუ მიხვარა-მოხვრისა. მგლ. ეს უმაწვლილი ისეთი ტანადი და მოხდენილია. ისე კარგად ჩაცმულია, იტყვი — სწორედ ჯაყვაშია გამოსულია.

ხისაგან გაკეთებულ ჭურჭელს ან სხვა რამ ნივთს თუ იარაღს, ჯერ ცუდით გამოაკობიებდნენ, ხლო საბოლოო ნატიფ სახეს აძლევდნენ ჯაყვით ანუ დანით. ჯაყვა უფრო წვრილი იარაღია, ვიდრე ტლანქი ცული. მისი შემწეობით ამა თუ იმ ნივთს შეიძლება დამთავრებული, მშვენეირი სახე მიეცეს.

დანას მიჰმართავდნენ ხის თლამი, ესა თუ ის ნივთი პირველ ოსტატს, სანამ ჩარხს გამოიგონებდა, ჯაყვაში გამოკჷყავდა, ჯაყვით ალამაზებდა. რა თქმა უნდა, ჩარხით ნაკეთები უკეთესი გამოუღიოდ და დრო და ენერგიაც ვაცილებით ნაკლები ეხარჯებოდა.

გადატანითად, სურათ-ხატოვანად ჯაყვაში გამოსული ეწოდება ყოველ ლამაზად გაკეთებულ ნივთს, თუნდაც ჯაყვა სრულებითაც არ მიჰკარებოდეს; ჯაყვაში გამოსული გვიქვია აგოეთვე ყოველ მოხდენილ, ტინად, კარგად ჩაცმულ დახურულ, ნატიფად მოსიარულე ქალისა თუ კაცისათვის.

ეს თქმა ისმის მხოლოდ იმერეთში. **ჯაყვთა მანის აფოლხვება პრე. მოკერილი ჯაჭვისი მოფონება. ზღვ. გაჭირების შესუსტება, ტანჯვის დაამება „მო-**

ეწერა, გიბრძანებდესო, ვისი მესვა გულსა დანი, ლხინმან ბნელი გამოხატულა, ამით ფოლხვა ჯაჭვთა მანა“ (შ. რუსთაველი).

ჯერ საფლავში არ გაცივებულა (მავანი) პრდ. ჯერ გაცივებაც კი ვერ მოუსწვრია საფლავში. სტვ. მის დასაფლავების შემდეგ სულ ცოტა ხანია გასული, ახლახან გადაიცვალა. „ქალო! ჯერ შენი საბრალო ქმარი საფლავში არ გაცივებულა, შენ კი ჰლალობ და ლამის, შეურაცყო მისი სახელი“ (ფ. ბარნოვი).

ჯერ სად არის! პრდ. არსადაა. სტვ. ჯერ არ მისულა ბოლომდე, ბევრი რამ აკლია უთქმელი, გაუკეთებელი. „უმეცრობა ბ-ნ უორდანიასი ზღვია და მეც კი ჯერ ამ ზღვის პირასა ვარ, ჯერ სად არის. ეს ახალი უმეცრობა რა სათქმელია, ზოგი ძველები მოაკითხეთ“ (ილ. ჭავჭავაძე). „ნეტაგი ჩემთან არ გექნა ეგ ამბავი და არაფერი მინდოდა. — ჯერეთ სად ბრძანდება? ამით ვადაშირჩება მაგი ქალბატონი“ (დ. კლდიაშვილი).

ჯერ სადა ხარ!...ის. ჯერ სად არის!.. **ჯერ ტუჩებზე დედის რძე არ შეშრობია** ის. ჯერ ტუჩებზე დედის ხსენი არ შეშრობია.

ჯერ ტუჩებზე დედის ხსენი არ შეშრობია პრდ. ჯერ ისევსველი აქვს ტუჩები იმ რძისგან, დედამ მოლოგინების შემდეგ პირველად რომ მოაწოვა. სტვ. სულ ახალგაზრდას, გამოუცდილია. „ბიჭო, მძინარეს ჯიბეები დამაპურეს!.. არა, შვილო, რაკი ქართველმა რუსული შლიაბა დაიხურა, იმის საქმე წასულია. ფუნემაქს! მერე ვინა? ჯერ ტუჩებზე დედის რძე არ ჰქონდათ შემშრობა...“ (ილ. ჭავჭავაძე). „ყაზარ რომანიჩმა მისი (ლევანისი) ამგვარი გადაწყვეტილება გაიგო (საგაჭროს გაღება) და ასე დაუწყო ლაპარაკი: ჯერ რა ვაქრობის უნარი გაქვს შენ! ჯერ ტუჩებზე რძე არ შეგშრობია და შენ იმისთანა ძნელ საქმეს, როგორც ვაქრობა არის, როგორ გაუძლები?“ (მელანი). „არც ეთერია, ჩემო ხელმწიფე! არც მზეთუნახავი: სულ თექვსმეტიოდე წლის ქალია, თითქმის გამხდარი, თუმცა მალამალი; თვალები ბალღურად უციონის, სახეც ისევ ბავშვური აქვს;

ჯერ რძე არ შეშრობია პირზე“ (ფ. ბარნოვი).

ჯერ ძონძი არ არის გადახვეული პრდ. ძონძი რა არის. ჯერ ძონძიც არ არის სამზიეთოდ მომზადებული. სტვ. სამზიეთოდ ჯერ არაფერი შეკერილა. „გოგო გასათხოვარია და ჯერ ამის ბედობაზედ ძონძი არ არის გადახვეული“ (მელანი).

ითქმოდა გასათხოვარ ქალზე, რომლის გათხოვებისა და ამისათვის საჭირო მზითვისათვის ზრუნვას ჩვენში აღრევე შეუდგებოდნენ ხოლმე. **ჯვარი გეწეროს!** ის. ოთხივე კუთხივე ჯვარი გეწეროს!

ჯვარი შეჭარხ პრდ. ჯვარის სახედ გააკეთეს რამე. სტვ. მორჩნენ, სამუშაო გაათავეს, სრულ ჰყვეს წამოწყება რამე. მგლ. საქმეს მოვრჩით და ჯვარი შეეკარით კიდევცა.

ქიზიყში პურის მკას რომ შორებოდნენ, პურის თავთავებს ჯვარის სახედ შეჭარავდნენ და წამოიღებდნენ შინ. სახლში რომ შემოვიდოდნენ, დაძახებდნენ: აბა, ჯვარი შეეკარითო და ახლა გამასპინძლებთ თქვენი იყოსო! შინაურებიც ეტყოდნენ: ოლონდაც რომ ღირსნი ხართ კარგის დამასპინძლებისაო და, რაც შეეძლოთ, დატრიალდებოდნენ.

აქედან გადატანითად ყველა საქმის დასრულებას დაერქვა ჯვარის შეკვრა და ხშირად ისმის ქიზიყში: მოდი, ჯვარი შეეკარითო — ან საქმეს მოვრჩითო; ჩვენ, რათა ხანია, ჯვარი შეეკარითო — რათა ხანია, გავათავეთ ეს საქმეო და სხვ.

ჯვარის ზიდვა პრდ. ჯვარის ტარება ზურგით. სტვ. განცდა წვალებისა, ტანჯვისა, მწუხარებისა, დარდისა. „განა ყველას შეუძლიან ზიდოს ჯვარი გოლოგოთად, თუნდ სხვის დახმარებით“ (ფ. ბარნოვი).

ჯვარისწერა პრდ. ჯვარის გადასახვა. სტვ. შეუღლება კაცისა და ქალისა. **ჯვარისწერა** — საეკლესიო წესით კანონიერი შეუღლება ქალისა და კაცისა. ეს წესი სრულდებოდა ეკლესიაში. ერთი შვიდ საიდუმლოებათაგანია ქრისტიანობისა.

ჯვარი ხომ არ დაგიწერია (ვიზედმე ან რაზედმე) პრდ. ხომ არ შეგიერთავს. სტვ. რა არის, რომ ვერა შორდები?!
სტვ. რა არის, რომ ვერა შორდები?!

თითქო ჯვარდაწერილი ხარო იხ. ჯვარისწერა.

ეს თქმა ირონიულია და ეტყვიან კაცს, როცა ეს ადამიანს ან რასმე ნივთს ვეღარ შორდება, ვეღარ შეეღწევა ადვილად. იგულისხმება საეკლესიო ჯვარისწერა, შეუღლებება, რომლის შემდეგ ცოლი ქმარს, თუ ქმარი ცოლს ადვილად ვეღარ დამორიდებინან. ძველად ჯვარდაწერილ ცოლ-ქმარს, რაც უნდა დაეშავებია ერთიმეორისათვის, რაც უნდა შეუძლებებოდა ყოფილიყო მათი ერთად ცხოვრება, ერთმანეთს გამოკრება არ შეეძლოთ კანონიერად. შიგ უნდა ჩაირეულიყო უწმინდესი სინოდი ანუ უმაღლესი ინსტანცია ეკლესიისა, რაც ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იყო იმ მატერიალურ ხარჯის გამო, რომელსაც ეს ჩარევა სინოდისა მოითხოვდა. ძველად მდებოდა ხალხს ისე ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი ძალა საეკლესიო ჯვარისწერისა, ისე სწამდა მისი დაურღვევლობა, რომ შემდეგი სენტენციაც კი გამოსთქვა: ცოლ-ქმარს ერთმანეთს მარტო სამარე დააშორებსო.

ჯვარს ვაკვრა იხ. ჯვარცმა.
ჯვარცმა ჰრღ. ჯვარის სახელ გამოყვანილი ხეზედ ვაკვრა ადამიანისა. ზგვ. დიდის წვალებითა და ტანჯვით მოკვლა ადამიანისა, გვემა, სულის ამოხდა. „ხოლო ნუ თუ მბოზა ვისიმე საერთოდ და გლახისა ცალკე საბუთია, რომ შეუძოვებლად კაცმა კაცი გასწიროს, ზნეობითად ჯვარს აცვას“ (ილ. ჰაბაჰაჰე). „უწინ გმორბა იყო მამულისათვის ცეცხლში ჩაგარდნა, ჯვარცმა, წამება; ახლა საჭიროა მასწავლებელი, მასწავლებელი და ისევ მასწავლებელი“ (მკ. ვაბაშვილისა). „ამოურეცხობა (ჯგულიეტას) გულიდან ფშატძის სიყვარული, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, — ამოუგდია გულიდან, თითქო ბოლოკი იყოს და გადაუგდია. სწორედ ჯვარზე იყო გაკრული ფშატძის თავმოყვარობა“ (ვაჟა-ფშაველა). „მაგრამ... სად არის მანგლელი? რატომ არ მოჰყავთ აქამომდისინ? ალბათ ილტვოდა ისიც წინაშე ჩემსა... ამბობენ კი ქართველნი თუნდ ჯვარს ეცმევიანო რჯულის გულისათვის“ (ვ. ბარნოვი).

ძველად ერთი სახე სასჯელისა იყო

დამნაშავის ვაკვრა ჯვარისახელ გამოყვანილ ხეზედ. თეთ ჯვარს აკეთებდნენ ხის ორი ნაჭრისაგან, რომელთაც ერთმანეთზე გარდიგარდმო დააკრავდნენ. ამ ჯვარზე გააკრავდნენ ავაზაკებს და უმთავრესად ბატონის ხელიდან გაქცეულ მონებს.

ჯიბევაზვრეტილი ჰრღ. ნახვრეტიანი ჯიბის პატრონი. ზგვ. ვისაც ჯიბეში ფული არ უჩერდება, უფულო. „უკაცრავად კი ნუ ვიქნები და ერთი შენისთანა ჯიბევაზვრეტილი კნიაში რომ ჩაიგდოს, როგორია?!“ (ზ. ანტონოვი).

როცა ჯიბე ვახვრეტილია, ცხადია, რა ერთიც უნდა ჰქონდეს კაცს ფული, შიგ არაფერი ვაუჩერდება.

აქედან, ჯიბევაზვრეტილობა ბუნებრივად გამხდარა სინონიმად უფულობისა, კოტრობისა. უნდა ითქვას ისიცა, რომ ეს სიტყვა — დაცინეთად სახმარი სიტყვაა და მიეწერება ისეთ ადამიანს, ვინც ფულის ყიდრი არ იცის, ფულს არ უფრთხილდება, მის ხმარების დროს ანგარიშს არაფერს უწევს, ან კიდევ, როგორც ჩვენს ხალხს ენამოსწრებულად უთქვამს: მისთვის ფულს ნომერი არა აქვს!..

ჯიბებს ბარაქა ვერ მოჰკიდა ჰრღ. ჯიბეში უხვება ვერ გაიჩინა. ზგვ. მეტის-მეტე მხარჯველია, ჯიბეში ფულს ვერ ინარჩუნებს. „გადასწყვიტა ახალ მხარეში — კახეთში გამგზავრება ისევ იმავე წესით, როგორითაც ტფილისამდის მიადწია. იგი იგი, გზა-გზა სასმელ-საჭმლის თხოვნით, რადგანაც ტფილისში ყოფნის დროს ვერ მოჰკიდა ჯიბეს ბარაქა, — რასაც შოულობდა, სასმელ-საჭმელზე უნდებოდა მაშინვე“ (მელანია).

ბარაქა — არაბული სიტყვაა, ნიშნავს: უხვობას, საცემბას, კურთხევას, მადლს.

ჯიბეს ვაკარ ხელია ჰრღ. ხელი ჯიბისაკენ წაიღე, ხელი ჯიბეში ჩაიყავ. ზგვ. ფული მასესხე თუ მომეცი. „შენი ჰირომე, შენია, ჯიბეს ვაკარ ხელია, ან ამოიღე აბაზი, ან უწინაღობაში პრელია“ (პ. უმიკაშვილი). „აბასუხად უთხრეს, აბა ჯიბეს ხელი ვაკარი თო, ქისებს პირი მოხსენითო, მერე ვიფიქრებთო!“ (ილ. ჰაბაჰაჰე).

ეს მოზოლიშებითი და თან ხუმრობითი თქმისა ვისთვისმე ფულის-თხოვნისა სესხად თუ დაუბრუნებლად.

ჯიბესთან უკაცრაოდ ყოფნა პრე. კაცს რომ შეჭყურის, ისე არყოფნა ჯიბესთან. სჭვ. ხელმოკლეობა, უფულოობა, ქესატად დარჩენა, ჯიბეცარიელობა. „ამის მეტი ვერაფერი გიყიდე, რადგან ჯიბესთან უკაცრაოდ გახლდი“ (გვა-ფშაველა).

ჯიბესთან უმძრახადაა პრე. ჯიბეს არ ელაპარაკება, ჯიბეს ხმას არა სცემს. სჭვ. ჯიბე ცარიელი აქვს, ფული არა აქვს, ღარიბია. „არტემ მინაჩი: ფუხარ. მოზრანდეს (თავისთვის). ფულისათვის იქნება. ჯიბესთან უმძრახათ არის, ჭკუასთან მწყრალო“ (რ. ერისთავი).

როცა კაცს ჯიბეში ფული არ უდევს, არც ხელი მიაქვს ჯიბისაკენ მის ამოსაღებად, რადგან შიგ არაფერი ეკულება, ასე რომ, მისთან ურთიერთობა არა აქვს, თითქო უწყრაბო.

ჯიბეგაგნილი პრე. ვისაც ჯიბე გაესებული აქვს (ფულით). სჭვ. მდიდარი, ბევრის ფულის პატრონი. ახ. ჯიბის გატეხა.

ჯიბეში თავები უთამაშებენ პრე. მის ჯიბეში თავები თამაშობენ სჭვ. ჯიბეში ფული არ უდევს. ცარიელია, არაფერი აქვს. „ჩაივლის ბაზარზედ ქოლაქში (კულად ჩაცმული). — ვითომ და სასყიდელი აქვს რაზე. — ჯიბეში კი თავგებოდა უთამაშებენ. ბაზრის ბიჭებმაც იციან ესა და უყვირან, განაგებ: ყმაწვილო, აქ შემობრუნდი, რა გნებაეს?“ (მელანია).

„მიდის ფშატაქ და იცის კიდევ, საცა უნდა მოძებნოს იგი ბეთლემის ვარსკვლავი. მაგრამ ერთი დაბრკოლება იჩენს თავს და უქეჯრის გულს: ჯიბეში თავგები თამაშობენ; ფული არა აქვს იმდენი, ისა-უწმოს, ასე უტბად ნაცნობიც არავინ შეხვდება. საუზნებზე დაჰპატიჟოს“ (გვა-ფშაველა). „არა უშავს რა, ერთი ოთხი წელიწადი რომ თავგები ითამაშებენ იმის ჯიბეში, მაშინ ფულის ყადრს ისწავლის“ (რ. ერისთავი).

იგულისხმება, რომ ცარიელ ჯიბეში თავებებს არაფერი უშლის თავისუფალ მოძრაობას, რამე (ფული) არ აბრ-

კოლებს შიგ ითამაშონ, თავიანთ გემოზე იტრიალონ.

ჯიბეში ჩასმა (ვისიმე) პრე. ვისსამე სხეულს ჩემს ჯიბეში ამოვაცოფინო თავი. სჭვ. მოტყუება, გატურება, ჯობნა რამე საქმეში, უპირატესობა ჭკუით, შეძლებით, ღონით, ცოდნით. „ამ სახით, ჩაისხა ავტორმა ყველა ლინგვისტები, ჯიბე მისი დაიტეგს თუ არა ამოღენა ხალხს!“ (ილ. ჰეგვაძე).

ჯიბეში ჩაღება (ან ჩასმა) რისამე ჰგულისხმობს ამ ნივთის დაპატრონებას. დასაკუთრებას; გულისხმობს მის (ნივთის) მცირე ღირებულებას ჯიბის პატრონის ღირებულებასთან, უნართან შედარებით, ჰგულისხმობს ჯიბის პატრონის ფასს, სიმეტნეს, უფლებას.

ჯიბიდან გავარდნილი პრე. რაც ჯიბეში არ დარჩება და პატრონისათვის დაკარგულად ჩაითვლება. სჭვ. თავზე ხელაღებული, ვინც სათვალავში არა ჰყავსთ, ვისი გამოდგომის იმედი არა-ვისა აქვს.

ეს ყბალასაღები თქმისა. ხმარობენ დასახასიათებლად ისეთის ადამიანისა, ვისაც ცუდ საქციელზე კაცი ხელს ვერ ააღებინებს, ვისი საქმეც წასულია, ვისგანაც ხეირსა და ადამიანურს არაფერს უნდა მოელოდეთ ისევე, როგორც იმ ნივთისაგან, რომელიც ჯიბიდან გაგვევარდება და სამუდამოდ დაგვეკარგება.

ჯიბის გატენა პრე. ჯიბის გაესება. სჭვ. ბევრი ფულის შოვნა, გამდიდრება. „ჩემი ჯიბე ვტენე, ვტენე, ისე მოვკვდი, ვერ ვავტენე“ (ილ. ჰეგვაძე).

ჯიბის მოჭრა პრე. ტანისამოსს ჩამოცლა იმ პარკის მსგავს ნაწილისა, რაშიაც ფულს ვინახავთ ხოლმე. სჭვ. ზარალის მიყენება, ფულის წართმევა. „თუ ხმალით ვერას დავაკლებთ, ჯიბეს ხომ ცოტად თუ ბევრად მოვაჭრითო, — სთქვეს (პორტუგალელთ) და აიღეს და ყოველივე აღებ-მიცემობა ამოჰკვეთეს ინგლისთან“ (ილ. ჰეგვაძე).

ჯიბის შანა გაწყვეტა პრე. ჯიბეში ჩასადებელის წართმევა. სჭვ. ჯიბეში ფულის შეურჩენლობა, სულ ამოცლა, ჯიბის დაცარიელება. „მე რო შენ აგყვე, ჯიბის შანას გამიწყვეტ, — ვითომ-და ხუმრობით უთხ-

რა ევრემმა მაკრინეს* (დუშელი ვანო).
 შანა ჰქვიან ვერცხლისა და ოქ-
 როს ფულს, ხატზე რომ ჩამოკიდებენ
 ხოლმე შესაწირავად. შანას ეძახიან
 აგრეთვე ფულს, მიტკალში გახვეულს
 და ხელზე ჩაქეთებულს რისამე მოსაგო-
 ნებლად. ფული საერთოდ ნიშანია ქონე-
 ბისა. შეიღებისა, ასე რომ ჯიბის შანა პი-
 რდაპარის მნიშვნელობით იქნება—ფული.
ჯიბრის მოგება პრდ. ჯიბრის ვაწევა.
 ზღვ. სამაგიეროს გადახდა, ყვედრე-
 ბა, სირცხვილში ჩადება. „ჯიბრს
 მომიგებდა: ჰე, აბა ახლა ითა-
 მაშია!—ინდენჯერ უფრო ისე გა-
 მაყია, რომ ჩემი ცოდვით დედაჩემი
 კინალამ გადაირია“ (ჰქვიტი).

ჯიგარი პრდ. გულღვიძლი და ფილტ-
 ვები საქონლისა. ზღვ. სიყვარული,
 კეთილშობილური გრძნობა. „ერთ-
 ვული მეგობრის უდროოდ დაკარ-
 გვამ ბოლო მოუღო და გადაიტანა
 საცოდვე (კატა) აი, რა არის ჯი-
 გარი...“ (თ. კანდელაკი).

ჯიგარი სპარსული სიტყვაა. ნიშ-
 ნავს საკუთრივ ერთს შინაგან, გულ-
 მკერდში მოქცეულ ორგანოს აღმანი-
 ანისა თუ საქონლის სხეულისას—
 ღვიძლს. ყასბზე კი ჯიგარი უქვიათ
 გულღვიძლისა და ფილტვებისათვის
 ერთად, შემოკრებიან, ერთმანეთს
 განუშორებლად.

ქართულ მადბიოს გული მიაჩნია
 სიყვარულ-სიძულვილის, სიხარულ-მწუ-
 ხარების და საერთოდ აღმანიანისა თუ
 ცხოველის კეთილშობილ გრძნობა-გან-
 ცდათა ჯერად, სადღურად, წყაროდ.
 ეს გული კიდევ, როგორც ვითოდ, სის-
 ხლის მიმოქცევისა და გადაამუშავების
 მხრით. მკიდრო კავშირით გადახლარ-
 თულია ფილტვებსა და ღვიძლთან და
 ამიტომაც სამთავეს ერთად დარქმე-
 ვია ერთი საერთო სახელი — ჯიგარი.

დღეს ჯიგარიანს ეძახიან მოსიყვარულე
 გულის პატრონს, ხოლო უჯიგარო—
 გეგეკია ისეთისათვის, ვისმა
 გულმა მოყვასის სიყვარული თუ შებ-
 რალემა რა არის, არ იცის.

ჯიქი პრდ. ერთგვარი ვეფხვის მსგავსი
 ცხოველი; აგრეთვე ერთი ისტო-
 რიულად ცნობილი ტომი კავკასიის
 მთიელთა, ჯიქეთში მცხოვე-
 რები. ზღვ. ჯიუტი, უღმობელი, შე-
 უპოვარი. კერძო, უწყალო. „ივია
 ჩემი სიცოცხლე, უწყალო, ვითა
 ჯიქია“ (შ. რუსთაველი).

ჯორზე შეჯდა პრდ. ჯორს ზურგზე
 მოექცა. ზღვ. რამე აიხირა, დაიფინა,
 აინება, გააჟუტდა, გაკერპდა, შეუს-
 მენელი ვახდა, გაჯიქდა. მგლ. ჩემი
 მეგობარი ერთი თვეთნება რამე კა-
 ცია, რაიც ერთი ჯორზე შეჯდა,
 რასაც იტყვის, ეილარ გადაითქმე-
 ვინებ. ახ. ჯორი.

ჯორი—სინონიმი სიკერპისა, ჯი-
 უტობისა, ახირებისა. მაზე შეჯდომა
 ხატოვანად უდრის სიჯიუტეს, რადგან
 თვითონ ჯორი ცნობილია როგორც
 უაღრესად ჯიუტი, თავისნება ცხოვე-
 ლი. ასე რომ, ჯორზე შემჯდომს,
 ხალხის ხატოვანი თქმით, სიჯიუტე
 შექველად უნდა გამოეყოს.

ჯორი პრდ. ჰაკი ვირისა და ულაც
 ცხენის ჩამომაგალი. ზღვ. ჯიუტი,
 გაჭირი აღამიანი; უბერებელი, უძეო
 ქალი. „ჯანაღა მსთქვას (მოშაირემ)
 ერთი, ორი, უმსგავსო და შორი-
 შორი, მავრა იტყვის: „ჩემი სჯობ-
 სო“, უცილობლობს ვითა ჯორი“
 (შ. რუსთაველი).

ჯორი — მგლია ჰაკ ვირისა და
 ულაც ცხენისა ან ჰაკი ცხენისა და ულაც
 ვირისა. შიშისა, ხედნას უძღვებს,
 მომთმენია, მეტად ღონიერი, ჯიუტი.
 ჯორს უხმობენ ყოველ ცხოველს, ორ
 ერთმანეთის მახლობელ ჯიშის ცხო-
 ველთა შეუღლებებისაგან წარმოშობის.
 ჯორი ცხენსა და ვირზე მეტს ხანსა
 სძლევს—ორმოც წლამდე. შთამო-
 მავლობის გაჩენის უნარს მოკლებულია.

ხატოვანად ჯორი ითქმის ისეთზე,
 ვინც თვითნება, ხუშტურინი და ჯო-
 რის ცნობილ სიჯიუტის პატრონი.

ჯორიდან ჩამოსვლა პრდ. ჯორის ზურ-
 გიდან მიწაზე ჩამოსვლა. ზღვ. სიჯი-
 უტეზე ხელის აღება, ახირების ნი-
 რთობა. მგლ. ჩვენმა მეზობელმა
 ქალმა თავისებურად აიხირა, ვერა
 შევასმინეთ რა, ვერ იქნა ჯორი-
 დან ვერ ჩამოვიყვანეთ. ახ.
 ჯორი, ჯორზე შეჯდომა.

თუ ჯორზე შეჯდომა უდრის ახი-
 რებას. სიჯიუტეს, ჯორიდან ჩამოსვლა
 ბუნებრივად გამოჰხატავს ხელის აღებას
 ჯორის თვისებებზე, მის სიჯიუტე-
 სიკერპეზე.

ჯორას კუდივით არც გრძელდება,
არც მოკლდება. პრდ. ჯორის კუდის
 მსგავსად არც ემატება, არც აკლ-
 დება. ზღვ. სულ ერთის ზომისაა.
 „შემდეგ მხარილოვ წითელ ლენტს

გადააკრავთ და დასტკებები ცხოვრებითა. აი, ასე კარგია „შტატსკობა“. მე კი ჯორის კუდივით არც ვგრძელდები და არც ვმოკლდები, — სიტყვა ღიმილით იროდიონმა“ (ს. მგალობლიშვილი).

ჯორის საბალნე პრე. ტვირთი, რის წაღებაც ჯორს შეუძლია. სვკ. მეტად მძიმე ტვირთი. „აი ახლაც გამოიტანეს (ბ-ნ სარქისოვის სტამბილი) ერთი ჯორის საბალნე განცხადება. რომლითაც მთელი ქიზიყის ხალხს იწვევს ვილაც ნადიროვი“ (ლახვარაძე — ქიზიყი).

ჯორის ტლინკებოვით მიყრა პრე. ჯორის ტლინკების მსგავსად მიგროვება რაზე აღვილას. სვკ. ხშირად, ზედი-ზედ დარტყმა, სხაპა-სხუპით ლაბრაკია. „მეორე მხრიდან, ვილაც პარაშკიანი იდეოკატი წამოადგა. მაგრამ ღმერთი არ გაგიწყრეს, არ ამოვასუნთქე!.. სტატიები ჯორის ტლინკებოვით მივაცყარე და...“ (რ. ერისთავი).

ჯორის ჯიშისა პრე. იმავე ჯიშისაა, რომლისაც ჯორია. სვკ. უშვილოა, შვილი არ ეყოლებდა. შგლ. შენს მუზობელს მხეხას შვილს რა მისცემს, — ჯორის ჯიშისაა.

ჯორი წარმოიშობა ჭაკი ვირისა და ულაყი ცხენისა ან ჭაკი ცხენისა და ულაყ ვირის შეჯვარებისაგან. დედმამა თუ მამა სხვადასხვა სახისანი არიან, მაგრამ შთამომავალს — ჯორს მინც იძლევიან. სამაგიეროდ შეუძლებს კანონის დარღვევისათვის ბუნება დაუსჯელად არ უშვებს, და იმათს ჩამომავალს გამრავლების უნარს ართმევს, და ჯორს, როგორც ჭაკს, ისე ულაყს, როგორც ვიციით. არ შეუძლია შვილის გაჩენა. აქედან, გადატანილი, უშვილო, ბერწ ქალზე იტყვიან ხოლმე — ჯორის ჯიშისააო.

ჯორკიდებული კარზე მიადგა პრე. ძვირფას რითიმე დატვირთულია ჯორი კარზე მოვადგა. სვკ. ბენდიერება კარზე მოვადგა და შენც უნდა ისარგებლო. შგლ. ჯორკიდებული კარზე მოვადგა, მაგრამ ვისი ბრალია, შენ პირლია იყვე და ვერ ისარგებლო?!. ახ. სავესე სუფრაზე შეხიარ.

ეს თქმა რაჭაში ისმის. თვით სიტყვა ჯორკიდებული ანუ დატვირთული (იგულისხმე: ძვირფასი განძით) უდრის

ბენდიერებას, რომელიც შეიძლება მოულოდნელად კაცს კარზე მოადგეს, მაგრამ თუ სახამსოდ არ დაუხვდნენ, თუ ვერ მიხვდნენ, რომ ჯორს განტვირთვა და ტვირთის შინ შემოტანა უნდა, ჯორი შეიძლება წავიდეს და ტვირთთანად სხვას, უფრო მიხვედრილს მიადგეს კარზე. ხოლო ვისაც პირველად მიადგა, პირილაგამოვლებული დარჩეს, და ამანაც ჯორის წასვლა თავის უწონობას უნდა დააბრალოს, მეტს არავის.

ჯორს ნალები არ ამიყარო პრე. ჩემს ჯორს (სახედას) ნალები არ მოაშორო ფეხებიდან. სვკ. ვერასფერს დამაკლებ, ჩემგან ვერას წაიღებ, ვერასფერს გამომჩენი. ახ. ხელისკების ჯოგი არ დამიბრთხო. კუდზე ფეხი არ დამადგა.

ეს თქმა — კახური ანუ, უფრო, ქიზიყური, სლაც სახედას ჯორს ეძახიან და ჩვეულებრივ ნალებს არ აკრავენ ფეხებზე, უნალოდა ხედნიან. მაშასადამე, თქმა — ჯორს ნალები არ ამიყაროთო — დაცინვითი თქმაა: რაც არა აქვს ვირს ფეხებზე, ნალებს როგორ აყრის ვინმე! ასე რომ ეს თქმა უდრის: საცა არაფერია, იქიდან ვინ რას წაიღებსო!..

ჯოხი პრე. მოგრძო ნაჭერი ხისა მრგვალი და საკმაოდ წვრილი, ხელში დასაჭერი სიარულის დროს. სვკ. საცემი იარაღი, უფროსობის, სხვისი დასამორჩილებელი ნიშანი. „ამ მხრით სოფლის სამმართველო გლენკაცს მართო მაზრის უფროსის ჯოხად მიაჩნია, რომელიც დღე-მეუღამ მის სახლის დირეზედ მიკუდებულია“ (ილ. ჭავჭავაძე).

ჯოხის აკიდება პრე. ჯოხის მიბმა ზურგზე. სვკ. ჯოხის მოხვედრება, ცემა. „ბევრი მუშტი მოხვედრია; ბევრი ჯოხი აუკიდნია, როდესაც ნამჯდომიარეს ჩამოსძინებია“ (ფან. მენთეშვილი).

ჯოხის მიყუდება (ვიხედმე ან რაზედმე) პრე. ჯოხის მიბჯება. სვკ. დაყრდნობა ვიხედმე ან რაზედმე, იმედი და მოლოდინი შველა-დახმარებისა, გაჭირებისაგან ხსნილა ვისგანმე ან რისგანმე. „ჰოი, ყოვლად შეიძლებულ კომისიავ, რა კარგად რამა ხარ! რამდენს მოუყუდებია შენზედ თავისი ჯოხი, რომ სხვა ღონე არა ჰქონია!“ (ილ. ჭავჭავაძე). „რა გინდ



ბრძენ იყოს მკურნალი, კარგად ატყობდეს მაჯასა, სხვისას შეიტყობს, თავისას გერას ვაიგებს ზვანჯასა; თეთს სხვას უწინაღობს, თავისთვის სხვაზე მიჰყუდებს ბარჯასა* (დ. გურამიშვილი). „ნულარ გაქვს ჩემ მოლოდინი, ჯობ მიაყუდე კარზე-და“ (ს. ნაკალათია).

სულ პირველი იარაღი აღამიანისა, უნდა ვიგულისხმობთ, — იყო ხის წვრილი ტოტი ანუ ჯობი, გასხეპილი, ცალ ხელში ადვილად დასაჭერი და სახმარებელი გარემოსთან საბრძოლველად. ჯობის პარალელურად იარაღადვე ხმარობდა პირველყოფილი აღამიანი მკადა ქვის, პირველ სახისას, დაუმუშავებულს, მხოლოდ ამ ქვის ტარება, უტაროდ, შიშველ აღამიანისათვის, რომელსაც ქვის ჩასადები არაფერი ვააჩნდა, სანამ ქვის იარაღს ტარს გამოუგონებდა, პირველი ადგილი მისთვის ეჭირა ჯობს, და ეს ჯობიც აღამიანისათვის ისევე განუშორებელი იყო, როგორც შემდეგში, როცა რკინისთვისა გაიცნო, მისთვის განუშორებელი გახდა სატყვარი. ანდაზებთა გვაქვს, ჯობთან დაკავშირებული: სოფელი ენახე უძაღო, — შიგ გავიარე უჯობო; ძალი ახსენე, — ჯობი მოიმარჯვეო.

ჯობი უაღრესად სატარებელი იყო ძველი დროის აღამიანისათვის, რომელიც; უფროს ერთ შემთხვევაში, ქვეითად დადიოდა და, მიწასადამე, თან დაჰქონდა ჯობიც; ამ ჯობს სიარულის დროს ზედ ეყრდნობოდა და თავის სხეულის სიმძიმის ნაწილს ხელის მეშვეობით გადასცემდა; თუ გზაში ხილი რამ შეხვდებოდა, ამ ჯობით დაჰბერტყდა და ნამგზავრი პირს გაისველებდა; თუ წყალი დახვდებოდა გასატოპი, მესამე ფეხად, მდინარის ფსკერზე საკუთარ ფეხების მოსაკიდებლად, წყლის ტალღებთან საბრძოლველად იმავე ჯობსა ხმარობდა. გზაში თუ პატარა-პატარა ნადირი, როგორც მელა, კურდღელი და სხვ., წინ გადაუბრუნებდა ან ფრინველი აუფრინდებოდა, თავის ჯობს ესროდა, მერე ისე მარჯვედაც, რომ თუ სულ არ მოჰკლავდა, მიაპყდარუნებდა მაინც და მის მომლოდინე და შემაცქერელ ცოლშვილს ხელცარიელი არ მი-

უვიდოდა. — საცა ჩამოჯდებოდა, ხის ძირას დასასვენებლად, ჯობსაც იქავე მიაყუდებდა.

შემდეგ, როცა მულმივი გადახურული ბინა გაიჩინა ჩვენმა ძალიან შორეულმა წინაპარმა, თავისადვე მსგავსს რომ ეწყვეოდა მოსაკითხავად, ჯობს გარეთ კარს ახლო მიაყუდებდა, და ისე შევიდოდა მასპინძელთან; იცოდა, რომ შიგ შეტანა ჯობისა არ დასჭირდებოდა, რადგან მოელოდა: — რკბილად დაუხვდებოდნენ, გაუმასპინძლებოდნენ; თუ ღამე იყო და შორი გზიდან მოდიოდნენ, ნამგზავრისა და დღოლის იქვე დააწვენდნენ და მოუსვენებდნენ.

აი, „ჯობის მიყუდება კედელზე“ ამიტომია, რომ გამოჰხატავს: მგზავრობის შემდეგ — დასვენებას, მშვიდობისათვის — ჭამა-სმით გაძღომას, თავშესაფარის უმექონისათვის, ცას ქვეშ, ნადირებთან ღამის გატარების მთავრად — ცეცხლშირას ჯდომას და იქავე უშიშრად ძილს, როცა გვინდა გამოვსთქვათ, რომ ვისიმე იმედი გვაქვს შევლა დახმარებისა, გაჭირებისაგან ხსინსა, ვამბობთ: ჩვენი ჯობი მიაგანე გვიყუდიო.

დროთა სვლაში ჯობი გადაიქცა მეომართა მეთაურის სიმბოლოდ, შემდეგში — ხელმწიფების, უზენაეს ძალაუფლების გამომხატველად. ამიტომვე იყო, რომ ძველად, მგ. რუსეთის სახელმწიფო გერბს რომ გვიხატავდნენ, ორთაგან არწივს ცალ (მარცხენა) ფეხის კლანჭებში სამეაროს სფეროს და აჭერიანებდნენ, ხოლო მეორის (მარჯვენა) ფეხის კლანჭებში ჩაუდებდნენ სკიპტრას, რაიცა ბერძნულად იმავე ჯობსა ნიშავს.

ზემოთ დ. გურამიშვილისაგან მოტანილ ლექსში ნახმარი სიტყვა ბარჯა ანუ ბარჯი (მეგრული ბარჯი) იგივე ჯობია, მხოლოდ კავიანი, სათევზე. (იხ. ს. ორბელიანი).

ამავე „ჯობის მიყუდებას“ მეორენაირი მნიშვნელობაცა აქვს, სახელდობრ: ვსთქვათ, რამე დავმოვადოთ, არ იცით ამ დაშავების ავტორის ვინაობა, ეჭვი მიიტანეთ ვიზედმე და სთქვათ: მავანს გამოუვიდა ხელიდან ესა და ესაო. აი, ასეთს შემთხვევაში ხელგამოჭრილი იქნება თქმა: მავანმა მავანს ჯობი მიაყუდაო. იგულისხმება: ჯობი, როგორც იარაღი ფიზიკურად სიმწვავის განცდვიენებისა, ყველაში



აღძრავს რიდას და კრძალვას და, მაშასადამე, ვისაც ის „მიყუდებდა“, აიძულებს თითო მოაკაკინოს, თავისი დანაშაული აღიარებინოს და ამა თუ იმ სახის სისყიდლით შენდობა და პატივება ათხოვინოს, თუ, რა თქმა უნდა, არა მსურს დაზარალებულმა მის წინააღმდეგ იძალავოს და ისე დაიმორჩილოს.

ჯობს ბრძანების გადაცემის მნიშვნელობაცა აქვს. ვთქვათ, გნებავთ აიძულოთ ვინმე, თავის სურვილის წინააღმდეგ, რამე საქმე გააკეთებინოთ. გამგებებლები სხვებიც არიან, მაგრამ თქვენ ერთ-ერთს მათგანს აირჩევთ და ეტყვიან გაკეთებას. ის ეცდება, თავიდან აისხლიტოს შრომა და ვიპასუხებხათ: რაღა ჩემზე მოაყუდეთ ჯობიო, სხვა ვერაფერს ნახეთო?! როგორცა ხედავთ, ამ შემთხვევაში ჯობი ბრძანების გამოძახებელია, სიმბოლოა ვისმე დამორჩილებისა, ვისზედმე უფროსობისა, ბატონ-პატრონობისა.

ჯობს ჩემზე გატყდაო პრ. ჯობი თავზე გადაამტკვრიესო. ზგვ. სხვის მიგივრად მე მომხედა ჯობიო, სხვის დანაშაული მე დამბრალდაო. ზგლ. სხვამ საქმე გააფუჭა და ჯობი — კი ჩემზე გატყდაო.

ეს თქმა იმ დროისაა, როცა სასჯელის 'იარაღად ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი, ადვილი საშოვარი და იაფი — ჯობი და ქვა იყო. ჯობსა ხმარობდნენ რამე მსუბუქ დანაშაულისათვის დასჯის დროს. ამ ჯობით ზოგჯერ ისე უწყალოდაცა სცემდნენ, რომ — თავმედაც გადაამტკვრევდნენ.

მონდებოდა ისიცა, რომ ეს ჯობი ზოგჯერ სრულებით უდანაშაულოს მოხვდებოდა და იმის თავზე გადატყდებოდა. გამწარებულ, უსამართლობით გულმოკლულ ნაცემს ერთხელ რომ დაუჩივლია თავისი უბედურება, მერე მისი ნათქვამი სამუდამოდ დარჩენილა ჩვენი ხალხის ხსოვნაში მოსამართლეთა თუ დამსჯელთა ჩასაგდებად გულისხმაში: სამართალი აღარ გააბრუნოთ და უდანაშაულო კაცის ცოდვას ნუ დაიდებთ კისერზეო.

ჯოჯოხეთი პრ. თანახმად სარწმუნოებისა, წაწყმედილ სულთა საქანჯ-

ველი ადგილი, სადაც ადამიანი საშინელ ხორციელ ტანჯვას წვალებას განიცდის; დიდის ტანჯვის ადგილი; ზნეობრივი ტანჯვა. ბნელეთი. „კვიმე, მამა მე მომგვდომიყო, რომე ქვეშ უღმერთოდ, უხიარებლად... მაგრამ ემ, ძმაო, რაც იყო, იყო, ჯოჯოხეთია მოსაგონებლად“ (ილ. ჭავჭავაძე). „არის სხვანიც მებრძოლნი, შიშის ზარმა აიტანა იმოდენა ხალხი. ყველა ისწრაფოდა ვასცლოდა ამ ჯოჯოხეთს“ (ე. ბარნოვი).

თანახმად მითოლოგიისა, ჯოჯოხეთი — ადგილია, სადაც სიკვდილის შემდეგ ცოდვილთა სულის იმყოფებიან საუკუნო ტანჯვა-წვალებაში.

ჯოჯოხეთის ალი ტრიალებს პრ. ჯოჯოხეთის ცეცხლის მსგავსი ცეცხლი ანთია. ზგვ. საშინელი ამბავი ხდება, უწომო ტანჯვაა. „შავოსანს გულმა ძგერა, სულმა კენესა დაუწყო: მის გარშემო ყველა ხარობს, კოწიწიობს, ბუნებას ეალერსება, შესტრფობს, შავოსანი კი ოხრამს, მისს სულსა და გულში ჯოჯოხეთის ალი ტრიალებს“ (ს. მგალობლიშვილი).

ჯოჯოხეთის ალი უდრის გენია ცეცხლს. მამამდიანთ ჰენა — ჯოჯოხეთისათვის უქვიათ. გეჰენა პირველად ერქვა ენომის ვაქეს, იერუსალიმს ახლო, ტოფეტთან, სადაც ებრაელები თავიანთ 'შვილებს მსხვერპლად სწირავდნენ ბაალსა* და ასტარტას** და ცეცხლზე სწევდნენ.

ჯოჯოხეთის მაშხალა პრ. ჯოჯოხეთში მოსაკიდებელი მაშხალა. ზგვ. საშინელი, გინა ოხერი, უშნო. „რა გინდ მახინჯი, ვაგლახი და ძაღლიარჭამა ქალი იყოს, შენ თავცოცხალი იმისი შემირთველი არ იყო და განგებ უთხრა სიტყვის გულისთვიან: ცოლად გამომიცი, ჩემო გულის მზე-მთვარეო, მიშინამაცო ჯოჯოხეთის მაშხალა ჯოჯოცკი მამალი ინდოურივით გაიმბრება და ავრე ვავინახდება ტუჩ-ატრუჟით, იტყვი კაცი: ორი ხელმწიფის მზეთუნახავი ქაილიაო“ (დ. მანანელი). იწ. ჯოჯოხეთის მუგუზალი.

* ბაალი — ფინიციელთა ღმერთი იყო.

** ასტარტა — სენიტელთა ქალღმერთი ეისა; ამას სწირავდნენ მსხვერპლად ბავშვებს.

ჯოჯოხეთის მუგუზალი პრდ. ჯოჯოხეთის ცეცხლის მუგუზალი. სჭვ. საშინელი კაცი, გინა ოხერი. უშნო. „საცა დოვლათი დაიბუღებს, ძმავ, ის არის! ჯოჯოხეთის მუგუზალი თაცვერ გამოაგდებ“ (ს. მგალობლიშვილი). იწ. ჯოჯოხეთის მახალა.

ჯოჯოხეთის ცეცხლის დანთება პრდ. ჯოჯოხეთში რო ანთია, იმის მსგავს ცეცხლის გაჩაღება. სჭვ. საშინელი უბედურება, დიდი მწუხარება, წამება, ტანჯვა. „ამისთანა ურცხვი რძალი, რასაკვირველია, ოჯახში ჯოჯოხეთის ცეცხლს დაანთებს და მწუხარების მორეგში ჩაპყრის ყველას, ვისაც მასთან დამოკიდებულება არგუნა“ (ალ. მირიანაშვილი).

ჯოჯოხეთის ცრემლი პრდ. ცრემლი, რომელსაც პღვრიან ჯოჯოხეთში ყოფნიასგან. სჭვ. უსახლგრო ტანჯვა, წარმოუდგენელი ხორციელი გვემა, წამება. „რამე ესე?! მე ქალი არა ვყოფილვარ და ეს მანდილი არა მსურებია თავზედ, თუ შენივე კბილით არ დაგაგლეჯინე შენივ ხორცი, დიდო ბატონო ანოტ! ჯოჯოხეთის ცრემლით ავტირებ მაგ შენს მეძავსა“ (გ. ბარნავი).

ჯოჯოხეთური ყვირილი პრდ. ჯოჯოხეთში არსებული ხმაურობა. სჭვ. გაუსაძლისი, თავტანის წამღები ყვირილი.

ჯღანების ბანდვა პრდ. თოვლზე სასიარულოდ საჭირო ჯღანების დამზადება. სჭვ. ყმობა, მოსამსახურება

მიცვალებულის სულისა. „რო წიხვე სამოთხისავე, წინ წაიძღვარენ სამნო; ზოგთ-კი წყალს აზიდვიანდღი, ზოგთ აბანდვინე ჯღარნიო“ (პ. ჟიკაშვილი).

ხევსური — გმირი, თავმოსაწონებელი შვილი და პატრონი თავის ქვეყნისა, როცა მტერს კაცებს უხოცავს, რამდენ კაცსაც მოჰკლავს, თან დაატანს: საიქიოს ჩემი წყლის მზიდველი და ჯღანების მზანდველი იყავიო! მტერი ამ გმირს რომ მოჰკლავს, გმირის ნათესავნი ცდილობენ მისი ძველებების შური იძიონ და დაუხოცონ ხალხი მიცვალებული გმირის სული სათვის შესაწირავად და საიქიოში მისი ჯღანების მზანდველად. ჯღანები ერთგვარი ფენსაცმელებია, პირი ტყავისა აქვს, ხოლო ძირი გამოზლანდულია ტყავის ნაჭრებითა. ზევიდან მოყინულ თოვლზე ასეთი ჯღანებით თუ-ღა შეიძლება სიარული ისე, რომ კაცს ფეხი არ დაუტურდეს.

ხევსურო რომ ჰკითხოთ, თოვლი საიქიოშიაც სკოდნია და, ნაშასადამე, ეს ჯღანები იქაც ყოფილა საჭირო იქ მყოფთათვის. ასე რომ, საპატიო ადამიანნი თავიანთ ღირსებისათვის უფერო საქმეს ხომ არ გააკეთებენ, თითონ ხომ არ დაიბანდავენ ჯღანებს! ამისთვის ყმები, მსახურნი უნდა ჰყავდესთ...

ხევსურულ ხალხურ ლექსებში, სხვა ამბავთა შორის, სწირია ამბავი საიქიოში წყლის ზიდვისა და ჯღანების ბანდვისა.

3

პაი ვიდი, ბეკლემიშევი პრდ. აფსუს, ბეკლემიშევი! სჭვ. ცოდვა არ არის ასეთი კარგი კაცის გაფუჭება! „ნიკოლა (მითომ ვაჯავრებით). გამხიარულდით, ღმერთმანი, თორემ ავდგები, გავივლი და გამოვივლი! (ყველანი იციანიან). ვეეფობთ, რალა! პაი. პაი, ბეკლემიშევი!“ (ამც. ცაგარელი).

ბეკლემიშევი — ყაზახთა გენერალი ყოფილა, გულადი, შემმართველი. შამილთან ბრძოლაში ტყვედ ჩაეპარდნო და ლეკების (სიქაჩლის მხრივ) დასამზგავსებლად სიქაჩლე თვითონაც აუტრია.

პაი ღარღი პრდ. ვითომ ვიღარდო! სჭვ.

ჩემთვის სულ ერთია, რა მგამა. იწ. ჩემს კბილებს.

პალას-ბიპლას ჰფიცავენ პრდ. და სჭვ. ღმერთსა ჰფიცავენ. „ეს ყველა თვალნილულისათვის მწესავეთ ნათელი ფაქტიაო, თუმცა ჩვენი ცრუსამსონები პალას-ბიპლას ფიცავენ და უნდათ ყველა დააჯერონ, რომ ჩვენს მეტე არავინ არისო“ (ილ. ჭავჭავაძე).

პალა-ბიპლა — თათრული სიტყვებია, ღმერთსა ნიშნავს. ქართველები ძველად ფიცოლში ამ სიტყვებს ხმარობდნენ ხოლმე.

პანგი პრდ. ბგერის ან საკრავის ხმის

ასეთი თუ ისეთი აწევ-დაწევა. ზგვ. ლაპარაკის, წერის, მოქცევის ცვალებადობა. „აბა ერთი სხვა ალაღმა დაჰქროლოს ამ უარმყოფელ ვაჟბატონებს, თუ სულ სხვა ჰანგზედ არ დაიწყონ გალობა და სულ სხვანაირად არ ჩაჰბუკონ“ (ილ. ჰაგვაძე).
ჰენ-და-ოლმასო! ჰრდ. სრულებით არ შეიძლება. ზგვ. იმაზე უკეთესი არავინაა. „მამაკაცი, რომელთაც კარგა ხანია მოუშთელდათ ნიკაპზე მიხის სამართებლის ღრმად გატანილი კვალი, ხშირად იგონებენ მას სინახულით და ზედაც დაატანდნენ: „ჰე, იმისთანა დალაქი „ჰენ — და ოლმასო!“.

ჰენ და ოლმას — თათრულია, ნიშნავს: სრულებით არ შეიძლება. ხსენებულ წინადადებაში ნახმარი იმ

აზრით, რომ მიხასთანა დალაქი (კარგი) სხვა არავინ შეიძლება იყოსო.

ჰქუხდა მისი სახელი ჰრდ. ქუხილივით გაისმოდა მისი სახელი. ზგვ. განთქმული იყო. ყველა იმაზე ლაპარაკობდა. „მუცელა ოცდაერთი წლისა იქნებოდა, როცა ექორწილა. მაშინ ისე არა ჰქუხდა მისი სახელი, როგორც დღეს, თუმცა ეტყობოდა, რომ ცოცხალი რუმბი დადგებოდა ბოლოს“ (ვაჟა-ფშაველა).

ჰოპოპები ჰყავსი.. ჰრდ. თავში ოფოფები უსხედს. ზგვ. გიჟია, თავში უქრის. „გოჟუა (იქით): ჩემთან კი ცოტა წყნარათ იყავი, თორემ მე ცოტა ჰოპოპებიცა მყვანან: ასე გაგიწეწამ მაგ ბურტყლებს, ნაბუარი აგდიოდეს“ (აგჰს. ცაგარელი).

ბოლოსიტყვაობა

თ. სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანის“ პირველი ტომი დაიბეჭდა 1950 წ., მეორე 1954 წ., ხოლო წინამდებარე მესამე ტომი უკანასკნელი წიგნია, რომლითაც მთავრდება ეს გამოცემა.

უნდა აღინიშნოს, რომ თ. სახოკიას ეს ნაშრომი პირველი ქართული გამოცემაა, რომელშიაც ფართოდ არის ასახული ჩვენი ენის ხატოვანი სიტყვა-თქმების მდიდარი მარაგი. იგი გულმოდგინედ შეკრებილ მასალას აწვდის მკითხველ საზოგადოებას.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ქართული ენის ლექსიკური მარაგის სხვადასხვა მხარის ამსახველი შრომები მცირე რაოდენობით მოგვეპოვება, ხოლო თ. სახოკიას ეს ნაშრომი მეტ-ნაკლებად ავსებს ამ ხარვეზს ქართული ლექსიკის ერთ დარგში — „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანის“ გამოცემა არ უნდა იყოს მნიშვნელობას მოკლებული.

ნაშრომის ავტორია უხუცესი ქართველი ეთნოგრაფი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც თავისი უანგარო, თავდადებული შრომით დიდი სამსახური გაუწია ჩვენს მწერლობასა და მეცნიერებას.

თ. სახოკია 1889 წელს შეუდგა ლექსიკური მასალის შეგროვებას. ინტერესი ამ მუშაობისადმი მას აღეძრა ქართლის სოფელში (ს. ტირძნისი) მასწავლებლად მუშაობის დროს. ეს ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდა ნიკოლოზის გავლენით. იგიწლების მანძილზე გულმოდგინედ აგროვებდა ხალხში ხატოვან სიტყვა-თქმებს, ჰკრებდა მათთან დაკავშირებულ ცნობებს, გადმოცემებსა და ლეგენდებს. პარალელურად ავტორი იწერდა სათანადო მასალას ქართული მხატვრული ლიტერატურული გამოცემებიდან: ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ვას. ბარნოვის, მელანიას (ნ. ნათიძეს), ვაჟა-ფშაველას, ა. ყაზბეგის შ. არაგვისპირელის, ირ. ევდოშვილის, მაჩხანელის, ეგნ. მენთეშაშვილის და სხვ. ეს მუშაობა გრძელდებოდა ათეული წლების მანძილზე და საბოლოო სახით გაფორმდა სამტომეულში.

უნდა ითქვას, რომ ხატოვან სიტყვა-თქმანის მიკვლევა და გამოყოფა მეტყველებაში ძნელი საქმეა. ამით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ შრომაში ნოტანილი თქმები ყოველთვის არ უბასუხებს ასეთი ხასიათის ნაშრომისადმი წაყენებულ მოთხოვნილებებს. სიტყვა-თქმა ზოგჯერ იმ ფორმითა და სახით არ არის მოყვანილი, როგორც ეს წყაროშია დამოწმებული. არ არის ავრთვე წყაროზე მითითება ანდა მისი სათანადო დაზუსტება. ავტორი არ ასახელებს მთქმელებს, არ მიუთითებს მასალის ფიქსაციის დროსა და ადგილს.

მიუხედავად ამისა, ნაშრომი მნიშვნელოვან მასალას შეიცავს. საილუსტრაციოდ ერთი მაგალითიც საკმარისია. ავტორს შემოაქვს თქმები: პირაკრულია, პირგამშრალი, პირზე ხელის დაფარება, პირიდან ლუქმის გამოცლა, პირიდან ცეცხლის ყრა, პირი დაუობდება, პირი იბრუნა, პირი მიყო მიწაში, პი-



რის აკინვა, პირის არიდება, პირისაღება, პირის გატეხა, პირის გაშაფება, პირის გემო, პირის დაკვრევენება, პირის დატოკება, პირის ერთად ბანა, პირის ზიარება, პირის კომლის გაწყვეტა, პირის მოტყუება, პირის მოშლა, პირის მოწმენდა, პირის ბღნეკელი, პირის ქარი, პირის ქცევა, პირის შეკვრა, პირის შერცხენა, პირის ჩატკბარუნება, პირის წყალი, პირკატანაცემი, პირნათელი, პირტიტველი, პირშავი, პირღნიოში, პირში აღის ქარი ჩაუვარდა, პირში სული უდგია, პირში ტყვია ჩაიდულა, პირში ჩალის გამოვლება, პირში წადგომა, პირწყლიანი და სხვა. ამ მასალის გამოყენება მრავალმხრივ შეიძლება, კერძოდ, ის დიდად შეუწყობს ხელს ქართული ეთნოგრაფიული ენციკლოპედიის შექმნას.

განმარტებითი მასალის ხაზით უნდა აღინიშნოს, რომ საყურადღებოა არა მარტო ხალხში დამოწმებული განმარტებანი, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში ისინიც, რომლებიც ავტორს ეკუთვნის. ისინი იმითაც იმსახურებენ ყურადღებას, რომ თვით შეიცავენ ხატოვან სიტყვა-თქმებს. მაგ., ოწინართ ასაწყვეი-ს განმარტებისას ავტორი წერს: „დაცინვით, საქირდავად თქმა. ამით მიმართავენ მცონარა ადამიანს, რომელიც სულ სხვას შესცქერის თვალწარბში, ერთთავად სხვათა მოიმედვა და თვითონ კი ესიკვდილება განძრევა და ფხის გამოჩენა“. ამ განმარტებაში ავტორისეული „ესიკვდილება“ ხატოვანი გამოთქმაა, რომელიც ლექსიკონში უნდა შევიდეს. ნაშრომში ოსტატურად შესრულებული ამ სახის განმარტებები უხვადაა წარმოდგენილი. 4

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ პირველ ცდას შემდეგში მოყვება გადრმავებული და გაფართოებული მუშაობა, რომელიც ახალ საფეხურზე აიყვანს ქართული ლექსიკოლოგიის ამ დარგს.

პროფ. გიორგი ჩიტაია.

გამომცემლობის რედაქტორი პ. ბეზია
ტექნიკური რედაქტორი ი. ჯანაშვილი
გამომცემი უ. სიხარულიძე
კორექტორი ნ. ინასარიძე

ზელმოწერილია დასაბეჭდად 3/II-55 წ. № 01358. ანაწყოების ზომა
7 1/2 × 12. ქაღალდის ზომა 70 × 108. სასტამბო ფორმათა რაოდენობა
15,25. ტირაჟი 10.000. შვედ. № 481.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბიბლიოგრაფიკომიტე-
ტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати главполиграфиздата Министерства Культуры
Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

Тедо Тимофеевич Сахокия

Грузинские образные выражения

Том III

(На грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР
Тбилиси
1986

8560 12 856.

7.9/155



Հայաստանի Հանրապետության
Հանրային գրադարանի կենտրոնը

Կրթության նախարարության
Հանրային գրադարանի կենտրոնը

ՀՀ

1 Կրթ. Կրթ. Կրթ.
856 20 856